მარიამ მარკანიშვილი

ქალთა როლი ქართული პერიოდიკაში

(1881-1925)

მარიამ მარკანიშვილი

ქალთა როლი ქუთაისის პერიოდიკაში

(1881-1925)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2024

რედაქტორი: *ლელა გაფრინდაშვილი,*
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: *ლიკა მამაცაშვილი,*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაია მიქაბერიძე,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის
საარქივო ფონდის განყოფილების უფროსი

მხატვარ-გრაფიკოსი: გიორგი ვართაგავა

ფოტო: ილია ბაბურაშვილი

დიზაინერი: თეა კვერნაძე

© მარიამ მარჯანიშვილი, 2024

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-475-6

სარჩევი

ქალის როლი პრიმატებიდან მატრიარქატისა და პატრიარქატის ეპოქებში 5
ქალთა პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის 80-90-იანი წლებში 22
XX საუკუნის დასაწყისი და ქალთა აქტივობები 41

პერიოდიკის ბიბლიოგრაფია და ტექსტები
გაზეთი ,,შრომა“ 1881, 1882,1883. 105
ჟურნალი ,,მწყემსი“ 1883,1884,1885. 123
ჟურნალი ,,ქართული ბიბლიოთეკა“ 1883. 128
კრებული ,,ცდა“ 1889,1890,1891. 143
ჟურნალი ,,აკაკის თვიური კრებული“ 1899. 148
გაზეთი ,,გრდემლი“ 1907. 154
გაზეთი ,,ცისკარი“ 1907. 155
გაზეთი ,,შინაური საქმეები“ 1908, 1914. 156
გაზეთი ,,კოლხიდა“ 1911, 1912, 1913. 162
გაზეთი ,,ცხოვრება“ 1912. 208
გაზეთი ,,დილა“ 1913. 210
გაზეთი ,,იმერეთი“ 1913,1914. 213
ჟურნალი ,,სასოფლო გაზეთი“ 1912,1914. 252
გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა“ 1913. 261..... 259
გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ 1913,1914. 262
გაზეთი ,,განთიადი“ 1913. 270
გაზეთი ,,სიტყვა“ 1913. 272
გაზეთი ,,ერი“ 1913,1914. 273
გაზეთი ,,აზრი“ 1914. 280
გაზეთი ,,ახალი ივერია“ 1914..... 286
გაზეთი ,,სამშობლო“ 1917. 288
გაზეთი ,,ახალი კვალი“ 1915,1916. 297
გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა“ 1917. 302
გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ 1917,1918. 322
ქუთ. საგუბერნიო კომიტეტის და რევკომის ორგანო
,,მუშა და გლეხი“ 1924. 332
გაზეთი,,წითელი ვარსკვლავი“ 1924,1925 341

ბოლოთქმა 367
Women's role in Kutaisi periodicals (1881-1925) 369
გამოყენებული ლიტერატურა 370

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა
სასწავლებელი

აცხადებს, რომ უფროსს მოსამზადებელ კლასში მიღება ემელდება, გინაიდან პარალელური განყოფილება იხსნება.

ქუთაისის ქალთა ოთ
კლასიანი პროგიმნაზია
მარიამ გვინიხიძის სასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამოყელ
შენობაში.

მოწაფეების მიღება და გამოსაცთელი ეგზამენები დაიწყება 23 აგვის
ტოდან. სასწავლებულთან იქნება საანბანო განყოფილებაც, სადაც მი
ღებენ მოუმზადებელ ბავშებს. (азбучное отдѣленіе.)

ქუთაისის ქალთა
შვიდ-კლასიანი
კმრძო სასწავლებელი
მ. ი. ყაუხჩიშვილისა

ამით აცხადებს, რომ მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 22 ამა აგვისტოდან და გაგრძელდება თვის ბოლომდი.

ქალთა პროგიმნაზია
მარიამ გვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამოეკელ
შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ექვსა კლასში 15 აგვისტოდან.

განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარტიობისთვიდან.

ქალთა პროფესიონალურ შკოლაში

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

შკოლის მისამართი: ობორინის შესასვვეი სტ. ფირალოვის სახლებში.

განცხადება
ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ

1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მასაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.

ბერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახეკარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინაალმდეგ შემთხვევაში, საჰკო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

სამოსწავლო მთავროგის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხის მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ
ნინო მათეს ასული

ხოჯოლავა

მიხადრა დუნდუას
ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,
გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. 2 საათ.

ქალთა კერძო გიმნაზია
მ. ყაუხჩიშვილისა

აცხადებს, რომ ხელახალი გამოცდა დაიწყო 23-ს მარტიობისთვეს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

„კინო ეთერი“ „КИНО ЕТЕРИ“

ხუთშაბათს, 23 ივლისიდან

ჩვენს ეკრანზე ნაჩვენები იქნება გრანდიოზული სურათი, განთქმული ულამაზესი ძალ. ქალ. **კლარა ფერარის** მონაწილეობით

ფეიხის ქალიშვილი

კინო რომანი 7 დიდ ნაწილად

უმთავრეს როლებში:

კლარა ფერარა, ერნესტ რეპკერტი, დორი გოლდა და სხვა.

ვისაც კი აქვს გაგონილი, და ნახული განთქმული სურათები „სუმურუნი“ და „გლახაკი სტამბოლიდან“ იმან არ უნდა დატოვოს უნახავი სურათი „ფეიხის ქალიშვილი“.

ადგილების ფასები არ უმატებთ.

პეციალური სახელო
კარმენ ამაღლოგელისა

(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.)

ფეხსაცმელები ევროპ. და აზიური როგორც კაცის, ისე ქალის. რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.

ფასები სხვებთან შედარებით დაგლებულია.

ქალის როლი პრიმატებიდან მატრიარქატისა და პატრიარქატის ეპოქებში

პრიმატების გაადამიანების პროცესიდან მოყოლებული მრავალი კვლევისა და დებატების შემდეგ მეცნიერებმა თანდათანობით გამოიმუშავეს უფრო აწონილ-დაწონილი შეხედულება ევოლუციაზე, როცა აღიარეს, რომ ქალი მასში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვიდრე მამაკაცი.

ევოლუციის ძველი მოდელი კი, რომელიც ,,მონადირე"- მამაკაცის ფიგურას ეფუძნებოდა, თვლიდა, რომ ადამიანთა საზოგადოების წარმოქმნა ერთობლივი ნადირობისათვის მამაკაცთა გაერთიანებებმა განაპირობა.

ამ ვარიანტის თანახმად, გამოდის რომ პირველი იარაღი იმისათვის შეიქმნა, რათა ადამიანს მოეკლა თავისი მსხვერპლი და მეტოქეები.

საბოლოოდ, პრიმატების ევოლუციის ღრმა მეცნიერულ დონეზე შესწავლამ კი მნიშვნელოვანი ალტერნატიული მოდელი შემოგვთავაზა. მათი ავტორების მეცნიერების ნენსი ტენერის, ჯენ ლანკასტერის, ლაილა ლეიბოვიცისა და ადრიენ ზელმანის შეხედულებებით: ,,გამართული სიარული, რომელმაც გამოათავისუფლა ხელები, დაკავშირებული იყო არა ნადირობასთან, არამედ საკვების შეგროვებასა და გადატანის აუცილებლობასთან, რათა გაენაწილებინათ იგი სხვებისათვის.

უფრო მეტიც, მან ბიძგი მისცა ტვინის მოცულობასა და პროდუქტიულობის ზრდას, რომ ეს ბიძგი გამოყენებული ყოფილიყო იარაღის შესაქმნელად, ინფორმაციის ათვისებისა და გასაზიარებლად. ასე რომ, პირველი იარაღი მისცა არა მამაკაცების გაერთიანებას მკვლელობის მიზნით, არამედ დედებისა და შვილების გაერთიანებას, რომელიც აუცილებელი იყო შთამომავლების შესანარჩუნებლად."

ამ თეორიის თანახმად - ,,ძველი ადამიანის მატერიალური კულტურის პირველი ნიმუშები იყო არა იარაღი, არამედ საკვების გადასატანი და ბავშვების გადასაყვანი საშუალებები. ასევე იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა მცენარეული საკვების დასარბილებლად, რადგან ბავშვებს სჭირდებოდათ დედის რძე და მაგარი საკვები."

ზემოთ აღნიშნული თეორია, იმასაც ეთანხმება, რომ პრიმატები და ყველაზე პრიმიტიული ტომები უფრო შემგროვებლობითი საქმიანობით ცხოვრობდნენ, ვიდრე ნადირობით.

იგი ასევე არ ეწინააღმდეგება იმ მონაცემებსაც, რომლებიც უჩვენებს, რომ ხორცი შეადგენდა პრიმატების, ჰომინიდებისა და პირველი ადამიანების რაციონის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს. ეს დასტურდება იმითაც, რომ ფრინველებისა და სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, პრიმატებში მხოლოდ დედა უნაწილებდა შვილს თავის საკვებს. აქედან გამომდინარე, რეალობასთან უფრო ახლოსაა დასკვნა, რომ პირველი იარაღები ჩნდება არა მოსაკლავად, არამედ შეგროვებისა და საკვების გადასატანად. რასაც შიმპაზეთა ქცევაზე დაკვირვებაც უჩვენებს, მდედრები უფრო ხშირად საკვებისათვის იყენებენ ამ იარაღებს.

მაშასადამე, წერს მკვლევარი ნენსი ტენერი: ,,შემგროვებელი ქალი" და არა ,,მონადირე მამაკაცი", როგორც ჩანს უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანის სახეობის ევოლუციაში. აქედან გამომდინარე: ,,იმ დედათა მემკვიდრეებს, რომლებიც საკმაოდ გონივრულები იყვნენ იმისათვის, რომ მოეპოვებინათ, შეეგროვებინათ და მოემზადებიათ საკვები და შემდეგ გამოეკვებათ თავიანთი შვილები, მეტი შანსი ჰქონდათ გაემარჯვათ ბუნებრივ გადარჩევაში."

აქვე, ნენსი ტენერი ხაზგასმით, იმასაც აღნიშნავდა: ,,ეჭვი მეპარება, - რომ მცირე ზომის იარაღები, მხოლოდ დაუცველი ცხოველების მოკვლისათვის იყო გამოყენებული, მაშინ, როცა მათი დაჭერა შიშველი ხელებითაც შეიძლებოდა.“

გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ქალებმა გამოიგონეს შეგროვების ახალი ტექნიკა.“

ამის წინა პირობა იყო არა მხოლოდ იარაღი, არამედ გამართული სიარულიც, ანუ ხელ-ფეხის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა. ქალებს - თავისუფალი ხელები სჭირდებოდათ, როგორც საკვების მოსატანად, ასევე ბავშვების სატარებლადაც.“

ასევე, სავარაუდოა, ისიც, რომ სწორედ ქალმა ჩააგდო მიწაში პირველი თესლი, დაიწყო გარეული ცხოველების კვება და მათზე ზრუნვა, ისევე, როგორც საკუთარ შვილებზე და ამით ისინი მოიშინაურა.

ანთროპოლოგები მთელი რიგი არგუმენტების მოყვანით იმასაც აღნიშნავენ, რომ ,,განვითარებადი“ ხალხების უმრავლესობაში საბაღო მეურნეობებში მიწის დამუშავებით დღემდე უპირატესად ქალებია დაკავებული. ეს ვარაუდი შემდგომში მრავალ რელიგიურ მითებითა და ლეგენდებითაც დასტურდება, სადაც უპირატესად მიწათმოქმედების გამოგონება ქალღმერთს მიეწერება.

მაგალითად, ეგვიპტურ წყაროებში მიწათმოქმედების შემქმნელად ქალღმერთ ისიდას ასახელებენ. მესოპოტამიაშიც ასევე ქალღმერთი ნინლილი იყო აღიარებული ადამიანებისათვის მიწის შესახებ ცოდნის მიმცემად.

არქეოლოგიური აღმოჩენებიც და მითებიც მრავალრიცხოვან მინიშნებებს შეიცავენ მიწათმოქმედებასთან ქალღმერთის კავშირის შესახებ. ასე გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს დაწყებული ჩათალ-ჰუიუკიდან, სადაც ქალღმერთს ძღვნად მარცვალს მიართმევდნენ, დამთავრებული კლასიკური საბერძნეთით, სადაც ასეთივე ძღვენით პატივს მიაგებდნენ დემეტრასა და ჰერას.

უძველეს მითებში ფეიქრობაც ქალებთან ან ქალღვთაებებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც ისევე, როგორც ბერძენი მოირები, ადამიანის ცხოვრების ძაფს ართავდნენ.

ასევე ქალებთან იყო დაკავშირებული მოსავლის მიღება და შენახვა, ტანსაცმლის წარმოების ტექნიკა. საზოგადოებებში, სადაც ქალღმერთის კულტი იყო გამეფებული ცნობილი იყო ასევე ხის, ტყავისა და ლითონების დამუშავების სულ უფრო რთული ხერხები. ქალთა განვითარების ეს პერიპეტიები უკვე ნეოლითის ხანაში იყო ცნობილი.

ეგვიპტესა და ევროპაში, ისევე, როგორც ნაყოფიერი ნახევარმთვარის მიწებზე, შემორჩა იმის მოწმობა, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან სწორედ ქალი უკავშირდებოდა: - სიბრძნეს, სამართლიანობასა და გონიერებას.

მრავალი უძველესი მითი და ლეგენდა მოგვითხრობს იმავეს, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგები ადასტურებენ.

ახლო აღმოსავლეთის ქალაქ ნიმრუდის არქეოლოგიურმა გათხრებმა უჩვენა, რომ მაშინაც, როდესაც უკვე მებრძოლ იშთარს ეთაყვანებოდნენ, ქალებს ჯერ კიდევ მოსამართლეთა თანამდებობები ეკავათ.

ირლანდიის წინაქრისტიანული ლეგენდებიდან ვიგებთ, რომ კელტები თაყვანს სცემდნენ კერიდვენს - ცოდნისა და გონიერების ქალღმერთს. კანონის აღმასრულებელი ბერძენი მოირებიც და ყოველგვარი შემოქმედების შთამაგონებელი მუზებიც, ბუნებრივია, ქალები არიან.

შუასაუკუნეებში ქრისტიანები სიბრძნეს ჯერ კიდევ სოფიას ქალური სახებით გამოხატავდნენ, და ღვთისმშობლის მსგავსად, - თაყვანს სცემდნენ მას.

ქალის სახელს უკავშირდებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, როგორებიცაა: კანონმდებლობა, მართვა და რელიგია.

სწორედ, იმ ეპოქას უწოდა მარია გიმბუტასმა ,,ძველი ევროპა“, ხოლო ჩვენ შეგვიძლია ,,ძველი საზოგადოება“ ვუწოდოთ.

მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ სულიერება, განსაკუთრებით სულიერი ხილვები, რომლებიც ბერძენ წინასწარმეტყველებს ახასიათებთ, ერთ დროს ქალებს უკავშირდებოდა. მესოპოტამიის არქეოლოგიური წყაროებიდან ვიგებთ, რომ ბაბილონელი იშთარი, ინანას გამგრძელებელი, ცნობილი იყო, როგორც მხედველობის განმგებელი. ის, რომელიც მისანს წარმართავს - ქეას წინასწარმეტყველი.

ძველ ეგვიპტეში კობრას გამოსახულება ნიშნავდა სიტყვა ,,ქალღმერთს“. კობრა ცნობილი იყო, როგორც თვალი - ,,უზაიტი“, შინაგანი ხედვისა და სიბრძნის სიმბოლო.

ქალღმერთი კობრა, სახელად, უაჯიტი, ქვემო ეგვიპტეში ქალი ღვთაება იყო ჯერ კიდევ წინა დინასტიურ ხანაში. ურეუსს - თავაწეულ გველს, ხშირად ვხვდებით ეგვიპტელ მბრძანებელთა თავსაბურავებზე. გარდა ამისა, მისნის ტაძარი იდგა ქალღმერთ უაჯიტის ძველ სამლოცველოს ადგილზე ქალაქ პერუტოში, რომელსაც ბერძნები ბუტოს უწოდებდნენ, რაც ქალღმერთ კობრას აღნიშნავს. დელფოს განთქმული სამისნო ტაძარი, ასევე ქალღმერთის კულტთან დაკავშირებულ ადგილზე იყო აღმართული კლასიკურ საბერძნეთშიც, როდესაც იგი აპოლონისადმი მიძღვნილი გახდა, მისანი აქ ისევ ქალის პირით ღაღადებდა. ეს იყო ქურუმი ქალი -პითია. იგი სამკუთხა სკამზე იჯდა, რომელსაც გარს პითონები ეხვეოდნენ. ესქილესთან ვკითხულობთ, რომ ,,ამ წმიდა სამლოცველოში თაყვანს სცემდნენ ქალღმერთს, როგორც უძველეს წინასწარმეტყველს. რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ საბერძნეთის კლასიკურ პერიოდშიც კი ადამიანები ტრადიციულად ღვთაებრივ და წინასწარმეტყველურ სიბრძნეს ქალში ეძებდნენ.“

დამწერლობას, რომლის შექმნის დროდ 3200 წელი ითვლება, ხოლო ადგილად - შუმერი, როგორც ჩანს, უფრო ძველი წარმოშობისაა და ასევე ქალთანაა დაკავშირებული. შუმერულ ფირფიტებზე ქალღმერთი ნისაბა წოდებულია ციურ მწერლად, თიხის ფირფიტებისა და დამწერლობის გამომგონებლად.

ინდურ მითოლოგიაში, ალფაბეტის ავტორად ითვლება ქალღმერთი სარასვატი. ძველი ევროპის არქეოლოგიურ გათხრებზე დაყრდნობით მ. გიმბუტასმა დაადგინა, რომ სქემატური დამწერლობის საწყისები ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში გაჩნდა და ეს ცდები შუმერის მსგავსად არ უკავშირდებოდა ,,კომერციულ-ადმინისტრაციულ“ საჭიროებებს. უფრო სავარაუდოა, რომ კომუნიკაციის ამ ძლევამოსილი საშუალების პირველი გამოყენების შემთხვევები სულიერ სფეროს მიეკუთვნებოდა, ეს იყო ქალღმერთის კულტთან დაკავშირებული საკრალური ტექსტები.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყველაზე ადრეული წარმოდგენები ღვთაებრივ ძალაზე, განსახიერდებოდნენ ქალის და არა მამაკაცის სახით. როდესაც ჩვენმა წინაპრებმა დაიწყეს მუდმივი შეკითხვების დასმა: სად ვიყავით, სანამ დავიბადებოდით? სად მივდივართ, როდესაც ვკვდებით?... მათ უნდა შეემჩნიათ, რომ სიცოცხლე ქალისაგან ჩნდებოდა. მათთვის ბუნებრივი იყო სამყარო წარმოედგინათ დედის სახით, რომლის სხეულიდანაც ჩნდება ნებისმიერი სიცოცხლე და სადაც, მცენარეთა ციკლის მსგავსად, ყველაფერი ბრუნდება სიკვდილის შემდეგ, რათა კვლავ დაიბადოს.

ამგვარად, იმ საზოგადოებაში, სადაც სამყაროს განმკარგავი ძალა ქალის სახით იყო წარმოდგენილი მეფობდა ზრუნვა, თანაგრძნობა, არა ძალადობა და ამასთან არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავასკვნათ, რომ იქ, სადაც მამაკაცები არ იმორჩილებდნენ ქალებს, ქალებს დაემორჩილებინათ მამაკაცები.

აქვე, ჩნდება გონივრული ვარაუდი, რომ მატრიარქატის ეპოქაში გენდერული საწყისები - ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე - უკვე ჩასახული იყო.

საბოლოოდ, XIX საუკუნეში, ,,მატრიარქატი“ უწოდეს იმ პერიოდს, როდესაც ქალებს ჰქონდათ უპირატესობა, ასე რომ, იმ საზოგადოებათა კულტურული ევოლუცია, სადაც თაყვანს სცემდნენ სამყაროს მაცოცხლებელ და მასაზრდოებელ ძალებს და რომელთა სიმბოლოსაც დღემდე თასი ან გრაალი წარმოადგენს, შეწყდა.

პრეისტორიულ ჰორიზონტზე გაჩნდნენ პლანეტის პერიფერიებიდან მოსული დამპყრობლები. მათ თან მოიტანეს სოციალური ორგანიზაციის სრულიად განსხვავებული ფორმა და, როგორც მარია გიმბუტასი წერს: - ეს ადამიანები ეთაყვანებოდნენ მახვილის მომაკვდინებელ ძალას, იმ ძალას, რომელიც კი არ აძლევს, არამედ ართმევს სიცოცხლეს. იმ ძალას, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია ბატონობის ურთიერთობის დამყარება.

სწორედ, აქიდან გაიდეალდა მახვილის ძალა, რომ ვაჟკაცობა გახდა იგივე, რაც ძალადობაა. მამაკაცთა დომინაციის საზოგადოებებში ყველაფერი, რაც ქალთან იყო ასოცირებული მეორე ხარისხოვნად აღიქმებოდა. დროთა განმავლობაში ასე თანდათან ჩამოერთვა ქალებს მართვის სადავეები.

საბოლოოდ, ქალი სრულიად ჩამოაცილეს გადაწყვეტილების მიღების სფეროს და მისი ფუნქციები მხოლოდ საოჯახო საზრუნავით შემოფარგლეს. მშვენიერი სქესი კარგახანს ვერ შეეგუა პოზიციების დაკარგვას და ამიტომაც იყო, რომ ლეგენდებს ამორძალთა ამბოხზე რეალური საფუძველი გააჩნდა. ამაძონებს ქართულ ლიტერატურაში ამორძალებს უწოდებდნენ.

ბერძნულ მითოლოგიით ამორძალებმა მეომარ ქალთა ტომებმა, რომელთაც იარაღის უკეთ ხმარების მიზნით მარჯვენა ძუძუ ამოიშანთეს, ათენზე ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყვეს. ამორძალთა ფენომენი სრული უფლებით შეიძლება მივიჩიოთ აგრესიული ფემინიზმის ისტორიულ პირველსახედ.

როგორც ჩანს, ქალთა ამბოხი კარგახანს გაგრძელდა. მათ საკუთარი ქალაქ-სახელმწიფოებიც კი დაარსეს კაბადოკიაში, რომლის დედაქალაქი იყო მდინარე თერმოდოტის გასწვრივ აშენებული თემისკირა.

საბოლოოდ, ,,მეამბოხე“ ქალები მაქსიმალურად შეზღუდეს და მოპირდაპირე სქესის პოზიციები, ასე განაწილდა: მამაკაცი - ბატონი, შემოქმედი. ქალი - ყმა, შემსრულებელი.

აქედან მოყოლებული იყო, რომ მარადიული დუეტი - ქალი და მამაკაცი - თავის ასახვას პოულობდა მითოლოგიაში, ეპოსში, ფოლკლორში, ლიტერატურაში თუ ფერწერაში...

ასე რომ, ქალური საწყისი ნელ-ნელა დესტრუქციულ დატვირთვას იძენს, რაც უკვე ბერძნულ მითოლოგიაშიც შეინიშნება. უკეთილშობილესი და უბრძნესი ქალღმერთი ათენა ზევსის თავიდან იბადება. ამ მაგალითიდან, გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ყოველივე სიკეთე მხოლოდ მამაკაცური საწყისიდან წარმოიქმნება.

დესტრუქციული დატვირთვის მიმანიშნებელია ისიც, რომ ბერძნულ მითოლოგიაში უკვე აშკარად ჩანს ქალი - ღვთაებების მიმზიდველი ამპლუის შეცვლა. მაგალითად, კირკე ღორებად აქცევს მამაკაცებს.

მინოსის ავხორცი მეუღლე პასიფაე ხარს შეიყვარებს და მისგან მინოტავრს ნახევრად პირუტყვ მამაკაცს გააჩენს. აქედან, ნათლად ჩანს, თუ როგორ მოდის - მამაკაცური საწყისის გაუკუღმართება ქალურის მხრიდან.

ზემოთ მოყვანილი მითები და ლეგენდები, ბუნებრივია, ქალთა როლისა და უპირატესობის მტკიცებულების უტყუარ არგუმენტად ვერ გამოდგება, მაგრამ მათში სიმართლის მარცვალი მაინც შეიმჩნევა.

შემთხვევითი როდია, რომ მრავალ რელიგიურ სისტემაში ადამიანთა ქომაგი ღმერთი სწორედ მამაკაცის სახით გვევლინება, როგორიცაა იესო, ბუდა, კრიშნა, მუჰამედი...

ცნობილია, რომ ქრისტიანული რელიგია წარმოშობისთანავე ინტენსიურად

ავრცელებდა საზოგადოებაში პატრიარქალურ ღირებულებებს. და, სწორედ, პატრიარქალურ საფუძველზე დამყარებული ძალაუფლების კონცენტრაციამ განაპირობა მამაკაცის მონოპოლიური მდგომარეობაც საზოგადოებაში. ვინაიდან ქრისტიანობის საფუძველს ძველი აღთქმის სწავლებანი წარმოადგენს, ამიტომ, ბუნებრივია, ძველი აღთქმის გაგებიდან უნდა განვიხილოთ გენდერული პრობლემები და საკითხები.

საერთოდ, იუდაისტური კულტურის პატრიარქალურ ბუნებაზე გავლენა კონკრეტულმა სოციალურმა და ისტორიულმა ფონმა მოახდინა, რაც წმიდა წერილსა და ისტორიულ რეალობაში გამოიხატა. ბიბლიაში ორი მსგავსი, მაგრამ ამავდროულად განსხვავებული ნარატივია სამყაროს შექმნის შესახებ: ,,და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვსად და ხატად ღრმთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“ (დაბ. 1:27).

ესე იგი ადამიანი შეიქმნა, როგორც თანაბარი ქმნილება - მამაკაცი და ქალი, რაც კი თავის არსში გენდერული თანასწორობის საფუძველს წარმოშობს.

მეორე ნარატივის მიხედვით კი ქალი წარმოჩენილია, როგორც დაქვემდებარებული არსება: ,,და თქვა ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამის მარტოსა, უქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი“ (დაბ. 2:18).

ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ერთი მეორეზე აღმატებულია, რაც თავისთავად ქმნის გენდერულ დისბალანს, მასკუნალიზმის გამეფებასა და მისი უპირატესობის დამკვიდრებას. აშკარაა, რომ ძველი აღთქმა იმთავითვე შიშით ეკიდებოდა ქალებს.

საერთოდ, ქრისტიანულ აზროვნებაზე დიდი გავლენა ბერძნულ-რომაულმა კულტურამ მოახდინა. იმ ძველი საბერძნეთის მოაზროვნეებმა, რომლებმაც შექმნეს თავისუფლებისა და სამართლის ტრადიციები, რაც, შემდგომ თანამედროვე დემოკრატიას საფუძვლად დაედო.

ძველი საბერძნეთის მოაზროვნეებმა, ასევე შექმნეს მიზოგენური ,,ქალთმოძუ-ლეობის“ ტრადიციაც, რომელიც დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე მე-8 საუკუნეში იწყება.“

ქალის, როგორც ბოროტი არსების სახეა დახატული ჰესიოდეს მითში ,,პანდორა“.

პანდორა გახლდათ ზევსის მიერ შექმნილი პირველი ქალი, რომელიც ღმერთებისთვის ცეცხლის მოპარვის გამო პრომეთეს დასასჯელად შეიქმნა. ზევსს სჭირდებოდა ბოროტი არსება, რომელიც სასურველი და მიმზიდველი იქნებოდა. სწორედ, პანდორამ გახსნა საბედისწერო ყუთი და გაათავისუფლა ყველა ცოდვა, დაავადება და სხვა ბოროტებანი.

პანდორას მითი ბიბლიური ევას ამბავის იდენტურია, რომლის შეცდომას და აკრძალული ხილის დაგემოვნებას მოჰყვა დაცემა.

სწორედ, ეს პირველქმნილი ცოდვის ამბავი, თანასწორობის თეორიის საწინააღმდეგოდ მძლავრ იარაღად გამოიყენა ქრისტიანობამ. საუკუნეების მანძილზე ადამისა და ევას დაცემის ტრადიციული ინტერპრეტაცია არის საფუძველი და მოტივი ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ასახსნელად. ეს იყო ის არგუმენტი, რომლის შედეგებმა დაუდო სათავე გენდერულ უთანასწორობას და ეს რეციდივები ქრისტიანული რწმენის თანახმად დღემდე გრძელდება.

თომას აქვინელი ამ ამბის ყველაზე პოპულარული ინტერპრეტატორი, თავის Summa Theologicae-ში ამბობს, რომ ქალი ცოდვის წყაროა- Femina est mas occasionatus.

ასევე არასრულყოფილ არსებებად მოიხსენიებს ქალებს ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი, რომელიც თავის მასკულანურ შეხედულებას ასე აყალიბებდა: ,,ადამიანის ბუნება დუალურია - მამრობითი და მდედრობითი, ხოლო მამრობითი რაცაა

,,აღმატებულია“. პლატონი აქვე იმასაც დასძენს, რომ ცოდვილები თავიანთი ცოდვებისთვის სასჯელის ნიშნად რეინკარნირდებიან ქალებად. ხოლო თუ ამანაც არ უშველა, შემდეგი რეინკარნაცია ცხოველი იქნება.

გამოდის, რომ ქალები სადღაც შუაში არიან მამაკაცებსა და ცხოველებს შორის.

მოციქულები ქალთა შეფასებისას უფრო შორს წავიდენ და ქრისტეს ნათქვამი სიტყვები და მისი ქმედებები ქალთ მოძულეობის პოზიციებით უფრო მეტად დატვირთეს. ისინი ძალიან ხშირად გამოტოვებდნენ ხოლმე თავიანთი თხრობიდან ქალებს. ასე, მაგალითად: პირველი კორინთელთა მიმართ პავლე ამბობს, რომ აღდგომის შემდეგ ქრისტე გამოეცხადა 12 მოციქულს, მაშინ, როცა არაფერია ნათქვამი მარიამის შესახებ, რომელიც პირველი იყო, ვისაც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე სასაფლაოს ეზოში გამოეცხადა. აქ პავლე საგანგებოდ არ აქცევს ყურადღებას იმ ქალებს, რომელიც იქვე იყვნენ, როცა მოციქულებს იესო გამოეცხადა.

მაგრამ, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პავლე მოციქულის ნათქვამი მაინც ვერ ასცდა გენდერულ პოზიციებს თანასწორობის შესახებ, როცა იგი ამბობს: ,,აღარ არის იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“ (გალ 3.28).

გამოდის, რომ ბიბლიაში ყველა მოციქული თავიანთი შეხედულების თანახმად ახდენდა ინტერპრეტაციას. მაშინ, როცა ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რას ამბობდა თავად ქრისტე ქალთა შესახებ: ,,სული უფლისა ჩემზე, რომლისთვისაც მცხო და მომავლინა გლახაკთა მახარებლად და გულით შემსვრილთა მკურნალად, ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ამხელად, ტანჯულთა განსატევებლად და უფლის კეთილ სასურველი წლის მქადაგებლად“ (ლუკა 4:18-19).

ამ ციტირებიდან ნათლად ჩანს იესოს პოზიცია, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს, ყველაფერს რაც არსებითი იყო ებრაელთათვის.

ეს კონკრეტული სიტყვები თავისთავად ქალებსაც გულისხმობდა. იესოს ცხოვ-რებაში რამდენიმე ამბავია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რას ფიქრობდა თავად და რა უნდოდა გაეგოთ მის მოსწავლეებს.

იესოს ქმედებიდან მაინც ყველაზე შთამბეჭდავი მარიამ მაგდალინელის ამბავია, როდესაც მას აბობოქრებული ბრბო მოსდევდა ჩასაქოლად:,,ქვა ესროლოს იმან ვინც მასზე სუფთა იყოსო.“

აქ, აშკარადაა გამოხატული გენდერული დისბალანსის გაცამტვერების მტკიცება და მამაკაცის მხრიდან ქალის უფლებების ღიად დაცვა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა თუ მოვლენების მიუხედავად, ბიბლიაში,,ნეკნიდან ქალის შექმნა“ დედათმოდგმაზე სერიოზული თავდასხმის საფუძველი მაინც გახდა: ,,შექმნა ღმერთმა თუ არა სამყარო, მეშვიდე დღეს განუსახა ღმერთმა ადამი (კაცი)“.

ადამის შექმნის შემდეგ კი მას ღმერთმა შემწეთ გაუჩინა ევა. უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და როცა დააძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ევა ადამს მიჰგვარა“.

საერთოდ, ბიბლიასთან ერთად ყველა რელიგიური სწავლებანი, ერთხმად აცხადებდნენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს.

ქრისტიანულ ეკლესიასა და სამღვდელოებაში დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა აქვს თუ არა ქალს სული?! ბევრმა ეჭვიც კი გამოთქვა, არის თუ არა ქალი ადამიანი?! ეს საკითხი 585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს და ფორმალურად სცნეს, რომ ქალს აქვს სული, ვინაიდან ძე ღვთისა, იესო ქრისტე, იმავდროულად იყო ადამიანის შვილი, რადგან მისი დედა მარიამი ადამიანი იყო.

თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, სულიერი მამები მაინც ეჭვქვეშ აყენებდნენ ქალის ფენომენს და საუკუნეთა შემდეგაც ამ საკითხის განხილვას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ.

თამამად, შეიძლება ითქვას, რომ ქალებს საბოლოოდ სწორედ, იმ დღიდან დაეხშოთ გზა, როდესაც ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა.

და, აქედან მოყოლებული, ქალები ყოველდღიურად იტანდნენ გაბატონებული მამაკაცების დისკრიმინაციას. ისტორიულად ქალებს არ ეძლეოდათ თავიანთი პიროვნებისა და სათქმელის პირდაპირი, სიტყვიერი თუ წერილობითი გზით გადმოცემის საშუალება - განათლების, საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის გამო. ამიტომ ქალები თავიანთ პრობლემებზე ან დუმილს მიმართავდნენ ან ჯადოქრობას, მკითხაობას, ხილვების ქონას და ა.შ. რის გამოც ინკვიზიცია მათ სასტიკად უსწორდებოდათ. არანაკლებ დევნიდნენ ქალებს უძველესი ეპოქის ფილოსოფოსები და მეცნიერებიც. არისტოტელე ,,ქალებს ბუნების შეცდომას უწოდებდა", ტომა აქვინელი მათ დაუსრულებელ, მოუმთავრებელ მამრებად იხსენიებს. ამგვარი მოაზროვნეებიც კი სქესთა საკითხზე წერისას აღიარებდნენ, რომ ,,ქალებს დიდი როლი მხოლოდ საოჯახო საქმეებში აკისრიათ. თუმცაღა ოჯახის თავი და მეურვე მაინც მამაკაცია და ქალებს საერთოდ არაფერი ესაქმებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

საერთოდ, შუა საუკუნეების მწერლობის უმეტესობა მამაკაცები იყვნენ და ამიტომ ისინი მამაკაცებს, პრივილეგირებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებდნენ. მხოლოდ მცირე რიცხვი მოაზროვნეების ,,რამდენიმე მამაკაცი, უმეტესად კი ქალები" იცავდნენ ქალთა ინტერესებს. მართალია, გალიაცო ფლავიო კაპრამ 1525 წელს დაწერა ნაშრომი ,,ქალთა აღმატებულობისა და ღირსების შესახებ", მაგრამ ამის მიუხედავად გვიანი რენენსანსის ნაშრომთა უმეტესობა მაინც ქალთმოძულე, მიზოგენური ტექსტებია.

1595 წელს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ანონიმმა ავტორმა პირველად გერმანიაში ლათინურად გამოაქვეყნა ,,ახალი მსჯელობა ქალების წინააღმდეგ", რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი ადამიანები არ არიან. ამ ნაშრომმა ფრიად დააინტერესა მაშინდელი საზოგადოება. იგი ითარგმნა და გამოიცა სხვა ევროპულ ქვეყნებში. ნაშრომის სათაური გვაძლევს საშუალებას ავტორის შეხედულებით გავიაზროთ თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება სქესთა თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის მიმართ.

ეპოქისათვის დამახასიათებელი მსჯელობის თემატიკა ნათლად მიგვანიშნებს, რომ ქალებს როგორც კატეგორიასა და ჯგუფს იუდეო-ქრისტიანული კულტურა უკეთეს შემთხვევაში მოიხსენიებდა განსხვავებულად, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, დაბალი დონისა და განვითარების ადამიანებად. ხშირად კი, მათი ადამიანობაც კითხვის ნიშნის ქვეშ ექცეოდა.

ზემოთხსენებული შუა საუკუნეობრივი დებატები კარგი წინამძღვრებია იმის გასააზრებლად, თუ ვის ხელში იქმნებოდა კანონმდებლის ძალაუფლება, ანუ ვის ჰქონდა ძალა-უფლება დაეწესებიათ სამართალი და მოეწესრიგებიათ ურთიერთობები ადრეულ ეპოქაში.

ანალოგიური გენდრული წინააღმდეგობა და ქალთა დისკრიმინაციაა XVIII საუკუნის ფილოსოფოსისა და განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებებში, რომელიც ,,მამაკაცის და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის" მთავარი ინსპირატორია. პირველი მუხლი ამტკიცებს, რომ ,,მამაკაცები თანასწორნი და თავისუფალნი არიან". თანახმად განმანათლებლობის ძირითადი იდეებისა, უთანასწორობა ითვლებოდა საზოგადოების და არა ბუნების მიერ გამოწვეულ ფაქტორად, როგორც ეს მტკიცდებოდა

რუსოს ნაშრომებში: ,,გააზრებანი, უთანასწორობაზე“ და ,,საზოგადოებრივი კონტრაქტი.“ მიუხედავად ამისა, ორ ასეთ ცნობილ ნაშრომში, როგორებიც იყო ,,ახალი ელიოზა“ (რომელიც შთააგონებდა რომანტიკოსებს) და ,,ემილი“ (რომელიც გახდა სხვა პედაგოგიურ ტრაქტატთა საფუძველი), რუსო მკაცრად მიუთითებდა სქესთა შორის ბუნებრივ განსხვავებებზე, რაც ახდენდა გენდერული წინასწარ განსაზღვრულობის (bias) შესახებ კულტურული სტერეოტიპების რეპროდუქცირებას.

ფორმალური თანასწორობისა და ბიოლოგიური განსხვავების საკითხები საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა სოციო-პოლიტიკური წინააღმდეგობების საფუძვლად.

სქესთა შორის პარიტეტის პირველ დამცველად ითვლება ჯონ სტიუარტ მილი თავის ცოლთან, ჰარიეტ ტეილორ მილთან ერთად. ჯონ სტიუარტ და ჰარიეტ მილები თავიანთ სტატიაში ,,ქალთათვის საარჩევნო ხმის მინიჭება“, რომელიც 1851 წელს გამოქვეყნდა, მოგვიანებით შევიდა ჯონ სტიუარტ და ჰარიეტ ტეილორ მილების ერთობლივ ნაშრომში - ,,ქალთა დაქვემდებარებულობა“. იგი გამოქვეყნდა 1869 წელს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მის მეუღლეს, როგორც ქალს, არ შეეძლო ხელი მოეწერა თავის ნაწერებზე.

საერთოდ, ფილოსოფია და პოლიტიკა საკუთარი თავის ლეგიტიმაციას ახდენდა ქალისათვის ლაპარაკის უფლებისა და თავისუფალ მოქალაქეობასთან წვდომის ჩამორთმევით. იმ დროის ფილოსოფოსთა აზრით ქალი, თითქოსდა ბუნებით მოკლებული იყო ინტელექტუალურ და რაციონალურ უნარებს, რომელიც მიჯაჭვული გახლდათ მგრძნობიარობის სურვილისა და სხეულის არასრულფასოვან სფეროებზე. მაგალითად, არისტოტელე ღიად ამტკიცებდა, რომ ქალები უნდა შეიზღუდონ სახლის წინალინგვისტური და წინაპოლიტიკური სფეროთი. ,,აქ ისინი ასრულებენ რეპროდუქციულ აქტივობებს, რომლებიც აუცილებელია polis-ის კეთილდღეობისთვის, მაგრამ, ასევე, მისგან გამიჯნული და მასზე დაქვემდებარებულია, მამრის და მდედრის ბუნებრივი იერარქიის სახელით, რომელშიც არეკლილია ფორმისა და მატერიის მეტაფიზიკური დაპირისპირება (პოლიტიკა).

შეიძლება ითქვას, რომ სქესებს შორის განსხვავება - ერთი დაკავშირებულია ლოგოსთან, რაციონალურობასთან და წესრიგთან, ხოლო მეორე გაიგივებულია პათოსთან, ირაციონალურობასთან და უწესრიგობასთან, რომელიც არის სწორედ, მათი უთანასწორობის საფუძველი. ეს გულისხმობს ქალის კაცისთვის დაქვემდებარებას და მორჩილებას პირად სფეროში, ისევე როგორც მის ექსკლუზიას საზოგადო ცხოვრებისაგან“ (გრიფინგი 2005:115).

უფლებააყრილ ქალებს ამ ,,მშვენიერი სქესის“ წარმომადგენლებს მამაკაცთა ყურით დასაჭერად ისღა დარჩენოდათ ოსტატურად გამოეყენებინათ თავისი საბედისწერო არგუმენტი - სექსუალური მიმზიდველობა, ქალური ,,ეშმაკობანი“ და კეკლუცობა.

ეკლესია საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, იყო ეს მონათმფლობელური, ფეოდალური თუ ბურჟუაზიული წყობილება ყოველთვის გზას უკეტავდნენ ქალებს განათლების მისაღებად, რადგან მიაჩნდათ რომ წერა-კითხვის სწავლება ,,სატანის მოკავშირის ხელში“ მეტად სახიფათო იარაღია“-ო.

ყველა ეს შიში იმის მაუწყებელია, რომ სუბიექტი ობიექტში აშკარად ფარულ მუქარას გრძნობს, სწორედ, ამიტომაც ქალის სახით ჩამოყალიბდა ,,მტრის ხატი“.

,,ბოროტება ქალის შეგნებული არჩევანია“, - ასე სახავდნენ მამაკაცები ქალებს და ისინი საბოლოოდ თავად შეაძრწუნა მონსტრმა, რომელიც მათ ქალის სახით საკუთარი ხელით შექმნეს.

საუკუნეების განმავლობაში ქალები იძულებული იყვნენ თავიანთი სათქმელი გაეხმაურებიათ არა სიტყვიერად, არამედ შემოქმედებითი ფორმებით, როგორიც იყო: ხალიჩების ქსოვა, კერვა, ქარგვა, სახლის მორთვა, კულინარია...

ასე რომ, ქალები გამუდმებით იყვნენ დაკავებული, საჭიროების გამო ან გართობისათვის, ეგრეთწოდებული ,,გამოყენებითი ხელოვნებით". ნემსით მუშაობა იყო XIX საუკუნეში ქალებისათვის დასაშვები ძალიან ცოტა ,,შესაფერისი" საქმიანობიდან ერთ-ერთი, რომლებიც ამ გზით ქმნიდნენ უბრალო საკერავებს ან მოსართავებს თავიანთვის, თავიანთი ოჯახისათვის, თუ საშუალო და მაღალი კლასის მყიდველებისათვის.

შუა საუკუნეებში მაღალი წრისა და მდიდარი ოჯახის წევრი ქალები, გაცილებით მეტი პრივილეგიითა და უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე დაბალი ფენის წარმომადგენელი ქალები.

ვფიქრობთ, ქალთა თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლა, ამიტომაც დაიწყო მაღალი წრის ქალებმა, რომლებიც განათლების მიღებას სახლის პირობებში ასე თუ ისე ახერხებდნენ.

საბოლოოდ,ქალებისათვის, სწორედ, სიტყვის უუფლებობამ განაპირობა შეხვედრისა და კულტურული გაცვლის ადგილების შექმნა - ქალთა სალონების სახით. თავდაპირველად, ეს სალონები წარმოადგენდა კულტურულ ცენტრს ინტელიგენციისა და მდიდართათვის.

მე-17 საუკუნის ბოლო წლებიდან და მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ქალთა სალონები წარჩინებულთათვისა და აღმავალი ბურჟუაზიისათვის მრავალგვარი კავშირების კოსმოპოლიტურსა და პოლიგლოტურ სამყაროს წარმოადგენდა.

თავდაპირველად სალონებში ფრანგული ენა ართმევდა კარის ენის სტატუს -ლათინურსა და იტალიურ ენებს.

მეფე ლუი XIV-ის დროს ოთხი სალონი ემსახურებოდა საფრანგეთის დედაქალაქის კულტურულ მოთხოვნილებებს: ,,მადამ დე სევინიემ" კარი გაუღო დიდგვაროვნებს, ,,ნინონ დე ლენკლომ" - ლიბერტინებს, ,,მადამ დე საბლემ" -მორალისტებს, ხოლო ენციკლოპედისტები იკრიბებოდნენ ,,მადამ დე ლესპინასთან".

ბრიტანეთში ყველა ,,ცისფერწინდიანს" არ ჰქონდა ის უპირატესობები, რომლებითაც სარგებლობდა მერი უორთლიმ მონტაგი.

სივრცისა და კულტურის დამაკავშირებელი ქსელის ერთი საინტერესო ტიპი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში განსხვავებული სახით მეორდება, იყო დევნილ ქალთა ქსელი. მათ შეზღუდული ფინანსური გარემოებების გამო მოკრძალებული ცხოვრება უხდებოდათ. სალონები უმთავრესად მხატვრული შემოქმედების წარმოჩენის ადგილი გახლდათ, სადაც ქალები ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში თავის შეხედულებებს, ფიქრსა და აზრს თავისუფლად გამოხატავდნენ.

პარიზში, სწორედ, მადამ ჟერმენ დე სტალის სალონი გახდა დებატების ცენტრი, სადაც ირჩეოდა საკითხი რაინდობასა და პროვანსული პოეზიის ერთად დაბადების შესახებ. და, ამასთანავე ქალის ღირსების წარმოშობის ირგვლივაც.

ამ დებატების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მადამ სტალის გარშემო შეკრებილი კოპეს ჯგუფი. მრავალი ქვეყნის ინტელექტუალები თავს იყრიდნენ კოპეში, ჟენევის ახლოს მდებარე პატარა სოფელსა და ციხე სიმაგრეში, სადაც ბარონესა გადავიდა მას შემდეგ, რაც ის ნაპოლეონმა პარიზიდან გააძევა ლიბერალურ ოპოზიციაზე გავლენის გამო.

,,1810 წელს მადამ დე სტალმა გამოაქვეყნა De l'Allemagne, რომელიც მაშინვე გაანადგურეს ნაპოლეონის ბრძანებით; მაგრამ წიგნი ძალიან წარმატებული იყო, რომელიც ხელახლა 1813 წელს გამოვიდა. ამ შრომაში ის ბევრად უფრო დიდ

მნიშვნელობას მიაწერდა რაინდობას, ვიდრე თავის უწინდელ ნაწერებში, და აქებდა მის დადებით თვისებებს, როგორიცაა სიყვარული და ქალების პატივისცემა“ (გრიფინგი 2005:121).

მადამ დე სტალის პროვანსული პოეზიის არაბული წარმოშობის იდეას არ ეთანხმებოდა ავგუსტ ვილჰელმ ფონ შლეგელი, რომლის შეხედულებით პოეზია, რომელიც ქალებისა და მათი სოციალური თავისუფლების განდიდებას ემყარებოდა, არ შეიძლება შთაგონებული ყოფილიყო კულტურით, სადაც ქალები მონები გახლდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1883 წლიდან, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელ-დებოდა დისპუტები პროვანსული პოეზიისა და სიყვარულის შესაძლო არაბული წარმოშობის შესახებ.

საერთოდ, შემოქმედებით სალონებში ქალების მიმართ ყურადღება და პატივისცემა რაინდობასთან ერთად დაიბადა. მამაკაცებმა მიძღვნითი სახის ლექსებისა და სასიყვარულო ჰანგების მეშვეობით ქალები სიყვარულის კვარცხლბეკზე აიყვანეს.

შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ რომანტიკული სიყვარული ეს იყო ,,ქალთა ჩაგვრის ღერძი“. ,,რომანტიზმს ასევე მამრის სახით მიმართ ძალაუფლების კულტურულ იარაღად და ქალების მიერ თავიანთი მდგომარეობის ცოდნის ხელის შეშლისთვის“ - მიმართულ ყალბ იდეალიზაციად მიიჩნევდნენ, რომლითაც იფარებოდა გენდერული არასრულფასოვნება. ამ პერსპექტივაში გენდერი და კლასი ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ რომანტიკული სიყვარულისა და მისი ტყუილების შენარჩუნებისათვის.

ჟერმენ გრერის აზრით: ,,წარჩინებულთა ამაო ედულტერულ ფანტაზიებში წარმოშობილმა რომანტიკულმა სიყვარულმა მამობრივი ძალადობის ადგილი დაიკავა, როცა პროტესტანტულმა საშუალო კლასებმა დაიწყეს გარიგებით ქორწინებაზე უარის თქმა თავისუფალი და თანასწორი კავშირის სასარგებლოდ. ამ აზრით რომანტიკული სიყვარული იყო ახალი დროის ,,ისტებლიშმენტის ქორწინების“ პრელუდია“(გრიფინგი 2005:125).

დრო მიდიოდა და ქალები კარგად ხედავდნენ, რომ მათ არ ეძლეოდათ ნებაყოფლობით სიტყვის თავისუფლება და ამიტომ ისინი აქტიურად ჩაებმნენ რეფორმაციის პროცესებში, რათა ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვით გარდაექმნათ შეზღუდული პირადი და სოციალური თავისუფლება.

და აი, XVIII საუკუნის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მოიტანა ადამიანის უფ-ლებათა ახალი ლოზუნგი: ,,თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა.“

თავისუფლების სიომ მიუხედავდ სარწმუნოებრივი, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის კუთვნილებისა ჩვენს ქვეყანაშიც მოაღწია და ქართველმა ქალებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს თავისი სამშობლოს, როგორც ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილისა და უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის დღემდე მოტანაში.

ისტორიულად ჩვენს ქვეყანას მოიხსენიებენ, როგორც სიბრძნისა და ხელოვნების ნიმუშს. ,,თუმცა ჩვენი მამული დიდ გაჭირვებაში და აღრეულობაში ყოფილაო. და, იმისს შვილებს არა ჰქონიათო არც ლიცეები, არც უნივერსიტეტები და არც ენების ცოდნაო.,,საქართველოს ხალხნი არიან ზნეობით სრულნი და კაცით მხოლოდ ერთი ან-ბანი... ეს ანბანი არის საღრმთო წერილიო“, - წერდა კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.

აქ, ავტორი გვარკვევდა იმაში, თუ რა სარგებლობა გამოგვაქვს ,,საღრმთო წერილის“ცოდნით. ეს სარგებლობა არის - მითვისება ჭეშმარიტებისა, დაწესება რჯულისა, მნიშვნელობა ქრისტიანობისა, დამარხვა მცნებისა, სიყვარული მოყვასისა და პატიოსნება. ,,ამ ან-ბანის ცოდნას უმეტესად ქალნი ეტანებოდნენო“, - ასკვნის იგი.

სხვა რაკურსით წარმოგვიდგენს ქართველ ქალებს თავის კვლევაში დიმიტრი ბაქრაძე: ,,აზიასა და ევროპას მცხოვრებთაგან საქართველო ძველათვეა ცნობილი

ქალთა და კაცთ ჩვენებით. რა არის ამის მიზეზი? - ჰავა და გეოგრაფიული მდებარეობა ადგილისა, რომელნიც ბევრით განასხვავებენ საქართველოს სხვა ქვეყნებისაგან, და რომელნიც იმოქმედებენ ადამიანის აგებულებაზედ და ხასიათზედ, ხალხის წესდებულებაზედ და თვით ისტორიულს მოძრაობაზედაც! ეს აზრი ახლა საზოგადოდ არის მიღებული და ჭეშმარიტია თუ არა, მაშ, ჩვენ ამაზედ ნურასღა ვიტყვით. ცხადია მხოლოდ, რომ ქართველი ქალები ყოფილან შესანიშნავნი სიტურფით. ფრანცუზები არიან ბუნებით კარგად დამაფასებელნი სილამაზისა და ერთი იმათგანი შარდენი, რომელმაც საქართველო აღწერა მე-17 საუკუნეში, დიდის აღტაცებით, მოიხსენებს ამ მხრით ჩვენს ქვეყანას.

,,საქართველოს სისხლი არის უკეთესი, - ამბობს შარდენი - უკეთესი მთელს აღმოსავლეთზედ და - შემიძლია ვსთქვა, უკეთესი მთელს ქვეყანაზედაც.

მე არ შემინიშნავს აქ უშვერი სახე არცერთ სქესში, აქაური სახეები აღბეჭდილია ანგელოზებრივის გამოხატულებით. ბუნებას მოუფენია უმეტესს ნაწილს ქალებზედ ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება... დახელოვნებული მხატვრობაც ვერ წარმოადგენს უუმშვენიერესს სახესა და მოყვანილობასა. ქართველნი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირვლად აგებულნი და წელში გასაცვიფრებელად წვლილნი; არიან მახვილის გონებისა, ზრდილნი და თავაზიანნი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი“ (ბაქრაძე 1891:4-5).

ვის არ სმენია ქართველი ქალის მშვენიერება. გრიგოლ ორბელიანი ამბობდა: ,,ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის თუ რა არის კრასავიცა“.

ქართველი ქალის სიტურფე არა ერთხელ გამხდარა უცხოელ დამპყრობელთა ტრფობის საგანი. ბიზანტიის მფლობელნი და დიდებულნი ხშირად ცდილობდნენ ქართველი ქალების შეუღლებას: ,,XI საუკუნეში კოსტანტინეპოლის იმპერატორი მიხეილ - დუკა დაქორწინებული იყო ბაგრატ მეოთხის ასულზედ, რომელსაც ერქვა მართა, და მართას ბიძაშვილი ირინე ჰყავდა იმპერატორის ძმას, ისაკ-კომნენს; ბაგრატის დისწული ყავდა სელჯუკის სულთანს ალფ-ასლანს. XII საუკუნეში დავით მეორეს ყავდა ორი ქალი - კატა და თამარ. კატა იცოლა ალექსი კომნენმა, იმპერატორის ნიკიფორე ბარიანისა და განთქმულის მწერალის ანნა კომნენის შვილმა. თამარი შეუღლდა შირმანის მთავართან, რომელსაც ერქვა ფადლონ და რომელიც თამარისაგანვე იყო გაქრისტიანებული. XIV საუკუნის ტრაპიზონის იმპერატორს ალექსი მეორეს ჰყავდა ცოლად ქალი მესხეთის ათაბეგის ბექასი...

მე-17 საუკუნეში ბორის გოდუნოვი თხოულობდა გიორგი მეცხრის ქალს ელენეს თავისს შვილისათვის. არაბეთის ხალიფების მოადგილენი ანუ ემერნი და სპარსეთის მფლობელნი აგრეთვე ეტანებოდნენ ქართველ ქალებს.

ვისაც ჩვენი ისტორია ამოუკითხავს, ის მოიგონებს ჯალალ-ედინს, აზატხანს, ქაიხოსრო მეორეს და შაჰ-აბას, რომელნიც ქართველი ქალებისაგან იმათთან შეუღლებაზედ უარის თქმისათვის საქართველოზედ გალაშქრდებოდენ და ააოხრებდენ; ის მოიგონებს აგრეთვე ომარ-ხანს, ავარიის მთავარს, რომელმაც სოლომონ პირველის დროს ვახანის ციხე დაარღვია და რა დასტყუა ორი დები აბაშიძედ გვარისა, ერთი შეირთო თვითონ და მეორე მისცა თავის ბიძას იბრახიმს შუშის ხანს.

ეგვიპტე, კოსტანტინეპოლი, ისპახანი და სხვა ადგილები ბაზრებად იყვნენ გადაქცეულნი, სადაც ისყიდებოდა ქართველი ქალები“ (ბაქრაძე 1891:6-7).

გამოდის, რომ თავისი სილამაზის გამო,არა ერთ ქართველ ქალს ერგო ბედკრული ხვედრი.

სულთანებისა და შაჰის კარებზე სამშობლოს სიყვარულის გამო ქართველი ქალი ცდილობდა თავისი დედაკაცური ცდითა და მოხერხებულობით სამშობლოსათვის აერიდებია უბედურება.

საქართველოს ისტორიული მტრები ქართველი ერის მოუდრეკელობის და გაუტეხელობის მიზეზს უმთავრესად ქართველ ქალში ხედავდნენ. ქალი იყო ოჯახის ბურჯი, სწორედ იგი აყალიბებდა ,,ქართველობას", სძერწავდა უკვდავ სულს, უცნაურის ძალით შთაბერავდა ხოლმე ამ სულს თავის შობილს, რომლის აღმოფხვრა არავითარ ძალას აღარ შეძლო. ასე მაგრობდა საქართველოს ეროვნულ ,,მეობის" ციხე-დარბაზი, რომელსაც დედაბოძად შეყენებული ჰყავდა ქართველი ქალი.

,,მტერი ,,მოწადინებით უტევდა ქართულ ოჯახს და შესაძლებლობის პოვნისას-დედაბუდიანად უწყალოდ ანადგურებდა. ამით მას სურდა მოესპო ის კერა, რომლის ირგვლივ ღვიოდა სწორედ მტრისათვის ყველაზე საშიში ცეცხლი ქართული გამძლეობისა. ქართველი ქალი მამაკაცის გვერდით ბრძოლითვე იცავდა თავს, - იარღით, ხერხით, ქალური დიპლომატიით, მოთმინებით, კბილებით და ბრჩხილებით, იცავდა იგი თავის თავსაც. თავის ბუდესაც და თავის სინდისსაც.

ქართველი ქალის სიმამაცეს, სულიერ გაუტეხლობას და ერთგულებას უნდა ვუმადლოდეთ, თუ დღეს ქართველს ისევ შერჩა ლამაზი გამომეტყველება" (კობახიძე 1952:23-24).

სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, საქართველოს თავზე გადავლილმა მრისხანების ჟამმა ყველაზე მძიმედ გადაიარა ქართველ ქალზე. ცნობილია, რომ საქართველოში მონღოლების ბატონობის ხანა 100 წელიწადს გაგრძელდა, რომელმაც დასცა საქართველოს ძლიერება და შეამცირა მოსახლეობის რიცხვი.

მომთაბარე და ველური მონღოლები თავისი წესისამებრ დაუნდობლად ხდიდნენ ნამუსს დაპყრობილი ქვეყნის ქალებს. მონღოლებმა სისხლის შერევით ბევრ ხალხებსა და რასებს შეუცვალეს სახე და სულიერი თვისებები. მაგალითად, დღევანდელი რუსი უკვე აღარა ჰგავს მონღოლების მოსვლამდე არსებულ ძველ რუსს, რომელსაც მანამდე სლავური, გერმანულთან მსგავსი სახე და აგებულება მოეპოვებოდა.

,,თუ ქართველ ქალს მოძალადე მონღოლის ნაყოფი მუცლად ჰქონდა, იგი ან თავს მოიკლავდა, რომ ,,თესლი ბოროტი" არ ეტარებინა ქართული საშოთი ან დაელოდებოდა მშობიარობას და ნაყოფს მაშინვე მოაშთობდა, რათა ამ გზით აღარ დარჩენილიყო ,,უცხო თესლი" ჩვენს მიწაზედ" (კობახიძე 1952:24).

ქართველი ქალის სილამაზეს თაყვანს სცემდნენ და ადიდებდნენ: ფრანგი ტურნეფორი, რაინდი გამბა, ჰენრი ნორმანი, სერ რობერტ კერპორტერი,გერმანელი კარლ კოხი, მორის ვაგნერი, ჰერმან აბიხი, ბარონ აუგუსტ ფონ ჰაქსტ ჰაუზენი, ფრანგი მწერალი დიუ ბიუა-დე მონპერე და სხვ.

მთელს ქვეყნიერებაზედ ,,მგონი ისეთის სიდიადით და აღტაცებით სილამაზე-შვენიერებას ვერვინ უმღერდა, ისე შეფრფვინვით ვერავინ იცავდა და უვლიდა, როგორც ქართველი! ქართველ ერს კულტად აქვს გადაქცეული ქალის თაყვანისცემა. ნინო, თამარი, ქეთევანი და სხვანი ბანოვანნი, ნათელ-წმიდა ხატივით სულში აქვს ჩასვენებული ყოველ ქართველს. რომელ უცხოელს შეუძლია აღწეროს ქართველი ქალის სიტურფე და მშვენიერება ისეთი დიდებულის ხელოვნებით, როგორც მას აღწერს თვით ქართველი? მსოფლიო პოეზიის პარნასზედაც ვერ იპოვით ,,ვეფხისტყაოსნის" შესადარ ქმნილებას! იგი სწორედ მშვენიერების გალობაა მხოლოდ" (კობახიძე 1952:11).

ბუნებრივია ისმის კითხვა - თუ რა როლს თამაშობდნენ საქართველოს ისტორიაში და საერო საქმეების მოგვარებაში ქართველი ქალები?

უპირველესად, ივერია წილათ ხვდომაა ,,ღვთისმშობლისა და მისი მადლია მოჰფენილი ქართველ ერზე და უმეტესად ქართველ ქალებზე. ჭეშმარიტი სარწ-მუნოების დამყარებამდე ქალთა როლი საზოგადოების სარბიელზე მკრთალად ჩანდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ანდრია მოციქული აფხაზეთსა და მესხეთის მხარეს მოვიდა, იგი პირველად დედაკაცისაგან იყო მიღებული. დედაკაცმავე მიიღო პირველად

ქრისტიანობა და მისი ძალისხმევით საფუძველი დაედო საქართველოში ამ რწმენას. მერე მოვიდა ნინო და მისი შემწეობით გავრცელდა ქრისტეს რჯული.

ნინოს პირველი შემწენი იყვნენ დედაკაცები ებრაელი ქალი სიდონია, მეფე მირიანის მეუღლე ნანა და უჯარმის დედოფალი სალომე.

მართლმადიდებლობის შემოტანას მიაწერენ ისტორიაში კახეთის მხარეში დედოფალ დინარას. ქალთა შემწეობით აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში თუ საქართველოში შენდებოდა ტაძრები და მონასტრები.

ოქროს ხანადაა მიჩნეული საქართველოში თამარ მეფის მოღვაწეობა, მისი მცდელობა სწავლისა და კეთილზნეობის გავრცელებაში თავის ხალხში.

რამდენჯერმე მომხდარა, რომ ქართველ დედაკაცებს, უმხნევებიათ კაცები გაცეცხ-ლებულს ომებში. ხმალი ლეჩაქში გახვეული, აი, რა ღონისძიებას თურმე ხმარობდნენ ქმრის გასამხნევებლად ანუ სირცხვილის მისაყენებლად. რამდენჯერმე მომხდარა, რომ თვით ქალებსაც უწინამძღვრიათ ჯარებისათვის და გაუმარჯვნიათ.

აშკარაა, ქალის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში. ეს არაა მარტო სილუეტები და არც კონტურები, რომელიც სახელმწიფოში ქართველი ქალის სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენს.

სხვადასხვა დროსა და ეპოქაში საქართველომ იწვნია: ,,კიმერელთა, სკვითთა, თრაკიელთა, რომაელთა, ბერძენთა, სპარსთა, არაბთა, თურქთა, მონღოლთა, თურქმანთა და არა ერთი სხვა დამპყრობის მძლავრობის სუსხი. ერთიანი საქართველოს სხეულს ასევე დაუნდობლად ფლეთდა გარეშე მტერთა მიერ დაგებული ხვანჯები.

ყველა ამ დიდ ბრძოლებში მამაკაცთა გვერდით იდგა ქართველი ქალი და მათთან ერთად აწარმოებდა გმირულ ბრძოლებს თავისუფლების შესანარჩუნებლად.

არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. საქართველოს აყვავების ხანაში, მისი პოლიტიკური და კულტურული ზენიტი ქალის მეფობას ხვდა ბრძენი თამარ მეფის სახით.

ქართველი ქალი გახლდათ ოჯახის ბურჯი და სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელი. მათზე იყო უმთავრესად შვილების აღზრდა, წერა-კითხვის სწავლება, ქართულ ზნეთა და რწმენათა ჩანერგვა. სილამაზით რჩეული ქართველი ქალები მწიგნობრებიც იყვნენ. წიგნი, ხელნაწერი უმეტეს შემთხვევაში თვით ამ ქალთა ნახელავი, შედიოდა იმ განძეულობაში, რომელსაც მზითევში ატანდნენ ხოლმე.

ამ ლამაზ და მწიგნობარ ქალებს წინათ მუდამ შიში ჰქონდათ, მტერი არ დაგვეცესო და ამიტომაც საოჯახო საქმისა და მწიგნობრობის გარდა ცხენოსნობაც იცოდნენ.

ასევე, იმდროინდელ თბილისელ ქალთა სოციალურ-ყოფითი ცხოვრების ამსახველი სურათები შემდეგი გახლდათ: ,,ქალებისათვის ერთი თავშესაქცევი აბანო იყო. გოგირდის ბუნებრივად ცხელი წყალი სამკურნალოც იყო, სასარგებლოც და სასიამოვნოც.

ქალთა საბანელ დღედ სამშაბათი ითვლებოდა. ქალის ცხოვრებაში გოგირდის აბანოები განსაკუთრებული ალბათ იმიტომ იყო, რომ სხვა საზოგადოებრივ გასართობს მოკლებული, ოჯახში გამომწყვდეული ქალები აქ მამაკაცთა გარეშე განსაკუთრებით თავისუფლებას გრძნობდნენ.

ერთმანეთს უჩვენებდნენ ახალ ტანისამოსსა და სამკაულებს, იგებდნენ ახალ ამბებს. აბანოებში საუბრობდნენ, კამათობდნენ ქალები. აქვე ხდებოდა მომავალ დედამთილებისა და მულების მიერ სარძლოების ჩუმად გასინჯვა.

საღამოს, როდესაც ცერემონიალი დამთავრდებოდა, განბანილი, გალამაზებული ქალები კვლავ ჯგუფებად იშლებოდნენ თავთავიანთ უბნებისაკენ.

ეს სურათი შთამბეჭდავად შემორჩა პოეტ მიხეილ ლერმონტოვის ლექსში ,,სვიდანიე". ამ ქალთა შორის იყვნენ ახალგაზრდები, მოხუცები, ლამაზები, ოხუნჯები,

მოლექსეები, მომღერლები, ხელსაქმის განთქმული ოსტატები. ქართველ ქალთა ქარგულობა ხომ ძველთაგანვე იყო ცნობილი.

ზოგისათვის ხელსაქმე არსებობის წყარო იყო, ზოგისთვის, განსაკუთრებით დიდგვაროვანთათვის გასართობი, თავის გამოჩენის და სახელის მოხვეჭის ერთი გზა.

გასული საუკუნის ქართველ ქალთა შორის ხელსაქმის უძველეს ოსტატთა ტრადიცია მიიღო მართა ავალიშვილმა-ჭავჭავაძისამ, რომელმაც გაზარდა ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები და ხელსაქმეც შეასწავლა.

თბილისში ხელსაქმით გამოირჩეოდნენ ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე ეკატერინე ბარათაშვილი და მათი ქალიშვილი მანანა ორბელიანი. მათ ნახელავს თბილისში ყველა ნატრობდა საჩუქრად და თავის გამოსაჩენად.

რამდენ ვაჟკაცს უნატრია მანანას მოქსოვილი ქისა, რამდენს დაუტრაბახია, რომ ეს ოცნება მისთვის განხორციელდა.

ქართველ ქალთა ეროვნული თავდადებულობის მიუხედავად, იმ დროინდელ საქართველოში მანდილოსნებს საჯარო აქტებზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ. ამ აკრძალვის მაგალითად დიმიტრი ყიფიანი ასეთ ფაქტს ასახელებს: ,,ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ ნინოს და ივანე ორბელიანის ასულ მანანას სასწავლო აქტის შინაურულად წარმოდგენის სურვილი აღეძრათ. წარმოდგენას ესწრებოდნენ შინაურები და ნათესავები, რომლებიც დიდად ნასიამოვნები დარჩენილან. მაგრამ სასწავლებლის მმართველობას ამგვარი წარმოდგენა საშინელ თავხედობად ჩაუთვლია. სანახაობაში მონაწილე ექვსივე მოსწავლე თავთავის კლასში დანარჩენ მოსწავლეთა თანდასწრებით, გაწკეპვლით უნდა დაესაჯათ. ამ უსამართლობასა და სირცხვილს ახალგაზრდები ნინო ჭავჭავაძემ და მანანა ორბელიანმა გადაარჩინეს“ (ურუშაძე1973:130).

XIX საუკუნის მიჯნაზე კი საქართველოს სახელმწიფოს მწუხრი მთელი სიმწვავით იგრძნო და განიცადა ქართველმა ქალმა. იგი იმთავითვე მიხვდა, რომ მრავალ საუკუნეთა მანძილზე სათაყვანებელი ემბლემა: ივერთა ჯვარი ვაზისა, რუსეთის იმპერიისათვის მარტო გარეგნული საფარი იყო, რათა ეს უძველესი სახელმწიფო ყველა მისი ჯვრებით და ხატებით დიდი რუსეთის პროვინციათ გადაექციათ.

ქართველ ერს იმედი გაუცრუვდა, რომ მოსული ძალა მას მოსვენებასა და მშვიდობიანობას მისცემდა, ხმალს ქარქაშში ჩააგდებინებდა და ამ ძლიერი სტუმრის შიშით მაჰმადიანი მეზობლებიც საქართველოს მოერიდებოდენ.

ყველაზე პირველად ქართველმა ქალმა იგრძნო ,,მფარველის ნიღბით მოსული იმპერიალისტური რუსეთის ვერაგული ზრახვები. და, როგორც ყოველთვის ახლაც ქართველი ქალები გამოვიდნენ, კაცებზე უფრო უშიშარნი და დროშის დამცველნი.

ტრაგიკული იყო ისიც, რომ სტუმრად და მფარველად მოვლინებული დიდი რუსეთი თვით გადაიქცა უდიდეს საფრთხედ. ქართველისათვის სწორედ ეხლა შეიქმნა საჭირო სიფხიზლე და მეტი ენერგიით ხმლის ტრიალი. ამიტომ იყო, რომ დარღვეული სახელმწიფოს აღდგენის ცდისადმი ჩვენი ერის მოწინავე წრეებთან ერთად ქართველი ქალი გულგრილი ვერ დარჩებოდა, რადგან მოსული ძალა მას მოსვენებასა და მშვიდობიანობას ვერ მისცემდა, ქარქაშში არც ხმალს ჩააგდებინებდა და არც,,ძლიერი სტუმრის“ შიშით მაჰმადიანი მეზობლებიც საქართველოს მოერიდებოდნენ.

ტრადიცია, ქართველი ქალისა ისეთი იყო, რომ მას არ შეეძლო ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში განზე გამდგარიყო.

დიდ ეროვნულ აქტს, რომელიც 1832 წელს მზადდებოდა, იგი საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში შეთქმულების სახით შევიდა და მასში მამაკაცების გვერდით აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ქალიც.

მთელ იმ ბრძოლათა გასწვრივ, ჩვენი ერი რომ აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, სწორედ, ქალი, თამარ ბატონიშვილი

1832 წლის შეთქმულებას ჩაუდგა სათავეში. ქალები იჩენდნენ დიდ ენერგიას, შეუდრეკელობასა და ხასიათის სიმაგრეს. ქართველი ქალის მამულიშვილური მოვალეობისა და მაღალი შეგნების მატარებელია ბარათაშვილის მიერ დახატული სათნო სოფიოს სახე პოემაში ,,ბედი ქართლისა“. მგოსანმა თავისუფლებისათვის მებრძოლ დიაცს ათქმევინა: ,,უცხოობაში რაა სიამე“ და ასევე, ,,ასრეთ რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება...“

საერთოდ, ქართული საზოგადოების გამაერთიანებელი ყოველთვის ქალი იყო. არავის არ შეეძლო ერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ჯგუფში, როგორც ქართველ წარჩინებულ ქალს, რომლის ირგვლივ იკრიბებოდნენ საუკეთესო მამულისშვილები. ეს როლი ქართველმა ქალმა შეინარჩუნა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდის.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებიდან მანანა ორბელიანის სალონში საუკეთესო საზოგადოება იყრიდა თავს. ეს იყო ქართული ზრდილობის, შნოისა და გემოვნების სანიმუშო ადგილ-სამყოფელი.

1832 წლის შეთქმულთა აჯანყებაც მანანა ორბელიანის ბინაზედ უნდა დაწყებულიყო, რადგან იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და იქვე იკერებოდა აჯანყების ბაირაღებიც.

იმ დროის ქართველი საზოგადოებაც, როგორც ევროპაში ,,თავს ოჯახურ სალონებში იყრიდა. ოჯახში ჩაკეტილი ქართველი ქალები სალონებში ეცნობოდნენ ახალ ნაწარმოებებს, მათ ალბომებში უწერდნენ მეგობრები სალონში წაკითხულ ლექსებს, რომელიც შემდგომ სიმღერის სახით იკვლევდა გზას ხალხისაკენ.

ასევე ეწყობოდა ლიტერატურული საღამოებიც. 1832 წელს მანანა ორბელიანის სალონში რუსულიდან გადმოთარგმნილი ადამ მიცკევიჩის ,,ფარისი“ წაუკითხავს სოლომონ რაზმაძეს, ხოლო 1839 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ,,ბედი ქართლისა“ წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში. დიდებული სალონი ჰქონია გურიის უკანასკნელ მთავარს მამია გურიელს.

თბილისში ქართველ ქალთა შორის ბრწყინავდა მანანა ორბელიანის სალონი, რომელსაც იონა მეუნარგიამ ჩვენებური მადამ რეკამიე უწოდა. გრიგოლ ორბელიანიკი ,,ჩვენ სიქადულს“ უწოდებდა.

ამ ქალის სახე სამარადჟამოდ ჩაიბეჭდა ლევ ტოლსტოის ,,ჰაჯიმურატის“ ფურცლებზე.

საერთოდ, XIX საუკუნის ლიტერატურული სალონები, რომელთა სულის ჩამდგმელნი ქართველი ქალები იყვნენ გარკვეულ როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების საქმეში.

მანანა ორბელიანი, მაიკო ორბელიანი, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, ეკატერინე ჭავჭავაძე დადიანისა, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, მართა სოლოღაშვილი, ელენე ერისთავი, მარიამ ფალავანდიშვილი, ნინო დადეშქელიანი და სხვები იყვნენ ევროპულად განათლებული ქალები.

სწორედ, ამ სალონებში ჩაისახა პირველად ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის, ქალისა და მამაკაცის გენდერული თანასწორობაც.

ასე რომ, თავისუფლების სამი ფორმაციიდან: ეროვნული, პიროვნული და სოციალური - თავისუფლებიდან, ქართველ ქალს საუკუნეების განმავლობაში თავისი სამშობლოს ბედუკუღმართობის გამო, ყოველთვის მაღლა ეჭირა ეროვნული თავისუფლების დროშა, რომელსაც სწირავდა ქმრების, ძმების, შვილებისა და პირად სიცოცხლეს.

რუსეთის იმპერიალისტურმა სისტემამ თავის კვალი ქართველ ქალებსაც დაამჩნია.

,,საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ რუსულ ინსტიტუტებში აღზრდილ ქალებს, უმეტეს შემთხვევაში, ქართული ზნე და უნარი აღარ ეტყობოდათ.

მოწინავე საზოგადოების ქალებმა შეითვისეს გარეგანი, უფრო უარყოფითი, მხარეები ევროპული განათლებისა და გადაგვარებისაკენ მიიხარენ.

ჩვენ დროს აღარ იყო წარჩინებული, ქართულ ტრადიციებზედ აღზრდილი ბანოვანნი, რომელსაც შესძლებოდა მოწინავე საზოგადოების და ინტელიგენციის გაერთიანება.

გაისმა უკმაყოფილება ქართველ ახალ თაობის ქალისადმი, მათი ფუქსავატობისა, ნაციონალურ მიმართულების ღალატისა და სხვა. რასაკვირველია, ეს მიმართულება საერთო იყო როგორც ვაჟების, ისე ქალებისათვისაც, მაგრამ ქალებს ეს უფრო დაეტყო, ვიდრე ვაჟებს," - აღნიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი (პაპავა1990:4-5).

გამოდის, რომ რუსული იმპერიის ბოროტების მანქანამ ქართველ ქალთა გარკვეულ ნაწილზე დიდი ზეგავლენა მოახდინა, მაგრამ ამ დროშიც იყვნენ საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე ქალები, რომლებმაც თავი იჩინეს მწერლობაში, ქველმოქმედებაში, ხელოვნებაში, განსაკუთრებით სასცენო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ქალთა ამ პლეადამ მამაკაცებთან ერთად საქართველოში შემოიტანა ევროპული ცივილიზაცია, ისინიც მამაკაცებთან ერთად სწავლობდნენ ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სწორედ, ევროპაში განათლებამიღებული ქალების ინიციატივით შეიქმნა ლიტერატურული სალონები და ქალთა ორგანიზაციები. ქალები ქმნიდნენ ასევე პოლიტიკურ ამინდსაც, ამიტომ იყო, რომ ისინი იმთავითვე მოექცნენ დიდ 60-იანელთა საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრში.

ასე რომ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ქვეყნის ბედ-იღბალზე დაფიქრებულმა ადამიანებმა კარგად შეიგნეს, რომ მეფის რუსეთისაგან საქართველოს გამოხსნა შეუძლებელი იყო ბრძოლის გზით. მაშ, რის განხორციელება იყო შესაძლებელი? მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობის. არც ეს იყო ადვილი. არ იყო ადვილი ,,ველიკო რუსთა გაბატონებული შავრაზმული და ბურჟუაზიული ნაციონალისტური კულტურის" შემოტევის გაძლება, მასთან გამკლავება და თვითმყოფადი სახის შენარჩუნება.

ეს სამამულიშვილო საქმე პირველ რიგში დამოკიდებული იყო თვით ქართველთა შეგნებაზე. ქალი იქნებოდა ეს თუ მამაკაცი. ამისათვის უპირველესად, საჭირო იყო თანმიმდევრული და ხანგრძლივი ბრძოლის მრავალ უბანზე გაშლა.

ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს საკითხად იქცა, მაშინ, როდესაც ცხოვრების მაჯა მოდუნებული იყო. როდესაც უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე, ჩინ-მედლებზე, გართობაზე, დროსტარებაზე ფიქრობდა.

ამას უცხო მოდით გატაცებაც ზედ დაერთო და როგორც ივანე კერესელიძე ამბობდა: ,,ისეთი ოჯახებიც ასობით იყო, სადაც ქართული ყოვლისფერი იგმობოდა, იდევნებოდა და თვით მასხარადაც იყო გამხდარი."

ამ დროს ამიტომაც იყო ძნელი ქართული ჟურნალ-გაზეთის, ქართული თეატრის, ქართული სკოლების, ბიბლიოთეკების, ქართული ენისა და ეროვნული თვითმყოფადობის ყველა სხვა საყრდენის გამაგრება.

ყოველივე ეს ძნელი იყო მხოლოდ და არა შეუძლებელი. ამიტომაც, ერის მესაჭე ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა ქართველ ერს, რომ იარაღი გვერდზე გადაედოთ და მის ნაცვლად ყველაზე ბასრი ბრძოლის იარაღი კალამი აეღოთ ხელში: ,,ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა. მეორეს მხრით,

იგი არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა. როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი“ (ჭავჭავაძე 1953:256-257).

მოწინავე საზოგადოებამ მთელი გულისყური დიდი ილიას აზრისაკენ მიმართა. ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი მასში თავის უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობას ხედავდა.

დედათა თაოსნობით საქართველოში გამრავლდა ქალთა სკოლები, სახელოსნოები, ქალთა პროფესიული სკოლები და საქალაქო გიმნაზიები. გამრავლდა ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა.

დიდი საქველმოქმედო საქმისათვის თავისი ქვეყნის მოყვარული ქალები ყელზე თუნუქის ყულაბა ჩამოკიდებულნი კაპიკ-კაპიკ აგროვებდნენ თანხებს ქართული ეროვნული საქმისათვის. მათი თაოსნობით რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გაიგზავნა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. რამდენი რამ კარგი და სასარგებლო გააკეთეს ქართველმა ქალებმა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, იყო შემთხვევები, როცა ქართველი მოღვაწე ქალები ნამზითვევ კარადასაც კი ჰყიდნენ საქველმოქმედო საქმისათვის.

ყოველივე ამას ქართველი ქალები აკეთებდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მძიმე პირობებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ XIX საუკუნის ქალები თავდადებით იბრძოდნენ ეროვნული თავისუფლებისა და თავისი ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის. ისინი, ყველანაირი ძალით, ცდილობდნენ გამოსდგომოდნენ თავის დაჩაგრულ ქვეყანას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადო მოღვაწე ქალები ხშირად მათი საქმიანობის გამო ქილიკისა და ღია განკითხვის საგანიც ხდებოდა, მიუხედავად ამისა, ისინი ქმნიდნენ შესანიშნავ პროზასა და პოეზიას, ფერწერულ ტილოებს, გამოდიოდნენ თეატრალურ სცენაზე, იყვნენ მეცნიერები, განმანათლებლები. ქართველი ქალები გახლდნენ პროგრესული პოლიტიკური იდეებისა და ფილოსოფიური მიმდინარეობების პოპულარიზატორები.

სამართლიანად აღნიშნავდა გრიგოლ ორბელიანი: ,,ჩვენი ქალები დიდათ უფრთხილდებოდნენ ჩვენს ენას და ინახავდნენ შეურყევლად მის კანონებს და მისსა სიწმინდეს, ვითარცა საუნჯეს.“

რაც უფრო რთულდებოდა მე-19 საუკუნეში პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმე, მით უფრო ღვივდებოდა ქართველი ქალის გულში პროტესტი ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ.

ამრიგად, ქართველი ქალების იმდროინდელ საზოგადოებრივ აზროვნების საფუძველი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება და გენდერული თანასწორობის ღირებულებების წარმოჩენა ქართულ პერიოდიკაში. მათ შორის იმერეთში გამომავალ ჟურნალ–გაზეთებში, რომლებმაც მოგვცეს შესაძლებლობა გავცნობოდით ქალთა დისკურსებსა და შეხედულებებს საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებზე.

ქალთა პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის 80-90-იანი წლებში

მთელი XIX საუკუნე თავისუფლების წყურვილმა, თავისუფლების მოპოვებისაკენ სწრაფვამ მოიცვა. ამ კეთილისმყოფელ გარდაქმნათა სიომ ჯერ კიდევ საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიულ რევოლუციათა პერიოდში დაბერა, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: ,,თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა".

თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთად დაირაზმნენ ამ ქვეყნის მამაკაცები და ქალები. სწორედ, 1789 წლის რევოლუციის დროს, დაიბადა პირველად საფრანგეთში ქალის უფლებების იდეა ,,ფემინიზმი" (ფრანგულად Feminisme - ლათინურად Femuna - ქალს ნიშნავს). რევოლუციამ ერთიანად გააცხარა პარიზელ ქალთა პოლიტიკური აქტივობა. ისინი მედგრად ამოუდგნენ მხარში მეუღლეებს და თავიანთი სოციალური კლასის შესაბამისი პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის დაიწყეს ბრძოლა. ბაზარში მომუშავე ქალები ითხოვდნენ: თავიანთი უფლებების დაცვას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, გადასახადების შემცირებას.

ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ფრანგული არისტოკრატიული კლასის წარმომადგენელი ქალებიც მოითხოვდნენ სამოქალაქო უფლებების გაზრდას: ხმის უფლებას, წარმომადგენლობას ხელისუფლებაში, თანასწორობას ქორწინებისა და გაყრის პროცესის წამოწყებისას.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ქალთა მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ პარიზელი სცენარისტი ქალი ოლიმპია დე გუჟი, რომელმაც დაწერა ,,ქალთა უფლებების დეკლარაცია".

ოლიმპია დე გუჟის მრწამსის საფუძველს წარმოადგენდა რწმენა იმისა, რომ ქალები თავიანთი ინტელექტით არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს და მიუღებელია მათი უფლებების შეზღუდვა სქესის საფუძველზე".

,,თამამი აზრებისათვის" 1793 წელს მაქსიმილიან რობერსპიერის ბრძანებით დე გუჟს გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს.

ქალთა უფლებებისა და თანასწორობის მოპოვებისათვის საფრანგეთში დაწყებულ მოძრაობას გამოძახილი დიდ ბრიტანეთშიც მოჰყვა. საფრანგეთისაგან განსხვავებით აქ ქალთა უფლებისათვის ბრძოლაში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხმა აიმაღლა მამაკაცმაც - ჯონ სტიუარტ მილმა, ინგლისელმა ეკონომისტმა, ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ. მან თემთა პალატას წარუდგინა ქალების ხელმოწერილი პეტიცია, სადაც ითხოვდა გაუთხოვარი ქალებისათვის მიეცათ აქტიური ხმის უფლება.

მილს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ,,თემთა პალატის წარმომადგენლებს გაუკვირდათ, როგორ ითხოვა ამგვარმა საპატიო ჯენტლმენმა ხმის უფლება იმათთვის, ვინც წესით ოჯახის თავს, მამაკაცს უნდა ემორჩილებოდეს, ვინაიდან ის მასზე დაბლა მდგომი განვითარებისა და შესაძლებლობების ადამიანს წარმოადგენს".

მალე ჯონ სტიუარტ მილმა გამოაქვეყნა შრომა ,,ქალთა დაქვემდებარება".

XIX საუკუნის ქალთა მოძრაობისათვის ეს ნაშრომი და თავად ჯონ სტიუარტ მილის მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავდა არა მარტო თვით ქალებისათვის, არამედ ზოგადად საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმირების დასაწყებად და ქალთა ემანსიპაციის არგუმენტების გასამყარებლად.

სწორედ, ქალთა თანასწორობისა და თავისუფლების ძლიერმა აზრმა და იდეამ ევროპაში სულ უფრო და უფრო მეტი რეზონანსი ჰპოვა. და, შემდგომ მან ამერიკის კონტინენტზეც გადაინაცვლა. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო

ინტელიგენციამ, რომელიც ახალ კონტინენტზე დაიბადა და გამომხატველი გახდა ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ნაციონალური ცნობიერებისა.

XIX საუკუნეში ამერიკაში ქალებს ბედმა მრავალი სირთულე და დამცირება არგუნა. მათ აღკვეთილი ჰქონდათ როგორც ხმის უფლება, ასევე სკოლებში სწავლა და უმაღლესი განათლების მიღება. ქალები არ დაიშვებოდნენ საზოგადოებრივ შეკრებებზე და აგრეთვე მათ არ შეეძლოთ კერძო საკუთრების ფლობა. ამერიკაში ქალების განათლება მხოლოდ კითხვით, წერით, მუსიკით, ცეკვითა და ქარგვით შემოიფარგლებოდა, რომელსაც ოჯახში ასწავლიდნენ.

ამგვარი უუფლებობის მიუხედავად შეერთებულ შტატებში ქალთა კავშირების საკმაოდ ძლიერი და ვრცელი ქსელი მაინც შეიქმნა. მიწერ-მოწერის, პირადი მეგობრობის, ოფიციალური შეხვედრების, ქალთა გაზეთებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით, ქალები ცდილობდნენ თავიანთი სოციალური სტატუსი, როგორმე შეეცვალათ.

ამერიკის კონტინენტზე 1775-83 წლებში პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ქალებს რევოლუციაში მოპოვებული წარმატებებისას გაუჩნდათ საშუალება ლეგალური ფორმა მიეცათ თავისი იდეალებისათვის. თუმცა, როგორც კი რევოლუციური ქარიშხალი ჩაცხრა, საზოგადოებამ უცებ მიივიწყა გამარჯვებაში ქალების წვლილი. ქალები კვლავ, ძველებურათ, ელემენტარული პოლიტიკური უფლებების გარეშე დარჩნენ.

,,თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ სწრაფვა" მოითხოვდა ახალ ენერგიას, ვნებების, გრძნობების, იდეების მაქსიმალურ კონცენტრირებასა და გამოვლენას, რაც XIX საუკუნის ბოლო პერიოდში ნათლად გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა.

განმანათლებლობის იდეების შემოსვლას დასავლეთიდან თანასწორობის იდეაც თან ახლდა, რომელიც ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრალური ძალა იყო.

თავისუფლების ქროლვამ საქართველოშიც შემოაღწია. თავისუფლებაა, როცა იბრძვი პიროვნული, ეროვნული ან სოციალური ღირსებისა და ღირებულებებისათვის. ქართველ ქალს თავისუფლების ეს სამივე ფორმაცია უნდა მოეპოვებია. მათ, უპირველესად, ჯერ კონსერვატიული რწმენის, კარჩაკეტილობის, ობივატელური შეხედულებების ტყვეობაში მყოფ ქართველი ქალის უუფლებობის წინააღმდეგ გაილაშქრეს, რათა პირადი თავისუფლება მოეპოვებიათ. მათვე აიმაღლეს ხმა ასევე ცარიზმის ჩამორჩენილობისა და ქალთა სოციალურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

,,დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახის, ერისა და საზოგადოებისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა. რამდენათ მთლიანი და თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება. ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი.

ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არაა, არამედ თავისუფალი ადამიანია", - ოლიმპია დე გუჟივით თამამად აცხადებდა პოეტი ქალი დომინიკა ერისთავი (მარჯანიშვილი 2011:138).

ქვეყნის ეროვნული მთლიანობისათვის სიტყვითა და კალმით შეუპოვრად იბრძოდნენ ქართველი ქალები. მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმართული იყო ნაციონალური ჩაგვრის, ექსპლოატაციის, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად და ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ. მათ დაკვირვებულ თვალებს არც ის შინაგანი ჭიდილი, ის ახალი სოციალური ძვრები არ გამოპარვიათ, რაც ახალ საუკუნეს მოჰყვა.

და, აი, უკვე XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოჯახური მყუდროებიდან გამოსულ ქალთა პირველი და გაბედული მოძრაობა დაიწყო. დიდ სამოციანელებიდან ინგლისელი ჯონ სტიუარტ მილის

მსგავსად ქალის უფლებებს პრინციპულად იცავდა და მათი პირველი ნაბიჯები შეუმჩნეველი არ დარჩენია ევრო-ამერიკულად მოაზროვნესა და გაზეთ ,,დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს: ,,ყველასათვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური აზრებითა და ცრუ მორწმუნოებით არა აქვს დახშული, ცხადათ დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორად არის გაჩენილი, იმის დამონება, სხვადასხვა უფლებების წართმევა, სიკეთის მაგივრად ვნებს კაცობრიობას...

ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობებისათვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ კი არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხელსაც ისეთნაირათ შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთო მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას...

მაშ, თუ ეს ასეა, რატომ ყოველგვარი უფლება, ყოველი საქმე მარტო კაცებსა აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები?“ (ფირცხალავა 1903:18).

სწორეთ, ამ რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხს წარმოადგენს სერგეი მესხის მიერ აღწერილი ქალთა მოძრაობები ევროპასა და ამერიკაში.

სერგეი მესხი დასავლური გამოცდილებისა და ქალთა საკითხების აქტუალიზაციის ისტორიული, თანამედროვე სურათის აღწერის შემდეგ ქართველ ქალებს სამი ფუნდამენტალური უფლების: განათლების, შრომისა და არჩევნებში მონაწილეობისაკენ მიუთითებდა, როგორც ბაზისს, რომელზედაც უნდა დაშენდეს ქვეყნის მომავალი.

ილიასა და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამომჟღავნება ცოდნაშია. ცოდნა - განათლებაა, განათლება კი თავისუფლებაა.

,,თერგდალეულთა“ აზრით: ,,გმირი შეცვალა ბრძენმა, მკლავი - ჭკუამ, მახვილი - წიგნმა, ბრძოლის ველი - დარბაზმა, არისტოკრატი - ინტელიგენტმა.

ილია ჭავჭავაძემ საადგილმამულო ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საბიბლიოთეკო ქსელის, პრესისა თუ თეატრის სახით შექმნა დამოუკიდებელი ქვეყნის ჩანასახი, ჩამოაყალიბა ეროვნული პროგრამა, რომელსაც განმანათლებლური ხასიათი ჰქონდა.“

ქართველმა ქალებმაც თავისუფლების მოპოვებისათვის შუალედურ სფეროდ - საზოგადოებრივი არენა და პუბლიცისტიკა გამოძებნეს.

,,ქალი ჯერ-ჯერობით ფრთამოტეხილი ფრინველია და თავისუფალი ფრენის ნებას არავინ დაუთმობს“, - წერდა ეკატერინე გაბაშვილი თავის ,,ნიგილისტიკა“-ში.

თავისუფლების იდეის ფრთაშესასხმელად ქართველმა ქალებმა უპირველესად სწავლა-განათლების მიღება დაისახეს, რადგან თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში იმთავითვე გააცნობიერეს ქალის წიგნიერებისა და განათლების დიდი როლი. სხვას, რომ თავი დავანებოთ, განათლებული დედის როლი ფასდაუდებლი იყო ბავშვების აღზრდაში. გარდა ამისა ქალებს განათლებისა და საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის აკრძალვის გამო, არ ეძლეოდათ თავისი პიროვნებისა და სათქმელის პირდაპირი გზით, სიტყვიერად გადმოცემის საშუალება. და, ამიტომაც ბრძოლა განათლებისათვის იყო ბრძოლა დემოკრატიისათვის. დემოკრატია კი თავისთავად მოითხოვდა განათლების სისტემის ტრანსფორმაციას.

ქართველ ქალთა ამ რეფორმატორული იდეით აღფრთოვანებული სერგეი მესხი მხარს უჭერდა განათლების სფეროში მათ პირველ ნაბიჯებს და ამერიკელი ქალების ქმედებით ამხნევებდა: ,,არც ერთ ქვეყანაში ქალები ისე ენერგიულად და ისე ჭკუით არ მოჰკიდებიან თავიანთ საქმეს, როგორც ამერიკაში. ამიტომაც მათ ბევრი უფლება ძალით წაართვეს კაცებს. ნიუ-იორკის სასოფლო სკოლებში სულ 26000 მასწავლებელია და იმათში 21000 ქალი. მასაჩუსეთსში 4000 მასწავლებელში 2500 ქალია. ასე, რომ მთელი სახალხო განათლება თითქმის მარტო ქალების ხელშია“ (ფირცხალავა 1903:17).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, ქალთა თავისუფლების, თანაბარ და თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლ ამერიკელ ქალებს ილია ჭავჭავაძე. იგი 1871 წელს თავის მეუღლეს ოლღა გურამიშვილს წერდა: ,,ჩემო კუკლუშკი! მე საშინლად მინდა შენი ნახვა, იქნებ ხვალაც ჩამოვიდე... ,, Ужасно скучаю!"სამ წიგნს ,,Дело,,გიგზავნი.მანდ ყურადღებით წაიკითხე „об американских женщинах, მოვალ და ეგზამენიას გიზამ. შენი სამუდამოდ ილია ჭავჭავაძე".

პირველი ქალი, რომელსაც დიდ ილიასთან პოლემიკა მოუხდა გახლდათ ბარბარე ჯორჯაძე. დისკურსის მიზეზი გახლდათ ილია ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა", სადაც დიდმა განმანათლებელმა ძველ თაობას ბრძოლის კიჟინა დასცა. მატერიალისტურად მოაზროვნე ილია ორ უმთავრეს ასპექტში - სოციალურ და ესთეტიკურ პრიზმაში სვამს საკითხებს და მათი გაშუქებით წყვეტს აქტუალურ პრობლემებს. მან, სტატიაში, მოგვცა ლიტერატურულ მიმართულებათა მეცნიერული ანალიზი. დაგვიხატა სენტიმენტალიზმისა და კლასიციზმის ბედი ევროპასა და რუსეთში, დაასაბუთა მათი დრომოჭმულობა ახალი ცხოვრების პირობებში. ილიამ მეცნიერულად დასახა რეალისტური თარგმანის პრინციპები, სადაც მოითხოვდა სათარგმნი მასალის საგანგებო შერჩევასა და ეროვნული მწერლობის მოთხოვნილების გათვალისწინებას. სტატიის დასასრულს ილია ჭავჭავაძე შეუვალად აცხადებს: ,,სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით. რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას..."

მამების პოზიცია ილიას პირველივე წერილის პასუხად გამოხატეს მიხეილ ბარათაშვილმა, ბარბარე ჯორჯაძემ და რევაზ ერისთავმა. ჟურნალ ,,ცისკრის" მეხუთე ნომერში დაბეჭდილი მათი წერილებიდან ყველაზე შეუპოვარი და გამკილავი გახლდათ ბარბარე ჯორჯაძის წერილი ,,თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ". პირველი ჟურნალისტი ქალის ბ. ჯორჯაძის პოზიცია ენობრივ თუ ლიტერატურულ საკითხებზე სქოლასტიკის ფარგლებს არ სცილდებოდა. ავტორი სტატიის დასაწყისშივე საყვედურს გამოთქვამდა ილიას მიერ ,,ცისკრის" მწერლების,,უპატიოდ მოხსენებისათვის და მიუთითებდა ლიტერატურული ეთიკისა და ენის სიწმინდის დაცვაზე".

,,მართალია, ბაირონები, შექსპირები არა ვართ, მაგრამ ჩვენში უსაზღვროა ის დიდი გრძნობა და სიყვარული მამულისადმი, რომელმაც ხელში კალამი აგვაღებინა", - აღნიშნავდა ბარბარე ჯორჯაძე.

საპასუხო სტატიაში ,,პასუხი" ილია პრინციპულად მოითხოვდა იმას, ვისაც ხელოვნების არსი და დანიშნულება არ ესმის, არც უნდა იმჯელოს მასზე. ილიას აზრით მწერალმა ქალმა ხელი უნდა აიღოს არა მარტო პოლემიკაზე, არამედ პოეტობაზეც.

ილიას ,,პასუხს" თავის მხრიდან მოჰყვა მწერალი ქალის ,,პასუხს პასუხი". სტატიაში ვკითხულობთ ,,მე ყიზილბაშობა არცა მყვარებია და არც მიყვარს. მე როგორც მესმის ისე ვლაპარაკობო. ვჭერმეტყველობთ და მაღალის ხმითა ბრძანებთ თუ ,,ცისკარი" უვარგისია კიდევ თქვენგან ყვავებო, ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითაო". საკვირველია, რომ მერცხალი კი დაგვიწყებიათ და არა გითქვამთ მერცხალნო ღორებრ ჭყივილითა. ,,ცისკარი" ვარგისია თუ უვარგისი თქვენთვის სულ ერთია, რომ არა კითხულობთ..." (ჯორჯაძე 1988: 127-136).

აშკარაა, ილია ჭავჭავაძის გაღიზიანება უპირველესად ქალი კრიტიკოსის გამბედაობამ და მკაფიო არგუმენტებმა გამოიწვია. მიუხედავად ილიას კრიტიკისა ბარბარე ჯორჯაძის პასუხი თანხმობაზე ორიენტირებული გახლდათ: ,,დიდო პოეტო! ახლა კი დრო არის შევრიგდეთ. დალოცვილო, კარგათ იცი და დარწმუნებული ხართ, აქ მტრობა არ არის რა, არც ყმაზედ და არც მამულზედ, არამედ მცირედი დავა

სიტყვიერების ღირსების დაცვაზედ და ეს შერიგებაც ამით იქნება“... ასეთმა პასუხმა ცხადია დააცხრო ,,გაბრაზებული“ ილია.

ქალის საზოგადოებრივი როლის დიდი მნიშვნელობა ღრმად სწამდა პოეტ ქალს დომინიკა ერისთავს, რომელსაც ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ქალთა და მამაკაცთა გათანასწორება საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტი გახდებოდა: ,,რამდენად თავისუფალია აზროვნებისა და უფლებების მხრივ ქალი და ფართოდაა ჩაბმული საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენად ძლიერია სახელმწიფოს კულტურის დონე, იქ კი, სადაც ქალი დაჩაგრულია და მონაა საზოგადოებრივ წყობილებისა, იმდენად უსუსურია სახელმწიფო და მისი სტრუქტურა“ (მარჯანიშვილი 2011:139).

საგანმანათლებლო სისტემაში პირველებმა ქალებმა გამოიჩინეს ინიციატივა და მთელს საქართველოში დაარსეს საშინაო სკოლები ქალებისათვის. ცნობილი იყო ანა წერეთლის მიერ დაარსებული საშინაო სკოლა საჩხერეში.

70-იან წლებში ქალებისათვის უკვე არსებობდა სკოლები იმერეთში ქუთაისის გუბერნატორის მეუღლის ს. მირსკაიას მზრუნველობით ,,ქალთა ელემენტარული სკოლა“. 1846 წლიდან იგივე ფუნქცია შეითავსეს ქუთაისის ,,წმინდა ნინოს“ სახელობის ქალთა სასწავლებელმა და ქალთა ერთწლიანმა სასწავლებელმა.

ქალთა განათლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩატარებულ ამ სამუშაოებს დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. თუმცა, გაჩნდა იმედის მომცემი ტენდენცია - სწრაფვა განათლებისაკენ.

პირველი საგანმანათლებლო ტალღის გაგრძელებად იქცა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879-1927), რომლის ფუნქციონირებისა და წარმატების საქმეში სწორედ ქალებმა ითამაშეს უმნიშვნელოვანესი როლი.

სწორედ, საგანმანათლებლო რეფორმების მხრივ ქალთა მოძრაობის შესახებ მოგვითხრობს ქუთაისში დაარსებული პირველი გაზეთი ,,შრომა“, რომელიც 1881-1883 წლებში გამოდიოდა.

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი მხოლოდ ორშაბათობით იბეჭდებოდა. ქუთაისში გამომავალი პირველი ქართული გაზეთი ,,შრომა“ დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობის ორგანოს წარმოადგენდა. იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოზიციისა იყო.

გაზეთის რედაქტორი გახლდათ დიმიტრი დადიანი, გამომცემელი კი დ. ნაზაროვი. გაზეთ ,,შრომის“ ყოველი ნომერი 4 გვერდიანი იყო. სულ გამოვიდა:

1881 წ. N1 (2/IX) –N17 (23/XII-მდე)

1882 წ. N1(6/I) – N49 (15/XII-მდე)

1883 წ. N1 (5/I) – N24 (23/IV-მდე)

გაზეთ ,,შრომის“ ფურცლებზე ქალთა განათლების შესახებ ბევრ საპოლემიკო და სადისკურსიო წერილებს შევხვდებით. მასში ნათლად იკვეთებოდა ის აზრი, რომ ქალები განწირულნი იყვნენ არასრულფასოვანი განათლების მიღებისათვის. ასეთი განათლება კი არ აძლევდა ქალებს ხელს, რათა გამხდარიყვნენ საქართველოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ამასთან, ქალთა სამსახური უკეთ განათლებული მამაკაცების ქვეშევრდომობით იზღუდებოდა.

გაზეთ ,,შრომის“ 1881 წლის ჩვიდმეტივე ნომერი მოიცავს ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლებში არსებულ პრობლემებსა და მასწავლებელთა ღვაწლს. მასში აშკარად არ ჩანს ქალების სწავლებისადმი აქტიურობა, არ ჩანს მოთხოვნა იმის, რომ ყველა ,,შკოლა საქალ-ვაჟო“ ყოფილიყო.

მაშინ, როცა სერგეი მესხი თავის სტატიაში ,,რა დაუკარგავთ ქალებს და რას

დაეძებენ ისინი“ მკითხველს ამცნობდა: ,,ამერიკაში ძალიან ბევრი ისეთი საშუალო სასწავლებელი და შკოლაა, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ; ხშირათ 15-16 წლის ახალგაზრდა ქალი და 18-20 წლის ყმაწვილი კაცი ერთად სხედან... საქალვაჟო სასწავლებელში არასოდეს არც ზნეობის დამრღვევი და არც საზოგადოთ გასაკიცხი რამ შემთხვევა არ მომხდარა“ (ფირცხალავა 1903:15).

ასეთი გენდერული თანასწორობა საქართველოს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ნაადრევი რეფორმა გახლდათ. ხოლო რაც შეეხება ქალთა მოღვაწეობას სკოლებში პირდაპირ თუ ირიბათ, მათი როლი ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილად წარმოდგენილი.

სერგეი მესხის მსგავსად ქალებისადმი თანაგრძნობას გამოხატავს გაზეთ ,,შრომის“ფურცლებზე დაბეჭდილი უცნობი ავტორის წერილი ,,ქალების წარმატება“: ,,კარგა ხანია, რაც ქალებმა როგორც საკუთრად თავიანთვის, აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობისათვის საჭიროდ დაინახეს მიიღონ მათ ისეთი სწავლა და განათლება, რომლის საშუალებითაც შეეძლოთ არა თუ მარტო თავიანთი თავის შენახვა, არამედ სხვების შეწევნაც და ამასთანავე ისურვეს, რომ კაცებს გვერდით ამოუდგნენ და უღელი გაუწიონ თუ ოჯახის და თუ საზოგადოების დასაწინაურებლათ. ეს ქალების სანაქებო სურვილი მეტათ გაძლიერდა ამ უკანასკნელ დროს. თუმცა მათ ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდათ, მაგრამ ცოტ-ცოტად თავიანთის ენერგიულის მოქმედებით ქალები ცხადით უმტკიცებენ ჯიუტ კაცებს, რომ საზოგადოების კეთილ დღეობისათვის არა თუ სასარგებლოა, არამედ მოუცილებელი საჭიროა, რომ ქალები იყვნენ სწავლულნი და განათლებულნი“ (N3, 16 სეკტემბერი, 1881, გვ.2)

ქალების მოღვაწეობა საგანმანათლებლო კამპანიაში, ზოგან ცოდნის კერების დაფუძნებითა და ზოგან საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლებოდა.

ამის მაგალითია ინფორმაცია ,,ადგილობრივი ამბები“-დან: ,,გორში გაიხსნა ქალების პროგიმნაზია ანასტასიისა. ეს სახელი ამ პროგიმნაზიას დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის ქალიშვილის ანასტასიას სახსოვრად დაერქვა. მოვლენის შემდეგ სხვათა შორის გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა, ბ. სემიონოვმა, წარმოსთქვა სიტყვა. მსმენელთა ყურადღება მან იმ საგანზედ მიაქცია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებისა და კეთილდღეობისთვის ქალების განათლებას“ (,,შრომა“ N4, 23 სეკტემბერი, 1881, გვ. 2)

გაზეთი ,,შრომის“ 1882 წლის პირველი ნომერი იანვრის დასაწყისში დაიბეჭდა და წლის ბოლომდე სულ 49 ნომერი გამოვიდა.

მის ფურცლებზე უკვე იგრძნობოდა ქალების გააქტიურება პირადი და სოციალური თავისუფლებისათვის, სადაც ისინი თანასწორუფლებიანობის მიუღებლობისათვის უკვე აშკარად იყვნენ ჩაბმულნი პოლემიკაში.

ქალების სწრაფვა და გარჯა სამოქალაქო, პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, განათლებისა თუ დასაქმების ხელმისაწდომობის მისაღწევად გახდა აკაკი წერეთლის წერილის დისკურსის საბაბი, სადაც იგი ქალების გადაგვარებაზე საუბრობს და თავში ხელების ცემით - რა გვეშველებაო გაიძახოდა. პოეტის კრიტიკულ წერილს მალევე გამოეხმაურა ვინმე ქუთაისის ქალთა წრიდან - ,,ქალის წერილი“-თ: ,,ქალები თუ დღეს ცუდს მდგომარეობაში არიან, ცუდათ იქცევიან, მათზედ მეტის ყურადღების მიქცევა ვალია იმ მოწინავე კაცებისაგან, რომელნიც ჩვენის საზოგადოების სენების მკურნალებად, უწოდებენ თავიანთს თავს და დიდი შეცდომა იქნებოდა ვისმეს ეთქვა ,,არ ღირს მათზედ ლაპარაკიო“, რადგანაც ქალები კაცობრიობის ნახევარს ნაწილს შეადგენენ და მათი მნიშვნელობა ცხოვრებაში დიდია. გაასწორეთ მიზეზი, და შედეგი უთუოდ მისით გასწორდება მეთქი. ეს გახლავსთ ის დიდი ლიბერალობა, რომლისაგანაც გამოყავსთ, ვითომ მე ქალებისათვის ვთხოულობდე კვარტლებისა და სტოროჟების თანამდებობას“ (,,შრომა“ N5, 3 ფებერვალი, 1882, გვ.3).

გაზეთ ,,დროების“ N8-ში ქალების დაწერილ წერილის საპასუხოთ ,,ქალის

წერილის“ ავტორი აქვე ერთ გარემოებასაც უსვამს ხაზს: ,,ხომ იცით ისტორიული მოვლენა ბრძოლა არსებობისათვის, ბრძანებს ,,დროების“ მეფელეტონე. ეს ყველა დიდი ხნის გაცვეთილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენს აღძრულს კითხვაში სრულებით უადგილოა; მაგრამ მიგიხვდით, ,,დროების“ მეფელეტონევ, თქვენის აზრით, თქვენ წარმოგიდგენიათ, ჩვენ ქალები ღონე ნაკლულნი ვართ და თუ ბრძოლაზედ მისდგა საქმე, ბურთი კაცების იქნება. თუმცა თავდაპირველიდგან კაცის ფიზიკურის ძალის უმეტესობას ცოტა გავლენა არა ჰქონია საზოგადოთ დედათ სქესის დამონებაზედ და დამცირებაზედ, მაგრამ დღეს თუ კრიტიკულათ განვსჯით ამ საქმეს, ამნაირი მოსაზრება ძალიან შემცდარი დარჩება; ,,ბრძოლა არსებობისათვის“ მოხდება ყოველთვის ორს ერთი მეორეს წინააღმდეგ ინტერესთ შორის, გარნა ბრძოლა ერთსა და იმავე ინტერესს შორის შეუძლებელია. რა აქვთ წინააღმდეგი ქალსა და კაცს ერთმანერთს შორის, რომ საჭირო იყოს ძალადობა? განა იგინი ორივე განუშორებელი ადამიანები არ არიან? განა მათი ინტერესები რამეში განიყოფება მათ სოციალურს მდგომარეობაში? კაცს განა არ უნდა ესიამოვნებოდეს, რომ მისი ამხანაგი - ქალი გონება და ზნეობა გახსნილი იყოს, რომ მის ოჯახში მაღალ სასწავლებელში გაზრდილი ქალი უვლიდეს და სწრთვნიდეს მის შვილებს.“

აშკარაა, წერილის ავტორს კარგად ესმოდა, რომ ქალი და კაცი ერთი თიხისაგან იყო მოზელილი.

და, როგორც მკვლევარი თამარ საბედაშვილი აღნიშნავს: ,,არანაირი მამაკაცური და ქალური საწყისი და არსი არ არსებობს. ,,მამაკაცურობა“ და ,,ქალურობა“ სოციალურად აგებული ანუ კონსტრუირებული პროცესებია. ,,ქალურობისა“ და ,,მამაკაცურობის“ სოციალური აგება გულისხმობს კულტურული, სოციალური და ისტორიული განსხვავებების რთულ სისტემას, რაც საბოლოოდ აყალიბებს ადამიანების გენდერულ შემეცნებასა და სოციალურ როლებს“ (საბედაშვილი 2006:12).

საერთოდ, XIX საუკუნის 80-90-იანი წლების პერიოდიკა სავსეა შეურაცხყოფილი ქალების გამოხმაურებებით მამაკაცების გაავებულ კრიტიკაზე, სადაც ღირსების დამცავ არგუმენტებთან ერთად ისმის სამომავლო მოწოდებები თანამშრომლობის დასაწყებად და გასაღრმავებლად.

გაზეთ ,,შრომა“-ში დაბეჭდილმა ,,მეფელეტონე” ქალის კრიტიკულმა წერილმა, მოთმინებიდან გამოიყვანა პეტერბურგში მყოფი დავით კეზელი. მისი ისტერიკა გამოწვეული იყო ვიღაც ქალის გამბედაობით, რომელიც თავად აკაკი წერეთელს ეკამათებოდა.

ამავე, 1882 წლის გაზეთ ,,შრომის“ ფურცლებზე დაიბეჭდა დავით კეზელის სადისკურსიო წერილი ,,ქართველ ქალებს“: ,,ნება მიბოძეთ, მეც გავერიო იმ ბაასში, ან, უკეთ ვსთქვათ იმ ყაყანში, რომელიც აღძრა ჩვენს გაზეთებში აკაკის ორიოდე სიტყვამ ჩვენს ქალებზედ...

... ერთი სიტყვით განიზრახეს ჩვენში გააჩაღონ ცრუ-ლიბერალური ლათაიობა ესრეთ წოდებულს ემანსიპაციაზედ, რომელიც განსვენებულის ბლაღოსვეტლოვის, ნეკრასოვის და კრაევსკის ჟურნალებში ფუთობით არის შენახული. ან კი რა დაუშლით, რაა? თუ კი ფაცა-ფუცით გამოიღებენ ხოლმე ახალ მოდებს: ხაბარდას, აფხუწულს კაბებს, ხუთ ადლიანს ქუჩის საგველს კაბების კუდებს, მერე ჩალვადრის ცხენივით კუდ ასაკრავებს, რატომ ,,ემანსიპაციას“ კი არ შემოიღებენ? ესეც ხომ მოდა გახლავთ? ეს განათლების ნიშანი გახლავთ. ვაი ამისთანა განათლებას! ძრიელ სამწუხაროა, რომ ჩვენმა ქალებმა მეტი ჭკუის კოლოფი და მეტი ლოღიკის პატრონი ვექილი ვერ წარმოადგინეს. ქალების მოსარჩლე მანდილოსანი მეორე თავის წერილშიაც ისევ, იმ ათი-ათასჯერ ნაცვეთს და ნაღეჭს მოდურს აზრებს იმეორებს, როგორც პირველში“ (,,შრომა“N10, 10 მარტი, 1882, გვ. 1).

ირკვევა, რომ გაცხარებული დავით კეზელიც აკაკიზე ნაკლებ გამკეწლავ სიტყვებს

როდი იმეტებს ქალების ,,ხოტბა–დიდებისათვის“. იგი წერილის ბოლოს ქალებს ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევდა: ,,თუ გინდათ ღირსეულად ატაროთ ქართველის ქალის ერთხელ ქვეყანაზედ განთქმული სახელი, გამოირეკეთ თავიდან ოცნებები ექიმობაზედ, პროფესორობაზედ და ეცადეთ, შეიქმნეთ დროის შესაფერისი დედები. ამისათვის საჭიროა დაწვრილებით შეისწავლოთ თქვენი სამშობლოს წარსული, ძველი ხალხების და განსაკუთრებით რომის ისტორია...

სამშობლოს, მშობლებს და თქვენს ნამუსს ნუ სცვლით აფიცრის მუნდირზედ. თვალებში ნუ მოგიგროვებიათ ჭკუა და რაც ბრჭყვიალებს, ყველა ოქრო ნუ გგონიათ... ერთი სიტყვით, თქვენში ჯერ ქართველი ქალი იცანით და მერე ქალი საზოგადოდ“.

ანალოგიური კრიტიკული წერილებია ქალთა სწავლა-განათლებაზე და არსებულ სკოლების მწვავე სასწავლო პროცესების შესახებ გაზეთ ,,შრომის“ 1883 წლის ნომრებში, რომლის პირველი ნომერი იანვრის დასაწყისში გამოვიდა. მან სულ 24 ნომერი მოიცვა. გაზეთის გამოცემა 23 ივნისს საბოლოდ შეწყდა.

გაზეთ ,,შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდილ კორესპონდენციებში აშკარად გამოკვეთილია განათლების რეფორმების საქმეში ქალთა აქტიურობა, რომლებიც არამარტო საგანმანათლებლო კამპანიებში იყვნენ ჩართულნი, არამედ ცოდნის კერებს აფუძნებდნენ საქართველოს ყველა კუთხეში.

ამ მხრივ საყურადღებოა, 1883 წლის 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატია ,,ქუთაისის, 9 ფებერვალს“, სადაც ავტორი ცდილობს ახსნას ქალების ემანსიპაციის არსი. ნატრობს იმ დღეს, როცა ქალი გამოვა საზოგადოებრივ ასპარეზზე: ,,იგი სწავლითა და განათლებით აღჭურვილი შეებრძოლება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პროგრესის შემაფერხებელ დაბრკოლებებს. კორესპონდენტს მოყავს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არგუმენტები იმაზე, რომ ჯერ კიდევ საზოგადოებაში არავითარი გაუმჯობესება არ შეიმჩნევა განვითარებული ქალების საზოგადოების ასპარეზზე გამოსვლისათვის. ქუთაისის გუბერნიაში ერთადერთი საქალებო გიმნაზიაა და ისიც დახურვის საფრთხის წინაშეა. მაშინ, როცა ვაჟთა გიმნაზიის დახურვის შემდეგ: ,,ჩვენმა საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა ამ გიმნაზიის ხელმეორედ გახსნისათვის. ანალოგიური პროცესი, რომ საქალებო გიმნაზიაში მოხდეს, ბევრი სიხარულით შეეგებება ამ ამბავს“ (,,შრომა“ N6, 9 ფებერვალი, 1883 გვ.1).

წერილში ასევე დასმულია საკითხი, რომ ქალთა გიმნაზიაში ასწავლონ ცოდნითა და ზნეობით გამორჩეულმა და რიგიანმა მასწავლებლებმა.

მიუხედავად, საგანმანათლებლო სისტემაში ქალთა აქტიური ჩართულობისა მაინც ქალისა და კაცის სოციალური როლები პრობლემურ საკითხად რჩებოდა. ამ აზრის კონსტატაციას წარმოადგენს სტატია ,,ქუთაისი, 9 მარტს“: ,,როდესაც ჩვენს საზოგადოებაში, ან ლიტერატურაში ახალ- თაობის აღზრდაზედ და სწავლაზედ სიტყვა ჩამოვარდება, თუ ყოველთვის არა, უფრო ხშირად მაინც მხოლოდ ვაჟების აღზრდა და სწავლა იგულისხმება. მათის განათლებისთვის საჭირო საშვალებათა სიცოტავეს უჩივიან და ქალებზედ იმდენად არავინ ჰფიქრობს. რამდენიმეჯერ გამოთქმულა ჩვენს გაზეთში აზრი ქალების განათლების საჭიროებაზედ საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობაში მყოფის ერისათვის და ეხლა კიდევ ამავე საგანს უნდა მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება“ (,,შრომა“ N10, 9 მარტი, 1883, გვ.1).

საერთოდ, გაზეთ ,,შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდილ პუბლიკაციებს განათლების სფეროში ქალების ჩართულობისა თუ სწავლების პროცესების შესახებ, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ვიდრე ქვეყანაში მართვის ეკონომიკური თუ პოლიტიკური სადავეები მხოლოდ მამაკაცების ხელშია კონცენტრირებული, ყოველთვის იქნება ქალთა სკოლებში მოუგვარებელი პრობლემები. რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მამაკაცის

მონოპოლიურ მდგომარეობაზე საზოგადოებაში, ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მიდგომის გენდერულ ნეიტრალობას, რაც თავისთავად გულისხმობს პატრიარქალური მიდგომების სიძლიერეს.

მეორე დიდი ბეჭდვითი ორგანო იმერეთში 1883-1910 წლებში გახლდათ სასულიერო ორკვირეული ჟურნალი ,,მწყემსი", რომელიც ყვირილაში გამოდიოდა.

მისი რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დავით ღამბაშიძე იყო. სწრაფმბეჭდავი სტამბა ზედგენიძისა და ფერაძისა ქუთაისში ფუნქციონირებდა, სადაც ,,მწყემსი" იბეჭდებოდა.

1887 წლიდან სტამბა ღამბაშიძისა და ხელაძის გახდა. 1902 წლიდან ,,მწყემსი"-ს ბეჭდვა ყვირილაში გადაიტანეს.

ყოველ თვეში ,,მწყემსი"-ს 24 ან 26 ნომერი გამოდიოდა, რომლის თითო ნომერი 12 ან 16 გვერდს წარმოადგენდა.

სასულიერო ორკვირეული ჟურნალი ,,მწყემსი" აშუქებდა სასულიერო, ქართული სკოლისა და საქართველოს ისტორიის საკითხებს. 1903 წლამდე დავით ღამბაშიძე სცემდა აგრეთვე ,,მწყემსის" რუსულ გამოცემას სახელწოდებით ,,пастырь".

ცნობილია, რომ ქრისტიანობა თავისი მოძღვრებით და ინსტიტუციური სტრუქტურით თანასწორუფლებიანობის დამცველად მოგვევლინა. ადრე დაწესებული ნორმისაგან განსხვავებით, იესო ქრისტე ხშირად და ღიად აღიარებდა ქალების ღირსებას. მისი სიკვდილის შემდეგ ქალები მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკლესიების ინსტიტუტების შექმნაში. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, როცა ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ქალებს საბოლოოდ დაეხშოთ გზა საეკლესიო იერარქიასა და თემის ხელმძღვანელობაში. თანასწორუფლებიანობა პატრიარქალური ინსტიტუციური სტრუქტურებით შეიცვალა. ასეთ ცვლილებებს თან ახლდა საღვთის-მეტყველო მოძღვრება, რომელიც პატრიარქალურ წესრიგს ღვთის ნებას მიაწერდა და დაჟინებით მოითხოვდა მამაკაცსა და ქალს შორის ისეთ ურთიერთობებს, როცა მამაკაცი ხელმძღვანელობს, ხოლო ქალი კი მისი მორჩილია. როგორც ბიბლია გვარიგებს: ,,ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე ეკლესიის".

ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. ეს აზრია გატარებული ,,მწყემსის" ფურცლებზე დაბეჭდილ: ,,სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე" - ,,მოკლე მოძღვრებაში, - თქმული 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისაგან": ,,აწინდელი დღე მართლმადიდებელმა ეკლესიამ დანიშნა წმიდა ნინას მოსახსენიებლად, ხოლო ჩვენცა ყველა, აქ შეკრებილნი, ამასთანავე ვდღესასწაულობთ ამ ტაძრის დღეობას. დამაარსებელმა ამა თქვენის სასწავლებლისა და ამაშენებელმა ამ ეკლესიისა განგებ დაარქვეს ამ სასწავლებელს წმიდა ნინას სახელი. წმიდა ნინამ გაანათლა საქართველოს ერი ქრისტეს სარწმუნოებითა; ხოლო თქვენ ყველანი, აქ მოსწავლენი, სწავლობთ ამავე სარწმუნოებას, ნათლდებით იმავე ქადა–გებით და მოძღვრებით, რომელნიც წმიდა ნინამ მოუტანა ჩვენ წინაპართა. ამასთანავე თვით წმიდა ნინა არის უმჯობესი თქვენთვის მაგალითი და ჭკუის მასწავლებელი. თქვენ შეგიძლიანთ და ვალდებულნიცა ხართ შეისწავლოთ მისი ცხოვრება, საქმენი და მისი სულიერნი თვისებანი და მერმე მიბაძოთ მას" (,,მწყემსი" N3, თებერვალი, 1884, გვ.12).

ქადაგებაში ვრცლადაა გამახვილებული ყურადღება წმიდა ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობაზე, რომლის მოწამეობრივი ცხოვრება მისაბაძი უნდა გამხდარიყო ამ სასწავლებლის მოსწავლე ქალებისათვის.

ბუნებრივია, საეკლესიო მოძღვრება მტკიცედ იცავდა თავის კანონიკებს: ,,წმინდა ნინას უყვარდა უბრალო და მშვიდი ცხოვრება, არაფერში არ უყვარდა გადაჭარბება, კმაყოფილდებოდა უბრალო საჭმელით და უბრალო ტანისამოსით. აი, დიდი და მისაბაძი მაგალითი ყოველთა ქალთა, განსაკუთრებით ჩვენი ახალის დროის ქალთა! როცა თქვენ ამ სასწავლებელში სწავლას შეასრულებთ და შემდეგ შეუდგებით თავისუფალ ცხოვრებას, ერიდეთ ძვირფას მორთულობას, ნუ გაერთობით უბრალო ქვეყნიერს სიამოვნებასა და გაფანტულს ცხოვრებაზე, რადგან ამისთანა ცხოვრება მავნებელი იქნება თქვენთვის, საუბედუროდ და მრავალთა სამწუხაროდ, შენიშნულია, რომ განათლებული ქალები უფრო ეტრფიან ამისთანა ცხოვრებას. ამიტომ თქვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გქონდესთ წმიდა ნინა, იმასაც შეეძლო მდიდრულათ ჩაცმა და ცხოვრება; რადგან მასაც ჰქონდა შეძლება“ (,,მწყემსი“ N3, ფებერვალი, 1884, გვ.12).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქალთა დისკრიმინაცია ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა. რამეთუ ქრისტიანობა ჯერ კიდევ რჩება, მამაკაცთა რელიგიად, რომელიც ქალთა დისკრიმინაციის გამომწვევ სტერეოტიპებს უჭერს მხარს, რასაც შემდეგი წარმოდგენებიც ემსახურება:

1. უპირველესად, ესაა ,,ღმერთის სახე“, როგორც მამაკაცის. სინამდვილეში ,,ძველ აღთქმაში“ ღმერთს სქესი არა აქვს. მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავიდანვე განმარტავდნენ წმინდა წერილს.

ღმერთის ხსენებისას მხოლოდ მამრობითი სქესის ნაცვალსახელს ხმარობდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სული წმინდა) შედგება და ა.შ.

ყოველივე ამან საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოშვა ღმერთის, როგორც მამრობითი სქესის რწმენა.

2. მეორე ისტორიას ქალის დამორჩილებული მდგომარეობის განჩინებისას წარმოადგენს ბიბლიური ამბავი - ,,ადამის ნეკნიდან“ მისი სამსახურისათვის ევას შექმნა.

3. მესამე, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქალი წარმოდგენილია ორი ჰიპოსტაზით ევასა და წმინდა მარიამის სახით. პირველში განსახიერებულია ბოროტება და ადამის შეცოდებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება. მეორეში - აბსოლიტური უმანკოება, მარადიული ქალწულობა. ქრისტიანულ თეოლოგთა აზრით - მეძავეობა - სექსუალური ბოროტებაა, ხოლო - ქალწულობა სექსუალური სიწმინდე.

4. მეოთხე, მამაკაცთან შედარებით ქალი უფრო დაბალი ბუნების ,,ღვთიური მტკიცებულებაა“ (რასაც ქალის დამორჩილებული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს).

ქრისტიანული ეკლესიის მსახურებმა ამოიკითხეს პავლე მოციქულის მიმართვებში, რომ ქალს ეკრძალება თავსაბურავის გარეშე ლოცვა, მაშინ, როცა ,,ქმარმა არ უნდა დაიფაროს თავი თავსაბურავებით, რადგან იგი არის ღვთის ხატი და დიდება, ცოლი კი ქმრის დიდება, რადგან, ქმარი კი არ არის შექმნილი ცოლისაგან, არამედ ცოლია შექმნილი ქმრისათვის.

სწორედ, ქალთა მორჩილებისკენაა მიმართული ყველა ქადაგებანი, რათა განამტკიცოს აზრი, რომ ქალი თავისუფალი არასოდეს უნდა იყოს.

ძირითადად ,,მწყემს“-ში გაშუქებულია ქალთა სასულიერო სემინარიების დაარსება, იქ მიმდინარე მოუწესრიგებელი სასწავლო პროცესებისა და სასულიერო პირთა მცდელობა ქალთა მორჩილების შესახებ: ,,წესის შესახებ ქალების მიღებისა თბილისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში მისი მაღალ ყოველ უსამღვდელოებისთანავეს, მოსკოვის მიტროპოლიტისაგან კურსების სტიპენდიებზე.

მოსკოვის მიტროპოლიტის დაარსებული სტიპენდიები მიეცემოდა მხოლოდ თითოეული ეპარქიიდან ოთხ-ოთხ ქალს. ,,იმერეთის ეპარქიიდგან ოთხი, სამეგრელოსაგან ოთხი, გურიისაგან ოთხი და ქართლის ეპარქიის თითოეული სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოებისაგან - თბილისის, გორის და თელავისაგან ოთხ-ოთხი იმ პირობით, რომ სამის სტიპენდია უსათუოდ უნდა ეძლეოდეს ხოლმე მღვდლის შვილებს და ერთი ეკლესიის მოსამსახურეთ შვილებს"(,,მწყემსი" N12, 15 ივნისი, 1885, გვ.3).

აღსანიშნავია, რომ არამარტო წერა-კითხვის საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, არამედ სასულიერო წოდებაც თავის მხრივ მრავალ სასულიერო სასწავლებლებს აარსებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ,,წარსული აგვისტოს ოცდა რვა რიცხვსა ჩვენ ვიყავით თბილისის ეპარქიალურ ექვს - კლასიან საქალო სასწავლებელში, რომლის დახედვამ და დათვალიერებამ მეტის-მეტად სასიამოვნოო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ვისწრაფით ეს შთაბეჭდილება განუზიაროთ ჩვენ სამღვდელოებას და ყველა იმათ, რომელთაც გული შესტკივათ ჩვენი მოზარდი ქალების აღზრდისათვის" (,,მწყემსი" N18, 15 სეკტემბერს, 1885, გვ.6).

ბუნებრივია, მართლმადიდებელი ეკლესია დაინტერესებული იყო გაემრავლებია ქალთა სასწავლებლები მხოლოდ იმ მოტივით, რომ ქალები ყოფილიყო მამაკაცების მორჩილი და ქალებს თავისუფლება არასდროს ეგრძნოთ.

პირველად საქართველოში 1883 წლის 1 იანვარს გამოვიდა ქუთაისელ ქალთა ინიციატივით დაარსებული ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი ,,ქართული ბიბლიოთეკა", სულ ჟურნალის 11 ნომერი დაიბეჭდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ეკატერინე ლორთქიფანიძე. ჟურნალი იბეჭდებოდა ქუთაისში წულუკიძის სტამბაში. ჟურნალის თითო ნომერი 100-დან 130 გვერდს შეიცავდა.

ეს იყო პერიოდული კრებული უცხოენებიდან ნათარგმნი ბელეტრისტიკული ნაწარ-მოებებისა, რომელშიც იბეჭდებოდა ჰ. სენკევიჩის, პირსის, მოლიერის, ბერნარდის, მურეის, ევგ. ტურისა და სხვათა წიგნები.

ჟურნალის თანამშრომელ-მთარგმნელები გახლდნენ: ელენე ლორთქიფანიძისა, ანასტ. თუმანიშვილისა, ანნა მესხი, ანასტ. ბაქრაძისა და სხვა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაკაფეს გზა დასავლეთისაკენ ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლეებმა, ვინაიდან ისინი საქართველოს მომავალს ევროპასთან კავშირში ხედავდნენ.

ცნობილია, რომ ილია უცხოელთა სტუმრობას საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ისინი, ქართული კულტურით მოხიბლულნი, თავიანთ სამშობლოში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ და ამ განძს თავიანთ თანამემამულეებს აცნობდნენ.

1895 წლიდან ილიასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი გადეს ინგლისელმა და-ძმამ უორდროპებმა, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა, რომელმაც სამუდამო სასუფევლადაც საქართველო აირჩია.

მათი მთარგმნელობითი მუშაობით აღფრთოვანებული ილია აღნიშნავდა, რომ ისინი ,,მოჰფენდნენ მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის.

ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოვებიან."

მთარგმნელობითი მუშაობით იმდენად დიდად იყო ილია გატაცებული, რომ

საბანკო საქმესთან დაკავშირებით პეტერბურგში მყოფი ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნიდა შექსპირის ,,მეფე ლირს“.

ცნობილია, რომ თარგმნის შესახებ რეფლექსიები უძველეს დროიდან იღებს სათავეს. თარგმანი, როგორც სამეცნიერო დარგის კვლევის საგანი ადამიანთა შორის კომუნიკაციის უადრეს პერიოდს უკავშირდება. თარგმანში ლინგვისტური და ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევის მეთოდების სინთეზია ჩადებული. ამასთან ერთად დღეს თარგმანის კვლევებში ასევე ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული ენის მოდელირების კულტურის კვლევები და ფილოსოფიის სფეროები.

ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია, უფრო ზუსტად, შუა საუკუნეების ქართველ სწავლულთა კულტურული თვითშეგნების მაკონსტრუირებული კონცეფციები, თარგმნის როლი, ქართული ენის ემანსიპაციის პროცესში საკმაოდ ცნობილია. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში იცვლებოდა თარგმანის კვლევების ობიექტი და მისი შესწავლის პერსპექტივა. მაგალითად, სხვადასხვა პერიოდში თუ აქტუალური იყო წმინდა ტექსტების, ფილოსოფიური, დოგმატიკური თუ ეგზისტენციალური ნაშრომების, მხატვრული პროზისა თუ პოეზიის თარგმნა, ან თარგმანის გამოყენება სასწალო მიზნებით, მათ XIX საუკუნიდან განსხვავებული კონცეფცია დაიმკვიდრა ქართველ ქალთა მთარგმნელობით მუშაობის პროცესში. რაც კარგადაა ჩამოყალიბებული სალიტერატურო ჟურნალ ,,ქართული ბიბლიოთეკის“ (N1, იანვარი, 1883, გვ.1) დამაარსებელთა სარედაქციო წერილში: ,,ჩვენს პატივცემულს მკითხველს საზოგადოებას დიდი ხანია ვაცნობეთ, ქართული თვიური ჟურნალის გამოცემა, რომელიც, როგორც ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილის განც–ხადებისაგან დაინახავდენ, შესდგება სხვადასხვა ევროპიული და რუსული რომანების და მოთხრობების თარგმანებიდგან. თუმცა კი იშვიათად, მაგრამ, იმედი გვაქვს, ხანდახან თვით ქართული ორიგინალური რომანები და მოთხრობებიც ვუძღვნათ ჩვენს მკითხველებს. ამ საქმეს შეუდექით იმ აზრით, რომ იმ საზოგადოებას, რომელმაც უცხო ენები არ იცის, უძღვნათ რამდენიმე რიგიანი წიგნი. ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენში თანდათან ვრცელდება კითხვის ხალისი, არამც თუ იმ წარჩინებულს ოჯახებში, რომელთაც მამა–პაპიდგან, შთამომავლობიდგან შთამომავლობაზედ შეუცვლელ ანდერძათ გადადის ქართულს ლიტერატურაში ჯეროვნად განვითარება. ამჟამად დაბალ ხალხშიაც იმდენად გავრცელებულია ქართული კითხვის სურვილი და აგრეთვე სხვადასხვა მწერლობის გაცნობა, რომ, ვგონებთ, სულ უსარგებლო და ურიგო არ იქმნება ჩვენგან ამ საქმის დაწყება. პირიქით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისთანა გამოცემა შეუძლია ჩვენს საზოგადოებაში თანდათან განავრცელოს და განაძლიეროს კითხვის სურვილი და ხალისი. იმედი გვაქვს ჩვენის პატივცემულის მკითხველის საზოგადოებისა, რომ წრფელის თანაგრძნობით და რჩევით ხელს მოგვიწყობს. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ღირსება ან ნაკლულოვანება დამოკიდებული იქმნება ევროპიულის მწერლების რიგიან თხზულებების ამორჩევაზედ და მათ ხეირიან გადმოთარგმნაზედ. ვეცდებით ეს ჩვენი სურვილი შეძლებისა და გვარად სინდისიანად აღვასრულოთ და თუ თავდაპირველად ჩვენი დაპირება უნაკლოდ ვერ შევასრულეთ, იმედი გვაქვს, საზოგადოება მკაცრად არ მოგვეკიდება. ყოველ შემთხვევაშიდ, ჩვენ მადლობით მივიღებთ ბეჭდვით გინდ სიტყვიერად გამოთქმულს გონიერს და გულწრფელს შენიშვნას, რომლითაც ჩვენ შემდეგისათვის დიდის სიამოვნებით ვიხელმძღვანელებთ“.

აშკარაა, რომ ჟურნალ ,,ქართული ბიბლიოთეკის“ დამაარსებლები ამოდიოდნენ იქიდან, რომ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა მიერ დაარ-სებული სალონები წარმოადგენდა კულტურულ ცენტრს მხოლოდ ინტელიგენციისა და მდიდართათვის. და, იგი უბრალო ადამიანთათვის ხელმიუწვდომელი იყო. მე-17

საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნიდან წარჩინებულთათვის არსებობდა მრავალი ასეთი სალონი, რომელიც სივრცისა და კულტურის დამაკავშირებელი ქსელი გახლდათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,ყურადღების ცენტრში იყო მადამ დე სტალის, მადამ დე სევინიეს, მადამ დე საბლეს, მადამ დე ლესპინის სალონები. სალონური კულტურა განავითარეს არა მარტო ფრანგმა ლამაზმანებმა, არამედ ასეთივე სალონი არსებობდა საქართველოში, რომელსაც მანანა ორბელიანი უწევდა პატრონაჟს. ასევე გამოირჩეოდა ინტელექტუალურთა სიუხვით პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილების ნინოსა და ეკატერინე ჭავჭავაძეების სალონები. როგორც ჩანს, სალონებში მოხვედრის მიუწვდომლობა გაითვალისწინეს ,,ქართული ბიბლიოთეკის" რედკოლეგიის წევრებმა და ამით საჯაროდ გახადეს მათ მიერ დაარსებული ჟურნალი.

აქვე, ნიშანდობლივია ისიც, რომ ,,ქართული ბიბლიოთეკის" ფურცლებზე ქუთათურ მთარგმნელ ქალთა გვერდით იბეჭდებოდა მთარგმნელ მამაკაცთა ნაწარმოებები, რომელთა ავტორები გახლდნენ ბაქარ ქართლელი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, კოტე ყიფიანი და სხვა. რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ თავად ქალები გამოდიოდნენ ინიციატორებად ემანსიპაციისა და გენდერული თანასწორობის პროცესების დაწყების.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისში პრესასთან ერთად გამოდიოდა სალიტერატურო ჟურნალ ,,ქართული ბიბლიოთეკის" გარდა სალიტერატურო კრებული ,,ცდა". 1889-1891 წლებში კრებულის პირველი რედაქტორი გახლდათ ალ. გარსევანიშვილი, ხოლო შემდეგ ქართული მწერლობის მოყვარენი.

კრებული ,,ცდა" იბეჭდებოდა პ. გ. წულუკიძის სტამბაში. სულ გამოვიდა:

წიგნი I. ქუთაისი. 1889 წ. 206 გვ.8

წიგნი II. ქუთაისი. 1890 წ. 214 გვ.8

წიგნი III. ქუთაისი. 1891 წ. 286 გვ.8

კრებულში იბეჭდებოდა მოთხრობები, ლექსები, თარგმანები (,,ილიადა", მ. ფაზელის თარგმანი), საისტორიო და საეთნოგრაფიო სტატიები.

კრებული ,,ცდა" აგრძელებდა უმდიდრეს ქართულ მთარგმნელობითი მუშაობის ტრადიციებს, რომელსაც ჯერ კიდევ ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ჩაეყარა საფუძველი. ვიკტორ ნოზაძე თავის მოგონებაში აღნიშნავდა: ,,ქუთაისის გიმნაზიაში იოსებ ოცხელის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე, რომელიც მთარგმნელობას შეუდგა. რუსული მოთხრობები თვითონ მოგვცა. იგი გვაკითხებდა თარგმანს, გვისწორებდა და თარგმანის ტექნიკას გვასწავლიდა."

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა საგანმანათლებლო რეფორმების მესვეურნი მთარგმნელობით საქმიანობას.

კრებულის ფურცლებზე ყურადღებას იპყრობს ანტიკური ლიტერატურის უდი–დესი ძეგლის ჰომეროსის ,,ილიადას" პოემიდან რამდენიმე ეპიზოდის ნიმუშების თარგმნა, რომლის ავტორია მ. ფაზელი.

ასევე მნიშვნელოვანია ფრანგული ლიტერატურის ნიმუშის ლუი მირამონის მოთხრაობა ,,და-ძმა", რომლის ავტორი პ. ყ-ნი - ფსევდონიმით წარმოგვიდგება.

უნდა ითქვას ისიც, რომ იმ დროისათვის ქალის როლი შეზღუდული იყო პირადი სფეროთი და ოჯახის სამყაროთი, კრებული ,,ცდა" განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქალების მიმართ, რაც გამოწვეული იყო ევროპული ცივილიზაციის განსაზღვრაში განმანათლებლობის პერიოდში ქალთა აქტიურობით. ალბათ, ამით აიხსნება ,,ცდის" ფურცლებზე დაბეჭდილი სოციოლოგიური მიმოხილვა ,,ქორწინება" (კრებული ,,ცდა"N1,1889, გვ.72).

ამ ფუნდამენტალური მიმოხილვის ავტორია დავით კარიჭაშვილი, რომელიც სქესთა შორის დროსა და ქვეყნის მიხედვით ქორწინების სხვადასხვანაირ სახეებზე

ამახვილებს ყურადღებას.

იგი დეტალურად აღწერს ქალთა უუფლებო მდგომარეობას, მრავალ ქმრიანობისა და მრავალ ცოლიანობის მახასიათებლებს. შერეულ, დროებით თუ პირობით კავშირთა ურთიერთობებს. ქალთა ემანსიპაციის რთულ გზებს, რომელმაც კაცობრიობა თანდათან მოამზადა გენდერული თანასწორობის იდეის ჩასახვისათვის: „ახლანდელს განათლებულს ხალხებშიც ცოლი საზოგადოდ არ გათანასწორებულა ქმართან. ქმარს მაზედ მეტი უფლება აქვს და თუმცა ხანდახან ზნეობრივისა, გონებრივის და მეტადრე ქონებრივის განვითარების წყალობით, ცოლი რაღაც პრივილეგიით მინიჭებულს არსებას წარმოადგენს, რადგან ქმარი მუშაობს, ზრუნავს ოჯახისათვის, ცოლი კი ზის სახლში და სარგებლობს ქმრის მონაგებით. ეს, რასაკვირველია, იქ არის ასე, სადაც ქმრის შრომა საკმაოდ ნაყოფიერია. ხოლო იქ, სადაც ზნეობრივისა და გონებრივის განვითარების უქონელობასთან ქმრის შრომა არ ჰყოფნის ოჯახს საზრდო-სარჩენის მოსაპოებლად, ცოლიც იმნაირადვე მუშაობს, როგორც ქმარი.“

კრებული ,,ცდა“ თავისი თემატიკით მრავალფეროვანია იმით, რომ მთარგმნელობით ნიმუშებთან ერთად დაბეჭდილია ქართველ მწერალთა პროზაული და პოეზიის ნიმუშები, ხალხური ლექსები, სტატიები საგანმანათლებლო საკითხების ირგვლივ და სხვა.

შემდეგი დიდი ბეჭვდითი ორგანო იმერეთში გახლდათ ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი ,,აკაკის თვიური კრებული“, რომელიც 1897-1900 წლებში გამოდიოდა თბილისსა და ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი იყო აკაკი წერეთელი. სულ გამოვიდა:

1897 წ. N1 (სექტემბერი); 64;47 გვ.8
N2 (ოქტომბერი); 112, 49 გვ.8
N3 (ნოემბერი); 48. 64, 57 გვ.8
N4 (დეკემბერი); 51, 112, 48 გვ.8
1898 წ. N5 (იანვარი); 58, 64; 54 გვ.8
N6 (თებერვალი); 56, 75; 38 გვ.8
N7 (მარტი); 69, 38, 64 გვ.8
N8 (აპრილი); 137, 34 გვ.8
N9 (მაისი); 53, 40, 62 გვ.8
N10 (ივნისი); 31, 41, 82 გვ.8
N11 (ივლისი); 72, 82, 2 გვ.8
N12 (აგვისტო); 47, 58; 65 გვ.8
1899 წ. N1(იანვარი)- N12 (დეკემბერი); თით. 144 გვ.8
1900 წ. N1(იანვარი); 104, 40 გვ.8
N2 (თებერვალი); 128, 48 გვ.8
N3 (მარტი); 132, 48 გვ.8
N4 (აპრილი); 128, 40 გვ.8

აკაკის ნაწერების გარდა ჟურნალში მოთავსებულია ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები და სხვ. შემდეგ საისტორიო, საეთნოგრაფიო და კრიტიკული წერილები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შემგროვებელთა ფასდაუდებელი როლი, რამეთუ ხალხური სიტყვიერება ფართო მასების პოეტურ გენიას წარმოადგენს და ამიტომაც მას მარგალიტების უძირო ჭასაც უწოდებენ.

ამასთან ერთად ქართული ხალხური სიტყვიერების შეგროვების საქმეს ერთგვარი სტიმულიც მარჯორი უორდროპის მიერ ქართული ზღაპრების შესწავლით დაინტერესებამაც მისცა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პირველად ჩამოსვლის

დროს, მარჯორისათვის ქუთაისში სტუმრობისას მისთვის ანეტა მერაბის ასულ ლორთქიფანიძეს მიურთმევია გასულ საუკუნეში ანა ბეჟანის ასულ მგელაძის მიერ გურიაში ჩაწერილი ქართული ხალხური ზღაპრების კრებული.

სწორედ, ამით დაინტერესებულა ინგლისელი ქართველოლოგი ქალი და პირადადაც დაუწყია ფოლკლორული ნიმუშების შეგროვება.როგორც სჩანს, ერის საუნჯის შეგროვება ქართველ ქალს ადრიდანვე დაუწყია.

ცნობილია, 1894 წელს ლონდონში გამოიცა ,,ქართული ხალხური ზღაპრების" მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად იმდროინდელ, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ პრესაში.

ჟურნალ ,,აკაკის თვიურ კრებულში" სისტემატიურად იბეჭდებოდა ს. მერკვილაძის, ნ. ჯანაშიას, თავისუფალი სვანის, ა. მაჩაბლის, ა. მოსეშვილის, ს. გაჩეჩილაძის, გრ. აფშინაშვილის, დ. ავალიანის, აფ. მერკვილაძის, ივ. ბუქურაულის და ალ. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული მასალების ნიმუშები.

,,მამაკაცების გვერდით აქტიურად მონაწილეობდნენ ქალებიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სერგეი მესხის დის ანნა მესხის საქმიანობა, რომელიც თანა–მემამულეებს საუკეთესო მაგალითს აძლევდა, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემგროვებელი. მან ჩაწერა და გამოაქვეყნა მრავალი ხალხური ლექსი, თქმულება, ანდაზა და სხვა. ანნა მესხს ხალხური სიტყვიერება იტაცებდა არა მარტო მოხდენილი თქმებით, ენის სისადავითა და ბუნებრივი სახეებით, არამედ მისი მდიდარი შინაარსითაც, რომლის დახმარებითაც იგი ეცნობოდა და ითვალისწინებდა იმას, რის შესახებაც ხშირად დუმდნენ მატიანენი; მასში იგი კითხულობდა ხალხის თავგადასავალს, მის წარსულსა და აწმყოს.

ანნა მესხი ხალხურ სიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მარჯვედ იყენებდა ხალხის გმირული სულის გასაცნობად" (მარჯანიშვილი 2010:75-76).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლის ინიციატორებთან ერთად, ანნა მესხსაც, რომლის ფოლკლორული მასალები აკაკის წერეთლის ჟურნალ ,,აკაკის თვიურ კრებულში" ქვეყნდებოდა, ქართული ფოლკლორი მიაჩნდა, ქართველი ხალხის აღორძინების, ცხოვრების წინსვლისათვის ბრძოლის, ახალი აზრის გამოჭედვისა და განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად.

ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ანნა მესხის მიერ ,,აკაკის თვიურ კრებულში" ვინმე მესხის სახელით გამოქვეყნებულ მასალას ,,შვიდ-ფერობა, ახალ წელი და ბედობა".

გამოდის, რომ ქართველ ქალებს მარჯორო უორდროპის ჩამოსვლამდე დაუწყია ხალხური სიტყვიერების შეგროვება, თუ მხედველობაში მივიღებთ ანა ბეჟანის ასულ მგელაძის მიერ გურიაში ჩაწერილ ხალხურ ზღაპრებს.ამასთან, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ანნა მესხსაც ადრიდანვე დაუწყია ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება, რამეთუ ზეპირსიტყვიერების მასალების შეგროვება ერთ და ორ დღეში არ ხდება და იგი გარკვეულ დროს და დიდ რუდუნებას მოითხოვს.

,,აკაკის თვიურ კრებულში" ყურადღებაა გამახვილებული იმ ქართველ ქალთა ფასდაუდებელ ღვაწლზე, რომლებიც სანთლებად ენთნენ მშობლიური ენის სიყვარულს. ვინაიდან სწორედ ენის სიწმინდის დაცვით და განვითარებით მტკიცდებოდა ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა.

მაშინდელ საქართველოში ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება თავის სამარცხ-ვინოდ, თაკილობდა თავის დედა-ენით ლაპარაკს. სწორედ, ასეთ ქალს უკიჟინებდა პოეტი და ამით ლახვარს სცემდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმდევარ ლაქიებს, რომლებიც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდნენ მშობლიური ენის დაკნინებას, საგანმანათლებლო სისტემიდან მის სრულიად განდევნას.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ,,აკაკის თვიურ კრებულში“ (N3, მარტი, 1899. გვ.2) დაბეჭდილი წერილი ,,სასიქადულო ქალის ხსოვნას“: ,,მართალია, დარია ფაღავას არ მიეღო ჩვენი დროინდელი განათლება, მაგრამ ამოდენად ნაკითხი იყო ქართულს ენაზედ, რომ გონების განვითარება ნებას აძლევდა მას შეგნებულად ეყურებინა სარწმუნოებისათვის და ცხოვრების დედა-ბოძად გაეხადა იგი...

...ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში ქალის მოღვაწეობის ასპარეზი ერთობ ვიწროდ არის შემოფარგლული. რად უნდა დავემდუროთ ჩვენს ქალებს, როდესაც კაცებს უფრო ფართო სარბიელი აქვთ ცხოვრებაში და მაინც ბევრი ვერაფერი გაუკეთებიათ! მე დიდად ვაფასებ ქალის ზნეობრივს გავლენას კაცის ცხოვრებაზედ და ისიც საკმარისად მიმაჩნია ჩვენს დროში, თუ ქალი თავის ღვთიურს დანიშნულებას ერთგულად და პირნათლად ემსახურება. ეგ ღვთიური დანიშნულება გამოიხატება მეუღლეობითა და დედობით. ის ქალი, რომელიც ამ დანიშნულებას არ გაურბის და ზნეობრივ საფუძველად გახდომია ოჯახს, თაყვანისცემის ღირსია. დარია ფაღავაც ამგვარი ქალი იყო და საზოგადოებამ მისი ღვაწლი დიდ ღვაწლად მიიჩნია...

დარია ფაღავას წილი ჰქონდა სხვაგვარ მოღვაწეობაშიაც: მან წიგნთ-საცავი დააფუძნა თავისს სოფელში და ამით მდაბიო ხალხის განათლებას ხელს უწყობდა; ღარიბ სტუდენტებისა და მოწაფეების სასარგებლოდ წარმოდგენებს მართავდა; თავს არ იზოგავდა საქვეყნო საქმისათვის; გულმხურვალე მოტრფიალე სამშობლოსი ნამდვილ შვილებს უზრდიდა მამულს. თუ ყველაფერს ამას გაითვალისწინებთ, დარია ფაღავას ხსენებისთანავე წარმოგიდგებათ ბრწყინვალე სახე ,,მატრონასი“, იმ რომაელის ოჯახის დედისა, რომელსაც ისტორიკოსები ისეთი ქებით იხსენიებენ.“

აკაკი წერეთელი თავის წერილში ,,დღევანდელი ჩვენი საჭიროება“ (,,აკაკის თვიური კრებული“ N3, მარტი, 1899, გვ.7) ფართოდ განიხილავდა ქუთაისში დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკის რაობას და მის ავ-კარგიანობას. ავტორი მიმოხილვის ბოლოს ბანკის მთავარ დანიშნულებად და უპირველეს მონაპოვრად საქალებო სასწავლებლისათვის ბანკის მოგებით დაფინანსებას მიიჩნევდა: ,,ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!! ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა მისთანა უსაქმური და მხოლოდ წარამარად მოლაქლაქე თავხედი კუდაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ როდესმე, არც უთესიათ და მხოლოდ უდროოთა და უადგილოდ ნამგალს სხვის კალოზე ატრიალებენ და ,,ჰოოპუნას“ ნაცვლად ,,ჰკა მაგასო!“ იძახიან და უთითებენ იმათზე ვისაც მართლა რამე უშოვნიათ და ღვაწლი მიუძღვისთ... დიახ! როდესაც ეს ნაცარქექია ფარისევლები აღარ იქნებიან ჩვენში და მათ ადგილს დაიჭერენ შეგნებული ახალგაზრდები, რომელთაც ნამდვილი, ჭეშმარიტი, სასწორ-საზომი ეჭირებათ ხელში და არა ზოგიერთ დღევანდელებსავით საპირადო - საფარისებლო, მაშინ თავისთავად გაიკურნება დღევანდელი ჩვენი სატკივარიც. დასასრულ, ჩვენ იმასაც ვიტყვით, რაც ადრე განსვენებულმა ბ. ღოღობერიძემ გვითხრა: ,,ჩვენ იმედი გვაქვს იმერლების წინდახედულობისა და შორს გამჭვრეტელობის“, რომ ბანკიდან გამოტანილ ფულებს კეთილად ასარგებლებს და მოგებიდან ნახევარს მაინც გადასდებს საქალებო სასწავლებლისათვის.“

ცხადია, აკაკის კარგად ესმოდა დედისა და ქალის როლი ოჯახისა და საზოგადოების სასარგებლოდ.

ამრიგად, XIX საუკუნის 80-90-იანი წლების იმერეთში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში ნათლად გამოიკვეთა ის პრობლემები და კრიტიკული სფეროები, რომლებიც გენდერულ უთანასწორობის თვალსაჩინო მაგალითები თუ ფაქტებია. კერძოდ, ესენია: ქალთა ლტოლვა განათლების მისაღებად, მათი ბრძოლა საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპის მიმართ, რომელშიც მოიაზრებოდა სწავლა-განათლების

მხრივ მამაკაცთა უპირატესობა, მემკვიდრეობაზე ქალთა უუფლებობა, გოგონათა მიმართ ძალადობა და ფატალურად დამთავრებული კრიმინალური ქმედებები, ქალთა მორჩილებისა და მამაკაცთა დომინანტობის განმტკიცება, რომელიც საბოლოოდ ერთ ფოკუსში იყრიდა თავს და გენდერულ დისბალანს წარმოადგენდა.

ასე რომ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულმა საზოგადოებრივმა და ინტელექტუალურმა ისტორიამ აჩვენა, რომ დემოკრატიული, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესი ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის აღდგენით, ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებით დაიწყო.

მასში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალებმა: საგანმანათლებლო მუშაობის ფართო ქსელის განვითარებითა და რეფორმების ჩატარებით, კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ფართო ქსელის დანერგვით, რაც გამოიხატებოდა ,,ქალთა დაკარგული" კულტურული ფიგურების ცხოვრებისა და ნაშრომების ამოქექვით, მათი ამოშლის მიზეზების გაგებით, ღირებულების კატეგორიების გადასინჯვით, მაღალ და დაბალ კულტურათა შორის განსხვავებათა გარკვევით, ქალთა პროფესიული წვდომის გამოვლენით, ხალხური სიტყვიერების შეგროვებით, მთარგმნელობითი მუშაობის გააქტიურებითა და სხვა.

სწორედ, XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქუთაისში გამომავალმა ჟურნალ-გაზეთებმა: ,,შრომა", ,,მწყემსი", ,,ქართული ბიბლიოთეკა", ,,ცდა" და ,,აკაკის თვიური კრებული" იყო ის ქართული ბეჭდვითი ორგანო, რომლის გააქტიურებით, XX საუკუნეში უკვე განსაკუთრებული მისია დაეკისრა ქალთა სწავლებას, რათა გარდაექმნა სამყარო, არა მხოლოდ ქალთათვის, არამედ მთელი ხალხისათვის.

ეროვნული კულტურისა და პრიორიტეტების პატივისცემამ, ცნობიერების ამაღლებამ XIX საუკუნის ქალთა თაობას ასწავლა, რომ გენდერული საზღვრებისა და მიზნების მიმართ დამოკიდებულება უფრო კონგრუენტული და არა ორთოდოქსური ყოფილიყო.

ასე რომ, XIX საუკუნემ ახალ ასწლეულს შეუქმნა ფუნდამეტი და ანდერძად გადასცა ,,მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება", რაც კალმის ერთი მოსმით ჩამოაყალიბა დიდმა ილიამ: ,,ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს"-ო.

ოლიმპია დე გუჟი (1748-1793)

ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი, სცენარისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ფემინისტი, ავტორი „დეკლარაციისა ქალისა და მოქალაქის უფლებებზე" (1791). რევოლუციური იდეებისთვის 1793 წელს გილიოტინაზე თავი მოკვეთეს.

ლუკრეცია კოფინ მოტი (1793 -1880)

ქალთა უფლებების დამცველი ამერიკის შეერთებულ შტატებში, აბოლიციონისტი, კვაკერი და სოციალური რეფორმატორი. მან შექმნა იდეა გამოესწორებინა ქალთა მდგომარეობა საზოგადოებაში.

სიუზენ ენტონი (1820- 1906)

ამერიკელი ფემინისტი და ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი აქტივისტი.

ელისაბედ კეიდ სტენტონი (1815 -1902)

ამერიკელი აქტივისტი, აბოლოციონისტი და ფემინისტი. ქალთა უფლებების აქტიური დამცველი. მისი გრძნობების დეკლარაცია, რომელიც წარმოადგინა სენეკა-ფოლზში მიმდინარე ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ პირველ ყრილობაზე, ეფუძნებოდა „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“ და შეიცავდა ქალთა უფლებების დარღვევის 18 პუნქტს.



ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873)

გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი, ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისური პოზიტივიზმის დამფუძნებელი. სქესთა შორის პარიტეტის პირველ დამცველად ითვლება თავის ცოლთან, ჰარიეტ ტეილორ მილთან ერთად. 1851 წელს მათ გამოაქვეყნეს სტატია ,,ქალთათვის საარჩევნო ხმის მინიჭება“. მათვე ეკუთვნის 1869 წელს გამოქვეყნებული ერთობლივი ნაშრომი ,,ქალთა დაქვემდებარებულობა“.

ჰარიეტ ტეილორ მილი (1807-1858)

სერგეი მესხი (1845-1883)

ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, გაზეთ ,,დროების“ რედაქტორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.



ვასილ წერეთელი (1862-1937)

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ექიმი და პუბლიცისტი, ქალთა უფლებების დამცველი.

კიტა აბაშიძე (1870-1917)

ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქალთა უფლებების დამცველი.

თეკლე ბატონიშვილი (1776 -1846)

ქართველი პოეტი, ერეკლე II-ის ასული.. პოეტების ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების დედა.

ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე (1833-1895)

მწერალი, პოეტი, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი, ჟურნალ ,,ცისკარის“ აქტიური წევრი.

ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე (1855-1890)

მთარგმნელი, ჟურნალ-კრებულის ,,თარგმანი საამო საკითხავთა თხზუ–ლებათა“ გამომცემელი, ქუთაისში ალმანახ ,,ქართული ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი, მსახიობი და საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

მარჯორი უორდროპი (1869-1909)

ინგლისელი მწერალი, მთარგმნელი, ევროპაში ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულიზატორი. ,,ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი.

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი (1842-1890)

,,ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების“ დამფუძნებელი, ახალციხეში ქართველი ქალებისათვის უფასო სასწავლებლის დამფინანსებელი და ახალციხეში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების ფუძემდებელი. ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაწყებითი სკოლის საზედამხედველო კომიტეტის ხელმძღვანელი.

განდეგილი - დომინიკა ერისთავი (1864-1929)

მწერალი, მთარგმნელი, პირველი კორექტორი, საქართველოში ქალთა პირვე–ლი ორგანიზაციის - ,,ქართველ ქალთა საზოგადოების“ ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი, 1904 წლიდან ჟურნალ ,,ნობათის“ რედაქტორი.

XX საუკუნის დასაწყისი და ქალთა აქტივობები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველი ნაბიჯები, რომლებიც ქართველმა ქალებმა გადადგეს პირადი, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. თავისუფლების ამ სამ ფორმაციის განსახორციელებლად ქართველმა ქალებმა განსხვავებით ევროპა-ამერიკელ ქალებისაგან საგანმანათლებლო სისტემა გამოიყენეს, რომლის დოქტრინა ილია ჭავჭავაძემ კარგად ჩამოაყალიბა თავის წერილებში განათლების შესახებ: ,,ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რაიმე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია... ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა“ (ჭავჭავაძე 1987:268).

დიდ 60-იანელთა იდეების თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის გათვალისწინებით ქართველი ქალები არა მარტო სწავლა-განათლებას დაეწაფენ, არამედ მალე თვითონაც ჩაებნენ როგორც მასწავლებლები საგანმანათლებლო სისტემის მარათონში.

ქალ მასწავლებელთა თავდადებას ცოდნის წინსვლის საქმეში დიდად აფასებდა ერის მესაჭე ილია ჭავჭავაძე: ,,პატიოსანი და ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებლისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოდენად პატივდებული არ არის, რამოდენადაც ღირსია...

ამ მხრით უფრო უარესს ყოფაში არიან ქალები მასწავლებელნი, ნამეტნავად თუ ბედს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგანწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა, რაც უნდა უკეთ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავგამომეტებული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად. ეს გარემოება დაცილება ხშირად კარგად მომზადებულ ქალს ულუკმა-პუროდ სტოვებს და საწყალი ქალი, რომელმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით გულდაწყვეტილი ემორჩილება უსამართლოებას და გარემოების სისასტიკეს“ (ჭავჭავაძე1987:242).

მოაზროვნე საზოგადოებამ კარგად გაითავისა დიდი ილიას სამართლებრივი შეფასება ქალი მასწავლებლის ზნეობრივად დაჩაგრულობის შესახებ და გარემოების მთელი სისასტიკე.

რაც მთავარია, ეს გახლდათ ის გენდერული დისბალანსის მკაფიო მაგალითი, რომლის გამო საუკუნეების განმავლობაში იტანჯებოდნენ ქალები. ალბათ, ამ გამოხმაურებამ გამოაფხიზლა კიდევ ერთხელ ქალები და სულ მალე ,,ქალ მასწავლებელთა საზოგადოებაც“ ჩამოყალიბდა, რომლის მმართველებად და გამგებელად მხოლოდ ქალები იყვნენ არჩეულნი. ქართველ ქალთა ამ ინიციატივას დიდ 60-იანელთა სახელით აღფრთოვანებით მიეგება ილია ჭავჭავაძე: ,,ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრით თავისის საკუთარის ძალ-ღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდამ. პირველი მაგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაუწყიათ უსარგებლო ჩივილით და ხვეწნით კი არა, არამედ თვისი საკუთარი მხნეობით.

საკუთარი თვითმოქმედება ფარხმალად აუღიათ, რომ თავის საკუთარის ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს და ბედი, შეძლებისამებრ, თავისაკენ მოატრიალონ“ (იგივე 243).

გენდერული თანასწორობის იდეას ისევ გამოეხმაურენ ქალები და 1904 წელს მათ ,,ქართველ ქალთა საზოგადოება“ დაარსეს. ეს იყო ქართველ ქალთა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში. ეჭვგარეშეა, რომ ქალთა და მამაკაცთა გათანასწორება საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის ქვაკუთხედი გახდებოდა. და, ამასთან, ერის მომავალი, როგორც მამაკაცებზე ასევე ქალებზეც იქნებოდა დამოკიდებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე,შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ პრესაზე დაყრდნობით XIX საუკუნემ ფასდაუდებელი როლი ითამაშა საქართველოში მეცნიერების, ადამიანის გონიერებისა და ზნეობის წინსვლის საქმეში.

ასე რომ, საკაცობრიო მოღვაწეობაში კონსერვატორული საზოგადოების მიერ დამკვიდრებული ზნე-ჩვეულებისა და უუფლებობის წინააღმდეგ ქალებმა ხმა აღიმაღლეს და დაამკვიდრეს ის აზრი, როგორც ამას ილია აღნიშნავდა: ,,ერთი დიდი და სახელოვანი საქმე XIX საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი - ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარია“ (იგივე 172).

საბოლოოდ, ასე შეაფასა ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნე, ხოლო მეორე დიდმა 60-იანელმა აკაკი წერეთელმა კი XX საუკუნე ქალთა წლად გამოაცხადა, რომელიც გააჟღერა ქუთაისში გამართულ დიდ შეკრებაზე: ,,ქუთაისში, საღორიის ტყეში მზით განათებულ მდელოზე შეიკრიბნენ იმისათვის, რომ აღენიშნათ XX საუკუნის დაწყება.

ზოგს - დაბრძენებულს, ზოგს - მეოცნებეს სწამს, რომ ეს საუკუნე დიდ შესაძლებლობათა და სიხარულის მფლობელია. აქ შეხვდებით დიდ პოეტს, ერის სიამაყეს - აკაკი წერეთელს, ლადო მესხიშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, კირილე ლორთქიფანიძეს, ნიკო ღოღობერიძეს, დავით მიქელაძესა და სხვა. აქვეა ძველი შლისერბურგელი გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ულამაზესი ფატი - ბერი (ლ. ტოლსტოის ცოლის და), ნინო დადეშქელიანი, ნინო წერეთელი და ბაბილინა ერისთავი უმშვენიერეს ასულთა და ჭაბუკთა გარემოცვაში...

და, აი, ამ ბრწყინვალე ადამიანთა შორის, ახლად აყვავებულ იის სურნელით სავსე მდელოზე უეცრად გამოჩნდა პატარა გოგონა. ისიც წამოეყვანათ ამ დღესასწაულზე. ასაკმა და მომხიბვლელობამ გოგონა ერთბაშად აქცია მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრად. დიდმა მგოსანმა ხელში აიყვანა და საყოველთაო დასტურითა და სიხარულით ახალი საუკუნის კეთილ ფერიად გამოაცხადა - ,,შენ უნდა ასახელო ჩვენი საყვარელი სამშობლო XX საუკუნეში, კარგად დაიხსომე“, - ღრმა გრძნობით და შთაგონებით უთხრა გოგონას ჭაღარა მგოსანმა. მაშინ მგოსნის სიტყვებმა ყველა ააღელვა, ჩააფიქრა... პატარა გოგონა ვერიკო ანჯაფარიძე გახლდათ. პოეტის იმედმა და რწმენამ სიმბოლურად ვერიკოს სახით ახალ საუკუნეში ქართველ ქალს დიდი მისია დააკისრა (მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან“ 1981:153).

თუმცა აკაკი წერეთელი ქალის სწავლა-განათლებაზე ერთ დროს ნიჰილისტურადაც იყო განწყობილი: ,,ქართველ ქალთა პირველი მცირე რაზმი, რომ მიდიოდა უცხოეთში სწავლის მისაღებად, ილია, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი აღტაცებული იყვნენ ამ ამბით. აკაკი გამოეთიშათ. დაიჩემა - ქალს სწავლა რად უნდა?

და ისიც უცხოეთშიო. ყველას გაებუტა. მისებურად ენაკვიმატობდა და აქილიკებდა წამსვლელთაც და წასვლის მოტრფიალეთაც. 1873 წელს მაინც გაემგზავრნენ - ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ წერეთელი, ოლღა გურამიშვილი (მანამდე უცხოეთში მხოლოდ ერთი ქართველი ქალი სწავლობდა - პელო ნაცვლიშვილი). ეს დიდი საქმე იყო. როცა დაბრუნდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაებნენ, აკაკისაც გაუხარდა. აღარც კი გახსენებია - როგორი წინააღმდეგი იყო, მათი წასვლისა“ (ბაქრაძე 1989:120-121).

ბევრი სვამს კითხვას – სჭირდება კი ქალს ძალაუფლება? რად უნდა ის? თავმოყვარეობის, ძალაუფლებისაკენ ლტოლვის დაკმაყოფილების გამო, თუ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია და უფრო მნიშვნელოვანია სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი საკითხების გადაწყვეტაზე ზემოქმედება, ადამიანის, ოჯახის, მოხუცების, დედებისა და ბავშვების უფლებების დაცვის სურვილი. იმისათვის, რომ ქალმა მართლაც, ფაქტიურად, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური, სოციალური გადაწყვეტილების მიღებაში, თვით საზოგადოება უნდა იყოს მზად გაითავისოს ქალის ახალი სოციალური თუ პოლიტიკური როლი.

დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ რომ ფემინისტური პერსპექტივები საქართველოს უახლესი ისტორიის წარსულიდან XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ქალები ცდილობდნენ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც თვალსაჩინოდაა ასახული იმერეთში გამომავალ პერიოდიკის ფურცლებზე.

XX საუკუნემ კი საქართველო უკვე ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. თამაშების სამყაროში მთელი რუსეთის იმპერიაში შემავალი ერები სოციალისტური იდეების სივრცეში მოხვდა. ეს იდეები შეიჭრა ცხოვრების ყველა დარგში და მათ შორის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში გაჩაღებულ ქალთა გამანთავისუფლებელი მოძრაობის იდეები კი იმ დროს საქართველოში, ძირითადად, ევროპაში განათლება მიღებულ ქალებსაც შემოჰქონდათ, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარ მიზანს ქალთა ემანსიპაციაში ხედავდნენ.

სწორედ, ამ ახალი საუკუნის გამოძახილია ასახული ზოგადად ქართულ პერიოდიკაში და მათ შორის იმერეთში გამომავალ ჟურნალ–გაზეთების ფურცლებზეც.

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში გამომავალი გაზეთები გამოირჩეოდნენ თავისი სიმრავლითა და თემატიკის მრავალფეროვნებით. ახალი საუკუნის დასაწყისში, 1907 წელს, პირველად ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთი ,,გრდემლი“ გამოდიოდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი - ალ.პ. ჩილაევი გახდათ. (ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა).

1907 წლის N1 (25/II), N3 (11/III); თით. 8 გვ. In F. ეროვნული და ლიბერალური მიმართულების ორგანო; თანამშრომლები ურო (ექ. ვას. წერეთელი), ს. ჯორბენაძე, ინ-რე-ჟან (?), გურულ-მეგრელი (?) და სხვ.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებია ასახული ,,გრდემლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში ,,სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“: ,,სტატია ეხება იმდროინდელი სკოლის პრობლემურ საკითხებს, სადაც მოღვაწეობდნენ მასწავლებელი მამაკაცები და ქალები: ,,სკოლა, ასე ვსთქვათ, სარკეა ცხოვრებისა და მაშასადამე, თუ კარგათ არის დაყენებული სკოლის საქმე, პირიქით კარგი არის საზოგადოების ურთიერთობრივი განწყობილება. აქედან ცხადია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სკოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე. მაგრამ დაიწყო თუ არა განმათავისუფლებელი მოძრაობა, სკოლებს სხვა ელფერი მიეცა. მოსწავლე ახალგაზრდობა გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს მჩქეფარე ცხოვრების გაძალებულ მაჯისცემას...“ (,,გრდემლი“ N2, 26 თებერვალი, 1907:4)

ბუნებრივია, სკოლაც მშრომელ ხალხთან ერთად იღებდა მონაწილეობას საერთო ფერხულში. დადგა თუ არა „1905 წლის ოქტომბერ-ნოებრის ღირსშესანიშნავი დღეები და შეიქმნა გაცხარებული მუშაობა სკოლების რეორგანიზაციის შესახებ. აქ შესდგა კომისია სამოსწავლო საგნების შესამუშავებლათ. იქ სკოლების ავტონომიის საკითხს სწვეტდენ, აქ პოლიტიკანობასა და რუსიფიკაციას აკვეცდენ ფრთებს, იქ საფუძველს უყრიდენ დედაენაზე საგნების სწავლებას.“

ასევე წესს უგებდნენ საღმრთო რჯულსა და ძველ ენებს, სამაგიეროდ ქადაგებდნენ ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის საჭიროებას სკოლებში. ერთი სიტყვით სკოლებში უნდა მომხდარიყო გარდაქმნა და განახლებული ცხოვრება, მაგრამ იანვრის სუსხმა ყველაფერი დავიწყებას მისცა.

ცუდი ამინდი დაუდგა სკოლაში დაწყებულს შემოქმედებით მუშაობას. მან სწავლების საქმე მართალია გამოსტაცა ძველ რეჟიმს, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ მიიყვანა თავის ლოღიკურ დასკვნამდე. სკოლა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთის მხრით, მასში შეანათა ახალმა შუქმა და ის ხავსი, რომელიც მოჰკიდებოდა სკოლას მრავალი წლის განმავლობაში, ცოტათი ჩამოეცალა; გაიწმინდა ატმოსფერო და მოსწავლეებმაც ცოტად თუ ბევრათ თავისუფლათ ამოისუნთქეს.

რეაქციის წლებმა თავისი გავლენა კვლავ იქონია სკოლებზე და მაშინ ისევ ძველი რეჟიმი გამეფდა. სკოლა ისევ დაეცა როგორც გონივრულად ისე ზნეობრივათაც. ავიღოთ თუნდაც გიმნაზია. რას ასწავლიან იქ? არაფერს. ძველი ენებიდან მოსწავლეები მხოლოდ ბრმად სწავლობენ და არაფერი გაეგებათ. ზნეობრივი აღზრდის მხრივ სკოლა არარაობაა.

„მოსწავლეთა გონებრივ მოთხოვნილებებს ის ვერ აკმაყოფილებს, ზნეობრივ აღზრდას ყურადღებას არ აქცევს. მაშ, რას წარმოადგენს დღევანდელი სკოლა? ის მხოლოდ პოლიციურ-ბიუროკრატიული დაწესებულებაა, მასში არ ბჟუტავს წმინდა ლამპარი განათლებისა, ის არ არის ტაძარი მეცნიერებისა, რომელსაც ხარბათ უნდა დაეწაფოს მოსწავლე ახალგაზრდობა“.

მეორე ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ქუთაისში გახლდათ ,,ცისკარი“,რომელიც 1907 წელს გამოვიდა.მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ალ. კოხრეიძე.

1907 წ. N1 (16/IX) – N11(25/XII); თით. 16 გვ. 4. სოც.-დემ. მიმართულების ორგანო; თანამშრ: ივ. გომართელი, გრ. ნასარიძე, ობჩელი (ვარლამ ბურჯანაძე), ბელზებელი (იასონ ნიკოლაიშვილი) და სხვ.

„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა ქუთათური კვირეული „ცისკარი“, რედაქტორი დაჯარიმებულ იქნა 500 მანეთით“ („ისარი) 1907, 4 დეკემბერი N367).

გაზეთი „ცისკარი“ თავის ფურცლებზე აქვეყნებდა ქალთა მოძრაობის შესახებ მნიშვნელოვან მასალებს. ის გზა, რომელიც ქალებმა განვლეს იმისათვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის უნივერსალური (აქტიურიცა და პასიურიც) უფლება მოეპოვებინათ განსხვავდებოდა სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით. 21 ევროპულ ქვეყანაში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება XX საუკუნის დასაწყისში მიეცათ, ძირითადად პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. პირველი მათ შორის იყო ფინეთი, რომლის შესახებ მოგვითხრობს წერილი „დეპუტატი ქალები ფილეანდიის სეიმში“: ,,მთელ ევროპაში ფინლანდიამ პირველმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე და პირველმა მიანიჭა ქალებს, კაცებთან ერთად ხალხის წარმომადგენლების ცენტრალურ ორგანოში არჩევის უფლება. კაცებისა და ქალების უფლებრივი თანასწორობის მიზნით ფინლიანდიელი ქალები თვითონაც ირჩევენ და მათაც არჩევენ ხალხის წარმომადგენლებათ. დიდი ძალა და ენერგია შეალიეს

ფინლიანდიის ქალებმა პოლიტიკურ უფლებისათვის ბრძოლას. 1892 წლიდან ქალთა კავშირები გამწვავებულ აგიტაციას ეწეოდენ მცხოვრებთა შორის პოლიტიკურ უფლებების მოპოვებისათვის.

1907 წ. თებერვალში ფინლიანდია შეუდგა სეიმის არჩევნებს ახალი საარჩევნო კანონის ძალით. საგულისხმოა, რომ ქალებმა უფრო მეტი, უფრო მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, ვიდრე კაცებმა. დღეს, ფინლიანდიის სეიმში 19 დეპუტატი ქალია". (,,ცისკარი" N10, 18 ნოემბერი, 1907, გვ.8)

ფინლიანდიელ ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლაში ასეთი დიდი წარმატების საფუძვლად, - ავტორი მიიჩნევს - საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად ჩატარებულ რეფორმებს, რომელიც გამოიხატებოდა მოსწავლე ქალ-ვაჟების ერთ სკოლაში სწავლებით: ,,სქესის თანასწორობას, ფინლიანდიელ ქალთა განცხადებით, ხელი შეუწყო შერეული სკოლების არსებობამ, სადაც ქალები და კაცები ერთად სწავლობდნენ. აგრეთვე გელსინგფორსის უნივერსიტეტმაც, რომლის კარები დიდი ხანია ქალებისათვის ღია იყო" (,,ცისკარი" N10, 18 ნოემბერი, 1907, გვ.8).

ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ ფინლიანდიაში შერეული სკოლების არსებობამ იმთავითვე დაამკვიდრა ერთი უდაო ჭეშმარიტებაც: ადამიანი მიუხედავად სქესისა დაბადებიდანვე თანასწორია.

1911-1913 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი ,,კოლხიდა", რომლის რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ა. ჭუმბაძე (ივანე კილაძის ელექტრო-მბეჭდავი).

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ორგანო (პროგრამა მოცემულია პირველ ნომერში: N1, 25 მარტი 1911 წ.).

უახ. თანამშრ: კიტა აბაშიძე, გრ. გველესიანი, სილოვანი (ხუნდაძე), დ. უზნაძე, ჯაფარ-ფაშა (ალ. ჯაფარიძე); მწერლები: აკაკი წერეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მეგრელი, ნ. ჩხიკვაძე, ა. ჭუმბაძე და სხვანი.

სულ გამოვიდა: 1911 წ. N1 (25/III) – N224 (31/XII); თით. 4 გვ. F

1912 წ. N1 (1/I) – N152 (22/IX) „ „

1913 წ. N1(6/III) – N42(I/V) „ „

გაზეთის დროებითი შეჩერების პერიოდში - 1912 წ. შემდგომ და1913 წ. ზამთარი და აგრეთვე სრული შეწყვეტის შემდეგაც მის ნაცვლად გამოდიოდა გაზ. ,,იმერეთი" (1912-1915).

ქუთაისში გაზეთ ,,კოლხიდის" გამოსვლისთანავე ფართო დისკურსი გაიმართა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩართული იყვნენ ქუთაისში მოღვაწე მწერლები და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

უპირველესად ყურადსაღებია ერთი ინფორმაცია, რომელიც ხოტბას ასხამს საფრაჯისტთა მოქმედებას. ცნობილია, რომ სიტყვა საფრაჯიზმი წარმოსდგება ინგლისური სიტყვისგან ,,შუფფრაგე" - რაც ხმის მიცემას, არჩევნებში მონაწილეობას ნიშნავს. შესაბამისად ქალებს, რომლებიც პოლიტიკური უფლებებისათვის დაწყებულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ საფრაჯისტები ეწოდებოდათ. იყო ასევე ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლი რადიკალური დაჯგუფება ე.წ. საფრაჯეტები, რომლებიც ძირითადად საფრანგეთში მოღვაწეობდნენ და თავიანთი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. მათ აგრესიული ტაქტიკა შეხვედრების დარბევა, ფანჯრების ლეწვა განგებ აირჩიეს, რომ მიეპყროთ საზოგადოების ყურადღება. ისინი იმდენად გავლენიანები აღმოჩნდნენ თავიანთ ქმედებაში, რომ პოპულარულ ისტორიულ მეხსიერებაში ხმის უფლებისათვის მებრძოლი ქალები სწორედ აგრესიულ ქალებთან ასოცირდებიან, მაშინ როდესაც საფრაჯისტების უმეტესობა არ იზიარებდა საფრაჯეტების მეთოდებს და სურდა მათგან გამიჯვნა" (საბედაშვილი 2006:26).

სწორედ, საფრაჯეტების ქმედებაა ასახული გაზეთ „კოლხიდის“ ფურცლებზე: „მანდილოსანი წერდა: ,,ბ-ნო სინდიოფალა! რომ იცოდეთ, რა უბედური ვართ ქალები მამაკაცების გადამკიდე! მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე, სული და ხორცი მათ წინაშე მსხვერპლად მიგვაქვს, იგინი კიდევ მეტს მოითხოვენ ჩვენგან. არ გვაკმარეს შვილოსნობა, ძიძაობა, ხაბაზობა და ახლა სრულ ყურმოჭრილ მონობას გვიქადიან მტარვალნი! მათ ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენ, ქალები დასაბამი და დასასრული ვართ ამქვეყნიური, მიწიერი სიცოცხლისა; არ იციან რომ ჩვენი წყალობით აქვთ ნაბოძები ორიოდე დღის წუთისოფელი.

დღევანდელი სოციალური წყობილება და კანონიც მათ უდიერებას ხელს უწყობს, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ერთი იდეით განსჭვალული ქალები უშიშრად გაილაშქრებენ საუკუნეებით დამკვიდრებულ უუფლებობის წინააღმდეგ. დღეს განათლებული ქვეყნის ქალები გამოფხიზლდნენ და მედგრად მოითხოვენ დაწიხლული უფლებების აღდგენასა და ქალ-ვაჟთა გათანასწორობას.

განსაკუთრებით სიმტკიცით გამოირჩევიან ინგლისის აგრეწოდებული ,,სუფრა-ჟისტები“ ერთი მათგანი პარლამენტშიაც კი შეიჭრა საქადაგებლათ და ძალით რომ ვერ გაეყვანათ გარეთ, თავი ჯაჭვით მიიბა დარბაზის სვეტზე; მეორემ ისეთი გმირობა გამოიჩინა, რომ ურჩ მინისტრს საჯაროდ ქუჩაში სცემა. აი ასეთ უკიდურესობამდი მიიყვანა მამაკაცთა უდიერობამ ქალები“ (,,კოლხიდა“ N25, 28 აპრილი, 1911, გვ.3).

საერთოდ, გაზეთ ,,კოლხიდის“ თითქმის ყოველ ნომერში ასახულია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული და XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანამდე ისეთი ხასიათის წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ისტორიულ საფუძვლებისადმი მიმართულ დისკურსზე.

ამ წერილთა შინაარსი მიზნად ისახავს ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობას და ემსახურება ქალთა უფლებების დაცვას, რაც თავისთავად ფემინიზმის დოქტრინაა.

გაზეთში გაშუქებული წერილები, რომელთა ავტორებიც მამაკაცები არიან გამოირჩევიან თავიანთი რადიკალურობით და ისინი სქესთა შორის არსებულ უთანასწორობას თავიანთი დისკრიმინაციით კიდევ უფრო ამძაფრებენ.

წერილის ავტორი მამაკაცები ქალებს უწუნებენ ენის არ ცოდნას და რაც რუსოფილობის გავლენის შედეგი იყო. რამეთუ ისინი ,,რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ ამ მოარული კონცეფციიდან ამოდიოდნენ. მათ შეხედულებას ბევრი მომხრეც ჰყავდა და ბევრი მოწინააღმდეგეც.

მშობლიური ენის დაცემის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახლდათ რუსეთის იპერიალისტური ზრახვები, რათა მშობლიური ენა აღმოეფხვრათ არა მარტო სკოლაში, არამედ ოჯახშიც. აქვე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იმ დროს საკონტაქტო ენა მხოლოდ რუსული გახლდათ. რასაკვირველია, გარემოება დიდ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდა ქალთა ცნობიერებაზე, რადგან ზოგიერთ ავტორთა აზრით, ქალები ბუნებით უფრო ლმობიერები არიან და სკოლაში არსებულ რეჟიმს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. მსგავსი კრიტიკიდან დაზღვეულნი არც მამაკაცები იყვნენ. ისიც ცნობილია, რომ დავით კლდიაშვილმა პირველი მისი ნაწარმოები რუსულ ენაზე დაწერა.

საერთოდ, მშობლიური ენისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების სათავე, როგორც გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილშია აღნიშნული, ბევრ სამართლებრივ ელემენტებს შეიცავს: ,,ქალთა განათლების საკითხი ძალზე უნუგეშო მდგომარეობაშია. ამ საკითხის გარკვევას მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ქართველი ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

,,დღეს თუ ოჯახი არ გვივარგა და ოჯახში ქართული ენა დევნას განიცდის, ამის ბრალი უმთავრესათ იმ ,,კარტველ კალებს“ მიუძღვის, რომელთაც განათლება დღეს ჩვენში არსებული შკოლებისაგან მიუღიათ.

თანამედროვე ქალებს დღეს, რომ სამშობლოს სიყვარული მოთხოვო ძალზე უსამართლობა იქნება. ისინი როგორიც აუზრდიათ, სწორეთ ისეთნი არიან.

მათში 9-10 წლის განმავლობაში სთესდენ ყოველივე მშობლიურისადმი მძულვარებას, ცდილობდენ, რომ მათგან ამოეფხვრათ ნაციონალური გრძნობა. ამ მიზნის მისაღწევათ შკოლის ბატონ-პატრონნი სდევნიდენ და ავიწროებდენ სამშობლო ენას შკოლებში, უკრძალავდენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს ოჯახსა და საზოგადოებაში, ჩასჩიჩინებდენ გამუდმებით უცხო ენის სწავლის სარგებლობას.

სკოლის ბატონ-პატრონებს ამგვარი პოლიტიკის გატარებაში მხარს უჭერდა და ახლაც ეხმარებათ ოჯახი. ოჯახი ამგვარი მოქმედებით სჭრიდა სწორედ იმ ხის ტოტს,რომელზედაც თვითონ ზის“ (,,კოლხიდა“ N220, 24 დეკემბერი, 1911, გვ.1).

,,დრო იყო შეუსაბამო, გარემოება ვერაგი“. სწორედ, გარემოებიდან შობილი ეს სენი მოდად გადაიქცა და ელიტარულ საზოგადოებას უკვე სამარცხვინოდაც მიაჩნდათ მშობლიურ ენაზე საუბარი, რადგან სწამდათ რუსულად მეტყველება მათ განათლებულობას უსვამდა ხაზს.

ამ დისკურსში მკაცრი კრიტიკით გამოირჩეოდა ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის დირექტორის მოადგილე და ქართული ენის მასწავლებელი სილოვან ხუნდაძე. გაზეთის ფურცლებზე ,,კარტველი კალის“ სათაურის ქვეშ სილოვან ხუნდაძე ამათრახებდა ქართველ ქალებს და მათ უწინდელ დედათა სამაგალითო საქციელისკენ მოუწოდებდა: ,,სატირა, იუმორი, სარკაზმი და საზოგადოთ დაცინვითი კილო მწერლობაში სილოვანის მოგონილი არ არის - და ისეთ გონება დახშულთა და ფუქსავატ არსებათათვის, როგორიც დღევანდელი ქართველი ქალების უმრავლესობაა, სილოვანის წერილის კილო სრულიად სამართლიანი და მნიშვნელოვანი გახლდათ, სამართლიანი - რადგან ფუქსავატი ყოფაქცევა მხოლოდ დაცინვის ღირსია, და მნიშვნელოვანი - რადგან ბნელ - გონებიანი ადამიანი მხოლოდ საგრძნობელი ჩხვლეტით შეიძლება გამოვაღვიძოთ“ (,,კოლხიდა“ N82, ივნისი, 1911,გვ.2).

... ,,ენის მხრითაც ... უკაცრავათ, ქალებო, ნუ გავჯავრდებით - და ვიცნობ უმეტესობას ჩვენს აქაურ ქართველ ქალებს, მათის ქართულის ცოდნას, მათი წერის უნარს... დამწერი ქართველი ქალი თითებზე ჩამოსათვლელია, და რომელიც არის, მოაწერდა თავის საკუთარ სახელს ან და დარბაისელი - სამართლიანი სულაც არაფერს დასწერდა, რადგან მართლაც საპასუხო არაფერი იყო. უნდა გვესმინა და შეგვესმინა, ვინც ,,კარტველებად“ ვგრძნობდით თავს.“

თუ გაუჩუმდება ქართველი ქალი სილოვანის შენიშვნას, ეს იმის ნიშანია, რომ მისი შენიშვნა არის სამართლიანი და იგი ეხება იმ ქალების ნაწილს, რომელსაც სილოვანმა ,,კარტველი კალები“ უწოდა. სილოვანის წერილი საყოველთაოდ ქართველ ქალებზე რომ დაწერილიყო, მაშინ, აუცილებლად ვიტყოდით, დავწერდით და ვუკიჟინებდით ავტორს ,,შემცთარი აზრისათვის“. ,,ყველა ქალი არ ,,გაკარტველებულა“ უმრავლესობა საქართველოში ჯერ ქართველობს და თუ რამდენიმე ,,გაკარტველდა“ - ეს ნუ შეგაშინებთ, ბატონო სილოვან“(,,კოლხიდა“ N83, 9 ივლისი, 1911, გვ. 2).

სილოვან ხუნდაძე და სხვა ავტორებიც გამართულ ქართულად მეტყველების უცოდინარობასთან ერთად, ქართველ ქალებს თანამედროვე ჩაცმა-დახურვაზეც თავს ესხმოდნენ. მათ არ მოწონდათ შარვლები, შლიაპები, ღრმად ამოჭრილი კაბები, თუმცა თანამედროვე მამაკაცები ეროვნულ ტანსაცმელის გარდა სამოქალაქო სამოსაც ატარებდნენ.

წერილების ავტორებს ქალის თანამედროვე ჩაცმულობასთან ერთად აღიზიანებდათ ფერუმარილი და მათი კოხტა-გრეხა და მანჭვა. ეს ის დრო იყო, როცა თითქმის მთელს მსოფლიოში ახალმა საზოგადოებრივმა ნორმებმა, სოციალ პოლიტიკურმა ცვლილებებმა უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ევრო-ამერიკელ

მოქალაქეთა წეს-ჩვეულებებსა და ყოფაში. თუ ადრე რიგით უცხოელ ქალს კოჭებამდე ქვედაბოლო, შიგნით კი კორსეტი ეცვა, XX საუკუნის დასაწყისიდან კაბის სიგრძე მუხლს მიუახლოვდა. კორსეტი კი თითქმის გამოვიდა ხმარებიდან, მუქი ბამბის გრძელი წინდები თხელმა ნეილონის გამჭვირვალე კოლგოტკებმა შეცვალა. ერთი სიტყვით, ევრო-ამერიკელი ქალი მაქსიმალურად ცდილობდა გათანაბრებოდა და დამსგავსებოდა მამაკაცს. ამ დროს იყენებდნენ განსაკუთრებით ბევრ კოსმეტიკურ საშუალებებს თანამედროვე ქალები. ბუნებრივია, ქართველ მამაკაცთა მოთხოვნა, რომ ქართველ ქალებს ლეჩაქით ევლოთ მიუღებელი გახლდათ.

აშკარად ჩანდა, წერილის ავტორები, როგორც საერთო სენი იყო მსოფლიო საქმეებს მხოლოდ მამაკაცებს აკუთვნებდნენ, ხოლო ოჯახურ საქმეებს კი ქალებს: ,,კაცებს სახელმწიფო, ქალებს ოჯახი“. ამგვარი ლოზუნგია გაჟღერებული მათ წერილებში. მართალია, ,,მამაკაცის უმთავრეს მოვალეობას შრომა, ოჯახის რჩენა და საზოგადოებრივი საქმეები წარმოადგენდა, ის მაინც რჩებოდა ოჯახის მეთაურად და გადაწყვეტილების მიმღებად მნიშვნელოვან საშინაო საქმეებში. იყო ისეთი შემთხვევებიც, სადაც ეს დომინირება სიმბოლური, საზოგადოებრივი მიზნებისთვის ხდებოდა, ხოლო რეალურად ქალი მართავდა, არა მხოლოდ ოჯახურ საქმეებს, არამედ მეუღლის და სხვა მამაკაცი ოჯახის წევრების მეშვეობითა და საშუალებით ერეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებებში“ (საბედაშვილი2006:22).

ცხადია, ასეთ ქალთა სტერეოტიპებს მხოლოდ პრივილეგირებული კლასისა და მაღალი ფენების ქალები შეადგენდნენ, მაშინ როცა დაბალი ფენის ქალები მძიმე ფიზიკურ შრომას ასრულებდნენ ოჯახსა და გარეთაც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ქალების როლის შესახებ უამ–რავი მოსაზრება არსებობდა, როგორც ფემინისტურად, ასევე არაფემინისტურად განწყობილების. აშკარაა, რომ გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე დაბეჭდილ კორესპონდენციების ავტორები ჟან ჟაკ რუსოს გავლენას განიცდიდენ და თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ქალის ადგილი ოჯახშია და მან უნდა იზრუნოს ოჯახის კეთილდღეობისათვის. რუსო მიიჩნევდა, რომ ,,ქალი თავისი ბუნებით მგრძნობიარე და ნაზი არსებაა და რომელსაც ბედნიერებისათვის ოჯახში ფუსფუსი და შვილებზე ზრუნვაც ყოფნის.“

ალბათ, რუსოს კონცეფციიდან გამომდინარეა გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ის ათი მცნება, რომელიც ქალებს ურჩევს:

,,1) გიყვარდეს ქმარი შენი ყველაზე მეტად ქვეყანაზე და მოყვასი შენი.“ მუდამ გახსოვდეს რომ შენი სახლი და შენ ეკუთვნი ქმარს შენსას და არა მოყვას შენსას.

,,2) უყურე ქმარს შენსა, როგორც დიდებულ სტუმარსა და ძვირფას მეგობარსა“. ყურს ნუ უგდებ შენი მეგობარი ქალების ლაპარაკს.

,,3) ეცადე შენი ქმარი შინ ყოველთვის იყოს მოსვენებით და როდესაც ის სახლში ბრუნდება, მიეგებე მხიარული სახით“. არასოდეს არ გაფიცხდე თუ ქმარი ვერ შეამჩნევს უცბად შენ შეხვედრასა და იმ დღის საქმიანობას.

,,4) ნუ წარუდგენ ქმარს ნამეტანს მოთხოვნილებას“. მხოლოდ შეგიძლია მოითხოვო, რომ შენი სახლი არ იყოს ძალიან მხიარული, მაგრამ მასში მთავარია ბავშვებისათვის იყოს საკმაო ადგილი დათმობილი.

,,5) შენი შვილები ყოველთვის უნდა იყვნენ მხიარულნი და სუფთად ჩაცმულნი.“ მსგავსად უნდა გამოიყურებოდე შენც, რომ თქვენმა შემხედვარემ ქმარმა უნებლიეთ გაიღიმოს.

,,6) გახსოვდეს, რომ შენ გაყევი მას, რათა გაუყო სიხარული და მწუხარება.“ თუ მოხდა ისე რომ შენი ქმარი ყველასგან იქნა დევნილი შენ მაინც არ უნდა მიატოვო იგი ბოლომდე.

,,7) თუ შენი დედამთილი ცოცხალია, გახსოვდეს, რომ უნდა ეპყრობოდე გულკეთილათ“. დედამთილს ყოველთვის მოფერებით უნდა მიმართო და მოეპყრა.

,,8) ნუ მოსთხოვ ცხოვრებას იმას, რასაც ის სხვას არ აძლევს“. შენი ინიციატივით უნდა ეცადო მოიტანო რამე სარგებლობა, რათა სრულად ბედნიერი გახდე.

,,9) როდესაც საჭიროება და მწუხარება მოგვევლინოს ნუ დაიმადლებ თავს, და ნუ დაკარგავ იმედს: ბედნიერება დაბრუნდება“. ყოველთვის იმწუხრე შენი ქმრის გამო და თქვენ უნდა ვაჟკაცურად გადაიტანოთ მწუხარება.

,,10) თუ იგი გაგშორდეს ელოდე. თუ დიდხანს არ დაბრუნდეს, - კიდევ ელოდე“. თუ ქმარმა დაგტოვოს მაშინაც უნდა დაუცადო, რადგან შენ მარტო მისი მეუღლე კი არ ხარ ამ შემთხვევაში, არამედ მის სახელსაც პატივი უნდა მიაგო. მოვა დრო რომ იგი ოდესმე დაბრუნდება და დაგლოცავს“ (,,კოლხიდა“ N172, 28 ოკტომბერი, 1911,გვ. 4).

ასე რომ, ქალის უზენაეს დანიშნულებად რუსოსაც ეს 10 დებულება მიაჩნდა, სხვა დანარჩენი კი ჰარმონიის დამრღვევად და საზოგადოებისათვის სირთულეების მომტანად ესახებოდა.

რუსოსაგან განსხვავებით ფილოსოფოს მარკის დე კონდორსეს მიაჩნდა, რომ ქალებს და მამაკაცებს იდენტური პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონდეთ. მიუხედავად ამისა, იგი რუსოს მაინც ეთანხმებოდა იმაში, რომ ქალის ადგილი ოჯახშია. თუმცა, ამავე დროს,იმასაც ხაზს უსვამდა, რომ ,,პოლიტიკური უფლებების ქონა ქალებს არათუ ჩამოაცილებს ოჯახს, არამედ, პირიქით აქცევს უკეთეს მოქალაქეებად და თავიანთი მეუღლეების უკეთეს კომპანიონებად.“

ამ წერილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე გაშუქებულ მასალათა ავტორები ჯერ კიდევ შორს იდგნენ ფემინისტურად მოაზროვნე ფილოსოფოსებისაგან.

გაზეთ ,,კოლხიდის“ ორი ნომერი მიეძღვნა მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის იუბილეს. ეკატერინე გაბაშვილს ათი შვილი ჰყავდა. პირველი ხუთი ჩვილობაში დაეხოცა, მომდევნო ხუთი შერჩა. მწერალი ქალის ეკატერინეს ოჯახში იმდროინდელი ელიტა იკრიბებოდა. მეუღლე, დედა და ბებია საოჯახო საქმეებსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ერთმანეთს კარგად უთავსებდა. ამასთან იგი გახლდათ ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი, რომლის საყმაწვილო ლიტერატურაზე იზრდებოდა ქართველი ახალგაზრდობა. ეკატერინე გაბაშვილი, როგორც ქალი მწერალი თავის სიცოცხლეშივე მოესწრო საზოგადოებისაგან მისი შემოქმედებითი ნიჭის აღიარებას, რომლის ერთ-ერთი დასტური გახლავთ ქუთაისში ჩატარებული იუბილე: ,,მანათობელი ვარსკვლავი, ამგვარი მოჩუხჩუხე წყარო გახლავთ იუბილარი ეკატერინე გაბაშვილისა: ,,სამშობლო ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღფრთოვანებული, ნიჭიერი კალმით აღჭურვილი, მხატვრული ენით დამშვენებული, საწყალი ხალხისა და პაწია ქართველების ცხოვრების წარმტაცი, მომხიბლავი მხატვარი, თანაც სხვადასხვა ქართული საზოგადო საქმის მხურვალე მონაწილე, - აი ვინ არის ჩვენი იუბილიარი!“ (,,კოლხიდა“ N28, 1 მაისი, 1911, გვ. 1).

პატრიარქატის დამკვიდრების შემდეგ ყველა დროსა და ეპოქაში მძიმე იყო ქალის პირადი და სოციალური ცხოვრება. ქალთა უუფლებლობის ამ საფეხურებს ვერც საქართველო გადაურჩა. განსაკუთრებით ყველაზე მძიმე ტვირთი იყო აჭარელ ქალთა მდგომარეობა. ჩადრში გახვეულ ქალებს ეკრძალებოდათ ხმის ამოღება საჯარო შეკრებებზე და ერთი პატარა აქტივობისათვისაც კიცხავდნენ მას, როგორც საზოგადოებაში ისევე ოჯახში. ახალგაზრდა აჭარელი ქალი გათხოვების შემდეგ ქმრის საკუთრება ხდებოდა და მამის გავლენიდან ქმრის გავლენაში გადადიოდა. ქალთა უუფლებობის მძიმე მდგომარეობაა გაშუქებული გაზეთ ,,კოლხიდაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში: ,,ყოველი ადამიანის გულში მწარე სიბრალულს

გამოიწვევს ქალის მდგომარეობა აჭარა-ქობულეთში. ათი-თორმეტი წლიდან ვიდრე სიცოცხლის უკანასკნელ ხანამდი, საწყალი ქალი ეწევა მონურსა და მისი პიროვნების გამთელავ უღელს. წამოიზრდება თუ არა ქალიშვილი, მშობლები მას ჩადრში ხვევენ და ამ დღიდან მისთვის დახშულია ცხოვრება: სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას ნება არ აქვს გარდა ძმებისა და ბიძაშვილებისა სხვა მამაკაცს დაენახოს“ („კოლხიდა“ N224, 31 დეკემბერი 1911, გვ. 1).

ყურადღებას იპყრობს პრობლემური საკითხის წარმოჩენით გაზეთ „კოლხიდაში“ დაბეჭდილი ვრცელი წერილი, რომელიც გენდერული უთანასწორობის აშკარა ნიმუ–შია: „როგორც ამბობენ, ამორჩევა უნდა ყოფილიყო სქესობრივათ გათანასწორებული, ე.ი - აერჩიათ ორი ქალი და ორი კაცი. მაგრამ ეს არაფრათ ესიამოვნათ თურმე ზოგიერთ აქაურ „ინტელიგენტ“ მასწავლებლებს, საშინელი პროტესტი განაცხადეს და კიდევაც წინ და წინ გადასწყვიტეს არაფრის გულისათვის ქალი არ გაეყვანათ. მიუხედავათ ბ-ნი კიტას და ზოგიერთი მასწავლებლების სამართლიანი ჩივილისა, რომ ქალისათვის მიეცათ ადგილი, უმეტესმა ნაწილმა „ინტელიგენტ მასწავლებლებისამ“ თავისი გაიტანა სულ კაცები გაიყვანეს“ („კოლხიდა“ N161, 15 ოკტომბერი, 1911, გვ.3).

ცხადია, გენდერული დისბალანსის ფაქტს ვერც პროგრესულად მოაზროვნე მოწინავე საზოგადოების ნაწილიც ვერ ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან დიდი იყო ძალმომრეობის შეტევითი ქმედება. გარდა ამისა ფემინისტურად მოაზროვნე ქალებსაც და მამაკაცებსაც, წინააღმდეგობას უწევდა კონსერვატიულად მოაზროვნე ქალებიც, რაც მათი უმსგავსო საქციელის გასაბათილებლად გაზეთის შემდგომ ნომრებში ათასგვარი გამამართლებელი არგუმენტებია მოყვანილი.

„60-იანი წლების მეორე ნახევარი და 70-იანი წლები ქართველი საზოგადოების მეტისმეტად ტბორი ცხოვრების ამოძრავების ხანაა, - ხანა „მამათა და შვილთა“ შეჯახებისა საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე“ (ზურაბიშვილი1948:4).

მათი ბრძოლის საგანი იყო სოციალურ-პოლიტიკური საკითხები: ბატონყმობის გადავარდნა, ბანკის დაარსება და უმთავრესად ეროვნული კულტურისა და განათლების საკითხები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და მასთან ქართული ენის განვითარებისათვის თეატრის ჩამოყალიბება.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე ყვედრებით აღნიშნავდა: „ეგრეთ წოდებული მაღალი საზოგადოების“ მიერ ქართული ენის აბუჩად აგდებას ეხება ქართული სცენის დიადი მნიშვნელობა: „რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა...“ და რომელიც „ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე“. შემდეგ ილია ასკვნის: „... ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი - რომ მართლა გამწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენი ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე - რომ იგი უნდა იქნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა. დღეს, ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ“(ზურაბიშვილი1948:21).

ცნობილია, რომ თავდაპირველად საგანმანათლებლო მარათონში აქტიურად ჩაებნენ ქალები და მათ საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლა მასწავლებლობით დაიწყეს. ასევე იმ დროისათვის, როცა ქართული თეატრი ფეხს იდგამდა იგი ქალებისაგან მხარდაჭერასაც მოითხოვდა.

ამ ასპარეზზე საქმიანობისათვის ქალები წინააღმდეგობას აწყდებოდენ, როგორც ოჯახიდან ასევე საზოგადოებიდან. ისეთ გამოჩენილ პიროვნებას, როგორიც პლატონ იოსელიანი გახლდათ, მას თეატრი ეშმაკისეულ და გამყვრნელ პროფესიად მიაჩნდა. მარიამ საფაროვა იხსენებდა: „როდესაც ბებიაჩემის ყურამდე მიაღწია ჩემი თეატრში

შესვლის ამბავმა: ,,ისე დამიტირა, ვითომც მიცვალებული ვყოფილიყავ და სულ იმას იძახდა ,,რატომ დედაშენს მუცელში არ გაუწყალდი, თუ ასეთი სამარცხვინო ბედი გეწერაო.“ ბოლოს, აიღო და მამაჩემს მიწერა: ,,რაღა დაგიმალო, - ისევ ჩემგან შეიტყე, რა უბედურებაც გვეწვიაო, შენს ქალს თავი ვეღარ დავუჭირე, გავარდა და ... რაღაც ჯანდაბა თრიატი ჰქვიან, იქ შევარდაო“.

საშინელი რისხვის წერილი მომივიდა პასუხად: ,,მამა გიცხონდა, კაი სამსახურშიაც შესულხარ. ეგ რა მამაძაღლური სამსახურია ისეთი, რომ ღამით არის და არა დღისითაო... თავი დაანებე მაგ სამსახურს, თორემ, თუ ჩამოველი, მამაჩემი სოლომონი არ წამიწყნდება, სულ მათრახის წვერით აგაჭრელებო.“ ბებიაჩემმა ყვედრებით უთხრა აკაკის და სერგის - რაკი თქვენ გააუბედურეთ ეს ცოდვისშვილი და საქვეყნოდ თავი მოსჭერით, აიღეთ და თქვენ თითონ გაათხოვეთ. - ნუ გეშინიანთ, კნეინა ნინო, ეს უთქვენოდაც და უჩვენოდაც ადვილად გათხოვდებაო - უპასუხეს იმათ სიცილითო“ (ზურაბიშვილი1948:8-9).

მიუხედავად ასეთი სასტიკი წინააღმდეგობისა ბუნებრივი ნიჭის წყალობით მარიამ საფაროვა-აბაშიძისა ქართული თეატრის დიდი ოსტატი გახდა, რაზეც მეტყველებს გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები:„ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია წრფელი გრძნობით გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. დღეს მარტო თქვენი კი არა, ჩვენი დღესასწაულიც არის, რადგანაც შემთხვევა გვეძლევა აღვნიშნოთ ის კავშირი, რომელიც ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძართა შორის არსებობს. ეს ორი რამ დაგვჩენია დღეს ჩვენ და მათ შორის ხელოვნების ტაძარს უფრო მაღლა უჭირავს დროშა, უფრო უმწიკვლოთ აქვს იგი მას დაცული.

მაშინ, როდესაც დროთა ვითარების გამო ეროვნული მეცნიერება დაჩაგრული და შელახულია, ხელოვნება და სცენა, თქვენისთანა მოღვაწეების მეოხებით, უზაკველათ ემსახურება საზოგადოებასა და ახალ თაობას“ („კოლხიდა“ N16, 22 იანვარი, 1912 გვ.2).

მომლოცველთა შორის გახლდათ ქუთაისის ქალაქის მოურავი, რომელიც 30 წლიანი სასცენო მოღვაწეობისათვის ბრწყინვალე ნიჭით გამორჩეულ სცენის ოსტატს მაკო საფაროვას საიუბილეოთ უგზავნიდა დეპეშას: „იგი მივიდა მშობლიური ხელოვნების სამსახურში, აიღო ალღო, ქალმა, გმირმა თამამათ სძლია რუტინას, კარჩაკეტილობას და სამშობლო სცენის საკურთხეველზე ღვთიური ცეცხლით გამთბარი გული დასდვა. საცოდავ მაკოს ტრაგიკული ბედი არგუნა ამ აღფრთოვანებულმა სამსახურმა, მაგრამ ქართული სცენის მიმქრალი ვარსკვლავი კვლავ დიდხანს იქნება თაყვანსაცემი.

ქალაქის მოურავი ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის სახელით მდაბალ სალამს უძღვნიდა სახელოვან იუბილარს, როგორც ქართული გენიის გამომხატველს“ („კოლხიდა“ N16, 22 იანვარი, 1912, გვ.2).

ქართული სასცენო ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე მიღწევაში ფასდაუდებელი იყო ქალი მსახიობების როლი, სადაც ფემინისტური პროცესები ფართო წინააღმდეგობის მიუხედავად ჯანსაღ გარემოში ვითარდებოდა, ფრთებს ისხამდა და მასში უკვე მკვეთრად შეინიშნებოდა გენდერული პროცესების ნიშნები.

,,ქართული თეატრი დიდი სკოლაა ქართველებისათვის. ჩვენს ყოფაში უაღრესად მნიშვნელობის გახდა იგი. როცა მეფის რუსეთის პოლიტიკა მწვავედ შეიჭრა სკოლაში და ქართულ ენას განზე ცქერა დაუწყეს, აბუჩად აიგდეს და სასწავლებლიდან თითქმის განდევნეს იგი. ამ ენის სარალოდ ასპარეზად და საუნჯედ ქართული თეატრი შეიქმნა. სკოლიდან ექსორიაქმნილმა ქართულმა ენამ ბინა თეატრში მოიძია,“ - ჟურნალისტ დავით მესხის ეს სიტყვები დიდ სამოციანელთა მოღვაწეობის მთავარი პოსტულატი გახლდათ (მარჯანიშვილი 2010:64).

ცნობილია, რომ ქალთა საერთაშორისო დღის დაწყების იდეა პირველად XX საუკუნის დამდეგს გაჩნდა. 1909 წელს, ამერიკის სოციალისტური პარტიის დეკ–

ლარაციის საფუძველზე ამერიკის შტატებში პირველი ქალთა ეროვნული დღე 28 თებერვალს აღინიშნა.

1913 წლამდე ამერიკაში ქალთა დღეს თებერვლის ბოლო კვირა დღეს აღნიშნავდნენ. 1910 წელს სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრაზე კოპენჰაგენში ქალთა დღის დაარსება ქალთა მოძრაობის ღვაწლის დაფასების გარდა, ქალებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭების მოთხოვნისადმი მხარდაჭერასაც გამოხატავდა.

კონფერენციის 100-მა მონაწილემ ქალმა 17 ქვეყნიდან ერთხმად მიიღო ეს შემოთავაზება, თუმცა მაშინ კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებიათ. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად 1911 წელს ქალთა საერთაშორისო დღე ავსტრია, დანია, გერმანიასა და შვეიცარიაში 19 მარტს აღინიშნა.

ამ ქვეყნებში მილიონზე მეტმა ქალმა და მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა მსვლელობებში, რომელთა მოთხოვნები ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე მათი რაოდენობის გაზრდის გარდა, ქალებისთვის მუშაობის უფლების, პროფესიული წრთვნის საშუალებისა და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას შეადგენდა.

1913-14 წლებში რუსმა ქალებმა აღნიშნეს თავიანთი პირველი ქალთა საერთაშორისო დღე 1913 წლის თებერვლის უკანასკნელ კვირა დღეს.

რუსეთში ქალთა დღის აღნიშვნის ინფორმაციაა მოცემული გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე: ,,ამ რამდენიმე წლის განმავლობაში იმატა ქალთა წინსვლამ და განვითარებამ. აქა-იქ შეგნებულ ქალთა საზოგადოება აარსებს წრეებს, რომლის მიზანია, ქალი ქართულ ლიტერატურას, ისტორიას და სხვადასხვა საკითხსაც გააცნოს. ასეთ წრეებს აქვს მიზნათ დასახული აგრეთვე ბევრი საქველმოქმედო საქმეები. როცა ასეთ რასმე გაიგონებ და შეხვდები გაზეთებში ქალების შესახებ, სიხარული აგიტაცებს, გული მხიარულათ დაიწყებს ცემას“...

დიდი ხნის საოცნებო ნეტარება გვისრულდება, რადგან ვხედავთ ქალს მომუშავეს. საგულისხმოა ჩვენთვის 17 თებერვალი, ე.წ. ,,ქალთა დღე“ პეტერბურგში. მსგავსი დღეები საზღვარგარეთ ხშირად იმართებოდა და იმართება, მხოლოდ რუსეთში იგი პირველათ აღინიშნა. მოგეხსენებათ, რომ მთელ რუსეთში მილიონზე მეტი ქალი მუშაობს სხვადასხვა ქარხნებში. მარტო პეტერბურგში - 75 ათასი ქალი ყოფილა. ამ დღეს ისინი გამოდიან პეტერბურგში გამართულ ღონისძიებაზე და ლაპარაკობენ თავიანთ მოთხოვნილებაზე. ამასთან ისინი ხაზგასმით იმასაც აღნიშნავენ: ,,მუშა ქალი ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლებს მამაკაცთან ერთად მუშათა საერთო მიზნის განსახორციელებლათ; აცხადებენ, რომ ენერგიულათ და შეურყევლათ იბრძოლებენ საყოველთაო თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებისათვის.“

პირველი ნაბიჯების გადადგმა ცხადია ყველაფერში ძნელია, მაგრამ როცა საქმე დაიწყება,როგორც ეს ქალთა მოძრაობაში ხდება, მერე ვეღარ გააჩერებ მას. ამგვარად ამობრწყინდა ქალებისათვის დიადი მზე და მისი სხივები ,,სოფელსა ბნელსა“ გაანათლებს“ (,,კოლხიდა“ N1, 6 მარტი, 1913, გვ.3).

რაც შეეხება ქალთა დღის 8 მარტის აღნიშვნას, ამ ღონისძიებას საფუძვლად დაედო პირველი მსოფლიო ომის საფრთხის აცილებისათვის მებრძოლი სამშვიდობო მოძრაობის ღონისძიება, რომელიც ჯერ რუსეთში აღინიშნა.ხოლო მომავალ წელს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ქალებმა ომის წინააღმდეგ მსვლელობა 8 მარტს გამართეს. აქედან იქცა ქალთა საერთაშორისო დღედ 8 მარტი მსოფლიოს მასშტაბით.

,,XIX საუკუნეში ევროპაში თვალსაჩინო გახდა ქალთა მოძრაობა, რომელიც ბერძენი ექიმი მარია კალოპოკათესის განმარტებით წარმოადგენდა ქალთა უფლებების გააზრებულ მოთხოვნას და სისტემატიურ ძალისხმევას ამ უფლებების მისაღებად.“

ქალთა მოძრაობას მკვლევარები აფასებენ, როგორც მძლავრ სოციალურ მოძრაობას, რომელმაც თავი XVIII საუკუნეში იჩინა, მაგრამ ძალა XIX საუკუნეში მოიკრიბა და ფორმისა და ამოცანების ცვალებადობით დღემდე გრძელდება.

ქალთა მოძრაობის სათავე უპირველესად, როგორც ცნობილია საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში ქალების მონაწილეობამ განაპირობა. საფრანგეთის რევოლუციის ქალთა მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი პარიზელი სცენარისტი ქალი ოლიმპია დე გუჟი გახლდათ, რომელმაც დაწერა ,,ქალთა უფლებების დეკლარაცია" და ამ დოკუმენტის მიხედვით მამაკაცთა გარკვეული უფლებები შეიზღუდა.

საფრანგეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი მონაწილე დანიელი ემიგრანტი ბეტა პალმ დ' აელდერსი საზოგადოებრივ ასპარეზზე 1790-იან წლებში გამოჩნდა, რომელიც ქალთა პოლიტიკურ კლუბში მოღვაწეობდა. პალმის განცხადებით, ქალთა სექცია მიზნად ისახავდა ქალების უფლებების დაცვას.

მან დაარსა ქალთა კლუბი ,,ლეზ ამი დე ვერიტე" ("Les Amies de la verite" სიმართლის მეგობრები). კლუბი მხოლოდ მაღალი ფენის ქალბატონებისათვის იყო და მას ჰქონდა, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური მანდატი. კლუბის წევრი ქალები დიდ დროსა და სახსრებს ხარჯავდნენ ღარიბთა დახმარებისათვის.

ანალოგიური ქალთა ორგანიზაციები ჩამოყალიბდა საქართველოშიც. ამ მხრივ ნიშანდობლივია გაზეთ ,,კოლხიდას" 1913 წლის ნომრები, რომლებშიც უხვადაა მოცემული ინფორმაციები ქუთაისში ქალთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და დანიშნულებაზე: ,,ალბათ, ბევრს ემახსოვრება, რომ ქუთაისში ოფიციალურად ორ თუ სამ ოჯახში ცნობილი ქალბატონები მცირე წრეებში იკრიბებოდნენ და ქალთა უფლებებზე საუბრობდნენ. მათ კრებებზე ხშირად გვინახავს თვალსაჩინო მოღვაწეები: აკაკი და გიორგი წერეთლები, გიორგი ზდანოვიჩი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ჭიჭინაძე, ა. ჭყონია და სხვა მრავალი ინტელიგენტიც" (,,კოლხიდა" N71, 13 ივნისი, 1912, გვ.2).

დიდი ხანი არაა, რაც ქუთაისში ქალთა საზოგადოება დაარსდა. მისი წესდება შარშან დამტკიცდა და საზოგადოებამ მუშაობა წარსული წლის სექტემბრიდან დაიწყო: ,,მხოლოდ 8 თვეა, რაც მოქმედობს იგი და დღეს ამ საზოგადოების წევრებათ ითვლება 300-მდი ქალი და მათი რიცხვი მატულობს საოცარი სისწრაფით.

დღემდი ქალთა საზოგადოების მოღვაწეობა იფარგლებოდა რეფერატების კით–ხვით. ქალები იკრიბებიან ყოველ პარასკევობით და ისმენენ რეფერატებს, რომლის შემდეგ იმართება კამათი, ქალები ეცნობიან უმთავრესათ საქართველოს წარსულს, ისტორიას, ქართულ ლიტერატურას და ქალთა საკითხს.

„ამ საზოგადოებამ დაახლოვა, გააცნო და შეაერთა დაბნეულ - დაქსაქსულ ქუთაისში მყოფი ქართველი ქალები, მისცა მათ საერთო მიზანი, გაუღვიძა სოლიდარობის ალღო და აღძრა მათში სწავლის, შეგნების, თვითმოქმედების და საზოგადო მოღვაწეობის სურვილი.

წესდების ძალით ქალთა საზოგადოების მიზანია: გაავრცელოს განათლება დასავლეთ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ქალთა შორის და საჭირო შემთხ–ვევაში დაეხმაროს მათ ნივთიერათ.

საზოგადოების მოქმედება გამოიხატება შემდეგით: ქალთა საზოგადოება აარსებს შკოლებს, კურსებს, წიგნსაცავებს, სამკითხველოებს, კლუბებს, ბეჭდავს წიგნებს, მართავს ლექციებს და რეფერატებს, აგრეთვე არტელებს და დამხმარებელ კასებს".

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიბაძვით უკვე დაარსდა და არსდება 12-მდი ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგალითად: ხონში, ფოთში, ბათომში, ოზურგეთში და სხვა.

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოში პირველი პიონერია ამ დიადი მოძრაობის. იგი ცდილობს დღეს სხვადასხვა პრაკტიკულ დარგებშიც გამოიჩინოს თავის უნარი და საქმიანობა.

ჩვენ, მამაკაცები ზნეობრივათ ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ და ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ ნორჩსა და ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას“ (,,კოლხიდა“ N40, 27 აპრილი, 1913, გვ.3).

თუ ადრე ქალთა ორგანიზაციებში რეფერატებს კაცები კითხულობდნენ, მერე იგი კვალიფიციურად მომზადებულმა ქალებმა შეცვალა, რომელთა მოხსენებები თავისი შინაარსით მეტად მნიშვნელოვანია. ქალთა ორგანიზაციები ქუთაისის გარდა დასავლეთ საქართველოს მრავალ რაიონშიც შეიქმნა, რაც იმის დასაწყისია, რომ ქალები აშკარად, თავისუფლად გამოდიან იმ თანაბარუფლებიანობისა და თანასწორობისათვის, რაც მამაკაცებს იმ პერიოდისათვის ჰქონდათ და რაც მთავარია, ქალების გვერდით დგანან პროგრესულად მოაზროვნე მამაკაცები. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს უკვე გენდერულ ჩანასახებზე, როგორც სოციალურ კატეგორიაზე, რომელიც ისტორიულად ეპოქების მიხედვით მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა.

,,პარასკევ საღამოს ქალთა წრეში კ. აბაშიძემ ისაუბრა ქართული ლიტერატურის შესახებ. ლეკტორმა ამ პირველ საუბარში დაახასიათა ჩვენი ლიტერატურის საერთო მიმართულება. დასაწყისში ცოცხალი სურათებით ლეკტორმა განმარტა საქართველოს თვითარსებობის უკანასკნელი დღე; შემდეგ ახსნა ამ პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ლიტერატურა და რადარა ხანა გაიარა მან დღემდი.“

შემდეგ საუბრებში სისტემატიურად იქნება გარჩეული ყოველი ხანის წარმომადგენელ მწერალთა შემოქმედება“ (,,კოლხიდა“ N11, 17 მარტი, 1913, გვ.2).

,,ხვალ, კვირას ქუთაისის ქალთა საზოგადოება ქალაქის ბაღში (ბულვარში) მართავს დიდ სეირნობას ფართო და მრავალფეროვანი პროგრამით. ამ სეირნობას მეტად საინტერესო მიზანი გააჩნია: ქალთა საზოგადოებას სეირნობიდან შემოსული თანხით სურს დაარსოს ქუთაისში ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი.

იმედია, ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობას გამოიჩენს ამ დიდ სეირნობაში მონაწილეობით და თავის წვლილს შეიტანს ქალთა საზოგადოებისათვის თავის მიზნის მისაღწევად.

,,ლექტორებათ პირველათ მოწვეული იყვნენ მამაკაცები, ამ ბოლო თვეებში კი გამოჩდნენ ქალები, რომლებიც ამზადებენ და კითხულობენ ფრიად საგულისხმო რეფერატებს“ (,,კოლხიდა“ N40, 27 აპრილი, 1913, გვ.3).

,,გასულ პარასკევს რაისა ჩიხლაძის ასულმა ისაუბრა ქართველი ქალის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. რეფერენტმა პირველათ განიხილა ქალის მდგომარეობა ისტორიული ხანის დაწყებამდი“.

მომხსენებელმა საბუთებათ მოიყვანა ცნობები ხალხური გადმოცემებიდან და მოგზაურთა ანგარიშებიდან იმ ქვეყნების შესახებ, სადაც განათლებას ჯერ კიდევ არ შეუდგამს ფეხი და პირველ ყოფილი ხანის ზნე-ჩვეულებები და შეხედულებები ბატონობდნენ.

,,ამ წყაროების საშვალებით რეფერენტმა დაახასიათა რა მდგომარეობას განიცთიდა საზოგადოთ ქალი იმ ხანებში, როდესაც ,,კერძო საკუთრება“ არ არსებობდა. მაშინ ქალი თავისუფალი იყოო. მას ქონდა უფლება ცხოვრებაში მამაკაცთან ერთად ჩაბმულიყოო: ღებულობდა მონაწილეობას ომში, მართავა-გამგეობაში, მუშაობდა და სხვ (,,კოლხიდა“ N24, 3 აპრილი, 1913, გვ.3).

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა გულითად მადლობას სწირავს იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და ხსენებული საზოგადოების სასარგებლოთ ,,რადიუმში“ შვიდ მარტს გამართულ სეანსებს დაესწრო. მადლობას უცხადებს აგრეთვე ბ. ისაკ მესხს, რომელმაც თვისი გარდაცვალებული მეუღლის სახელით საზოგადოებას ხუთი მანეთი შესწირა.“

საერთოდ, ქუთაისის ქალთა საზოგადოების სახელით მიმდინარე ანგარიშზე ქუთაისის საურთიერთო ბანკში ამ ღონისძიებიდან 300 მანეთი ჩაირიცხა“ (,,კოლხიდა“ N30, 10 აპრილი, 1913, გვ.3).

გაზეთ ,,კოლხიდას“ ფურცლებზე ფოკუსირდება ახალგაზრდა ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ფაქტებიც, რომელიც ხასიათდება ფემინიზმის დამახასიათებელი ნიშნებით. ქუთაისში დაარსებულ წმინდა ნინოს სასწავლებელი, რომელიც ღვთის მოშიშსა და მორჩილ ახალგაზრდა ქალებს ზრდიდ–ნენ, მათი ღირსების შემბღალავი გარემოების გამო სასწავლებელში დიდი ბუნტი მიმდინარეობს და მათი ერთსულოვანი გამოსვლები ვერ დაამშვიდა ვერც თხოვნამ და ვერც რეპრესიებმა, ვიდრე საბოლოოდ არ გაიმარჯვეს. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ფემინისტურ მოძრაობაში ერთვებიან ქალთა უფლებებისათვის ყველა ასაკისა და უმაღლესი რანგის ქალები, რომელთა გაერთიანების მიზანია პრობლემური საკითხების გადაწყვეტა და აქ არსებულ ინტერესთა ჯგუფი დივერსიფიცირებულია ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალურ-კულტურული მახასიათებლების მიხედვით.

ინფორმაცია ეხება ქუთაისის ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროსად ერმოლაევას ქალის დანიშვნას: ,,ქუთაისის საზოგადოებაში წმინდა ნინოს სასწავლებელზე დიდი ხანია, რაც არა სასიამოვნო ხმები დადიოდა. სასწავლებლის ხელმძღვანელზე მოწაფე ქალები დიდ უკმაყოფილობას აცხადებდნენ და ეს პრო–ტესტი იქამდე გაიზარდა, რომ ერთ დღეს გუბერნატორის მოწვევაც აუცილებელი გახდა.

შაბათ დღეს, როდესაც მთელი სასწავლებლის მოწაფე ქალები დილის ლოცვისათვის დიდ დარბაზში შეგროვდნენ - ,,ლოცვის დაწყებამდი შევიდა მათთან სასწავლებლის უფროსი ქალი, რომელსაც სტვენითა და ყვირილით - მოგვშორდი, არ გვიდნიხარ! - დახვდენ მოწაფე ქალები. უფროსი ქალიცა და სხვა მასწავლებელნიც ბევრს ეცადენ, მაგრამ მოსწავლენი ვერ დაამშვიდეს. მაშინ აცნობეს გუბერნატორს, რომელიც მალე გამოცხადდა სასწავლებელში, დაამშვიდა მოსწავლენი და გამოკითხა გარემოება.“

მოსწავლეებმა გუბერნატორს განუცხადეს, რომ მათთვის მოეშორებიათ სასწავ-ლებლის უფროსი, რომელიც მათ ყოველდღე ლანძღვასა და შეურაცხყოფას აყენებდა. ეს ინციდენტი ერთ გარემოებას გამოუწვევია. სასწავლებლის უფროსს ერთი რუსი მოსწავლისათვის დაუვალებია, რომ თვალყური ედევნებია მისი ამხანაგებისათვის და ყველაფერი ამბავი მისთვის გადაეცა. ,,მოსწავლეს უარი უთქვამს ამ ,,ხელობაზე“ და უფროსსაც ვითომ ამ სიტყვებით მიუმართავს მისთვისო: - შენც გაიჟღენთე იმერლების ველური ინსტიკთითო...“ ამ სიტყვებით აღელვებულ რუს მოწაფეს ყველაფერი უამ-ბია თავისი ამხანაგებისათვის, რომელსაც ყველა ეროვნების მოწაფე აუღელვებია და ეს პროტესტიც ამის ნიშანი გახლდათ (,,კოლხიდა“ N33, 14 თებერვალი, 1912, გვ.2).

,,ჯერ კიდევ ორი დღის წინ ასეთი ხმა გავრცელდა, რომ ,,ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი ქალი გადაყავთო. მომხვდარ ინციდენტამდიც იყო ხმები, - ამ უფროს ქალს ორი თვით თავისუფლებას აძლევენ სამსახურიდან და უკან აღარ დააბრუნებენო“ (,,კოლხიდა“ N38, 19 თებერვალი, 1912, გვ.1).

,,6 მარტს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსა და სამზრუნველო კომიტეტს სხდომა ქონდათ თფილისიდან მოსული მოწერილობის გამო იმის შესახებ, რომ ხსენებული სასწავლებლის მოწაფეები უფრო სასტიკათ იქნენ დასჯილნიო“ (,,კოლხიდა“ N55, 10 მარტი, 1912,გვ.1).

,,ერმოლაევის ქალი ამავე სასწავლებელის ნამოწაფარია. უმაღლესი სწავლა მიღებული აქვს ბესტუჟევის კურსებზე. ამ მხრით არ გამართლდა ის ხმები - ძველი უფროსი ქალი ისევ დაუბრუნდება წმ. ნინოს სასწავლებელსაო - და ერმოლაევის ქალის დანიშვნის გამო მასწავლებლების კორპორაცია და მოწაფე ქალნიც ნასიამოვნები დარჩენ“ (,,კოლხიდა“ N135, 31 აგვისტო, 1912, გვ.2).

გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ინფორმაციები, ქრონიკები, ფართო ფორმატის წერილები თუ პუბლიცისტური ხასიათის ნარკვევები ისეთი ეპიზოდებისაგან შედგებოდა, რომელიც შეუმჩნევლად ერთმანეთს აეკინძება ხოლმე და ბოლოს, ერთად შეკრული წინ დაგხვდება. ამას კი ფემინისტური მოძრაობა უკვე ფართო შარაგზაზე გამოჰყავდა.

ქართველმა ქალებმა უკვე კარგად იცოდნენ, რისთვის მოვიდნენ და რა უნდა ეკეთებიათ ცხოვრებაში თავისუფლების, თანაბარუფლებიანობისა და თანასწორობისათვის.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ,,დილა“ 1912-1913 წლებში გამოდიოდა ქუთაისში. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო - ი. რუხაძე. (ფერაძისა და კარნაუხოვის ელექტრო მბეჭდავი; 1913 წელს სტამბა ,,ძმობა“). გაზეთი იყო სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო; გამოვიდა:

1912 წ. N1 (21/ VIII) – N20 (14/ IX) 4 გვ. F

1913 წ. N1 (5/ III) – N39 (23/ IV) ,, ,,

გაზეთ ,,დილა“-ს დროებითი შეჩერების პერიოდში გამოდიოდა (იმავე თანამშრომელთა შემადგენლობით) გაზეთი ,,მერცხალი“ (1912-1913). დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

ყოველდღიური გაზეთი ,,დილა“ თემატიკურად მრავალფეროვანია. მის ფურცლებზე ვხვდებით ინფორმაციებს, ქრონიკებს და სტატიებს, რომელთა უმრავლესობა უცხოეთის ამბებზე მოგვითხრობს. მათ შორის ფართო ადგილი უჭირავს რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვადასხვა ყოფის ამსახველ ახალ ამბებს. გენდერის საკითხთა მიმართებაში, საქართველო გახლდათ, როგორც ღრმად პატრიარქალური კულტურის მქონე ქვეყანა, მასკულინობისა და ფემინურობის კონცეფციების ჩათვლით.

მართლმადიდებლური რელიგიური მრწამსით საქართველო უფრო ახლოს იდგა რუსეთთან და ამიტომ რუსული გაზეთებიდან გადმოწერილი მასალები თუ ინფორმაციები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით ქართველ ქალებისათვის რუს ქალთა თავისუფლებისათვის ბრძოლა თვალსაჩინო მაგალითი იყო. ამასთან ერთად რუსეთიდან შემოჭრილი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ახალი ფორმა - სოციალიზმი, რომელიც პროლეტარული რევოლუციის შედეგად, ბურჟუაზიული ბატონობის დამხობითა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში გამოიხატებოდა, - ამ მოძღვრებას საქართველოშიც გარკვეული მიმდევრები ჰყავდა. მაშინ, როცა საქართველოში არ იყო არც კაპიტალისტები და არც პროლეტარიატი, როგორც ერთმანეთთან დაპირისპირებული კლასები. ამ ხასიათის ინფორმაციებიდან გაზეთში გაშუქებულია შემდეგი:

,,შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოანგარიშებით ქარხნის მუშების ბავშვთა სიკვდილი 60-70 აღემატება. უმთავრესი მიზეზი ბავშვების ასეთი ხშირი სიკვდილისა მდგომარეობს ბავშვების ცუდ გამოკვებაში.

ქალთა კლუბის პედაგოგიურმა სექციამ გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს თავის დაბეჩავებულ დებს. თავიანთ მოწოდებაში დედებისადმი, სთხოვენ მათ შეკავშირდნენ ერთ საზოგადოებათ საბავშვო ბაღის მოსაწყობათ, რომელშიც, აღზრდა საღ პრინციპებზე იქნება დამყარებული“ (,,დილა“ N1, 5 მარტი, 1913, გვ.3).

,,ქალთა თანასწორობის რუსეთის ლიგის მოსკოვის განყოფილებამ რუსის ქალებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: წავიდა ის დრო, როდესაც ქალთა მოძრაობის სფერო შეზღუდული იყო ოჯახის ფარგლებით. ეკონომიურ და სოციალურ პირობების შეცვლის გამო, ქალებს დაინახავთ მომუშავეთ ყველა სარბიელზე სახელმწიფოსა და საზოგადო ცხოვრებაში.

მართალია ქალთა მოძრაობა ჯერ-ჯერობით ნორჩია, მაგრამ მან ცოტაოდენი მაინც გააკეთა, მაგალითად: ,,კანონპროექტების შესახებ ,,ცოლ-ქმრის შორის გაყრა“, ,,ვექილ ქალების უფლების მინიჭებისა“, ,,სათემო თვითმართველობაში ქალების დაშვება,“ ყველა ეს პროექტები დეპუტატების მიერ შეტანილ იქმნა სახელმწიფო დუმაში. მოძრაობა, რომლითაც დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ გადალახავს ყველა შევიწროებებს, წალეკავს დაბრკოლებებს, თუ ქალთა შეერთებული ძალა ამოქმედდება“...

130 დეპუტატის ხელისმოწერით შევიდა დუმაში კანონპროექტი მასწავლებელ ქალების მამაკაცებთან უფლებრივათ გათანასწორების შესახებ, სამსახურისა და პენსიის მიღების მხრივ“ (,,დილა“ N20, 28 მარტი, 1913, გვ.4).

აქვე ვხვდებით ქალთა წრეში რაისა ჩიხლაძის მიერ წაკითხული რეფერატის შესახებ გამართულ პოლემიკას: ,,წასულ პარასკევს ქალთა ჩვეულებრივ საღამოზე წაკითხულ იქნა საინტერესო რეფერატი ქართველ ქალთა საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ. რეფერენტკას - რაისა ჩიხლაძის ასულს, ძალიან ფართეთ აეღო თემა. იგი შეეხო მატრიარხატის ხანას, რომელიც სხვათა შორის რაღაც მოსაზრებით ქალთა გარყვნილების ხანად აღიარა, რადგან მაშინ მრავალ ქმრიანობა არსებობდა. პატრიარქატი კი ქალთა ზნეობრივ ამაღლების ხანათ და თან მის მონობათ. შემდეგ რეფერენტკამ განიხილა ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის მიხედვით და ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალი ჩვენშიაც თითქმის ყოველ უფლებას მოკლებული მონა იყო.

მიუხედავათ ამისა, ქალები დიდ მონაწილეობას იღებდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქალიც ისეთივე ადამიანია, როგორც კაცი, მასავით შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევა. ცხადია, ასეთ ფართო თემაში მთლიანობის შეტანა ახალგაზრდა რეფერენტკისთვის ძნელი იქნებოდა, ამიტომ ჩვენ ამ ნაკლს მისი რეფერატისას გვერდს აუვლით.

კამათი გამოიწვია კრებაზე რეფერენტკას ერთმა დებულებამ, რომელიც ქართველ საზოგადოებაში დიდად გავრცელებულია. სახელდობრ, თითქოს შოთა რუსთაველი ქალთა თანასწორობის მომხრე ყოფილიყოს“ (,,დილა“ N24, 2 აპრილი, 1913, გვ.2).

,,სასოფლო გაზეთი“ - ყოველკვირეული სამეურნეო საოჯახო ჟურნალი იყო. იგი 1912-1918 წლებში გამოდიოდა ქუთაისსა და თბილისში. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: თ. პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე.

პოპულარული აგრონომიული ჟურნალი.

1912 წ. N1 (25/XI) – N6 (?)

1913 წ. N7 (?) – N53 (25/ XII) წლიური საძიებლით

1914 წ. N1 (1/I) – N28 (3/VIII)

1915 წ. N1 – N20

1916 წ. N1 – N24

1917 წ. N1 – N14

1918 წ. N1, N2

,,სასოფლო გაზეთის“ პირველივე ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი ,,დედაკაცისთვის საჭიროა სამეურნეო ცოდნა, თუ არა?“, რომლის ავტორი გახლავთ სასოფლო სკოლის პიონერი და ფუძემდებელი ილია წინამძღვრიშვილი.

მისი მოღვაწეობის შესახებ ილია ჭავჭავაძე თავის წერილში - ,,წინამძღვრიანთ - კარის ქართული სამეურნეო სკოლა“ - აღნიშნავდა: ,,ბევრი ხანი არ არის, რაც სოფელ წინამძღვრიანთ კარში, დუშეთის მაზრაში გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა გამართული ერთის კაცის მხნეობითა, ღონითა და ღვაწლითა...

სწორედ, სასწაულად მივიჩნიეთ, როცა ამ სკოლის ვითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ. მშვენიერი ქვითკირის სახლი, წინ მთიდან სკოლისაკენ დაქანებული ასის დღის მინდორი, რომელიც სკოლას საკუთრებად დაუმტკიცა სულის ჩამდგმელმა და დამაარსებელმა ბ.ნმა ილია წინამძღვრიშვილმა, სამჭედლო ყოვლის მხრით მოწყობილი, საცა ყმაწვილები მჭედლობასა სწავლობენ, ეგრეთ წოდებული ,,ფერმა", საცა თვითონ შეგირდს 70 საჟენი კვალი აქვს მიჩენილი საკეთებლად, კაბინეთი, საცა აწყვია სხვადასხვა სამოსწავლო საგნები, სხვადასხვა ნიმუშები სამეურნეო იარაღებისა, მცირეოდენი ბიბლიოთეკაც არის; ოთახი, საცა სხვადასხვა მცენარეობას ზრდიან ზამთრობით და ინახავენ, საფუტკრე მრავალი გვარის სკებითა და გეჯებით მოწყობილი - ყოველივე ეს ლამაზად, ფაქიზად და საქმის ცოდნით არის გამართული, მოწყობილი და მოვლილი.

თვითონ შეგირდები, რომელთა რიცხვიც ორმოცდასამამდეა, და რომელთ შორისაც თავადნი და აზნაურნიც არიან, აგრეთვე შორიდამ მოსულნიცა, მაგალითებრ, მთიულეთიდამ, გურიიდამ, კახეთიდამ და ქართლიდამ, სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენენ.

რაც ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა ამ სკოლას ღვაწლი დასდო, რაც თავის საკუთარის შეძლებიდან მოახმარა, რაც შრომა, ჯაფა და წვალება გამოიარა ნუთუ არა კმარა ერთის კაცისათვის?!

ბატონი ილია წინამძღვრიშვილი იმოდენად თავდადებულია ამ საქმეზედ, რომ თავის უანგარო ჯაფას და საქმის სიყვარულით გაძლიერებულს მხნეობას არ მოაკლებს თავისის თაოსნობით გამართულს და თავისის ძალღონით გაზრდილს საქმესა, მაგრამ ჩვენ მხრივაც ხელის მიწვდენა უნდა; ილია წინამძღვრიშვილის საქმე ჩვენი საკუთარი საქმეა, იმიტომ რომ ჩვენის ქვეყნისათვის სახეირო და სასახელოა... ვიმედოვნებთ, რომ ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებს ამ სკოლისათვის შესაწევარს თავის შეძლებისამებრ" (ჭავჭავაძე1987: 256-258).

ილიას ამ მოწოდებას გამოეხმაურა თავადი ზაქარია ერისთავი, რომელმაც თავად-აზნაურობას გადასცა ,,თავისი ოძისის მამული იმ პირობით, რომ თავად-აზნაურობამ თავისის მხრითაც შრომა მიიღოს, სამეურნეო სასწავლებელი გამართოს და სასწავლებელს საგზალი და სახსარი აღმოუჩინოს" (ჭავჭავაძე 1987:284).

ამასათან დაკავშირებით 1894 წლის 9 დეკემბერს გამოვიდა ბრძანება, რომ ნება დართულ იქნან შემოწირული თავადი ერისთავისაგან მამული 1.000 დესეტინა, რომელიც მის მამა-პაპეულ კუთვნილებას შეადგენს და საქართველოს თავად აზნაურობას გადაეცემა იმისათვის რასაც შემომწირველი აღნიშნავს.

საქმისადმი თავდადებული და მცოდნე მოღვაწის რჩევა-დარიგება გასდევს გაზეთში მოთავსებულ ზემოთ დამოწმებულ წერილს, რომელშიც ილია წინამძღვრიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: ,,ქართულ ოჯახში ბევრი ქალია უმაღლესი განათლებით, რომლებიც ირჩევენ მასწავლებლობას, ექიმობას, აფთიაქში მუშაობას. ,,მეურნე ქალები კი ჩვენში იშვიათნი არიან. ეს ნაკლი სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ უნდა შეავსოს. დაარსებით ქალთათვის სამეურნეო სასწავლებლისა, თავისი შემკული ფერმით, ყველა სამეურნეო დარგითა, სავარჯიშოთ მოსწავლე ქალებისთვის და ამ სკოლების საშვალებით გამოიწვიოს ქალები, მოსურნენი სამეურნეო სწავლის და ცოდნისა საკეთილოდ ოჯახისა და საზოგადოებისა" (,,სასოფლო გაზეთი" N1, 8 მარტი, 1912, გვ.4).

ილია წინამძვრიშვილი, იზიარებდა იმ აზრს, რომ საქართველო მიწათმოქმედების ქვეყნად იყო მიჩნეული, მაგრამ ამ დოვლათიანი მიწის დამუშავება ხალხმა საფუძვლიანად ჯერ კიდევ არ იცოდა. ახალგაზრდები ბოლო დროს მიწის და–მუშავებასაც კი გაურბოდნენ: ,,ჩვენი მანდილოსნები ერიდებიან სოფელს, ეჩოთირებათ

იქ ცხოვრება. ჩვენი ქალები თავისი ცოდნით და სწავლით, რომ დაუახლოვდნენ სოფელს, უფრო ჯანმრთელნი იქნებოდნენ და ძალაუნებურათ შეეჩვეოდნენ სამეურნეო შრომას; ბევრ სიკეთეს შეიტანდნენ სოფელში და მით გამოიყვანდნენ მკვიდრთ სიბნელისაგან, რომელშიაც დღეს ჟამთა ვითარებით მოცულნი არიან“ (,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912, გვ.4).

ავტორის აზრით სამეურნეო სწავლა კაცს ცოდნას აძლევს, აჩვევს სამეურნეო მუშაობას, მიწის წესიერად შეკეთებას, ხვნას, თესვას, ღვინის დაყენებას, ვაზის და ხეხილის დამყნობას, შეწამვლას, აბრეშუმის ჭიის მოვლას, ფრინველებისა და საქონლის მოშენებას, მეფუტკრეობას და სხვა.

,,ერბო-კარაქის და ყველის გაკეთებას, ტყის მოშენებას, ბამბისა და კანაფის გაშენებას. სამეურნეო იარაღის ხმარებას. ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედების ქვეყანაა, სადაც თავად-აზნაურობა და გლეხი მამულით სცხოვრობს. ამ გარემოებით მათ საშვილიშვილოთ უნდა შეინარჩუნონ და სარჩოს მოსაცემათ უნდა გაამდიდრონ თავისი მიწები.

ეხლანდელი ცხოვრება ყოველივე ამ საქმეს არამარტო კაცებისაგან არამედ ქალებისაგანაც მოითხოვენ, რადგან ,,მამაკაცის სიკვდილის შემდეგ რჩება მამული, წვრილ -შვილი უპატრონოდ ცოლის ანაბარად. მამულის მართველად, მანამ შვილები წამოიზრდებიან და გახდებიან უფლებით სავსე ოცდაერთის წლისა, სამსჯავრო ალაგი ნიშნავს შვილების მზრუნველათ დედას. თუ დედას სამეურნეო ცოდნა და სწავლა არ ექნება, მას გაუჭირდება რიგიანად და წესიერად მამულის მოვლა“ (,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912, გვ.4).

ილია წინამძღვრიშვილს თავის წერილში სამაგალითოდ მოჰყავს თავადის ასულის საქმიანობა, რომელმაც კახეთში მშვენიერი სამეურნეო საქმიანობა გააჩაღა:,,ქალები ვერ გაიკიცხვებიან იმით, რომ ისინი არ სწავლობენ მეურნეობას, რა ქნან... მთელს საქართველოში დღევანდლამდე არ არის ქალთათვის არც დაბალი, არც მაღალი სამეურნეო სასწავლებელი. ვისაც სურვილათ აქვს მეურნეობის შესწავლა და საშვალება მიუძღვის, გადის საზღვარგარეთ, შვეიცარიაში ან სხვადასხვა ევროპის ქალაქებში, სადაც სამეურნეო სასწავლებელია, იქ სწავლობს და ვარჯიშობს. აი ამისი მაგალითი: თავადის ქალმა ეკატერინე ლევანის ასულმა ჯანდიერმა შეისწავლა მეურნეობა შვეიცარიაში და დაამთავრა სწავლა. დღეს ამ ქალ-აგრანომმა კახეთში თელავის მაზრაში, სოფელ ვაჩნაძიანში, მამის მამულში მოაწყო ყველა მეურნეობის დარგი სამაგალითოდ, როგორც სწავლა-მეცნიერება იმას მოითხოვს. მეურნეობა იმას დიდათ ახალისებს და სწამს იმისი სიკეთე ოჯახისა და საზოგადოებისათვის.“

ამ ქალის კეთილმა მაგალითმა მკვიდრ ქალთა თანაგრძნობა გამოიღო და სოფლის მუშაკთა შკოლა შესდგა, რომლის მოსწავლეები არიან გლეხის ქალები. თავადი ჯანდიერის ქალის ხელმძღვანელობით ისინი სწავლობენ ვენახში, ბაღში, საფუტკრეში საქმიანობას და ჭიის მოვლა-მოშენებას.

ჩვენმა მანდილოსნებმა რაკი შეიგნეს სიკეთე სამეურნეო ცოდნისა, იმედია ქალთა სამეურნეო სკოლასაც დაარსებენ“ (,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912, გვ.4).

ილია წინამძღვრიშვილის სურვილი გამართლდა და როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: ,,ჩვენ მოგვივიდა მთავრობისაგან გამტკიცებული წესდება სოფლის მეურნეობის ქალების სასწავლებლისა... უკანასკნელ ხანში სხვადასხვა პროექტი მზადდება სამინისტროს მიერ ქალთ განათლების შესახებ, მთავრობას საჭიროდ დაუნახავს დედათა სქესს მეურნეობაშიც წილი დაედოს.

ასეთი განკარგულება, რასაკვირველია დიდის თანაგრძნობით იქნება მიღებული, ნამეტურ ხალხის მიერ, რადგანაც გლეხთა ქალები მრავალგან თითქმის იმდენს ამუშავებენ მიწას, რამდენსაც თვით მამაკაცნი... ამასთან დაბალ სამეურნეო სასწავლებელში - კი ეძლევათ ქალთა უფლება შეისწავლონ მიწის მუშაობა,

განვითარდნენ და დახელოვდნენ მამულის მოსავლელად, მაგრამ ამნაირივე უფლება ენიჭებათ მათ უმაღლესი სამეურნეო განათლების მისაღებადაც, თუ არა?...

ადვილად შესაძლოა, რომ ჩვენი მოლოდინი გაცუდდეს, და უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის კარები მომავალშიც დახშული იქნეს ქალთათვის; მაგრამ პირველი ნაბიჯი დედათა სქესის რომელისამე უფლების მინიჭებისა, მაინც მოსალოცავია და სასიამოვნო მისაგებებელი“ (ჭავჭავაძე 1987:283).

გაზეთის ინფორმაცია გვამცნობს, რომ თბილისში, კვირას, 9 თებერვალს, ,,ქართველ სათავად-აზნაურო საქალებო გიმნაზიის ტიპის გამოსარკვევათ კომისიას კრება ჰქონია. საქმის დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ სასურველათ უცვნიათ სასოფლო სამეურნეო ტიპის სასწავლებელი გაიხსნას“(,,სასოფლო გაზეთი“ N24, 6 ივნისი, 1914, გვ.15).

აშკარაა, ამ პირველ ნაბიჯებს მამაკაცისა და ქალთა გათანაბრების შესახებ ილია ჭავჭავაძე პროგრესულ გადაწყვეტილებად მიიჩნევდა, რაც უკვე გენდერული თანასწორობის ჩანასახის მომასწავებელი იყო.

ქალების სამეურნეო სასწავლებელში განათლების მიღების საქმეს, ასევე ფართოდ გამოეხმაურა ქუთაისელი მუჩიტო ხუნდაძე, რომელიც გახლდათ ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის დირექტორის მოადგილისა და ქართული ენის მასწავლებლის სილოვან ხუნდაძის ქალიშვილი: ,,წლიური საზრდო აუცილებლათ უნდა მოვიყვანოთ. ახალგაზრდა ვაჟები ომში მიდიან, მაგრამ მათი ტოლი, ჯან-ღონით და სიცოცხლით სავსე ქალები შინ დარჩნენ, გაცარიელებულ სოფლებში. თუ ისინი უწინ ყანაში მომუშავე მუშებს, ქმრებს და ძმებს მხოლოთ საჭმელს უზიდავდნენ და იმედით შეჰყურებდენ მათი მარჩენალის მიერ მარჯვეთ მოქნეულ თოხს - ახლა თვითონ უნდა გაიდვან თოხი მხარზე და დაობლებულ ველ-მინდვრებს უნდა მოეფინონ თავისი და ქვეყნის საზრდოს მოსაყვანათ. ახალგაზრდა ქალებს ამისი ძალა შესწევთ“ (,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912, გვ.9).

,,სასოფლო გაზეთი“-ს მოკლე ინფორმაცია გვამცნობს, რომ რუსეთში უკვე მოქმედებს ,,ქალთა სამეურნეო ინსტიტუტი“: ,,ქალაქ ნოვოჩერკასკში არსდება ქალთა სამეურნეო ინსტიტუტი. ამ სასწავლებლისთვის ადგილობრივ ქალაქის საბჭოს 55 დესეტინა მიწა შეუწირავს“ (N10, 16 მარტი, 1914, გვ. 11).

ქალის მეურნეობაში მუშაობასა და მის მართვა-გამგეობაზეა ყურადღება დათმობილი 1914 წლის 22 ივნისის N22 ,,სასოფლო გაზეთი“-ში (გვ.11). ავტორი ვ. ქიქოძე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში ქალებს და რამდენიმე რჩევა-დარიგებასაც სთავაზობს: ,,ამნაირათ სოფლის მამულის და მეურნეობის შეძულებას და მიტოვებას, რაშიაც დიდი წილი ქალებსაც უდევს, მოჰყვა ის რომ მწარმოებელთა რიცხვი დღითი-დღე მცირდება, და პირიქით მრავლდება რიცხვი მომხმარებელთა, რაც დიდათ უშლის ხელს ცხოვრების ეკონომიური განვითარების საქმეს ჩვენს ქვეყანაში. უმთავრესი წარმოება საქართველოში მეურნეობა გახლავთ. რაც უფრო საფუძვლიანია სამეურნეო ცოდნა მით უფრო წინ მიდის მატერიალური მდგომარეობა.

შრომის მოყვარულ ოჯახებისაგან შემდგარი სოფელი მატერიალურათ ყოველთვის წინ სდგას და ზნეობაც მეტი არის იქ დაცული. ოჯახის მართვა-გამგეობა ყოველთვის ქალს აქვს ხელში და მისი თავიც ის არის. შემცდარია ის, ვინც ფიქრობს რომ მამაკაცი თვით ოჯახში უმთავრეს როლს თამაშობდეს. აბა გადახედეთ ოჯახებს, სადაც ქალი (ოჯახის დედა) ზნედაცემულია, ზანტია და შრომის უნარს არის მოკლებული, იქ მთელი ოჯახის საქმე არეულ-დარეულია და შიგ საერთო გარყვნილება და სიზარმაცეა გამეფებული. და როდესაც ოჯახს ზნეობრივათ მაღლა მდგომი, შრომის მცოდნე და მოყვარული ქალი განაგებს, მაშინ იქ ყველაფერი თადარიგზე არის, ყველა შრომას ეჩვევა და ეწევა და ზნეობაც კარგად არის დაცული“.

გამოდის, რომ ქალები არა მარტო საგანმანათლებლო სისტემის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში უნდა იყვნენ აქტიურად ჩაბმულნი, არამედ, მამაკაცებთან ერთად უნდა შრომობდნენ მატერიალური დოვლათის შესაქმნელადაც, ქალისა და მამაკაცის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლადაც.

პატრიარქატის დროიდან მოყოლებული ეკონომიური ბერკეტების ხელში ჩაგდებამ და ფიზიკური ძალის ხარჯვამ, რაკი მამაკაცთა დომინანტობა გამოიწვია ოჯახსა თუ მის გარეთ, რომელსაც ქალთა დაქვემდებარება მოჰყვა, ამ დისბალანსის გათანაბ–რებისათვის უკვე დრო მოითხოვდა მათი შრომისადმი თანაბარუფლებიანობის დამკვიდრებას: ,,ჩვენს მეურნეობაში ბევრი ისეთი დარგია, რომელიც ზედგამოჭრილია ქალისათვის. ავიღოთ მაგალითად მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, შინაური ფრინველების მოვლა, მოშენება, მეწალკოტეობა, მეაბრეშუმეობა, ხილის ხმობა და კონსერვების კეთება და სხვა მრავალი ამგვარი. როდესაც მამაკაცი სახლს გარეთ გადის სამუშაოთ, ან და სხვა რომელიმე მძიმე დარგს მეურნეობისას წინ მიუძღვის, ქალს ამ დროს სახლში ასეთი ფიზიკურათ ადვილათ შესასრულებელი, მაგრამ სარგებლიანი და საყურადღებო საქმე რჩება.

დღეს ჩვენი დედები და დები სოფლის მამულის მართვა-გამგეობას (ვისაც გაუყიდველი დარჩენია) დაქირავებულ პირს აძლევენ და თვითონ ქალაქებში, უსაქმოთ მოწყენილნი ფერ-უმარულის, მოდის კაბა, შლიაპების ფიქრში და ლოტო-ბანქოს თამაშში კლავენ დროს. ისინი მეურნეობის ცოდნით აღჭურვილნი სოფელს ვერ დაუბრუნდებიან, ვერ გამოაცოცხლებენ მას და, ვერ წარმოგვიშობენ ჩვენს საღს და ენერგიით სავსე და ჯაფის მოყვარულ ახალგაზრდა თაობას“ (,,სასოფლო გაზეთი“ N23, 29 ივნისი, 1914, გვ.8).

,,აღიარებულია, რომ ძალაუფლება იმის ხელშია, ვის ხელშიაც ეკონომიური ცხოვრებაა“ - და ფაქტიურად, მიწათმოქმედ საქართველოს მთელი ,,ეკონომიკა“ გაერთიანებულ კოოპერატივების ხელში იყო. თითქმის ყველა დარგის სასოფლო მეურნეობაში ჩამოყალიბდა ,,საწარმოო კოოპერატივები“ - ,,კახეთი“, ,,ქართლი“, ,,დიდი ლილოს მერძევეთა ამხანაგობა“; ,,მწყემსი“, ,,ქიზიყელთა მეთამბაქოობა“; ,,სინდიკატი“, ,,გორის მაზრის ხორბლეულისა“; ,,კავშირთ-კავშირი“ (ღვინო); ,,თან-დათან ყველა ესენი კავშირდებოდნენ ერთ დიდ ამხანაგობაში, რომელსაც მისი პირ-ველი თავმჯდომარის ივ. ციციშვილი ინიციატივით, დაერქვა ,,წარმოკავშირი“, ე.ი ,,მწარმოებელ კოოპერატივების კავშირი“.

ეს იყო ნამდვილი ქართული საქმე ყველა თავისი კარგითა თუ ავით. ,,კახეთის“ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 150-მდე აღწევდა, უმთავრესად გლეხების მიღებით სიღნაღის მაზრიდან. ეს კოოპერატივი უდიდესი წარმოებისა იყო მთელი რუსეთის მასშტაბით, რომელსაც განყოფილებები ჰქონდა ბაქოში, როსტოვში, პეტერბურგში, აშხაბათსა და ტაშკენტში. კახური ღვინო იყიდებოდა თბილისიდან არხანგელსკამდე და ვარშავიდან ვლადივოსტოკამდე“ (გაბაშვილი1992:106).

,,ჩვენს კოოპერატიულ დაწესებულებებში დღემდი მსახურობენ მხოლოდ მამაკაცები, ქალები კი ძალიან ნაკლებათ იღებენ მონაწილეობას ამ დაწესებულებათა მოქმედებაში, თითქოს შევრიგებოდეთ იმ აზრს, რომ კოოპერაცია მათი საქმე არ იყოს.

თუ მშვიდობიან დროში ქალები რაიმე მიზეზის გამო განზედ უდგნენ კოოპერა-ტიულ მოძრაობას, ეხლა, ამ საშინელ განსაცდელის დროს, ხომ გვაქვს საბაბი, რომ ისინი არ დაიშურებენ თავის ენერგიას და შრომის უნარს გამოიჩენენ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებათა მუშაობაში, განსაკუთრებით ამ ჟამათ, როცა ქალები მარტონი არიან ოჯახში და საზოგადოებაში, დაყრდნობილნი თავის საკუთარ ძალ ღონეზე, უფრო დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ მიიღონ კოოპერაციის სასარგებლო მუშაობაში მონაწილეობა“ (,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912, გვ.7).

,,ნდობის აღდგენით და წევრთა გამრავლებით, ბითუმათ ვაჭრობაზედ გადასვლით თანდათან საქმე გამოცოცხლდა, გაფართოვდა, შევიძინეთ საკუთარი საწყობი გორში, ავაშენეთ ხილის სახმობი ქარხანა; გავიჩინეთ ხარ-კამეჩი ურმით და ცხენები საკუთარი ტრანსპორტით; გვქონდა განყოფილებანი გორსა და სამტრედიაში თავისი გამგეებით, მოგვდიოდა თანდათან ხილი იმერეთიდანაც (მუხიანი, საჩხერე, სამტრედია და სხვა); ბათუმიდან მანდარინი, თხილი და დაფნის ფოთოლი; კახეთ-საინგილოდან და, რაღა თქმა უნდა მთავარი საფუძველი იყო გორის მაზრის შეუდარებელი ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვა“ (გაბაშვილი1992:100-101).

,,სოფლებში საზოგადოთ ნაკლებია განათლებული კაცები, რომელთაც შეეძლოს კოოპერატიულ დაწესებულებათა საქმეს კარგად გაუძღვენ, ჩვენ კი საკმაოთ გვყვანან გიმნაზია დამთავრებული ქალები, რომელთაც შეუძლიათ სოფლებს დაეხმარონ კოოპერატივების მართვა-გამგეობაში.

ცხადია, ადამიანი პირობების მიხედვით იცვლება და ჩვენს ქალებშიც მოხდება საკეთილო ცვლილებები თუ ისინი ხელს მოკიდებენ კოოპერატიულ დაწესებულებაში საქმიანობას“ (,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912, გვ.7).

ამრიგად, ფემინისტების დამსახურებათ უნდა ჩაითვალოს ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მოხდა თანდათანობით ქალებისა და კაცების რეალური თანასწორობის სფეროში საქართველოში.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, ქალთა საკითხებში პოზიტიური ცვლილებები, უპირველესად, განაპირობა შემდეგმა მოვლენებმა:

1. ქალების მასობრივმა ჩართვამ საზოგადოებრივ წარმოების პროცესებში;
2. ქალთა მოძრაობის თანდათანობითმა განვითარებამ, რამაც იმოქმედა პატრიარქალური სტერეოტიპების მსხვრევაზე;
3. საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის დამკვიდრებაზე.

ასე რომ, თუ ადრე ქალები, მხოლოდ ,,გამოყენებითი ხელოვნებით იყვნენ დაკავებულნი, როგორიცაა: ქსოვა, ქარგვა, კერვა, მაქმანებისა და პირბადეების კეთება მხოლოდ ნემსის საშუალებით და მათ მაღალი კლასის მყიდველები იძენდნენ, XX საუკუნიდან ქალური ინდუსტრია უკვე ჩაერთო ეკონომიური განვითარების მრავალ სფეროში. ამიერიდან, ქალებს ოჯახის შემოსავლის გაზრდა საგრძნობლად შეეძლოთ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ ქუთაისში 1913-1914 წლებში გამოდიოდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ლევ. პ. ბუაძე (ი. კილაძის მსწრაფლმბეჭდავი). სოც. დემ. მიმართ. ორგანო; იცემოდა გაზეთის ,,თანამედროვე ქვეყანა“-ს ნაცვლად. სულ გამოვიდა:

1913 წ. N1 (8/V) – N25 (22/IX)

1914 წ. N1 (1/I) – N48 (28/II)

1903 წელს, ლონდონში შესდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობა. ამ ყრილობაზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ. ერთს სათავეში ჩაუდგა ლენინი, მეორეს - პლეხანოვი. ლენინი დიქტატურის მომხრე იყო. ის ამტკიცებდა, რომ შრომელი კლასი უნდა განთავისუფლდეს დიქტატურის გზით. პლეხანოვი და მისი თანამოაზრენი კი იყვნენ მშრომელი ხალხის დემოკრატიული გზით განთავისუფლების მომხრენი. ამ ნიადაგზე ატეხილმა დავამ პარტიაში განხეთქილება გამოიწვია. ლენინმა სამი ხმით მეტი მიიღო და მის მიმდინარეობას ,,უმრავლესობა - ბოლშევიკები ეწოდა; ხოლო პლეხანოვი - ,,უმცირესობაში“ - აღმოჩნდა მის მიმდინარეობას მენშევიკები დაერქვა. ასე, რომ პარტია ორად გაიყო.

1905 წელს მთელი რუსეთის იმპერიაში რევოლუციურმა მოძრაობამ იმატა. რასაც ხელი შეუწყო რუსეთ-იაპონიის ომმა და ამ ომში რუსეთის დამარცხებამ. 1905

წლის თებერვალში ამიერკავკასიის რკინისგზის დიდი გაფიცვა მოხდა. და, აქედან დაიწყო მკაცრი რეპრესიები საქართველოშიც. რევოლუციის მომხრეთაგან დიდი ნაწილი დააპატიმრეს, ზოგი პოლიტიკური ტუსაღი ადგილზე დახვრიტეს და ზოგიც გადაასახლეს.

1905 წელს მთელი საქართველო დაყოფილი იყო ორ პარტიად - ერთი რუსული ,,სოციალ-დემოკრატები" და მეორე - ,,ქართულ სოციალ-ფედერალისტებად".

,,მთელი ინტელიგენცია, - საიდანაც უნდა ყოფილიყო, - თავადი, ბრწყინვალე წოდებიდან თუ აზნაური, ბურჟუაზიიდან, გლეხობიდან თუ სხვა, თავმოყრილი იყო ფედერალისტებთან. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტია თავს იკლავდა მარქსის ,,მეცნიერულ" სოციალიზმისათვის. ,,და პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" მოქმედებდა იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი არ არსებობდა და ,,ძირს ბურჟუაზია", სადაც აქ-იქ ძლივს ჭყაოდა თითო-ოროლა ბურჟუა.

სოციალ-დემოკრატიაში თავმოყრილი იყო ,,ნახევარ-ინტელიგენცია" - გაკოტრებული თავად-აზნაურობიდან, უმეტესად სასულიერო წოდებიდან. (ტყუილად კი არ ეძახდნენ ,,დიაკვნის შვილებს") და ათასში ერთიც არ იყო ,,ხელმძღვანელებში" - გლეხის ან მუშის შვილი.

საერთოდ მთელი ,,სოციალიზმი" ჩვენში შემოტანილია განსაკუთრებით თავად-აზნაურობისაგან (გაბაშვილი 1992:88).

1905 წლის გამოსვლების შემდეგ რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული იდეები მაინც ცოცხლობდნენ და მარქსიზმის ტალღამ მთელი საქართველო მოიცვა.

რევოლუციური განწყობა საგანმანათლებლო სისტემაშიც დამკვიდრდა: ,,ჩვენი გიმნაზიის დიდი უმრავლესობა სოციალ-ფედერალისტებს ემხრობოდა; სოციალ-დემოკრატები ძალიან მცირე რიცხვით შემოიფარგლებოდნენ და მათ შორის მეც გახლდით. იმ დროს უკვე სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის რედაქციაში შევდიოდი ხოლმე და ხან და ხან თარგმნას მავალებდნენ; უფროსები ჩვენ ძალიან გვიფრთხილდებოდნენ, რადგანაც თვითონაც ხედავდნენ, რომ მოსწავლეთა შორის მათი მიმდევარი ძალიან ცოტა იყო...

ხანდახან დავდიოდი ფედერალისტების კლუბში ჩემ ამხანაგებთან და ლამაზი გოგონების სანახავად. ამაზე აჯანყებული იყვნენ ჩემი პარტიული ამხანაგები, მაგრამ თედორე ასათიანმა მიმფარველა და დამიცვა:

რა გინდათ?! აბა ჩვენ, პარტიულ ინდაურებთან იაროს ვიქტორმა?! გულმოსულმა თქვა მან. ,,პარტიულ ინდაურებს, უწოდებდნენ ხუმრობით სოციალ-დემოკრატ ქალებს, რომლებიც მაინც და მაინც ლამაზი არ იყვნენ", - აღნიშნავდა თავის მოგონებაში ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე და დიდი რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე (შარაძე 1991:387,391).

იმ პერიოდის ქუთაისის პრესა, განსაკუთრებით 1913-1914 წლებში გამომავალი გაზეთი ,,სიმართლის ხმა" ინტენსიურად წერდა მუშათა კლასის წარმომადგენელ ქალთა მონაწილეობაზე პროლეტარულ მოძრაობაში.

ქალები აქტიურად მოითხოვდნენ სამოქალაქო უფლებებს და ამასთან აყენებდნენ საკითხს მამაკაცთა უფლებრივად გათანაბრებისა და არჩევნებში ხმის მინიჭებისათვის.

ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ რუსს ფემინისტ ქალთა გამოსვლები: ,,ახალგაზრდა ვექილ ქალებს თავიანთი უფლების დაცვა ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი,რომ მათ გადაწყვიტეს ვექილ-ქალთა პროფესიონალური საზოგადოების დაარსება.

და, აი 2 აპრილს ,,1913 წელს პეტერბურგის ვექილთა კლუბის დარბაზში მოხდა ორგანიზაციული კრება ახლად შემდგარ პეტერბურგის იურისტკების საზოგადოებისა.

ამ კრებას ხალხი ბლომათ დასწრებიან. ერთს დამაარსებელთაგანს - ქ-ნს ს. ე. რინკევიჩისას წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც გაუტარებია ის აზრი, რომ ახალ საზოგადოების მიზანს შეადგენს - კანონის სამსახური“ (,,სიმართლის ხმა“ N7, 15 მაისი, 1913, გვ.3).

,,23 თებერვალს რუსეთის მუშათა კლასი დღესასწაულობს ქალთა დღეს. გაზეთები არკვევენ მუშა ქალთა მდგომარეობას. ქალთა რიცხვი 1901 წლიდან მოკიდებული 1910 წლამდი 33%-ით გაზრდილა, მამაკაცთა რიცხვი კი მხოლოთ 8%-ით.“

საფეიქრო წარმოებაში 1909 წლიდან 359. 000 მუშა ირიცხებოდა, რომელთაგან ნახევარზე მეტი ქალები გახლდათ“ (,,სიმართლის ხმა“ N34, 12 თებერვალი, 1914, გვ.4).

,,მოახლოვდა ქალთა დღე და პეტერბურგის მუშათა წრეებში მისადმი ინტერესი თანდათან მატულობს. ყველა ლეგალურ დაწესებულებებში კრებენ ცნობებს მუშა ქალთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მრავალ ადგილას ლექციებს მართავენ“ (,,სიმართლის ხმა“ N38, 16 თებერვალი, 1914, გვ.3).

,,საკანონმდებლო განზრახვათა კომისიამ სადამოჟნო დეპარტამენტში მოსამსახურე ქალები პენსიის მხრივ მამაკაცებს გაუთანასწორა“.

კომისიის თავმჯდომარემ ანტონოვმა განაცხადა, რომ იგი უახლოეს მომავალში დუმაში კანონპროექტს შეიტანს სახელმწიფო კონტროლის შტატების შესახებ. ამასთან იგი შეეცდება, რომ ,,საბოლაოთ გადასჭრან საკითხი დედაკაცების სახელმწიფო სამსახურში მიღების სასარგებლოთ“(,,სიმართლის ხმა“ N40, 19 თებერვალი, 1914, გვ.3).

,,მუშათა კლასი კაცობრიობის გაყვლეფილ ნაწილს შეადგენს. მუშა ქალი მშრომელთა შორის ყველაზე უფრო დევნილი და გაყვლეფილია. ქალი დამონებულია ფაბრიკა-ქარხანაში და ოჯახში, საზოგადოებაში და სახელმწიფოში, მოკლეთ, ის მონათა შორის მონაა...

მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებანი მამაკაცთა კუთვნილება შეიქმნა. ქალის მემკვიდრეობითი უფლება შეკვეცილია: ეს მომავალის ინტერესია. ქალს სდევნიან საზოგადო და პოლიტიკური ასპარეზიდან: მას არ შეუძლია ვექილობა, მისი წყურვილი სწავლა-განათლებისკენ იზრდება, მას ერეკებიან სახელმწიფო სამსახურიდან უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მას აყრილი აქვს პოლიტიკური უფლება - არ შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ის ვერ იკისრებს ხმოსნობას ან დეპუტატობას, მოკლეთ მას არ აქვს არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლება“ (,,სიმართლის ხმა“ N44, 23 თებერვალი, 1914, გვ.1).

რადიკალური და რევოლუციური იდეები ქალთა ემანსიპაციის საკითხებთან დაკავშირებით ქალთა უფლების, თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის საყოველთაოდ სავალდებულო ფორმა მარქსისტული იდეოლოგიის თანახმად, მხოლოდ კლასობრივი ხასიათისა იყო და ამიტომ იგი, მხოლოდ კლასობრივი ჩაგვრის იარაღად გამოიყენებოდა.

,,მუშათა კლასის ქალების ინტერესები და მოთხოვნები აღიქმებოდა ჩაგრული უმრავლესობის საერთო ინტერესებად და მოთხოვნებად, გაბატონებული უმცირესობის ინტერესებისა და მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. ხოლო ის წინააღმდეგობები, რაც არსებობდა ,,მუშათა“ კლასის ქალებსა და მამაკაცებს შორის და, მით უმეტეს, ქალების სხვადასხვა ჯგუფებს შორის იგივე კლასის შიგნით (მუშა ქალები), მუშათა ცოლები, გლეხი ქალები, შინამოსამსახურეები) იგნორირებული იყო. ამავდროულად სხვა ფენების წარმომადგენელი ქალები - დიდგვაროვნები, ვაჭართა შვილები და ცოლები, სასულიერო პირთა შვილები და ცოლები, ინტელიგენცია ყოველგვარ უფლებებს მოკლებული აღმოჩნდა. ამგვარად, ქალთა თანასწორობის პროლეტარულმა კონცეფციამ იმთავითვე გარიყა ქალთა სხვა ჯგუფები“ (საბედაშვილი 2006:30).

გაზეთ ,,სიმართლის ხმა“-ში ყურადღებაა გამახვილებული ქალთა შრომის ექსპლუატაციაზე: ,,ქუდებზე მომუშავე ქალთა ცხოვრება მართლაც კალმით აუწერელია. ქუთაისში იქნება ათი ქუდის მაღაზია, სადაც ქუდებს აკეთებენ და თვითეულში ხუთი ქალი მაინც იქნება. მათ დღეში 16-18 საათს ამუშავებენ, ხელფასეზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მარა ქალები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მდგომარეობას.

არ კითხულობენ გაზეთებს, არ უკვირდებიან თავის მდგომარეობას და რასაკვირველია, ამით სარგებლობენ ხაზეინები და მათ საშინლათ ყვლეფენ.

ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკის მუშა ქალებიც. ამ ფაბრიკაში 30 ქალი მუშაობს და მათი ხელფასი 30-50 კაპ. აი ამ ფასებში მუშაობენ 13-14 საათს დღეში. მათი უფლებები ხომ ფეხქვეშ გათელილია“ (,,სიმართლის ხმა“ N32, 9 თებერვალი, 1914, გვ.4).

ჩანს, რომ ქალთა მონა-მორჩილების უპირველესი მიზეზი იყო მათი ჩამორჩენილობა, ბრძოლისა და განვითარების უუნარობა. მაშინ, როცა ბოლშევიკური იდეოლოგია მხარს უჭერდა ქალთა გათავისუფლებასა და საზოგადოებაში ჩართულობას. ქალთა დიდ როლს კულტურულ რევოლუციაში. ქალთა შრომის ექსპლუატაციას თან ერთვოდა ძალადობა სამსახურში, რომელზედაც მოგვითხრობს გაზეთი ,,სიმართლის ხმა“: ,,ქ. ქუთაისში მომუშავე ქალი სულ იქნება არა ნაკლებ ორასისა, რომელთა ყოფნა არ ყოფნას წარმოადგენს. ჩვენ აქაური მუშა ქალები ძალიან სუსტნი ვართ სულიერათ, მით უფრო, რომ ერთი მეორესთან არავითარი კავშირი არ გვაქვს და არავითარი ამხანაგობა, ამიტომაც ჩვენი ასეთი შეუკავშირებლობით სარგებლობენ ხაზეინები და ისე გვექცევიან, როგორც თვითონ მოესურვებათ.

და თუ ისინი დღემდე აულაგმავი არიან ამის მიზეზი თვითონ ჩვენა ვართ.

არ გვაქვს იოტის ოდენა არც მოთმინება და არც გონიერება. მაგალითად ავიღოთ ერთი ქალბატონის სამკერვალოს ამბავი, რომელმაც ამ ერთი წლის წინათ თავისი უმსგავსო საქციელით მთელი ბათუმი აალაპარაკა.

ახლა ერთი წელი იქნება, რომ ის ქუთაისს ესტუმრა და სამკერვალო გახსნა. აი ეს ქალბატონი ისე ეპყრობა თავის მუშა ქალებს, როგორც მგელი ცხვარს; დღე ვითომ სამკერვალოს ამუშავებს, ხოლო ღამ-ღამობით საეჭვო ყოფაქცევის კაცებს ღებულობს სტუმრათ და შეექცევიან კარტ-ნარდის თამაშს და ლაზღანდარობაში ატარებენ დროს.

ნუთუ ჩვენ ვერ უნდა მივხვდეთ, რომ ამისთანა ქცევა სამარცხვინოცაა და უფსკრულისაკენაც მიგვაქანებს“ (,,სიმართლის ხმა“ N14, 8 სექტემბერი, 1913, გვ.4).

ქალთა უუფლებობის მხრივ არც ოსმალეთის ქალების მდგომარეობა იყო სახარბიელო, თუმცა ისინი აქტიურად არიან ჩართული ფემინისტურ მოძრაობაში და მნიშვნელოვან რეფორმებსაც ახორციელებენ: ,,ამ ცოტახნის წინათ სტამბოლში გამოვიდა პატარა ფორმატის ყოველდღიური გაზეთი ,,გატინლარ დიუნვასა“ (ქალთა ქვეყანა).

აღნიშნულ გაზეთს სათავეში მხოლოდ ქალები უდგანან. გაზეთის დაარსებასთან ერთად აუცილებლობამ მოითხოვა, მასთან დაკავშირებული ორგანიზაციის შექმნა, რომლის სახელი გახლდათ ,,ქალთა უფლებების დამცველი ოსმალთა საზოგადოება“.

მასში ჩამოყალიბებულია წესდება, რომელიც მიზნად ისახავს შემდეგ პირობებს: წინასიტყვაობაში საზოგადოება აღნიშნავს ოსმალელ ქალთა შეგნებულ ცხოვრებისთვის გამოფხიზლებას, მისწრაფებას საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი, შეკავშირების, პროგრესის გზაზე შედგომას, თავის ცხოვრების მოწესრიგებას, სურვილს გონების ჰორიზონტის გაფართოებისას და სხვ“ (,,სიმართლის ხმა“ N10, 4 სექტემბერი, 1913, გვ.3).

ამრიგად, XX საუკუნის 10-იან წლებში იმერეთში გამომავალ გაზეთების: ,,გრდემლის“, ,,ცისკარის“, ,,შინაური საქმეების“, ,,კოლხიდას“, ,,დილას“, ,,სასოფლო

გაზეთის“, ,,სიმართლის ხმის“ ფურცლებზე გენდერული თანასწორობის ჭრილში გამოიკვეთა ქალთა გარკვეული მიზნები:

1. ქალთა განათლება;
2. ქალთა ჩათულობა განათლების სისტემაში;
3. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა განათლების სფეროში დასაქმებისას;
4. ქალთა შრომითი ექსპლუატაციის შეწყვეტა დასაქმების სფეროში;
5. ქალთა მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში;
6. ქალთა ძალადობის აღკვეთა სამუშაო ადგილსა და ოჯახში;
7. ქალთა სოციალური პირობების გაუმჯობესება;
8. მამაკაცთა მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმების აღკვეთა (დაცინვა, დამამცირებელი შენიშვნები, რეპლიკები, კომენტარები);
9. ქალთა მისწრაფებების, შესაძლებლობების და წვლილის აღიარება საზოგადოების მიერ.

გაზეთის ფურცლებზე ფართო დისკურსში გაშუქებული მიზნობრივი სფეროების განხორციელება იძლეოდა ქალთა წინსვლისა და გაძლიერების, რეალურ ცვლილებათა და არჩევნებში პოლიტიკური უფლებების მოპოვების გარანტს, რაც საბოლოოდ გენდერული თანასწორობის ფოკუსში იყრიდა თავს.

XX საუკუნე საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაიწყო.

პირველი პოლიტიკური გამოსვლა 1901 წელს დემონსტრაციით განხორციელდა, რომელსაც მთელ რუსეთსა და საქართველოში ეგრეთ წოდებული ,,სამეცნიერო წრეები“ ამზადებდნენ და მის წევრებს რევოლუციურ შეხედულებებს მეცნიერულ დონეზე ასწავლიდნენ. 1901 წელს თბილისში სოციალ-დემოკრატების გამოსვლა ერევნის მოედანზე დაიწყო. მაშინ დემონსტრანტებს ყაზახებმა თავპირი მათრახებითა და ხმლებით დაუმტვრიეს. დემონსტრაციები კვლავ და კვლავ გრძელდებოდა. საბოლოოდ, 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა და რეაქციამ გაიმარჯვა.

ამ პერიოდში საქართველოში ორი პარტია გამოიკვეთა - სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-ფედერალისტებისა. ორივე პარტიაში მამაკაცებთან ერთად გაერთიანებული იყვნენ ქალები, რომლებიც ზოგადად მამაკაცთა უფლებების მოპოვებასთან ერთად, ქალთა უფლებებისა და თანასწორობისათვის აქტიურად იბრძოდნენ.

ასე რომ, საქართველოში მიმდინარეობდა, როგორც სოციალური თავისუფლების, ასევე ეროვნულ-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამ დევიზით, როგორც სოციალური ასევე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ ქალებიც. ვინაიდან პირადი თავისუფლება, ეროვნულ თავისუფლებასთან იყო უშუალო კავშირში.

საერთოდ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ეროვნული, პიროვნული და სოციალური თავისუფლება წითელ ხაზად გასდევდა ქართველ ქალთა მოღვაწეობას.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მწვავე პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ მძიმე შედეგები გამოიწვია. სოციალისტური რევოლუციის ქარტეხილებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ქალებიც, რომელთა მოძრაობა მიმართული იყო სოციალური და ეროვნული თავისუფ–ლებისათვის. ამ დროს ქართველ ქალთა აქტიურობა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროშიც გამოირჩეოდა.

ქართველი ქალების გონიერების, ნიჭიერებისა და სიმამაცის აურაცხელი მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ, რომლებმაც შარავანდედით შემოსა თავისი სახელი, როგორც სამშობლოს ღირსეულმა მამულიშვილებმა.

თუ გადავხედავთ ქუთაისში გამომავალ ყველაზე პოპულარულ გაზეთ ,,ცხოვრებას“, მაშინვე ყურადღებას მიიქცევს ერთი საინტერესო ფაქტი.

1912 წლის გაზეთ ,,ცხოვრების“ (N7, 10 თებერვალი) ფურცლებზე დაბეჭდილი

წერილი გვამცნობს: ,,ნიკოლაიშვილის და რობაქიძის გარდა სამშობლო ქვეყნის გუშაგმა ,,კოლხიდამ“ მესამე ,,შინაური მტერიც“ აღმოაჩინა.

ეს გახლავთ ჩვენი ახალგაზრდა მომღერალი ქალი ქ-ნი ელ. თარხნიშვილი. თფილისში, ბაქოში და კავკასიის ყველა სხვა ქალაქებში მომღერალმა ერთბაშად ყველას სიმპატია დაიმსახურა, ყველა მის ქებაშია, ყველა მას უქადის მშვენიერს მომავალს. მოისურვა ამ მომღერალმა ქუთაისის საზოგადოების წინაშეც წამდგარიყო. მაგრამ რა იცოდა მან, თუ ის, რაც მოეწონებოდა სომხებში და რუსებში არეულ და გადაგვარებულ თბილისელ ქართველებს, ის ვერ დააკმაყოფილებდა ქუთათურ მამულიშვილებს, ,,კოლხიდაზე“ აღზრდილებს და ,,კოლხიდის“ ესთეტიურ შკოლაში გაწვრთვნილებს.“

ქუთაისში ჩამოსულმა მომღერალმა ელენე თარხნიშვილმა დაბინავებაც ვერ მოასწრო, რომ მას ,,კოლხიდამ“ მაშინვე მოსთხოვა პატრიოტობის ატესტატი. კარგად იცოდნენ რომ მომღერალ ქალს ეს ატესტატი არ ექნებოდა, თუ მას ატესტატს ბატონი სილოვანი არ გადასცემდა. ,,კოლხიდა“-მ ჭკუის სასწავლებლად მომღერალს შემდეგი ბრალდებები წაუყენა:

1.,, ქ-ნ თარხნიშვილის რეპერტუარში ,,ერთი ნუმერიც კი არ ურევია ქართული სიმღერა“.

2. ,,პრესაში“ ამ ,,ქართველ“ მომღერალი ქალის უყურადღებობა ქართველი ერისადმი უკვე აღნიშნული იყო;

3. მიუხედავათ ამ ,,აღნიშვნისა“, ქ-ნი თარხნიშვილი თურმე გასწორების სურვილს არ აცხადებს და ,,მახვილ“ სმენის მქონი მოსიმღერე ასე ჩლუნგს სმენას იჩენს თანამემამულეთა სრულად სამართლიან დრტვინვისადმი“. - როგორც ყოველთვის ,,კოლხიდა“ მარტო პროკურორობას არ დასჯერა და აქვე განაჩენიც დაადგინა:

1. ქ-ნ თარხნიშვილს ჩამოერთვას ქართველობა (უბწკაროთ) და იგი ჩამოქვეითებულ იქნას ,,ქართველობამდის“ (ბწკარებით);

2. ჩამოერთვას მამულიშვილობა (უბწკარო) და ეწოდოს მამულიშვილი (ბწკარებიანი);

3. აღიარებულ იქნას იგი საქართველოს ,,აბუჩად ამგდებათ და ეროვნულ გრძნობის და საქმის დამჩაგვრელათ“.

4. ქუთათურმა საზოგადოებამ უნდა ღირსეულათ ასწავლოს მას ჭკუა“.

ასე გმირულათ შეხვდა ,,კოლხიდა“ ,,გადაგვარებულს“ და ,,შინაურს მტერს“ მომღერალ - ქალს. ზოგიერთი გულუბრყვილო მამულიშვილი ამ სისასტიკეს უთავაზიანობათ ჩასთვლის და არც ,,კოლხიდის“ განაჩენი მოეკითხება, რადგან იფიქრებს: ,,ქ-ნ თარხნიშვილი სულ რამდენიმე თვეა რაც მილანიდან ჩამოვიდა, იქაური სიმღერის პროფესორები მარტო იტალიურ და ევროპიულ ოპერებს და სიმღერებს ასწავლიან და რა გასაკვირალია, რომ ჯერ კიდევ მოწაფემ - ქალბ. თარხნიშვილმა იმღეროს ის, რაც უსწავლია!“

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საქართველოში ქართული სიმღერები ნოტებზე არ არის გადაღებული და ამიტომაც ვერ შეისწავლა იგი ევროპიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა მომღერალმა. ამისთანა კითხვა დაებადება მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს და არა ჭეშმარიტ პატრიოტს. ,,კოლხიდაზე“ აღზრდილი მამულიშვილი მათ ასეთ პასუხს გასცემდა: ,,საქმე იმაში კი არ არის, თუ როგორია სიმღერის კილო; პირველი ის არის, რომ სიტყვები იყოს ქართული; ბ. სილოვანს დიდი ხანია მოცემული აქვს ქართულის მუსიკალური პროგრამა და ქ-ნი თარხნიშვილი ჯერ უნდა ამ პროგრამას გასცნობოდა და მერე ქუთაისში მოსულიყო“.

იტალიურ არიებზე აღზრდილი მომღერალი, - აგრძელებს წერილის ავტორი: ,,თუ სილოვანის პროგრამას თავშივე გაეცნობოდა, მაშინ აღარ გაუჭირდებოდა ხელში აეღო ქუთათური გიტარა და დაემღერებია ბ. სილოვანის მიერ გადმოქართულებული რომანსი ,,მტრედის ფერ ცაზე მისცურავს მთვარე“... რა ვუყოთ, რომ ეს რომანსი იმავე

კილოზე იმღერება, როგორც რუსული ,,მისიაც პლივეტ“... სიტყვები ხომ ქართულია?!“ (,,ცხოვრება“ N7, 10 თებერვალი, 1912, გვ.1).

იმ დროს საქართველოში კულტურისა და ხელოვნების სარბიელზე გამოსულ ქალებს თანადგომასა და თანაგრძნობას უცხადებდნენ დიდი სამოციანელები.

თბილისში ელენე თარხნიშვილის ,,ტრავიატას“ საყურებლად ჩამოსული აკაკი წერეთელი თავის ერს ამცნობდა: ჩამოვედი იმერეთიდან მისი ხმის მოსასმენად... ვნახე ქ-ნი ელენე სცენაზე ,,ტრავიატაში“ და გავკვირდი: ,,მართლა გაუზრდია მეცადინეობით ხმა იმდენად, რომ არა თუ ჩვენს პატარა სცენას, დიდ სცენასაც არ შეარცხვენს!... აი რას ნიშნავს სურვილი, ცდა და შრომისმოყვარეობა!... აღტაცებაში მოვედი, მაგრამ სულ სხვა მოსაზრებით. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ჩვენი მომავალი ქალების ხელშია.“

გამოდის, რომ თუ საქართველოს საესტრადო და საოპერო სცენაზე ქართველმა მამაკაცებმა სულ მოკლე ხანში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს, მათ არც ქალები ჩამორჩნენ.

ვოკალური ხელოვნების ქართველ ოსტატთაგან ელენე თარხნიშვილი იყო ის პირველი ქართველი ქალი, რომელიც საოპერო სარბიელზე მოგვევლინა და მსოფლიოში სახელი მოიხვეჭა, მაგრამ მისი გზა და პირველი ნაბიჯები იოლი როდი გახლდათ. ამ დროს ქალები ჯერ კიდევ განიცდიდნენ სოციალურ ჩაგვრას და ძველი ადათ-წესებით ეკრძალებოდათ საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა. გარდა ამისა, ხალხში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა გამდგარი ფესვები ფეოდალური ჩვევების გადმონაშთებს, რომლებიც ჰბოჭავდნენ კულტურას დაწაფებულ ქალიშვილებს.

სცენის მსახურ ახალგაზრდა ქალებს ჰკილავდნენ და ზოგ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც იხსენიებდნენ.

ასე იზღუდებოდა ქალი არა მარტო ქართულ სინამდვილეში, არამედ სხვა ქვეყნებშიც: ,,მსოფლიოში ცნობილი პარიზელი მსახიობი სარა ბერნარი ებრაელი იყო. მას გასტროლები ჰქონდა ოდესაში. ოდესის ებრაელი მოსახლეობა ორ ბანაკად გაიყო. ერთის მხრით - დიდი ნიჭის დამფასებელი და თაყვანისმცემელი ახალგაზრდობა, მეორეთი - ძველი ადათების მომხრე, ორთოდოქსი ებრაელობა, რომელიც ებრაელი ქალის სცენაზე გამოსვლის წინააღმდეგი იყო. ამ ძველმა ებრაელობამ დემონსტრაცია მოახდინა: როდესაც სარა ბერნარი წარმოდგენის შემდეგ თეატრიდან გამოვიდა და კარეტაში ჩაჯდომას აპირებდა, გაისმა სტვენა, ყვირილი, გინება. როდესაც ბერნარი უკვე კარეტაში იჯდა, ქვების სროლა დაუწყეს. ერთი ქვა კარეტის შუშას მოხვდა და დაამსხვრია“ (ქორელი 1949:44).

ამბობენ, რომ სარა ბერნარმა ოდესაში ინციდენტის დროს ეტლში მოხვედრილი ქვა აიღო და ოქროს სალტეში ჩასვა წარწერით: ,,მწარე საჩუქარი ჩემი ძვირფასი თანამემამულეებისაგან“.

სარა ბერნარის მსგავსი ინციდენტი მოუწყვეს თავიანთ თანამემამულესა და ,,ლა-სკალას“ ოპერის პირველ ქართველ მომღერალს ელენე თარხნიშვილს ქუთაისში, რომელსაც გაზეთი ,,ცხოვრება“ გვაუწყებს.

ეს იყო აშკარა ცინიზმი, იმ ქართველი ქალისადმი, რომელიც 15 წელი დიდი წარმატებით მღეროდა ლირიკულ-კოლორატურული სოპრანოსათვის განკუთვნილ პირველ პარტიებს იტალიის საოპერო სცენაზე.

ამასთან ელენე თარხნიშვილი გახლდათ პირველი ქართველი მომღერალი ქალი საოპერო სცენაზე არა მარტო ,,ლა-სკალაში“, არამედ ამერიკის საოპერო სცენაზეც.

დასაბუთებულია, რომ დაცინვა ყველაზე მჭრელი იარაღია, თუ სხვა იარაღი არა გაქვს. ეს გახლდათ მასკულანების მხრიდან, ცინიზმით, ძალადობის უხეში გამოვლინება ქალისადმი. მაშინ, როცა ,,ლა-სკალას“ სცენაზე დაოსტატებულმა ელენე თარხნიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი დიაპაზონის ხელოვანი

მარტო ეროვნული ჩარჩოებით როდი იზღუდება. იგი სასურველი სტუმარი უნდა იყოს უცხოეთის ქვეყნებისა და სხვადასხვა ერისა, რათა თავისი ქვეყნის მშობლიური კულტურა საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩინოს.

აშკარაა, რომ ევროპაში განათლება მიღებული და წარმატებული ქალების პროფესიონალიზმი აღიზიანებდათ კონსერვატორულად მოაზროვნე მამაკაცებს და ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ,,დედაკაცის პიროვნების“ შინ თუ გარეთ გათელვას. და როგორც გაზეთ ,,ხმა ქართველი ქალისა“-ს ფურცლებზე სტატიის ,,ქალებო შევერთდეთ“ ავტორი მარიამ გარიყული აცხადებდა: ,,ეს ქუთათური კინკლაობაა, თუ მართლა კლასთა ბრძოლა? … ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზეზი უფრო პირველში დევს და იმედს არ ვკარგავთ, რომ მის უადგილობას შევიგნებთ და ყოველ უთანხმოებას გამოვასწორებთ ჩვენდა საკეთილდღეოდ...

გახსოვდეთ, რომ ისტორიული უკუღმართობის გავლენით დღევანდელი მამაკაცი იმდენად ეგოისტია, რომ ის თავისი ნებით იშვიათათ თანასწორ ამხანაგათ ჩაგთვლის“ (,,ხმა ქართველი ქალისა“ N1, 5 აპრილი, 1917, გვ.3).

ისტორიულად ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკა ვერ ახერხებდა ადამიანის იმ უფლებათა დაფიქსირებას, რომლებშიც ქალთა სქესისადმი კუთვნილება რისკის ფაქტორს წარმოადგენდა. ზოგისათვის ეს დარღვევა ეფუძნებოდა გენდერს ან ქალებისადმი მიკუთვნებულ სოციალურ როლებსა და ღირებულებებს. მაგ. რო–გორიცაა ,,დიასახლისობა“.

,,ქალები წარსულიდან - მაგალითია მომავლისათვს“ - ამ რუბრიკის ქვეშ შეიძლება გავაერთიანოთ სხვადასხვა ეპოქაში ქუთაისში მოღვაწე ქალები. ამ მხრივ გამოირჩეოდა გაზეთი ,,იმერეთი“. მის ფურცლებზე 1913 წლიდან თითქმის ყოველ მეორე ნომერში იბეჭდებოდა სტატიები, რომელიც საზოგადოებას აწვდიდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციებს. ამ კორესპონდენციებიდან მნიშვნელოვანია: ,,ქალთა წრე“ (8 თებერვლის კრება); ,,ქალთა წრეში“ (15 თებერვალის კრება); ,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება“; ,,ქალთა ინტერნაციონალური კონგრესი პარიზში“; ,,მუშათა, ქალთა და ეროვნული საკითხი“; ,,ქალთა საზოგადოება“; ,,ქუთაისელ ქალებს“და სხვ.

მათ შორის ყურადსაღებია გაზეთის ფურცლებზე გაშუქებული ქალთა არამარტო განათლების, არამედ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული საგულისხმო ლექციები, რომლებსაც მამაკაცი მედიცინის მუშაკები ქალთა წრეში ატარებდნენ: ,,თანამედროვე, გონებრივმა და სულიერმა განვითარებამ შექმნა ცხოვრების ისეთი პირობები, რომ ადამიანის ფიზიკური და ფიზიოლოგიური თვისება თანდათან ქვეითდება, რის გამოც ადამიანი დღეს მხოლოთ სულიერათ და გონებრივათ სცხოვრობს, სცხოვრობს ნერვებით, სხეულის ფიზიკური მხარე კი დათრგუნვილია. დღევანდელი ადამიანი ძლიერია გონებრივათ, სუსტია ფიზიკურათ, და სწორეთ აქაა, მისი გადაგვარების ნიშნები, რაც უფრო მკაფიოთ ემჩნევა დედაკაცს“ (,,იმერეთი“ N34, 12 თებერვალი, 1913, გვ.3).

შეკრებილ ქალებს მანვე გააცნო ბავშვის ჰიგიენა, დედისაგან ძუძუთა კვებისა და ძიძის არჩევის მნიშვნელობა. ცხადია, მამაკაცთა მიერ ქალთა ჯანმრთელობის საკითხებით დაინტერესება თავის თავში ქალთა უფლებების დაცვას გულისხმობს.

ნიშანდობლივია, ისიც რომ ქალთა წრეში აქიმთა კონსულტაციებთან ერთად ასევე ტარდებოდა მათივე საუბრები ლიტერატურის შესახებ. ,,იმერეთის ქალთა წრეში“ სამედიცინო თემატიკასთან ერთად დიდი პოპულარობით სარგებლობდა აქიმ ვასილ წერეთლის საუბრები, რომელიც ქალის ადამიანის უფლებების დაცვის განვითარების პერიპეტიებს ასახავდა: ,,მრალ-ცოლობა“ - საზიზღარი მოვლენაა, ვინაიდან მას მოსდევს კარჩაკეტილობა, ქალების პიროვნების უარყოფა, რისგამოც, ისედაც დამცირებული ქალი, მამაკაცის მონათ ხდება. სპეტაკი - ცოლ-ქმრული სიყვარულზე

ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ერთ-ცოლიანობის დროს და თუმცა დღემანდელი ცოლ-ქმრული სიყვარული ვერ გამოხატავს სრულს თავისუფალ სიყვარულს, მაგრამ ასეთი სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანის გულს, ხელს უწყობს ქალის პიროვნების თავისუფლებას და შთამომავლობის ჯანმრთელობაც - ეჭვსგარეშეა“ (,,იმერეთი“ N40, 19 თებერვალი, 1913:4).

ქუთაისის ქალთა წრეში ვასილ წერეთლის გარდა ასევე გამოირჩეოდა იმ მამაკაცთა ლექციები,რომლებიც ქალთა უფლებებსა და თავისუფლებას ეხებოდა. მათ შორის გახლდნენ ,,ანტონ ფურცელაძე, გიორგი ბადრიძე, გრიგოლ რობაქიძე, კიტა აბაშიძე და ალექსანდრე გარსევანიშვილი“ (,,იმერეთი“ N77, 12 ივნისი, 1913, გვ.2).

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, რომ მამაკაცთა მხრიდან ქალთა საზოგადოებისადმი თანადგომა და თანაგრძნობა, სწორედ, გენდერული თანასწორობის პერსპექტივები გახლდათ.

1914 წლიდან ქუთაისში უკვე შეინიშნება ფემინისტური აქტივიზმი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ევროპაში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების დაყრდნობით, ქალის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლმა კატო მიქელაძემ.

1916 წლიდან იგი უკვე ქუთაისში კითხულობდა საჯარო ლექციებს ქალთა მდგომარეობაზე. ამავე ხანებში დაარსდა ქუთაისში ქალთა კლუბი და კატო მიქელაძეს მიეცა ნებართვა ლექციები წაეკითხა ხონში, სამტრედიაში, სენაკში, აბაშაში, საჩხერეში, ბახმაროში, ზუგდიდში, ცაგერსა და ლანჩხუთში.

კატო მიქელაძის ლექციები ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა: ,,ქალებზე უფრო დაჩაგრული დედამიწაზე არავინ არ ყოფილა და ქალებივით ხანგრძლივად არავინ არ დაუჩაგრავს მამაკაცთა მიერ გამოწვეულ უსამართლობასა და ძალმომრეობას. დიახ, მამაკაცისა მიერ, რადგან მთელი ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა: მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც მდედრობითი სქესი პოლიტიკურ და მოქალაქურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა... ასეთ ძალმომრეობას და დედაკაცების დაბეჩავებას ისე შეეჩვივნენ სხვადასხვა წრისა და წოდების მამაკაცთა უმრავლესობა, რომ დღესაც მათთვის სადაო ხდება, იცნონ თუ არა ქალები ადამიანური უფლებების ღირსად?“ (,,ხმა ქართველი ქალისა“, N17-31, 1917).

კატო მიქელაძის გამოსვლები, რომლებიც ღრმა ცოდნასა და საფუძვლიან ანალიზს გამოხატავდა მამაკაცთა გარკვეულ ნაწილს, ბუნებრივია, აღიზიანებდა.

ქუთაისში კატო მიქელაძის ჩამოსვლამდე უკვე არსებობდა ,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება“: ,,1913 წელს 12 ივნისს ქუთაისის ქალთა საზოგადოების წლიურ კრებაზე შემდეგი პირნი აირჩიეს. თავმჯდომარეთ - კნ. ელენე წულუკიძისა, თავმჯდომარის ამხანაგათ ოლგა ქორქაშვილის ასული, ხაზინადარათ - ანასტასია ყიფიანისა” (,,იმერეთი“ 1913).

აქტივისტი ქალები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქუთაისში დაარსებულ საზოგადოების მუშაობაზე: ,,იმედი მქონდა - ერთი წლის წრის არსებობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა, გაუღვიძებდა ქუთაისელ ქალებს სიყვარულს საზოგადო საქმისადმი, სიხარულით გულს აუძგერებდა მათი მომავლის გაუმჯობესების წინათგრძნობით, ძალას გაუასკეცებდა და ფრთებს შეასხამდა თვით შეგნების სურვილს“ (,,იმერეთი“ N168, 17 ოკტომბერი, 1913, გვ.2).

წერილის ავტორი გაოცებული იყო ქუთაისელი ქალების გულცივობით აღნიშნული წრის მუშაობაზე და იგი ეკითხებოდა ქუთაისელ ქალთა საზოგადოების ქალებს: ,,გასულ წელსაც გააკვირებდა მეთვალყურეს გულგრილობა ქუთაისელი ინტე–

ლიგენტი ქალების თავის წრისადმი. ძალაუნებურათ მისცემდი თავს კითხვას: ნეტავ, სად არიან ახლა ეს ქალები, როცა იქ არ არიან, სადაც უნდა იყვნენ? ნეტა ვის და რას ემსახურებიან, როცა თავისი ინტერესების დასაცველი ადგილისთვის ვერ მიუგნიათ?“...

რამდენიმე პირის მეცადინეობით დაარსებული ,,ქალთა კავშირი“ გავამაგრეთ და შევქმენით ძლიერი წრე, რათა გვებრძოლა ჩვენი მომავლის გასაუმჯობესებლად. და, დღეს ინტელიგენტი ქალები შეკითხვაზე: თუ რატომ არ ესწრებიან ქალთა კრებას, ასე პასუხობენ: ,,რა მინდა რომ წამოვიდე, არაფერია საინტერესოო!“

,,შეიძლება წრის მუშაობის მიმართულება არ მოსწონდეს ზოგიერთებს და ამიტომ გაურბოდეს მას? ესეც გაუგებარია, ხომ იციან, რომ აქ დასრულებული არაფერი გვაქვს წრის სახით! ვმუშაობთ, უნდა ვიმუშაოთ და თუ თითოეული ჩვენგანი შესაძლებელ შრომას არ დაიშურებს, საქმე სასურველ სახეს მიიღებს“ (,,იმერეთი“ N168, 17 ოკტომბერი, 1913, გვ.2).

ბუნებრივია, ქალთა საზოგადოება იქნებოდა სწორედ ისეთი, თუ როგორ ყურადღებასა და აქტივობას გამოიჩენდნენ საქმისადმი მისი წევრი ქალები.

როგორც ცნობილია, ქალთა წრეები დაარსდა იმერეთის ბევრ რაიონში. მათ შორის ხონში. მინდობილი საქმისადმი გულგრილობისა და ქალთა უმოქმედობის ნიმუშს წარმოადგენს ვინმე ,,ატუას“ კორესპონდენცია ,,ხონის ქალთა წრეში“: ,,ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, როდესაც კითხულობ გაზეთებში ამა თუ იმ პროვინციაში ქალთა წრის დაარსების შესახებ, მაგრამ წრის მარტო დაარსება კი არ კმარა, არამედ საჭიროა მას შინაარსი მისცე და კულტურული საშვალებით გაათვითცნობიერო მისი წევრები. საუბედუროთ ჩვენში ზოგიერთ ქალთა წრეებში ამ მხარეს სრულიად არ აქვს ყურადღება მიქცეული.

ჩვენებური ქალთა წრეები თუ გნებავთ, ეს იგივე ოჯახური კლუბია, რომელთა წევრები ,,მესჩანურ“ სულისკვეთებას ვერ გასცილებიან და თავის უფერულ ბურჟუაზიულ მორალით თავიც კი მოაქვთ. ასეთ წრეთა შორის, მე მგონია, პირველ ადგილს ხონის ქალთა წრე დაიჭერს. ორი წელია არსებობს ის, მაგრამ მისი მუშაობა უბრალო ქველმოქმედებას ვერ გასცილებია“ (,,აზრი“ N37, 26 აპრილი, 1914, გვ.3).

წერილის ავტორი ,,ატუა“ კრიტიკულად აფასებს ხონის ქალთა წრის მუშაობას, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ უბრალო ქველმოქმედებით და ისინი მეტ დროს მასკარადებისა და საცეკვაო საღამოების გამართვაში ხარჯავდნენ, მაშინ, როცა ხონში ჩასულ შემდგომში სოციალურ-დემოკრატიული პარტიიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის ლექციას, რომელსაც მთელი ქართველი საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა, ხონში მის ლექციას მხოლოდ მოსწავლე - ახალგაზრდობა დაესწრო. ,,და ქალთა წრის ,,მოღვაწე“ წევრები კი სხვადასხვა ადგილას საერთო ვახშმებზე შეექცეოდენ?“ (,,აზრი“ N37, 26 აპრილი, 1914, გვ.3).

იმ დროისათვის იმერეთში ჩამოყალიბებული ქალთა წრეები მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდნენ. ეს გახლდათ ქველმოქმედება, სკოლებისა და გიმნაზიების გახსნა, საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება, მაშინ, როცა ქალთა წრის წევრი ქალები ჯერ კიდევ შორს იდგნენ პოლიტიკური აქტიურობისათვის.

პირველმა ფემინისტმა ქალმა კატო მიქელაძემ და მისმა თანამოსაქმეებმა წინაპლანზე წამოწიეს საქართველოს განთავისუფლებასთან ერთად ქართველ ქალთა გათავისუფლების საკითხი, რითაც ქალებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის მეტი შანსი მიცემოდათ.

საერთოდ, ქართველი ფემინისტის კატო მიქელაძის შეხედულებები მჭიდროდ უკავშირდებოდა და ასახავდა მაშინდელი საერთაშორისო ფემინისტური მოძრაობის იდეებს, ადგილობრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტების

გათვალისწინებით. ,,მიქელაძეს არც ერთი დასავლური იდეა ბრმად არ გადმოუტანია საქართველოს სინამდვილეზე, არამედ სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ის ეფექტურად არგებდა უნივერსალურ ფემინისტურ ღირებულებებს ადგილობრივ კონტექსტს, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა და ითვალისწინებდა“ (მელაშვილი 2013:17).

კატო მიქელაძე ქუთაისში დაარსებულ თავის გაზეთში მიმოიხილავდა 1917 წელს რუსეთში მიმდინარე პროცესებს და აცხადებდა: ,,ვინც იცნობს რუსეთის რევოლუციის ისტორიას, მას არ შეუძლია, რაგვარი ანტიფემინისტი არ უნდა იყოს ის, იმის უარის ჰყოფა, რომ რუსის ქალებს ისეთივე ღვაწლი მიუძღვით განმათავისუფლებელ მოღვაწეობაში, როგორც რუსის მამაკაცებს. ძნელია იმისა წარმოდგენა, ამდენი ღვაწლი რუსის ქალებისა უქმად ჩაითვალოს“ (,,ხმა ქართველი ქალისა“ N1, 5 აპრილი, 1917).

რუსეთში მიმდინარე ქალთა მოძრაობის პროცესები ასევე თავის ასახვას პოულობდა გაზეთ ,,იმერეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში ,,მუშათა, ქალთა და ეროვნული საკითხი“.

ავტორი ,,ისარი“ ვრცლად მიმოიხილავდა რუსეთში სოციალისტური რევოლუციისა და დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ბურჟუაზიულ რევოლუციის პროცესებს და საქართველოს მიმართ ამ პროცესების გამოძახილზე აღნიშნავდა: ,,ამგვარათ მუშათა და ქალთა საკითხი - ნაწილია დიდი ეროვნული საკითხისა და ემორჩილება ამ უკანასკნელს. არ ვიტყვი, რომ შეუძლებელი იყოს პროგრესი ცენტრალისტურ სახელმწიფოში. მაგრამ კუს ნაბიჯით მიფოფხავს სწავლა-განათლება, მრეწველობა და მეურნეობა, და საშინელი იურიდიულ ადმინისტრაციული მუხრუჭი უხუთავს ხალხს სულს. და მხოლოდ მაშინ დაადგება ცხოვრება ნორმალური განვითარების გზას, როდესაც ხალხს აეხსნება ეს შემავიწროებელი ბორკილი, ე.ი. როდესაც თითოეული ერი მოიპოვებს ავტონომიას“ (,,იმერეთი“ N121, 11 აგვისტო, 1913, გვ.2).

წერილის ავტორს მიაჩნდა, განსხვავებით რუსეთში მიმდინარე პროცესებისა, რომ საქართველოში მუშათა და ქალთა საკითხი იყო დიდი ნაწილი ეროვნული საკითხისა და ემორჩილებოდა მას, ამიტომ საქართველოში ქალთა საკითხი ვერ გადაწყდებოდა მანამ, ვიდრე არ გადაწყდებოდა ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი.

რუსული სოციალისტური რევოლუციის მოდელი არ იყო მორგებული ქართულ სინამდვილესთან, ვინაიდან საქართველოში და მათ, შორის ქუთაისში არსებობდა მხოლოდ წვრილი სამრეწველო ორგანიზაციები, როგორიცაა ქალთა სამკერვალოები, თამბაქოს ფაბრიკა და სხვ.

გაზეთ ,,აზრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია ,,ქუთაისის ქალთა ტანსაცმლის მკერავი მუშა ქალების მდგომარეობა“ მოგვითხრობს: ,,გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ დაწერილა, ქუთაისის ქალთა ტანსაცმელის მკერავი ქალების გაუსაძლის მდგომარეობაზე. მსგავსი სახელოსნოები ქუთაისში ათი თუ იქნება. თითოში 10-15 ქალი მაინც მუშაობს, მაგრამ მათი ყოფნა არ ყოფნის ტოლფასია.

მუშაობენ შვიდ საათიდან მოყოლებული ღამის 9-10 საათამდის. თუ უკმაყოფილება მოხდა და ხმა ამოიღო რომელიმე მომუშავე ქალმა, მაშინ მზად არის ბ. ხაზეინი, რომ კარები უჩვენოს და ეუბნება: თუ არ მოგწონს მიბრძანდით, სხვაც ბევრია თქვენისთანებიაო“ (,,აზრი“ N48, 9 მაისი, 1914, გვ.4).

ასევე ქალთა არა სახარბიელო მდგომარეობაა ასახული გაზეთ ქუთაისში ფირალოვის ქუჩაზე მდებარე თამბაქოს ქარხნის მუშა - ქალებზე: ,,ამ ქარხანაში მუშაობს დაახლოვებით 15-მდე ახალგაზრდა ქალი, რომლების ხელფასი დღიურათ 25 კ. 45-ს არ აღემატება. ამას გარდა ზრდილობიან მოპყრობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სამწუხაროთ ხაზეინებს ამ მხრით ზოგიერთი მუშებიც არ ჩამოუვარდებიან. ძალიან ხშირათ ისეთ უწმაწურ სიტყვებით გაგვიმასპინძლდებიან, რომ ყოველი პატიოსანი

ადამიანის გულში ზიზღს გამოიწვევს, მარა ყველა ამას ჩვენ ვითმენთ, იმიტომ, რომ თუ ხმა ამოვიღეთ, მაშინვე ქუჩაში გაგვრეკენ. რას იზამ, გაჭივრებული ცხოვრება ყველაფერს აგატანიებს ადამიანს? მუშაობა იწყება დილის რვის ნახევარ საათზე და თავდება საღამოს 6–ის ნახევარზე, საათნახევრის გამოკლებით სადილზე. ჟურნალ-გაზეთების კითხვას ქალები მეტყურადღებას აქცევენ ვიდრე მამაკაცები. ისეთები, რომ ჟურნალ-გაზეთებს იწერდენ, ძლიერ ცოტანი არიან“ („აზრი“ N25, 12 აპრილი, 1914, გვ.4).

გაზეთი „აზრის“ 1914 წლის ნომერში დაბეჭდილი სტატია „ქალთა საფაბრიკო ინსპექცია“ საგანგებოდ აქვეყნებს რუსეთის სახელმწიფო დუმის მუშათა კომისიის კანონპროექტს ქალთა საფაბრიკო ინსპექციის დაწესების შესახებ. ავტორი მიმოიხილავს ქალთა საფაბრიკო ინსპექციის მუშაობას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს და ხაზგასმით აღნიშნავს: „დღემდის საფაბრიკო ინსპექტორებათ მხოლოდ მამაკაცები ინიშნებოდნენ. ვინ არ იცის, რომ მუშა - ქალები მამაკაცებზე უფრო დაბეჩავებულია! ამიტომ არის მათ უძნელდებათ თავიანთ უფლებების დაცვა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ხაზეინები და მათი მოსამსახურენი მათ პიროვნებას ამცირებენ და შეურაცხყოფენ.

შემოიღეთ ქალთა საფაბრიკო ინსპექცია და თქვენ დაინახავთ, რომ მუშა ქალები უფრო გაბედულათ დაიცავენ თავიანთ ინტერესებს, მეტი ენერგიით შეებრძო–ლებიან იმ პირებს, რომელნიც ცდილობენ მათი პიროვნება ფეხქვეშ გათელონ და მათ დაბეჩავებას ეტრფიან“ („აზრი“ N11, 13 მარტი, 1914, გვ.1).

სტატიაში ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ავტორი ასკვნის: „ჩვენში სუსტია მუშა-ქალთა მუშაობა: ის მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. სასურველია ამ კანონპროექტს მუშა-ქალები გულდასმით გაეცნობოდენ და თავიანთ მოთხოვნილებათა გარკვევას შეუდგებოდენ“ („აზრი“ N11, 13 მარტი, 1914, გვ.1).

მუშა ქალების აუტანელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად გაზეთ „განთიადში“ დაბეჭდილი წერილის ავტორი ნინა ქართველიშვილისა, ქართველ ქალებს მოუწოდებს: „ამას წინათ ქალთა მდგომარეობის შესახებ გაზეთ „თანამედროვე ქვეყანაში“ მოთავსებული იყო ქალბატონ ცერცვაძის წერილი „მუშა ქალთა შესახებ“: „მოწოდება ქალებისადმი, რომ ხელი მოკიდონ კულტურულ მუშაობასა და მოძმეთა ბრძოლაში ჩაებან“ („განთიადი“ N1, 1 აგვისტო, 1913, გვ.4).

მუშა ქალთა გაუსაძლის პირობებზე მოგვითხრობს ასევე გაზეთ „განთიადის“ ფურცელზე დაბეჭდილი სტატია: „ბათუმის მკერავ ქალების მდგომარეობა“: „ქ. ბათუმში 30 ქალის ტანისამოსის სამკერვალო სახელოსნო იქნება და შიგ ასზე მეტი მომუშავე ქალი; ამათი ყოფნა არ ყოფნას წარმოადგენს: ახლა, ამ ზაფხულში გათენებიდან დაღამებამდის მუშაობენ და ხელფასი კი ექვსი შაურიდან შაურამდი ეძლევათ. თუ ამის შესახებ რომელიმე მომუშავე ქალი შეეკითხა გაუმაძღარ ხაზეინს, იგი ასე უპასუხებს ხოლმე: რას ამბობ, ქალის ჯამაგირი მანეთი და 6 აბაზი ვინ გაიგონაო; ქალებს კი არა კაცებსაც არა აქვს ამდენი ჯამაგირიო“ („განთიადი“ N8, 10 აგვისტო, 1913, გვ.3).

ქალებს აქ არამარტო ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებათ მუშაობა, არამედ ისინი ხაზეინების მხრივ ეკონომიურ დისკრიმინაციასთან ერთად დევნასაც განიცდიან და მათ ისე ეპყრობიან, როგორც პირუტყვს „როგორც სუსტ არსებას, ქალს არაფრათ აგდებენ და როგორც უნდათ ისე ექცევიან...

„აქ მომეტებულათ მუშა ქალები გურიიდან არიან ჩამოსული, რომელთაც ეუბნებიან: გინდათ ამ ფასში იმუშავეთ, არადა მიბრძანდითო, მათ კი უკან წასასვლელი საშუალებაც არ აქვთ და ასე უპატრონონი იძულებული ხთებიან, რომ დათანხმდენ რა ფასიც უნდა შეაძლიონ“ („განთიადი“ N8, 10 აგვისტო, 1913,გვ.3).

წერილის ავტორი ალექსანდრა ცერცვაძისა ამ მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებისათვის ქალებსაც ადანაშაულებს, რადგან ისინი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში

არ არიან ჩაბმულნი. ,,ეს კი ერთი უკეთესი საშუალებაა, რომ თვითონვე საკუთარი ხელით იხსნან თავი ამ გასაჭირიდან. კარგად უნდა იცოდენ, რომ ,,ხსნა ერთობაშია".

ისინი კი კულტურულ და გამანათლებელ საქმეს შორს გაურბიან. დროა, ჩვენი მუშა ქალებიც მოვიდნენ გონს და მოითხოვონ ამხანაგ კაცებთან ერთად შრომის ნორმალური პირობები" (,,განთიადი" N8, 10 აგვისტო, 1913, გვ.3).

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასა და ელემენტარულ სოციალურ ყოფას მოწყვეტილ სოფელს აღწერს გაზეთი ,,განთიადი": ,,ძველად ცნობილი სენაკი მდებარეობს ახალ სენაკიდან 6 ვერსის მანძილზე: ,,იგი წარმოადგენს ერთ ბნელ და უმოძრაო დაბას: არც ფოსტა-ტელეგრაფი, არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო, არც სხვა რამე კულტურული დაწესებულება მას არ მოეპოვება. მთელ დაბასა და ახლო-მახლო სოფლებს მარტო ისღა მოუხერხებიათ, რომ დაუარსებიათ ერთი ორ კლასიანი ვაჟთა და ერთ კლასიანი ქალთა სკოლები; ძველი სენაკის წ.კ.ს. სკოლას გუბერნიის თავად-აზნაურობა ინახავს" (,,განთიადი" N10, 13 აგვისტო, 1913, გვ.4).

აქაც ავტორი ვინმე ,,ი" მოუწოდებს ძველ სენაკელებს კულტურულ დაწე-სებულებების დაარსებისა და ხალხის გამოღვიძებისაკენ.

ყურადსაღებია XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში გამომავალი კიდევ ერთი გაზეთი ,,სიტყვა", რომელიც 1913 წლიდან იბეჭდებოდა.

,,ინფორმაცია ქალების განათლება" ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩებოდა საქართველოში:,,განათლების სამინისტრო მოკლე ხანში დაამთავრებს საქალებო გიმნაზიების კანონპროექტის შემუშავებას. პროექტის თანახმათ საქალებო გიმნაზიების კურსი უნდა გაუთანასწორდეს სავაჟო გიმნაზიების კურსს და კერძოდ უნდა შემოიღონ ლათინური და ერთი უცხო ენის შესწავლა."

ახალი კანონ–პროექტის დამტკიცება თვალსაჩინო რეფორმებთან იქნება დაკავშირებული, კერძოდ: ,,ამ ახალი საქალებო გიმნაზიების კურს - დამთავრებულთ უფლება მიეცემა უნივერსიტეტში შესვლისა და საერთოდ უფლებრივათ ვაჟ-გიმნაზიელებს გაუთანასწორდებიან. საქალებო გიმნაზიის მასწავლებელთ ისეთივე უფლებები მიენიჭება, რითაც სავაჟო გიმნაზიების მასწავლებლები სარგებლობენ" (,,სიტყვა" N17, 20 დეკემბერი, 1913, გვ.3).

კატო მიქელაძე თავის გამოსვლებში ყოველთვის ხაზს უსვამდა ქალის, როგორც მოქალაქის უფლებებს, მათ შორის განათლების საკითხებს: ,,ჩვენ ხშირად გვესმის ქალის ,,დანიშნულებაზე" და მის უფლებებზე, ვითომც ისინი გამოყოფილი უნდა იყოს კაცის უფლებათა და დანიშნულებისაგან... უაზრობაა და უსამართლობაა ვიფიქროთ, რომ, ვითომც, ქალებს არ ჰქონდეთ რაიმე დამოკიდებულება ცოდნის უმაღლეს ფორმებთან, რომელნიც ზრდის და ანვითარებს კაცობრიობას ზნეობრივად და სულიერად. მითუმეტეს მძიმე ბოროტებაა, თუ მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალი მხოლოდ მონურად უნდა ემორჩილებოდეს მას და მისი მოქმედება ისაზღვრებოდეს ოჯახური ცხოვრებით" (,,ხმა ქართველი ქალისა" N5, მაისი, 1917).

გაზეთი ,,სიტყვა" აქტიურად ეხმაურება მუშა ქალთა მდგომარეობას:,,ქალთა თავისუფლების ლიგის" მიერ გამართულ კრებაზე, რომელზედაც მოხსენება ქალის საფაბრიკო ინსპექტორობაზე წაიკითხეს, დამსწრეებმა კამათის მოწყობის სურვილი გამოსთქვეს. კრების თავმჯდომარემ ამაზე განაცხადა, რომ კამათი პოლიციის მიერ აკრძალულად გამოცხადდა. მაშინ მუშათა რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ მუშებს განძრახული აქვთ მომხსენებელს წერილობით შეეკითხონ ამა თუ იმ კითხვებზე.

თავმჯდომარემ ამაზე თანხმობა განაცხადა და მუშებმა შემდეგი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს: ,,არჩეულ იქნებიან მუშების მიერ ინსპექტორი ქალები, თუ დანიშნულნი, როგორი იქნება დამოკიდებულება მუშებსა და ინსპექტორებს შორის და სხვ. ვერც ერთ ამ შეკითხვაზე მუშებმა პასუხი ვერ მიიღეს, მაშინ მუშებმა

დემონსტრაციულათ დატოვეს კრება“ (,,სიტყვა“ N7, 8 დეკემბერი, 1913, გვ.3).

ცნობილია, რომ მრეწველები სამუშაოდ იწვევდნენ ქალებსა და ბავშვებს, რომელთაც მამაკაცებთან შედარებით მცირე ანაზღაურება ეძლეოდათ. ამის შესახებ მოგვითხრობს ინფორმაცია ,,ქალთა დასვენების შრომა“: ,,ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმათ მრეწველები ცდილობენ მოზრდილ მუშათა ნაცვლათ ქალები და ბავშვები დაიქირავონ. ამიტომ 1901-1910 წლების განმავლობაში ქალთა რაოდენობა წარმოებაში 26%-დან 21%-ზე ავიდა. ბავშვების რაოდენობამ კი 36%-ით მოიმატა. ბავშვთა შორის ქალთა რიცხვმა 53%-ით.“

მუშათა დაზღვევა გზათა სამინისტროს მიერ მოხდება კასპიის ზღვასა და ვოლგის რაიონის გემების მოსამსახურეთა აღსაწერათ“ (,,სიტყვა“ N15, 18 დეკემბერი, 1913, გვ.3).

ქუთაისში 1913 წელს გამომავალი გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა“ ქალთა მოძრაობაზე სისტემატიურად ბეჭდავდა ქრონიკებს, როგორც რუსეთის ცხოვრებიდან ასევე ქართველ მუშა ქალებზე.

წერილი ,,ქალთა მოძრაობის ქრონიკა“ კიდევ ერთხელ ეხმაურება სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ პროექტს ქალთა საფაბრიკო ინსპექციის შემოღების შესახებ: ,,თავის მხრით ქალთა თანასწორობის ლიგამ ბევრი იმუშავა ამ საკითხზე, და ეგონა ამას თანაგრძნობით მოეკიდებოდენ უმაღლეს წრეებში, რადგან დასავლეთ ევროპაში ასეთი თანამდებობა უკვე არსებობს და საქმეც ჯეროვნადაც მიყავთ. მაგრამ მინისტრების საბჭომ უარყო სახელმწიფო სათათბიროს 33 წევრის წინადადება. საზოგადოთ ქალთა უფლების გაფართოების შესახებ შეტანილ პროექტებს უგულოთ ეგებებიან მმართველ წრეებში“ (,,თანამედროვე ქვეყანა“ N3, 27 აპრილი, 1913, გვ.3).

გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა“ ეხებოდა მუშათა ქალების მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში და ამასთან თვითკრიტიკულად აღნიშნავდა, რომ ,,მუშა ქალების შესახებ ნაკლებათ იწერება წერილები, მეტადრე ჩვენებური მუშა ქალები სულ მივიწყებულია, ასე გეგონება თითქოს მუშა ქალები ჩვენს ქვეყანაში არც კი იყვენ. ვინ არ იცის რომ ცხოვრებასთან ბრძოლამ, ლუკმაპურის ძებნამ ძველებურ ოჯახს მამაკაცთან ერთად ქალებიც მოსწყვიტა, და ქალებიც იძულებულნი გახდენ შრომით პური ჭამონ, სხვადასხვა სახელოსნოებში და ქარხნებში მათაც იმავე აუტანელ პირობებში იმუშაონ (და ზოგჯერ უარესშიაც), როგორშიაც მამაკაცები მუშაობენ“ (,,თანამედროვე ქვეყანა“ N16, 12 ივლისი, 1913, გვ.4).

წერილის ავტორი ალექსანდრა ცერცვაძისა მოუწოდებდა ქალებს უფრო მეტი შემართებით იბრძოლონ თავისუფლების მოსაპოვებლათ, ვინაიდან, იმ დროს როცა მამაკაცები თავიანთ გასაჭირს გაზეთითა თუ სხვა საშუალებით ერთი მეორეს უზიარებენ, მუშა კაცები ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ათას საშუალებებს ეძებენ: ,,ჩვენ კი ამ დროს ქალები, მუშა ქალები რას ვშვრებით, რათ ვართ მდუმარე, რატომ ხმას არ ვიღებთ? ნუთუ ცხოვრებით ჩვენ კმაყოფილი ვართ, მოპოებული გვაქვს ადამიანური უფლებები და საბრძოლველ - მოსაპოებელი აღარაფერი დაგვრჩა? დიახაც, რომ ბევრი რამ გვაქვს, მოსაპოებელი და საბრძოლველი, მაგრამ ჩვენ ყურზე გვძინავს, არ ვცდილობთ გავთითვცნობიერდეთ, ერთი მეორეს სასიამოვნო გავიგოთ, ერთი მეორეს თანავუგრძნოთ“...

მაშინ, როცა ჩვენი ძმები, დღიური შრომით მოქანცულნი საღამო სკოლაში მიდიან, ლექციებს ესწრებიან, კამათობენ, მსჯელობენ, ვითარდებიან. ხოლო ქალები ჟურნალ-გაზეთების კითხვის მაგიერ და ამხანაგობაში ჩაწერის ნაცვლად ხმას არ ვიღებთ და სიმართლის თქმას გავურბივართ.

უკვე დროა დაქსაქსულობისა და ჩამორჩენილობის ნაცვლად გამოვფხიზლდეთ და გავერთიანდეთ: ,,დროა ჩვენც მოვიახლოვოთ ცხოვრების გაუმჯობესება, ჩავეწეროთ ჩვენც მამაკაც მუშებთან ერთად ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებში, თავი

დავანებოთ კოპწიაობას და კავალრებთან ბულვარის ტკეპნას. დარწმუნდით, რომ ამით ჩვენ ბევრს მოვიგებთ და ჩვენი მუშური თანაგრძნობით ჩვენს მომმე მუშა კაცებსაც გავამხნევებთ“ (,,თანამედროვე ქვეყანა“ N16, 12 ივლისი, 1913, გვ.4).

საერთოდ, XX საუკუნის დასაწყისში, მიუხედავად დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და კულტურული ცვლილებებისა, მაინც პრობლემურ საკითხად რჩებოდა საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის ძალითაც ქალები საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ - სწავლობდნენ და ასწავლიდნენ.

დიდმა 60-იანელებმა იმთავითვე ჩართეს ქალები საგანმანათლებლო მოღვაწეობაში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში მათ ლომის წილი ედოთ.

საქართველოში არ იყო არც ერთი დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სადაც ილია ჭავჭავაძის ხელი არ იყო გარეული: ,,ცნობილია, რომ დედაჩემის სახელობის სამკერვალო სკოლა იყო გახსნილი საქართველოში - ჯერ თბილისში, მერმეთ ყველგან და დედაჩემისაგან მაქვს გაგონილი, რომ იდეა და პრაქტიკა ამ სკოლის დაარსებისა იყო ილია ჭავჭავაძის ცოლი, მეგობარი დედაჩემისა, ერთად გახსნეს ეს სკოლა და დედაჩემისაგან ყოველთვის გაგონილი მქონდა, რომ ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ ეს ძალიან კარგია - კლასიკური გიმნაზიები, უნივერსიტეტები, მაგრამ ჩვენ გვაკლია ხელობა; ხელობა უნდა ვასწავლოთ ჩვენს ახალგაზრდობასო“ (ჯერვალიძე 2012:185).

ამ მოგონებაში ემიგრანტი რეზო გაბაშვილი ერთ საინტერესო ინფორმაციასაც გვაწვდის: დედამისმა მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთ სხდომაზე ქალთა პროფესიული სკოლის გახსნის საკითხი დააყენა, რასაც მთელმა გამგეობამ მხარი დაუჭირა და მალე იგი რეალობად იქცა.

,,1897 წელს ეკატერინეს სახლში გაიხსნა ქალთა პროფესიული სკოლა, რომელიც იმდენად პოპულარული იყო, რომ მსგავსი სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც გაიხსნა...

რუსთაველზე, იქ სადაც დღეს მეცნიერებათა აკადემიის შენობაა, იდგა ეკატერინე გაბაშვილის ორსართულიანი სახლი ,,პირველი სართული ეკატერინეს მიერ გახსნილ ქალთა პროფესიულ სკოლას ეკავა, სადაც ფრანგულს, ინგლისურს, რუსულს, ჭრა-კერვასა და ყველაფერ იმას ასწავლიდნენ, რაც ქალს ოჯახსა და შვილების აღზდაში გამოადგებოდა. ის საზოგადოებრივ საწყისებზე იყო გახსნილი და თუ არ ვცდები, 25 წელი იარსება...“ (ჯერვალიძე 2012: 34-36).

მსგავსი სკოლის გახსნა მოინდომეს ქუთაისელმა მეცენატმა ქალებმაც:,,როგორც გავიგეთ, ქუთაისის ქალთა საზოგადოებას ნებართვა მიუღია სამკლასიან სახელოსნო ქალთა სასწავლებლის დაარსების. სასწავლებელი გაიხსნება შუა ენკენისთვეში“ (,,იმერეთი“ N137, 24 აგვისტო, 1914, გვ.3).

გაზეთი ,,იმერეთი“ გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას ქუთაისის ქალთა საზოგადოების შესახებ:,,ქუთაისის ქალთა საზოგადოებამ თვისი თავმჯდომარე ამხანაგი ოლღა ქორქაშვილის ასული და ერთი გამგეობის წევრთაგანი ბუტულა–შვილის ასული მარიამი თფილისს გაგზავნა იქაურ საქალაქო სახელოსნო შკოლების დასათვარიელებლათ. ამათ დაუვლიათ სახელოსნო შკოლები ქალაქისა, სომეხთა საქველმოქმედოსი, ქალთა საზოგადოებისა, ,,განათლების“ და გრ. ვორონცოვ-დაშკოვის სახელობისა.

ხსენებული დელეგატები დაწვრილებით გაეცვნენ ხუთივე სკოლის საქმიანობას, რომელიც კარგად ჩანს მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან. ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა ორ სხდომაზე მსჯელობდა გაეხსნათ თუ არა ქუთაისში მსგავსი ტიპის სახელოსნოებში. საბოლოოდ გამგეობამ შეიმუშავა დადგენილება:

,,1914 წ. სეკტემბერში გაიხსნას ქალთათვის სახელოსნო შკოლა 3 წლის კურსით.

1 კურსზე მოწაფე ქალები შეისწავლიან პირველ-დაწყებით ჭრა-კერვას, თეთრეულის კერვასა და ქარგვას.

2 კურსზე განაგრძობენ ამავე დარგებს, მხოლოდ უფრო ვრცელი პროგრამით.

3 მესამე კურსზე ყველა ზემოთხსენებულ საგნებს პირველისა და მეორე კურსისას გაივლიან მხოლოდ პრაკტიკულათ მოწვეული სპეციალისტი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელ განყოფილებაში მიიღება შესაკერავათ შესაფერი ფასდადებით, გარეშეთაგან შეკვეთილი ტანისამოსები.

სახელოსნოში შემსვლელთათვის სავალდებულოა პირველ დაწყებითი წერა- კითხვა ქართულათ და ანგარიში.

მოწაფე ქალები მიიღებიან ხნოვანებით არა ნაკლებ 12 წლისა". გადასახადი იქნება პირველ და მეორე კურსზე 20 მანეთი, ხოლო მესამეზე 25 მანეთი.

ვინც მესამეში ისურვებს შესვლას ხელობის დასასრულებლათ და მოწმობის მისაღებათ, მან წელიწადში ხუთი თუმანი უნდა გადაიხადოს.

ქუთაისის ქალთა საზოგადოებას კარგად ესმის ამ სასარგებლო სასწავლებლის დიდი მნიშვნელობა, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მალე დაიმსახურებს" (,,იმერეთი" N39, 26 აპრილი, 1914, გვ.2).

ქალთა პროფესიონალური სკოლების გასახსნელად რეგულარულად ტარდებოდა საქველმოქმედო საღამოები, რომლის შემოსავლითაც ფინანსდებოდა აღნიშნული სკოლები. ამის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი ,,იმერეთი" წერილში ,,კავკავი":,,თორმეტ აპრილს აქაურმა ქართველ ქალთა ,,პარასკევის" საზოგადოებამ გამართა მეორე საღამო ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლის სასარგებლოთ. საღამოს დიასახლისად იყვნენ ,,პარასკევის" ქალთა საზოგადოებიდან სოფია დავითის ასული კალანდარიშვილისა და კნ. ლორთქიფანიძისა. ქ-ნ კალანდარიშვილის მეცადინეობით მრავალმა ქართველმა ქალმა მიიღო მხურვალე მონაწილეობა საღამოს მოწყობაში: ყველა ცდილობდა რითაც შეეძლო ხელი შეეწყო საღამოს საგულისხმოთ მოწყობისათვის" (,,იმერეთი" N40, 27 აპრილი, 1914, გვ.4).

ქართველმა ხალხმა, ჩინიანმა თუ უჩინომ, იმთავითვე გაითავისეს პროფესიო–ნალური სასწავლებლების სიკეთე და ამიტომ ქალაქად თუ სოფლად დიდი იყო მოთხოვნა მათ გახსნაზე. სწორედ, ამ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება გაზეთ ,,იმერეთში" დაბეჭდილ სტატიაში ,,ხელსაქმე ჩვენს სკოლებში": ,,ჩვენს სოფლის შკოლებში ვაჟებთან ერთად ქალებიც სწავლობენ. ბევრგან ამ უკანასკნელთა რიცხვი ბევრია. ყოველგვარი ცოდნა გამოსადეგია, მაგრამ ქალების ხელსაქმის ცოდნაც დიდად საჭირო რასმე შეადგენს. ქალი უნდა იყოს დედა და მეოჯახე. თავის ოჯახში, ჩვენი ქალიშვილები სწავლობენ მწყემსვას, ჭადის გამოცხობას და პერანგის კერვას მხოლოდ. საჭიროა აქ შკოლა დაეხმაროს ჩვენს ოჯახებს და სადაც კი მოსახერხებელია, შეასწავლონ მოწაფე ქალებს ქარგვა, ჭრა-კერვაც. სათანადო მთავრობაც თანაგრძნობით ხვდება ამ საქმეს, თუ კი რასაკვირველია, შკოლამ იზრუნა, აღძრა შესაფერი შუამდგომლობა."

საერთოდ, მთავრობამ არ იცის ვინ უნდა იკისროს ხელსაქმის სწავლება სკოლაში, რადგან ჩვენში ყველამ არ იცის ეს საქმე, ამიტომ სასურველია ხელსაქმეს მასწავლებლად დაინიშნოს იმ სოფელშივე მყოფი. თუ კი მასწავლებელს შკოლისას ეცოდინება ხელსაქმე და ასწავლის, ეს ხომ სასიხარულოა და იგი შესაფერ გასამრჯელოსაც მიიღებს.

სოფლად ორკლასიან შკოლაში მოწაფე ქალთა რიცხვი ძალზე დიდია. ამიტომ საგნის მასწავლებელი ვერ ასწრებს მოსწავლეს ხელსაქმეც შეასწავლოს. მოწაფეები ხელსაქმის გაკვეთილებს ხალისით ეტანებიან. როცა სოფელში ხმა გავარდა ხელსაქმის მცოდნე მასწავლებელი ინიშნებაო, შკოლას მოწაფეთა რიცხვი უფრო მოემატა. ამის მიზეზი ისაა, რომ ,,ბევრი მოწაფე შინ ოჯახში რჩება სოფლის სკოლის გათავების შემდეგ. ამიტომ ის ცხოვრებისთვის რამდენათმე მაინც მომზადებული უნდა იყოს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს კურთხეულ მხარეში მეურნეობის აყვავებას მოყვება ხალხის ქონებრივათ წინ სვლა, რასაც აუცილებლათ შედეგად მოყვება ჩვენი ერის გონებრივათაც წინ სვლა. ამიტომ სასურველია, სადაც კი მოსახერხებელია, ასწავლონ ვაჟებსაც ხელობა: კალათების წვნა, მიწის დამუშავება, ხეხილის მოვლა და ბოსტნის კეთება. ამისათვის საჭიროა მიწაც ჰქონდეს შკოლას.

მერევის ორკლასიან შკოლის მასწავლებელთ განზრახვა აქვთ როგორმე მოაწყონ ხსენებულ შკოლასთან აგრონომიული განყოფილებაც.

დიდად დაავალებენ საზოგადოებას აქაური მკვიდრნი თუ კი ვინმე მათგანი ამ მიზნისთვის მიწას შესწირავს შკოლას“ (,,იმერეთი“ N42, 30 აპრილი, 1914, გვ.2).

XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება: 1913 წელს ამ განყოფილების წევრად ჩაეწერა არა მარტო მამაკაცები, არამედ მათ შორის გახლდნენ თავად-აზნაურთა წარმომადგენელი ქალბატონებიც: ,,თავ. მიხაკო ერისთავი, ვერა ერისთავის ასული, კ-ნ. ნინო ტარელის ასული დადიანისა, თავ. ჯვეშე დადიანი, თ. მუშნი დადიანი, გრამიტონ სარჯველაძე, ირაკლი ჭყონია, მიხეილ ანთაძე... გამგეობის წევრი ქალებიდან უნდა გამოვყოთ: მარიამ გიორგობიანის ასული, ნინო ლომინაძის ასული, ევგენია დავითის ასული მიქელაძის, ქალ. რუხაძისა. თამარ მაჭავარიანის ასული, ვარინკა ბოკუჩავას ასული“ (,,იმერეთი“ N6, 12 მარტი, 1914, გვ.4).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისელი ქალები არამარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრები გახლდნენ, არამედ ქუთაისში უკვე არსებობდა ქალთა სახელობის გიმნაზიები და პროგიმნაზიები, სადაც თავად ქალები იყვნენ სასწავლებლების ხელმძღვანელები.

XX საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისში უკვე არსებობდა: ,,მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზია“, ,,ელისაბედ პავლეს ასულის ხოჯევანიშვილის კერძო პროგიმნაზია“, ,,წმინდა ნინოს სასწავლებელი“, ,,ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელი“, ,,ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი“, ,,ნინო ხოჭოლავას მესამე ხარისხის სკოლა“, ,,ქალთა წრის მესამე ხარისხის სასწავლებელი“, ,,ნინო ლაფერაშვილის მესამე ხარისხის სასწავლებელი“, რომლებსაც ათეულობით ქალი ამთავრებდა.

,,ამ წლის 1 სეკტემბრიდან ქუთაისში იხსნება სამი მესამე ხარისხის სასწავლებელი. პირველს ხსნის ქალთა წრე, მეორეს ნინო ლაფერაშვილისა და მესამეს ნინო ხოჭოლავასი“ (,,იმერეთი“ N142, 31 აგვისტო, 1914, გვ.4).

ამ სასწავლებლების მატერიალურად უზრუნველსაყოფად ქუთაისელი ქველ–მოქმედი ქალები ხშირად მართავდნენ საღამოებს, სკოლას უზრუნველყოფდნენ ცნობილი მეცენატების შემოწირული თანხებით. მართავდნენ თეატრალურ წარმოდ-გენებს, საიდანაც შემოსული თანხებით გადასახადებიდან თავისუფლდებოდნენ ღარიბი მოსწავლეები.

საქართველოში სწავლა-განათლებას ყველა ერთი თვალსაზრისით როდი უცქე–როდა: ,,ხალხი ქალებისათვის სწავლა-განათლების მიღებას თითქმის ზედმეტად სთვლის და საქმეს პრაკტიკული მხრიდან ზომავს, ხშირად იტყვიან ხოლმე ,,გოგო სხვისი ნაცარია, გათხოვდება და წავაო და ბიჭი კი ჩემთან დარჩებაო“ (,,იმერეთი“, N109, 19 ივლისი, 1914, გვ.2).

ასეთი ყალბი შეხედულებებისაგან თავის დასაღწევად ქართველი ქალები ყველა ზომას ღებულობდნენ, რომ სოფლად გახსნილიყო პირველდაწყებითი ერთკლასიანი და ორკლასიანი საქალო სასწავლებელი ან პროფესიული სასწავლებელი. ამ უკანასკნელის გამოყენებითა და ხელობაზე დაუფლებით თანდათანობით გადადიოდა ეკონომიური ბერკეტები ქალების ხელში.

გაზეთი ,,იმერეთი“ ახალ ამბავში იტყობინებოდა: ,,როგორც გავიგეთ, ქუთაისის ქალთა საზოგადოებას ნებართვა მიუღია სამკლასიან სახელოსნო ქალთა სასწავლებლის

დაარსების. სასწავლებელი გაიხსნება შუა ენკენისთვეში“ („იმერეთი“ N137, 24 აგვისტო, 1914, გვ.3).

საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება იყო ქალთა მიერ წაკითხული ლექციების კურსი: „17 ივლის ბახმაროს თეატრის დარბაზში „ჩიტო შარაშიძის ასულმა ლექცია წაიკითხა უკვდავ ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ და ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შესახებ. მან დაგვიხასიათა ნინოშვილი, როგორც ბელეტრისტი, როგორც საუკეთესო გამომთქმელი ხალხის დუღჭირი ცხოვრებისა. ლექცია კარგი ქართულით არის დაწერილი. ეს ლექცია მას რამდენიმე ადგილს წაუკითხავს და საზოგადოებას ძალიან მოსწონს“ („იმერეთი“ N120, 2 აგვისტო, 1914, გვ.1).

ქალებმა მაღალ დონეზე წაკითხული ლექციებით არამარტო მამაკაცი ლექტორები შესცვალეს, არამედ საზოგადოების დიდი სიმპათიებიც დაიმსახურეს.

ქალების მიერ ქუთაისში იქმნებოდა ასევე ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დასახმარებელი საზოგადოებები: „შაბათს, 23 აგვისტოს, ქუთაისის ვიცე-გუბერნა–ტორის თავმჯდომარეობით, ქუთაისის ქალაქის გამგეობაში შესდგა ქალთა წრის კრება ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებელ საზოგადოების დასაარსებლათ“ („იმერეთი“ N138, 26 აგვისტო, 1914, გვ.3).

„პარასკევს ქალაქის ბაღში, დილის 12 საათიდან გაიმართება „ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ სახალხო სეირნობა ლოტარია - ალეგრით, რომლის შემოსავალიც გადაიდება დასახელებულ კომიტეტის თანხის გასაძლიერებლად.“ ქალთა წრე მიმართავდა საზოგადოებას, რათა ამ კეთილ საქმეში თავიანთი წვლილი შეეტანათ და საღამოს დასწრებოდენ“ („იმერეთი“ N139, 27 აგვისტო, 1914, გვ.4).

ამრიგად, ისევე, როგორც ყოველი ადამიანი, საზოგადოებაც იმის და მიხედვით ფასდება, თუ რამდენად ღირსეულად პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელთაც დრო და გარემო მის წინაშე აყენებს. საქართველოში ცარისტული რუსეთის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრება არა ერთხელ მდგარა დიდი საფრთხეების, მათ შორის ფიზიკური განადგურების წინაშეც.

ასეთ დროს სწორედ სულით ძლიერი, განათლებული და ცივილიზებულ სამყაროზე ორიენტირებული პიროვნებები იღებდნენ საკუთარ თავზე საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სიმძიმეს და მათ შორის იყვნენ საქართველოში მცხოვრები ქალები.

მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური თუ სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, ბევრმა მათგანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს, როგორც ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილის, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის დღემდე მოტანაში.

ხშირად ქალების საქმიანობა არათუ მხარდაჭერის, არამედ ქილიკისა და ღია განკიცხვის საგანიც ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი ქმნიდნენ შესანიშნავ პროზასა და პოეზიას, ფერწერულ ტილოებს, გამოდიოდნენ თეატრალურ სცენაზე, იყვნენ მეცნიერები, განმანათლებლები.

საქართველოში მოღვაწე ქალები იყვნენ პროგრესული პოლიტიკური იდეებისა და ფილოსოფიური მიმდინარეობის პოპულიზატორები და ქველმოქმედები.

ამ ღირსეულ ქალთა პლეადაში უნდა გამოვყოთ შემდეგი ქალები: ბაბო ავალიშვილი-ხერხეულიძე - ქალის როლების პირველი შემსრულებელი და ქველმოქმედი, „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ საზედამხედველო კომიტეტის წევრი.

საქართველოში დაბადებული სომეხი აზიანი - ნატალია დონდაროვა - პირველი დრამატურგი ქალი, რომელიც ავტორი გახლდათ შემდეგი პიესებისა: „ინჯილერი ან დოხტური“, „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ხან ისე და ხან ასე“, „ვაი კალ-მისაგან“, „პოლიტიკური დურაჩკა“, „სამშობლოს ბურჯნი“, „ცოდვა“ და „დეზერტიკა“.

ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილი (მაჩაბელი) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარე და ქართული თეატრის განვითარების ერთ-ერთი აქტივისტი.

თეკლე ბატონიშვილი-ბაგრატიონი ქართველი პოეტი ქალი, მეფე ერეკლეს ასული;

დომენიკა ერისთავი, განდეგილი საქართველოში ქალთა პირველი ორგანიზაციის - ,,ქართველ ქალთა საზოგადეობის" დამფუძნებელი, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი. გაზეთ ,,ივერიის" პირველი კორექტორი ქალი, ქალთა უფლებების დამცველი;

მარიამ გარიყული-თათეიშვილი პოეტი, მწერალი და ჟურნალისტი, თბილისსა და ქუთაისში თეატრალური მოღვაწეობის აქტივისტი.

ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე პირველი ქალი, რომელმაც ქალთა მდგომარეობასა და მის უფლებებზე გაზეთის ფურცლებზე ღიად ილაპარაკა. მისი პიესა ,,რას ვეძებდი და რა ვიპოვე" წლების განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, ქალთა პროფესიული სკოლის ფუძემდებელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის ქალთა საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ჟურნალ ,,ჯეჯილის" ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელი.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი - ევროპული განათლების სისტემას შვეიცარიასა და საფრანგეთში გაეცნო. თარგმნა არა ერთი პუბლიკაცია ბავშვთა აღზრდის, პედაგოგიკისა და ბიბლიოთეკების საკითხებთან დაკავშირებით. 1872 წელს ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით საქართველოში დაარსდა ქალთა წრე, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანასა და ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას.

1884 წელს მისივე ხელშეწყობით სოფელ ხელთუბაანში გაიხსნა სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სკოლა, ხოლო 1886 წელს დაარსა ,,მასწავლებელ ქალთა საზოგადოება." ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით აშენდა მოხუც პედაგოგ ქალთათვის თავშესაფარი და ქალთა დაწყებითი სასწავლებელი.

იგი ფართო ჟურნალისტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა და სწორედ მისი რედაქტორობით 1890 წლიდან გამოდიოდა საბავშვო ჟურნალი ,,ჯეჯილი". 1893-1904 წლებში გიორგი წერეთელთან ერთად გახლდათ გაზეთ ,,კვალის" რედაქტორ-გამომცემელი.

1908 წელს მანვე დააფუძნა საზოგადოება ,,განათლება", რომლის სკოლამ პირველად ქართულ ენაზე სწავლების სისტემაზე სრულად გადასვლა შესძლო.

ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხი - ერთ-ერთი პირველი ქალთაგანი, ვინც უმაღლესი განათლება შვეიცარიაში მიიღო. აქვე გახდა საზოგადოება ,,უღელის" წევრი, რომელიც ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დაარსეს.

კეკე მელიქიშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ოდესის უნივერსიტეტში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნისა და მისი პირველი დეკანიც. იგი იყო საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიტერატორ ქალთა წრის წევრი, გამომცემლობა ,,სხივი"-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და საზოგადოება ,,განათლების" დამაარსებელი.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქუთაისში დაბადებული და მოღვაწე ქალები: ანნა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი, რომელიც ქუთაისში დაიბადა და გახლდათ დიდი განმანათლებლისა და მეცენატის ნიკო ღოღობერიძის და. ანნა ღოღობერიძე ქუთაისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაწყებითი სკოლის დასაარსებლად შექმნილ საზედამხედველო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო.

ახალციხეში გათხოვების შემდეგ მისივე თაოსნობით დაფუძნდა 1868 წელს ,,ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოება", რომლის მიზანსაც ახალციხეში

ქართველი ქალებისთვის უფასო სასწავლებლის გახსნა წარმოადგენდა;

ეკატერინე ნიკოლაძე ევროპაში განათლება მიღებული ერთ-ერთი ქართველი გახლდათ, რომელიც განათლების მიღების შემდეგ ქუთაისში დაბრუნდა და პედაგოგიურ-საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა.

პანსიონი, რომელიც გიმნაზიაში შესასვლელად ამზადებდა ბავშვებს დიდი პოპულა-რობით სარგებლობდა. მისივე ინიციატივით ქუთაისში იმართებოდა სახალხო წარმოდგენები.

ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე - დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი მთარგმნე–ლობითი, სამსახიობო, საგამომცემლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით იყო გამორჩეული. მან ქუთაისში დააფუძნა ალმანახი ,,ქართული ბიბლიოთეკა“. იგი იყო ასევე ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარის მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე. 1879 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავად-აზნაურთა დამფუძნებელი კრების დადგენილების საფუძველზე ელენე და ანტონ ლორთქიფანიძეების ბინაში გაიხსნა პირველ დაწყებითი ერთ კლასიანი სკოლა.

ელენე ყიფიანის ინიციატივით, ქალთა ჯგუფმა გამოსცა კრებული ,,თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“.

ელენე ყიფიანი მეუღლესთან ერთად იყო ქუთაისის სცენის მოყვარულთა აქტიური წევრები და არა ერთი სპექტაკლის მონაწილეები.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძემ განათლება ჯერ ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში მიიღო, ხოლო უმაღლესი განათლება კი 1901 წელს ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ჩაერთო საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში. 1918 წელს გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ხოლო 1919 წელს კი სოციალ-დემოკრატების სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

კატო მიქელაძემ განათლება ევროპაში მიიღო და ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1916 წელს საქართველოში დაბრუნდა. თანამოაზრეებთან ერთად ქალთა უფლებებისათვის აქტიური ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით 1917-18 წლებში ქუთაისში რეგიონალური ქსელი ,,ქალთა ლიგა“ ჩამოაყალიბა. ამავე დროს პარალელურად გამოსცემდა ქუთაისში და რედაქტორობდა გაზეთს ,,ხმა ქართველი ქალისა“.

ზემოთ აღნიშნულ ქალთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა თავდაპირველად პირად ინიციატივებს ეფუძნებოდა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის 10-იანი წლებში ქართველმა ქალებმა გამოფხიზლება, ამოქმედება და დარაზმვა დაიწყეს.

თუმცა მათი კვალი თავდაპირველად მკრთალი და სუსტი გახლდათ, მაგრამ კვალი მაინც იმდენად ჩანდა, რომ სამომავლოდ მათი მოღვაწეობა თანდათან გაძლიერდა, რადგანაც ქალებმა ჭეშმარიტი სწავლა-განათლების მიღებისა და ცხოვრების შეგნების ამაღლებით ფესვები საიმედოდ გაიდგეს.

იმ ეპოქაში ქართველი ქალების ლიტერატურული მემკვიდრეობა, სწავლა-განათლების ფართო ქსელის შექმნა, ბიბლიოთეკების დაარსება, თეატრის აღორძინება თუ ფართო ქველმოქმედებითი საქმიანობა ეროვნული თავისუფლებისა და ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლისაკენ წარიმართა.

ქართველმა ქალებმა პირადი ინიციატივებიდან ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობით ფასდაუდებელი მაგალითი უჩვენეს თანამემამულე ქალებს და ამავე დროს საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას, პირადი თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის პოსტულატის განმტკიცებას.

ასე რომ, სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ქართველმა ქალებმა, ქალთა შესახებ

საზოგადოების უკეთ ინფორმირებისა და ისტორიული მაგალითების საფუძველზე, ხელი შეუწყვეს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას საქართველოში, რომლის პროვოკატორად გამოიყენეს ქართული პრესა. მათ შორის ქუთაისში გამომავალი გაზეთები, რომლის მეშვეობით ქალებმა უკეთ შეძლეს ბრძოლისა და პრობლემების დაძლევის ახალი ტენდენციების ჩამოყალიბება, მათში ქალთა ჩართულობის ახალი კონცეფციების გამომუშავება, - ევრო-ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და გარკვეულ ქალთა ჯგუფის მიერ რუსეთის სოციალისტური რევოლუციის გავლენით.

უკვე XX საუკუნის 10-იანი წლების დასასრულიდან ქალთა მოძრაობა ახალ პოლიტიკურ რაკურსში წარმოგვიდგება, რომელსაც საქართველოში თან ახლდა დიდი პოლიტიკური ძვრები.

სწორედ, ამ დროს ქალთა მოძრაობა, როგორც პოლიტიკური დოქტრინა ისე ჩამოყალიბდა და ეპოქის შესაბამისად მკვეთრი ევოლუცია განიცადა.

XIX საუკუნის მიჯნაზე საზოგადოებრივი აზრის ასახვისა და ინფორმაციის მასობრივად გავრცელების უმთავრეს საშუალებას ბეჭვდური მედია წარმოადგენდა, რომელშიც ქვეყნდებოდა იმ დროის მნიშვნელოვანი მოვლენები და საკითხები.

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა, ქალთა განათლების, დასაქმებისა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თემებთან დაკავშირებული სტატიები ხშირად იბეჭდებოდა ქუთაისში გამომავალ პირველ ბეჭვდურ ორგანოში გაზეთ ,,შრომაში“ (1881-1883).

სწორედ, პრესის ამ ფურცლებიდან იწყება ქუთაისსა და მის გუბერნიაში ქალთა საკითხების ისტორიული გზაც.

ამ დროს საქართველო, ძირითადად გუბერნიებად გახლდათ დაყოფილი და ამიტომაც ქალთა მოძრაობის თემაც, ერთგვარად რუსული იმპერიალისტური რეალობის წინაშე იდგა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქუთაისში გამომავალი გაზეთები: ,,შრომა“, ,,მწყემსი“, ,,მეურნე“, ,,ცდა“, ,,აკაკის თვიური კრებული“ ცხადყობენ, რომ ქალებმა შეძლეს გადაელახათ ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებები და მოეპოვებინათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში.

მათი ძალისხმევის მძლავრი ნაკადი გახლდათ რუსიფიკაციის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმა, რომელიც საგანმანათლებლო კამპანიის სახით გაფორმდა. 1879 წელს ჩამოყალიბებულ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის აქტივობის ნიმუში.

ამ პერიოდში იმერეთში მოღვაწე შემოქმედებითი ქალები უფრო შორს წავიდნენ და ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი ,,ქართული ბიბლიოთეკა“ჩამოაყალიბეს, რომლის პირველი რედაქტორი გახლდათ ეკატერინე ლორთქიფანიძე.

ჟურნალი გახლდათ ის პირველი ბეჭდური ორგანო, რომელიც იყო საწყისი გენდერული თანასწორობისა იმით, რომ მის ფურცლებზე იბეჭდებოდა როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა უცხო ენებიდან ნათარგმნი ბელეტრისტიკული ნაწარმოებები.

ამასთანავე აქტიურად იმართებოდა პოლემიკა ,,დედათა კითხვაზე“, რომელსაც მოჰქონდა ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ, ტრადიციული შეხედულებების გადასინჯვა, თანასწორობის იდეის ევროპული ისტორიის გაცნობა და ქალთა ჯგუფებს შორის სოლიდარობის გაძლიერება, რომელსაც უპირველესად განაპი–რობებდა იმერეთში გამომავალ გაზეთებში დეპეშებით მოსული მსოფლიოს ამბების გამოქვეყნება. მცირე სტატიების, საინფორმაციო და სარეკლამო განცხადებების, თარგმანების, კრიტიკული თუ ანალიტიკური პუბლიკაციების სახით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული ინფორმაციების ავტორები გახლდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

წერილების სიუხვით გამოირჩეოდა ასევე საქართველოს ქალაქებიდან თუ

სოფლებიდან მიღებული კორესპონდენციებიც, რომლებიც ნათლად ასახავდა ქალთა მოძრაობის პირველ ტალღას.

XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან კი ქუთაისის პრესა რაოდენობრივად და თავისი იდეურობით უფრო მრავალმხრივი გახდა, რაც სოციალ-დემოკრატიის იდეის გამოჩენას უკავშირდება. მის სამიზნეს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის იდეები წარმოადგენდა და ამიტომ ყველაზე აქტუალურად ქალის სამოქალაქო უფლებები გამოიკვეთა. ეს პერიოდი ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის დასაწყის წარმოადგენდა.

ამ დროის გაზეთებში: ,,ცხოვრება“ 1912, ,,იმერეთი“ 1913, ,,განთიადი“ 1913, ,,სიტყვა“ 1913, ,,თანამედროვე ქვეყანა“ 1913, ,,აზრი“ 1914, ,,იმერეთი“ 1914, ,,ახალი ივერია“ 1914, ,,ახალი კვალი“ 1915-1916, ,,სამშობლო“ 1917, ,,ჩვენი ქვეყანა“ 1917-1918, ,,ხმა ქართველი ქალისა“ 1917-1918 - ქალთა უფლებებზე არაერთი სტატია გვხვდება.

ჟურნალისტები წერდნენ, როგორც სიახლეების ამსახველ, ისე ანალიტიკურ პუბ-ლიკაციებს, მსჯელობდნენ ქალთა შრომით უფლებებზე, მემკვიდრეობით-ქონებრივ უფლებებზე, ხმის მიცემის უფლებების შესახებ. ამავე დროს ზემოთ აღნიშნულ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში იკითხება ამერიკაში, ინგლისსა თუ საფრანგეთში ხმის მიცემის უფლებისთვის ქალთა ბრძოლის ისტორია, ამ ბრძოლაში ქალთა მიერ განხორციელებული აქტივობები, საპროტესტო გამოსვლები, სასამართლო პროცესები.

ასევე გვხვდება სტატიები, თუ როგორ იწყებენ ქალები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შრომით ბაზარზე გამოსვლას, ახალი დროების შესაბამისი შრომითი გამოწვევების მიღებას, როგორ ცდილობენ მოიპოვონ სამუშაო ადგილები ფაბრიკასა თუ ქარხნებში, ასევე აპროტესტებენ მამაკაცებთან შედარებით დაბალი ანაზღაურების ფაქტებს.

XX საუკუნის 10-20-იან წლების იმერეთის პრესაში განსაკუთრებით მრავლადაა ქალთა განათლებასთან დაკავშირებული სტატია. კერძოდ, საქართველოში მოქმედი კერძო თუ სახელმწიფო საქალებო სკოლების შესახებ, ამ სკოლების დამაარსებლების, მმართველების, სკოლის პროგრამების, კურსდამთავრებულების, საპატიო სტუმრების, ჩატარებული ღონისძიებების, სტიპენდიებისა თუ ამავე სკოლებში არსებული პრობლემების შესახებ.

,,ჩვენი განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმ. ნინოს დღეობა საქართველოს რუ-სეთთან შეერთებამდის სულ უბრალო, მივარდნილ და მიყრუებულ სოფელშიდაც დიდი ზეიმით სრულდებოდა. დიდ რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველებისათვის ამ დიდმა დღეობამ ერთ ხანს თავის ელფერი და მიმზიდველობა დაჰკარგა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეს ჩვენი ეროვნული დღესასწაული, რა მოსაზრებით არ ვიცი, უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ საყოველთაო უქმედ არ აღიარა“(,,სამშობლო“ N531, 18 იანვარი, 1917, გვ.4).

,,მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ქართული ენის საქმეც რიგიანად მოეწყო ამ სასწავლებელში. ამ განახლებულ ცხოვრებისაგან ეს სასწავლებელი დიდ იმედებს მოელის. აწი მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წმინდა სასწავლებელი პირდაპირ ეროვნულ ქართულ სასწავლებლად გადაიქცევა“ (,,ჩვენი ქვეყანა“ N101, 12 აგვისტო, 1917, გვ.4).

ქუთაისში გამომავალი პრესა ინახავს ასევე საქალებო სკოლების ისტორიას საქართველოს სხვადასხვა რაიონების შესახებ.

,,ფრიად სიმპათიური და სასარგებლო დაწესებულებაა, ეგრეთ წოდებული ქალთა სახელოსნო სასწავლებელი. ასეთი სასწავლებლები განათლებულ ქვეყნებში ფრიად ხშირია, ხოლო ჩვენში კი იშვიათი მოვლენაა. ქუთაისის ქალთა წრემ, მიუხედავათ

მისი შედარებით ცოტა ხნის არსებობისა, შესძლო ასეთი დიადი საქმის დაწყება. ხუთშაბათს, დღით 12 საათზედ, როგორც გამოცხადებული იყო გაზეთებში აკურთხეს ეს სასწავლებელი“ („ახალი ივერია“ N5, 4 ოკტომბერი, 1914, გვ.4).

არაერთი სტატია გვხვდება საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში წასული ქართველი ქალების შესახებ. ასევე ბევრია სხვადასხვა ქვეყანაში ქალთა განათლების საკითხებთან დაკავშირებული პუბლიკაცია.

„ლონდონიდან იუწყებიან შრომის მინისტრმა რობერტსმა ქალთა ერთ კრებაზე განაცხადა, მთავრობას აზრად აქვს, რომ ქალები შეაჩვიოს საავიაციო სამსახურს და მან დაუმატა, რომ ქალები ამ მოვალეობას მშვენივრად შეასრულებენ.

დამსწრე ქალებმა ეს განცხადება აღტაცებით მიიღეს“ („ჩვენი ქვეყანა“ N139, 3 აგვისტო, 1918, გვ.4).

„სრულიად რუსეთის მოწყალე დათა კავშირის სახელით ნორიკოვა აცხადებს, რომ კავშირი რევოლუციურ დემოკრატიის პლატფორმას იზიარებს და საჭიროდ სთვლის ზომების მიღებას, ავადმყოფთა და დაშავებულთა დასახმარებლათ. ქალთა დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი დობროვოლსკაია მხარს უჭერს კოალიციას და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებს“ („ჩვენი ქვეყანა“ N133, 23 (6) სექტემბერი, 1917, გვ.2).

იმერეთში გამომავალი პრესის ფურცლებიდან ყურადღებას იპყრობს ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა, ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოებების და ქალთა ორგანიზაციების მოღვაწეობა.

„ქალთა თანასწორობის ლიგის წევრი შიშკინი ამტკიცებს აგრეთვე, რომ საჭიროა მტკიცე მთავრობა, ქალთა შრომის ბეგარა დედების სახელით, რომელთათვის ყველაზე უფრო საჭიროა ზავი და მშვიდობა“ („ჩვენი ქვეყანა“ N106, 19 აგვისტო, 1917, გვ.2).

ასევე გვხვდება ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქალთა უფლებების დაცვის მიზნით ჩატარებული კონგრესების, სესიების, კრებების შესახებ.

„გასული საუკუნის 60-იან წლებში ქალთა საკითხებით ძალზე დაინტერესდენ გამოჩენილი ფრანგი მწერლები ჟიულ სიმონი, პოლ-ლერუა, ზოლიე, მიშლე და სხვანი. ამის შედეგი იყო 1878 წელს ქ. პარიზში პირველათ საერთაშორისო კონგრესის, ქალთა უფლების დასაცველად მოწყობა. კონგრესის მომწყობ კომიტეტში მონაწილეობას იღებდენ ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელნი: საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიის, ჰოლანდიის, რუსეთისა და ამერიკის. თვით კონგრესზე კი გარდა ქალებისა დაესწრნენ სენატორები, დეპუტატები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები და სხვა“ („ახალი კვალი“ N25, 30 მაისი, 1916, გვ.3).

არაერთი სტატიაა ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორებიცაა იძულებითი ან ნაადრევი ქორწინება, განქორწინებასთან ან საქორწინო ხელშეკ-რულებასთან დაკავშირებული საკითხები, ოჯახში ქალთა უუფლებო მდგომარეობა, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მზითევი და ქორწინების დროს პატარძლის გამოსასყიდის თემა.

არაერთი პუბლიკაცია მოგვითხრობს უცხოეთში სხვადასხვა პროფესიის, კერძოდ, ადვოკატი, მოსამართლე, ექიმი, პოლიტიკოსი, მასწავლებელი, მსახიობი, მომღერალი, ჟურნალისტი, ასევე ფოსტატელეგრაფებსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებული ქალების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულ ჟურნალისტებს დეტალურად აინტერესებთ ქალების ჯარში სამსახურისა და ცეცხლის მქრობელი რაზმების ამბები, ის ლეგენდები და მითები, რომლებიც ქალთა საკუთარ უფლებებს ეხება.

„იუსტიციის სამინისტროს უკვე დაუმთავრებია კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროში ქალთა სამსახურში მიღებაზე... კანონპროექტის ძალით სასამართლოებში თანამდებობაზე მიღებულ იქნებიან ის ქალები, რომელთაც

გიმნაზია აქვთ გათავებული, ან ინსტიტუტი, ეპარქიალური სასწავლებელი და სხვა კერძო სასწავლებელიც... ჯერჯერობით ქალები იქნებიან დაშვებულნი სასამართლო პალატის მდივანთა თანაშემწეებათ“(,,სამშობლო“ N524, 8 იანვარი, 1917, გვ.3).

,,4 თებერვალი. ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: ოფიციალურად გამოიცა მთავრობის ბრძანება, რომლის ძალითაც დედაკაცებსაც მოახდევინებენ სამხედრო ბეგარას; მათ დანიშნავენ ,,ორდინატთა“ თანამდებობაზედ. დედაკაცებისა და ქალების მოვალეობას უნდა შეადგენდეს ბრძანებათა შეტყობინება და დოკუმენტების გაცემა“(,,სამშობლო“ N543, 7 თებერვალი, 1917, გვ.2).

,,1914 წელს, სახელმწიფო სათათბიროში ირჩეოდა საქმე, რომ ცოლს ნება ჰქონდეს ,,ქმრის შეუკითხავადდა მისი ნების წინააღმდეგათაც, თავისუფალი ცხოვრებისთვის პასპორტი მიიღოსო.“ მარკოვი მეორე სასტიკათ ამხედრდა: თქვენ გინდათ გლეხის ოჯახი დააქციოთო, - სთქვა მან. მართლაც რუსეთის კანონმდებლობის აზრით ცოლი გლეხის ოჯახისთვის კაცი, პიროვნება, კი არ არის, არამედ მხოლოდ, სამუშაო ძალაა, როგორც საქონელი, ოჯახის სასარგებლოდ“(,,სამშობლო“ N546, 10 თებერვალი, 1917, გვ.4).

,,მმართველმა სენატმა განმარტა, რომ ქალებს შეუძლიათ დაიკაონ ნოტარიუსების თანამდებობა, მხოლოდ არა უფროსის“ (,,სამშობლო“ N549, 15 თებერვალი, 1917, გვ.4).

,,რუსეთის ლაშქარის უმაღლესმა მთავარ სარდალმა სამხედრო საბჭოსთან ერთად განიხილა ქალთა მეომარ ბატალიონების შედგენის კითხვა და შემდეგი დადგენილება გამოსცა:

1. ქალთა ბრძოლის ველზე საომრათ გაგზავნა შეჩერდეს.
2. ის ქალები, რომლებიც ამჟამათ უკვე ბრძოლის ველზე არიან: და შემდეგ ისინი ჩააყენონ გზების და ხიდების დასაცავად.
3. უმთავრესად ომში ჩაწერილი მოხალისე ქალები უნდა მუშაობდეს სასანიტარო საქმეებში“ (,,ჩვენი ქვეყანა“ N111, 25 აგვისტო, 1917, გვ.3).

ასევე,მრავლადაა ქალებზე ფიზიკური ძალადობის, ქალთა სქესობრივი თავისუფლების, ქალთა ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილი ლექციები, რომლის ავტორები უმეტეს შემთხვევაში მედიცინის მუშაკი მამაკაცები არიან.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქუთაისში გამომავალ გაზეთების ფურცლებზე გაშუქებულია ქალთა მდგომარეობიდან გამომდინარე 15 კრიტიკული სფერო, რომლის დარეგულირება მიმართულია გენდერული თანასწორობისაკენ:

1. განათლების მიღების მნიშვნელობა სქესთა შორის თანაბარუფლებიანობის შესახებ, ქალთა (გოგონათა) პროტესტი განათლების სფეროში;
2. ქალთა ჯანდაცვის პრობლემები;
3. ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ფორმები:

ა. სამსახურეობრივი და ოჯახური ძალადობა;

ბ. ფიზიკური ძალადობა;

გ. სექსუალური ძალადობა;

დ. ფსიქოლოგიური ძალადობა;

ე. ქალთა დისკრიმინაცია რელიგიურ დოგმებში;

4. სქესთა თანაბარუფლებიანობა ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში;
5. ადამიანის უფლებები, გმობა იმ კანონების, წესებისა თუ ჩვეულებების, რომლებიც ქალის დისკრიმინაციას უწყობენ ხელს;
6. ქალთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა (ქველმოქმედება), ქალთა ორგანი–ზაციების ჩამოყალიბება;

7. ქალთა პოლიტიკური უფლებები და ბრძოლა მის მოსაპოვებლად (შეკრებები, კონგრესები, მიტინგები, მანიფესტაციები, საფრაჯისტთა მოძრაობა, გამოსვლები, პროტესტები);

8. ბრძოლა პროსტიტუციასთან;

9. მედიის როლი, საჯარო ლექციები, ფემინისტური გამოცდილება;

10. ქალთა მისწრაფებების, შესაძლებლობებისა და წვლილის აღიარება საზოგადოების მიერ;

11. ქალების მასობრივი ჩართვა საზოგადოებრივი წარმოების პროცესებში;

12. ქალთა მოძრაობა პატრიარქალური სტერეოტიპების შეცვლაზე, ქალის ადგილსა და როლზე საზოგადოებაში;

13. ქალთა მხარდაჭერა საერთაშორისო მოძრაობაზე, მათი გააქტიურება უფლებებისათვის ბრძოლაში, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში:

14. ქალთა მონაწილეობა საეკლესიო დღესასწაულებში;

15. ქალთა ბრძოლა გენდერული თანასწორობისათვის;

XX საუკუნის 10-20-იან წლებში საქართველო ჯერ იმპერიალისტური რუსეთისა და შემდგომ გამონაკლის ამ პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი არსებობა წარმოადგენდა, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა გახლდათ.

ბუნებრივია, ქართულ პერიოდიკაში სისტემატიურად აღინუსხებოდა იმ პერიოდის შესაბამისი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც ქუთაისში გამომავალ პრესის ფურცლებზე ფართო ასახვას პოულობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთი,,ერი". 1913-1914. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ.- გ. ბრეგვაძე. (ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბა).

ნაციონალური და დემოკრატიული მიმართულების გაზეთი, რომელიც იცემოდა გაზ. ,,იმერეთი"-ს შეჩერების დროს მის ნაცვლად; უახლ.თანამშრ. გრ. გველესიანი, სერგო გერსამია, იმერი (?), შ. ვარდიძე, თ.ხუსკივაძე და სხვანი.

სულ გამოვიდა:

1913 წ. N1 (1/XI)-N48(31/XII); თით. 4 გვ.F

1914 წ. N1 (1/I)-N34(13/II) ,,,,

გაზ. ,,ერი" დაიხურა მთავრობის განკარგულებით. გაზეთ ,,იმერეთში" (1914 წ.10 ივლისის N101) შემდეგი ცნობაა: ,,8 ივლისს ოლქის სასამართლომ გაზ. ,,ერის" ყოფილ რედაქტორს (ამჟამად გაზ. ,,შრომის" რედაქტორს) - გ.ბრეგაძეს 3 კვირით დატუსაღება მიუსაჯა".

,,ერის" შემდეგ იცემოდა ,,ჩვენი ერი" (1914).

მასში დაბეჭდილი სტატია ,,ახალი ქალი" ქ-კოლონტაისა, ავტორი თეოდოსია ჯაფარიძისა სტატიის დასაწყისშივე შემდეგს მიგვანიშნებს: ,,ჟურნალი ,,სოვრემენიი მირ"-ის ეკენისთვის ნუმერში მოთავსებულია ქ-ნი კოლონტაის ,,ახალი ქალი" - საკითხი მეტათ საყურადღებოა, უკვე იმდენათ მომწიფებული, ვფიქრობდი - ქ-ნ კოლონტაის ჩემთვის მოუტაცნია ის აზრები, ის შეხედულობა, რომელსაც ის თავის ახალ ქალში ატარებს- მეთქი. ამით მინდა ვსთქვა, რომ საკითხი, რომელსაც ეხება ქ-ნი კოლონტაი იმდენათ ფეხ-მოკიდებულია, შეთვისებული, რაღაც ნათესაობასა გრძნობ იმ ტიპებთან, რომელსაც ის ,,ახალი ქალის" სახელით გვაცნობს"(,,ერი" N15, 19 ნოემბერი, 1913, გვ.2).

ცნობილია, რომ ადრეული ბოლშევიკური საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში ერთადერთი ავტორიტარული ქალი იყო ალექსანდრე კოლონტაი. მის სახელს წინააღმდეგობებით აღსავსე ცნობები უკავშირდება. რევოლუციის დასრულებისთანავე ალექსანდრე კოლონტაი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მენშევიკების პარტიის აქტივისტი და სოციალისტური

ფემინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მერე ბოლშევიკების რიგებში გადავიდა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელიც გახდა. ალექსანდრა კოლონტაი აქტიურად ახორციელებდა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას მუშათა კლასის ქალებს შორის.

,,ვინ არის ახალი ქალი? კითხულობს კოლონტაი და მას თავად სცემს პასუხს. იგი წერს: ,,ცხოვრების ყოველ საფეხურზე შეხვდებით მას, მუშა ქალიდან დაწყებული, ვიდრე იმათამდი, ვინც მეცნიერებას ემსახურება. წყნარს, შეუმჩნეველ კანტორაში მომუშავე ქალიდან, ვიდრე თავისუფალი ხელოვნების წარმომადგენლამდი. თუმცა ცხოვრებაში მათ ვხვდებით, მაგრამ უკანასკნელ დრომდე არ მიგვიქცევია ყურადღება.

მერე ვინ არიან ეს ახალი ქალები, რას წარმოადგენენ ისინი? ისინი არ არიან - გვიპასუხებს ქ-ნი კოლონტაი, არც წმიდა მშვენიერი ქალწულნი, რომელთა რომანიც მშვიდობიანი ქორწინებით სრულდება, არც ის ცოლები, რომელნიც ქმრის ღალატით იტანჯებიან, არც დრო გასული ქალიშვილები, თავის ბედის მოტირალნი. არა! ეს სულ სხვაა, ახალი მეხუთე ტიპია, ჯერ უცნობი, დამოუკიდებელი შეხედულების ცხოვრებაზე, თავის პიროვნების გამამტკიცებელი, წინააღმდეგნი ყოველნაირი დამონავებისა, როგორც სახელმწიფოში, ისე ოჯახში, საზოგადოებაში, მებრძოლნი თავისუფლებისათვის“ (,,ერი“ N15, 19 ნოემბერი, 1913, გვ.2).

ალექსანდრა კოლონტაი ქალებს არ მოიაზრებდა, როგორც ობიექტებს, რომლებზეც ზემოქმედებით უნდა მომხდარიყო მათივე განვითარება და გააქტიურება, არამედ იგი ქალებს მოიაზრებდა მხოლოდ როგორც სუბიექტებს, რომელთა გადაწყვეტილებებზე და მოქმედებაზე იყო დამოკიდებული კულტურული რევოლუციისა და საზოგადოებაში საკუთარი მდგომარეობის ბედი.

,,ხალოსტაია ჟენშინი“ - ,,ამ სახელით ნათლავს ის ამ ,,ახალი ქალის“ ტიპებს. ასეთი ქალები აღარ არიან მამაკაცების აჩრდილი. ასეთ ქალს საკუთარი შეხედულება აქვს ყველაფერზე; დღითი დღე იზრდება ამ ტიპის ქალთა რიცხვი, ათასობით ვხედავთ მათ დილის რიჟრაჟზე დამწკრივებულს თავისი ბინებიდან სხვადასხვა ქარხნებისაკენ მიმავალთ...

,,ხალოსტაია ჟენშინი“ - ეს ის ქალიშვილებია ცოცხალი, ლაღი სულითა და თავით, სავსე იმედებით, რომელნიც მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძრისაკენ მიისწრაფიან თამამი, მხნე ნაბიჯით, დაუღალავათ ეძებენ მცირე ფასიან გაკვეთილებს... მათ შეხვდებით ლაბორატორიებში, არქივებში, საავადმყოფოებში, პრაკტიკაზე. უკანასკნელი დროის ცხოვრება ბადებს ასეთ ტიპებს, ლიტერატურა გვაცნობს მათ...

დღეს ჩვენს წინ დგას ქალი - პიროვნება, ქალი-ადამიანი“ (,,ერი“ N15, 19 ნოემბერი, 1913, გვ.2).

საბჭოთა ქალთა უფლებების დამცველი ალექსანდრა კოლონტაი მხარს უჭერდა პარტიის ძირითად მიმართულებას ქალთა გათავისუფლების საქმეში. მათ საზოგადოებრივ წარმოებაში ჩართვასა და ასევე ქალთა დიდ როლს კულტურულ რევოლუციაში.

ბოლშევიკი მამაკაცი ლიდერებისაგან განსხვავებით, იგი მიიჩნევდა, რომ ქალთა ჩაგრული მდგომარეობის საკითხი, მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლით ვერ გადაწყდებოდა, იმ შემთხვევაში თუ ქალები სხვაგვარად დაიწყებდენ ფიქრს საკუთარ თავზე, მათ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებზე.

სტატიის ავტორი თეოდოსია ჯაფარიძისა განიხილავს რა ალექსანდრა კოლონტაის შეხედულებებს, სვამს ასეთ კითხვას: თუ რა თვალსაზრისით უყურებს ახალი ქალი სიყვარულს?

,,თუ უწინდელი ქალისთვის სიყვარული ყველაფერს შეიცავდა, თუ სიყვარული ამშვენიერებდა, ავსებდა მის გაჭირვებულ ცხოვრებას, უმისობა კი უკარგავდა მიზანსა და სილამაზეს, ახალი ქალისათვის - ეს გრძნობა მხოლოდ ერთი ხაზია ცხოვრების გზა–

ზე. თქმა არ უნდა, მთელი თავისი არსებით განიცდის ამ ბედნიერ წუთებს, რომელსაც მას სიყვარული ანიჭებს, მაგრამ, მაინც უმთავრეს მიზანს, მის ,,წმიდათა წმიდას“ შეადგენს ის, რასაც ემსახურება: ,,სოციალური იდეა, მეცნიერება, შემოქმედებითი ნიჭი. აქიდან წარმოდგება ის ,,ახალი შეხედულება“ საქმეზე, რომელსაც ვერ ვამჩნევდით ძველ ქალებში.

საიდან წარმოსდგენ ასეთი ტიპის ქალები?!

რასაკვირველია, თანამედროვე ცხოვრებამ, მისმა რთულმა მოთხოვნილებმა შექმნა ის ნახევარი საუკუნის წინათ...

თავისი შრომით სურთ ამათ მოიპოონ ადგილი ქვეყანაზე, მით გაამართლონ თავისი არსებობა“ (,,ერი“ N15, 19 ნოემბერი, 1913, გვ.2).

აშკარაა, კოლონტაის შეხედულებები ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლაში ემყარებოდა ტრადიციულ ,,ქალური“ თვისებებისა და ქცევის ნორმების ჩანაცვლებას, ,,მამა-კაცური“ თვისებებითა და ქცევის ნორმებით.

1913-1914 წლებში ქუთაისში გამომავალ გაზეთ ,,ერის“ ფურცლებზე ასევე ხშირად ვხვდებით ინფორმაციებს ქალთა საქველმოქმედო საქმიანობასა და ლექტორ ქალთა მიერ წაკითხულ ლექციების შესახებ. ამ მხრივ უნდა დავიმოწმოთ აქტივისტი ქალის ჩიტო შარაშიძის ლექციების კურსი თემაზე: ,,ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“, სადაც იგი წარმოადგენდა ქართველი ქალის როლსა და დანიშნულებას ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში.

ქუთაისელი ქალები პროფესიული სკოლების გასახსნელად ქალთა საზოგადოების სახელით ხშირად აწყობდნენ საქველმოქმედო საღამოებს ახალი სკოლების გახსნისა და უმწეოთა დასახმარებლად.

ამ აქციებში ქალებთან ერთად მონაწილეობდნენ მომღერალი და მსახიობი მამაკაცები. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ცნობილი ტენორი ვანო სარაჯიშვილი, მსახიობი მიხეილ მარჯანიშვილი. ამ უკანასკნელის ინიციატივით შეგროვილი თანხა მოხმარდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ მსახიობ ქალს დესპინე ივანიძეს.

ქუთაისელ ქალთა აქტივობებს კარგად გადმოგვცემს თეოდოსია ჯაფარიძისა თავის სტატიაში ,,ახალი ქართველი ქალი“: ,,მართალია, ქართველ ქალს პირველათ არ ვხედავთ საზოგადოების წინაშე: - გვყავს მემუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი, ქველმოქმედნი ქალები, ხოლო საღი თავითა და სულით, აზრიანი სიტყვით მუშაკნი კი ნაკლებათ, ამიტომ, როცა ასეთი იარაღით შემკობილი ქალი, აუარებელი აუდიტორიის წინაშე ღირსეულად იცავს თავის ინტერესებს, ვიმეორებ, სასიამოვნო სურათია, ლამაზი, დიდებული. თითქოს აფაქიზებს მსმენელთ, ავიწყებს ყოველდღიურ წვრილმან ანგარიშებს და მთელი თავისი არსებით იმ აზრით, იმ შთაბეჭდილებით იმსჭვალება, თუ რა ძალაა მომავალი ქალის არსებაში“ (,,ერი“ N37, 15 დეკემბერი, 1913, გვ.3).

ქალთა ემანსიპაციაზეა გამახვილებული ყურადღება გაზეთ ,,სამშობლოს“ ფურცლებზე.

,,სამშობლო“. 1915-1917. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი. რედ-გამ. - იაკობ ცინცაძე (ფსევდონ. - ია ეკალაძე); რედ: 1917 წელს: ნ. ლორთქიფანიძე (N520-582) და ვას. წერეთელი (N583-დან). გამომცემელი 1916 წლის N293-დან ამხანაგობა ,,სამშობლო“. იცემოდა გაზეთ ,,იმერეთი“-სა (1912-15) და ,,ახალი ივერიის“ (1914) შემდეგ იმავე პროგრამითა და თანამშრომელთა შემადგენლობით.

სულ გამოვიდა: 1915 წ. N1 (31/I)- N253 (31/XII); თით. 4 გვ. F

1916 წ. N254 (1/I) – N 519(30/XII)

1917 წ. N520 (1/I) – N587 (6/IV)

,,სამშობლოს“ შემდეგ გამოდიოდა გაზ. ,,ჩვენი ქვეყანა“ (1917-1918).

აქაც ინფორმაციის სიუხვით გამოირჩევა რუსეთიდან შემოსული ქრონიკები,

რომელშიც სახელმწიფო სამსახურში ქალთა დასაქმებაზეა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული: ,,იუსტიციის სამინისტროს უკვე დაუმთავრებია კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროში ქალთა სამსახურში მიღებისა და მათდამი სასამართლოებში ზოგიერთ თანამდებობის მინიჭების შესახებ.

კანონპროექტის ძალით სასამართლოებში თანამდებობაზე მიღებული იქნებიან ის ქალები, რომელთაც გიმნაზია აქვთ გათავებული ან ინსტიტუტი, ეპარქიალური სასწავლებელი და სხვა კერძო სასწავლებელიც, რომელთაც გემნაზიის უფლება აქვთ მინიჭებული“ (,,სამშობლო“ N524, 8 იანვარი, 1917, გვ.3).

ამ ქრონიკას საგანგებოდ აქვს შერჩეული სათაურად ,,ქალთა საყურადღებოდ“, რადგან სახელმწიფო სამსახურში ქალთა ჩართულობა საქართველოშიც განხორციელდეს.

გაზეთ ,,სამშობლოში“ ვრცელი წერილია მიძღვნილი კატო მიქელაძის ლექციაზე, რომლის ავტორი ვასილ წერეთელია. რომელიც აშკარად მიუთითებს გენდერული საწყისების პერიპეტიებსა და ქალების მიმართ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობის საქმეში მამაკაცების ფართო მხარდაჭერას:,,ზოგისა ბამბაც ჩხრიალობს, ზოგის კაკალიც არაო“, - ეს ნათქვამი სწორეთ კატო მიქელაძის ლექციებზეა ზედგამოჭრილი, რომელნიც, თუმცა ბევრად უფრო შინაარსიანნი და საინტერესო არიან, ვიდრე ზოგიერთი ლექტორის მაშხალისებური ბრახაბრუხის გარეშემცველი სიტყვები...

აი, გუშინდელი ლექციის დედააზრი. დედაკაცის უუფლებობა და მამაკაცის ბატონობა - ზოოლოგიურის, ცხოველური მძლავრობისა და გულისთქმის შედეგია. ხანგრძლივმა ისტორიულმა სოციალურმა განვითარებამ დედაკაცი მონობისაგან კიდევ ვერ გაათავისუფლა...

დედაკაცებმა თავის სოციალ-პოლიტიკურ უფლებათა მოპოებისათვის თვითონვე უნდა იბრძოლონ, მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდესთ; უამისოდ მამაკაცების ვერცერთი ჯგუფი, ანუ პარტია, თუნდა სოციალისტური, ქალთა საკითხს ვერ გადასწყვეტს“ (,,სამშობლო“ N524, 8 იანვარი, 1917, გვ.3).

ცნობილია, რომ ევროპული განათლების მიღების შემდეგ, კატო მიქელაძე ქუთაისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა ფემინისტურ აქტივიზმს, ქალის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლას და თანამოაზრეების შემოკრებას. იგი 1916 წლიდან უკვე კითხულობდა ქუთაისში საჯარო ლექციებს ქალთა მდგომარეობაზე.

კატო მიქელაძის ლექციები ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან იგი მსმენელებს საკითხის ღრმა ცოდნასა და საფუძვლიან ანალიზთან ერთად, არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭითაც ხიბლავდა.

აღსანიშნავია, ისიც რომ კატო მიქელაძის ინიციატივით დაარსდა ქუთაისში პირველი და ერთადერთი ფემინისტური გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა“.

კატო მიქელაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა იმ მამაკაცებს, რომლებიც ქალს მხოლოდ სქესობრივი სიყვარულის ობიექტად აღიარებდენ.

,,ის საოცარი მიმართულება, რომლის იდეოლოგადაც გრიგოლ რობაქიძე გამოდის და განმასახიერებლებად გრიშაშვილი, იგივე გრ. რობაქიძე და ,,ცისფერი ყანწების“ სხვა თანამშრომელნი, როგორც ავხორცობის, ლირწების თაყვანისმცემელი, ქართველ ქალთა სწორუფლებიანობის უდიდეს მტრად უნდა იქნეს აღსაარებულიო“ (,,სამშობლო“ N535, 22 იანვარი, 1917, გვ.3).

მწვავე კრიტიკის ნიმუშს წარმოადგენს ქუთაისში გამართულ კრებაზე გამოსული ფემინისტი ქალის სიტყვები: ,,გუშინწინ კატო მიქელაძის ქალმა (რომელიც თავის თავს რწმენით სოციალ-ფედერალისტად სთვლის, ხოლო პარტიას კი აკრიტიკებს) ლექცია წაიკითხა ქალის მდგომარეობაზე. მეორე ნახევარი ლექციისა იყო დაწერილი და წარმოთქმული, მხოლოდ ყანწისტების გასალანძღავათ, რამაც გაჭედილ თეატრში

დიდი აღტაცება გამოიწვია და რის გამოც ლექტორი დაუსრულებელი ტაშით დააჯილდოვა.

ასეთია ჩვენი მიყრუებული ქუთაისის განწყობილება დღეს“ (ქიმ. 1974 ფ.4).

როგორც ფემინიზმითა და მარქსიზმით დაინტერესებული აქტივისტი იგი დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთში მიმდინარე სოციალისტურ რევოლუციაზე.

ცნობილია, რომ მარქსიზმის იდეებით შთაგონებული ქართველი მოსახლეობის ნაწილი აღტაცებული შეხვდა რუსეთში საბჭოური წესწყობილების დამყარებას.

ეს განწყობილებაა გადმოცემული ბაბალე წულეისკირის წერილში ,,ქართველ ქალებს“: ,,დღეს მთელი რუსეთი ზეიმობს ძველი რეჟიმის დამხობას, დღეს მთელი რუსეთი ეგებება ახალ მთავრობას და ყველა საშუალებას ხმარობს მისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ჩვენ ქართველი ქალები გაჩუმებული ვართ...

ნუთუ არაფერი გვაინტერესებს? განა ჩვენ კი არ გვინდა მოქალაქეობრიობა თავისუფალი რუსეთისა?... ნუთუ ადგილობრივი დროებით აღმასრულებელ კომიტეტში არც ერთი ქალი არ უნდა ყოფილიყო? შეიძლება ჯერ ახლაც არ იყოს დაგვიანებული. შევიკრიბოთ, დავხვდეთ მომენტს შესაფერისად. ნუ განვამტკიცებთ იმ აზრს რომ ჩვენ მხოლოდ ტიკინები ვართ. შევუერთოდ ჩვენი ხმა და შრომა ჩვენს მამაკაცებს! გაუწოდოთ მათ ხელი ამხანაგობისა და ასე ხელიხელ ჩაკიდებული ვემსახურთ ერთ კერპს“ (,,სამშობლო“ N567, 8 მარტი, 1917, გვ.2).

მარქსისტული იდეოლოგიის თანახმად, უფლება კლასობრივი ხასიათის ფენომენი იყო და ,,კლასობრივი ჩაგვრის იარაღად“ გამოიყენებოდა.

,,მუშათა კლასის (მუშები და გლეხები) ქალების ინტერესები და მოთხოვნები აღიქმებოდა ჩაგრული უმრავლესობის საერთო ინტერესებად და მოთხოვნილებად, გაბატონებული უმცირესობის ინტერესებისა და მოთხოვნების საწინააღმდეგოდ.

ქალთა გარკვეულმა ნაწილმა გენდერულ თანასწორობის საკითხზე მაშინვე აქცენტი გააკეთა, ვინაიდან ეს დისბალანსი კვლავ ძალაში რჩებოდა. რაც აშკარადაა გამოხატული გაზეთ ,,სამშობლოს“ ფურცლებზე რუსული პრესიდან ნათარგმნ წერილში ,,ქალთა საკითხი“.

,,რუსეთი ახალ ცხოვრებას იწყებს, უუფლებო უფლებით იმოსება, მაგრამ სამწუხარო არის, რომ ახალ წესწყობილებაში ჩვენ ვერ ვხედავთ ქალთა საკითხს.

დღეს სადაო აღარავისთვის არ უნდა იყოს, რომ ქალთა შრომა წარმოების სხვადასხვა დარგში დაუფასებელი აღმოჩნდა. ქალებმა ყველგან დიდი უნარი და ნიჭი გამოიჩინეს და რათ არ უნდა იხსენიებოდენ იგინი პოლიტიკურ განახლებაში და ასპარეზზე? არსებულ მომენტში ქალთა საკითხის გვერდზე გადადება დიდი შეცდომა იქნებოდა“(,,სამშობლო“ N578, 12 მარტი, 1917, გვ.4).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქუთაისში გამომავალ პრესაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა“

1917-1918. ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედ. - კატო მიქელაძე; გამომცემელი - ქუთაისის ქალთა კლუბი.

1917 წ. N1 (5/IV) – N32 (4/XII);თით. 4 F პატ.

1918 წ. N1 –N18 (31/XI).

პირველმა ქართველმა ფემინისტმა კატო მიქელაძემ ქალთა პოლიტიკური გააქტიურებისათვის კონკრეტული ნაბიჯი გადადგა, როცა ქუთაისში დაარსა ,,ქალთა კლუბი”. მალე იგი ,,ქალთა საერთო პოლიტიკურ კლუბად”, ხოლო მოგვიანებით ,,ინტერპარტიულ ლიგად” გადაკეთდა.

კატო მიქელაძეს ძალიან აწუხებდა საქართველოს მოქალაქეებში გაბატონებული ტოტალური ნიჰილიზმი არა მხოლოდ თანასწორობის, არამედ თავად ქვეყნის დამოუკიდებლობის მიმართაც.

ფემინისტ ქალს საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული, ის ძირითადი საკითხები, რისი საშუალებითაც საქართველოში ქალთა ემანსიპაცია და, როგორც თავად ამბობდა, ,,სწორუფლებიანობის“ მიღწევა შესაძლებელი გახდებოდა.

პირველ რიგში, იგი მოითხოვდა კანონით განმტკიცებულ და დაცულ თანასწორობას, რაც ქალთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში რეალურად აისახებოდა.

აქტიურად ლობირებდა პოლიტიკაში ქალთა ჩართვის იდეას ქალის პოლიტიკური უფლების ხაზგასმით - აერჩია და ყოფილიყო არჩეული. გარდა ამისა, საუბრობდა ,,სპეციალურ დედაკაცურ ინტერესზე“, რომლის განხორციელება, მხოლოდ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობით გახდებოდა შესაძლებელი.

კატო მიქელაძეს კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდა დამოუკიდებელი სა–ქართველოს დამფუძნებელი კრებისადმი განათლების, ანაზღაურების, მემკვიდ–რეობის, პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხებში. იგი თვლიდა, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, რომელსაც ბევრი ბარიერი ეღობებოდა, ყველა დონეზე უნდა წაეხალისებინა სახელმწიფოს.

ჯერ კიდევ 1918 წელს, კატო მიქელაძე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ეკატერინე გაბაშვილს სწერდა: ,,ვერავითარი ზემოდან ბოძებული უფლება ჩვენ ვერ გვიხსნის, თუ თვით ქალები არ მოვინდომებთ ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენას. გადახედეთ ჩვენს უბადრუკ ცხოვრებას, თუ რა ცოტა სჭირდებათ მამაკაცებს სახელისა და ავტორიტეტის მოსაპოვებლად და რა დიდი შრომა და ტანჯვა ქალებს, რომ უბრალო ყურადღება მიიქციონ. ჩვენ უნდა შევქმნათ ატმოსფერო ქალთა შემოქმედებით ძალთა და აქტიურობის ასაღორძინებლად. და, ეს მოხდება მაშინ, როცა ქალები დაისწავლიან საკუთარი თავისა და ურთიერთ პატივისცემას, რომელსაც მისცემს მათ საზოგადოებრივი ცხოვრება. ის, ვინც დღეს იძახის ,,სწორუფლებიანნი ვართ“-ო, მას არასოდეს განუცდია სულიერი ტანჯვა თავისი უუფლებო მდგომარეობის გამო... ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი სულიერი კავშირი, რომ არავითარმა წინააღმდეგობამ არ შეგვაშინოს და არ გაგვაცალკეოს. საჭირო არ არის სიმრავლე რიცხვისა. ძალა ერთობაშია და არა რიცხვში“... (მელაშვილი 1913:275).

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა“ ძალიან მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. სტატიების ძირითად ნაწილს სხვადასხვა ფსევდონიმით კატო მიქელაძე წერდა: ,,არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში მსგავსი რადიკალური შეხედულებების და პირდაპირი მესიჯების მატარებელი გაზეთის გამოჩენას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მიუხედავად ამისა, კ.მიქელაძემ დაუზოგავი ენთუზიაზმისა და საკუთარი ღირებულებებისადმი ურყევი რწმენის საფუძველზე მაინც შეძლო თანამოაზრეების შემოკრება. ავტორებს შორის, რომლებიც გაზეთს საინტერესო სტატიებით და მოსაზრებებით ამარაგებდნენ, იყვნენ: ბაბო სულხანიშვილი, ნინო ნადირაძე, ანეტა კაპანაძე, ალექსანდრე მაჭავარიანი“ (მელაშვილი 1913:21).

,,ხმა ქართველი ქალისა“ აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს. გვთავაზობდა მაშინდელი, ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი პროცესების ფემინისტურ ხედვას, დაწყებული თებერვლის რევოლუციით, დამთავრებული დამფუძნებელი კრების დაარსებით, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში.

აშკარაა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან სოციალ-დემოკრატიის იდეის გაჩენამ საქართველოში ქალთა მოძრაობის მძლავრი ტალღა ააგორა.

ყველაზე აქტუალური გახდა ქალის სამოქალაქო უფლებები, არჩევნებში მონაწილეობის უფლება: ითარგმნა ავგუსტ ბებელის ,,ქალი და სოციალიზმი“, ,,ამომრჩეველი ქალი“, გაჩნდნენ ქართველი ქალი სუფრაჟისტები და მათი

გაერთიანებები: ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირის ,,ქართველ ქალთა საზოგადოება“, ,,კავკასიელ ქალთა საზოგადოება“. ასე რომ, მომზადდა ნიადაგი იმისათვის, რომ ქართველ ქალს 1918 წელს საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევნებში მიეღო მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით ფემინისტი ქალი კატო მიქელაძე მისი რედაქტორობით დაარსებულ გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა“ აღნიშნავდა: ,,დღეს ქალებმა მთელი თავისი ენერგიით უნდა დაიცვან არჩევანთა ხმის უფლება. ყველამ გაიგოს, რომ არავის უფლება არ აქვს ეწინააღმდეგოს ქალთა ხმის უფლებას და ვინც ასეთს თავხედობას ჩაიდენს, ის იქნება მოღალატე რევოლუციისა და თავისუფლებისა“ (,,ხმა ქართველი ქალისა“ N24, სექტემბერი 1917).

ქუთაისში გამომავალი ქალთა გაზეთი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში ხუთი კანდიდატი ქალის გასაყვანად. სწორედ, მათი ძალისხმევით ჩაიწერა კონსტიტუციის 39 მუხლში, რომ ,,ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით.“

,,ქალებო, იცოდეთ, რომ ერთი ხმა და ერთნაირი უფლება აქვთ ქალსა და ვაჟს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უსწავლელი, ყველანი ერთი ხმის პატრონია დღეს. დაიცავით ეს უფლება! იცოდეთ, რომ არავის არ აქვს ნება დასვას კითხვა: ,,ქალებს მივცეთ თუ არა ხმა არჩევნებშიო?“ და ვინც ასეთ კითხვას დააყენებს, ის ამით არღვევს გადაწყვეტილებას რევოლუციონურ მთავრობისას და არჩევნების კანონიერებისას...

ქალები უნდა ცდილობდნენ აირჩიონ ისეთი კანდიდატები, რომლებიც დაიცავენ თითეულს მუხლს ჩვენი პროგრამისას, რომელიც გამოცემული იყო ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბის ბიუროს მიერ და რომლის გაცნობა სავალდებულოა თითეული დედაკაცისათვის“ (,,ხმა ქართველი ქალისა“ N24, სექტემბერი 1917).

ცნობილია, რომ ფემინისტმა ნინო ტყეშელაშვილმა ეროვნულ საბჭოს არჩევნებში ხუთი კანდიდატი ქალი შესთავაზა, მაგრამ ქალების მოთხოვნა უარყვეს და კ. მიქელაძემ, ა. ღვინიაშვილმა, ა. ხახუტაშვილმა, დ. გელოვანმა, ბ. ხოსიტაშვილმა პროტესტის ნიშნად კრება დატოვეს.

ქალების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის გაშლილმა მოძრაობამ შედეგი მაინც გამოიღო. 1919 წლის თებერვალში ჩატარებულ საყოველთაო არჩევნების შედეგად, დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 130 დეპუტატიდან 4 ქალი: ე. ჩოლოყაშვილი, ე. მახვილაძე, ა. სოლოღაშვილი, ქ. შარაშიძე.

1917 წელს გაზეთ ,,ხმა ქართველი ქალის“ ფურცლებზე კატო მიქელაძე წერდა: ,,ქალებზე უფრო დაჩაგრული დედამიწაზე არავინ არა ყოფილა და ქალებივით ხანგრძლივად არავინ არ დაუჩაგრავს მამაკაცთა მიერ გამოწვეულ უსამართლობასა და ძალმომრეობას.

ასეთ ძალმომრეობას და დედაკაცების დაბეჩავებას ისე შეეჩვივნენ სხვადასხვა წრისა და წოდების მამაკაცთა უმრავლესობა, რომ დღესაც მათთვის სადაო ხდება, იცნონ თუ არა ქალები ადამიანური უფლებების ღირსად?...

რა იყო და რა არის დღესაც მიზეზი იმ აშკარა ჭეშმარიტი გაუგებრობისა, რომ ქალებიც ადამიანები ვართ და ღირსნი ადამიანური უფლებებისა? ნუთუ, ჩვენ ჩვენი მამების, ძმების და შვილების წინაშე იმ ბუნების გამონაკლისს შევადგენთ, რომლისთვისაც მოსამატებელი არ არის ადამიანური უფლება?... მიზეზი ის არის, რომ მამაკაცები ქალებზე ბატონობას ისტორიულად შეეჩვიენ და რომლის უფლებრივი გათანასწორება თავიანთ სქესთან მათ შიშსა და გულისწყრომას გვრის. ამ საიდუმლო შიშს ისინი ოსტატურად მალავენ და შვილებისა და ოჯახის საკეთილდღეოდ თავს გვახვევენ სამუდამო მონობას და რომ შეგვარიგონ მონურ უპირობო ცხოვრებას...“

(,,ხმა ქართველი ქალისა“ N14-31, 1917).

გარდა პუბლიცისტიკისა, გაზეთ ,,ხმა ქართველი ქალისას“ ფურცლებზე იბეჭდებოდა მხატვრული ტექსტები - მოთხრობები და ლექსები, რომლებიც ასევე ფემინისტური იყო თავისი შინაარსით და ასახავდა ქალთა მდგომარეობას. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ქართველი მწერალი ქალები: საფო მგელაზე, მარიამ გარიყული, დომინიკა ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი.

გაზეთს მრავალფეროვნებას სძენდა სხვადასხვა რუბრიკა და განყოფილება, მათ შორის ახალი ამბები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან (სამტრედია, ბათუმი, გორი, ჭიათურა) მიღებული წერილები.

გაზეთის ფურცლებზე პუბლიკაციებისა თუ ლიტერატურული ნაშრომების გვერდით იბეჭდებოდა თარგმანებიც, მათ შორის - ცნობილი ბრიტანელი სუფრაჟისტის კრისტაბელ პანკ ჰარსტის ტექსტი ,,საზარელი მტარვალობა“, რომელიც პროსტიტუციის თემას შეეხებოდა.

გაზეთი ეხმიანებოდა ასევე მნიშვნელოვან მოვლენებს, მათ შორის - ევროპულ და ამერიკულ სუფრაჟისტულ მოძრაობას, ქალთა აქტივიზმს რუსეთში. არ იყო გულგრილი არც ადგილობრივი, არც საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მიმართ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობიდან დაწყებული, დამთავრებული საქართველოში და მის ქალაქებში მომხდარი ამბებით.

,,ხმა ქართველი ქალისა“ ძირითადად შემოწირულობის საფუძველზე არსებობდა.

მთლიანობაში გაზეთის 50 ნომერი გამოვიდა.

ბოლო ნომერში კატო მიქელაძე წერდა: ,,ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა წააგავს იმ მენავისას, რომელსაც აბობოქრებულ ზღვის ტალღებში ნავი შეუცურებია და ამინდს უცდის. ჩვენც ზიზღით და არა შიშით ვდუმდებით ანგარებით აღტკინებული ბრბოს ორომტრიალში უკეთესი მომავლის რწმენით და ამისთვის ვეუბნებით ჩვენ მკითხველს ნახვამდის და არა მშვიდობით“ (,,ხმა ქართველი ქალისა“ N18, 1918).

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში არსებული პარტიებიდან კატო მიქელაძე ყველაზე მეტ სიმპათიას სოციალისტ-რევოლუციონერების მიმართ იჩენდა, თუმცა ერთნაირად კრიტიკული იყო იმდროინდელ საქართველოში არსებული ყველა პარტიის მიმართ. 1921 წელს ჩვენი ქვეყნის ანექსიის შემდეგ იგი საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ფემინისტი და აქტივისტი, სრულიად უარყო.

არსებულ პირობებში კატო მიქელაძეს შეუძლებლად მიაჩნდა ადამიანის და მით უმეტეს ქალის მსოფლმხედველობა ერთი რომელიმე კონკრეტული პარტიით ან მისი პროგრამით შემოფარგლულიყო, განსაკუთრებით, თუ საქმე მამაკაცებისაგან დაკომპლექტებულ პარტიებს ეხებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების უგულებელყოფის მიუხედავად კატო მიქელაძე ცხოვრების ბოლომდე დარჩა თავისი ფემინისტური ღირებულებების ერთგული.

მას მტკიცედ სჯეროდა, რომ გენდერული თანასწორობა ახალი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველი უთუოდ გახდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად, რომელმაც აღგავა ყველა სახის სამოქალაქო ინიციატივა, კატო მიქელაძე მეტ წნეხსა და ჩარჩოებში მოექცა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ ქალთა საკითხის ,,მოგვარება“ თავად აიღო საკუთარ თავზე და ფემინიზმი დასავლეთიდან იმპორტირებულ ბურჟუაზიულ სცენად მონათლა.

მართალია, მაშინ არ არსებობდა გენდერული კვლევევი, როგორც მეცნიერება, თუმცა გენდერის ქმნადობა ძალაუფლების გადანაწილების ანალიზი და მამაკაცთა პრივილეგიების მხილება კატო მიქელაძისათვის ყოველთვის წარმმართველი იდეები იყო.

ძალაუფლების იდეებისათვის ღალატში კატო მიქელაძე ერთნაირად სდებდა ბრალს ქართველ მენშევიკებსაც და საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საერთოდ ბოლშევიკებსაც.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო საქართველოს მთავრობა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა, რათა საერთაშორისო კანონის ძალით აღედგინათ დაკარგული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

აქვე, უნდა ითქვას, ისიც, რომ 1930-იანი წლების მეორე ნახევრამდე საბჭოთა კავშირი და მის მიერ დაპყრობილი საქართველო, ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, მსოფლიო ლიდერად რჩებოდა. მაშინ, როცა თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის მიხედვით უფლება ,,თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის საყოველთაო, სავალდებულო ფორმას“ წარმოადგენს.

მარქსისტული იდეოლოგიის თანახმად კი უფლება კლასობრივი ხასიათის ფენომენი იყო და კლასობრივი ჩაგვრის იარაღად გამოიყენებოდა.

მუშათა კლასის ქალების ინტერესები და მოთხოვნები აღიქმებოდა ჩაგვრული უმრავლესობის საერთო ინტერესებად და მოთხოვნილებად, გაბატონებული უმცირესობის ინტერესებისა და მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. ხოლო ის წინააღმდეგობები, რაც არსებობდა ,,მუშათა“ კლასის ქალებსა და მამაკაცებს შორის და, მითუმეტეს, ქალების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, იგივე კლასის შიგნით (მუშა ქალები, მუშათა ცოლები, გლეხი ქალები, შინამოსამსახურეები) იგნორირებული იყო.

იმავდროულად სხვა ფენების წარმომადგენელი ქალები - დიდგვაროვნები, ვაჭართა შვილები და ცოლები, სასულიერო პირთა შვილები და ცოლები, ინტელიგენცია ყოველგვარ უფლებებს მოკლებული აღმოჩნდა.

ამგვარად, ქალთა თანასწორობის პროლეტარულმა კონცეფციამ იმთავითვე გარიყა ქალთა სხვა ჯგუფები, მათ შორის ლიბერალური მოძრაობის ბევრი აქტივისტი ქალი, რადგან ,,ბოლშევიკების მმართველობამ, საბჭოთა რეჟიმმა, იდეოლოგიურ საბურველში გაახვია თანასწორობის იდეა. მაგრამ ბევრისათვის მაშინაც ნათელი იყო, რომ ამ კრიმინალურ წყობას მხოლოდ ,,რაბოტნიცა - კოლხოზნიცები“ და ,,კომსომოლკა“ ,,კომუნისტკები“ აინტერესებდა და არა - კრიტიკულად მოაზროვნე ქალები.

სწორედ, ამიტომ გაუსწორდა იგი საზოგადოების ყველაზე ნიჭიერ, შემოქმედ და პროგრესულ ნაწილს, რომელთა შორის ბევრი ქალი იყო“ (,,გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“, 2009:28).

XX საუკუნის 10-იანი წლებისა და 20-იანი წლების დასაწყისში მთელ საბჭოეთში პოლიტიკური პირობების შეცვლის გამო აქცენტი გადარჩენაზე იყო და არა განვითარებაზე, განათლება ბევრი ქალისთვის არ იყო ხელმისაწვდომი და შანსები ქალთა მობილიზაციისათვის მცირე იყო, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებდა იმ დროინდელ პრესაში.

1930-იან წლებში, უკიდურესი რეპრესიების ხანა დადგა საქართველოშიც. და, როგორც ფილოსოფოსი სოკრატე ამბობდა: ,,საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს წეს-წყობილება, თუ იგი მხოლოდ დამყარებულია ძალაზე და არა დარწმუნებით მოქმედებაზე, იგი არის აქტი ძალდატანებისა და არა კანონი.“

ამ აზრის კონსტატაციას წარმოადგენს ფემინისტ კატო მიქელაძის შეხედულება: ,,თვით კერძო ცხოვრებაში არც ერთ მამაკაცს არ უტარებია ცხოვრება სისწორით, თუ მას არ მფარველობდა ქალის მოსიყვარულე გული, თუ მას ქალის გამბედაობა და კეთილგონიერება არ ხელმძღვანელობდა. ასეთი იქნება მათი როლი მართვა-

გამგეობაშიც და ამიტომ, სულით და გულით უნდა მივისწრაფვოდეთ ისეთ წეს-წყობილებისაკენ, სადაც ქალებს ექნება თანასწორი უფლებანი, რომ მამაკაცებს გვერდში ამოუდგეს ღირსეული თანაშემწენი, რომელთა გული სავსეა ლმობიერებით, რაც აუცილებელად საჭიროა ცხოვრებაში ერთმანეთთან დამოკიდებულების დროს“ (,,ხმა ქართველი ქალისა“, N5, მაისი, 1917).

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ყოველკვირეული თუ ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთის სიმრავლით ქუთაისი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ამ წლებში გამოდიოდა შემდეგი გაზეთები: ,,ჩვენი ქვეყანა“, ,,ხმა ქართველი ქალისა“, ,,ხალხის მეგობარი“, ,,სოციალისტ-რევოლუციონერი“, ,,მესამე ინტერნაციონალი“, ,,სოციალ-დემოკრატი“, ,,ჩვენი ბრძოლა“, ,,ხმა ებრაელისა“, ,,რევოლუციონური ნობათი“, ,,ახალგაზრდა კომუნისტი“, ,,სოციალ-დემოკრატი“, ,,შევარდენი“, ,,ქუთაისი“, ,,ერი“.

1918-21 წლებში ქუთაისში იბეჭდებოდა ასევე საოხუნჯო ალმანახი - ,,არჩევანი-არედანი“,სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი ,,აისი“, ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი ,,თეატრი და მუსიკა“; ყოველთვიური ჟურნალი ,,ხელოვნება“.

1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ანექსია-ოკუპაციას ბოლშევიკური რუსეთის მიერ თან მოჰყვა ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციური უფლებების ლიკვიდაცია და საბჭოთა საქართველოს ჩამოყალიბება, რომელმაც საბჭოთა რუსეთის არეალში იძულებით შესვლით გაიარა სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რთული და მტკივნეული პროცესი.

ახალმა სახელმწიფოებრივმა ფორმაციამ, ბუნებრივია, დიდი გავლენა იქონია არამარტო დემოკრატიის გზაზე დამდგარი საქართველოს განვითარების ბედზე, არამედ ასიათასობით მოქალაქეზე და მათ შორის ქალებზეც.

ჩნდება კითხვა, თუ როგორი იყო პროლეტარიატისა და გენდერული დისკრიმინაციის ადრეული ეპოქა ბოლშევიკურ სახელმწიფოში და მასში შემავალი ერების პოლიტიკური და სოციალური უფლებების საკითხი?

ცნობილია, რომ რუსეთში 1917 წელს ბოლშევიკების საკანონმდებლო ინიციატივებმა ქალებს სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლების მთელი სპექტრი მიანიჭეს და ახალი კანონმდებლობის წინაშე ქალი და მამაკაცი უფლებრივად გათანაბრდა.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, თითქმის ერთ თვეში, ქალებს მოეხსნათ გაყრის შემთხვევაში უძრავ ქონებასთან და ბავშვებზე მზრუნველობასთან დაკავშირებული მთელი რიგი შეზღუდვები.

,,ქალებს მიეცათ განათლების მიღების, პროფესიის თავისუფლად არჩევის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. ქალებს მიენიჭათ უფლება მამაკაცის თანაბარი ანაზღაურების მიღებისა თანაბარ შრომაში (Equal pay for equal work).

ამგვარად, 1918 წლის ივლისში მიღებულმა კონსტიტუციამ გააძლიერა ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური და სამოქალაქო თანასწორობა. რუსეთის საბჭოთა ფედერაციის 1918 წლის სამოქალაქო კოდექსმა ქორწინების ერთადერთ ფორმად სამოქალაქო ქორწინება დაადგინა, ამ პერიოდამდე რუსეთში იურიდიული ძალა მხოლოდ რელიგიურ ქორწინებას ჰქონდა.

ქორწინების რეგისტრაციის პროცედურა ძალიან გაიოლდა, ასევე გაიოლდა განქორწინების პროცედურა” (საბედაშვილი 2006:37).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი მთელ ქვეყანაში და მათ შორის ქუთაისშიც გაზეთები რაოდენობრივად და რიცხობრივადაც შემცირდა.

1921 წლის 8 მაისიდან ქუთაისში იბეჭდებოდა საქართველოს კ.პ. (ბ) ქუთაისის

საგუბერნიო კომიტეტისა და საგუბერნიო რევკომის ორგანო ,,მუშა და გლეხი“, ხოლო 1924-25 წლებში კი ყოველდღიური მუშურ-გლეხური გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“.

საბჭოთა პერიოდში თუ ქუთაისი გაზეთების სიმცირეს განიცდიდა, სამაგიეროდ ჟურნალები უფრო მეტი დასახელების იბეჭდებოდა, ესენი იყო: ,,უქიმერიონი“, ,,პოეზიის დღე“, ,,განათლების მოამბე“, ,,კოლხეთი“, ,,პროლეტარული მწერლობა“, ,,წითელი აფრა“.

ამ ჟურნალებიდან ზოგიერთი მათგანის მხოლოდ თითო-ოროლა ნომერი გამოვიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალისტური იდეოლოგიის მატარებელი გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ თემატურადაც შეზღუდული გახლდათ. მის ფურცლებზე მხოლოდ საბჭოთა რუსეთის ამბების პარალელურად შუქდებოდა საქართველოში მიმდინარე იგივე პროცესები.

ამ მხრივ, საყურადღებოა სტატია ,,ჩვენი მუშაობა ახალგაზრდა ქალთა შორის“, რომელიც ცხადყოფს: ,,ჩვენს კავშირში ახალგაზრდა ქალების პროცენტი არ არის დიდი. დაახლოვებით დღეს დღეობით კავშირში ახალგაზრდა ქალებს უკავიათ 15-16%. გასულ წელს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის 3-6 ყრილობაზე ახალგაზრდა დელეგატ ქალების რიცხვი ძალიან მცირე იყო.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა უნდა მოისპოს. ეს ხელს უშლის კავშირში ახალი წევრების გამრავლებას. წერილის ავტორი ნუცუბიძე აქვე ხაზგასმით აღნიშნავს: ,,მე თვითონ არა ერთხელ ვყოფილვარ მოწამე ასეთი სურათისა: მოდიან კლუბში რამოდენიმე ახალგაზრდა ქალები, სურთ მოსმენა მოხსენების, მაგრამ იხედებიან აქეთ-იქეთ და ,,აქ უმეტესობა ვაჟებია“-ს ლაპარაკითვე მიდიან უკანვე.

აქედან ერთადერთი სწორი დასკვნა: ,,გავამრავლოთ რიცხვი ახალგაზრდა ქალებისა ჩვენს კავშირში...

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე მხოლოდ მაშინ წავა წინ, როცა მის მუშაობაში ჩაებმებიან და მიიღებენ მონაწილეობას ასეულის მაგივრათ ათასეული და მილიონი ქალები“ (,,მუშა და გლეხი“ N19 (188) 13 მაისი, 1924, გვ.4).

ზემოთ დამოწმებულ პროლეტარიატის დიდი ბელადის სიტყვებში ის აზრი გამოსჭვივის, რომ პარტია ყოველგვარ საშუალებით ცდილობდა ქალებისათვის მოქალაქეობრივ და იურიდიულ თავისუფლებასთან ერთად მიეცა ეკონომიური თავისუფლებაც, რომლითაც წინ წაიწევდა ქალთა როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური განვითარების დონე.

მართლაც, საბჭოთა კავშირი, ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, მსოფლიო ლიდერად რჩებოდა, რადგან ბოლშევიკურ სახელმწიფოში განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივები მსოფლიოს მასშტაბით ქალთა ემანსიპაციის ყველაზე პროგრესულ და რევოლუციონურ ცვლილებებს წარმოადგენდა.

ლენინის ზემოთ აღნიშნული იდეით შთაგონებულნი ფართო მუშაობას ანხორციელებდნენ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც დახმარებისა და სადელეგატო კრებებში აქტიური ჩართულობით გამოიხატებოდა. არსებული სქემის მიხედით ქალებისათვის თვეში ერთხელ ტარდებოდა კრებები საერთაშორისო მდგომარეობასა და რელიგიურ ცრუ-მორწმუნეობაზე. ქალები ჩაბმული იყვნენ პოლიტწრეებსა და პროფკავშირულ მუშაობაში.

მშრომელ ქალთა მოწოდებას წითელ ხაზად გასდევდა ის აზრი, რომ სოცი–ალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ჩაგრული მშრომელი ქალი, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ: ,,მან უნდა შეიგნოს თავისი პირდაპირი მოვალეობა და მამაკაცთან ერთად გზა გაიკაფოს საუკეთესო მერმისისაკენ...

ამ მიზნის განხორციელებისათვის ერთ-ერთი და უმთავრესი საშუალება არის

ბეჭდვითი სიტყვა. ამისათვის ქუთაისის პარტკომის ქალთა განყოფილებამ უკვე აირჩია სარედაქციო კოლეგია, რომელიც მოათავსებს წერილებს გაზ. ,,მუშა და გლეხში", სადაც ქალთა შორის მუშაობას დათმობილი ექნება განსაკუთრებული ადგილი" (,,მუშა და გლეხი" N25 (194) 29 ივნისი, 1924, გვ.3).

ლენინი ავითარებდა მარქსის შეხედულებებს და მიიჩნევდა, რომ ქალთა სრული განთავისუფლებისთვის საჭიროა საზოგადოებრივი მეურნეობის არსებობა, რომ საჭიროა ქალი გათავისუფლდეს სახლის საქმეებისგან და მონაწილეობდეს საერთო წარმოებაში.

რუსეთში ქალები ფართოდ აღნიშნავდნენ მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს. ეს დღე პირველად ქალებმა 1913 წელს იდღესასწაულეს. ამ დღის აღსანიშნავად გამოუშვეს გაზეთის სპეციალური ნომერი და მოეწყო მიტინგები. მაშინ მეფის მთავრობამ დააპატიმრა რამოდენიმე გამოჩენილი მუშა ქალი.

,,ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ისტორიულ ,,ქალთა დღეთ" ითვლება 1917 წელი - რუსეთში...

მშრომელი ქალები 8 მარტს - ,,ქალთა დღესასწაულზე" ეს ის მერცხლები იყვნენ, რომლებმაც მოიყვანეს თებერვლის რევოლუცია - რუსეთში...

1921 წელს ქართველმა მშრომელმა ქალებმა პირველათ იდღესასწაულა თავის საერთაშორისო დღე" (,,მუშა და გლეხი" N9 (178) 2 მარტი, 1924, გვ.2).

,,მუშა და გლეხის" ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიებიდან ირკვევა, რომ ქალთა დღეს ყოველწლიურად მოაქვს ცვლილებები მშრომელი ქალების კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალები უფრო ფართოდ ებმებიან სასკოლო ცხოვრებაში, ებმებიან სხვადასხვა კურსებზე და მუშაობენ საზოგადო ორგანიზაციებში, როგორებიცაა სახელოსნოები, საბავშვო სახლები, ბაღები, საზოგადო სასადილოები და სხვა.

სტატიაში ,,ქალთა საერთაშორისო დღე" ავტორი ,,ე" აღნიშნავდა: ,,საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ბევრი რამ არის გაკეთებული მშრომელი ქალის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების განსამტკიცებლათ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა კიდევ დიდი შრომა, კიდევ დიდი ენერგია და ძალღონე ქალის ნამდვილ და ყოველ მხრივ განთავისუფლებისათვის. საჭიროა სავსებით აღმოფხვრა ქალის დამონავებელ ძველი ჩვეულებების, გაუნათლებლობის, უკულტურობის, ეკონომიური სივიწროვისა და სხვა.

ლენინი, რომელიც დღეს ჩვენს გვერდით არ არის, მაგრამ თავისი ნაწერებით ქალებს ყოველმხრივი განთავისუფლებისათვის გზას უნათებს.

,,საბჭოთა რესპუბლიკების განთავისუფლებული მუშა-ქალები მიაწოდებენ დღეს სოლიდარობის ხმას კაპიტალის სამეფოში დემონსტრაციებზე გამოსულ თავიანთ დებს და უსურვებენ მათ იმ საერთაშორისო დღის მოახლოვებას, რომელიც გაანთავისუფლებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და შეუდგება იმ ლოზუნგების განხორციელებას, რომელსაც აყენებენ დღეს მხოლოდ წითელი რესპუბლიკების მშრომელი ქალები" (,,მუშა და გლეხი" N10 (179) 8 მარტი, 1924, გვ.2).

პროლეტარიატის ბელადი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა ქალთა მოძრაობის პრობლემებს, რადგან მშრომელ ქალთა განთავისუფლება მჭიდროდ იყო დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლებთან და რევოლუციის გამარჯვება ბევრად იყო დამოკიდებული მასში ქალების მასობრივ მონაწილეობაზე.

სოციალისტური რევოლუციის ქარტეხილებში, როცა პროლეტარიატის დიდმა ბელადმა და კომუნისტურმა პარტიამ ფართო გასაქანი მისცა ქალთა პოლიტიკურ მოძრაობას, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფართო მუშაობა ტარ-დებოდა მუშა ქალთა და გლეხ ქალთა კომპარტიის არჩევნებში მონაწილეობისათვის.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1924-25 წლებში ქუთაისში გამომავალი გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“.

გაზეთის ფურცლებზე კორესპონდენტი კ. მიქაძე თავის სტატიაში -,,მუშა ქალთა და გლეხქალთა სადელეგატო კრების ხელახალი არჩევნები“,- აღნიშნულია: ,,დეკემბრიდან ქუთაისის მაზრაში უნდა ჩატარდეს სადელეგატო კრებები ხელახალი არჩევნებისათვის, რადგან ამა წლის ნოემბერში არსებულ სადელეგატო კრებებმა დაამთავრეს თავიანთი პროგრამები.

მოსამზადებელი მუშაობა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოხსენებების სახით უნდა ჩაატაროს დელეგატ ქალთა ყრილობების შესახებ.

ახალგაზრდა კომკავშირისა და კომუჯრედების სხდომაზე ამ კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ ქალები და პარტიული ორგანიზაციები. ამორჩეული იქნება ერთი დელეგატი.

,,...დელეგატ ქალთა ყრილობებში მექანიკურად შედიან კომუნისტი-გლეხი ქალები და საბჭოს, გლეხთა ერთ-ერთ დამხმარე კომიტეტების მიწის კომისიის წევრი ქალები. არჩეული დელეგატები უნდა იქნენ აყვანილი აღრიცხვაზე სპეციალური ანკეტების მიხედვით“ (,,წითელი ვარსკვლავი“ N19, 30 ნოემბერი, 1924, გვ.3).

საბჭოთა მთავრობა სქესთა თანასწორობას თავის ერთ-ერთ უპირველეს მიღწევად მიიჩნევდა. ამ წარმატებულ მიღწევას იგი, ერთი მხრივ, ამაგრებდა კონკრეტული პოლიტიკითა და საკანონმდებლო ინიციატივებით, რომელთაც უფლებამოსილებით აღჭურვეს ქალები. მეორე მხრივ, სახელმწიფო პროპაგანდამ მოახერხა შეექმნა იდეოლოგია, რომელიც ,,ქალთა საკითხს“ წარმატებით გადაჭრილად მიიჩნევდა.

გასაბჭოებულ საქართველოში თანდათან გაძლიერდა ქალთა აქტივობები, რაზედაც დელეგატი ქალის სტატიაც მეტყველებს: ,,17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის თეატრის დარბაზში ამხ. კ. მიქაძის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა საზეიმო სხდომა მესამე მოწვევის დელეგატ ქალთა ყრილობის.

ყრილობას მიესალმენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. თ. ჭუმბურიძემ გააკეთა მოხსენება ,,საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ თუ საგარეო მდგომარეობაზე.

...საზეიმო სხდომის სახელით ,,ამიერკავკასიის საოლქო და ცენტრალური კომიტეტების ქალთა განყოფილებების სახელზე“ გაიგზავნა მისასალმებელი დეპეშები“ (,,წითელი ვარსკვლავი“ N40, 25 დეკემბერი, 1924, გვ.3).

საბჭოთა კავშირში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ პერიოდად 1917-1926 წლები იყო მიჩნეული. ეს მზაობაა გამოხატული ვრცელ სტატიაში, რომლის ავტორი გახლავთ მასწავლებელი ქალი.

ამ სათაურით ,,მშრომელი ქალი საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე“ -აღნიშნულია შემდეგი: ,,ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება. კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ოთხი წელი დიდი დრო არ არის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო. მან, როგორც ერთ უმთავრეს საკითხს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია - ქალის განთავისუფლებას კარჩაკეტილობისაგან და მის ჩაბმას საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

საბჭოთა ხელისუფლება ასრულებს დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძს, რომელიც ამბობდა - ,,თუ ჩვენ ვერ შევაგნებიებთ ქალს, რისთვის ვიბრძვით ჩვენ, ისე ვერ მივაღწევთ მიზანსო“ (,,წითელი ვარსკვლავი“ N45 (89), 25 თებერვალი, 1925, გვ.3).

ბოლშევიკური რევოლუციის ადრეულ ეტაპზე იმდენად მძლავრი იყო ძველის დანგრევისა და დავიწყების სურვილი, რომ ქალის გათანასწორებისა და გათავისუფლების ერთ-ერთ საშუალებად ოჯახის ინსტიტუტთან ბრძოლა აღიქმებოდა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით ბევრი იწერებოდა იმაზე, რომ მონოგამიური ქორწინება მხოლოდ ბურჟუაზიის გადმონაშთია და იგი მუშათა კლასს არ სჭირდება. ოჯახი არ არის საიმედო ადგილი შვილების აღსაზრდელად, ბავშვების აღზრდაზე მხოლოდ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

ეს აზრია გატარებული გაზეთ ,,წითელი ვარსკვლავის" ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში ,,ქალი და ოჯახი". სტატიის ავტორი მშრომელი დედა ხაზგასმით აღნიშნავდა:,,როგორც კი ძველი ოჯახის კედლები გაირღვა და ქალი ოჯახიდან სამუშაოთ გარეთ გამოვიდა, მას უკან ვერავითარი ძალა ვერ დააბრუნებს. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ქალები, რომლებიც მარტო ოჯახს ემსახურებიან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არიან ჩაბმული.

ამასთან ქალს მძიმე ტვირთიც დააწვა თავს ,,გარეთ საზოგადოებრივი სამსახური და სახლში ოჯახური სამუშაო, და სწორედ ასეთი მდგომარეობიდან ქალის გამოსაყვანად ლენინმა უდიდესი საკითხი წამოაყენა: ,,განტვირთეთ ქალი ოჯახური სამუშაოსაგანო". ეს სიტყვები საშინელი მეხი იყო იმათთვის, რომლებიც მუდამ გაიძახოდენ ,,ქალის საქმე ოჯახიაო".

კოოპერატიული სასადილოები, რომლებიც ლენინმა ქალის საოჯახო საქმეებიდან განტვირთვას დაუკავშირა არც ილუზია, არც მოგონილი ამბავი არ არის, ამერიკასა და ინგლისში ბევრი ხელ-მოკლე ოჯახები კოოპერატიულ სასადილოებს აწყობენ და მას ბევრად ამჯობინებენ ოჯახურ ვიწრო მეურნეობას, აგრეთვე სადილის კეთებაც ქალის ბუნებრივი მოვალეობა არ ყოფილა, ბებელი თავის წიგნში ,,ქალი და სოციალიზმი" ამბობდა, - მარტო ის ფაკტი, რომ მდიდარი ოჯახის ქალები სადილს თვითონ არ აკეთებენ,მძიმე მაჩვენებელია იმის, რომ ეს ქალის ბუნებრივი მოვალეობა არ არის" (,,წითელი ვარსკვლავი" N54 (98), 8 მარტი, 1925, გვ.2).

ოჯახის მიერ მოქალაქეებზე დაკისრებული ეკონომიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობების გაუქმების, ოჯახის კონცეფციის კვდომის იდეამ მალევე განიცადა კრახი.

,,1920-იანი წლების ბოლოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებისას მთავრობამ შეზღუდა სახელმწიფოს შესაძლებლობა კერძო სფეროში არსებული საქმიანობების საზოგადოებრივ სფეროში გადატანა. უპატრონო ბავშვებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ქვეყნის სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამა და კოლექტივიზაციამ, ხუთწლიანი გეგმების შემოღებამ დიდი გამოცდა მოუწყო ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის ეფექტურობასა და იმ რევოლუციურ იდეებს, რომლებიც არსებობის ტრადიციული ფორმების შეცვლას ისახავდა მიზნად" (საბედაშვილი 2006:35).

უპირველესად, კონსერვატიზმისკენ უკან დახევა სტალინის რეჟიმის პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და მწვავე სოციო-ეკონომიკური პრობლემით აიხსნება. ამ უკან დახევას მოჰყვა ოჯახის აღორძინება, ქალის რეპროდუქციული ფუნქციის დაფასება, განქორწინების გამო სპეციალური ჯარიმების დაწესება, ასევე ქალთა ორმაგი ექსპლუატაცია, როგორც სამსახურში, ასევე სახლში.

მოსაზრებები ქალთა საკითხის გადაჭრის შესახებ ახალგაზრდა ბოლშევიკურ სახელმწიფოში არაერთგვაროვანი გახლდა. ვინაიდან ქალთა ემანსიპაციისადმი კლასობრივი მიდგომა ანუ რწმენა იმისა, რომ კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად სქესთა შორის არსებული უთანასწორობაც მოისპობოდა ფარსი გამოდგა.

,,ფორმალური თანასწორობა, რომელიც დამყარდა საკანონმდებლო სფეროში და აისახა კიდეც ქალებისთვის მინიჭებული შესაძლებლობების დიდი სპექტრით არ აღმოჩნდა საკმარისი სქესთა შორის არსებული დისკრიმინაციის დასაძლევად, ვინაიდან ქალების გამოთავისუფლება ოჯახური საქმიანობებისგან, როგორც ეს იგეგმებოდა რევოლუციის შემდგომ წლებში ვერ მოხერხდა, სანაცვლოდ მივიღეთ ისეთი საზოგადოებრივი მოლოდინები, რომლებიც ქალს ავალდებულებდა შრომას

საზოგადოებრივ სფეროში, მაშინ როცა ტრადიციების გავლენა ასაქმებდა ქალს ოჯახში უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცს და ამგვარად საბჭოთა პერიოდის ქალები ერთგვარი ემანსიპაციის პარალელურად ორმაგად დატვირთულნი აღმოჩნდნენ“ (საბედაშვილი 2006:36).

საერთოდ, დიდ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირში შემავალ ქალთა მდგომარეობა, თავდაპირველად, მსოფლიოს თვალში მოიაზრებოდა მსოფლიოს მასშტაბით ქალთა ემანსიპაციის ყველაზე პროგრესულ მოვლენად. აგიტაციისა და იდეოლოგიის მეშვეობით 1930-იანი წლების მეორე ნახევრამდე საბჭოთა კავშირი, ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, მსოფლიო ლიდერად რჩებოდა. რაც ასე ნათლადაა გამოხატული გაზეთ ,,წითელი ვარსკვლავის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ვრცელ სტატიაში ,,ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია თფილისში“:

,,ორშაბათს, 15 ივლისს, საღამოს 4 საათზე, ბაქოდან თფილისში ჩამოვიდა ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: მერი კველი (თავმჯდომარე), ლიდა ესპინოლ (ფეიქართა კავშირი), ანნა ლოკლეი (მკერავთა კავშირი), ბრიდჟი (მბეჭდავთა და ამკინძავთა კავშირი) და პერსელი (დელეგაციის მდივანი).

დელეგაციას ახლავს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ პროფ–საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ჩერნიმოვისა.“

დელეგაციის თავმჯდომარემ მერი კველმა თფილისელ კორესპონდენტთან საუბრისას ჩამოსვლის მიზანი ასე განმარტა: ,,გვსურს დაწვრილებით და რაც შეიძლება ახლო გავეცნოთ მუშების ყოფა-ცხოვრებას და წარმოების მდგომარეობას საქართველოში.

საუბრისას მერი კველიმ აღნიშნა, ასევე, რომ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მიეცა საშუალება გაცნობოდა საბჭოთა კავშირსა და მათში შემავალ რესპუბლიკებს. დათვალიერებამ მათზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

,,რაც შეეხება ქალთა მოძრაობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ბაქოში გავიგეთ რას ნიშნავს თავისუფლება აღმოსავლეთის ქალთათვის. თურქი - ქალი ეხლა განთავისუფლებულია საუკუნოებრივ მონობისაგან. იგი საბჭოთა სინამდვილის პირობებში აშენებს ცხოვრებას - კლუბებს, საბავშო ბაღებს“.

ინგლისელ დელეგატთა ყურადღება მიიქცია კურორტებმა, განსაკუთრებით ყირიმში, სადაც ისვენებდნენ და ზაფხულის დროს ატარებდნენ მეფე და მისი ამალა. ჩვენ შევხვდით ამჟამად აქ მუშებსა და გლეხებს. საერთოდ, საბჭოთა კურორტები სახელმწიფოს ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

,,რაც შეეხება საქართველოს ჩვენ აქ სპეციალური დავალებით ვართ; ჩვენთვის ძლიერ სასიხარულოა, რომ გავეცანით ამ მხარის საერთო მდგომარეობას, რომ ინგლისში დაბრუნებისას ჩვენ შევძლებთ მოვუყვეთ ინგლისის მუშათა კლასს, როგორია აქაური სინამდვილე.“

თუ შევადარებთ წინა დროის დელეგაციების ანგარიშებს დღევანდელ მდგომარეობას, უნდა დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირი შეუჩერებლივ იზრდება და მისი აღმშენებლობა-აღორძინება გაძლიერებულის ტემპით მიმდინარეობს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ისწრაფის გარდაქმნას საზოგადოება არამარტო პოლიტიკურად, არამედ წარმოებასა და ყოფა-ცხოვრების მხრითაც. ამის მაგალითია ის ახლად ნაშენი მუშათა დასასახლებელი ადგილები, საზოგადო სამზარეულოები, დასასვენებლი სახლები და სხვა.“

ინგლისელ დელეგატებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში - ლენინგრადში - ტვერში - ყირიმში - როსტოვში - კისლოვოდსკში - გროზნოში - ბაქოსა და თბილისში მოგზაურობამ, რითაც კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, თუ როგორ

იზრდება თანდათანობით საბჭოთა კავშირის წარმოება.

ამჟამად, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, - აღნიშნეს დელეგატებმა რომ ნავთის წარმოება ბაქოში მუშების ხელშია.

დაბრუნებისას დელეგატებმა აღუთქვეს, როგორც პერსელის დელეგაცია ჩვენ სპეციალურ ანგარიშში ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლებს მოუყვებით ამ ქვეყნების შესახებ“ („წითელი ვარსკვლავი“ N135 (179), 17 ივნისი, 1925, გვ.2).

ინგლისელ დელეგატ ქალთა დასკვნების გათვალისწინებით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა არსებულ სინამდვილესთან, დრამატულად შეიცვალა 1918-1926 წლების რადიკალური და რევოლუციური კოდექსები, სადაც მხოლოდ ფორმალურად მოხდა გენდერული თანასწორობის რიტორიკის შენარჩუნება.

ამრიგად, გასაბჭოებულ საქართველოში განადგურდა ახალი სოციალური წყობის შექმნის „სამაგალითო“ შესაძლებლობა, რომლისათვის ათასობით ადამიანი იბრძოდა.

ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი (1851-1938)

მწერალი, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი, ქალთა პროფესიული სკოლის დამაარსებელი, თბილისის ქალთა საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ჟურნალ „ჯეჯილის“ დამაარსებელი ანასტასია თუმანიშვილთან ერთად.

ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხი (1854-1928)

ქართველი მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, საქართველოში პირველი ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი. შვეიცარიაში დაარსებული საზოგადოება „უღელის“ წევრი. ოდესის უნივერსიტეტში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნის ინიციატორი და მისი პირველი დეკანი. გამომცემლობა „სხივისა“ და საზოგადოება „განათლების“ დამაარსებელი.

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე (1842-1927)

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრი და მეცენატი, ქართველ ქალთა საზოგადოებისა და ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლის დამაარსებელი.

კატო მიქელაძე (1872-1942)

ევროპაში განათლება მიღებული, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი, ქალთა ლიგის დამფუძნებელი, გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“ რედაქტორი. ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

მარიამ ივანიშვილი-დემურია (1860-1910)

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, სახალხო თეატრის - ავჭალის აუდიტორიის დამაარსებელი, ჟურნალ ,,ნაკადულის“ რედაქტორი.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932)

ქალთა წრის, ,,მასწავლებელ ქალთა საზოგადოების“, მოხუც პედაგოგ ქალთა თვის თავშესაფარისა და ქალთა დაწყებითი სასწავლებლის დამაარსებელი. ჟურნალ ,,ჯეჯილის“, გაზეთ ,,კვალის“ რედაქტორ-გამომცემელი. საზოგა–დოება ,,განათლების“ პირველი დამფუძნებელი. მწერალი და მთარგმნელი.

აზიანი - ნატალია დონდაროვა (1878-1943)

პირველი დრამატურგი.

გაგო ავალიშვილი-ხერხეულიძე (1851-1900)

ტრაგიკული და დრამატული როლების პირველი შემსრულებელი.

ნატო გაგუნია-ცაგარელი (1859-1910)

ქართული სცენის მშვენება.

ეფემია მესხი (1862-1941)

ქართველი მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

მაკო საფაროვა-აბაშიძე (1860-1940)

ქართული პროფესიული თეატრის ცნობილი მსახიობი, რუსული და ფრანგული პიესების მთარგმნელი.

ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილი (მაჩაბელი) (1869-1917)

,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თბილისის განყოფილების თავმჯდომარე, ქართული თეატრის მეცენატი.

მარიამ გარიყული-თათეიშვილი (1883-1960)

მწერალი და მსახიობი.

პერიოდიკის ბიბლიოგრაფია და ტექსტები

„შრომა“. 1881-1883. ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. (გამოდ. ორშაბათობით). ქუთაისი. რედ. - დიმიტრი დადიანი, გამომცემელი - დ. ნაზაროვი; 1883 წელს გამომცემლები - დ. დადიანი და დ. ნაზაროვი. პირველი ქართული გაზეთი ქუთაისში; იყო დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობის ორგანო, იდგა ეროვნული განთავისუფლების პოზიციაზე;
1881 წ. N1 (2/IX) –N17 (23/XII-მდე), თით. 4 გვ. In F
1882 წ. N1(6/I) – N49 (15/XII-მდე) ,, ,, ,,
1883 წ. N1 (5/I) – N24 (23/IV-მდე) ,, ,, ,,

გაზეთი ,,შრომა“ N3, 16 სეკტემბერი, 1881

,,ქალების წარმატება“

ქართველ ქალებმა კარგა ხანია, როგორც საკუთრად თავისთვის ასევე საზოგადოების კეთილდღეობისათვის მიზნად დაისახეს ისეთი განათლების მიღება, რომლის საშვალებითაც შეეძლებათ, როგორც თავიანთი თავის შენახვა, ასევე სხვების შეწევნაც, რომ კაცებს გვერდით ამოუდგნენ და ოჯახსა თუ საზოგადო საქმიანობაშიგაუწიონ დახმარება. მსგავსი ქალების სურვილი სასარგებლოა, თუმცა მათ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ. თავიანთი ენერგიული მოქმედებით ჯიუტ კაცებს ქალები უმტკიცებენ, რომ ქალებიც უნდა იყვნენ სწავლულნი და განათლებულნი. ,,სრული თანაგრძნობის ღირსნი არიან ქალები ამ მეცადინეობაში, რომ თავიანთი კეთილი აზრით სხვა და სხვა სწავლის შეძენით დაეხმარონ კაცებს ცხოვრების ბრძოლაში, რომელიც აღუძრავს სიღარიბეს სიმდიდრესთან და სწავლას-უმეცრებასთან. ოფლით ლუკმის შეძენას უშრომლად განცხრომაში ცხოვრებასთან თავისუფლების მონაობასთან“. საერთოდ, ქალებს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ისტორიის ცხოვრებაში. დღეს ყოველი გონიერი ქართველი ადვილად უნდა მიხვდეს თუ რამდენად სასარგებლოა ჩვენი ხალხის წინსვლისათვის ქალების კეთილმოსურნეობით აღზრდა და საფუძვლიანი სწავლა-განათლება.

გაზეთი ,,შრომა“ N4, 23 სეკტემბერი, 1881

,,სასოფლო შკოლების მასწავლებელთა კრებაზედ“

სასოფლო შკოლები ვერ აკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია მსგავსი შკოლების შემცირების სურვილი. ბუნებრივია, სკოლებში, რომ სათანადო სწავლა-განათლება იყოს, მაშინ ხალხიც გულგრილი არ იქნებოდა მათთამი. საწყალი მშობლები ძალღონეს არ ზოგავს და ლუკმას შუაზედ ყოფს, რათა შვილებს ასწავლონ, მაგრამ ეს სასწავლებლები ვერ იმსახურებენ ნდობას სხვადასხვა მიზეზთა გამო: ,,ნაყოფის მოტანის მაგიერათ ამ შკოლისადმი ხალხის გულგრილობის მიზეზი შეიქმნა. მართალია, სასოფლო შკოლებს ყოველგან ნაკლულოვანება აქვს, მაგრამ ჩვენი შკოლების მსგავს კაცი ვერსად ვერ იპოვის. ჯერ ერთი, რომ ჩვენში მასწავლებლები ძლიერ სუსტათ არიან მომზადებულნი და მეორე მასწავლებელსა და შაგირდებსაც დიდ ძალი დრო ეკარგებათ უცხო ენაზედ და ყოვლად უნაყოფოდ, მაშინ როდესაც

შესაძლებელი იყო, ეს ძვირფასი დრო იმისთანა საგნის სწავლისთვის მოეხმარათ, რაც ხალხში მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ერთი სიტყვით ჩვენს სასოფლო შკოლებში შემოღებული სისტემა მასწავლებელს უნაყოფ შრომას უმატებს, ხალხის თვალში მის ჯაფას და ცდას ამცირებს, შაგირდებს კი უმიზნოთ ღალავს და სწავლის ხალისს უკარგავს.“

ამ ნაკლოვანებების გამო ქუთაისში დანიშნული იყო სასოფლო შკოლების მასწავლებლების კრება, რომელმაც გამოააშკარავა მრავალი ნაკლოვანებები.

გაზეთი ,,შრომა“ N4, 23 სეკტემბერი, 1881

,,ადგილობრივი ამბები“

გორში გაიხსნა ქალების პროგიმნაზია ანასტასიისა. პროგიმნაზიას ეს სახელი დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის ქალიშვილის ანასტასის სახელის სახსოვრად დაერქვა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა ბ. სემიონოვმა აღნიშნა: ,,თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებისა და კეთილდღეობისთვის ქალების განათლებას“. ქალაქის თავმა ასევე გამოაცხადა, რომ პროგიმნაზიის გახსნის გამო გორის სამოქალაქო საზოგადოება დიდად გახარებულია და ეს საზოგადოება სასწავლებელს ფულით შემწეობასაც გაუწევს. პროგიმნაზიის უფროსმა კნეინა მაყაევისამ გამოაცხადა, რომ ,,გახსნისთანავე ამ სასწავლებელში მიღებული იქნა 51 ქართველი ქალიშვილი, 35 სომეხი, 6 რუსი, 2 ფრანცუზი, 1 ოსი და ერთი ნემეცი, - სულ 91 ქალიშვილი“.

გაზეთი ,,შრომა“ N6, 7 ოკტომბერი, 1881

,,ქუთაისი, 7 ოკტომბერს 1881“

საზოგადოების შეხედულება თუ მომავლის იდეალს ეწინააღმდეგება, მაშინ ეს წესი შეუსაბამო და ხშირად მავნებელიც ხდება. თუ ადრე საზოგადოება დროთა ვითარებას ემორჩილებოდა და ემონებოდა, ის დრო წავიდა. დღეს საზოგადოება ,,გულ-ხელ-დაკრეფილი“ ვეღარ იქნება, რადგან წინასწარ არავინაა გულთამხილავი განჭვრიტოს ვის რა უჭირს თუ ხალხის აზრი არ გაითვალისწინა. ხალხსა და საზოგადოებისათვის ბევრ საჭირბოროტო საკითხებს შორის უფრო მნიშვნელოვანია ახალი თაობის აღზრდა და მისი სწავლა. აქტიდან გამომდინარე ყურადსაღებია საზოგადოების მოთხოვნილებისა და შეხედულების გათვალისწინება, რათა იგი თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილების შესაბამისად წარიმართოს. ჩვენს დროში საზოგადოება უფრო პროგრესიული გამოდის და უფრო მეტის სურვილს აცხადებს.დღეს ყოველი მხრიდან საჩივარი ისმის,რომ ,,ლათინურმა და ბერძნულმა ენამ ნორჩი ახალ-გაზრდობა წელსში გაჰსწყვიტაო, რომ ამ ენებს არავითარი პრაკტიკული მნიშვნელობა არა აქვსთ კაცის ცხოვრებაშიო. ეს ენები და უხეიროდ მათი სწავლება ხშირად ბევრს ახალგაზრდას აიძულებს მეორე, მესამე და მეოთხე კლასიდან0 გამოვიდნენ და საზოგადოების უსარგებლო და მავნებელი წევრები შეიქმნენ, რომ შკოლა აღზრდილისა და განათლებულის ყმაწვილების მაგიერ გაფუჭებულებს უბრუნებს საზოგადოებასო, და ეს საყვედური რჩება აქამომდე ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

დღეს, თეორიულადაც და ზოგან პრაქტიკულადაც პედაგოგებიც იმ აზრზე არიან, რომ აღმზრდელებსა და შაგირდებს შორის კარგი განწყობილება უნდა სუფევდეს იმით, რომ აღმზრდელებს უყვარდეს მოწაფეები და ისინი პატივს სცემდნენ მათ. საერთოდ, აღმზრდელი შაგირს დედ-მამის მაგივრობას უნდა უწევდეს და მზრუნველობდეს მათ. სამწუხაროთ, ჩვენში სიყვარულის მაგივრათ შკოლებში ცემა-ტყეპაა დამკვიდრებული: ,,მამა-შვილურის დამოკიდებულების მაგიერ ჩვეულებად გარდაქცეულა წამ-და-უწუმ სასჯელი, ცემა-ტყეპა, მუშტი, წიხლები, კაცის ღირსების დამამცირებელი ყვირილ-ჯღავილი და სხვა.“ ასეთი საქციელით მეგობრული ურთიერთობის მაგივრად ჩვენში მასწავლებელსა და შაგირდს შორის დიდი უფსკრულია: ,,ერთი მეორეს მგელივით უყურებს. შაგირდი, სამწუხაროდ, ჰფიქრობს ვითომც აღმზრდელი და მასწავლებელი მისდა შესაწუხებლად და დამჩაგვრელად იყოს დაყენებული.“ ეს და მსგავსი ნაკლოვანებები დროულად არის ყურადსაღები, რადგან საზოგადოება ცხვრების ფარა არაა და დამხმარე და ხელის შემწყობებია საჭირო, რათა პროგრესულმა აზრმა გაიმარჯოს.

გაზეთი ,,შრომა“ N6, 7 ოკტომბერი, 1881
ავტორი: სეველი

,,საპოლიტიკო მიმოხილვა, ხურუმის ომი“

მეფელეტონეს პოლიტიკაში გარევა იმთავითვე გაზეთისათვის კარგი ნიშანი არ არის. ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში გაზეთების გაცნობისას ყურადღება მიიქცია აფრიკაში ხურუმების აჯანყების ინფორმაციამ, სადაც ეწერა, რომ აფრიკის ერთ-ერთ მოზრდილ მხარეში ტუნისში, რომლის მოსახლეობას არაბი ტომის ხალხები შეადგენენ აბუნტებულან, იმისათვის, რომ ერთ იმათგანს ვიღაც ფრანცუზისათვის ძროხა მოუპარავს. ქურდს დაწევია ძროხის პატრონი და ამ დროს ატეხილა ჯერ მუშტის კრივი, მერე იარაღის ტრიალი. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ ორომტრიალში ჩაერთო დიპლომატიური მისიაც და საფრანგეთის კონსულსა და ტუნისის მთავარს შორის მიწერ-მოწერის შემდეგ საფრანგეთს გადაუწყვეტია ხურუმების წინააღმდეგ ჯარის ჩარევა. ,,ღმერთმა მიტომ მისცა ღონე და განათლება ევროპასა და განსაკუთრებით რაოდენსამე მის სახელმწიფოებს, რომელნიც ჩამდგარი არიან ბატონად სხვა და სხვა ველურს და ბარბაროსულს ქვეყნებში, ან მათ მეზობლათ, რომ შეიტანონ იქ ცივილიზაცია, ან ჩვენებურათ, ქართულათ, რომ ვსთქვათ, კაცის გონების გახსნა და განათლება, ზნეობის გაწმენდა და ამაღლება, დედამიწის წესიერად დამუშავება, საყოველთაოდ საზრდოს და საცხოვრებლის გამრავლება და განსპეტაკება და ამ საცხოვრებლის კაცად-კაცური, ღმერთის სიტყვისაებრ, მოხმარება.“ მაგრამ ეს ცივილიზაცია, გაზეთი, რომ იქ დაინერგოს სადაც კეთილ ნაყოფს გამოიღებს, ამისათვის წინასწარ საჭიროა მისთვის ნიადაგის გაწმენდა.

გამოდის რომ ცივილიზაციისათვის ეკალსა და გვიმრას შეადგენს ველური ტომი, რომლებსაც აზიისა და აფრიკის ხალხი შეადგენენ. ეს ხალხი არ არის შექმნილი მეცნიერების პროგრესისთვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, რადგან მათი ტვინი შეზღუდულია. თუმცა ქვეყანა უჭირავთ მდიდარი და ბუნებით შემკული. მათ არ ძალუძთ ამ ქვეყნის მოხმარება. ამისათვის ფრანცუზებს არა თუ ნება ზეციური ვალი ადევთ, რათა ჩამოართვან მათ ეს დიდებული მიწა-წყალი და თვითონ ისინი განდევნონ შუა აფრიკის უდაბურში: ,,ვითარცა მხეცი ველური, უღირსი ევროპის ცივილიზაციის ზიარებისა. შესაძლებელი არის, რომ არაბების გარეკის შემდეგ მათი ქვეყანა სულ

უკაცურად დარჩეს და გაეწრდეს, რადგან თვითონ ფრანცუზებს და არც ევროპის სხვა ხალხს არ შეუძლია იქ დასახლება და მუდამ ცხოვრება სიცხით და ბუნების სხვა და სხვა მავნებელის ძალის გამო, მარა ისა სჯობს, რომ ქვეყანა დაცარიელდეს და წახდეს, ვინემ ამ ველურის ხალხის თავ შამოსავლელად და მათ ფეხ-ქვეშ დასაკავებლად იქ საფრანგეთის ჯარი ამოწყდეს და ხაზინა დაიხარჯოს“.

გაზეთში გამოქვეყნებული ამ ინფორმაციის შემდეგ მკითხველს გაახსენდა 10-15 წლის წინათ გაგონილი სიტყვები კავკასიის ტომებზე, რომელიც ეკუთვნოდა ლევანდასა და მარკოვს, რომელთაგან პირველი იყო ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი და მეორე კი ინსპექტორი. ბოლოს გაზეთის მკითხველი ერთ რიტორიკულ კითხვას სვამს: ,,თუ განათლებულმა ერმა გაუნათლებელი ხალხი ნახევარი ხეზე ჩამოკიდა და ნახევარი ზღვაში და კლდეში გადაყარა ამ ცივილიზაციას ვიღას მოჰფენს, თავის თავზე ხომ ვეღარ დაიბრუნებს, როგორც სარკეში მის შუქს? და მეორე ისა, რომ თუ მართლა პეტრეს მოსვლამდის ჩვენ უსარკმლოთ ვისხედით ბნელში და უფსკრულში, რატომ მაშინ არ ამოგვჭამა განათლებულმა ევროპამ?“ ეტყობა ალბათ ეს მადა ეხლა გახსნია მას.

გაზეთი ,,შრომა“ N6, 7 ოკტომბერი, 1881

,,ადგილობრივი ამბები“

1. ხონის სამასწავლებლო სემინარიაში მისაღები ეგზამენები დაიწყო. პარაკლისის შემდეგ დირეკტორს სტრელეცკის თავის სიტყვაში ხაზგასმით აღუნიშნავს სამასწავლებლო სემინარიის დანიშნულებასა და მიზანზე: ,,სემინარია ეცდება მოამზადოს ხალხის სასარგებლო კაცები. ასწავლოს მათ, რაც ხალხის ცხოვრებაში მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, გააცნოს ყოველივე პრაკტიკულად, რადგან მარტო ამნაირ ცოდნას შეუძლიაო მოუტანოს ხალხს სარგებლობა. წელს ამ სასწავლებელში ორი კლასი იხსნება მოსამზადებელი და პირველი“.

ამ კლასებში სწავლის მსურველები ასზე მეტი კაცი გამოცხადებულა, რათა ეგზამენები დაეჭირათ. თავდაპირველად ჯერ ეგზამენები პირველ კლასში შემსვლელთათვის ჩატარდა, რომელთა რიცხვი 62 მსურველი იყო. თუმცა ეგზამენატორები სუსტად კითხავდნენ და ამით ცდილობდნენ უფრო მეტი მსურველი მიეღოთ. საბოლოოდ მიღების ღირსი 20 თუ 25 კაცი გამხდარა, ხოლო მოსამზადებელ კლასში შემსვლელთა რიცხვი უფრო მეტი ყოფილა. ,,ამ ორ დღეში ეგზამენები გათავდება, მაგრამ ის კი არ ვიცით, თუ სად აქვსთ ბინა მათი მისაღები! სახლები ჯერ მზათ არ არის და შაგირდების გამოცდა ნაქირავებს ოთახებში ყოფილა. სემინარიისათვის აშენებენ ორს გვარიანს სახლს, მაგრამ ღმერთმა იცის როდის მოათავებენ.“

1. გაზეთი ,,დროება“ სწერს, რომ ზუგდიდში ორ-კლასიანი შკოლა გავსებული არისო, ასე რომ წელს მრავალი სწავლის მსურველს შკოლაში მიღების უარი უთხრესო: ,,ზუგდიდს ადგილობრივი მცხოვრებლები საქალებო შკოლის გახსნას აპირებენო და იმედი აქვთ, რომ ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღოსო უგანათლ. კნ. ეკატერინა მინგრელსკისამ, რომლის სასახლის მახლობლად ეს შკოლა უნდა აშენდესო“.
2. გაზეთი ,,დროება“ სწერს, რომ ერთ ქართველს თბილისში რამდენიმე საინტერესო გუჯარი და სიგელი უპოვნია. ამ დოკუმენტში მოხსენებული არისო ანტონ კათალიკოსის რუსეთიდან დაბრუნების ამბავი: ,,მცხეთის ეკლესიაში უწირავს, რომელზედაც დასწრებია 14 მიტროპოლიტი და ეპიზკოპოსი და ბარძიმის

გამოსვენებაზედ ფიცით უთქვამს, რომ რომთან შეკავშირებას მე მხოლოდ მისთვის ვსცდილობ, რომ საქართველოს ერის ბედნიერება მსურსო.“

გაზეთი ,,შრომა“ N8, 21 ოკტომბერი, 1881

,,ქართველს ქალებს“

დიდი სჯა-ბაასი გაიმართა მწერლების, მეცნიერებსა და პუბლიცისტებს შორის იმ დროს, როდესაც ქალებმა გამოაცხადეს რომ ჩვენ მამაკაცებს არაფერში არ ჩამოვრჩებითო და ბუნებამ იმდენი ნიჭი მოგვცა, რომ სწავლა-განათლების მხრივ მათზე არანაკლებ ადგილს დავიჭერთ საზოგადოებაშიო და მივაღწევთ იმ წარმატებას, რაც მამაკაცებს მიუღწევიათო. ამასთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა ბაასი ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ ვიდრე ეს ბაასი გაიმართებოდა ქალები დიდის ბეჯითობით და ენერგიით შეუდგნენ სწავლის საქმეს და მათი გონებისა და შრომის ნაყოფი საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ ,,საფუძვლიანად ნასწავლი ქალი ისრე სასარგებლო რამ ყოფილა მისთვის, როგორც ნასწავლი მამა-კაცი“. ამის შემდეგ რასაკვირველია ქალებისათვის საკმარისი აღარ იყო მარტო წერა-კითხვის შესწავლა და საზოგადოებამ გამართა ქალების სასწავლებლად ინსტიტუტები, პროგიმნაზიები, გიმნაზიები. თავდაპირველად მათ შიშითა და კრძალვით გაუღეს მაღალი სასწავლებლის უნივერსიტეტის კარებიც, სადაც ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ მწერლობაში, პედაგოგიკაში, მხატვრობაში, მუსიკისა და ექიმობაში.

დღეს ქალები სახელოვნად იჩენენ ,,თავიანთ ნიჭიერებას, მეტადრე ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში და სხვა დაწინაურებულს ევროპის პატარა სახელმწიფოებშიაც. რუსებმაც მიბაძეს ამერიკისა და ევროპის განათლებულს ქალებს; ზოგიერთმა ამ რუსის ქალებთაგანმა ძალიან ისახელა თავი საფუძვლიანის მეცნიერებით. ამას წინეთ ახალგაზრდა რუსის ქალს, გვარად სკვარცოვისას, წარუდგენია ისეთი დისერტაცია პარიჟის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტში, რომ ყველა გამოჩენილს საფრანგეთის ექიმებს დიდი ყურადღება მიუქცევიათ მისთვის“.

წელს პარიზში 12 ქალს მიეცა დოქტორობის დიპლომი; ამ 12 ქალში საუკეთესო ნასწავლი აღმოჩნდა ერთი ამერიკელი, ერთი იტალიელი და ერთიც რუსის ქალი, გვარად გონჩაროვის. დიდი ნიჭი გამოიჩინეს ქალებმა ექიმობაში, პედაგოგობაში. ორი წელიწადია საფრანგეთში მიღებული კანონის თანახმად მთელ ქვეყანაში დაარსდა ქალების სახალხო საოსტატო სემინარიები. მსგავსი საოსტატო სემინარები დაარსდა ასევე გერმანიასა, ავსტრიასა, პატარა შვეიცარიასა და იტალიაში.

ბევრი ამგვარი მაგალითები უმტკიცებს დღეს საზოგადოებას ქალების ნიჭიერებასა და ჭკუის ძალას. მაგრამ ნასწავლ ქალებს ყველაზე უფრო დიდი სარგებლობა მაშინ მოაქვს, როდესაც ისინი პედაგოგობას კისრულობენ.

,,ჩვენის აზრით არც ერთი საქმე ისე არ შეჰფერის ნასწავლის ქალის დღევანდელს მდგომარეობასა ჩვენს საზოგადოებაში, არც ერთი საქმე ისე არ ამშვენებს მის ქალობასა და არც ერთი საქმე ისე არ მოითხოვს მის დახმარებას, როგორც ყმაწვილების რიგიანად აღზრდა; და დიდად სასურველია, რომ ჩვენმა ქალებმა მიჰბაძონ ევროპისა და ამერიკის განათლებულს ქალებს და დაეხმარონ საზოგადოებას ყმაწვილების აღზრდაში და სწავლებაში“.

გაზეთი ,,შრომა“ N10, 4 ნოემბერი, 1881
ავტორი: გადაღმელი - სვანი

,,წერილები - ხმა სვანეთიდამ“

აგერ 20 წელზე მეტია, რაც სვანები ხალხში გაერია და აქაურებს ეგონათ ჩვენი მხარე ისე უპატრონოთ მიყრუებული არ დარჩებოდა, როგორც იგი საუკუნის დასაწყისში იყო. XIX საუკუნემ ყველა ხალხი დააწინაურა და სვანები ამ საუკუნეშიც უკან არიან ჩამორჩენილები, რადგან არ არის სკოლა და არავითარი სიკეთის მომტანი საქმე.

მაშინ, როცა ,,ჩვენი შვილები სხვაზე უნიჭოები და უცუდნესი არ უნდა იყვნენ. ჩვენებიც რომ ნიჭიერნი არიან, ამას, მგონია, ყველა კაცი იტყვის, და, თუ ვისმე ამის ეჭვი აქვს, მივუთითებთ ყოვლად უსაღვმდელოეს იმერეთის ეპისკოპოზე, რომელმაც ამასწინათ ე.ი 1863 წ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩამოიყვანა რამდენიმე ჩვენებური ყმაწვილი სწავლის მისაღებად. ყველამ ამ ყმაწვილთაგანმა კარგი ნიჭი გამოიჩინეს, ასე რომ ზოგმა აქვე ოთხი კლასი დაასრულა, ზოგი, ოთხი კლასის დასრულების შემდეგ, სხვა სასწავლებელში შევიდა სწავლის გასაგრძობად და იქაც დაასრულეს კიდევ სწავლა. ვინ მათგანი მასწავლებლად არის ამჟამად, ვინ მღვდლად და ვინ სასამართლოებში მსახურებს“.

ამჟამად სვანეთი ისევ მოკლებულია ადგილობრივი შკოლის გახსნის შესაძლებლობას და ყმაწვილი სვანების სასწავლებლებში გაგზავნის შესაძლებლობას. ამ საქმეში მართალია, დასამხობი მაღალი მთები და უგზოობა გვიშლის ხელს, მაგრამ რა ,,იქნებოდა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ან ,,კავკასიაში“ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ დაგვხმარებოდა, ან საქმით და ან სიტყვით, ეშუამდგომლებიათ და როგორმე ერთი შკოლა მაინც გაეხსნათ ჩვენთვის, ჩვენ 12, 000 სული კაცისათვის“.

თუ თბილისში სადაც 100-ზე მეტი სასწავლებელია და კიდევ და კიდევ იხსნება ახალი სასწავლებლები, რა იქნებოდა იმ ფულით თბილისის მაგიერ სვანეთში გაეხსნათ სკოლები. ის აზრი, რომ სვანებს არ უნდოდეთ სწავლა ეს შეცდომაა ,,წელს ორი პატარა ყმაწვილი დედ-მამას გამოეპარნენ თავისუფალი სვანეთითგან და ქუთაისში ჩამოვიდნენ, ისიც ცალ-ცალკე. ერთი ღუბერნატორთან მივიდა და სწავლის სურვილი განუცხადა. ეს ყმაწვილი ამ ჟამად ლეჩხუმშია იქაური უეზდის უფროსთან, ბატ. ღუბერნატორის განკარგულებით, და სწავლობს; მეორე სწავლობს მრევლოვის სასწავლებელში და ბინა გ. კლდიაშვილთან აქვს. ამას გარდა, ერთი დედა-კაცი ქვეითად ჩამოვიდა ლაილასშს და ჩამოიყვანა მან თავისი შვილი და სასწავლებელში მისცა თავისი ხარჯით. ნუთუ ყველა ეს არ ამტკიცებს სვანების სწავლისადმი მიდრეკილებას“.

გაზეთები იტყობინებიან, რომ ექიმმა რეიხმა სვანეთში სკოლის გასახსნელად ექვსი ათასი მანეთი შესწირა. ეს ფული დღესაც ბანკში თუ ხაზინაში ინახება. ამასთან მღვდელმა მარგიანმა ორ ეტაჟიანი სახლი შესწირა სკოლისათვის. ასე რომ, შეგვეწიეთ ღვთის გულისათვის და სვანების ამ თხოვნას ურიაგიროთ ნუ მიიჩნევთ.

,,ქუთაისი, 25 ნოემბერ 1881“

საზოგადოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ ქართველი თავად-აზნაურობა საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტლად ებრძოდა ურიცხვ მტრებს მამულისა და სარწმუნოების დასაცველად. დღეს იმ ქვეყანაში, რომელიც კიდის-კიდემდე ძველის ქართველების სისხლითაა მორწყული მშვიდობიან დროს უპირველეს მიზნად დაისახა გონებით სიბნელესთან ბრძოლა. ამ იმედით გაიხსნა ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისის თავად-აზნაურთა გიმნაზიები. თბილისის გიმნაზიაში წარსულ ენკენისთვეში ბევრის მიღებისათვის უარი უთქვამთ. ქუთაისში სათავადაზნაურო სასწავლებლის გახსნა უმაგალითო საქმე არის. ქუთაისის გუბერნიის თავად- აზნაურობამ უხვად დაუნიშნა ხარჯი 600 და 800 თუმანი გიმნაზიას, სადაც სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია, მაგრამ ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ,,ახლო მომავალში იმდენი შაგირდები გაათავებენ ჩვენის სასწავლებლის კურსს, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ვაკანსიებს ყველა ვერ იშოვნის და ნახევარიც ვეღარ განაგრძობს სწავლას. წელს უფროს განყოფილებაში 20 - და -12 შაგირდი სწავლობს; ესენი ყველანი ვაკანსიების მაძებარნი იქნებიან მომავალს ენკენის თვეში. საგაისოდ ამ განყოფილებაში ერთი-ორად მეტი იქნება შაგირდების რიცხვი. და მაშასადამე ერთი -ორად გადიდდება საშვალო სასწავლებლებში ვაკანსიების მაძებართა რიცხვი.“

საჭიროა ჩვენმა წინამძღოლებმა და თავად-აზნაურობამ იკისრონ გიმნაზიის შესანახავი ხარჯი და საკუთარი გიმნაზია გახსნან, რადგან ,,მარტო 10-11 წლამდის რომ ამზადო ყმაწვილი, რა გამოვა, თუ შემდეგ მას გზა დახშული ექნება.“

გაზეთი ,,შრომა“ N13, 25 ნოემბერი, 1881

,,სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელზედ“

ამდენი წელია, რომ სამეგრელოში არა და არ დაარსდა სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებლის სადგომის ცეცხლის წაკიდების შემდეგ იგი დროებით ქუთაისში გადმოიტანეს. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ეს სასწავლებელი ნაოღალევში გადაიტანეს და აქაც დასწვეს იგი. ახლა ამბობენ მას ისევ ქუთაისში გადმოიტანენ ან ახალ სენაკში.

,,როდესაც სასწავლებელი ქუთაისითგან სამეგრელოში დაბრუნდა, შაგირდების რიცხვი ერთი ორად გამრავლდა. ცხადია, რომ ეს სასწავლებელი სამეგრელოშივე უნდა იყვეს. იქ შაგირდების რჩენა და ყურის გდება და აქ, ქუთაისში ერთი არ არის. იქაურს სამღვდელოებას ურჩევნია თუ კი საკუთარი საშუალება აქვს, თავისი სასწავლებელი იქვე გაიმართოს.“

გამართლებულია სასულიერო სასწავლებელი ისეთ ადგილზე დაფუძნდეს, რომ მთელის სამეგრელოს შუა გული და დასამხარი იყოს, როგორც მოსწავლეებისათვის და ასევე მასწავლებელთათვისაც. ამნაირ ადგილად ძველი ან ახალი სენაკი უნდა შეირჩეს.

გაზეთი ,,შრომა“ N13, 25 ნოემბერი, 1881

,,ადგილობრივი ამბები“

კავკასიაში სწავლისა და განათლების საქმის მზრუნველი ბატონი იანოვსკი თბილისიდან ჩამოვიდა. იგი მთელი ორი კვირის განმავლობაში ათვალიერებდა ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებს. დათვალიერებამ ბევრი ნაკლი გამოავლინა: ,,ამბობენ, ზოგიერთს პედაგოგებს სიცხე დაადგათო. ერთს ადგილს უკითხავს მასწავლებლისთვის, ამ შაგირდებმა გაკვეთილი რად არ იციანო. მასწავლებელს უთქვამს, ზარმაცები არიან, არაფერს აკეთებენო. ეს მასწავლებელზედ არისო დამოკიდებული, შეუნიშნავს მზრუნველს“.

შეგირდების დაბალი სწავლების მიზეზად მზრუნველს მიუჩნევია: ,,მასწავლებელი მრთლად ერთიანად დატვირთულია გაკვეთილებით და ვერ ასწრებს გაკვეთილების რიგიანად მომზადებას. ხშირად თვით სასწავლებელის უფროსებიც დაიტვირთებიან ხოლმე გაკვეთილებით და დრო აღარა აქვსთ, ყური უგდონ თუ რას ასწავლიან და როგორ სწავლობენ მის გვერდით სხვა კლასებში.“

გაზეთი ,,შრომა“N5, 3 ფებერვალი, 1882

,,ქალის წერილი“

მწერლობაში ისე ხშირად და ამაოდ არცერთი სიტყვა არ იხმარება, როგორც სიტყვები: თავისუფლება და უფლება. გაზეთების ,,შრომისა“ და ,,დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილმა სტატიებმა ქალებზე ერთი და იგივე შენიშვნები გააჩინა. საერთოდ, ცხოვრებაში ყოველი მოვლენა ბუნების შეურყვნელ კანონებს ემორჩილება, რომლისგან გამომდინარე ყოველსავე ისტორიულ მოვლენასაც თავისი საფუძველი გააჩნია. თუ დღეს ქალები ცუდ მდგომარეობაშია, ცუდად იქცევა, მათზე მოწინავე კაცებისაგან მეტი ყურადღების მიქცევაა სავალდებულო, რამეთუ მამაკაცები ჩვენი საზოგადოების სენების მკურნალებად თვლიან თავს.

დაბადებიდან ,,ქალს და კაცს ერთნაირი უფლება უნდა ქონდესთ მინიჭებული. თავისუფლად განივითარონ თავისი ნიჭი, რომ გაურჩევლათ ორივეს შეეძლოს თანასწორად დაიკავოს ის ადგილი, რომლის მოხმარებაც შეუძლიანთ; რომ საჭიროა ქალსა და კაცს თანასწორი ზნეობითი და ფიზიკური აღზრდა მივსცეთ, მაშინ ქალებიც უთუოდ დაიმსახურებენ იმდენს, რომ მათზედ ლაპარაკი ღირდეს-მეთქი.“

დღეს, კაცს კანონით ქალზე მეტი უფლება აქვს, როგორც განათლების სფეროში, ასევე პოლიტიკურსა და სოციალურ მდგომარეობაში. ღონენაკლულ ქალების თუ ბრძოლაზე მიდგება საქმე მაშინ ბურთი კაცებს დარჩება. თუმცა თავდაპირველად კაცის ფიზიკური ძალის უპირატესობას ქალის დამონებასა და დამცირებაზე დიდი გავლენა ჰქონდა. გასაკვირია რა აქვთ ქალსა და კაცს ერთმანეთს შორის ისეთი წინააღმდეგობა, რომ იგი ძალას მოითხოვდეს?! ,,განა იგინი ორივე განუშორებელი ადამიანები არ არიან? განა მათი ინტერესები რამეში განიყოფება, მათ სოციალურ მდგომარეობაში? კაცს განა არ უნდა ესიამოვნებოდეს, რომ მისი ამხანაგი - ქალი გონება და ზნეობა გახსნილი იყოს, რომ მის ოჯახში მაღალ სასწავლებელში გაზრდილი ქალი უვლიდეს და სწრთვნიდეს მის შვილებს, რომ მისი ამხანაგი მკურნალობდეს, პროფესორობდეს, პედაგოგობდეს და სხვა.“

უფლება ყველასათვის ერთი უნდა იყოს და იგი არ უნდა იყოს სქესზე დამოკიდებული და მისით ყველამ ერთნაირად უნდა ისარგებლოს.

გაზეთი ,,შრომა“N10, 10 მარტი, 1882
ავტორი: დავით კეზელი(პეტერბურგი,21თებერვალს)

,,ქართველ ქალებს“

გაზეთებში აკაკის სიტყვამ ქალებზე დიდი სჯა-ბაასი და ყაყანი გამოიწვია. მეცნიერულ ბაასში ჩაება წერილის ავტორი, რომელმაც ქალებს სთხოვა, მისი ჩარევა პირად პოლემიკად არ მიეღოთ: ,,ქარაფშუტანი, წინდაუხედავნი, ხეპრენი, მეტიჩარანი, ოჯახის დამღუპველნი და ... მაგრამ სჯობია აქ შევსდგე, თორემ დაუკრეფავში შევტოპავ.“ უმსგავსმა მოვლენებმა მიიქცია ამ ბოლო დროს ლიტერატურის ყურადღება, რადგან ქართველი ქალების გადასაკრავათ დრო სუსხიან მათრახებს არ ზოგავს. აკაკის დაცინვაზე შემწყრალი ქალები ერთბაშად ალაპარაკდნენ კაცებისაგან მათ დამონებაზე, წართმეული უფლებების დაბრუნებასა და სხვადასხვა ამბებზე. ,,ერთის სიტყვით განიძრახეს ჩვენში გააჩაღონ ცრუ ლიბერალური ლათიაობა, ესრეთ წოდებულს ემანსიპაციაზედ, რომელიც განსვენებულის ბლაღოსვეტლოვის, ნეკრასოვის, კრაევსკის ჟურნალებში ფუთობით არის შენახული. ან კი რა დაუშლით, რა? თუ კი ფაცა-ფუცით გადმოიღებენ ხოლმე ახალ მოდებს: ხაბარდას, აფხუწულ კაბებს, ხუთ ადლიანს ქუჩის საგველს კაბების კუდებს, მერე ჩალეადრის ცხენივით კუდ-ასაკრავებს, რატომ ,,ემანსიპაციას“ კი არ შემოიღებენ? ესეც ხომ მოდა გახლავთ? ეს განათლების ნიშანი გახლავთ. ვაი ამისთანა განათლებას.“

სამწუხაროა, ის ფაქტი რომ ჩვენებური ქალები არც დიდი ჭკუის კოლოფები და არც ლოღიკის პატრონები ყოფილან. ისინი ათასჯერ ნაცვეთსა და ნაღეჭ მოდურ აზრებს იმეორებენ და ყველა მათგანი ცალ-ცალკე ამას ატანს: ,,ეს ჩემი აზრია“ ან ,,მე ამაზედ მტკიცეთა ვდგევარ“. დაუჯერებელია ასეთი მდაბიო აზრები ქონდეთ ,,ემანსიპაციაზე“ ქალებს და აქვე ჩნდება კითხვა დაწვრილებით წარმოვადგინო აზრები ამ გაზვიადებულ ქალების ახირებულ ემანსიპაციაზე. ევროპაში ქალებს ბევრი თანამდგომი მამაკაცები გამოუჩნდნენ, რომლებიც მათთან ერთად მოითხოვენ ქალების თანასწორობას კაცებთან სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებების მოპოვების საქმეში. იმის მაგივრათ, რომ ქალებს ებრძოლათ უსამართლო სოციალური წყობილების წინააღმდეგ მამაკაცებთან ერთად, მათ ძალა შუაზე გაყვეს რითაც ერთმანეთს ასუსტებენ. ქალთა ემანსიპაციის საკითხი მაშინ გადაწყდება, როცა სოციალური უსწორ-მასწორობა მოწესრიგდება. ჯერჯერობით ქალების უფლებებზე ბრძოლა ევროპაშიც უდროოდ არის მიჩნეული და მით უფრო საქართველოში, სადაც ქალს ჯეროვანი უფლებები ყოველთვის ქონდა და არავითარ უუფლებობაში ყოფილან. ,,ჩვენი ციხე, როგორც სხვა ყველა ხალხებისა, არის ოჯახი. თუ ოჯახი მკვიდრს საფუძველზედ არის დამყარებული, მაშინ ხალხს არც შინაური და არც გარეული მტრებისა არ უნდა ეშინოდეს. ოჯახის ბურჯი და დედა-ბოძი არის ქალი.“

ქართველი კაცი მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე ხმლით უმკლავდებოდა მომხდურ მტერს. მათ ამ საქმეში გვერდით ედგათ ღირსეული დედები. როდესაც მარაბდის ომში ცრა ძმა ხერხეულიძენი ერთი დროშის ქვეშ სათითაოდ დაიხოცნენ, დედამ აიღო ეს დროშა. ასე რომ, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ამაყობდა ღირსეული ქალებით. ქართველ ქალებს ევროპელი და ამერიკელი ქალების წაბაძვა არაფერში

გამოადგებათ. და არც ლერმონტოვის ლეჰილას მახინჯი აზრები: ,,ყველგან ჩვენი სამშობლოა, სადაც უყვართო... სამშობლოს, მშობლებს და თქვენს სამუსს ნუ სცვლით აფიცრის მუნდირზედ. თვალებში ნუ მოგიგროვებიათ ჭკუა და რაც ბრჭყვიალებს, ყველა ოქრო ნუ გონიათ. მერწმუნეთ, არც მუნდირი სჯობია ჩვენს ჩოხასა და კაბას... ერთი სიტყვით, თქვენში ჯერ ქართველი ქალი იცანით და მერე ქალი საზოგადოთ! დაფიქრდით და მიხვდით, რომ თქვენს სამშობლოს განსხვავეული ჭირი სჭირს და განსხვავებული ღვაწლი და მოქმედება მოეთხოვებათ, როგორც კაცებს, ისე ქალებს!“

გაზეთი ,,შრომა“N13, 7 აპრილი, 1882
ავტორი: დ. კეზელი (პეტერბურგი, 22 მარტს)

,,ბესტუჟევის საქალებო კურსები“

ოთხი წელიწადია, რაც პეტერბურგში დაარსდა საქალებო კურსები, რათა ქალებმა უმაღლესი განათლება მიიღოს. პირველ წელიწადიდანვე ბესტუჟევის კურსებზე უკვე 700 მსმენელი ქალი ირიცხება და მათ შორისაა ქართველი ქალები. ამ კურსების დაარსებაზე და სწავლების ხარისხზე ნაკლებად ლაპარაკობს რუსეთის ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენლები. ალბათ, იმიტომ რომ ამ კურსებზე ქალებისათვის არაფერი ცათამდის ასაყვანი არაა. ქალთა სიმრავლე კურსებზე მხოლოდ იმით აიხსნება, რომ აქ უმეტესი მსმენელი ნაკლებათ შეძლებული ოჯახის ქალები არიან, რომელთაც თავიანთი არსებობისათვის უნდა იზრუნონ კურსების დამთავრების შემდეგ. ამიტომ ამ კურსების მსმენელები უპირატესად ღარიბი ქალები არიან. მეორეც ისაა, რომ კურსებზე წასვლა ისე ადვილი არ არის: ,,ქალი კურსებზედ წასვლით თითქმის განუდგება და უარყოფს იმ საზოგადოებას და ოჯახს, რომელშიაც ის გაიზარდა და ტრიალებდა. ვინ არ იცის რა ზიზღის და მტრულის თვალით უყურებენ საზოგადოებაში კურსებიდგან დაბრუნებულს ქალს. მართლაც ეს ახალის ჯურის ქალები სასაცილონიც არიან და სატირალნიც. იმათ თითქოს აღარა ჰსურთ რითიმე გვანდნენ ქალებს“. კურსდამთავრებული ქალები ყველაფერში მამაკაცებს ბაძავენ, მაგრამ კაცები მაინც ვერ ხდებიან და რაღაც ქალა-ბიჭას მსგავს მახინჯსა და საზიზღარ მოვლენას წარმოადგენენ. მათი შემხედვარე ყველა ერთდაიგივეს გაიძახის ქალებს განათლება რყვნისო, რაც უსაფუძვლო აზრია. ქალებს განათლება კი არ ამახინჯებს, ამახინჯებს ის განსხვავებული პირობები, რომლებშიაც ისინი ვარდებიან.

საერთოდ, ბესტუჟევის კურსებზე მიღებული განათლება პრაქტიკულ ცხოვრებაში ნაკლებად გამოსაყენებელია. ისინი ცოდნით ვერ შეედრება რუსეთში არსებულ უნივერსიტეტებს. ამას გარდა ამ კურსებზე ქალები პირდაპირ საშუალო სასწავლებლებიდან შედიან, სადაც სათანადო განათლება არ აქვთ მიღებული. ამასთან კურსებზე უწესრიგობა და ურიგობა სუფევს და არა აქვთ სწავლების სისტემა ჩამოყალიბებული.

ბესტუჟევის კურსები ,,ძალიან სასარგებლო დროს გასატარებელი რამ არის; იმ ახალგაზრდა ქალებისთვის კი, რომელნიც არაფერს გაჭირებას არ დასდევენ, სწავლის მხურვალე სურვილით გატაცებულნი არიან და, ,,დროებისა“ არ იყოს, უნდათ ,,სერიოზულად“ მოემზადნენ ცხოვრებისთვის, ეს კურსები არაფერს სასარგებლოს არ წარმოადგენენ და ტყუილად ხარჯის და დროს დაკარგვაა მხოლოდ.“

გაზეთი ,,შრომა“ N26, 8 ივლისი, 1882

,,ადგილობრივი ამბები“

სენაკის მაზრიდან შემოვიდა ერთი ახირებული ამბავი: მარნის საზოგადოების მამასახლის ერთი გარდაცვლილი გლეხის ობლებისათვის გამოუცხადებია სასოფლო სამსაჯულო გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა სოფელ ილორში მცხოვრებ თავდახსნილ ყმა დაცარეიშვილის მემკვიდრეებს. გარდაცვლილ დაცარეიშვილს პირველი ცოლიდან დარჩენოდა ორი ქალი, რომელთაგან უფროსი 12 წლის გახლდათ. დაცარეიშვილს დაქვრივების შემდეგ მეორე ცოლთან საკუთარი შვილი არ გაჩენია. მეორე ცოლს ჰყავდა პირველი ქმრიდან ორი ვაჟი.

ამასთან დაკავშირებით სასოფლო სამსაჯულოს გადაწყვეტილებით ობლებისათვის განუცხადებიათ შემდეგი: ,,თქვენ ქალები ხართო, მამულის მემკვიდრეობა არ გეკუთვნისო, და დღეითგან მამული და ყოველივე დაცარეიშვილის ქონება ამ ვაჟებს მიესაჯაო და კიდევაც ჩააბარეთ მათ ყოველივე.

იმ დღიდგანვე დამოკიდებული საწყალი ქალები დადიან მეზობლებში და ყოველივე კაცს შესტირიან, რაღა ვქნათ, სად წავიდეთ და ანუ ვინ-ღა იქნება ჩვენი პატრონიო“.

გაზეთი ,,შრომა“ N29, 28 ივლისი, 1882

,,ადგილობრივი ამბავი“

გურიიდან გვატყობინებენ, რომ გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრე მძიმედ არის ავად, რადგან მასზე გურიის ჰაერმა ცუდად იმოქმედა. ,,ამ ყოვლად სამღვდელოს ბრძანებით შემოქმედის მონასტერში დედათ მონასტერი მოუსპიათ, რადგანაც იქ მამათ მონასტერი არსებობსო. მონაზვნები ერთობ გაფიცხებულან ამის გამო და ბერებს ყავარჯენები დასჭირებიათ იმათ მოსაგერებლად“.

გაზეთი ,,შრომა“ N35, 8 სეკტემბერი, 1882

,,წერილები“

სახალხო განათლების მინისტრს სამასწავლებლო მაზრების მზრუნველებისაგან მოუთხოვნია, რომ ,,წარუდგინონ მას თავიანთი მოსაზრება და დასკვნა ქალებისათვის საქალაქო შკოლების დაფუძნების შესახებ. ამ შკოლების კურსი იქნება საქალო გიმნაზიის და პროგიმნაზიის კურსზედ ნაკლები. ამას გარდა მზრუნველებმა უნდა წარუდგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად თანაუგრძნობენ სამოქალაქო და საერო დაწესებულებანი ამგვარს შკოლებს. ან რა შემწეობას აღმოუჩენენ სამინისტროს ფულით“. საქალაქო შკოლები იქნება ერთ -კლასიანი, ორ -კლასიანი, სამ - კლასიანი და ოთხ - კლასიანი, რომელთა შენახვა სხვადასხვა თანხებით განისაზღვრება.

გაზეთი ,,შრომა“ N40, 13 ოკტომბერი, 1882

,,ადგილობრივი ამბები“

სოფელ ხორგაში გლეხ ხვიჩიას თავისი გასათხოვარი დიშვილი დაუორსულებია. ამბობენ მას ამ ბინძურ საქმეში დაც ჩაურევია. როცა ქალს შვილი შეეძინა იგი ცოცხლად დაუმარხავთ. ეს ამბავი ადგილობრივი ექიმისა და გამომძიებელისათვის მაშინვე შეუტყობინებიათ: ,,ამათ ნამდვილად დაუმტკიცებიათ, რომ ბავში ცოცხლად დაუმარხავსთ ტყეში. ამაზედ მთელის სოფლის მცხოვრებლები შეძრწუნებულან ძლიერ და უთხოვიათ, რომ სამივე ამ საქმეში გარეული პირები დახვრიტეთო. ამ დროებით სამივე ე. ი ბიჭი, დის წული და ქალის დედა დატყვევებულნი არიანო“.

გაზეთი ,,შრომა“ N49, 15 დეკემბერი, 1882

,,ადგილობრივი ამბები“

ქუთაისის საქალებო გიმნაზიისათვის მომავალი სასწავლო წლისათვის მთავრობას შემწეობა მოუსპია: ,,ამისგამო ამ გიმნაშიაში ერთი უმაღლესი კლასი უნდა დაიხუროსო, ზოგი იმასაც ამბობს, რომ გიმნაზიის მთავრობას განზრახვა აქვს დახუროსო ყველა უმაღლესი კლასები.“ მთავრობის ეს გადაწყვეტილება გაუგებარია რა ეკონომიას გასწევს მთელი კავკასიის წლიურ შემოსავალ-გასავალში, მაშინ, როცა კავკასიის მთავარმართებელმა აქაური სასწავლებლების გამრავლებისათვის უმაღლესი მთავრობისაგან ახალი ხარჯი გამოითხოვა.

საერთოდ ,,ჩვენში საქალებო სასწავლებლები ერთობ ნაკლებია, მაშინ სრულიად გაუგებელი იქნება ჩვენთვის ახალის სასწავლებლების დაარსება და ძველების დახურვა, მეტადრე საქალებო სასწავლებლის“.

გაზეთი ,,შრომა“ N49, 15 დეკემბერი, 1882

,,ადგილობრივი ამბები“

,,ექვსს დეკემბერს მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ალექსანდრეს გაუხსნია თავის ხარჯით ოზურგეთში ორ კლასიანი საქალებო შკოლა. ეს მეორე მაგალითია ჩვენს მხარეში, რომ სასულიერო პირი თავის ხარჯით შკოლასა ხსნის და მეტადრე იმისათვის არის ეს სამადლობელი.“

სამადლობელია იმიტომ, რომ ეპისკოპოსი ალექსანდრე ამ ქვეყანასთან არც დაბადებით და არც აღზრდით დაკავშირებული არ ყოფილა.

გაზეთი ,,შრომა“ N49, 15 დეკემბერი, 1882

,,ადგილობრივი ამბები“

მთავრობას სავაჟო გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად ერთი ქალი დაუყენებია, რომელიც საქალებო გიმნაზიაშიც მასწავლებლობდა. მთავრობის ეს ქმედება კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან ჩვენს სასწავლებლებში: ,,უცხო ენების და დედა ენის სწავლება ერთობ კოჭლობდა და ეხლაც ვგონებთ ამ მდგომარეობაში არის და ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ მასწავლებლად აყენებდნენ ხშირად სხვა და სხვა წრის ინვალიდებს და ან იმისთანებს, რომლითაც პურების გამოცხობისა, ტანისამოსის და წაღების კერვის მეტი არაფერი სცოდნიათ, მაგრამ აძლევდნენ ამ თანამდებობას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფრანცუზიაო, ან ქართველი, რადგანაც პირველი ფრანცუზია ჩვენებურს ნასწავლს ემჯობინებაო, კარგი ფრანცუზული გამოთქმა ექნებაო და მეორე ქართველია და იქნება ღმერთმა იპრიანოს და ვერაფერი ასწავლოსო.“

ამგვარი მასწავლებლები მოსწავლეებს აგდებული ჰყავდათ და აქედან გამომდინარე იყო, რომ ფრანგულისა და ქართულის სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებდა გიმნაზიებში.

გაზეთი ,,შრომა“ N49, 15 დეკემბერი, 1882

,,ადგილობრივი ამბები“

გაზეთ ,,დროების“ რედაქციის სახელზე ხელის მომწერლები ითხოვდნენ პასუხს შემდეგ განცხადებაზე: ,,რაუყო, ან მიიღო, თუ არა, ეკატერინა ალექსანდრე შარვაშიძის ასულმა კნეინა წულუკიძისაგან ბროსეს პრემიისთვის შეკრებილი ფული, რომელსაც ორს წელიწადზედ მეტია ამ მიზნისათვის სამას მანეთზედ მეტი შეუკრებია და ,,დროების“ რედაქციისათვის უნდა გარდაეცა?“გაზეთის ხელის მომწერნი ვარაუდობდნენ, რომ რედაქცია ამ კითხვაზე მათ სამართლებრივ პასუხს გასცემდა.

გაზეთი ,,შრომა“N49, 15 დეკემბერი, 1882
ავტორი: თავისუფალი სვანი (11 დეკემბერი, 1882 წელს)

,,ქალების მოტაცება სვანეთში“

სვანეთში გავრცელებული იყო ქალის მოტაცების ტრადიცია, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა. თითქმის ყველა სვანს მოტაცებული ქალი ჰყავდათ. რა იყო ამის მიზეზი? მიზეზი არის: ,,1. დედათა სქესის ნაკლებობა, მამრობითზედ და 2. ის, რომ სვანის უცოლოდ მოსახლობა შეუძლებელია. კიდევ არის სხვა მიზეზები“.

პირველი მიზეზი, მდედრობითი სქესის ნაკლებობა გამოწვეული იყო იმით, რომ უწინდელ დროში დედები ახლად დაბადებულ ქალიშვილებს ხოცავდნენ. აქედან გამომდინარე ცოლის მოტაცება დამკვიდრდა. ე.ი სვანს უხდებოდა სხვისი ცოლის მოტაცება. მეორე მიზეზი რომ სვანი უცოლოდ ვერ დაესახლებოდა, იყო ის რომ ქალი ოჯახის ბურჯი და დედაბოძი იყო. არც ერთი სამუშაო არაა სვანეთში,სადაც ცოლი

ქმართან ერთად უღელში არაა შებმული. იქნება ეს თივის მოთიბვა, შეშის მოჭრა, ძნის შეკვრა და სხვა. გაჭირვების დროს ცოლი ქმართან ერთად იარაღს ისხამს და ქმრის გვერდით იბრძვის. განსხვავებული სამუშაო ქალის არის ქსოვა ტანსაცმლისა და ქუდის. ფეხსაცმლის კეთებაც ქალის საქმე გახლდათ. ამასთან ერთად ,,ცოლი უვლის ოჯახსს, ფქვავს წისქვილში, მიაქვს სახლში, აცხობს პურს, წველის ძროხებს, საქონელს რეკს სამწყესურში და მოყავს საღამოს სახლში და სხვა."

ამის გამო ხდებოდა, რომ სვანს უცოლოდ დასახლება არ შეეძლო. აქედან გამომდინარე, ცოლის წართმევას სვანეთში დიდი უბედურება მოსდევდა. თუ სვანს ცოლს ვინმე წაართმევდა, სვანი მაშინვე ჯავრის ამოსაყრელად თოფს და ხანჯალს წაავლებდა ხელს. ,,მართალია, კანონი სჯის მას დანაშაულობისთვის, მაგრამ ყოველ გვარ დასჯას ის გულ-გრილად იღებს, რადგანაც ცოლის წართმევაზედ მეტი დასჯა მისთვის არაფერია".

დრომ თავისი მოიტანა და სვანებიც გაიგებენ, რომ ,,ქალს სრული უფლება აქვს, რომ ვისაც უნდა იმას გაჰყვეს, თუ ჯვარ დაუწერელია და ან რომელიმე მანქანებით დედათა სქესი გაუსწორდება მამათა სქესსა და მაშინ ყველას შეხვდება საცოლე; მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ სანამ მოზარდი შთამომავლობა არ დაიჭერს ცხოვრების ასპარეზს მანემდის არც ქალების მოტაცების მოსპობა მჯერა, და არც მისი მავნებელი შედეგები შესწყდება".

გაზეთი ,,შრომა"N1, 5 იანვარი, 1883
ავტორი: გრ. უმწიფარიძე

,,ქალების საექიმო კურსების ბედი"

რუსეთის ცხოვრებაში ახალმა დრომ ბევრი პროგრესული წამოწყება დანერგა. ახალმა დრომ ქალიც მოიწვია საასპარეზოდ და ქალების დაწინაურებულმა ნაწილმაც აღარ იკმარა ის ვიწრო ასპარეზი, რომელსაც მოძველებული წეს-წყობილება უსაზღვრავდა.

პროგრესულად მოაზროვნე ქალებმა უკვე ითაკილა ის განცხრომა-ფუფუნება, კოპწიაობა და კეკლუცობა, კაცების ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტობა, მათი ლაქუცი და არშიყობა, მათ ხელი მოჰკიდეს შრომას, სწავლას, გვერდში ამოუდგნენ თავის ძმებს და საქვეყნო საქმეებში მთელი ენერგიით გადაეშვნენ. რუსეთში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქალები ღიად გამოვიდნენ საასპარეზოდ. ,,გაკეთდა ქალების უწინდელი სასწავლებელი, დაარსდა ახალი უფრო ვრცელის პროგრამით. ქალის სწავლა ახალი შეხედულების შესაფერად მიუახლოვდა რამდენადმე ვაჟებისას, მაგრამ ქალი, კაცის არ იყოს, მაინც ვერ ჰპოებდა თავის სამშობლოში სრულს კმაყოფილებას და უცხოეთში ეძებდა მას, რასაც ვერ აძლევდა სამშობლო - მამული." რუსეთის ნორჩი ქალობა ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად ადგილზე რომ გაეჩერებიათ, ამიტომ 1872 წელს დაარსდა ქალების საექიმო კურსები.

კურსებზე შესასვლელად ტარდებოდა მისაღები ეგზამენები. თანდათან ძნელდებოდა კურსებზე მიღება და დიდდებოდა სწავლების ქირაც. მიუხედავად ამისა ათი წლის განმავლობაში ქალების საექიმო კურსებზე 959 მსმენელი ჩაირიცხა. როცა ექიმ ქალებმა საპრაქტიკო უფლებები მოითხოვეს მთავრობამ გადაწყვიტა კურსების გაუქმება. ოფიციალურად გამოცხადდა: ,,რომ სამხედრო უწყება, რომლის გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა ზემოხსენებული სასწავლებელი, ამიერიდგან აღარ კისრულობსო ამ სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯს. ყველა მიხვდა, რომ ქალების საექიმო კურსები დაიხურება, თუ მათ თავის-თავად ვერ მოიძებნეს რაიმე საცხოვრებელი წყარო." ამ ამბავმა რუსეთის საზოგადოებაში დიდი ხმაური გამოიწვია და პეტერბურგის

უნივერსიტეტმა ითავა, რომ ქალთა საექიმო სასწავლებელი თავის მზრუნველობის ქვეშ მიეღო. მათი დაფინანსება რუსეთის საზოგადოების დიდმა ნაწილმა იკისრა და მათ დიდი გულუხვობა გამოიჩინეს, რათა მკვიდრ საფუძველზე დაეყენებიათ ქალების საექიმო კურსები.

გაზეთი ,,შრომა“ N6, 9 ფებერვალი, 1883

,,ქუთაისის, 9 ფებერვალს“

ბევრმა წარჩინებულმა მწერალმა მოინდომა აეხსნა ქალების ემანსიპაციის არსი, მაგრამ ამ საქმეს სათანადო ახსნა-განმარტება ჯერაც არ მოჰყოლია. ,,ვინ იცის როდის მოვესწრებით იმ ბედნიერ დროს, როდესაც ქალი გამოვა საზოგადო ასპარეზზედ და საკმაო სწავლითა და განათლებით აღჭურვილი შეებრძვის იმ უმეცრებას, რომელიც არის ჩვენის ნორმალურის პოლიტიკურის პროგრესის შემფერხებელი და ყოველსავე საქმეში ჩვენი დამბრკოლებელი.“

ამ ბედნიერი დღის მოახლოებისათვის უპირველესად საჭიროა, რომ საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე ქალმა შეიძინოს სათანადო ცოდნა. ცოდნის უპირველესი წყაროა საქალებო გიმნაზიებში სწავლა, სადაც უნდა გამოიზარდოს დროის შესაფე–რისი დედები. დღეს საქართველოს ყველაზე უფრო ესაჭიროება განათლებული და განვითარებული ქალები. ყოველივე ამისათვის აუცილებელია ქალთა სასწავლებლებში მდგომარეობის გაუმჯობესება.

საჭიროა ვიცოდეთ დღევანდელი მდგომარეობა, სადაც მომავალი დედები იზრდებიან. ,,საუბედუროდ, დღემდის არც საზოგადოება და არც ისინი, ვინაც მისის ინტერესების დამცველებად ითვლებიან ხმას არ იღებენ და საქალებო გიმნაზიებს, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს საუკეთესო ჩვენი იმედი, სთვლიან იმგვარ დაწესებულებად, რომელსაც თითქო არავითარი მნიშვნელობა არ ააქვს ჩვენი ცხოვრებისათვის.

მმართველობამ როდესაც ჩვენი ვაჟების გიმნაზია დახურა ჩვენმა საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა ამ გიმნაზიის ხელმეორედ გახსნისათვის. ანალოგიური პროცესი, რომ საქალებო გიმნაზიაში მოხდეს, ბევრი სიხარულით შეეგებება ამ ამბავს. ეს იმის გამო წარმოიქმნება, რაც საქალებო გიმნაზია დაარსდა ჩვენში მისი ნაყოფი დღემდე არავის უნახავს. მაშინ, როცა ვაჟების გიმნაზიის სარგებელი ყველასათვის თვალსაჩინოა.“ ამის დასტურია ის ფაქტიც, როდესაც სააზნაურო ბანკს საქალებო გიმნაზიის მერვე კლასის გახსნა თხოვეს, ზოგმა იმისთანამ თქვა უარი, რომელიც საზოგადოებაში გამორჩეულ პიროვნებებად ითვლებოდნენ.

ამის მიზეზი ცუდად გავრცელებული ხმა იყო, რომ ,,იქ გამოზრდილი ქალი ჩვენს ოჯახებში შემოსაშვები არაო, რადგან იქ გაზრდილმა ქალებმა პრანჭიაობასა და კუდაბზიკობის გარდა არაფერი არ იციანო.“

ჩვენი მიზანია ამისთანა ცუდი ხმის გავრცელების აღმოფხვრა და ამიტომაცაა აუცილებელი შემოწმდეს გიმნაზიაში არსებული მდგომარეობა, რადგან უსაფუძვლო ჭორები შემდეგში არ გამართლდეს. ქალთა გიმნაზიაში მდგომარეობის გამოსასწორებლად უპირველესად საჭიროა რიგიანი მასწავლებლის ყოლება, რომელიც გამორჩეული იქნება ცოდნითა და ზნეობით. თავიდანვე, როცა ქუთაისში ეს სასწავლებელი დაარსდა, იქიდან მოყოლებული არ ყოლია რიგიანად საქმის გამძღოლი. თუმცა მზრუნველები და თავმჯდომარეები ბევრი ჰყავდა.

სასწავლებლის ხელმძღვანელისათვის მთავარია მოსწავლეების გულში სწავლა-

განათლებისადმი სიყვარულის დანერგვა. საქალებო გიმნაზიაში დღეს იმისთანა სიღარიბეა, გატალახიანებული ოთახები, საწოლები, მოუწესრიგებელია ისე არცერთ სასწავლებელში ასეთი ურიგო მდგომარეობა არ არის: ,,თუ უყურადღებობით ცუდი რამე დაინერგება ჩვენი შვილების და დების ნორჩ გულში, სულ მათი ბრალი იქმნება, ვისთვისაც საზოგადოებას მიუნდვია მათზედ მზრუნველობა. კმარა, ჩვენის აზრით, ამდენი წაყრუება, დროა, გამოვიღვიძოთ და მოვკიდოთ ხელი ამ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს“.

გაზეთი ,,შრომა“ N9, 2 მარტი, 1883
ავტორი: ნარი

,,წერილები”
ს.კუხი, (ქუთაისის მაზრა), 19 ფებერვალს

კუხის სასოფლო სასწავლებელი 8 თებერვალს გაიხსნა, მაგრამ დღემდე არ დაწყნარებულა ამ სასწავლებელში აყალ-მაყალი: ,,საზოგადოებას ჰგონებია, როცა სასწავლებლისთვის ხარჯი გამოუღია, რომ ვისაც კი ეყოლებოდა ქალი ან ვაჟი, ყველას ამთავითვე ერგებოდა ადგილი სასწავლებელში“. სასწავლებელში ლატარიის წესით წარიმართა მოსწავლეთა მიღება. დილის რვა საათიდან ხუთ საათამდე ძლივს მოესწრო 60 ყმაწვილის მიღება. ეს პროცესი სამხიარულო სანახავი იყო, როცა მამა, ან თითონ სწავლის მსურველი ამოიღებდა ლატარიის ქაღალდს, რომელზეც ეწერა ან ერგოს, ან ქაღალდი იყო ცარიელი.

ყმაწვილების მიღებისა და სასწავლებლის კურთხევის შემდეგ ,,ინსპექტორმა მოკლედ აუხსნა ხალხს სახალხო სასწავლებლის მნიშვნელობა, მისი მიზანი და პროგრამა, მერმე მღვ. ცაგარეიშვილმა, სასწავლებლის მზრუნველმა, ჯერ საზოგადოებისა და თავის მხრით მადლობა მოახსენა ბატ. ინსპექტორს და ბ. დირეკტორს ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებისას იმ შემწეობისათვის, რომელიც მათ კუხის სასწავლებელს აღმოუჩინეს.“

გაზეთი ,,შრომა“N10, 9 მარტი, 1883

,,ქუთაისი, 9 მარტს“

საზოგადოებაში, როცა აღზრდასა და სწავლაზე ჩამოვარდება საუბარი, მაშინვე მხოლოდ ვაჟების სწავლას გულისხმობენ და მათ განათლებას მიიჩნევენ საჭიროთ. ხოლო ქალების განათლებაზე ნაკლებად ფიქრობენ და ზრუნავენ. ,,უდავოთა ვსთვლით იმ აზრს, რომ მშობლები ისე უნდა ზრუნავდენ თავიანთის ქალების განათლებისათვის, როგორიც ვაჟებისათვის. როდესაც ამისთანა საზოგადო საქმეზედ ვლაპარაკობთ, როგორიც არის ახალთაობის აღზრდა, მარტო იმისაც კი არა ვიგულისხმებთ, რაც ამჟამად თავლწინა გვაქვს; მარტო ჩვენის დროის ახალ თაობის აღზრდაზედ კი არ ვფიქრობთ; ეს იქნებოდა ძლიერ ვიწრო შეხედულობა. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე მომავლისათვისაც, და როდესაც ამხრით შევხედავთ საქმეს, მაშინ უეჭველია ქალების როლი, დედების მნიშვნელობა ჩვენი ერის საზრუნველო საგნებს შორის ერთ უპირველესს ადგილთაგანს დაიჭერს“.

ქალების განათლება ყველაზე აუცილებელია, ვინაიდან ყოველი დედა ვალდებულია სკოლის კარამდე მიიყვანოს შვილები, რომლებმაც სახლში უნდა მისცეს სათანადო განათლება, აღზრდა, ჩამოუყალიბოს ზნეობა და დაიცვას შვილი გონებითი სიმახინჯისგან. იმ დროსაც, როდესაც ყმაწვილი სკოლაში სწავლობს, მასწავლებელს ხელს უნდა უწყობდეს მშობელი, რათა სკოლაში ნასწავლს ისე უფრთხილდებოდეს, როგორც თვალის გუგას. ,,ყოველივე შინაგანი და გარეგანი ცუდი გავლენა ააშოროს. რომელი ოჯახი შეჰძლებს ამას, თუ არა ის, რომლის დედა-ბოძად უნდა იყოს განათლებული და ნასწავლი ქალი? ვის უნდა მიჰბაძონ ამ საქმეში ბევრმა იმისთანა დედებმა, რომელთაც არაფერი უსწავლიათ, მაგრამ დედობა კი მაინც არ ასცილდებათ. ვის უნდა მიჰბაძონ ამათ, თუ არ განათლებულსა და ნასწავლს“.

საერთოდ, კარგი შვილი, ნასწავლი, მცოდნე, ვაჟი იქნება ეს თუ ქალი ნუგეშია მშობლისთვის. ისმის კითხვა რატომ აქამდე არ მივიღეთ სათანადო ღონისძიება ქალების განათლებისათვის. სამწუხაროთ მთელს ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ერთად ერთი საქალებო გიმნაზიის მეტი არაფერი მოიძებნება და იმის დახურვაზეც საფრთხეა. საზოგადოებას ამ სასწავლებლის დაფუძნებაში არაფერი მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ ამ ბოლო დროს ბანკის დამფუძნებლებმა აღმოუჩინეს შემწეობა საქალებო გიმნაზიას. შარშან გიმნაზიის მერვე კლასიც გახსნეს, სადაც ქალები პედაგოგობისათვის ემზადებიან.

ქუთაისში არსებობს მხოლოდ ერთი უფასო საქალებო შკოლა ღარიბებისათვის, მაგ–რამ ესეც სხვისი დაფუძნებულია და არა საზოგადოების დახმარების საფუძველზე. დღეს ქუთაისში სომხებს აქვს საკუთარი შკოლა ქალებისათვის. კათოლიკე ქართველებსაც აქვთ საკუთარი საქალებო სასწავლებელი და მართმადიდებელ ქართველობას ამაზე ყურიც არ გაუბარტყუნებია.

ქუთაისის თავადაზნაურობამ გახსნა გიმნაზია, რომელშიც მხოლოდ ვაჟები სწავლობენ ,,თავად-აზნაურობამვე უნდა იზრუნოს თავის ქალიშვილების სწავლისა და განათლებისთვის და რამდენადაც მატერიალური საშუალება ნებას მისცემს, აღმოუჩინოს ამ საქმეს შემწეობა საქალებო გიმნაზიის ყურისგდებით და განსაკუთრებით საქალებო მოსამზადებელის შკოლის დაფუძნებით იმ საზოგადოების შემწეობით, რომელიც ახლა სდგება ქუთაისში და რომლის წესდებაც უკვე წარდგენილია მთავრობასთან დასამტკიცებლად.“ სავალდებულოა თავად-აზნაურთა გიმნაზია არსებობდეს ვაჟებისა და ქალების სწავლა აღზრდისათვის.

გაზეთი ,,შრომა“ N17, 4 მაისი, 1883
ავტორი: გადაღმელი ანთიმოზი

,,მასწავლებელთ კრება“

მოახლოვდება თუ არა კანიკულები შაგირდებს მაშინვე გაუშვებენ და ყველა სასწავლებელში სწავლა შეწყდება. მასწავლებლებიც სურვილის მიხედვით გაიფანტებიან, ვინ სად და ვინ სად. სოფლის მასწავლებლები ქალაქებისაკენ გასწევენ,,ამოდნის ხნის უნახავის ცხოვრების სანახავად“; ქალაქელი მასწავლებლები კი ქალაქის მღელვარე ცხოვრებას მოშორების მიზნით სოფლებს მიაშურებენ ,,თავისუფლად სულის მოსაბრუნებლად და განსასვენებლად.“

ამგვარი წაღმა უკუღმა ბრუნვა პედაგოგებისა იმისათვის ხდება, რომ სოფლის მასწავლებლები ერთმანეთთან დაშორებული არიან და ერთად შეკრებასა და სწავლების გაუმჯობესებაზე არ ფიქრობენ. ,,საზოგადოთ პედაგოგია ათასნაირს სხვა-და-სხვა

კითხვებს სძვრენ ხოლმე, რომელთ პასუხის მიცემა დიდს მოფიქრებას და მოსაზრებას თხოულობს. ხან-და-ხან ისეთი კითხვა კი აღიძრვის ხოლმე სწავლების დროს, რომ რაც უნდ თავი იტეხო, მაინც მარტო სხვის დაუკითხავად ვერ გაიგებ; ამისათვისაც მიუცილებლად საჭიროა მასწავლებელთა კრება."

აქვე მოყვანილია კრებისათვის წარსადგენი თეზისები, რომელიც შეეხება შკოლასა და მასწავლებელსაც.

თეზისებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი პუნქტები: ,,რომელი სქესის ყმაწვილები უფრო ბლომათ სწავლობენ და რათა; რაჭაში და ზემო იმერეთში კანიკულების ზამთრობით დაარსება რიგიანია, თუ არა. რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ წერა-კითხვა გაავრცელოთ ხალხში ადვილად. რომელი სქესის მასწავლებლები ბლომად არიან შკოლაში და რათა? და სხვა".

„მწყემსი“. 1883-1910. (სასულიერო ორკვირეული ჟურნალი) ყვირილა. რედ.-გამ. დეკანოზი დ. ღამბაშიძე. (სწრაფმბეჭდავი სტამბა ზედგენიძისა და ფერაძისა ქუთაისში; 1887 წლიდან სტამბა ღამბაშიძისა და ხელაძისა; 1902 წლიდან ,,მწყემსი“-ს სტამბა ყვირილაში).
ყოველ თვეში ,,მწყემსი“-ს 24 ან 26 ნომერი გამოდიოდა, რომლის თითო ნომერი 12 ან 16 გვერდს წარმოადგენდა.
სასულიერო ორკვირეული ჟურნალი ,,მწყემსი“ აშუქებდა სასულიერო, ქართული სკოლისა და საქართველოს ისტორიის საკითხებს. 1903 წლამდე დავით ღამბაშიძე სცემდა აგრეთვე ,,მწყემსის“ რუსულ გამოცემას სახელწოდებით ,,пастырь”.

გაზეთი ,,მწყემსი“ N2, 2 ნოემბერი, 1883

,,ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების საქმე“

ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმე დიდი ხნის წინათ დაიწყო. ამ საქმისათვის იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ზრუნავდა. მათ მიერ იქნა შედგენილი ახალი სასწავლებლის წესდება, რომელიც გრაფ ტოლსტოის მიერ შედგენილი წესდების ანალოგი გახდათ. ამის საფუძველზე იმერეთის სამღვდელოება იძულებული შეიქმნა ყოველ წლობით 12 ათასი მანეთი შემოეტანათ ერთი სასწავლებლის შესანახავად. 1872 წლიდან მოყოლებული სასულიერო სასწავლებლის დაარსების მოთხოვნა 1881 წელს ქუთაისში სემინარიის დაარსებით დამთავრდა. თუმცა ქუთაისელ მღვდელ ეპისკოპოსებს ახალი ექსარხოსის პავლეს მოსვლით ეგონათ ეს დიდი წამოწყება ჩაიშლებოდა, მაგრამ მან ყველა ღონე იხმარა სემინარიის დაარსებისათვის. თან სემინარიის დაარსებაზე ქუთაისში მათ გვერდში ამოუდგათ სამეგრელოს სასულიერნო პირნი. ,,ამდენმა სამღვდელოების თხოვნამ და მიწერ-მოწერამ მადლობა ღმერთსა, მიაწია უმაღლეს მართებლობამდის და დაანახვა მას ქუთაისში სემინარიის დაარსების საჭიროება.“ქუთაისში სასულიერო სემინარია ვაგზლის სიახლოვეს, მშვენიერ მოწყობილ ადგილზე დაარსდა. ამ ადგილს ქონდა წყალი და ყველა გზები. ,,სემინარიის დაარსებას ქუთაისში მოუთმენლად მოელის არამარტო სასულიერო წოდება არამედ ყველა საზოგადოება, რომელიც მოწადინე და მოსურნე არის ნასწავლი მღვდლებისა და მათი ქადაგების მოსმენისა.“

გაზეთი ,,მწყემსი“ N3, 14 დეკემბერი, 1883

,,რა ზომა უნდა იხმაროს სამღვდელოებამ სასულიერო სასწავლებლებში კეთილად ეკონომიური გამგეობის წამყვანისთვის“

სასულიერო სასწავლებლის წესდების გამოცემისას ყველანი დარწმუნებით ამბობდნენ: ,,ამიერითგან სასწავლებლებში ბოროტად ფულის დახარჯვის მოხდენა აღარავის შეუძლიაო. ადრე ერთი კაცის მაგიერ სასწავლებელში გამგებლად ხუთი კაცი ინიშნებოდა, რომელიც ფულის უყაირათო ხარჯვას იწვევდა.“ სახაზინო და

საზოგადოების ფულების ცუდად ხარჯვას ვერაფერმა ვერ უშველა. ,,ვერც მშვენიერად დაწერილმა წესდებამ, ვერც წევრების, გამგებელთა რიცხვის სიმრავლემ და ვერც ადგილობითი მღვდელ-მთავრების გამჭრიახე და ფიცხელმა ყურადღებამ“.

ბოლოს უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ დაინახა საჭიროდ, რომ თვითონ სამღვდელოებამ აირჩიოს მათ შორის საიმედო სამღვდელო პირი, სარევიზიო კომიტეტის შემადგენლობაში. იმედია, ამ მხრივ შემცირდება ფულის უწესრიგო ხარჯვა სასწავლებელში.

გაზეთი ,,მწყემსი“ N3, 14 დეკემბერი, 1883

,,ორიოდე სიტყვა ჩვენი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის შესახებ“

ბოლო დროს ბევრი იწერებოდა სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებზე, რომლებიც შაგირდებს უბრალო საქმისათვის სასწავლებლიდან ითხოვდნენ.თუმცა სასულიერო წესდების მიხედვით პედაგოგიურ კრებას ამის უფლება არ ქონდა მინიჭებული. წესდების მიხედვით ,,მასწავლებლებს რამე მსჯელობა იქონიონ შაგირდების მიღებაზე და ან სასწავლებლიდამ მათ გამორიცხვაზე, მასწავლებლებს ამისთაობაზე არაფერს ჰკითხავენ ზოგიერთთა სასწავლებლის უფროსები – ზედამხედველები“.

საერთოდ, ზოგიერთი ზედამხედველი პედაგოგიურ კრებას მხოლოდ მაშინ ეკითხება, როცა რომელიმე შაგირდის გამოგდება სურს.

გაზეთი ,,მწყემსი“ N3, 3 ფებერვალი, 1884

,,სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე“ მოკლე მოძღვრება

ეს მოძღვრება თქმული გახლდათ 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ყოვ–ლად უსამღვდელოესის გაბრიელისაგან, რომელმაც წმინდა ნინოს დღეს მოსახსე–ნებლად მიმართა წმინდა ნინას სახელობის საქალებო სასწავლებლის მოსწავლეებს: ,,თავის მოძღვრებაში მისმა უსამღვდელოესობამ მიმოიხილა ნინოს ცხოვრება და აღნიშნა: პატარაობიდანვე მის გულში დაიბადა რაღაც საიდუმლო მისწრაფება, სურვილი, რომ მოსულიყო საქართველოში და ექადაგნა აქ ქრისტეს სარწმუნოება, ის დარწმუნებული იყო, რომ ეს სურვილი იყო გაღვიძებული მასში ღვთისგან და ამიტომ ყოველივე დაბრკოლება მხნეთ დასძლია მან და იხმარა ყოველივე ღონე, რომ მოსულიყო ივერიაში და ქრისტეს სარწმუნოებით გაენათლებია ივერიელნი. აი ცხოველი მაგალითი, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა ქალმა, თუ უნდა, რომ ნამდვილი ქრისტიანი იყოს“. ქადაგებაში ყურადღება გამახვილებული იყო ნინოს საქმიანობაზე, მის ღვაწლზე, რომ ქუთაისის წმინდა ნინას სასწავლებელი ღირსეულად ატარებდა მის სახელს. ქადაგებაში აღნიშნული იყო: ,,წმინდა ნინას უყვარდა უბრალო და მშვიდი ცხოვრება, არაფერში არ უყვარდა გადაჭარბება, კმაყოფილდებოდა უბრალო საჭმელით და უბრალო ტანისამოსით. აი დიდი და მისაბაძი მაგალითი ყოველთა

ქალთა, განსაკუთრებით ჩვენი ახალის დროის ქალთა! როცა თქვენ ამ სასწავლებელში სწავლას შეასრულებთ და შემდეგ შეუდგებით თავისუფალ ცხოვრებას, ერიდეთ ძვირფას მორთულობას, ნუ გაერთობით უბრალო ქვეყნიერს სიამოვნებასა და გაფანტულს ცხოვრებაზე, რადგან ამისთანა ცხოვრება მავნებელი იქნება თქვენთვის, საუბედუროდ და მრავალთა სამწუხაროდ, შენიშნულია, რომ განათლებული ქალები უფრო ეტრფიან ამისთანა ცხოვრებას. ამიტომ თქვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გქონდესთ წმიდა ნინა, იმასაც შეეძლო მდიდრულათ ჩაცმა და ცხოვრება, რადგან მასაც ჰქონდა შეძლება.“

მამა გაბრიელი მოსწავლეებს მოუთხრობდა წმიდა ნინოს ცხოვრებისეულ მაგალითებზე და მოუწოდებდა:,,თქვენ უნდა ჩაინერგოთ თქვენს სულში მტკიცე გრძნობანი და უნდა განამტკიცოთ თქვენი ნება, რომ შემდეგში ყოველივე მწუხარებას დახვდეთ მხნეთ. შთაინერგეთ თქვენს სულში წმიდა ნინას მაგალითი და დარწმუნდით, რომ ზომიერს, ფხიზელს და შრომის მოყვარულ ცხოვრებას შეუძლია ბედნიერება მიანიჭოს კაცს, ხოლო მოუფიქრებელი, წინ-დაუხედველი და არა ზომიერი ცხოვრება ღუპავს ყოველ კაცსა.“

გაზეთი ,,მწყემსი“ N12, 15 ივნისი, 1885

,,მართლმადიდებელი სასულიერო სწავლების წესდება“

წესის შესახებ ქალების მიღებისა თბილისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში მისი მაღალ ყოველ უსამღვდელოებისთანავეს, მოსკოვის მიტროპოლიტისაგან კურსების სტიპენდიებზე.

მოსკოვის მიტროპოლიტის დაარსებული სტიპენდიები მიეცემოდა მხოლოდ თითოეული ეპარქიიდან ოთხ-ოთხ ქალს. ,,იმერეთის ეპარქიიდგან ოთხი, სამეგრელოსაგან ოთხი, გურიისაგან ოთხი და ქართლის ეპარქიის თითოეული სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოებისაგან - თბილისის, გორის და თელავისაგან ოთხ-ოთხი იმ პირობით, რომ სამის სტიპენდია უსათუოდ უნდა ეძლეოდეს ხოლმე მღვდლის შვილებს და ერთი ეკლესიის მოსამსახურეთ შვილებს.“

სტიპენდიის დანიშვნის დროს ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო: ,,უკიდურესი სიღარიბე მოსწავლე ქალთა და მათი სიობლე“.

ამავე დროს სტიპენდიის დანიშვნის დროს უპირატესობა ეძლეოდა იმ ქალებს, რომლებმაც ,,იქ მყოფობის დროს გამოიჩინა კაი მეცადინეობა და ყოფაქცევა.“

გაზეთი ,,მწყემსი“ N18, 15 სეკტემბერს, 1885

,,თბილისის ეპარქიული ექვს-კლასიანი საქალო სასწავლებელი“

,,წარსული აგვისტოს ოცდა რვა რიცხვსა ჩვენ ვიყავით თბილისის ეპარქიალურ ექვს - კლასიან საქალო სასწავლებელში, რომლის დახედვამ და დათვალიერებამ მეტის-მეტად სასიამოვნოო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ვისწრაფით ეს შთაბეჭდილება განუზიაროთ ჩვენ სამღვდელოებას და ყველა იმათ, რომელთაც გული შესტკივათ ჩვენი მოზარდი ქალების აღზრდისათვის“.

საქართველოში ექსარხოსად ყოფნის დროს მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ დიდი საქმე გააკეთა. ეს გახლდათ მის მიერ საქალო სასწავლებლის დაარსება მისი ხარჯით. დღეს 40-მდე ქართველი მოზარდი ქალი ირიცხება სასწავლებელში. ასევე დიდი ზრუნვა გამოიჩინა ჩვენი სასულიერო წოდების ქალების აღზრდის საქმეში მისმა ღირსეულმა მოადგილემ საქართველოს ექსარხოსმა არქიეპისკოპოზმა პავლემ. მან ყურადღება მიაქცია ამ სასწავლებლის საკუთარი ბინის უქონლობის პრობლემას და ამისათვის მოიძია ბინა და იყიდა სახლი კუკიაზე ბ. ზეტცერისაგან ორმოც ათას მანეთად. ,,სახლი არის სამ სართულიანი, აუარებელი მაღალ კედლებიან და ვრცელი ოთახებით, სავსე სინათლით და მშვენიერი მთელი სახლის გამწობი ბალკონებით ყოველ სართულზე. მშვენიერედ მოწყობილი სამზარეულო, სარეცხი და სასადილო ოთახები.“

1883 წელსშივე პავლემ ბლაღოჩინების შეკრებაზე დააყენა საკითხი ამ სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთებაზე. სამღვდელოებამ აღტაცებით მიიღო ეს აზრი.

სწორედ ექვს კლასიანი სასწავლებელს ათვალიერებდა პავლე და კმაყოფილი დარჩა: ,,სასწავლებლის უფროსს ქალბატონს ნ. ტროფიმოვისას დიდი დედობრივი სიყვარული და შეთვისება მოუპოვებია მოწაფეებისგან. ჩვენ თვითონ ვიყავით მოწამე ესრეთი დედა-შვილური ქცევისა ამ უფროსისა და მის მოწაფეთა შორის.“

გაზეთი ,,მწყემსი“ N18, 15 სეკტემბერს, 1885

,,უ. გუბერნატორის სვანეთში მობრძანებისა გამო“

ვინ არ იცის, რომ ზემო სვანეთისთანა მიუვალი და მიგდებული ადგილი მთელს სვანეთში არ მოიპოვება. ამის გამო 15 წელი გავიდა, რაც გუბერნატორები სვანეთში არ მოსულან. მარიამობის თვეში, როგორც იქნა სვანეთში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სმეკალოვი ამობრძანდა. მთელი ხალხი გუბერნატორის შესახვედრად გამოვიდა. უჟგულში შეკრებილებს გუბერნატორმა საკუთარი ჯიბიდან 400 მანეთი აჩუქა. ორი დღის შემდეგ გუბერნატორი სოფელ მესტიაში მობრძანდა: ,,ამ სოფელში სკოლა აქვს გამართული ადგილობითი მღვდელს მ. ა.ქურციკიძეს. სკოლაში სწავლობენ 25 ყმაწვილამდე ორსავე სქესისა. უ. გუბერნატორმა გაიგო თუ არა, რომ ამ სოფელში სკოლა არისო, მაშინვე სკოლისკენ გასწია. სკოლაში დახვდა მას ყმაწვილები, რომელნიც თვითონ გამოცადა და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ორ მოწაფეს: ერთ აზნაურთაგანს და ერთ გლეხისას აღუთქვა, რომ მათ სახელმწოფო ხარჯზე მიაღებიებს მთავრობას.“ საღამოს გუბერნატორი ჩაბრძანდა ბეჩოში, სადაც შეხვედრილმა მოსახლეობამ შეს-ჩივლეს მას არსებულ უსამართლოებაზე. გუბერნატორი მათ ყველაფრის გამოსწორებას დაპირდა.

,,სხვა და სხვა ამაოდ მორწმუნოებანი და თქმულებანი“

რედაქცია აშუქებს ერთი გორელი ქალისაგან შეკრებილ თქმულებებს, რომელიც ჩვენს ხალხში ძველი დროიდან არის შემორჩენილი. ამასთან ავტორი ქალი მოითხოვს ამ ცრუ თქმულებებს ყურადღება მიაქციონ მღვდლებმა, რათა შეძლებისდაგვარად აუხსნან სამწყსოთ ამისთანა წრმენების უსაფუძვლობა. ,,სანამ მელოგინე ქალი ლოგინზე წევს, რასაც კი შეიტანენ სახლში, ბავშს ზედ დააყენებენ და სამჯერ ეტყვიან: ,,ამან დაგლახოს!“ ბავშვი აღარ დაილახებაო. კვირა ძალზე ტახტი არ უნდა გადმოდგათ, არ ვარგაო; სადაც სახლში მელოგინე უწევთ, კარებს უკან რკინეული უნდა ეგდოს, როდესაც დაღამდება და შინ შემოდის ვინმე, ზედ უნდა გადაალაჯოს ავი ფუზია არ შემოჰყვებაო; ღამე სუფრას არ გაბერტყამენ, სამშობლო გაგვიღარიბდებაო; სუფრას ხახვის ნაფცქვენი არ უნდა ააყოლოთ, ოჯახში სიმწარე არ გამოილევაო; ქალმა თავის თმა არ უნდა დასწვას, თორემ დედას თვალი დააკლდებაო; ბავშის ტანისსამოს ღამე კარში არ დასტოვებენ, ბავშს ძილი არ მოუვაო“.

„ქართული ბიბლიოთეკა“. 1883. (ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი).
ქუთაისი. რედ.-გამ. ეკატერინე ლორთქიფანიძისა.
(პ.გ. წულუკიძის სტამბა).
სულ გამოვიდა:
1883 წ. NN I, II, III, IV, V, VI, VII-VIII, IX-X, XI; თით. 100-130 გვ.8*
პერიოდული კრებული უცხოენებიდან ნათარგმნი ბელეტრის–ტიკული ნაწარმოებებისა, რომელშიც იბეჭდებოდა ჰ. სენკევიჩის, პირსის, მოლიერის, ბერნარდის, მურეის, ევგ. ტურისა და სხვათა წიგნები. ჟურნალის თანამშრომელ-მთარგმნელები გახლდნენ: ელენე ლორთქიფანიძისა, ანასტ. თუმანიშვილისა, ანნა მესხი, ანასტ. ბაქრაძისა და სხვა.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N1, იანვარი, 1883
ნათარგმნი: ელენე ლორთქიფანიძისა

,,მამულის სამაგალითო შვილი“ (ფრანციზული მოთხრობა ქალბ. განიორისა.)

ფრანსუაზ გერჰარდის სახელი ღირსია, რომ ელზასის მატიანეში ჩაიწეროს საუკუნო სახსენებლად.,,ელზასური ბრტყელი პირის სახე. ქერა თმა, ჰქონდა. მოთეთრო და დაფიქრებული, მშვიდობიანობის, სიკეთის, სიმამაცის და სიმტკიცის გამომეტყველი ლურჯი თვალების პატრონი იყო. რა საქმესაც დაადგებოდა, მკვიდრათაც შეასრულებდა; ისეთი კეთილშობილება ეტყობოდა, რომ შემხედავს გაუკვირდებოდა, ტყე-ველში გაზრდილი ქალი, ამისთანა პატიოსანი როგორ გამოვიდაო.

როცა იმისს ცხოვრებას შეიტყობთ, აღარც იმისი საქციელი გაგიკვირდებათ.“

იგი 30 წლის წინად დაქვრივდა და დარჩა 4 შვილი: სამი ვაჟი და ერთი ქალი. შვილებთან ერთად ერთ ფერმაში ცხოვრობდა, სადაც ჰქონდა პატარა მამული. იგი მიწას თვითონ ამუშავებდა. ჯერ უდაბური ტყე გაჰკაფა, სადაც სვია დათესა. ხოლო იქ სადაც უნაყოფო ჩირგვები იყო თამბაქო და სელი მოიყვანა. იქვე გააშენა ვენახიც. ასე რომ გერჰარდის ქვრივმაც ,,იმდენი იმეცადინა და იმდენი ღვაწლი დასდვა, რომ უნაყოფო ადგილი კარგად გააპოხიერა და კიდეც დაჯილდოვდა; ასე რომ ამ დაუღალავმა და მეცადინე დედაკაცმა თავისი გულისწადილი შეისრულა: თავისი სამი ვაჟიშვილი კარგად გამოზარდა; განათლებული ყმაწვილები გამოვიდნენ და თავისი სამშობლო ქვეყნისათვის თავგანწირულები. ორი უფროსი ვაჟი სენსირის სასწავლებელში გამოზრდილები სამხედრო სამსახურში შევიდნენ. სტეფანემ დრაგუნის კაპიტნობა მიიღო, კლოდმა სპაჰის ლეიტენატობა. ყველაზედ უმცროსი ფრანცი ერთს სამეურნეო სასწავლებელში იზრდებოდა. მეურნეობა უნდა ესწავლა, რომ მერე დედასთან ერთად ემუშავნა. პატარა ქალი - კი, ლამაზი ქრისტინა სულ დედასთან იყო და ოჯახის მართვას შველოდა“. ქვრივმა ქალმა ლამაზი ბაღნარიც გააშენა. ფერმაში მიმსვლელ-მომსვლელს ეს ყვავილნარი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. შვილებს დედა ძალიან უყვარდათ და

პატივსაც სცემდნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო ძველებური ელზასური, პატიოსნებით სავსე ოჯახი. თვითონ ქვრივს მთელი არსებით უყვარდა სამშობლო და თავისი ქვეყნის უსაზღვრო პატრიოტი იყო.

ქრისტინა წამოიზარდა თუ არა ერთი გირტემბერველი ყმაწვილი შეიყვარა, რომელიც მაღაზიაში იყო მოჯამაგირედ. ყოველ კვირა დღეს ყმაწვილი მათთან მიდიოდა და ქრისტინასთან ერთად მუსიკას უსმენდნენ. დედა მათი სიყვარულის წინააღმდეგი არ იყო. ის იყო დაინიშნენ კიდეც, რომ პრუსიასა და საფრანგეთს შორის დიდი ომი გამოცხადდა. ქრისტინა იძულებული შეიქმნა საქმროს დაშორებოდა, რადგან კარლ ფორლი ომში გაიწვიეს.

ომმა ქვრივი ძალიან ააფორიაქა, რადგან მისი ორი ვაჟი ჯარში იყვნენ. მარიამობისთვის დილიდანვე მოისმოდა ზარბაზნების გრვინვა ,,ადრე დილიდგან მოკიდებული გერჰარდის ქვრივი და ქრისტინა განცვიფრებით, გულის ცახცახით ყურს უგდებდნენ ზარბაზნების საშინელს გრგვინვას; მწუხარენი აქეთ იქით იყურებოდნენ, თითქო თვითანაც მებრძოლნი ყოფილიყვნენ. დედას თავისი ვაჟი-შვილების ჯავრი აძრწოლებდა და ყმაწვილ ქალს კი ძმების ჯავრთან საქმროს ჯავრიც უწუხებდა სულსა.“

დედა-შვილი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ. ხან სახლში შევიდოდნენ და ხან შეწუხებულები გარეთ გამოდიოდნენ, რომ რაიმე ამბავი გაეგოთ.

საღამოს ცხრა საათზე, როცა ზარბაზნების ხმა შეწყდა დამარცხებული ჯარისკაცების ნაკადით აივსო გზა. გამოქცეული მეომრები თავჩაღუნულები მორბოდენ. ურმებით დაჭრილები მოჰყავდათ. გერჰარდის ქვრივმა მთელი ღამე შვილების მოლოდინში თეთრად გაათენა, მაგრამ შვილების ამბავი ვერაფრით გაიგო.

უმცროს ვაჟიშვილს ფრანც დედის მწუხარება ადარდებდა. იცოდა იგი საფრანგეთის დამარცხებასა და ელზასის დაპყრობას ვეღარ აიტანდა.

ბიჭს გადაწყვეტილი ჰქონდა მტერს შებმოდა და დედას სთხოვდა საბრძოლველად გაეშვა. ,,გაჩუმდი, შვილო, უპასუხა შეძრწუნებულმა დედამ, გაჩუმდი, რას ამბობ, ჩვენ ვიღა გვიპატრონებს შენ რომ წახვიდე?“ განთიადისას მათთან დაჭრილი ჯარისკაცი მივიდა და იატაკზე დაეცა. ქვრივი მივარდა და შეჰკივლა: ჩემი შვილი სად არის? მისულმა მიუგო, რომ ჩემ თვალწინ დაეცა და მთხოვა მისი სიკვდილის ამბავი თქვენთვის გადმომეცაო.

,,უბედური დედა წამოდგა ფეხზედ, წელში გაიმართა თითქოს საომრად მოემზადაო, მარდათ და მედიდურად მიუბრუნდა თავის უმცროს ვაჟსა და გარკვევით უთხრა: ,,ფრანც! ახლა კი შენც უნდა წახვიდე! ხვალ დილაზედ წადი!“

გაუბედურებული დედამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ,,როდესაც ელზასი დაუბრუნდება საფრანგეთს და პრუსიის ქვეშევრდომი აღარ იქნება, მაშინ და მხოლოდ მაშინ შევიძლებ თქვენის ხელის ჩამორთმევას. მარტო იმ დღეს შეიძლებს საფრანგეთის ხალხი ნემეცებს შეურიგდეს.“

,,ქართული ბიბლიოთეკა“N1, იანვარი, 1883
ნათარგმნი: ეკატერინე ლორთქიფანიძე

,,ხუთი წელი ისპანიის მონასტერში“ გრენვილ მურრეის ნაამბობი სიკვდილის წინათ

გენრი ავენენტი მოვიდა მამაჩემთან და დედინაცვალთან ჩვენი ქორწინების თაობაზე. დარწმუნებული ვიყავი ჩვენები არ დათანხმდებოდნენ და უარს ეტყოდნენ მას, მაგრამ მაინც ბედნიერი ღიმილით მივაცილე მამის კაბინეტამდე. ,,სრულიადაც ვერ წარმოვიდგენდი, თუ მე საბრალოს ამდენი მწუხარება გადამწყდებოდა. სასიხარულო ლოდინით გავატარე ნახევარი საათი ფანჯარასთან, სადაც ვიდექი და მხიარულად ვიმღეროდი.

ბოლოს გენრი, მამიჩემის თანხლებით, გამოვიდა კაბინეტიდგან, მიაშურა დერეფანს, ისე რომ სასტუმრო ოთახისკენ ერთიც არ მოუხედნია“.

გავიდა ჩვენი სახლიდან და უკანაც აღარ მოიხედა. ამას ჩემს თვალს არ ვუჯერებდი. მიკვირდა რატომ ერთხელაც არ შემომხედა და არც არაფერზე მიმანიშნა. მერე გავიგე რა ამბავი უნდა მომხდარიყო. ყველა იგრძნობს თუ რანაირი სასოწარკვეთილი და მწუხარებით მივადევნე მას საბოლოოდ თვალი...

ბოლოს და ბოლოს ქალის სილამაზემ და დარბაისლობამ ერთი 45 წლის მდიდარი ვაჭრის ყურადღება მიიქცია. მიტტისაც მოეწონა და მალე ქორწილიც გადაიხადეს.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N1, იანვარი, 1883
ნათარგმნი: ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალებისაგან

,,აკალდამები“
მოთხრობა პირველ საუკუნეთა ქრისტიანების ცხოვრებითგან

,,ჩვენ გთხოვთ, მკითხველები, გამოგვყვეთ რომის ქალაქის ქუჩებში. ჩვენ გვსურს მოგითხროთ ამბავი, რომელიც მოხდა ქრისტეს აქეთ 302 წლის სეკტემბრის თვეში. მზე ჩასვლას ეპირებოდა, ცა მოწმენდილი იყო, გრილი ნიავი ჰქროდა და ხალხი საღამოს სეირნობით შესაქცევად და ქალაქის ყოველგვარ- ახალ ამბების შესატყობლად კეისრისა და სალლიუსტიის ბაღებში მიდიოდა. იმ უბანს, საითკენაც ჩვენის მკითხველების წაყვანა გვინდა, მარსის მინდვრის უბანი ჰქვია და მდებარეობს ტიბრისა და ძველის რომის შვიდს გორაკს შუა“.

რესპუბლიკის უკანასკნელ დღეებში მარსის ამ მინდორზე მხედრებს ავარჯიშებდნენ და ერთმანეთს გლადიატორებს აბრძოლებდნენ.

იმ დროს ეს ადგილი შენობებით იყო გავსებული. პომპეიმ აქ თეატრი ააშენა, ხოლო აგრიპპამ - ,,პანტეონი“. მის გვერდით გაკეთდა ასევე აბანოები. თანდათანობით ამ ადგილზე კერძო სახლებიც აშენდა. აქვე იდგა ერთი სახლი, რომლის გარეგნობა მეტად მძიმე გახდათ. სახლი შეწუხებულად და დაღრეჯილად გამოიყურებოდა. მის უბრალო დაბალ კედლებს პატარ-პატარა ფანჯრები ჰქონდა ამოჭრილი. ,,ამ მომცრო ოთხ-კუთხიანს სახლს ერთის მხრით აქვს კარი, რომელთანაც ორი სვეტი სდგას. მარმარილოს იატაკზედ, ზედ კარის შესავალთან დაწერილია საღვთო სიტყვა: salve (გიხაროდენ).

კარებში, რომ ფეხს შესდგამთ, სვეტებიანის დერეფნით გარშემოვლებულს ეზოში შეხვალთ.“

ამ მარმარილოს ქვით დაგებულ პატარა ეზოში შუა ადგილზე მოჩქრიალობს ტუსკულუმის მთიდან პლავდიოსის წყლის არხით გამოყვანილი წყარო. ბროლივით ანკარა წყალი, რომელიც ზევიდან მორბის წითელ მარმარილოს აუზში ჩადის. იქიდან კი მეორე განიერ აუზში ჩადის. წყლის შხეფები მის გარშემო მდიდრულ ქილებში დარგულ მცენარეებს ნამავენ. სვეტებიან დერეფანში ძვირფასი მებელი დგას, რომელიც სპილოს ძვლისა და ვერცხლითაცაა შემკული. ეს ძვირფასი სკამები ბრონზისა და ოქროს კანდელები, ვაზები უმაღლესი ხელოვნებითაა გაკეთებული. მთელი კედლები ნახატებითაა დამშვენებული.

კამარებით შემკულ სახლის თავანზე დატანებულია დიდი მრგვალი სანათური, რომელსაც ,,IMPLUVIUM”ჰქვია.

მას მზისა და წვიმისაგან დასაცავად სქელი ტილო აქვს გადაფარებული. ,,ეს რაღაც ფანჯარის მსგავსი სანათური ძლიერ ცოტა სინათლეს უშვებს ძირს, ამისგამო შიგნით ეზოში საკმაოდ ბნელა, თითქოს მუდამ ბინდი იყოსო.

ამ ეზოს კარების პირდაპირ, თავებს იქით, კაცს შეუძლია გაარჩიოს მეორე, ამაზე უფრო მდიდრულად მორთული ეზოს შესასვლელი კარი. ეს ეზო სულ მარმარილოს ქვით არის მოგებული და ზედახილები მოვარაყებული აქვს. მარმარილოს სვეტებზედ შეკრულია შიგნითა დერეფნის თაღები, რომელიც მთელს ამ პატარა ეზოს აქვს გარშემოვლებული. ამ დერეფანში ზის ხნიერი ქალი; პირისახე დამშვიდებული და ჩაფიქრებული აქვს.“

,,ქართული ბიბლიოთეკა“N2, ფებერვალი, 1883
ნათარგმნი: ანასტ. თ-სა

,,აბა თქვენ ყოფილიყავით იმის ალაგას!“
ბერნარდის მოთხრობა

მზის ბოლო კაშკაშს ძლივს ეშველა. უკვე ხუთი საათი იყო. რკინისგზის სტანციაზე არა თუ საათებს, ყოველ წამსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. წამდაუწუმ მოისმოდა სტვენა და ზარის წკარუნი. მატარებლები ხან აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ და ხან დასავლეთისკენ. ,,ახალგაზრდა ქალი, ლიდა მოუთმენელად სთვლიდა საათებს. ეს იყო ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ქალთაგანი: მშვიდი, წყნარი, ამასთანავე გამჭრიახი, მხნე და გამბედავი, როდესაც საჭიროება მოითხოვდა და სიყვარული წაუჩურჩულებდა. ახლა კი სწორედ დრო იყო, ბარგით და საქონლით ვაგონები უნდა მოსულიყვნენ და ქალი ნახავდა იმას, ვის ნახვასაც მოუთმენელად ნატრობდა. სწრაფლად გადასდო საკერავი, თავზედ ნაქსოვი თავმოსახვევი წამოიხურა და რკინის გზისკენ გასწია. შორიდგანვე დაინახა თავისი ძმა, სტანციის უფროსი, რომელსაც რელსების მეორე მხარეს გაეღო ბარგის შესანახავი სარაია. ეს იმას ნიშნავდა, რომ აქ შეაჩერებენ ბარგის ვაგონებს. ქალს გულმა დაუწყო ფანცქალი და ფეხი აუჩქარა.“

ლიდა მივიდა თუ არა სტანციაზე მან მიიხედ-მოიხედა და როცა ნახა არავითარი დაბრკოლება არ ელოდა წინ, მაშინვე გადავიდა რელსებზე და იმ სარაიისკენ გასწია.

შემდეგი ამბის გასაგებად, თუ რა გადახდა ამ ახალგაზრდა ქალს, საჭიროა უფრო დაწვრილებით აღვწეროთ ის ადგილი, სადაც ლიდა გმირულად მოიქცა.

სტანციიდან დასავლეთისკენ რელსების ორი მოკლე შტო მიდიოდა. ერთი პირდაპირ სარაიამდის, სადაც ბარგს ინახავდნენ და მეორე შტო სტანციას მოუვლიდა და შეუერთლებოდა დიდ სწორ გზას. სადაც ეს შტოები იწყებოდა ყველგან ისრები იდგნენ. ლიდამ გაუარა ბარგის სარაიას და გასცილდა გზის შტოს და იქვე გზასთან ვაშლის ხის ქვეშ ქვაზე ჩამოჯდა.მალე მისი სატრფოც გამოჩნდა. ქალმა გაიგო როგორ, სამჯერ დაუშტვინეს და ლოყები ალისფრად აენთო. მატარებელი უნდა შეჩერდეს და სტანციის უფროს მისი მოახლოება აცნობეს. ამ დროს ლიდას ძმაც გამოვიდა ბარგის სარაიიდან, ორიოდე სიტყვა უთხრა დას და იმ ისრისაკენ გასწია, საიდანაც სარაიისკენ მიმავალ რკინისგზის შტო იწყებოდა.

ამ დროს მატარებლის ორთქლის ქშუილი გაისმა. მალე ,,გუგუნით და გრიალით გაიარა დიდმა მაშინამ, თითქმის მიწაც კი ინძრეოდა იმის სიმძიმით, ფანჯრიდგან მაშინისტმა გამოიხედა და ლიდამაც თავი დაუქნია; ვაგონები თითო-თითო ნელ-ნელა მიგორავდნენ. ოთხი მუშა რკინის კავით ამაგრებდნენ ვაგონებს. ვისაც ლიდა ეძებდა, ჯერ არსად იყო. ბოლოს გამოჩნდა უკანასკნელი ვაგონი. ამ ვაგონის ბანიდგან ჩამოირბინა რკინის კიბეებზედ ახალგაზრდა კაცმა ლურჯი პერანგით, გამტვერიანებულმა, ერთობ ჭუჭყიანმა და მჭვარტლისაგან გაშავებულმა.“

ახალგაზრდა კაცი უბრალო მუშა იყო. იგი წელიწადი იქნება, რაც ამ რკინისგზაზე მუშად დაინიშნა. ახლა კი კონდუქტორად მუშაობდა საბარგო მატარებელზე. იგი მაშინ უსაქმოდ დაეხეტებოდა, როცა პირველად შეხვდა ლიდას და შეიყვარა. ქალმა თხოვა თუ მისი სიყვარული ჰქონდა მუშაობა უნდა დაეწყო. მალე იგი კონდუქტორად დანიშნეს. ქალი დარწმუნებული იყო, რომ გამტვერიანებული და შემურული კაცი უფრო მაღალი ადგილის ღირსი იყო, რადგან ვაჟის დანახვა ამ იმედს უსახავდა გულში...

,,ქართული ბიბლიოთეკა“N3, 1883
ნათარგმნი: ელენე ლორთქიფანიძის

,,პრანჭია ქალები“
მოლიერის კომედია ერთ მოქმედებად

დიუ კრუაზი ეკითხება ლანგრანჟს თუ რა შთაბეჭდილება დარჩა და კმაყოფილი იყო თუ არა იმ ქალებთან სტუმრობით?

- როგორც თქვენ ხართ ისე მე ვარ კმაყოფილი და ნასიამოვნები, თუმცა ბევრი არაფერი იყო. ლარგრეჟი პასუხათ მიუგებს: ,,კარგათ დარცხვენილები კი გამოგვიშვეს იმ სოფლელმა გომბიო ქალებმა. ვერა ნახეთ, რანაირად მიგვიღეს, სულ არაფრად ჩაგვაგდეს! სკამები მაინც ეთავაზებინათ! ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს იმისთანა სულელი ქალები. ერთმანერთს ყურში ეჩურჩულებოდნენ რაღაც-რაღაცეებს.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N3, 1883
ნათარგმნი: ანნა მესხისა

,,არა, არ არის დანაშაული - რომანი ეტტი პირსისა“

ივნისის ერთ მოღრუბლულ დღეს აღმოსავლეთის ქარი ქროდა მოსაჩუზეტის ზღვის ნაპირას, რომელიც ყოველთვის ინგლისიდან ახლად ჩამოსულებით სავსე იყო.

აღელვებული ზღვიდან გადმოგდებული ხეების ნამტვრევები ამტკიცებდნენ, რომ ღამით ბუნებასთან საშინელი ბრძოლა ყოფილა.

დილითაც ზღვის ტალღები ნაპირს ხმაურით ასკდებოდა. ეს პატარ-პატარა შხეფები ასველებდნენ სანაპიროზე მოსეირნე წყვილს, რომელიც აღელვებულ ზღვას ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

ერთი მოსეირნეთაგანი გახლდათ ახალგაზრდა კაცი, შავგვრემანი სახითა და შავი ლამაზი გამომეტყველებიანი თვალებიანი. მისი გაცვეთილი ტანსაცმელი იმას ამტკიცებდა, რომ იგი იმ წრეს ეკუთვნოდა, რომლისათვისაც ძნელია საზრდოს მოპოვება.

,,მისი თანა მოგზაური ქალი მშვენიერი რამ იყო. ეს იყო მაღალი ტანის, კოპწია ქალიშვილი. ჰქონდა მშვენიერი სწორი სახე, შემკული მშვენიერი შავი დიდრონი ნაწნავებით თავი ყოველთვის ამაყად ეჭირა. თვალის მიმტაცი ფერი ფუნჩულა ტუჩებისა და ქორფა ლოყები კიდევ უფრო ამშვენებდა მისს მარმარილოს სითეთრის მსგავსს სახეს, რომელიც შემკული ჰქონდა აქეთ-იქეთ ფოსოებით. თუმცა მშვენიერის ცხვირის და გრძელის, ხშირის წამწამებით შემოზღუდული ჭრელი თვალების პატრონი იყო, მაგრამ იმისი სახე მაინც რამდენიმედ ეშმაკობას გამოხატავდა. იშვიათად შეხვდებოდა ადამიანი ამგვარ მიმზიდველს არსებას.

- მეგი, უთხრა ნაღვლიანის ხმით ყმაწვილმა კაცმა: ნუ თუ არ შეგიძლიათ ცოტათი მაინც შემიყვაროთ? მე თქვენ მიყვარხართ...“

ვაჟს ვერ წარმოედგინა იმისთანა არსება, რომელიც მეგის გულით და სულით არ შეიყვარებდა.

ყმაწვილი იმედოვნებდა, როცა იურიდიულ ფაკულტეტს დაამთავრებდა, მაშინ მისულიყო მეგის პოლკოვნიკ ბიძასთან და ეთხოვა ძმისწულის ხელი. როცა მან მეგის თავისი სურვილი გააცნო რობინ ლეიტს ქალმა გადაჭრით უთხრა: ,,თქვენ ძალიან კარგად იცით, მე თუ გავთხოვდები, რაც ასე მალე არ იქმნება, მაშინ ამოვირჩევ იმისთანას ქმრად, რომელიც ემსგავსება კოსტანციას საქმროს, მიუგო მეგიმ. ის გასაშტერებელი რამ არის, რობინ! ლურჯი თვალები, ოქროსფერი ხუჭუჭა თმა.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N4, აპრილი, 1883
ნათარგმნი: ანნა მესხისა

,,არა, არ არის დანაშაული - რომანი ეტტი პირსისა“
(გაგრძელება)

ყველაზე წინ მეგი წავიდა ზღვის ნაპირას თავისი საყვარელი ნავსადგურის გამოსათხოვებლად. მან გაუარა იმ მეთევზის ქოხს, სადაც რობინმა წყლიდან ამოყვანის შემდეგ მიიყვანა. შემდეგ იმ ადგილსაც ჩაუარა, სადაც დანტონმა სიყვარული გამოუცხადა. ქალმა არ იცოდა საით მიდიოდა, რადგან თავში ათასნაირი ფაქტი უტრიალებდა და თავის თავსაც ელაპარაკებოდა: ,, - აღარა ვარ მეგი დაიზარტი, აღარა ვარ ის ბედნიერი და უდარდელი, აღარა ვარ მემკვიდრე კეთილშობილის, კეთილის გულისა და მდიდარის კაცისა. მე ვარ განდევნილი, ღირსება წართმეული და ვიღაც უკეთური კაცის შვილი. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ასეა.“

ვისთვის უნდა მიემართა ამ საშინელს მდგომარეობაში მყოფს მან აღარ იცოდა.

მას ყველა ნაცნობი მხოლოდ პოლკოვნიკ დაიზარტის ძმისწულობით სცემდა პატივს და აფუფუნებდა. მზე უკვე ჩადიოდა, როცა მეგიმ ქალაქის კოშკი დაინახა და მოეჩვენა თითქოს ვიღაც ხელს უპოტინებდა და შეშინებული იძახდა: ვერა! ვერა!...

რვა საათი იყო უკვე შესრულებული, როცა ქალაქში შევიდა და არ იცოდა ღამე სად გაეთია. ან საზრდო როგორ მოეპოვებია. სულით ისე იყო დაცემული, რომ გამოსავალს ვერ პოულობდა, მაგრამ საშინელი მოჩვენებები არ შორდებოდა და ეჩურჩულებოდნენ:,,- არა, არა არაფრის გაგონება არ მინდა, - განწირულებით წამოიძახებდა ხოლმე მეგი, მაგრამ ყურადღებით ისმენდა კი.

ბლეკ გავენი ყოველთვის მიყრუებული დაბა იყო და ამ დროს მაინც, თითქოს ყველა მცხოვრებლები გაწყვეტილანო: ქუჩაზედ ადამიანი არ ჭაჭანებდა და თუ ვინმე შეხვდებოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა მეგის. საცოდავი ისე რიგად დაიღალა, რომ სიარული ვეღარ შეიძლო და შეჩერდა ერთი სახლის წინ. სწორედ, ამ დროს მეგის დაეჯახა ვიღაცა. ყმაწვლი ძლიერ შესწუხდა უნებური შემთხვევით და ბოდიში მოითხოვა.“

მეგიმ კარგად იცნო მისი ხმა და ამიტომ საჩქაროდ პირი მოარიდა. როგორც ქარისაგან გატაცებული ფურცელი ისე მიფრინავდა მეგი და თან მისდევდა საშინელი მოჩვენება. ამ სირბილში კინაღამ თხრილში გადავარდა, მაგრამ გზა ისევ მალე მონახა. უკვე 10 საათი იყო და ყველა დუქნები დაეკეტათ, მხოლოდ აფთიაქის ფანჯარაში მოჩანდა სინათლე. მეგის აზრმა გაუელვა: როდესაც ადამიანის სიცოცხლე მოკლებულია ყოველგვარ სიამოვნებას და მას ბედნიერების მოსაპოვებლად არაფერი დარჩენია, რაღა საჭიროა ასეთი სიცოცხლე. მას სიკვდილი სჯობდა.

,,ტერეზას დღიური“

ყველაფერი გათავდა მაშინ, როცა მამამისის ანდერძი გახსნეს და ანგარიშიც გაწმინდეს. ვექილზეც ხელი მოაწერინეს, რათა გაეყიდათ ძველი სახლი, რომელიც მის მემკვიდრეობას წარმოადგენდა. იძულებული გახდა ბიძაშვილისათვის შეეტყობინებია, რომ მასთან ჩასვლას და ცხოვრებას აპირებდა, რადგან სახლი პირადი თანხმობის ნიშნად გაუყიდეს ქალბატონ დე-ფავერჟის რჩევითა და ნოტარიუსის შეგონებით.

,,მართლაც, ცხოვრების საშუალებაც აღარაფერი მაქვს. მთელი თავის საცხოვრებელი მამა-ჩემმა გადაალია სამეცნიერო მოგზაურობას და ძვირფასი წიგნების შეძენას; ამასთანავე ვერც იყო კარგი მეოჯახე, მაგრამ ჩემთვის მაინც ბევრად უმჯობესი იქმნებოდა აქ დავრჩენილიყავ და გაჯახირებულად გამეტარებინა რამდენიმე ხანი, სანამ არ მოვიქარვებდი ამ უეცარ შემაძრწუნებელს უბედურებას და არ შევიძლებდი დამშვიდებით მოფიქრებას,თუ როგორ მეშრომა მომავალში.“

გადაწყვიტა, რომ ხვალვე წასულიყო ნათესავთან და უკან აღარ მობრუნებულიყო. მართალია, მას სახლში არც თუ სასიამოვნო ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მაინც ენანებოდა იქაურობის დატოვება. ალბად, მართალი ნათქვამი იყო: ,,სადაც ბევრს წვალობ, ის ადგილი უფრო შეგიყვარდებაო“. ამ სახლში პირველად ნათლიის სიკვდილის შემდეგ ჩამოვიდა. ეს ის დრო იყო, როცა დედამისი მოულოდნელად სახლიდგან გადიკარგა და იგი როგორც მოძულებული ბავშვი ნათლიამ თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად. იქიდან მოყოლებული მამას აღარ უნახავს. ნათლიის გარდაცვალების შემდეგ ბინაც დაკარგა.

,,მაშინ მამამ მომწერა, რომ მასთან გადავსულყავი ავ კ-ში. მამა-ჩემმა, შეყრის დროს ერთი ალერსიანი სიტყვაც არ მაღირსა. ვცხოვრობდი მასთან, მაგრამ ჩვენი ცხოვრება შემდეგშიაც ასე გულ-გრილი და უფერული იყო მის სიკვდილამდე.“

გოგონა ცდილობდა მამასთან დაახლოებას. თხოვდა მიეცა მისი წიგნები საკითხავად და თან შესანიშნავ ადგილების ამოწერას დაპირდა. მამა არ თანხმდებოდა და არც ტერეზა ეშვებოდა, მაგრამ ერთ დღეს ისე მკაცრად მოექცა, რომ იძულებული გახდა თავი დაენებებია.

,,ტერეზა! მითხრა მან, შენი დაჟინება მხოლოდ მაჯავრებს, შენ ვერაფერში ვერ დამეხმარები. ქალებს სერიოზულს საქმეში არაფერი გაგეგებათ.“

დე-ოტვილის სასახლე...

ერთმა კვირამ გაიარა, რაც იგი ოტელში მივიდა. წვიმა მოდიოდა ხშირად და ძველ ბაღში ქარი ზმუოდა. სასახლის კარებთან შორიდანვე ერთი ქალი შენიშნა. ეტლი როცა გაჩერდა, ის ქალი იმ წვიმაში თავშიშველა სწრაფად ჩამოვიდა ძირს. მოსულმა მეგობრულად გაუწოდა ხელი და გადაკოცნა.

პირისახის შეხებისას აშკარად გაიგონა ახალგაზრდის აღელვებული ხმა: - ,,კეთილი იყოს შენი მოსვლა, ტერეზა!

ეს იყო ჩემი - ბიძაშვილი რენე. რენე ძალიან სანდომიანი სახისაა, მაღალი და მოყვანილი, ძლივს შესამჩნევი ნაზი მიმოხვრა აძლევს მას რაღაც მშვენიერებას. ფერი მკრთალი აქვს; ქერა თმა უბრალოდ დახვეული აქვს თავზედ და გრძელი ხუჭუჭით შუბლზედ აფენია. თვალები!... თვალები კი ყველაფერზედ უფრო შესანიშნავი აქვს.“

,,ქალების პორტრეთები“

ელენე გენერალ ადიუტანტის ქვრივი იყო. მისი ქმარი კნიაზი გიორგი ამა-ძისა გახლდათ. ელენე ორმოციოდე წლის კარგად შენახული მშვენიერი ქალბატონი ბრძანდებოდა, ცოტა ოდენი სიმსუქნეს რომ არ დაეუშნოებია, მისი ახოვანი ტანი. 40 წლის გახლდათ, მაგრამ არცერთი ნაოჭი არ ჰქონდა მის რძისფერ პირისახეს. კისერი ამაყად მოღერებული და გადაშლილი. გულმკერდი ძალზედ მოჭერილად ეჭირა კორსეტს, ისე, რომ ფილტვები ძლივსღა სუნთქავდნენ. მშვენიერი ბროლის პატარა ხელებზე ძვირფასი ბეჭდები ეკეთა. და ტანთ შავი ძვირფასი კაბა ეცვა. იგი იჯდა თავის პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც ალისფერი შპალერებით და ალისფერი მებელით მშვენიერ შუქს ფენდნენ მის პირი-სახეს.

,,სწორეთ კარგი რამ არის ეს ალისფერი ,,გასტინა“. ,,კარტინები“ კედლებზედ თავისი შინაარსით, ყვავილები ფანჯრებში და კუნჭულებში თავისის სუნელებით, რბილი ხალიჩები, ტახტები, კუშეტკები და მრავალი სხვა-და-სხვა საფუფუნო საგნები სწორეთ სიყვარულის ედემად ხდიან ამ პატარა ოთახს.“ ხავერდის კრესლოში გადაწოლილი კნეინა იმისთანა რომანს კითხულობდა, რომ აღელვება ძვლებამდის ატანდა. საღამოს ექვსი საათი იყო და ოთახს ბინდი თანდითან ემატებოდა, როცა კნეინამ გააგდო რომანი და თავი ფიქრს მისცა. ვინ იყო ელენე? ,,აკი მოგახსენეთ ღენერალ-ადიუტანტის მეუღლე და ამასთანავე ძლიერ შეძლებული ქართველი თავადისშვილის ცოლი. ეს ერთი იმ ბედნიერ ვარსკვლავზედ დაბადებულთაგანია, რომელსაც არ უნახავს არავითარი უბედურობა. ეს იყო გალაღებული დედის-ერთა დიდი კაცის შვილი მშვენიერებით და მახვილი გონებით შემკული. ელენე ჯერ 14 წლისა არ იყო, რომ გარს შემორტყმული ყავდა ასობით თაყვანისმცემლები.“

ელენეს მამა ძლიერ გამოჩენილი კაცი იყო და რუსების ომებში მხედრული გამარჯვებისათვის და დამსახურებისათვის დიდი ადგილი ეჭირა. მათი სახლი სტუმრებისათვის დილიდან საღამომდე ღია იყო.

ელენეს გუვერნანტკად ჰყავდა 60 წლის ფრანცუზი დედაკაცი. იგი სწავლის მაგივრად მოწიწებით შეჰყურებდა მას. ,,ელენემ ამის შემწეობით ისწავლა ფრანცუზული კითხვა, ცოტაოდენი წერა და კარგი რიგიანათ ტიკტიკი, ტიკტიკი იმოდენათ, რამდენათაც მოითხოვდა ,,გასტინაში“ ადიუტანტებთან ლაპარაკი. რუსული უფრო ქალობაში შეისწავლა, მინამ ბავშვობაში, ისე, უმეტოდოთ, მხოლოდ პრაკტიკის დახმარებით. ქართული ნაწერები კი თავის დღეშიაც არ უნახავს, თუმცა ქართული მოკითხვა თავის მამიდებისა და დიდებისა კარგად ეხერხებოდა. ,,მობრძანდით, შენი ჭირიმე, მობრძანდით, როგორ ბრძანდებით, ბატონებო?“ და სხვა.

ეტყოდა ხოლმე ელენე თავის ქართველ სტუმრებს. ელენე სწორედ 14 წლისა იყო, როდესაც კარგა მოგრძო კაბით, თავისის ბებერი ყურისმგდებელით პირველათ გამოვიდა მამის ოფიციალურ სადილზედ.“

ამ დღიდან ელენეს მრავალი თაყვანისმცემელიც გამოუჩნდა. ეს სიმრავლე იმის მიზეზი იყო, რომ არც ერთი თაყვანისმცემელი არ ყავდა დაფასებული, ვიდრე მამამისმა მას არ წარუდგინა 45 წლის ყმაწვილი გენერალი საქმროდ. ,,ელენე ერთ წამსაც არ დაყოყმანებულა თავის ბედის გადაწყვეტაზედ. ან კი დაყოვნება შესაძლებელი იყო ამისათვის? დაბადებითგან დღემდინ ამის სიცოცხე ერთი დიდი ბრწყინვალე დღესასწაული იყო და ფიქრი, ყოყმანი საიდგან შეეპარებოდა ამის ნორჩ, ახალ-გაზდა ქმნილებას? ამას მხოლოთ ის ახარებდა, რომ ღენერლის ქალობა შეეცვლებოდა

ღენერლის ცოლობათ, რომ მამის სახლის მაგივრათ ექნებოდა თავისი საკუთარი სახლი, თავისი საკუთარი ბალები, სადილები და სხვა.“

დიდი სიმდიდრის და შეძლების პატრონი იყო მისი მომავალი ქმარი გიორგი ამაყაძე. ასე რომ ელენე გამოეთხოვა თავის ქალობას მხიარულათ და მხიარულებითვე შეუდგა დედაკაცობას. მოგეხსენებათ, რომ ლხინიც მოსაწყენია. ელენე ჯერ 25 წლისაც არ იყო, რომ ყელამდის მოიყინჭა ტანცაობით, მორთულობით და ქარაფშუტობით, იგი ბოლო დროს ხშირად კუთხეში მოწყენილი იჯდა ხოლმე. ერთ დღესაც, ასე მოწყენილი რომ გახლდათ ჯერ პატარა შვილებს დაუწყო ალერსი, მაგრამ ბავშვების ,,ჟღივილ-სივილმა“ თავი მოაბეზრა. ბავშვებს იმდენი მომვლელი ჰყავდათ, რომ ელენეს ალერსი არაფერში სჭირდებოდათ. შემდეგ მან ქველმოქმედებას მიჰყო ხელი და ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა. ამ კეთილი საქმის მიუხედავად მაინც ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა. გიორგი ცოლთან ნაკლებად რჩებოდა. ცოლი უყვარდა თუ არა ძნელი შესატყობი იყო, რადგან როგორც ,,ვოენი“ კაცი სასირცხვილოდ თვლიდა ცოლის ალერსის გამოხატვას. ჯვრის წერიდან ორი წლის შემდეგ, გიორგიმ კვლავ გაახლა საბედა- გოგოსთან კავშირი. ელენემ ეს კავშირი იცოდა, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავდა. ელენა იძულებული გახდა სიყვარული მშვენიერ ვაკაცებს შორის ეძებნა და იგი დაუახლოვდა ქმრის ადიუტანტს ზაზას. მეუღლემ მალე შეიტყო ელენეს სასიყვარულ ამბავი და ერთ დღესაც გულმა უმტყუნა.მეუღლის გარდაცვალება ელენას არ უდარდია. ,,თავისი მწუხარება მხოლოთ მეორე მეგობრით გაიგრილა. მეორე შეიცვალა მესამით და აი დღეს, როდესაც მე ამის პორტრეტს გიხატავთ, ეს მოელის მეოთხე მეგობარს, მაგრამ ისეთივე გულის ცემით და აგზნებულის გრძნობით, როგორათაც პირველს.“

,,ქართული ბიბლიოთეკა“N7-8 ივლისი-აგვისტო, 1883
ნათარგმნი: ანასტასია თუმანიშვილი

,,სენიენელი მსროლელი“
(მიურეს მოთხრობა)

ამ ოცი წლის წინათ ჩრდილოეთის ზღვაზე ნორვეგიის მთიან და მაღალ ნაპირთან მოცურავდა ერთი მოდიდო ნავი. იმ დროს ზღვის ნაპირები სასიარულოდ საშიში იყო, ვინაიდან ჯერ შესწავლილი არ იყო ეს ადგილები. ამ ნავში იჯდა ღრმად ჩაფიქრებული კაცი, რომელიც ხან ერთ ნაპირს ათვალიებდა, ხან მეორეს. ეს მგზავრი კაი გვარის კაცი იყო და სამხრეთ ნორვეგიაში შემოსავლიანი ადგილი ეჭირა. ვალების გამო და თანაც მოურიგებელი ხასიათის მიზეზით ხშირად უსიამოვნება მოდიოდა ხოლმე და ამიტომ იძულებული გახდა მოშორებულ ადგილას გადაკარგულიყო.

,,ლარს სტურსონს (ეს სახელი ერქვა) სახეზევე ეტყობოდა, რომ მძიმე ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ამიტომაც არა დააშავეს რა ამისმა ნათესავებმა, თუ სახელმწიფო სათათბიროში გადასწყვიტეს, რომ მის ოსმალოს ფაშისებურს ხასიათს ლაპლან–დიელები (აქაური ჩრდილოეთის ხალხი) უფრო შეიფარებდნენ, ვინემ სამხრეთის ამაყი მოსახლეობა.

ეს მაღალი ტანის კაცი 35 წლის იქნებოდა. ამპარტავანი და პირქუში სახე ჰქონდა.

მას ღვინის სმაში ვერავინ შეეჯიბრებოდა. ერთ დღეს იგი თავის ახალ ბინაზედ მიდიოდა. ნავში ჩაწყობილი ჰქონდა სხვადასხვა სკივრები და ყუთები. მალე სახლის ავეჯსაც ელოდა. ამ მოლოდინში მოუსვენრობა ეტყობოდა და ღვინოს წამდაუწუმ ეტანებოდა.

,,იმას მოძრაობაში რაღაც მოუთმენლობა ეტყობოდა, ხან ერთ გვერდზედ ბრუნდებოდა, ხან მეორეზედ, ბოლოს გადაწვა გულაღმა, შეაჩერა თვალები ცას და წაიბუტბუტა: ,,ღმერთმა იცის, თუ რა ცხოვრება იქნება ჩემი ცხოვრება", მაგრამ ეშმაკსაც წაუღია! ამ დაწყევლილი ქვეყნის ყურება...

შე საცოდავო ლარს სტურსონო! და ვინ იცის, როდის ან როგორ დაუსხლტები ამ ცხოვრებას!"

... ერთი საათის ჩაფიქრებული იყო, რომ ნავმა ტოკვა დაიწყო და ქარმა შემოუბერა, ტალღებიც აიშალნენ.

,,ქართული ბიბლიოთეკა"N9-10, სექტემბერი და ოქტომბერი, 1883
ნათარგმნი: ლორთქიფანიძის ქალებისაგან

,,შეცდომათა კომედია"
მოთხრობა ამერიკის ცხოვრებიდგან

ხუთი-ექვსი წლის წინათ მარიჰოზის ერთ კუთხეში ნავთი ამოსკდა თუ არა ფულის მომხვეჭელებმა ერთბაშად მოიყარა თავი. მოზიდეს უთვალავი მაშინები, კიბეები, ბოჭკები და ქვაბები. ააშენეს პატარ-პატარა სახლები მუშებისათვის და ამ კუთხეს ,,სტრუკფილი" უწოდეს. ორი წლის გასვლის შემდეგ იგი ქალაქად გადაიქცა, სადაც რა პროფესიის ადამიანებს არ შეხვდებოდით. აქ ექიმი ერთ და იმავე დროს ექიმიც იყო, აფთიაქარიც და პოჩტმეისტერიც. მაშასადამე, სამი სახის მუშტარი ჰყავდა. ექიმად მუშაობდა ერთი ალერსიანი მოხუცი, რომლებიც წამლების მიცემისას ავადმყოფებს ამშვიდებდა: ,,სანამ ავადმყოფს წამალს გამოუწერდე, მე თვითონ უნდა დავლიო სწორედ იმდენი, რამდენის გამოწერასაც ვაპირებ ავადმყოფისათვისო. და თუ კი მე არ მაწყენს, არც თქვენ გავნებთო." ავადმყოფებიც ეთანხმებოდნენ მას.

დაზონვილს ეს სახელი ერქვა. ჩვენს ექიმს, სწამდა, განსაკუთრებით სასწაულმოქმედი ძალა ერთ-ერთი ლერეუსისა. და, იგი ყოველთვის საზოგადოებაში ამ წამლის უვნებლობაზე საუბრობდა. გავიდა კიდევ ორი წელი და ქალაქი გაიზარდა და თავისი მთავრობაც გამოუჩნდა. მსაჯულად აქ აირჩიეს საყვარელი ექიმი, როგორც განათლებული ნაწილის წარმომადგენელი.

ქალაქში ააშენეს სკოლა, სასტუმრო, რომლის მეპატრონე ერთი მოხუცი ქალწული იყო.

მალე ამ ქალაქში გაზეთიც გაჩნდა ,,საყოველკვირაო მიმოხილვა". გაზეთი შაბათობით გამოდიოდა და იმდენი ხელის მომწერნი ჰყავდა, რამდენიც ქალაქში სახლობა იყო.

აქ დღეები ერთი მეორისაგან არაფრით განირჩეოდა. ,,დილას ყველა ფულს შოულობდა; საღამოს ქუჩაზედ მოგროვებულს ნაგავს სწვავდა და შემდეგ, თუ კი რომ სადმე სახალხო კრება არ იქნებოდა დანიშნული, მიდიოდნენ მშვიდობიანად თავ-თავიანთს სახლში დასაძინებლად."

შერიფს მხოლოდ ერთი დიდი საზრუნავი ჰქონდა: ვერაფრით ვერ გადააჩვია თავისი თანამოქალაქეები ქუჩაში გარეული ბატების თოფით ხოცვას, რაც კანონით აკრძალული იყო. ეს რომ მიყრუებული დაბა იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ამისთანა ქალაქში პიფ-პაფ! პიფ-პაფ! ატყდეს თოფის ხათქა-ხუთქი ამას ვერ შევეგუებიო. მოქალაქეებიც ეთანხმებოდნენ მას.

მალე ქალაქში გაიხსნა გრასერი. ,,გრასერი არის სარდაფი, დუქანი, მაღაზია, მარანი, ყოველისფერი, რაც გინდათ... აქ ისყიდება ყოველისფერი, რაც კი საჭიროა ამერიკელი კაცის ყოველდღიურის ცხოვრებისათვის. პირველად სტრუკ-ფილში იყო მხოლოდ ერთი გრასერი“. გრასერი გააღო გერმანელმა განს კნაბბემ. ეს იყო ფლეგმატიური 36 წლის პრუსიელი, რომელიც ინგლისურად ძლივს ლაპარაკობდა. მოულოდნელად მეორე გრასერიც გერმანელმა გახსნა. თუ პირველი კაცი იყო, მეორე გერმანელი ქალი გახლდათ. სახელად ქალბატონი ნეიმანი. და მათ შორის ისეთი ქიშპობა დაიწყო, რომ მთელი ქალაქი ორ დასად გაიყო: ,,განსისტებად და ნეიმანისტებად.“ ხან ერთის ვაჭრობის საქმე მიდიოდა კარგად და ხან მეორესი, ორივე ერთი მეორის გაკოტრებაზე ფიქრობდა. მათ არც ერთმანეთის დაბეზღება და საჩივრები აკლდათ.

მათი ურთიერთობა ადგილობრივ გაზეთშიც დაიბეჭდა ფელეტონის სახით.

,,იმ საღამოსვე ქალბატონმა ნეიმანმა, მისდა განსაცვიფრებლად, დაინახა, რომ განსმა ჩამოიტანა ძირს გამხმარი მზისუმზირის ფურცლების კონები და დააწყო თავის სარდაფის ახლოს. სასურველია, შეიტყოს კაცმა, რასა იქმს? რად უნდა ეს კონები?... ჰფიქრობდა თავისთვის ნეიმანი. უთუოდ ჩემს წინააღმდეგ ფიქრობს რასმეს.“

როცა დაღამდა განსმა ეს კონები ორ მწკრივად დააწყო, ისე რომ სარდაფისაკენ დარჩა მხოლოდ წვრილი გზა. ბოლოს მან გამოიტანა გადაფარებული საგანი და ზედ დააფარა მზესუმზირის ფურცლები და დაიწყო კედელზე რაღაც ასოების წერა.

ქალბატონი ნეიმანი კვდებოდა ცნობისმოყვარეობით - უთუოდ ჩემს წინააღმდეგ გამოიგონა რამეო და გადაწყვიტა როცა დაიძინებდნენ ენახა რა გააკეთა განსმა.

მართლაც ჩააქრო თუ არა განსმა სანთელი ქალბატონი ნეიმანიც გამოვიდა გარეთ და მივიდა მზესუმზირის კონებთან.

უნდოდა წაეკითხა კედელზე წაწერილი. მაგრამ უეცრად საშინელი კივილი ამოსკდა მისი მკერდიდან. ფანჯრიდან განსმა მშვიდად გამოიხედა და ხარხარი დაიწყო.

,,ქალბატონო! თაგვისათვის მახე დავდგი და მშვენიერი ქალი კი დავიჭირე! ქალბატონო, თქვენ რასთვის მობრძანებულხართ? სარდაფს მე სწორედ განგებ დავაწერე კედელზედ, რომ არავინ მოსულიყო. იყვირეთ ახლა, ქალბატონო, იყვირეთ. შეიკრიბოს ხალხი, დეე, დარწმუნდენ, თუ ვინ დაიარება ხოლმე ღამ-ღამობით ,,ნემეცის სარდაფში“.

განსი გამოემშვიდობა და წავიდა დასაძინებლად. ქალბატონი ნეიმანის მდგომარეობა საშინელი იყო. ცალ ფეხზე რკინის ხაფანგი ჰქონდა დაჭერილი, თავბრუ ეხვეოდა და იგი უგრძნობლად დაეცა მიწაზე. სწორედ, ეს გახდა მიზეზი, რომ ისინი შერიგებულიყვნენ.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N9-10, სექტემბერი და ოქტომბერი, 1883
ნათარგმნი: ელენე ლორთქიფანიძისა

,,რალდი“
(მოთხრობა კეტტი კლარკისა)

ორი დედაკაცი სოფლის შარაზე იდგნენ და ერთმანეთს მათკენ მომავალი მაღალი და უშნო ტანადობის კაცსზე სიმ პიბლისზე საუბრობდნენ. მას თურმე შარშან ცოლი მოკვდომია, ახლა კი ოჯახის მარჩენალი დედა. სიმ პიბლის სახეზე უზომო მწუხარება ეხატებოდა. მგლოვიარობის ნიშნად შავი ეცვა. მას ორი პატარა ბავშვი მიეგება და ქოხში ერთად შევიდნენ. დედაკაცებმა ისევ გააგრძელეს დაწყებული საუბარი: ნეტავ ვინ ყავს ახლა ოჯახში ან ვინ გაბანა მისი მკვდარი, მეორე პასუხობდა თვითონ შემოსავდა. აბა, სხვა ვინ დაეხმარებოდაო. მოლაპარაკე ქალების საუბარს ყური მოჰკრა ერთმა ტანადმა ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც ლამაზი პირისახე ჰქონდა.

მას სოფელში რალდის უწოდებდნენ. იგი მიუბრუნდა ქალებს და უკმეხად უთხრა: - გუშინ სიმ პიბლისი მარტო იყო ბავშვების ანაბარა და არავინა ჰყავდა, რომ მოხმარებოდა, როცა დედა მოუკვდა. თქვენ არ შეგეძლოთ მიგეხედნათ ცოტა - ხანს, ხომ მეზობლები ხართ! რალდი სკოტტს ეჯავრება ზარმაცი და უპატრონო სიმ პიბლსი, მაგრამ მაინც მივიდა იმასთან, გაბანა იმის მკვდარი დედა, აჭამა პური ბავშვებს და უთხრა, მანამ სხვა მომვლელს იშოვნიდეს ბავშვებისათვის, მე მოუვლიო. თქვენისთანა უგულო კი არ არის რალდი სკოტტი! კარგად ახსოვს სიმ პიბლისის ამაგი, ერთხელ დამხრჩვალი მამა რომ გამოუტანა გაყინულ წყლიდამ!“ უთხრა ეს და თავის გზა განაგრძო.

ქალებმა მერე რალდი გაჭორეს და ქირქილით ჩაიცინეს, იქნება დაქვრივებულ სიმ პიბლს წაჰყვეს ახლა ცოლადო.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N9-10, სექტემბერი და ოქტომბერი, 1883
ნათარგმნი: ალ. ნაცვალოვის ქალისაგან

,,დღიურიდან“
(ეტიუდი)

ახალგაზრდა რომანისტი X კვდებოდა გიჟების სახლში, სადაც მისი მეგობარი ყოველდღე ნახულობდა. ავადმყოფი ყოველდღე დაახვედრებდა რამდენიმე ფურცელს, რომელსაც მათი შეხვედრის შემდეგ წერდა. ,,წინადვე მიჩვეული წერას, - სიგიჟეშიაც ვეღარ იშლიდა. ამასთანავე სიგიჟეც ისეთი სჭირდა, რომ საწერ კალამი არ დაეკავებოდა მას. მუშაობა მას არ ავნებდა, რადგანაც ის ჭლექისაგან კვდებოდა და არა მართლა სიგიჟისაგან. მარჯვენა ფილტვი მას აღარ ჰქონდა და მარცხენა კი თითქმის ნახევარი წამხდარი! ოდესმე ვაცნობებ მე მკითხველებს მის ,,გიჟურს“ რომანის ნაწყვეტებს. ნუ გგონიათ, რომ ისინი მხოლოდ წარა-მარა სულელური სიტყვები იყოს. ო, არა.

ამ რომანის დაბეჭვდამდე მკითხველს გააცნობს ერთ ნაწერს მისი დღიურიდან სიკვდილის წინ დაწერილს. მეგობარი კალმით ხელში მკვდარი ნახეს. იგი იმ წუთებში მომკვდარა, როდესაც უკანასკნელი სიტყვა დაუწერია. ექიმის რწმუნებით ხშირად გიჟ-ავადმყოფებს სიკვდილის წინ გამოერევათ ისეთი წამები, როდესაც ,,ნიჭი უნათდებათ და უეჭველია, ამ გვარს მდგომარეობაში იყო დაწერილი მისგან ის ქადაგება, რომელიც ნახეს მის გაცივებულ და გაშეშებულ ხელქვეშ. ხელნაწერზედ აჩნდა ცრემლების ნაკვალევი, რომლების გამო რამდენიმე ასო და მთელი სიტყვები იყო წაშლილი“.

ეს წაშლილი სიტყვები მეგობარმა განაახლა და თუ რამე შეეშალა მკითხველის წინაშე ბოდიშს იხდის.

,,ქართული ბიბლიოთეკა“N9-10, სექტემბერი და ოქტომბერი, 1883
ნათარგმნი: ნატ. ნაცვალოვის ქალისაგან

,,ნახშირით ნახატი სურათები“

სოფელს ცხვრის - თავაში, მამულების ზედამხედველის კანცელარიაში საოცარი მყუდროება სუფევდა. გმინის ვოიტი ანუ მამულების ზედამხედველი ფრანცისკო ბურაკი გლეხი იყო. იგი არც ისე ახალგაზრდა გახლდათ. ერთ დღეს სტოლთან იჯდა და კალმით რაღაცას გულმოდგინეთ ხაზავდა.

იქვე იყო გმინის მწერალი პანი ზოლზიკევიჩი. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ფანჯარასთან იდგა და ბუზებს იგერიებდა. ბუზები კანცელარიაში უამრავი იყო. კედლები ისე იყო მათგან აჭრელებული, რომ ფერი აღარ ეტყობოდათ. აჭრებული იყო აგრეთვე ხატიც, რომელიც სტოლის პირდაპირ ესვენა. ასეთივე მდგომარეობაში იყო საკანცელარიო ნივთებით და წიგნებიც.

,,ბუზები ეხვევოდნენ თვითონ ვოიტსაც, მაგრამ ყველაზედ უფრო ჩასცივებოდნენ პომადა - წასმულს და მიხაკის სუნით გამჭორებულს პან ზოლზიკევჩის თავს. მას დასტრიალებდენ ბუზები გუნდ-გუნდად და თავზედაც იმდენი აჯდა, რომ თმის განაყოფი აღარ სჩანდა. პანი ზოლზიკევიჩი ხან - და - ხან ფრთხილად ასწევდა მაღლა ხელს და შემდეგ უეცრად ირტყამდა თავზედ, მწერთა გუნდი ბზუილით მაღლა ჭერისაკენ აფრინდებოდა და პანი ზოლზიკევიჩი კი თავს მოიხრიდა და თმაში ჩაჭყლეტილს ბუზებს ჰკრეფდა და იატაკზედა ჰყრიდა.“

,,ქართული ბიბლიოთეკა“N11-12, ნოემბერი, დეკემბერი 1883
ავტორი: ბაქარ ქართლელისა

,,ქალი“

ქალებზე სხვადასხვა ტომის ხალხს სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ, ასეთივე სხვადასხვა იყო ზოოლოგების, ფილოსოფოსებისა თუ ბუნების ისტორიკოსთა შეხედულებები.

ისინი ყველა სხვაგვარად უყურებდენ ქალს და სხვადასხვა მნიშვნელობას ანი–ჭებდნენ მას. ანატომია ქალის მოყვანილობაზე მიგვანიშნებდა, ზოოლოგია გაარჩევდა ერთ ცხოველს მეორისაგან და ასე ამბობდა:

,,ცხოველიაო, ქალისას გვეტყვის, -
ყოვლის მჭამელი და ტკბილის მსმელი; -
უცხო ამბავთა მიმთქმელ - მომთქმელი,
რაც ბრწყინვალეა სულ ყველას ეტრფის;
- სიცილი უყვარს, ქება მოსწონსო, -
და კიდეც ცელქობს, კიდეც მორცხვობსო.
ფილოსოფია ქალს ჰსახავს ბუდეთ
შურის და შფოთის დამბადებელად.“

,,ქართული ბიბლიოთეკა“N11-12, ნოემბერი, დეკემბერი 1883
ნათარგმნი: ეკატ. ლორთქიფანიძის

,,რკინის გზის ხიდი“

ჰენრი ბეხტერი რამდენიმე წლის წინათ კამპანიის საქმეების გამო ცეცხლის გემით ინგლისიდან გავრში მიემგზავრებოდა. მგზავრთა შორის იმყოფებოდა ერთი მშვენიერი ქალი მარიამ ლორმი.

კაცი რამდენჯერმე შეეცადა, რომ ახალგაზრდა ქალს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ქალის სიმორცხვე ენას უბამდა.

,,ვაჟმა გაიგო მხოლოდ, რომ ეს ქალი ცხოვრობდა ლონდონში თავის ნათესავ ქალთან, რომელიც უეცრად გარდაცვლილიყო და მის გამო წამოსულიყო შინ, შვეიცარიაში, თავის ავად-მყოფ მამასთან. უკანასკნელ წერილებიდგან სჩანდა, რომ მამა, მძიმე ავად უნდა ყოფილიყო და ქალი გულმწუხარედ მიეშურებოდა შინისკენ, იქნება ცოცხალს მაინც მიუსწროვო“.

ახალგაზრდა ქალმა ჰენრიხ პეხტერის ყურადღება ისე მიიზიდა, რომ ვაჟმა გადაწყვიტა მისი მფარველობა და პატრონობა.

მალე ცეცხლის გემი ნაპირს მიადგა და ჰენრიხ პეხტერმა ქალს დახმარება შესთავაზა. ბარგი იყო ერთი დიდი ტომარა. ქალმა მადლიერებით შეხედა და ტკბილად გაუღიმა. ჰენრიხმა ტომარა აიღო და ქალს პარიზში გაჰყვა. მათ მატარებელს ვეღარ მიუსწრეს და მეორე მატარებლამდე ხუთ საათს უნდა გაევლო. ქალისათვის კი ყოველი წამი ძვირფასი იყო. მათ დახმარებისათვის რკინიგზის მოსამსახურეს მიმართეს. სამწუხაროდ მან დახმარება ვერ შეძლო და ქალმა წამოიძახა: ქვეითად უნდა გავწიო, რომ მამას ცოცხალს მივუსწროო. ვაჟს შეეცოდა შორგზაზე მიმავალი ქალი და თან გაჰყვა. მათ ბევრი წინააღმდეგობა შეხვდათ, რადგან რელსებს მიჰყვებოდნენ და ერთ უადგილო და ვიწრო ადგილზე საპირისპირო მხრიდან მომავალი მატარებელიც გამოჩნდა.

ორთავეს ბედი ბეწვზე ეკიდა, გვერდზე გადასასვლელი არსად იყო. ხიდის ქვევით კი აქაფებული მდინარე ღრიალით ასკდებოდა კლდეებს, თითქოს ემუქრებოდა ხიდზედ და მაზედ მოსიარულეებს თავის უფრსკრულში შთანთქმით. ორთავეს სიკვდილი ემუქრებოდათ. ყმაწვილმა მარიამს ჰკითხა, რომ ბაწარი ხომ არ ექნებოდა ტომარაში. წამები საზღვრავდა მათ სიცოცხლეს. ვაჟმა ბაწარი გაკრა, ,,ერთი ბოლო ქალს შემოარტყა წელზედ, მერმეთ ცალი მუხლით დაიჩოქა და მეორე ბოლო მოახვია გადმორჩენილს ხეებს, რომელნიც რელსების ქვეშ ეწყვენ. გრიალი, ძიძგინი, საშინელი ძალუმი სტვენა გაისმა თითქმის სულ ახლოს მათთან. ხიდი შექანდა და ისე ძალუმად დაინძრა, თითქო ეს არის დაინგრევაო. ახალ-გაზრდები გაეხვივნენ ორთქლში, კვამლში და ცეცხლში!“

ბაწრით დაკიდებულ მარიამმა გონება დაკარგა. მატარებლის გავლის შემდეგ იგი ვაჟმა გამოიყვანა მდგომარეობიდან და ღმერთს მადლობა შესწირეს.

გადარჩენილები ისევ დაადგნენ გზას. ამ მძიმე წუთებმა ისინი ერთმანეთთის მიმართ გრძნობის ალში გაახვია. მშვიდობიანად მივიდნენ ბინაზე, სადაც მარიამმა თავისი მომაკვდავი მამა ნახა. შვილი მოეხვია მამას და მანაც განუტევა სული. ბოლოს ჰენრიხის გულწრფელმა სიყვარულმა და მეგობრობამ ისინი ერთმანეთს ისე დაახლოვა, რომ დაქორწინდნენ კიდეც.

,,მერე აღარ გამოუცდიათ იმისთანა დაუნდობარი და საშიში წამი, როგორც რკინის გზაზედ შეემთხვათ“.

„ცდა“. 1889-1891. სალიტერატურო კრებული. ქუთაისი. გამომცემლები:ალ. გარსევანიშვილი (წ. I); ქართული მწერლობის მოყვარენი (წ.II და წ. III). (პ. გ. წულუკიძის სტამბა).
სულ გამოვიდა:
წიგნი I. ქუთაისი. 1889 წ. 206 გვ.8
წიგნი II. ქუთაისი. 1890 წ. 214 გვ.8
წიგნი III. ქუთაისი. 1891 წ. 286 გვ.8
კრებულში იბეჭდებოდა მოთხრობები, ლექსები, თარგმანები (,,ილიადა“, მ. ფაზელის თარგმანი), საისტორიო და საეთნოგრაფიო სტატიები.

კრებული ,,ცდა“N1,1889
ავტორი: დავით კარიჭაშვილი

,,ქორწინება“
(სოციოლოგიური მიმოხილვა)

ქორწინება არის ისეთი წესი, რომელიც მართავს სქესთა შორის კავშირს სქესებრივის ვნების და გვარის გავრცელების დასაკმაყოფილებლად. არსებობს ქორწინების ხუთი უმთავრესი სახე: ,,1. შერევა, 2. დროებითი და პირობითი კავშირი, 3. მრავალ-ქმრიანობა, 4. მრავალ - ცოლიანობა, 5. ერთ - ცოლ-ქმრობა.

ქორწინების პირველი სახე შერევა ,,როგორც ქორწინების წესი, მდგომარეობს იმაში, რომ ტომში თვითოეული ვაჟი ყველა ქალების ქმრად ითვლება, როგორადაც თვითოეული ქალი ყველა ვაჟების ცოლად. ქალი და ვაჟი უკავშირდებიან ერთმანერთს წუთიერის ვნებისა და სურვილის მოსაკვლელად ყოველის წესისა და რიგის დაუცველად“.

ამგვარი სქესობრივი ურთიერთობა უწინდელ დროში ყველგან ყოფილა გავრცელებული. შერევა ზოგან ახლაც არსებობს. მართალია, დღეს იგი მოსპობილია, მაგრამ მისი ნაკვალები მაინც არსებობს. შერევის დარჩენის კვალის მაგალითს წარმოადგენს ინდოეთის ზოგიერთ ტომებში არსებული წესი. სანტალებში წელიწადში ერთხელ ერთად იხდიან ქორწილს ყველა საქორწინოები. და ექვსი დღის განმავლობაში ხდება შერევითი ქორწინება.

შერევითი ქორწინების ნიმუშს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული დროებითი და პირობითი ქორწინება, როცა ქალ-ვაჟი რამდენიმე ხნით ცხოვრობენ ერთად და განსაზღვრულ პირობას იცავენ.

რაც შეეხება ქორწინების მეორე სახეს, - დროებით ქორწინებას - სპარსელები ახდენდნენ ამ ფორმას. ისინი სდებდნენ ცოლ-ქმრობის ვადას, რომლის გასვლის შემდეგ ერთმანეთს სცილდებოდნენ. თუ ამ დროს ცოლი დაფეღმძიმდებოდა ქმარი ვალდებული იყო ერთი წელი ერჩინა იგი. დროებითი ქორწინებიდან გაჩენილი შვილი ეკუთვნოდა მამას ან დედას სქესის მიხედვით.

,,ცეილონში იციან დროებით საცდელად დაკავშირება თხუთმეტი დღის განმავლობაში. ამ ვადის შემდეგ ქორწინება შეიძლება ჩაიფუშოს ან დამტკიცდეს. მაროკოში ურიები ხშირად ირთავენ ცოლს სამის ან ექვსის თვით. ვაჟი ვალდებულია შვილი თვისად იცნოს, თუ გაჩნდა. ნუბიაში მიღებულია სამს მეოთხედად დაქორწინება

ასე, რომ სამი დღე ქმრისაა, ერთი ცოლისა. თეთრი ნილოსის არაბებშიც იმ პირობით ირთვენ ქმარს ქალები, რომ კვირაში რამდენიმე დღე მათ ეკუთვნოდეს.“

მესამე გვარი ქორწინება არის მრავალ - ქმრიანობა, როცა ერთ ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავს. ამ დროს ძმები ირთავენ ერთ ქალს ცოლად. ,,იულიუს კეისარი მოგვითხრობს, რომ მის დროს ბრეტანებში ძმები ერთს საზოგადო ცოლს ირთავდენ. სტრაბონის თქმით, ლიდიაში და არმენიაში ქურუმს ქალებს საგანგებო პრივილეგიად ჰქონდათ მინიჭებული, რომ რამდენიმე ქმარი ჰყოლოდათ“.

მალაბარის შავ ტომებში ქალს ხუთი-ექვსი ქმარი ჰყავს, მას შეუძლია მეტიც ჰყავდეს და ქალი ყველა იმათგან თორმეტი დღის განმავლობაში რიგრიგობით ცხოვრობს.

ინდოეთის ტოტირებში საერთო ცოლს ირთავენ ძმები, ბიძები და დისწულები, ყველა ერთად. ზოგან ცოლი ცხოვრობს თავის ქმრების სახლში, ზოგან კი ქმრები ცხოვრობენ მათ ცოლის სახლში.

ამ შემთხვევაში ქონებისა და შვილების პატრონია ქალი. მრავალ - ქმრიანობას მისდევენ მხოლოდ მდიდარი ქალები.

მეოთხე გვარი ქორწინება არის მრავალ - ცოლიანობა. ამბობენ, რომ სოლომონ ბრძენს 700 ცოლი და 300 ხასა ჰყავდა. ებრაელებიც რაც შეეძლოთ ბაძავდნენ ამ დიდებულ მაგალითს. არაბებიც იქცეოდნენ და იქცევიან როგორც მათი ისრაელი ბიძები. სლავიანებშიც იყო მრავალ ცოლიანობა. რუსის მთავრს ვლადიმირს გაქრისტიანებამდე 800 ხასა უჯდა სხვადასხვა ადგილას. ,,მუსულმანებში, რაღა თქმაუნდა, რომ მრავალ-ცოლიანობას სრული მეფობა აქვს. სიღარიბე თუ შეუშლის მუსულმანს ბევრი ცოლის ყოლას. მრავალ-ცოლიანობა ჩვეულებრივი წესია აფრიკაში და აზიისა და ავსტრალიის მომეტებულ ნაწილში“.

როგორც ქალების მრავალ-ქმრიანობის დროს ისე კაცების მრავალ - ცოლიანობა, მხოლოდ მდიდრებში ხდებოდა.

მეხუთე გვარი ქორწინება ესაა ერთ-ცოლ-ქმრობა ქრისტიანულ ქვეყნებში. ,,ძველი ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები, გერმანელები, პერუელები, მექსიკელები, ერთ-ცოლიანები იყვნენ საზოგადოდ. თუმცა მდიდრებს შეეძლოთ ხასების ყოლა, რამდენიც უნდოდათ“.

ჩინელები და მონგოლები ერთ-ცოლიანობას მისდევენ. ასევე აზიაში ერთ ცოლიანობაა.

,,ველურსა და გაუნათლებელს ხალხებში ქორწინება ორნაირი არის იმის მიხედვით, ქალი და ვაჟი, რომელნიც უღლდებიან, ერთის ტომისა ან თემისა არიან, თუ სხვა და სხვისანი. ზოგან ჩვეულება მოითხოვს, რომ ქალიცა და ვაჟის ერთსა და იმავე ტომს ან თემს ეკუთვნოდენ, ზოგან კი საჭიროდ მიაჩნიათ, ქალის და ვაჟის სხვა დასხვა ტომის ან თემის კუთვნილება. პირველ - გვარს ქორწინებას მეცნიერებმა უწოდეს ენდოგამია (შინ-ქორწინება), მეორე - გვარს ექსოგამია (გარე-ქორწინება).

ბევრგან ეს ორივე ჩვეულება ერთმანეთში არის არეული. ერთ-ერთი მათგანი თუ არის კანონიერი, მეორე უკანონოთ ითვლება. მათი ერთმანეთთან დაჯახებით ჩნდება ახალი მესამე ჩვეულება, რომელიც უარყოფს ქორწინებას მარტო ნათესავთა შორის და აღარ არჩევს თვისტომობას და თვისთემობას უცხო ტომობისა და თემობისაგან.

,,რა საფუძველზე არიან დამყარებულნი ენდოგამია, ექსოგამია? რა არის მიზეზი მათი გაჩენისა? ენდოგამიას ახსნა უფრო ადვილი უნდა იყოს. ყოველს ხალხს თავმოყვარეობა და თავმომწონეობ აქვს. სხვა თემის ქალს ყოველთვის თავის თემის ქალს არჩევდა, მარტო იმიტომ რომ ის თავის თემისა იყო“. ახლაც განათლებულს ქვეყნებშიც ხდება ეროვნული თავმომწონეობა და სხვა რჯულის ქალს მისი რჯულისა ურჩევნიათ. ექსოგამიის ახსნა ძნელია ქორწინების წესების გამოურკვეველად. იმ ხალხებში, სადაც შერევა არსებობდა, უცხო ტომის ქალების მოტაცება ერთ-ერთი

საშუალება იყო ცოლის შერთვისა, მაშინ, როცა თავის ტომის ქალს, რომელიც ყველას კუთვნილებად ითვლებოდა ცოლად არავინ დაანებებდა. სწორედ, აქედან დაიწყო ცოლების მსურველებმა უცხო ტომის ქალების მოტაცება.

,,მოტაცებით ქორწინება ძველად ევროპაში იყო გავრცელებული ბერძნებში, რომაელებში, სლავიანებში და სხვა.“

მოტაცემით ქორწინებასთან დაკავშირებული იყო ყიდვითი ქორწინება, ქრთამით ანუ მზითვით.

,,ველურსა და გაუნათლებელს ხალხში, მზითევს ქალი შოულობს თავის გარყვნილობით. ასე იყო სულ ძველად საბერძნეთსა და რომში, ასეა ახლაც იაპონიაში, სადაც ქალი გათხოვებამდის მიდის დიდს ქალაქებში და უნამუსობით შოულობს ფულებს. ბევრგან დაქორწინების წინ დანიშვნა იციან. ჩინეთში ხშირად დაბადებამდეც ნიშნავენ ბავშვებს. ბევრ ქვეყანაში ცოლის ქალწულობას დიდად აფასებდნენ და კიდევაც აფასებენ ურიები და არაბები.

,,ქორწინებას მაშინ ეძლევა მნიშვნელობა, როცა მასში მონაწილეობას იღებს სარწმუნოება. ქრისტიანობამ ქორწინება საიდუმლოდ აღიარა. აგრეთვე უცქერიან სხვა განვითარებული რელიგიანი... დასავლეთ ევროპაშიაც ქორწინებას საზოგადოებრივს საქმედ სთვლიან და ყოველი ქორწინება, გინდაც საყდარში ნაკურთხიც იყვეს, სახელმწიფო მოხელისაგან უნდა დადასტურდეს.“

ბევრ ქვეყანაში, მაგალითად ავსტრალიაში, ამერიკაში, ჩინელებთან, ესკიმოსებთან ცოლი ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა და მას შეეძლო ეცემა და მოეკლა იგი. ან გუთანში შეება და უმძიმესი სამუშაოები დაევალებიათ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღალატე ცოლების დასასჯელად ათასნაირი სადისტური მოქმედებები არსებობდა.

ძველ ეგვიპტეში მოღალატე ცოლს ცხვირს სჭრიდნენ, ზოგან გახურებულ რკინის საწოლზე წვავდნენ, ზოგან მოღალატე ცოლსა და მის კუროებს სოფელში ტიტვლად ატარებდნენ.

,,ჩვენში ვახტანგის სჯულის ძალით ქმარს შეეძლო გაეშვა მოღალატე ცოლი კუროსთვის კი გადაეხდებინებინა სისხლი; ან, თუ მოჰკლავდა ქმარი თავის ცოლს ზედ-შესწრებისას, სისხლს არ იხდიდა. აგრეთვე ყველა განათლებულს ქვეყნებში ცოლის მოღალატობა გაყრის საბუთად ითვლება და თუმცა მოღალატე ცოლისა და კუროს მოკვლა ნება დართული არ არის, მაგრამ მაინც საზოგადოებაც და სამართალიც უცხო ქვეყნებში ამართლებს ცოლისა და მის კუროს მკვლელობას ზედ-შესწრების დროს.“

მრუშობის გარდა სხვადასხვა ხალხებში სხვადახვა მიზეზებით ხდება ცოლ-ქმრის გაყრა. გაუნათლებელსა და ველურ ხალხში მარტო ქმარს აქვს ნება ცოლზე ხელი აიღოს. ბევრგან ქმრის სურვილზეა ცოლთან გაყრა. ზოგი მიზეზით უშვებს და ზოგი უმიზეზოდ.

ზოგან ცოლისა და ქმრის თანხმობაა საკმარისი, რომ მოხდეს განქორწინება. ,,ქრისტიანულის წესით მეუღლებრივი კავშირი დაურღვეველია, მაგრამ გაყრა სამძიმო მიზეზების გამო მაინც ხდება ყველა ქრისტიანულს ქვეყნებში. ვახტანგის სჯულში 66 მუხლში სწერია: ცოლსა და ქმარს, რაც უნდა ეჯავრებოდეთ ერთმანეთი, გაყრის ნება არა აქვთ. ხოლო ამ მუხლის შემდეგ 67-ში სწერია: ქმარს ნება აქვს მრუშობისათვის ცოლზე ხელი აიღოს.“

ზოგიერთ ტომში ნათესაობა დედით მომდინარეობს და არა მამით, შვილი იღებს დედის გვარს. რა თქმა უნდა თავდაპირველად ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან არსებობდა ქორწინების შერევა და მრავალ-ქმრიანობა.

ეს პირვანდელი წესი შემდეგ ბევრგან დარჩა. ,,ქვრივის მდგომარეობა არაფრით

განსხვავდება იმ მდგომარეობითდგან, რომელშიაც ის ქმრის ხელში არის. ცოლი თუ ქმარს ეკუთნის, ქვრივი შვილს ეკუთნის, როგორც ყოველივე მამის ნაქონები. შვილები მამის ქვრივს თავის ხასად იხდიან, თუ ის მათი დედა არ არის. თუ დედაა, შეუძლიათ მისცენ ვინმე ნათესავს. ხშირად მამის ცოლებს შვილები ბაზარში ჰყიდიან. ბევრგან ქვრივები მოვალენი არიან წესით ქმრებს დააკლან თავი."

საქსონებში, ბურგუნდებში, გერმანელებში და სხვაგან ქვრივი თავისს უფროსს შვილს ექვემდებარებოდა. ის ვერც გათხოვდებოდა და ვერც მონასტერში შევიდოდა შვილის შეუთანხმებლად.

კრებული ,,ცდა"N1,1889
ავტორი: პ. ყ-ნი

,,და-ძმა"
ლუი მირამონის მოთხრობა.
(ფრანგულითგან)

მოთხრობაში გადმოცემულია ავეირონის ერთ პატარა სოფელში დაბადებული და-ძმის ამბავი. მათი მამა, ,,მარტინ გრუკიერი, სუსტი და ავადმყოფი კაცი იყო. დედა - კი, რომელიც მეტად სუსტი ქალი იყო, ვაჟის ყოლის შემდეგ გულის ავადმყოფობით მოკვდა. და-ძმა დედას და ერთმანერთს გავდენ, თუმცა შარლი ლამაზი იყო, ჰერმანსი - უშნო".

ძმა დაზე ათი წლით უმცროსი იყო, მაგრამ დას მაინც მედიდურად უყურებდა.ძმა შარლი სუყველაფრით თავის დისაგან იყო დავალებული. ტანსაცმლით დანდაწყებული მის აღზრდამდეც. როცა ყმაწვლი ათი წლის გახდა და ყველაფერს ეცადა, რომ ძმა გიმნაზიაში მიეცა სასწავლებლად. მამამისი ბიჭის სწავლაზე უარს ამბობდა, მაგრამ ქალიშვილმა მაინც დაიყოლია და თავისი შენახული ფულიდან ძმას სწავლის ქირას უხდიდა. და ფულს სხვადახვა ეკლესიებში ნივთების კერვით შოულობდა.

ამ მოთხრობაში გადმოცემულია დის უანგარო სიყვარული თავისი პატარა ძმისადმი და ბიჭის უმადური ქცევა.

კრებული ,,ცდა"N2,1890
მთარგმნელი: მ. ფაზელი

,,ჰომეროსის ილიადა"
(ვუძღვნი კნ. ბაბო შარვაშიძის ქალს)

ჰომეროსის ილიადადან მთარგმნელს აღებული აქვს პოემის ერთი დიდი ნაწყვეტი, რომელსაც თან ახლავს სახელთა და წოდებათა ახსნა. იგი იხსნება შემდეგი სტროფით:

,,მგოსანთა ღმერთო, შეამკე აქილეს პელეიანი,
მწყრალი, ვინც აქაელევსა ათასი მისცა ზიანი,
მრავლად დახოცა მებრძოლნი; ამოხადა რა სულები,
წყვდიადს აიდში შთააგდო; სახელოვანთა ლეშები
საზრდოდ ძაღლთა და ყორანთ ყო: აღსრულდა ზევსის ბრძანება".

აქედან ჩამოვარდნილი მტრობა მეფე ატრიცა და აქილევს შორის დაიწყო და ორი ძმობილი ღმერთმა ერთმანეთს სამუდამოდ წაჰკიდა.

კრებული ,,ცდა“N3,1891
ავტორი: სილოვან

,,ქალი“
(ვუძღვნი თ-დის მ. ლ-ძის ასულს თეოდოსიას)

ლექსში ავტორი ახასიათებს იმ ქალს, რომელსაც ღვთაებრივ სახესთან ერთად სათნო სული აქვს და თავის სინაზეს, კდემამოსილებას იჩენს მამაკაცის მიმართ. ზრდის საუკეთესო შვილებს სამშობლოს დიდი სიყვარულით. ფარვანასავით დატრიალებს ოჯახს და მისი სათნოებით იგი ყველა ადამიანის დამატკბობელია:

,,ქალი ის არის, წმინდა გრძნობებით
ვინც გვასპეტაკებს გვამხნევებს მარად,
ვინც ჩვენს დატანჯულს, შეწუხებულ სულს
მოევლინება დავითის ქნარათ!“

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932)

ქალთა წრის, ,,მასწავლებელ ქალთა საზოგადოების“, მოხუც პედაგოგ ქალთა თვის თავშესაფარისა და ქალთა დაწყებითი სასწავლებლის დამაარსებელი. ჟურნალ ,,ჯეჯილის“, გაზეთ ,,კვალის“ რედაქტორ-გამომცემელი. საზოგადოება ,,განათლების“ პირველი დამფუძნებელი. მწერალი და მთარგმნელი.

ანა მესხი (1851-1919)

მთარგმნელი, ქართული ხალხური სიტყვიერების შემგროვებელი, მსახიობი. ,,ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი.

„აკაკის
თვიური კრებული“ . 1897-1900. ტფილისი-ქუთაისი. რედაქტორ-გამომცემელი - აკაკი წერეთელი. სალიტერატურო ჟურნალი.
სულ გამოვიდა:
1897 წ. N1 (სექტემბერი); 64;47 გვ.8
N2 (ოქტომბერი); 112, 49 გვ.8
N3 (ნოემბერი); 48. 64, 57 გვ.8
N4 (დეკემბერი); 51, 112, 48 გვ.8
1898 წ. N5 (იანვარი); 58, 64; 54 გვ.8
N6 (თებერვალი); 56, 75; 38 გვ.8
N7 (მარტი); 69, 38, 64 გვ.8
N8 (აპრილი); 137, 34 გვ.8
N9 (მაისი); 53, 40, 62 გვ.8
N10 (ივნისი); 31, 41, 82 გვ.8
N11 (ივლისი); 72, 82, 2 გვ.8
N12 (აგვისტო); 47, 58; 65 გვ.8
1899 წ. N1(იანვარი)- N12 (დეკემბერი); თით. 144 გვ.8
1900 წ. N1(იანვარი); 104, 40 გვ.8
N2 (თებერვალი); 128, 48 გვ.8
N3 (მარტი); 132, 48 გვ.8
N4 (აპრილი); 128, 40 გვ.8
აკაკის ნაწერების გარდა ჟურნალში მოთავსებულია ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებნი: თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები და სხვ. საისტორიო, საეთნოგრაფიო და კრიტიკული წერილები.

,,აკაკის თვიური კრებული“ N1, იანვარი, 1899.
ავტორი: ვინმე მესხი

,,შვიდ-ფერობა, ახალ წელი და ბედობა“

სამესხეთოში წარმართობიდან მოყოლებული სამი მნიშვნელოვანი დღესასწაული აღინიშნებოდა, რომელთაგან პირველი გახლდათ: ,,შესანიშნი დღე წლის დასასრული

დღე იყო, ენკენისთვის წინა დღე, რომელსაც შვიდფერობის დღედ ამბობდნენ ჩვენი წარმართნი წინაპარნი: იმ დღეს შვიდ ფერად შემოსავდნენ თავიანთ კერპებს, თავიანთ წვრილ შვილს, თავიანთ სახლობასა და შვიდფერ საჭმელ-სასმელს მოამზადებდნენ თავიანთ შეძლებისამებრ, და შვიდ-შვიდი მოსახლე შეიკრიბებოდნენ ერთად იმ დღეს, სადილ-ვახშამზედ სალხინოდ!“

ვის სახლშიც ღრმა მოხუცი გახლდათ, სწორედ იქ შეიკრიბებოდნენ მოსალხენად. სტუმრებს სამფეხა სკამზე დასკუპებული დახვდებოდა მხცოვანი ოჯახის უფროსი. იგი მოსულებს ასე დალოცავდა: ,,მზემან გაბრწყინოს, სული, გული გაგითბოსთ, გაგაძლიეროს და ჩემს დროთ მოგყაროსთო!“

სტუმრები სკამებზე დასხდებოდნენ თავიანთ თანატოლებთან. მოხუცი მოხუცებულთან, ვაჟკაცები ვაჟკაცებთან და ყმაწვილები - ყმაწვილებთან. ასეთ წყებათ ჩამწკრივდებოდნენ ქალებიც. შემოიტანდნენ ხონჩებზე გაწყობილ შვიდ ფერების ტკბილეულობას, ხორცეულობას და ხილეულობას.

მოლხინე სახლის პატრონი იყო და პირველ სუფრულსაც ის შემოუძახებდა:

,,დავბერდი, მშვილდი ძირს დავდევ,
მაღლა მთაში ძევს სადამე,
დალპება, ქერქი გასძვრება,
არ მიადგება მზე სადმე.“

უწინდელი ქართველები მაღალ მთის წვერზე იმარხებოდნენ, სადაც საკერპოები ჰქონდათ. სუფრასთან გაიმართებოდა ხოლმე ხალხური ლექსებში შეჯიბრი, სადაც ერთმანეთს ეპაექრებოდნენ შუახნის მამაკაცებიც და ყმაწვილებიც.

დღეს, ძველ წელს წყევლა-კრულვითა და გინებით ეთხოვებიან ჩვენი მწერლები. ისინი ახალ წელს ცრუ იმედებით, ცარიელი სიტყვებით ეგებებიან და არა ,,გულიანის“ მართალის საქმეებითა - რაც ცხადი ნიშანი არის ღვთის მსახურებაზე გულაგორებისა და გაგრილებისა.“

მეორე შესანიშნავი დღე არის ახალი წელი, სახელწოდება იესო ქრისტე უფლისა. დილიდანვე მთელს ოჯახში ყველანი მხიარულად იღვიძებენ და შვილებს დედა ან მამა უცეცხლო თაფლში ჩაწობილ პურის ხევსს მიართმევენ და ტკბილ დაბერებას უსურვებენ. გლეხები თავიანთ პირუტყვსაც არ ივიწყებენ და სარჩო-საკენკს მხიარულად მიაწვდიან შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს. თანაც გულით დალოცავენ.

სტუმრად მისულები ყმაწვილი კაცი ან ქალი სალმის მიცემის შემდეგ ასე ლოცავდნენ მასპინძლებს: ,,ქებული იყოს უფალი ჩვენი იესოს სახელი და ამბობს: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისაო და მიართმევს ტკბილეულს საკვლეველსა ხილეულიანად. სახლში დამხვდომიც დიდ მადლობას ეტყვიან, გამოემშვიდობებიან და დასმენ პატივისცემით, მიართმევენ საკვლეველსა“.

სტუმარს გამომშვიდობებისას ტკბილეულითა და ხილეულობით აუვსებდნენ ჯიბეებს.

ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსმენის შემდეგ მღვდელი ულოცავს ერს ახალ წელს.

შემდეგ მეგობარ-ნათესავები ერთმანეთს ეწვევიან სალხინოთ. ,,სოფლებში მშვენიერად დაცულია მამა-პაპური ჩვეულებანი, ახლანდელი ქალაქ დაბების შემოსული ევროპიული მსუბუქი მოდები ვერ შეედრებიან ადგილობრივს კეთილ წესიერებათა“.

მაჰმადიან მესხებსაც ახსოვთ ქრისტიანული ჩვეულება-დღესასწაულები, რომლებიც წმინდათ ასრულებენ შვიდ-ფერობა დღეს, ახალ წელსა და ბედობის დღესაც.

მაჰმადიანი მესხები დღეს, რომლებიც ბინადრობენ აწყვრის მაზრაში, ქვაბლიანის, ხერთვისისა და კახეთის სოფლებში შერეული მაჰმადიანები არიან ქრისტიანების სოფლებში. ისინი ლხინს ერთად აღნიშნავდნენ. ოსმალოს შემდეგ რუსების შემოსვ–ლიდან ორმოცი წლის განმავლობაში ოშორელი მაჰმადიანები ხიზაბავრელებთან ერთად შეერთებული დადიოდნენ თურმე ალილოზე ქრისტიანების სოფლებში. მათ კარგად იცოდნენ სუფრული ქართული გალობანი და მოძახილი მაყრული.

მესამე მნიშვნელოვანი დღე ქართველის ცხოვრებაში იყო ბედობის დღე, ახალი წლის მეორე დღე. ,,ამ დღეს ყოველი კაცი, ქალი, მოხუცებული, ბებერი, ზანტ-ზარმაცი თუ საპყარი, დიდი, პატარა სულ მოძრაობაში და საქმეში არიან, ამბობენ უსაქმურობა არ დაგვებედოსო. ერთმანეთს აგულიანებენ, მეტად ფრთხილობენ, რომ

არავინ დასძრახონ, არც გაჰკიცხონ, პირითგან უპატიური სიტყვა არ წაიცდინონ, ბევრი არ ილაპარაკონ და არც იჩხუბონ რამეზედ.“ ერთი სიტყვით კაცი თუ ქალი თავშეკავებულად ატარებს ბედობის დღეს. თავშეუკავებელ ადამიანზე არის ნათქვამი ,,ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“.

,,ძველთაგანვე ხმარებულია სვე-ბედი, რომელიც მოგვაგონებს სვეტს ბედთანა. თქმა არის, წარმართნი ბედის მომასწავებლად ქვის სვეტებს არჭობდნენ; მართლაც ბედის ძეგლს თვალ-ახვეულს აკეთებდნენ წარმართნი, ხელთ ეპყრა თხის რქა უხვების ნიშნად და იდგა ფრთებიან ქვეყნის გუნდზედა. სწორედ ამისთანა არის ხიზაბავრისა და თოკის სოფელს შუა მდებარე ნასოფლარი წერუნტა (წერაყუნტა), აქ დღესაც სჩანს მისთანა ქვა, თავპირ მომტვრეული, რომელიც ჩვენ წარმართ წინაპართ დიდ საწამებლად ჰქონიათ.“

ასეთ ბედ-იღბლის სვეტებს ეგვიპტელებიც ხმარობდნენ. იმ ქვეყნებში სადაც ისინი გაიმარჯვებდნენ სვეტებს დადგამდნენ დედაკაცის ასოს გამოხატულებით. ხოლო თუ დამარცხდებოდნენ ქვის სვეტზე გამოაქანდაკებდნენ მამაკაცის ასოს. სწორედ ამნაირი სვეტი დგას დღესაც ჯავახეთში, ახალ ქალაქის მახლობლად სოფელ მერჯახეთში.

,,ქრისტიანობის დროს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სვე-ბედსა თუ კაცის წერასა, ცარიელი სახელია. ყოველი კაცის ბედი, წარმატება მისავე ხელშია: გამრჯე, გამაცადი, გონება-ხსნილი, გამჭრიახი კაცი, მუდამ ბედნიერი იქმნება; ზანტი, ზარმაცი, მოზარული და უნაღვლო კაცი მუდამ უბედურად იცოცხლებს და არსაც მოეწყობა ხელი. საზოგადოდ ღვთის მოშიში, ღვთის მსახური კაცი თავის მოვალეობას ოჯახობას, საქმე-ყოფას არაოდეს არ უღალატებს.

თავის გარჯის დაგვარ რასაც ღმერთი მისცემს სიმართლის გზით, მიიღებს კმაყოფილებით“.

გაუმაძღარი მდიდარი ადამიანები, რომელიც თავიანთ ცხოვრებას სააქაოშიც ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წვალებაში ატარებენ არც თავს არგიან, არც ნათესავს და არც ქვეყანას.

ყოველდღიური გარჯით ლუკმა-პურის მომპოვებელი მუშა უკეთესად ცხოვრობს ვიდრე ანგარებიანი მდიდარი.

,,აკაკის თვიური კრებული“ N2, თებერვალი, 1899.
ავტორი: აკაკი

,,ქართული ლეგენდები“

რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ხანდახან იწერებოდა წერილები ,,გულბათის“ სახელით, რომელიც დღეს ცალკე წიგნად გამოიცა სახელით ,,ქართული ლეგენდები“. ,,გულბათი“ არის ფსევდონიმი და ავტორს არ სურდა მისი გვარ-სახელის გამომჟღავნება. მის შესახებ მხოლოდ ერთი რამ უნდა ვაღიაროთ: ,,ის არის ქართველი, დიდი ჩამომავლობისა და ოჯახის ასული, რომელიც რუსეთში დაბადებულა, იქვე გაზრდილა და რასაკვირველია, ქართული დედა-ენა ვერ შეუსწავლია. მაგრამ უცხო ენებიდან კი რაც გაუგონია და გაუგია მისი სამშობლოს შესახებ, უყურადღებოდ არ დაუგდია - გულსმოდგინებითა და სიყვარულით უდევნებია თვალ-ყური. შეუსწავლია უფრო, რასაკვირველია, წარსული ჩვენი ცხოვრება და იმ ძველიდან გამოუკრებია ეს ,,ქართული ლეგენდები“.

ეს ,,ლეგენდები“ დაიბეჭდებიან ჩვენ ,,კრებულში“ დრო-გამოშვებით.

წიგნი გადმოაქართულა ალექსანდრა მაკარის ასულმა კნეინა მელიქოვისამ. მის კალამს ეკუთვნის ასევე ნათარგმნი დრუჟინინის მოთხრობა ,,პოლინკა საკსი“,

რომელიც ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა.

ამით მინდა შევახსენო იმ ცდომილ,ქართველ ძველი ოჯახის ასულებს ერთი რამ, როცა ,,თავმომწონეობით გაიძახიან: ,,ჩვენ კარტული არ ვიცით!" ,,რად გვინდა კარტული!" და სხვანი, რომ გვარიშვილობა და ხარისხი არა თუ დამცირდება მშობლიურთან დაახლოებით, პირიქით ამაღლდება: შინაურობაში სიყვარულს მოუპოვებს და გარეთ პატივისცემას. - და მართლაც, ვისაც მამა-პაპებიც არა სწამს - რა, შინაურები ეჯავრება, თავის საკუთარ ოჯახის გარეწარია, განა იმას შეუძლიან სხვისი სიყვარული და გარეშესთან გულ-მართლად შეკედლება?!"

უგულო ადამიანს არაფერი სიკეთის გაკეთება არ შეუძლია. ამის დასტურია ამ ორი ქალბატონის მაგალითი. ,,ერთი მათგანი სამშობლოს გარეთ დარჩენილან, მაგრამ იმ სიშორედან კავშირი არ გაუსხლეტია, და ქართულად უძგერია მის გულს! მეორე მაღალ საფეხურზე ასულა, მაგრამ აქაც კიდევ, დაუჯდომელად გაუხდია ის დედაენა, რომლითაც ღაღადებდენ ნინო, თამარ, ქეთევან და ჩვენ ძველ დედათა გუნდი".

,,აკაკის თვიური კრებული" N3, მარტი, 1899.

,,ნეკროლოგი"

ამ წლის 22 იანვარს გარდაიცვალა მელქისედექ ფაღავას მეუღლე, რომელიც ზუგდიდის მაზრაში, სოფელ ზანას მკვიდრის აფაქიძის ოჯახში იყო აღზრდილი. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მთელი ქუთაისი შეძრა. ,,ის იყო ერთი უკანასკნელ ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქართველ ქალებისა, რომელნიც დრო და ვითარებას დღეს ჩვენთვის საოცნებოდ გაუხდია!... ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი, ქვეყნის ერთგულ-მოყვარული, ქმარ-შვილისათვის თავდადებული, დარბაისლურად ზრდილი და საუბრის დროს ტკბილ-მოქართულე, მართლა რომ მადლსა ჰფენდა გარემოს".

მართალია, იგი არ გამოირჩეოდა დღევანდელი თვალ-საჩხირო ღირსებით, მაგრამ მას განუშორებლად ყოველთვის ეწერა სახეზე: ,,მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებაო!"

ბატ. ილია პონტელმა წერილი უძღვნა მის ხსოვნას, რომელიც კრებულში დაიბეჭდება.

,,აკაკის თვიური კრებული" N3, მარტი, 1899.

,,სასიქადულო ქალის ხსოვნას"

უცნაურად არის ადამიანის ბუნება მოწყობილი. ღირსეულს, სათაყვანო ადამიანს სიცოცხლეში თაყვანს არ ვსცემთ, მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ სხვათა წასაქეზებლად საქებარ ადამიანს დაფნის გვირგვინით შევამკობთ.

საერთოდ, ყველა ადამიანი პატივისმოყვარეა და მათი მოღვაწეობაც უპირველესად პატივის მოსახვეჭად არის მიმართული.

იმასაც ამბობენ, რომ გენიოსები ამ ქვეყნის წამიერ დიდებას, სახელს არაფრად აგდებენ. ისინი მხოლოდ ზეცისა და უკვდავების შესახებ ოცნებობენო. ეგ მართალია, მაგრამ ჩვენი ცხოვრება მარტო გენიოსთა ცხოვრებით არ წარიმართება.

,,ერის ყოველდღიურ ცხოვრებას აცისკროვნებს ცხოველმყოფელის შუქით მუდმივი მოღვაწეობა იმ ადამიანთა, რომლებიც გენიოსებად არ ჩაითვლებიან, მაგრამ პირადი ზნეობრივი ძალა აძლევს მათ უპირატესობას ბრბოს წინაშე და ბრბო ხომ უმეტესობას

შეადგენს თითქმის ყველა საზოგადოებაში.“

სწორედ, ამისთანა მოღვაწეს უნდა ვცემდეთ სიცოცხლეში პატივს, მაგრამ ზოგჯერ გვრცხვენია აღტაცების გამოთქმა ღირსეული კაცის შესახებ, რადგან ვინმემ ბავშვური გულუბრყვილობა რომ არ დაგვწამოს. ამის მაგალითია სამი დღის განმავლობაში ქუთაისის ქართველი საზოგადოების გულისტკივილი და მწუხარება უდროოდ გარდაცვლილის დარია ფაღავას გამო: ,,სახე ხომ სარკეა ადამიანის სულისა და მართლაც დარია ფაღავას სახე ნამდვილი სარკე იყო უმანკო, შეუბღალავის სულისა; დარიასთანა სათნოების გამომხატველი ქალის სახე დღეს ჩვენში იშვიათად მოიპოვება. ან რა საკვირველია, რომ სათნოების ელფერი ჰქონოდა იმ ქალის სახეს, რომლის სარწმუნოებრივი გრძნობა, ღვთის მიმართ სასოება მართლა რომ სამაგალითო იყო ჩვენის დროისათვის. ბევრი რამ კარგი მოგვიტანა ახალმა დრომ განათლებით და საზოგადო განვითარებით, მაგრამ, ამის და მიუხედავად, ზოგჯერ ძალიან მწარედ ვტირით. ვტირით მისთვის, რომ არ გვასვენებს ,,სული ურწმუნო“...

ჭეშმარიტად იმ ,,ვაგლახ დედას შვილი არ ჰყვარებია“, რომელსაც შვილის გულში მამულის სიყვარულთან ერთად სარწმუნოებრივი, ქრისტიანული გრძნობა არ ჩაუღვენთებია. ის დედა მტერია შვილისა, რომელსაც ბავშვის აღზრდის საფუძვლად სარწმუნოებრივის გრძნობის ვითარება არ მიაჩნია.ამისთანა დედა უმზადებს საზოგადოებას ,,სულით ურწმუნო, გულით უნდო“ წევრს, რომლისაგანაც არ გამოვა რა... მართალია, დარია ფაღავას არ მიეღო ჩვენი დროინდელი განათლება, მაგრამ იმოდენად ნაკითხი იყო ქართულს ენაზედ, რომ გონების განვითარება ნებას აძლევდა მას შეგნებულად ეყურებინა სარწმუნოებისათვის და ცხოვრების დედა-ბოძად გაეხადა ის.“

ქუთაისის მთელმა საზოგადოებამ იმდენად განიცადა ამ სათნო ქალის გარდა–ცვალება, რომ ქალაქის თეატრში დანიშნული წარმოდგენაც გადაიდო და ცნობილი მსახიობი ალექსი მესხიშვილი თავის მსახიობებთან ერთად მის გასვენებას დაესწრო. ყველაზე საკვირველი იყო მოზარდი ახალგაზრდობის გულისტკივილი, რომელთაც მისი კუბო მიჰქონდათ. იქნებ ბევრმა იკითხოს, - რა დამსახურება მიუძღოდა ამისთანა ერთ გაუნათლებელ ქალს და რატომ მიაგო საზოგადო მოღვაწეებმა მას ამისთანა განსაკუთრებული პატივი?

ამაზე პასუხის გაცემა ძალზე ადვილია: ,,მარტო ლიტერატურის მოღვაწეობით არ აღიწერება ქალის ღირსება? ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში ქალის მოღვაწეობის ასპარეზი ერთობ ვიწროდ არის შემოფარგლული. რად უნდა დავემდუროთ ჩვენს ქალებს, როდესაც კაცებს უფრო ფართო სარბიელი აქვთ ცხოვრებაში და მაინც ბევრი ვერაფერი გაუკეთებიათ! მე დიდად ვაფასებ ქალის ზნეობრივს გავლენას კაცის ცხოვრებაზედ და ისიც საკმარისად მიმაჩნია ჩვენს დროში, თუ ქალი თავის ღვთიურს დანიშნულებას ერთგულად და პირნათლად ემსახურება. ეგ ღვთიური დანიშნულება გამოიხატება მეუღლეობითა და დედობით. ის ქალი, რომელიც ამ დანიშნულებას არ გაურბის და ზნეობრივ საფუძვლად გახდომია ოჯახს, თაყვანისცემის ღირსია.“

დარია ფაღავაც სწორედ ამ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება.

,,დღევანდელი ჩვენი საჭიროება“

ჩვენში ბანკის დაარსება თავისი სახაფანგო წესებით, მხოლოდ წამხედურობა იყო და სხვა არაფერი. უხსოვარი დროიდან საქართველო სამხედრო ბანაკად იყო ქცეული და მისი შვილები - რაინდ მეომრები, ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდენ.

სააღებ-მიმცემო ანგარიში მათი საქმე არ იყო. ვაჭრობა მხოლოდ სომხებისა და ურიების საქმიანობას წარმოადგენდა და მათში თითო-ოროლა ქართველი თუ იყო ჩარეული, რადგან ხეიბრობის გამო ომში ვეღარ გამოდგებოდნენ.

აღებ-მიცემობას თავისი შკოლა და ტრადიცია უნდა. სომხებმა და ურიებმა იცოდენ ფულის გემო, მიჩვეულნი იყვნენ ძველიდანვე მოხმარებას. ქართველი კი ამ საქმეში ყოვლად ხამი იყო და დღეს ამისთანა ხალხს ბანკმა მისცა შემთხვევა, რომ ფული ხელში ჩაეყარა. ამ საქმემ პირველად ქართლ-კახეთი ჩაითრია და მერე იმერეთი.

ჩვენში მტრობა, ერთობა-კავშირის დარღვევა სწორედ ბანკმა ჩამოაგდო. ბანკის საქმე დღევანდელ დღეს ჩვენს უგუნურობას უმართავს ხელს და მასთან ერთად საქალაქო არჩევნებიც. ბანკიდან მიღებული ფული საჭიროებს გონივრულ მოხმარებას. ,,საზოგადოებამ ბანკიდან მისაღები ფული საზოგადო საჭიროებისათვის გადასდვა ერთხმად და ერთ პირად. ყველა იმ აზრზე დგას, რომ სწავლა-განათლებას უნდა მოხმარდესო. მაგრამ რა გვარი უნდა იყოს ის სასწავლებელი და ან როგორ უნდა მოხმარდეს, ეს ჯერ კიდევ არ დაუსახელებიათ.“

ჯერ კიდევ ფულის შესახებ გადაწყვეტილი არ იყო არაფერი, რომ ხალხში სხვადასხვა ჭორი გავრცელდა. ზოგი რას თხოულობდა და ზოგი რას. ფულით ყველას დაკმაყოფილება ბუნებრივია შეუძლებელი იყო. და ამიტომაც ,,გონიერება მოითხოვს, რომ უსაჭიროესი ავირჩიოთ და უკეთესს მოვახმაროთ!... ეს უკეთესი ჯერჯერობით იქნება - ქალების აღზრდა. სახლი როგორც უნდა გაანათო ელექტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ ექნება.

რაც უნდა განათლებული იყოს ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარი იქმნებიან!

აბა რა ქართველ - ქალობა უნდა გასწიოს იმან, ვისაც ,,ქრისტე აღდგაც“ კი არ ეხერხება,რომ ქართულადა სთქვას; ყველაფერი იცის გარდა თავის ქვეყნისა...

დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ - ქართველ ქალებთან, იმ ნამდვილ ცოლ-დედებთან, მისატოლებელი კი არა, სახსენებელიც კი არ არიან. საჭიროა, რომ ცოტათი მაინც მივამსგავსოდ ძველებს და ისეთი სასწავლებელი დავაარსოთ, რომ ნაკლი შეუვსოთ.“

ჯერჯერობით ზეცაში ყურებას და პოტინს სჯობია დღევანდელი მოთხოვნილება გავითვალისწინოთ. თუ უწინდელ დედებს თავის შვილების გაზრდა და განათლების მიცემა სახლში შეეძლოთ დღეს რატომ არის ეს პრობლემა.

მთავარია დამახინჯებული აღზრდა მომავლისათვის საიმედო გზაზე დავაყენოთ.

,,ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!! ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა მისთანა უსაქმური და მხოლოდ წარამარად მოლაქლაქე თავხედი კუდაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ როდესმე, არც უთესიათ“.

დასასრულ გვინდა მოვიყვანოთ ბანკის ყოფილი მმართველის განსვენებული ბესარიონ ღოღობერიძის დანაბარები: ,,ჩვენ იმედი, გვაქვს იმერლების წინდახედულობისა და შორსგამჭვრეტელობის“, რომ ,,ბანკიდან გამოტანილ ფულებს კეთილად ასარგებლებს და მოგებიდან ნახევარს მაინც გადასდებს საქალებო სასწავლებლისათვის“.

„გრდემლი“. 1907. ყოველკვირეული გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ. - ალ.პ. ჩილაევი. (ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა). 1907 წლის N1 (25/II), N3 (11/III); თით. 8 გვ. In F. ეროვნული და ლიბერალური მიმართულების ორგანო; თანამშრომლები ურო (ექ. ვას. წერეთელი), ს. ჯორბენაძე, ინ-რე-ჟან (?), გურულ-მეგრელი (?) და სხვ.

გაზეთი ,,გრდემლი“ N2, 26 თებერვალი, 1907
ავტორი: მოსწავლე

,,სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“

სტატია ეხება იმდროინდელი სკოლის პრობლემურ საკითხებს, სადაც მოღვაწეობდნენ მასწავლებელი მამაკაცები და ქალები. ავტორი სვამს კითხვას რა იყო სკოლის უმთავრესი პრობლემები და მიზეზები, რაზედაც გამოთქვამს თავის აზრს: ,,სკოლა, ასე ვსთქვათ, სარკეა ცხოვრებისა და მაშასადამე, თუ კარგათ არის დაყენებული სკოლის საქმე, პირიქით კარგი არის საზოგადოების ურთიერთობრივი განწყობილება. აქედან ცხადია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სკოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე. მაგრამ დაიწყო თუ არა განმათავისუფლებელი მოძრაობა, სკოლებს სხვა ელფერი მიეცა. მოსწავლე ახალგაზრდობა გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს მჩქეფარე ცხოვრების გაძალებულ მაჯის ცემას...“

ბუნებრივია, სკოლაც მშრომელ ხალხთან ერთად იღებდა მონაწილეობას საერთო ფერხულში. დადგა თუ არა ,,1905 წლის ოქტომბერ-ნოებრის ღირსშესანიშნავი დღეები და შეიქმნა გაცხარებული მუშაობა სკოლების რეორგანიზაციის შესახებ. აქ შესდგა კომისია სამოსწავლო საგნების შესამუშავებლათ. იქ სკოლების ავტონომიის საკითხს სწყვეტდენ, აქ პოლიტიკანობასა და რუსიფიკაციას აკვეცდენ ფრთებს, იქ საფუძველს უყრიდენ დედა-ენაზე საგნების სწავლებას. აქ წესს უგებდნენ სამღვთო სჯულსა და ძველ ენებს, სამაგიეროდ ქადაგებდნენ ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის საჭიროებას სკოლებში.“ ერთი სიტყვით სკოლებში უნდა მომხდარიყო გარდაქმნა და განახლებული ცხოვრება, მაგრამ იანვრის სუსხმა ყველაფერი დავიწყებას მისცა.

ცუდი ამინდი დაუდგა სკოლაში დაწყებულ შემოქმედებით მუშაობას. მან სწავლების საქმე მართალია გამოსტაცა ძველ რეჟიმს, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ მიიყვანა თავის ლოღიკურ დასკვნამდე. სკოლა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთის მხრით, მასში შეანათა ახალმა შუქმა და ის ხავსი, რომელიც მოჰკიდებოდა სკოლას მრავალი წლის განმავლობაში, ცოტათი ჩამოეცალა; გაიწმინდა ატმოსფერო და მოსწავლეებმაც ცოტად თუ ბევრათ თავისუფლათ ამოისუნთქეს.

რეაქციის წლებმა თავისი გავლენა კვლავ იქონია სკოლებზე და მაშინ ისევ ძველი რეჟიმი გამეფდა. სკოლა ისევ დაეცა, როგორც გონივრულად ისე ზნეობრივათაც. ავიღოთ თუნდაც გიმნაზია. რას ასწავლიან იქ? არაფერს. ძველი ენებიდან მოსწავლეები მხოლოდ ბრმად სწავლობენ და არაფერი გაეგებათ. ზნეობრივი აღზრდის მხრივ სკოლა არარაობაა.

,,მოსწავლეთა გონებრივ მოთხოვნილებებს ის ვერ აკმაყოფილებს, ზნეობრივ აღზრდას ყურადღებას არ აქცევს. მაშ, რას წარმოადგენს დღევანდელი სკოლა? ის მხოლოდ პოლიციურ-ბიუროკრატიული დაწესებულებაა, მასში არ ბჟუტავს წმინდა ლამპარი განათლებისა, ის არ არის ტაძარი მეცნიერებისა, რომელსაც ხარბათ უნდა დაეწაფოს მოსწავლე ახალგაზრდობა“.

„ცისკარი“. 1907. ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. ოფიციალური რედ.-გამ. ალ. კოხრეიძე. 1907 წ. N1 (16/IX) – N11 (25/XII); თით. 16 გვ. 4. სოც.-დემ. მიმართულების ორგანო; თანამშრ: ივ. გომართელი, გრ. ნასარიძე, ობჩელი (ვარლამ ბურჯანაძე), ბელზებელი (იასონ ნიკოლაიშვილი) და სხვ. ,,ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა ქუთათური კვირეული ,,ცისკარი“, რედაქტორი დაჯარიმებულ იქნა 500 მანეთით“ (,,ისარი) 1907, 4 დეკემბერი N367).

გაზეთი ,,ცისკარი“ N4, 7 ოკტომბერი, 1907

,,სხვადასხვა ამბები“

გაზეთი ,,ცისკარი“ სხვადასხვა ამბებში მოგვითხრობს: ,,21 ოკტომბერს, შუადღიდან, ,,სემეინიი სად“-ში გაიმართება ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ სეირნობა და ლატარია - ალეგრი“.

გაზეთი ,,ცისკარი“ N10, 18 ნოემბერი, 1907
ავტორი: თამარ გოგოლაშვილი

,,დეპუტატი ქალები ფილეანდიის სეიმში“

მთელ ევროპაში ფილეანდიამ პირველმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე და პირველმა მიანიჭა ქალებს, კაცებთან ერთად ხალხის წარმომადგენლების ცენტრალურ ორგანოში არჩევის უფლება. კაცებისა და ქალების უფლებრივი თანასწორობის მიზნით ,,ფინლიანდიელი ქალები თვითონაც ირჩევენ და მათაც არჩევენ ხალხის წარმომადგენლებათ. დიდი ძალა და ენერგია შეალიეს ფინლიანდიის ქალებმა პოლიტიკურ უფლებისათვის ბრძოლას.

1892 წლიდან ქალთა კავშირები გამწვავებულ აგიტაციას ეწეოდენ მცხოვრებთა შორის პოლიტიკურ უფლებების მოპოვებისათვის“.

სქესის თანასწორობას, ფინლიანდიელ ქალთა განცხადებით, ხელი შეუწყო შერეული სკოლების არსებობამ, სადაც ქალები და კაცები ერთად სწავლობდნენ. აგრეთვე გელსინგფორსის უნივერსიტეტმაც, რომლის კარები დიდი ხანია ქალებისათვის ღია იყო. 1906 წელს, 28 მაისს, ფინლიანდია შეუდგა სეიმის არჩევნებს, განურჩევლად სქესისა. ეს კანონი იმავე წლის 6 ივლისს შევიდა ძალაში. ,,1907 წ. თებერვალში ფინლიანდია შეუდგა სეიმის არჩევნებს ახალი საარჩევნო კანონის ძალით. საგულისხმოა, რომ ქალებმა უფრო მეტი, უფრო მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, ვიდრე კაცებმა“. დღეს, ფინლიანდიის სეიმში 19 დეპუტატი ქალია.

„შინაური საქმე“. 1908-1915. ყოველკვირეული გაზეთი. ქუთაისი.
რედ: მღვდელი სიმონ მჭედლიძე; გამომც. - იოსებ ლეჟავა. ქართველი სამღვდელოების კვირეული; აშუქებდა საეკლესიო და ზოგად რელიგიურ საკითხებს. სულ გამოვიდა:
1908 წ. N1 (13/IV) – N30 (25/XII); თით. 16 გვ. In 4
1909 წ. N1 (?) – N22 (?) თით. 16 გვ. In 4
1910 წ. N1 (3/I) – N33 (24/XI)
1911 წ. N1 (?) – N35-38
1912 წ. N1 (1/I) – N45 (23/XII)
1913 წ. N21, N22..?
1914 წ. N1 (2/III) – N6 (31/V)..?

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N2, 20 აპრილი, 1908

,,საქველმოქმედო საღამოები ქუთაისში“

დღეს ქუთაისში ტრადიციათაა ქცეული ღარიბ-ღატაკ ბავშვებისათვის საქველმოქმედო საღამოების ჩატარება, რომელსაც თავისი უარყოფითი მოვლენებიც ახლავს. საქველმოქმედო საღამოზე გამგეებად თვით გიმნაზიელები არიან მოვლენილნი. სტუმრებს შორის მასწავლებელთა გარდა მოსწავლე-ახალგაზრდობაც იმყოფება. ,,ვინ კარტს თამაშობს, ვინ ლოტოს, ვინ სვამს, ვინ ქეიფობს... აღარ არის გაგება“. საქველმოქმედო საღამოზე ყველაფერი ღვინო და სხვადასხვა საჭმელები მამასისხლად იყიდება და ყველა ეს ,,ძალიან კარგი და მეტად ჭკუის მასწავლებელი და გონების განმავითარებელია ახალგაზრდა ვაჭრებისათვის! ისინი უცდიან შემდეგ სავსებით ისარგებლონ ამ გაკვეთილით“.

საღამო იმით მთავრდება, რომ მოსწავლეებს ხელით გაყავთ მთვრალი მასწავ-ლებლები, რომლებსაც გუნებაში დასცინიან. ,,ბავშები ერთმანეთს ეშმაკურად თვალს უქნევენ და მასწავლებლისაკენ ღიმილით თითს იშვერენ. მასწავლებელი გრძნობს თავის უხერხულ მდგომარეობას, ცდილობს თავი შეიმაგროს სიმთვრალე არ შეიმჩნიოს, მაგრამ ამაოდ - ვერ ახერხებს და ეს უფრო სასაცილოდ ხდის მის მდგომარეობას“. საქველმოქმედო საღამოების მაღალ დონესა და ეფექტურად ჩატარებისათვის, რათა მას ღრეობის სახე არ ჰქონდეს, ეფექტური იქნება თუ ასეთი საღამოები მოეწყობა ნებაყოფლობითი საწევრო გადასახადის ფორმით. მსგავსი ღონისძიება ცუდი მაგალითებისაგან გადაარჩენს მის მონაწილეებს და ქველმოქმედება უფრო მართებული იქნება. ,,ამ საქმეს ხელი უნდა შეუწყონ უმეტეს თვით მოსწავლეების მშობლებმა, რომელთა პირდაპირი ინტერესია დაიცვან თავის შვილები საღამოების ცუდი გავლენისაგან“.

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N7, 25 მაისი, 1908
ავტორი: უკიდურესი

,,ჩვენი სასულიერო სასწავლებლები“

ჩვენი უბედურებაა ის, რომ არაფერი გვივარგა, არც სავაჟო სასწავლებელში და არც საქალებოში. ეს უკანასკნელი სასწავლებელი ხომ სულ წყალწაღებულია. საქალებო სასწავლებელში სწავლის საქმე უბედურათაა წასული. პროგრამა ვრცელია, ქალებიც უნიჭოები არ გვყვანან და მაინც ვერ ახერხებენ ორი ღერი სიტყვა რუსულად ერთმანეთს წააბან.

,,ქართული რომ ქართულია და ამასაც ვერ ლაპარაკობენ ხეირიანად, ლიტერატურულად, თუმცა ამ საგანს ფართო ადგილი უჭირავს სასწავლებელში: ,,ძმანები“, ,,დანები“, ,,აქანეი“, ,,მაქანეი“, ,,მითინ“, ,,მაგითინ“ და სხვა ამის მსგავსს ენის მარგალიტებს ხშირად გაიგონებთ ჩვენი მომავალი დედებისაგან. საზოგადო განვითარებაზე ნუღარ მკითხავთ რა გვემართება?...“

მოგვიწოდებენ მეშვიდე კლას თუ დავუმატებთ მაშინ, საქმე უფრო წინ წავა. თუ წინ წასწევს, ნათქვამია: ,,აღდგომა და ხვალეო“, ამას მომავალი გვიჩვენებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეპარხიალურ სასწავლებელს არ ჰყავს პატრონი და გულშემატკივარი.

ეს უყურადღებობა ძალიან ატყვია უბადრუკ ქალთა სკოლას, სადაც არა მარტო შენობაა მოუწესრიგებელი, არამედ ეზო კაზაკი ცხენების საჯინიბოთაა გამხდარი. სასწავლებლის მთელი ეზო და წმინდა ტაძარიც ნეხვის წუმპეში სცურავს.

,,როგორ მოვიქცეთ, რომ სასწავლებელი ავაყვავოთ, როგორც სწავლის მხრით, ისე გარეგანი მდგომარეობით? სხვათა შორის უნდა დაუყენოთ განსაკუთრებული, უზრუნველყოფილი და საქმისთვის თავდადებული ზედამხედველი ინსპექტორი.“

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N8, 1 ივნისი, 1908

,,ქორწინება თუ თავისუფალი სიყვარული?

ქორწინების მნიშვნელობა დამყარებულია არა მარტო ეკლესიის ავტორიტეტზე, არამედ ცნობილ მოაზროვნეთა შეხედულებებზეც. მიუხედავად ამისა სწავლულთა შორის განსაკუთრებით სოციალისტები არიან ქორწინების წინააღმდეგნი: ,,მათი აზრით არსებული ქორწინება დრომოჭმული დაწესებულებაა და მიტომაც გამოუსადეგარი და მოსასპობია; ეხლანდელი ქორწინება, რომელიც მიღებულია ყველა სახელმწიფოში, არის ძალდატანებითი და იძულებითი. ის არსებობს მხოლოდ ქალთა დასაჩაგვრელად. მოწინააღმდეგეთა აზრით, ეხლანდელს ქორწინებას არ უდევს საფუძვლად სიყვარული, ზნეობრივი ძალა, არამედ ეგოისტური მიზნები, - ქორწინებისგან ყველა გამოელის უთუოდ რაიმე ნივთიერს გამორჩენას, სარგებლობას. ევროპის დიდ ქალაქებში, ამბობს ბებელი, დანიშნულია დრო და ადგილი, საცა თავს იყრიან საზოგადოების უმაღლესი კლასები. მხოლოდ მისთვის, რომ გაარიგონ როგორმე ნიშნობა და ქორწინება, - ამ კრებებს შეჰფერის სახელი ,,საქორწინე ბირჟა“. აქ დიდი ვაჭრობა ხდება ქალების ფულის შესახებ“.

მაჭანკლობასა და მაშვლობას არც ბევრი სერიოზული გაზეთი თაკილობს. ისინი ბეჭდავენ საქორწილო განცხადებებს ფულისათვის. ქალები უმეტეს შემთხვევაში თხოვდებიან იმისათვის, რომ ცხოვრებაში კარგად მოეწყონ.

რადგან იციან, როცა ქალს შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, ის ეკონომიურად ძლიერია. ამიტომაცაა ჩვენში ქალები ყურადღებას თითქმის არ აქცევენ სიყვარულს.

არსებული ქორწინება ამბობენ მოწინააღმდეგენი, მოსასპობია თუნდაც იმიტომ, რომ თავისუფალი არჩევანის უფლება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ: ,,ქალის ხვედრი ეხლა მხოლოდ ისღაა, რომ უფროსობა მამის გასცვალოს ქმრის უფროსობაზე. ეს ხანდახან ადვილია, რადგანაც მოიპოვებიან კარგი მამებიც და კარგი ქმრებიც, მაგრამ ქალი შეიძლება დამოუკიდებელი იყოს მხოლოდ მაშინ, როცა ის ან საკმარისად ძლიერია, ან საკმარისად თავქარიანი, რომ არაფრად ჩააგდოს თავისი რეპუტაცია.“

ქორწინების სიკვდილამდე დაურღვევლობა მოწინააღმდეგეთა აზრით არის წყარო საზარელი შედეგებისა. ადრე, როცა კანონები ცოლ-ქმრის გაყრას კრძალავდნენ ხშირად ადგილი ჰქონდა მეუღლის მოკვლას ან მოწამვლას, ან ხელოვნურად ჭკუაზე შეშლას. დღეს, სოციალისტები მხარს უჭერენ თავისუფალ სიყვარულს, რომელსაც არ ესაჭიროება არც ეკლესიის ლოცვა-კურთხევა, არც სახელმწიფოს დაცვა. მაშინ, როცა უკანონო ქორწინება და უკანონო კავშირი უზნეო საქციელად ითვლებოდა.

ბებელს მოჰყავს ასეთი პროექტი, რომ თავისუფალი სიყვარულით დაბადებული ბავშვები საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს აღზრდით, სკოლაში სწავლითა და ცხოვრების გზაზე გამოყვანით.

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N17, 24 აგვისტო, 1908
ავტორი: ნ. მკურნალი

,,ქართველ ქალთა საყურადღებოდ“

განათლებულ ქართველ მანდილოსანთან ხანგრძლივი სჯა-ბაასი მიმდინარეობდა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში და აქვს ახლა ქალს, როგორც მეუღლეს, დედას, დიასახლისს და საზოგადო მოღვაწეს. ოპონენტმა გაცხარებული სჯა-ბასიით დაასრულა პასუხი: ,,ინტელიგენციის უმეტესობას არც კი ესმის, რისთვის თხოულობს ცოლს: ,,ყველაზე მეტი ახლანდელს დროში თხოულობს მზითევს და არა ქალს, გულით მეგობარს, მომავალს მეუღლეს. ერთი ჯგუფი ეთაყვანება სილამაზეს და ცოლს უყურებს, როგორც სასტუმროს დამამშვენებელს, ესტეტიკურ გრძნობის დამაკმაყოფილებელს. მეორე ჯგუფის თვალში ცოლი არის მიუცილებელი საჭიროება იმისთვის, რომ ოჯახი არ გადაშენდეს; გლეხობა ცოლში ეძებს მუშას და კარგს მოდგმის არსებას“.

ქალის როლზედ წარსულში ისტორია მნიშვნელოვანს არაფერს ამბობს. დღეს ქალის მდგომარეობა აუტანელი გახდა. განათლებული კაცობრიობის აზრით, ,,რანაირიც ქალია, იმნაირია ოჯახიც. რანაირია ოჯახი, იმნაირია საზოგადოებაც.

ქალი კაცობრიობის ცხოვრებაში და მის ინტელეკტუალურ მომქმედ ძალისთვის იგივეა, რაც მზის სხივი სულიერ არსებისათვის“.

საერთოდ ბედნიერება იქნება ეს თუ უბედურება, განათლება თუ უვიცობა, საზოგადოთ ცივილიზაცია და ბარბაროსობა მაინც იმაზეა დამყარებული, თუ რანაირად მოიხმარს კაცობრიობა ქალის გავლენას. ერთი სიტყვით, გენიოსების აზრით, ქალი იგივეა ცხოვრებისთვის, რაც გული სხეულისთვის. კარგ ქალს კარგად ესმის თავის მნიშვნელობა და ასრულებს მას, რადგან იცის, რომ ის მიწიერი ღმერთია

კაცობრიობისათვის. ,,სინათლე, რომელიც წინ უძღვის კაცს მის მოქმედებაში, ენერგია, რომელიც ამოძრავებს ტვინსა და სხეულს, მაგრამ შეუძლია იქნეს აგრეთვე დამბნელებელად აზრისა და გონებისა, წამქცევად კაცობრიობისა.“

რაც შეეხება ქართველ ქალს მისი წარსული განსხვავებულია, მაგრამ საინტერესოა რა მოვალეობა აკისრია დღევანდელ ქალებს. ასრულებენ თუ არა ისინი მათ წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე, რას თხოულობს მათგან კერძო და საზოგადო ცხოვრება?

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N18, 7 სეკტემბერი, 1908
ავტორი: ნ. მკურნალი

,,ქართველ ქალთა საყურადღებოდ“ II

სჯა-ბაას ქალთა ახლანდელ მდგომარეობაზედ იწვევს თვითონ პრაქტიკული ცხოვრება. მანდილოსნების აქტიური და დაუღალავი მოქმედება ვაჟებთან ერთად საჭიროა უბედურების ასაცილებლად. არავითარ კრიტიკას არ იწვევს ის აზრი, რომ სოფელი მშობელი დედაა ჩვენი დაბა-ქალაქებისა. და, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ მთელი სოფლის ზნეობაც სოფლის შემადგენელ ცალ-ცალკე ოჯახების ზნეობისაა: ,,ოჯახის ზნეობა, მისი განვითარება ბედი და უბედურება დამყარებულია იმაზედ, თუ რა ხარისხამდისაა ასული ეს ჩამოთვლილი ღირსებები ქალში, როგორც ოჯახის საძირკველში... იმ ოჯახებში, რომლის დიასახლისი შეიარაღებულია სწავლა-განათლებით, ან და იქ, სადაც თუმცაღა დიასახლისს არავითარი განათლება არ მიუღია სასწავლებელში, მაგრამ ბუნებით ნიჭიერია, განვითარებული, რომელსაც არანაკლებ კურსდამთავრებულთა ესმის გემო სწავლა-განათლებისა და სიმწარე - სიბნელისა, როგორც უსწავლელობის შედეგისა.“

მანდილოსნის უპირველესი ვალდებულებაა მოუტანოს სარგებლობა, როგორც თავის ოჯახს ასევე თავის მხარეს. ბევრი მშობელი დღეს ტყავს იძრობს ქალიშვილების განათლებაზე. კურსდამთავრებული ქალიშვილების ნაწილი მიისწრაფის პრაქ–ტიკული ცხოვრებისაკენ, სადაც ისინი ფიქრობენ ხელებ გაუნძრევლად მოიპოვონ მიწიერი სამოთხე. განათლებული ქალები იყოფა ორ ჯგუფად: ერთი რომელიც შინაგანი ხმით გრძნობს, რომ ის დამოუკიდებელი არსებაა.,,თავმოყვარეობა ეჩურჩულება:,,კმარა სხვისი ოფლით და ტანჯვით ცხოვრება, ახლა ვალდებული ხარ თავისი შრომით იცხოვრო და ეს ხმა მას აგდებს პრაქტიკულ ცხოვრების ტალღებში“. განათლებული ქალების მეორე ჯგუფი აგრძელებს მხიარულ და ბედნიერ ცხოვრებას. ისინი უსაქმურობისთვისაა გაჩენილნი და მშობლებს გამოყავს საზოგადოებაში. ეს ბედნიერი ჯგუფი ,,თვალს ადევნებს ახალ მოდებს“, ,,მოდით“ იმოსება... შუადღეზედ ადგომა და გათენებულზედ დაწოლა ამშვენებს და ამთავრებს მათ ჩვეულებრივ დღითი დღე ცხოვრებას“. ეს ქალები ბოლოს პოულობენ ,,ჟენიხებს“ და თავიანთი რომანებისა და პოეტური წამებით აგრძელებენ ცხოვრებას.

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N20, 28 სეკტემბერი, 1908
ავტორი: ნ. მკურნალი

,,ქართველ ქალთა საყურადღებოდ“ III

მხიარულებისა და განცხრომის მოყვარულ ქალებს, რომელთაც მთელი ქვეყანა და ცხოვრება სამოთხედ მიაჩნიათ, ქეიფ-სიცილში ბედნიერად ატარებენ დროს, როცა ეს წამებიც გაირბენს და ,,დგება რეალური ცხოვრება თავის ათასნაირ მოთხოვნილებით. სოფლის დიასახლისს, პირველად ოდნავ და დრო გამოშვებით, და შემდეგ საგრძნობლად ხანგრძლივი მოწყენაც ეტყობა, დადის ოჯახში, მაგრამ ადგილს ვერ ჰპოულობს; სოფელი და მისი მშვენიერება ახლა არ იზიდავს ჩვენს განათლებულს დიასახლისს და შინ კი თავს ვერაფრით ვერ იქცევს, რადგანაც მას ოჯახობის არა გაეგება რა. - წინააღმდეგ ამისა ახლა ეს დიდებული მისი ბუდე მას აწუხებს თავის მოთხოვნილებებით.“

გაზეთი ,,შინაური საქმე“ N22, 19 ოკტომბერი, 1908
ავტორი: ნაცარყანელი

,,ოჯახი სოციალურ საზოგადოებაში“

ოჯახი შეადგენს ძირითადს და აუცილებელს საფუძველს წესიერად მოწყობილი საზოგადოებისას. ,,ვინც არღვევს ქორწინების კავშირს, ის არღვევს ოჯახსაც, რადგანაც ქორწინება არის ძირი და საფუძველი ოჯახისა; სოციალიზმი კი სწორედ არღვევს ქორწინებას თვისი თანასწორობის თეორიით, ჩამოყავს იგი ხარისხამდე უბრალო კავშირისა ორ საყვარელთა შორის, რომელიც დაფუძნებულია ნამდვილ ჟინიანობაზე“. პირველი სოციალისტი მარქსი ამბობდა, რომ მსხვილი მრეწველობა ანიჭებს ქალებსა და ყმაწვილ კაცებს, რათა ორთავე სქესმა შექმნან ბავშვები ოჯახის გარეშე. გერმანულ ქრისტიანული, ან სხვა რომელიმე ფორმა ოჯახისა, ვცნოთ სრულიად აბსოლუტურად.

,,უმაღლესი ფორმა“ ორ სქესთა დამოკიდებულებისა სოციალ-დემოკრატებს შემდეგნაირად ესმით. ბებელის აზრით: ,,სიყვარულის საგნის არჩევაში ქალი ისრევე თავისუფალი და შეუზღუდველი უნდა იყვეს, როგორც მამაკაცი. თვითონ იძლევა ის წინადადებას, თუ მას თხოულობენ, ის თხოვდება მაინც მხოლოდ თავის საკუთარი სურვილით და არა სხვა რაიმე იძულებით.

ქორწინება არის კერძო ხელშეკრულობა შუა კაცის დაუხმარებლად, როგორც იყო საშუალო საუკუნემდე.“ თუ კაცი ხედავდა, რომ მისი ლტოლვა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არავის აზარალებდა, მაშინ მას ვინმეს წინაშე ანგარიში გასაწევიც არ ჰქონდა. და არც ამ საქმეში შუა კაცები უნდა გარეულიყვნენ.

ქორწინებაზე სოციალისტური შეხედულების დამადასტურებელია ოდა ოლბერგის სტატია: ,,აქამომდე გამეფებულმა სქესობრივმა მორალმა უკვე მოსჭამა თავისი დრო. საღს ქალს აღარს სჭირდება დაამტკიცოს თვისი ,,უფლება“ დედობაზე.“

ოდა ოლბერგისთვის გაუგებარია ის გარემოებაც, რომ ,,ჯერაც არ არის ახდილი წყევლა იმ ქალისგან, რომელიც ქორწინების გარეშე ხდება დედად.“

მხოლოდ მამაკაცებს აქვთ გაარჩიონ ერთმანეთისაგან რიგიანი და ურიგო ქალები.

იგი ქადაგებს თავისუფალ სიყვარულს. საერთოდ, სოციალ-დემოკრატების ათეისტურ -მატერიალისტური შეხედულება ვერ ურიგდება მცნებას ქორწინებაზე, როგორც ორ პირთა შორის განუყრელს კავშირზე: ,,თუ კაცი არა ხედავს ქორწინებაში

არაფერს უმაღლესს მიზანს გარდა ხორციელი სიამოვნებისა, მაშინ რაღა აიძულებს მას დაიდგას კისერზე მძიმე უღელი ერთი და განუყრელი ქორწინების? თუ ქმარი მთელს სიცოცხლეში შეკავშირებული უნდა იყვეს თავის ცოლთან, რომელიც ეზიზღება, და რომელსაც ამასთანავე რაიმე სნეულება სჭირს, განა იგი (ქმარი) ჩასთვლის თავის თავს ბრალეულად, თუ უღალატა ცოლს ან სხვა რაიმე დანაშაული ჩაიდინა?" სოციალისტების აზრით მათ ქორწინების განუყრელობა მიაჩნიათ ძალიან სასტიკად და ისინი მოითხოვენ ამ შემთხვევაში კანონით გაყრას.

გაზეთი ,,შინაური საქმე" N6, 31 მაისი, 1914

,,მათხოჯის მონასტრის გამო"

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოში გაზეთ ,,აზრის" N29-ში მასწავლებელს სილოვან ლორთქიფანიძეს მოუთავსებია წერილი, სადაც იგი ეხება მათხოჯის მონასტრის დებისა და მათი წინამძღვრის ა. ცომაიას ქალის ურიგო მოქმედებას. ,,მონაზვნები გემნაზიებში ფულს აგროვებენ სხვადასხვა პატივსადებ მიზეზით და შემდეგ ხარჯავენ ფერუმარულისათვის, აბრეშუმის კაბებისთვის და რბილი ავეჯეულობისთვის, ხოლო გადანარჩენს წინამძღვარი ვითომ თავის სახელზე ინახავს ხაზინაში, ან ხანჯალ-რევოლვერით აიარაღებს თავის ნათესავებს."

წერილის ავტორი ისე გაზვიადებული კილოთი მოგვითხრობს მონასტრის დების ამბავს, ეტყობა, რომ აშკარად ტყუის და რაღაცის გამო იყრის ჟინს. ფერუმარული და შანტეკლერის კაბები კი არა მათხოჯის მონაზვნები შიმშილით კვდებიან. ამასთან მისი წინამძღოლი ცომაიას ქალი ერთი შეხედვისთანავე ჩანს, რომ სიყრმიდანვე მძიმე შრომას ეწევა და მას არავითარი სოფლიური ამაოება არ განუცდია.

იგი რბილ სავარძელს, აბრეშუმების ტარებას მონაზვნებისაგან არაფრით მოითმენდა, ხოლო რაც შეეხება რბილ ავეჯს შეიძლება ეს ვინმე მორწმუნე ქველმოქმედისაგანაა შემოწირული.

იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში გაჭირვებული მონაზვნები პასუხს აძლევენ ავტორს. ამავე ნომერში მოთავსებულია რედაქციის შენიშვნაც, რომელიც ,,უწუნებს მონასტერს რბილ ავეჯეულობის შეძენას და სტუმრის მისაღებ ბინის მოწყობას. მისი აზრით ეპისკოპოსი სიღარიბის მქადაგებელი უნდა იყოს (გაპროლეტარების, არა?) და მონასტერი გუბერნატორის მოძულე, რომელიც თუ როდისმე ესტუმრა, ნაცარტუტაში უნდა მიიღოს.

რედაქცია ამასთან კითხულობს თუ ,,ვინ იყვნენ ის მონაზვნები, რომელნიც სკოლის ასაგებად ფულს კრეფდენ, ხოლო სკოლისთვის არავითარი დახმარება არ აღმოუ– ჩენიათ?

აშკარაა, რომ კორესპონდენცია თავიდან ბოლომდე სიცრუეა და მას პროვოკაციის სუნიც უდის. ამით ავტორსა და ინფორმაციის მიმწოდებელს სურს ხალხს უთხრას: ,,რათ ჰკარგავთ ფულს მონასტრების დახმარებაში! თქვენ გგონიათ, რომ თქვენი წვლილით საღვთო საქმე კეთდება, მაგრამ ნამდვილათ კი ბერ-მონაზვნებს ანებივრებთ და მუქთა ღორებს ამრავლებთ".

„კოლხიდა“. 1911-1913. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი.რედ.-გამ. ა. ჭუმბაძე. (ივანე კილაძის ელექტრომბეჭდავი).
ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ორგანო (პროგრამა მოცემულია პირველ ნომერში: N1, 25 მარტი 1911 წ.).
უახ. თანამშრ: კიტა აბაშიძე, გრ. გველესიანი, სილოვანი (ხუნდაძე), დ. უზნაძე, ჯაფარ-ფაშა (ალ. ჯაფარიძე); მწერლები: აკაკი წერეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მეგრელი, ნ. ჩხიკვაძე, ა. ჭუმბაძე და სხვანი.
სულ გამოვიდა: 1911 წ. N1 (25/III) – N224 (31/XII); თით. 4 გვ. F
1912 წ. N1 (1/I) – N152 (22/IX) ,, ,,
1913 წ. N1(6/III) – N42(I/V) ,, ,,
გაზეთის დროებითი შეჩერების პერიოდში - 1912 წ. შემდგომ და1913 წ. ზამთარი და აგრეთვე სრული შეწყვეტის შემდეგაც მის ნაცვლად გამოდიოდა გაზ. ,,იმერეთი“ (1912-1915).

გაზეთი ,,კოლხიდა“ N15, 16 აპრილი, 1911

,,ქალის აღზრდის სისტემის გამო“

ადამიანი მუდამ ჭეშმარიტებისაკენ მიილტვის, რომელსაც ადამიანი იმ შემთხვევაში ამტკიცემს, როცა მრავალი დებულებები არსებობს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როცა დებულება დაუმტკიცებელი რჩება. ქალთა საკითხიც ასეთ პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება. ჯერ კიდევ ძველი ევროპა ან საშუალო საუკუნეების კულტურა ამ საკითხის გადაჭრისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ პრობლემა მუდამ გადაუწყვეტელი რჩებოდა, როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულადაც. განსაკუთრებით სქესთა უთანასწორობის ახსნა ზოგად ფრაზად გადაიქცა განსაკუთრებით სოციალურისა და უფლებრივი მდგომარეობის სფეროში: ,,მოსპეთ ეს სხვადასხვაობა - და ქალი მამაკაცს ერთიანათ გაუსწორდება, მათ შორის ყოველგვარი ფსიხიური განსხვავება უგზო-უკლოდ გაქრებაო!

გარემო, რომ ადამიანის სულიერ ცხოვრებას ერთგვარ მიმართულებას აძლევს, ამას ვინ უარყოფს! ხოლო ადამიანის მთელი სულის არსებითი გამოყვანა გარემოს თვისებიდან სავსებით არ უნდა შეესაბამებოდეს... ყველაფერი გარემოზე იყოს დამოკიდებული, - სქესთა ასეთი გათანასწორება მაინც შეუძლებელი იქნება.“

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ქალსა და ვაჟს შორის დიდი განსხვავება არსებობს. რა არის ასეთი განსხვავების მიზეზი - პირობათა სხვადასხვაობის ზეგავლენაა თუ მეტაფიზიკური სხვა არსიანობა. ფაქტი ფაქტად რჩება: ,,წარმოუდგენელია ეს განსხვავება პირობების გათანასწორების საშვალებით ძირიან ფესვიანათ აღმოიფხვრეს, სწორედ ისე, როგორც ხორბალს ვერასდროს ქერად ვერ ვაქცევთ. მაშ ამ სხვადასხვაობას ასე თუ ისე ანგარიში უნდა გაუწიოთ. თანამედროვე ევროპისა და ამერიკის კულტურა კი ამ მხრით წარმოუდგენელ ქარაფშუტობას იჩენს.“

საერთოთ, რაც უფრო რთულია რომელიმე არსების ბუნება, მით უფრო გრძელია ის გზა, რომელიც მან უნდა განვლოს, სანამ იგი იმდენად დასრულდებოდეს, რომ თავისი დაცვა საკუთარი ძალებით შეძლოს. ეს გზა არის აღზრდის გზა.

აღზრდის მიზანი თავისი არსით არის ის რომ, აღსაზრდელი არსის ბუნებას უნდა იცნობდეს და ექვემდებარებოდეს. ,,ქალის ბუნება კი სხვაა და ვაჟის სხვა; მაშ მათი

აღზრდის სისტემაც ერთმანეთისგან არსებითად უნდა გაირჩეოდეს. მაგრამ ის, რაც შეუგნებლათ არის შეთვისებული, ან ზოგის მიერ პირდაპირ უარყოფილი, მუდამ ახალ არგუმენტაციას და დაჟინებით გამეორებას თხოულობს."

ჩვენში ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები სისტემის მხრით ერთნაირია. იგივე საგნები, იგივე აღმზრდელი მეთოდები, იგივე აღზრდის მიზანი, ხშირად იგივე მასწავლებლები. მაგრამ მიუხედავად ამისა მათი ბუნება მაინც განსხვავებულია.

გაზეთი ,,კოლხიდა" N18, 20 აპრილი, 1911
ავტორი: ა. თ.

,,ქალთა კერძო გიმნაზია"

ქუთაისის ქალთა კერძო გიმნაზია, ისეთივე ყურადღების ღირსია, როგორც სააზნაურო გიმნაზია. მისი სულის ჩამდგმელი, სასწავლო ნაწილის გამგე შრომის მოყვარე ქალია. მან არა მარტო სასწავლებლის გაძღოლის საქმეში გამოიჩინა თავი, არამედ საპედაგოგო ასპარეზზე მიაღწია წარმატებას. მან მოახერხა ერთი მეორესთან ჩინებულათ დაკავშირება, შეხამება სწავლების საქმის აღზრდასთან. მარტოოდენ თავის ამოვსება ბავშვებისა სხვადასხვა ცოდნით როდი იკმარა; საჭიროა მათი ბუნებისაგან მიცემულ თვისებათა მოვლა, ღრმათ დაკვირვება-შესწავლა და დიდი სიფრთხილით მოქცევა; მხოლოდ ამ პირობებში არის გონების განვითარება, ცოდნის შეძენა ნაყოფიერი, სასარგებლო მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის! ნამდვილი პედაგოგი ის არის ვისაც ამგვარათ ესმის თვისი დანიშნულება და მოსწავლის გონებრივ განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მისი ხასიათის შემუშავებასაც, ზნეობრივად ამაღლებას.

გაზეთი ,,კოლხიდა" N25, 28 აპრილი, 1911
ავტორები: თქვენი X
სინდიოფალა

,,გასართობი - ემანსიპაცია და ქალთა შარვლები"

რედაქციაში მოვიდა უცნობი მანდილოსანის წერილი, რომლის ავტორს თავისი მისამართის დაწერა დავიწყებია და რედაქცია იძულებული გახდა გაზეთის საშუალებით ეპასუხა. მანდილოსანი წერდა: ,,ბ-ნო სინდიოფალა! რომ იცოდეთ, რა უბედური ვართ ქალები მამაკაცების გადამკიდე! მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე, სული და ხორცი მათ წინაშე მსხვერპლად მიგვაქვს, იგინი კიდევ მეტს მოითხოვენ ჩვენგან. არ გვაკმარეს შვილოსნობა, ძიძაობა, ხაბაზობა და ახლა სრულ ყურმოჭრილ მონობას გვიქადიან მტარვალნი! მათ ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენ, ქალები დასაბამი და დასასრული ვართ ამქვეყნიური, მიწიერი სიცოცხლისა; არ იციან რომ ჩვენი წყალობით აქვთ ნაბოძები ორიოდე დღის წუთისოფელი".

დღევანდელი სოციალური წყობილება და კანონიც მათ უდიერებას ხელს უწყობს, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ერთი იდეით განმსჭვალული ქალები უშიშრად გაილაშქრებენ საუკუნეებით დამკვიდრებულ უუფლებობის წინააღმდეგ. დღეს განათლებული ქვეყნის ქალები გამოფხიზლდნენ და მედგრად მოითხოვენ დაწიხლული უფლებების აღდგენისა და ქალ-ვაჟთა გათანასწორობას.

განსაკუთრებით სიმტკიცით გამოირჩევიან ინგლისის ,,აგრეწოდებული

,,სუფრაჟისტები“ ერთი მათგანი პარლამენტშიაც კი შეიჭრა საქადაგებლათ და ძალით რომ ვერ გაეყვანათ გარეთ, თავი ჯაჭვით მიიბა დარბაზის სვეტზე; მეორემ ისეთი გმირობა გამოიჩინა, რომ ურჩ მინისტრს საჯაროდ ქუჩაში სცემა. აი ასეთ უკიდურესობამდი მიიყვანა მამაკაცთა უდიერობამ ქალები.“

ქუთაისში არსებობს ქალთა პატარა ჯგუფი, რომელიც მართალია რიცხობრივად მცირეა, მაგრამ სულიერად მტკიცე და ღონიერია. საერთოდ, ყოველ სულიერ ვითარებას თან უნდა ახლდეს მისი გარეგანი გამოხატულებაც. ამიტომაც სიხარულით ვეგებებით განათლებული დების ახალ მოდის ტანსაცმელს შარვალს. მჯერა თქვენ ემანსიპაციის წინააღმდეგი არ იქნებით და არც ქალთა შარვლების.

X-ის პასუხად რედაქცია უცნობ კორესპონდენტ ქალს პასუხობს: ,,გეთანხმებით რომ ქალთა დღევანდელი მდგომარეობა აუტანელია, მაგრამ ბევრ რამეში მაინც ვერ დაგეთანხმებით. შვილოსნობა თქვენთვის ბუნებას დაუკისრებია და მაშასადამე, პროტესტიც მასვე უნდა განუცხადო. რაც შეეხება ძიძაობას, ესეც თქვენს განსაკუთრებულსა და აუცილებელ მოვალეობას უნდა შეადგენდეს.“შვილის გაზრდაც უთუოდ ქალის მოვალეობაა. მასვე დაკისრებული აქვს მზარეულობაც, ვინაიდან მამაკაცის გაკეთებული საჭმელი ისე გემრიელი არ არის, როგორც ქალის. რაც შეეხება ქალთა შარვლების არსებობის სამართლიანობას ვასაბუთებ: ,,როცა გალაღებულ ცხოველს საბალახოდ გაუშვებენ ხოლმე ფეხზე ფალმანდს - ბორკილს - უკეთებენ, რომ შორს არ წავიდეს და არ დაიკარგოს.დღევანდელი ჩვენი ქალები ერთობ სწრაფმსრბოლნი არიან და ვიწროშანტეკლერ-შარვლების შემოღება არა თუ საქმეს არ ავნებს, ძლიერ ბევრ ქმარსა და მამას ააცილებს ზედმეტ წყენა-მწუხარებას.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N26, 29 აპრილი, 1911

,,ახალი ამბავი“

1. ქუთაისი.
   ქუთაისის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების თაობაზე მოყვანილმა ფრაზამ: - ,,ქუთაისში ორათ ორი საშვალო სასწავლებელია, სადაც წესიერათ მიდის ქართული ენის სწავლება-თქო - ჯერ მხოლოდ ერთი სასწავლებლისაგან გამოიწვია პროტესტი და სარწმუნო პირისაგან ცნობა მივიღეთ, რომ ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ქართული ენის სწავლა სავალდებულოა და წესიერათაც არის დაყენებული. ჩვენს სასწავლებელში ათის წლის განმავლობაში მოსწავლისათვის სავალდებულოა ქართული ენის სწავლებაო.“
   გაზეთის ამ შენიშვნის დროს, შეცდომით არ იყო მოხსენიებული, რომ ნიშანში კერძო სასწავლებლები ჰქონდათ ამოღებული და არა სახაზინო. სამაგალითოა, რომ საეპარქიო ქალთა სასწავლებელში ქართულის სწავლება მაღალ დონეზეა.
2. ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტების დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე ე. ნ. - ასული ხეჩენოვისა გვწერს ,,მდგომარე წლის 26 აპრილს ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ მიიღო ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირეკტორის ალექსი ბესარიონის ძის ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი ნაცნობთა შორის ხელ-მოკლე სტუდენტთა სასარგებლოთ 18 მანეთი და 2 შაური, რისთვისაც საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს, როგორც ბატონ ჭიჭინაძეს, აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც თავის წვლილი არ დაიშურეს და შეძლებისამებრ შორეულ ქვეყანაში გადახვეწილ ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალ ჩვენ ახალგაზრდობას დახმარება აღმოუჩინეს.“ აქვე მოყვანილია სტუდენტთა სია, რომელთაც დახმარება გაეწია.

,,ქალთა აღზრდის არსებული სისტემის გამო“

თანამედროვე საზოგადოება სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს ვაჟისა და ქალის ბუნების განსხვავებასა და ერთ არსიანობად საზღვრავს. პედაგოგიკამ ეს განსხვავება სწორად დაადგინა და ამგვარად მათი მოთხოვნილება იმთავითვე განსაზღვრა. განსაკუთრებით მიზანშეუფერებლობაა ქალთა აღზრდის სისტემასა თუ უსის–ტემობაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ვაჟი ან მასწავლებელი, ან ინჟინერი, ან ვექილი, ან აქიმი, ან კომერსანტია და მას საშვალო სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში სპეციალური ცოდნის შეძენა შეუძლია. მაშინ, როდესაც ამას თანამედროვე ქალი ასე ადვილად ვერ ახერხებს. ,,საშვალო სწავლამიღებული ჩვენი ქალიშვილი სკოლის კედლებს რომ სცილდება, ვით უცხო ქვეყანაში მოულოდნელათ მოვლენილი, სახტათ რჩება; მან არ იცის ეს ქვეყანა, მისი ჭირი და ლხინი. მისი საჭიროებანი. მან არ იცის, რომელ გზას დაადგეს. ერთ-ერთი გზა კი მან უსათუოდ უნდა აირჩიოს, რადგანაც მისი ცხოვრება აქ უნდა დასრულდეს... შკოლამ მას ამ ქვეყანაში ცხოვრება ვერ ასწავლა და ამიტომ დღეს ძვირად შეხვდებით ისეთ სწავლა დამთავრებულ შრომისმოყვარე ქალს, რომელიც მთელი თავისი არსებით რუსეთისაკენ არ მიისწრაფოდეს. ან კი რა ქნას? იგი იმდენად ფუქსავატი არ არის, რომ მთელი სწავლა განათლება ერთბაშად გვერდზე გადააგდოს და როგორც მისი დედები ცხოვრების ფერხულში ტრადიციონალური ქალური როლი ძველი ტრადიციონური საშვალებით შეასრულოს. “ქალები, რადგან სამშობლოში ვერ პოულობს სულიერ სიმშვიდეს, სამოღვაწეო ასპარეზისათვის უცხო ქვეყნებისაკენ მიილტვიან. ბევრი მათგანი ვერც იქ აღწევს მიზანს იკარგება დრო და იფლანგება მათი ენერგია. ყველაფერი ეს ,,ჩვენი შკოლის უგუნური სწავლისა და აღზრდის სისტემა თვისი ტლანქი კლანჭებით მთელს ქალის ბუნებას ანაზდით სწვდება და მის სულიერსა და ფიზიკურს კეთილდღეობას შეუბრალებლათ ანადგურებს.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N28, 1 მაისი, 1911
ავტორი: ს. ხ.

,,ქუთაისი, 1 მაისი
გაბაშვილის ცოლის ეკატერინეს იუბილეს გამო“

საქართველოს წარსული მრავალი ქართველი ქალის სახელით არის დამშვენებული. ჩვენი წარსული მრავალ ქართველ ქალის სახიერებითაა გაბრწყინებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აზიის ხალხებს შორის ის, რომ ქალის პიროვნება და სამოქმედო ასპარეზი დახშული და შებოჭილი გახლდათ. მაშინ, როცა ქართველი ქალი საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობდა. ,,ქართველი ქალი იყო შეგნებული დედა ცხოვრებისათვის, შვილების გონიერი აღმზრდელი, გამწრთვნელი, განმავითარებელი; ქართველი ქალი იყო ქვეყნის გონიერი მართველი, მამაცი, მხნე, ხალხისათვის თავდადებული.“ისტორიულმა ბედისწერამ ქართველი ხალხის ცხოვრების ჩარხი უკუღმა დაატრიალა, რა დროსაც ქალებისა და ვაჟების მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ისინი სასოწარკვეთილებას არასოდეს შეუპყრიათ და არასდროს მომავლის იმედი არ გამქრალა მათ გულში. მართალია, ქვეყნის თავდადებული მამულიშვილები ცოტანი

იყვნენ, მაგრამ მათი წყალობით მომავლის იმედი არ ჩამქრალა და დაშრეტილა. ამგვარი მანათობელი ვარსკვლავი, ამგვარი მოჩუხჩუხე წყარო გახლავთ იუბილარი ეკატერინე გაბაშვილისა. ,,სამშობლო ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღფრთოვანებული, ნიჭიერი კალმით აღჭურვილი, მხატვრული ენით დამშვენებული, საწყალი ხალხისა და პაწია ქართველების ცხოვრების წარმტაცი, მხიბლავი მხატვარი, თანაც სხვადასხვა ქართული საზოგადო საქმის მხურვალე მონაწილე, - აი ვინ არის ჩვენი იუბილიარი!“ეკატერინე გაბაშვილი ამასთან მოსწავლეთა საყვარელი მწერალიცაა, რომლის ,,საყმაწვილო მოთხრობებით“ იწვრთნებოდა და ზნეობრივად სპეტაკდებოდა მომავალი თაობა. ეკატერინე გაბაშვილისა სიმბოლოა ქართველი ქალის, რომელიც დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი საქართველოს აღორძინებისათვის ზრუნავს. ,,ქართველ ქალთა შორის ის არის საერო მოღვაწეობის პიონერი, პროგრესისაკენ მიმართულ ფერხულში ვაჟებისა და ქალების თანასწორათ შებმის, შეკავშირების მესვეური! იგი არის საზოგადო ასპარეზზე ქართველი ქალის ჯერ კიდევ მშიშარა ბუნების გამთამამებელი, მიძინებული გონებისა და ნიჭიერების გამომფხიზლებელი, გამომღვიძებელი!“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N30, 4 მაისი, 1911

,,ახალი ამბავი“

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახელობაზე შემდეგი დეპეშა გაიგზავნა კიდეც ქუთაისიდან, ეკ. გაბაშვილის ცოლის იუბ. გამო. ქართველ მწერალ ქალს ეკატერინე გაბაშვილისას სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილეს ულოცავდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა.“ ეკლიანი იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალის ცხოვრება, რომელიც მან მძიმე პირობების მიუხედავად, ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანა სამშობლოს წინაშე. მთელი ქართველი საზოგადოება მოწიწებით მუხლს იდრეკდა ქართული სიტყვის მხატვრის წინაშე.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N32, 6 მაისი, 1911
ავტორი: მანწილ

,,ქუთაისელი ქართველი ქალის აღსარება“

ჩვენი ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ძველი, ერთგული და თავგანწირუ–ლი დედები, რომლებიც სამშობლოს ღირსეულ შვილებს უზრდიდნენ აღარ არიან. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ქუთაისელ ქალთა ცხოვრებაზე დაკვირვებით. ქუთაისელ ქალებს არასოდეს უფიქრიათ რაიმე წრის დაარსება და საქვეყნო საკითხების მოგვარება. ,,ჩვენ მხოლოდ ჭორების გავრცელება გვემარჯვება, მოდის გაფაციცებით თვალ-ყურის დევნა, კოპწიოობა... და ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ დიდს ნაწილს ჩვენებურ ქალებისას საშვალო განათლება მიუღია, ბევრს მოზარდი თაობის ხელმძღვანელობა უკისრია და საპედაგოგო ასპარეზზე გამოსულა. რა აღმზრდელები უნდა გამოვიდეს ჩვენგან? თვით რა სალაროს პატრონი ვართ, რა პირობებში აღვიზარდეთ, რომ სხვის აღზრდას ვკისრულობთ“.

ქუთაისელ ქალებს მარტო ზერელე ელემენტარული ცოდნა ვერაფერს აძლევდა და ისინი გრძნობდნენ, რომ განათლების მხრივ საოცარ ჭაობში იყვნენ ჩაფლულნი.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N58, 9 ივნისი, 1911
ავტორი: მანწილ

,,ქუთათური მასწავლებელი ქალის აღსარება“

დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელიც წყევლა-კრულვით არ იხსენიებდეს მასწავლებელს, განსაკუთრებით მასწავლებელ ქალს. ბევრი მათგანი გულგრილად - ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ,,მართლაც სამწუხარო სურათს წარმოადგენს მათგან დიდი უმეტესობის ცხოვრება: სრული გონებრივი ჩამორჩენა, თავისი საქმისა და მოვალეობის არ ცოდნა. სიზარმაცე, მცონარეობა... სამწუხაროა, სავალალოა, რომ არც ერთი ჩვენი მასწავლებელი ქალი არას ფიქრობს იმაზე, თუ რა დიდი საქმე უჭირავს ხელში - მოზარდი თაობის ნამდვილი მოქალაქის აღზრდა; არ ფიქრობს, თუ ამ საქმეს რა ენერგია, რა განვითარება ესაჭიროება.“ დიდი ნაწილი ქალებისა დაამთავრებენ თუ არა საშუალო სასწავლებელს მაშინვე საპედაგოგო ასპარეზისაკენ მიილტვიან. თითქოს ყოველი მათგანი საპედაგოგო მეცნიერების სალარო იყოს. ისინი ზერელე ცოდნით კისრულობენ მოზარდი თაობის აღზრდას. მათი მოღვაწეობა სულ ორ-სამ საათს შეიცავს და ამ დროსაც არ არიან რიგიანად მომზადებული. შეიძლება ითქვას, რომ უვიცები მიდიან სკოლაში და იქიდანაც ასეთივე უვიცები ბრუნდებიან. ,,საპედაგოგიო მოღვაწეობა ამათ რაღაც შემოსავლიან ადგილათ გადააქციეს. ამ მოღვაწეობას ეწევიან მხოლოდ იმისთვის, რომ ორიოდე გროში აიღონ და ისიც ტანზე მიიწებონ: - ემსახურებიან არა დიად საქმეს, არამედ ფულს და, აბა, რად გამიკვირდება, რომ ჩვენმა მასწავლებელ ქალებმა მოზარდ თაობას სულიერი და გონებრივი საზრდო ვერ მისცენ?“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N67, 20 ივნისი, 1911

დაბა-სოფლები“

5 ივნისს ხარაგაულის ადგილობრივი ორკლასიანი სამინისტრო შკოლის დარბაზში, ამავე სასწავლებლის და ქალთა ორკლასიანი სამინისტროს შკოლის მასწავლებელთა მეოხებით, გაიმართა ისტორიული დილა.,,მონაწილეობდნენ ამავე სასწავლებლის მოწაფეები ქალები და ვაჟები. მოწაფეებმა წაიკითხეს ლექსები. მასწ. ც შუბლაძის ლოტბარობით მოსწავლეთა გუნდმა იმღერა სიმღერები... სიმღერის ,,ცანგალა და გოგონას“ დროს იცეკვეს მოსწავლე ქალმა და ვაჟმა, და - ძმამ.“ შემდეგ ამისა ითამაშეს პატარა პიესა. საღამოთი ყველა ნასიამოვნები დარჩა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N68, 21 ივნისი, 1911

,,ახალი ამბავი“

მომავალი სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში მოსწავლე საერო წოდების შვილები და სხვა ეპარქიიდან შემოსული სასულიერო წოდებისაც სწავლის ფასათ გადახდებათ წლიურად ხუთი თუმანი, ნაცვლად ოთხი თუმნისა. ,,იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების შვილები კი რომელნიც ამ ოთხი წლის განმავლობაში უფასოთ სწავლობდენ, გადაიხდიან 6 მანეთს. ეს დადგენილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სამღვდელოებისაგან გადიდებული თანხა სასწავლებელს, რომელიც დღეს რვაკლასიან გიმნაზიას წარმოადგენს, ვეღარ ინახავს.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N82, ივნისი, 1911
ავტორი: სილოვანი (ქუთაისი, 7 ივლისი)

,,კარტველ კალებს“

განსაკუთრებით ,,კარტველი კალები“ წერილის ავტორის კილოს გაუწიწმატებია და მისგან პასუხს თხოულობენ. ,,სატირა, იუმორი, სარკაზმი და საზოგადოთ დაცინვითი კილო მწერლობაში სილოვანის მოგონილი არ არის - და ისეთ გონება დახშულთა და ფუქსავატ არსებათათვის, როგორიც დღევანდელი ქართველი ქალების უმრავლესობაა, სილოვანის წერილის კილო სრულიად სამართლიანი და მნიშვნელოვანი გახლდათ, სამართლიანი - რადგან ფუქსავატი ყოფაქცევა მხოლოდ დაცინვის ღირსია, და მნიშვნელოვანი - რადგან ბნელ-გონებიანი ადამიანი მხოლოდ საგრძნობელი ჩხვლეტით შეიძლება გამოვაღვიძოთ.“ ჩაცმულობის შესახებ განმარტავს, რომ ჩაცმის მოთხოვნა საქართველოს აშენებას როდი ნიშნავს, რადგან თუ ადამიანი გარეგნობით ყალბია, გაფუჭებულ გემოვნებას იჩენს და იპრანჭება, იგი ნორმალური ადამიანის ზიზღს იწვევს და იმის ნიშანიცაა, რომ ესეთი ადამიანი სულითაც გაფუჭებულია და გონება დახშულია. მას შეუძლებლად მიაჩნია, რომ სათნო ადამიანს თუ მშვენიერი სული აქვს, იგი შანტეკლერებისა და სამაიმუნო ტანსაცმელზე არ ფიქრობს.,,სულით სათნო ადამიანს გარეგანი გამომეტყველებაც სათნო აქვს და ეგ სათნოება აღიბეჭდება ხოლმე მისი თვალებისა და მთელი სახის გამომეტყველებაში, მის მიხვრა-მოხვრაში, სიტყვა-პასუხის კილოში - და, დასასრულ, ჩაცმულობის გემოვნებაშიც.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N83, 9 ივლისი, 1911
ავტორი: ნინო დადიანისა (ქუთაისი, 6 ივნისი)

გ. სილოვანისა და ,,კარტველ კალთა“ შორის კამათის გამო“

ბატონი სილოვანის წერილი ,,კართველი კალის“ შესახებ, სადაც ავტორი ქალებს ენას, ქცევასა და გარეგნობას უწუნებს, ეს კრიტიკა ბევრ ქალს მის თავზე არ აუღია. იმდენად მაინც: ,,ნამდვილი ქართველი ქალი კიდევ შეირჩენდა იმდენ სიდარბაისლეს, რომ არ უარეყო სიმართლე და სამართლიანი შენიშვნა და თავის გასასამართლებლათ უსაფუძვლო ,,ბრიაბრუ“ არ ეჩხაპნა. ვიმეორებ, არც ერთი ეს მე არ მწყინს, მხოლოდ მაკვირვებს უკანასკნელი წერილი ,,კართველი კალისა“.

საერთოდ, ქალის ფსიხოლოგია ისეთია, რომ იგი იშვიათად აღიარებს აშკარად და გულახდილად თავის დანაშაულს, თუ იგი ცოტა სიჯიუტე-ახირებით არ შეკაზმა. ,,ენის მხრითაც ... უკაცრავათ, ქალებო, ნუ გავჯავრდებით - და ვიცნობ უმეტესობას ჩვენს აქაურ ქართველ ქალებს, მათის ქართულის ცოდნას, მათი წერის უნარს... დამწერი ქართველი ქალი თითებზე ჩამოსათვლელია, და რომელიც არის, მოაწერდა თავის საკუთარ სახელს ან და დარბაისელი - სამართლიანი სულაც არაფერს დასწერდა, რადგან მართლაც საპასუხო არაფერი იყო. უნდა გვესმინა და შეგვესმინა, ვინც ,,კარტველებად“ ვგრძნობდით თავს.“

თუ გაუჩუმდება ქართველი ქალი სილოვანის შენიშვნას, ეს იმის ნიშანია, რომ მისი შენიშვნა არის სამართლიანი და იგი ეხება იმ ქალების ნაწილს, რომელსაც სილოვანმა ,,კარტველი კალები“ უწოდა. სილოვანის წერილი საყოველთაოდ ქართველ ქალებზე რომ დაწერილიყო, მაშინ, აუცილებლად ვიტყოდით, დავწერდით და ვუკიჟინებდით ავტორს ,,შემცთარი აზრისათვის“. ,,ყველა ქალი არ ,,გაკარტველებულა“ უმრავლესობა

საქართველოში ჯერ ქართველობს და თუ რამდენიმე ,,გაკარტველდა“ - ეს ნუ შეგაშინებთ, ბატონო სილოვან.

ქართველთა შორის საბედნიეროდ კიდევ ბევრია ნამდვილი ქართველი ქალები, თუ მათ მძლავრი მოწინავე მამაკაცები თავისი ,,პარდონებითა და ბონჟურითა“ ხელს არ შეგვიშლიან. იმედია თუ ქალებს ეყოლება თქვენისთანა ხელმძღვანელი ,,ენა ჩვენი შეინახება და ქალები სულ მოკლე ხანში ,,გამარჯვებას“ გეტყვიან“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N84, 10 ივლისი, 1911
ავტორი: მგზავრი ქალი

,,პასუხათ ბ. იპ. ვართაგავას“

ფრიად საყურადღებო და სამართლიანი წერილი გახლდათ ქალების უბადრუკობასა და გადამახინჯებულობაზე ბატონი იპოლიტე ვართაგავას წერილი. თუმცა მარტო ქალების ამოღება ნიშანში და მათზე განმარტოებით ამდენი ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია: ,,ჯერ, ბატონო, ქალები ყველაფრათ კაცებს გავუთანასწოროთ, და მერე ქალებს, როგორც სწორ უფლებიანს, თუ გნებავთ, ბდღვირი ავადინოთ სწორედ ისე, როგორც ხანდახან ვაჟებზე ისმის მსჯელობა გაზეთებში. ახლანდელი მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა წყალწაღებულიაო, ჩვენი თაობა სჯობდაო, ახლანდელებს 40 გრადუსი სიცხე აქვს ყველასაო და სხვადასხვა. ქალები თანასწორ უფლებაში კაცებთან როდის ჩააყენეს, რომ თქვენცა და ჩვენი პატივცემული სილოვანიც მთელ ბრალდებას ქალებს ახვევთ თავზე“. საერთოდ, მართლმსაჯულების სასწორი გადუხრელი უნდა იყოს, თუ არა მარტო წყლის ნაყვაა ყველაფერი. თუ მიგაჩნიათ, რომ ქალები დამახინჯდნენ (მეც გეთანხმებით), ვაჟებმა უფრო მეტად გაუსწრეს ქალებს. თუ თვითონ ქალები ვერაფერს შექმნიან კაცებს მაინც მიბაძავენ საბოლოოდ, მაგრამ სამწუხაროა: ,,კაციც და ქალიც ერთნაირათ გადამახინჯდენ და ფერხულში ერთად ჩაბმული არიან. ბ. იპ. ვართაგავა სწერს: ნინო, ქეთევანი და თამარი აღარ არიანო! ჩვენდა სავალალოთ დღეს არც ბაგრატ დიდები, დავით აღმაშენებლები და ვახტანგ გორგასლანები არიან!“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N86, 13 ივლისი, 1911
ავტორი: Ris

,,სპორტი . ქალთა ჭიდაობა“

11 ივლისს ელეკტრო-თეატრი ,,თამარ“-ის საზაფხულო განყოფილებაში ქალთა ჭიდაობა დაიწყო. თავდაპირველად მოწვეული გახლდათ ხუთი წყვილი. თეატრს ჭიდაობის პირველ დღესვე დიდძალი ხალხი მოაწყდა, მაგრამ უკმაყოფილობა გამოიწვია დაბალმა საჭიდაო მოედანმა იმის გამო, რომ უკანა რიგებში მსხდომნი ჭიდაობას თვალს ვერ ადევნებდნენ და ამასთანავე მოედანიც ძლიერ ვიწრო იყო. მოჭიდავეები სივიწროვის გამო ხშირად წრეს გარეთ ისროდნენ ერთმანეთს. ,,ორშაბათს სამმა წყვილმა იჭიდავა, სამივემ ფრანგულათ. პირველ წყვილში - ოფენ ბახისა და შევჩენკოს ქალი - გამარჯვებული პირველი დარჩა. მეორე წყვილის ჭიდაობა ძლიერ საინტერესო გამოდგა; მსოფლიოს ფალავანი ქალის პეტერსონის წინააღმდეგ გამოვიდა ესპანიის მოჭიდავე, ბერალდის ქალი.“ვარაუდობდნენ, რომ გამარჯვება

პეტერსონს დარჩებოდა, ვინაიდან იგი მოსული ტანის, ჩასკვნილი აგებულებისაა და ძლიერი გახლდათ, მაგრამ ესპანელი ქალიც ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა თავისი მოქნილობითა და საოცარი სიმარდით. 20 წუთის შემდეგ მოწინააღმდეგენი უშედეგოთ გააცილეს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N88, 15 ივლისი, 1911

,,ვუძღვნი კარტველ ქალებს“

სახელმწიფოში ან საზოგადოებაში, როცა საშიში გადამდები სენი იჩენს თავს მაშინვე ყოველგვარ ზომას ღებულობენ, რათა შეერთებული ძალებით ასეთი შეუბრალებელი მტერი თავის საზღვრებში არ შემოუშვან... და თუ შემთხვევით შემოეპარათ ცდილობენ იქვე ჩაკლან და განვითარება-გავრცელების გზა მოუსპონ. სწორეთ, ასეთი საშიში და საფათერაქოა ამა თუ იმ ერისათვის, როცა მის შემადგენელ საზოგადოებებში სიმახინჯე-სიყალბე ფეხს მოიმაგრებს. ეს სიმახინჯე ისევე გადამდებია, როგორც სახადი ავადმყოფობა. ზოგიერთი სახადი ავადმყოფობა შეიძლება მოიხადოს ადამიანებმა, მაგრამ სიყალბე-სიმახინჯის დაბუდება ადამიანში, შემდეგ მისი იქიდან გამოდევნა ფრიად ძნელია. ,,აი, სწორეთ ასეთ საშიშ მდგომარეობაში იმყოფება დღეს ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხიც. ჩანს სიყალბესა და სიმახინჯეს იმდენად მოუმაგრებია ფეხი ჩვენში, ისე გაძლიერებულა და შეგვთვისებია, რომ მის ხმამაღლა დაცვას დღეს პრესაშიაც კი არ ერიდებიან??“

გონიერ საზოგადოების ნაწილს გამოსავლათ ის დარჩენია, რომ მოიკრიბოს უკანასკნელი ძალ-ღონე, შეებრძოლოს და შემუსროს ჩვენს შორის გამაგრებული ,,სიმახინჯე-სიყალბე“, ან პურ-მარილით მიეგებოს მას და, ნიშნად მორჩილებისა მის წინაშე ქედი მოიხაროს. ,,მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჩემი წერილი კარტველის“ ,,ე.ი გადაგვარებულისა და გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი ქალების საწინააღმდეგოთ არის მიმართული“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N89, 16 ივლისი, 1911
ავტორი: ქრ. დგებუაძისა

,,კარტველი ქალების კამათის გამო“

ქართველი ქალების ნაკლი საფუძვლიანათ ,,ამოიღო ნიშანში“ ბატონმა სილოვანმა. მათზე კიდევ ბევრია სათქმელი, რადგან სამწუხაროთ, ამ ბოლო დროს ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ქალი ტომით ქართველია, მაგრამ გარეგნულათ, გრძნობითა და საქმითაც გარდაქმნილია. ამ მხრივ ყურადღება შევაჩეროთ, ზოგიერთ დედებზე, რომლებიც ,,არიან სასტიკათ გაკრულ, შებაწრული კარსაჟებში - ისე რომ გაფაცურების ამანი არ აქვთ. ამ დროს ზოგიერთს ჩვილი, უსუსური ბავში აკვანში უწევს, დედა წასულა სასეირნოთ ბაღში, დიდ ხანს შემდეგ მობრძანდება - და ბავში შიმშილით გადაქცეული ხვდება!“

სოფლის უვიცი დედაკაცი რაც არ უნდა ნამგზავრი და დაღლილი იყოს პატარა ბავშვს ვიდრე წყლით არ ჩამოიბანს და არ გაიგრილებს ისე ძუძუს არ მიცემს. მაშინ, როცა ნასწავლი ქალები ამას არაფრად აგდებენ. მათთვის მთავარია და ყოველ

ძალღონეს ხმარობენ, რომ მოდაზე გამოჩნდნენ ხალხში და სხეულის ნაწილები მკვეთრათ გამოაჩინონ. დღევანდელ ქალებს ,,ლეჩაქის მაგიერ უზარმაზარი ქუდი - ბაღათ გაშენებული“ აქვთ დახურული. ძველი დედები საფლავიდან, რომ ამოვიდნენ და ეს შანტეკლერები დაინახონ კარგად გაიცინებენ და ალბათ გულდათუთქულნი გაბრუნდებიან საფლავში.

თუ ადრინდელ საუკუნეებში ადამიანები ველური ხალხი თუ შიშველი დადიოდა, დღეს, როცა მეტი კულტურაა ახლანდელმა ქალებმა ნახევრად შიშვლებმა დაიწყეს სიარული.

,,თანდათან ვუახლოვდებით, ბრძანებენ ქართველი ქალები და ვეჩვევით ქართულსო. ახლა უახლოვდებიან? ნუთუ ეს ეპატივება ქართველ ქალებს, რომ ახლა გაუხთიათ თავისი ენა შესაჩვევათ? დღემდე რატომ არ დაფიქრებულან, რომ დედა ენა ყოველ ენაზე უფრო სატრფო და სადიდებელია და მიუცილებელი საჭირო?!“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N90, 17 ივლისი, 1911

,,ბ. ივ. ვართაგავას, ,,რა გვაკლია“-ს გამო“

ბატონ ვართაგავას თავის წერილში ქართველი ქალების გადაგვარებისა და გონებით ღარიბობაზე ბევრი აქვს აღნიშნული. სამწუხაროთ, ეს ყველაფერი სამგლო-სატირელია, მაგრამ ქალებთან ერთად არ შეიძლება ჩვენი თანამედროვე ძმებისა და მამების საქციელი დავივიწყოთ. ,,განა ყველა უკვდავი ილია და აკაკია ჩვენში! განა ყველა ბარათაშვილია? სად არიან სხვები? სად არიან დიდი უმრავლესობა ჩვენი ვაჟბატონებისა? რისთვის ვერ გრძნობენ ამ საშინელ დანაკლისს ქალების გადაგვარებისას? რასაკვირველია, ვერას იტყვიან, რადგან თვითონ ბრძანდებიან ქართველი ქალების გადაგვარებისა და სიმახინჯის მიზეზი! ეს ყველა მათგან არის გამოწვეული, რადგან თვითონ ისინი არიან კეკელა ქალების, შანტეკლერებისა და უცხო ენის მოტრფიალენი!“ ყველას მოგვისმენია ვითომ განათლებული ქართველი ვაჟბატონებისაგან, რომ დიდ უსიამოვნებას აყენებენ იმ ქართველ ქალებს, რომლებიც რუსულად არ ლაპარაკობენ და ჩაცმასა და მიხვრა-მოხვრაშიც აზიელობენ. საინტერესოა სად აღიზარდნენ ეს ვაჟბატონები? ალბათ, მათაც ჰყავდათ დედა, რომელთაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდნენ და შვილებს ქართულად ზრდიდენ. მანამდი ვიდრე მათ სასწავლებლებში შეიყვანდნენ. ,,მაგრად მოტყუვდენ როგორც მშობლები, ისე მთელი საზოგადოება, მთელი ერი. რა შემოიტანა განათლებულთა უმრავლესობამ ჩვენში? - მხოლოდ უსაქმოთ ბულვარის ტკეპნა, ქართული ენის დამახინჯება, ქეიფი, ფულების ფლანგვა, ურთიერთ შორის კიცხვა, გმობა და ღალატი. მათი თანამედროვე ქართველი ქალების აბუჩათ აგდება, დამცირება და შეურაცხოფის მიყენება! ... აი მთელი ასპარეზი მათი მოღვაწეობისა!“

ამ ვაჟბატონებს რამდენი დანიშნული უმანკო ქართველი ქალი გაუცვლიათ უცხოელ ქალზე. იმ მოტივით, რომ მათ ხიბლავთ გარეგნული სიკეკლუცე და კოხტათ ჩაცმა, მოდები და თავდაუჭერელი სითამამე მათი. თუ დღეს ჩვენი ქალები მოდისა და უცხოენის მოტრფიალენი არიან ეს სულ ჩვენი ვაჟბატონებისაგან არის გამოწვეული. მაშასადამე, მარტო ქართველი ქალების ნიშანში ამოღება დიდი უსამართლობაა იპოლიტე ვართაგავასაგან და საჭიროა გაითვალისწინოს ჩვენი ინტელიგენტი ვაჟების საქციელიც. ეს ვაჟბატონები ,,ცოლებს ზიზღით უცქერიან, ხშირად პატიოსან ცოლსა და უმანკო შვილებს შორდებიან და მოყავთ ისეთი ქალები, როგორსაც ბ. ვართაგავა გვისურათებს.“ რა უნდა ქნან შეურაცყოფის ასაცილებლად ქართველმა ქალებმა,

როცა მათ ქმრებს ასეთი ,,კარტველი კალები“ მოსწონთ. გაზეთის ფურცლებზე ,,მათი გაბრიაბრუება სამარცხვინო ბოძზე გაკვრა გადაგვარებულ ქალებს ვეღარაფერს შველის.“ ვგონებ, უმჯობესია - მომავალ თაობაზე იზრუნონ და თავისი გონიერი გავლენით ქვეყნის შესაფერისი ოჯახების შექმნაზე იზრუნონ.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N92, 20 ივლისი, 1911

,,რედაქციისაგან“

,,კარტველი კალების“ შესახებ რედაქციაში მრავლი წერილი მოგროვდა. სასიამოვნოა, რომ ქართველი ქალების ერთი ნაწილი ,,სიფხიზლეს იჩენს, პრესას თვალ-ყურს ადევნებს, თავისი სოციალური პიროვნების ავ-კარგით დაინტერესებულია. ყველა ეს სასიამოვნოა, მიუხედავათ იმისა, რომ ხშირია ქალების საკამათო წერილებში მათი დაუკვირვებლობა და შეუგნებლობა გამოსჭვივის, სასიამოვნოა იმით, რომ თვით ეს დაინტერესება, ეგ სიფხიზლე და თავმოყვარეობა, რომლითაც ჩვენი ქალების ერთი ნაწილი აღძრულ საკითხს ეჭიდება, გასწორების, წინსვლის, პროგრესის მომასწავებელია“. რედაქცია აღნიშნავს, რომ მართალია სიფხიზლეს მხოლოდ მცირე ნაწილი იჩენს, უდიდესი ნაწილი ისევ ძველებურათ სდუმს და ძველებურათ ,,კარტველი კალი“ რჩება. რედაქციას კარგად ესმის ზოგიერთი მოკამათე ქალის აზრი, რომ მარტო ქალები კი არ არიან ჩამორჩენილები, არამედ ვაჟებიც ასეთ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, ორივე სქესის წარმომადგენლებს მართებთ ბრძოლა იმისათვის, რომ დაძლიონ მავნე სენი. ,,ეს ის სენია, რომ ქართველი ქართულად აღარ ლაპარაკობს, სურვილი, მოთხოვნილება არ აქვს ილაპარაკოს, და ვისაც სურვილი აქვს, ის ვეღარ ლაპარაკობს, სამშობლო ენა დაუვიწყია.“ მათი უბედურების მიზეზი მარტო ენის უცოდინრობა როდია: ,,არამედ საზოგადოთ ეროვნული თავმოყვარეობის, ეროვნული თვით შეგნების უქონლობითაც“ გამოიხატება. ამ სენის დასაძლევათ ქალებსა და ვაჟებსაც სჭირდებათ დაარსონ პატარ-პატარა წრეები: ,,თვითონაც შეისწავლონ სამშობლო ენა, ისტორია და ლიტერატურა და ეცადონ, ყოველი ღონე იხმარონ, რომ მახლობელ ვაჟთა თუ ქალთა ინდიფერენტიზმის კედელი გაარღვიონ და თავისთავი განმავითარებელ წრეებში ჩაითრიონ.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N117, 21 აგვისტო, 1911

,,ახალი ამბავი“

ფილიმონ ქორიძის ნაწარმოების გამოსაცემად რედაქციამ მიიღო ერთი თუმნის შემომწირველთა სია. მამაკაცთა შორის მოხსენიებულია ქუთაისში მცხოვრებ საზოგადო მოღვაწე ქალები: ,,მარიამ ფაუხჩიშვილის ასული, ნადია რუხაძის ასული, გარიყული, ელენე ასლანიშვილის ასული, ელენე და აგნერა თუმანიშვილის ასულნი, თამარ თაყაიშვილის ასული, სიმონ ბათანეიშვილის ასული.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N129, 6 სეკტემბერი, 1911
ავტორი: ონ.

,,გასართობი. ქალი და სიყვარული.“

კაცობრიობას ოდითგანვე აინტერესებდა გაერკვია ქალი და სიყვარულის რაობა, ამასთან დაკავშირებით ბევრი აზრი იყო და არის დღესაც გამოთქმული. რედაქცია მკითხველს თავაზობს მეცნიერთა და მწერალთა საყურადღებო აზრებს.

,,საზოგადოთ ამბობენ ქალი - ამოცანააო. ბევრი ამტკიცებს - სიყვარული საიდუმლოაო... ერთი მწერალი ამბობს: მე არა მწამს სიტყვა ,,სიყვარული“, თუ მას თან მეორე განმსაზღვრელი ცნება არა სდევსო, და ამიტომ, ჩემის აზრით, სიყვარული რვა სახის არისო: სიყვარული დედისა, სიყვარული ცოლისა ან ქმრისა, სიყვარული საყვარლის, სიყვარული მოყვასისადმი, სიყვარული სამშობლოსი, სიყვარული კაცობრიობისადმი, სიყვარული ცხოველებისადმი, სიყვარული გემრიელი საჭმლისა.“

ყველა ამ ჩამონათვალს თან ახლავს თავისი განმარტებანი. აქვე მოცემულია ცნობილი მოაზროვნე ქალების გამონათქვამები სიყვარულზე: ,,რუმინის დედოფალი ასეთ დარიგებას აძლევდა ქალებს: არ გაყვეთ ცოლათ ზარმაც კაცს, რადგან ზარმაცს, ცოლი მალე მოსწყინდება და ოჯახი შეძულდებაო.“

,,ქალების მომხრემ ლუიზა ოტომ სთქვა ერთხელ: ,,საუკეთესო სურათი ქალის ცხოვრებიდან არის დედის სიამოვნება შვილების გარშემოო“.

რადგან ქალები ხშირათ გაურბიან ასეთ შემთხვევას და თავიდან იშორებენ ასეთ მდგომარეობას, ჩანს - მათ არ ყვარებიათ საუკეთესო სურათები თავისი ცხოვრებიდან.

ქ-ნი დე სტალი ამბობს: ,,რაც უნდა სულელი იყოს ქალი, თუ კი შეყვარებული არ არის, ყოველთვის უფრო ჭკვიანია იმ კაცზე, რომელსაც ის უყვარსო“.

ქ-ნი სკიუდერი სწერს: ,,ქალის სიმშვიდე და სიწყნარე ანდამატია, რომელიც იზიდავს მამაკაცსო;უამისოთ ქალი იგივეა, რაც მინდორი უბალახოთ, ტყე უჩრდილოთ, ბაღი უყვავილოთ და ფრინველი უფრთოდო“ .

გაზეთი ,,კოლხიდა“ N161, 15 ოკტომბერი, 1911
ავტორი: იმერელ-მეგრელი ქალი

,,ვისი ბრალია?“

,,ძნელათ შეხვდებით ახლა ისეთ მოსაუბრეს, რომელმაც ქალთა გადაგვარებაზე, მათ გონებით სიჩლუნგეზე და ფუქსავატ აზროვნებაზე არ დაგიწყოთ მუსაიფი. დიდი და პატარასაგან, სწავლულისა და უსწავლელისაგან, თითქმის ყველასაგან ერთი და იგივე გაკვეთილსავით გაზეპირებული სიტყვები გესმით; ,,აღარ გვყავს დედები“, ,,ქალები გადაგვარდენ“ და სხვა მისთანები. ასე სწერენ, ლაპარაკობენ და სჯიან...“

ახლანდელი საერთო ღაღადისი ქალებისადმი და ამ საუბარზე ჩემი წერილი ქალთა ქომაგის მაგალითი როდია. აქ მხოლოდ ერთ ფაქტთან დაკავშირებით სასურველია მკითხველმა შემდეგი რამ იცოდეს.

ამას წინათ დაბა ჭიათურაში კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით გაიმართა სხდომა ადგილობრივ საქალაქო სასწავლებლის არჩევნებთან დაკავშირებით. არჩევნებში მონაწილეობდა, როგორც ქალები ისე მამაკაცები. სულ 16 კონკურენტიდან ქალი მხოლოდ ხუთი გახლდათ, დანარჩენი კი მამაკაცი მასწავლებელი. უნდა აერჩიათ

სოფელ ზედაგანში, შუქრუთსა და მღვიმევში სოფლის სკოლებისათვის მასწავლებ–ლები. ქალებს ყველას საშუალო სასწავლებლის რვა კლასი ჰქონდათ დამთავრებული, ხოლო მამაკაცებს საქალაქო სასწავლებელი, სამასწავლებლო სემინარია და ამასთან რამდენიმე წლის პრაქტიკაც ჰქონდათ გავლილი.

,,როგორც ამბობენ, ამორჩევა უნდა ყოფილიყო სქესობრივათ გათანასწორებული, ე.ი - აერჩიათ ორი ქალი და ორი კაცი. მაგრამ ეს არაფრათ ესიამოვნათ თურმე ზოგიერთ აქაურ ,,ინტელიგენტ" მასწავლებლებს, საშინელი პროტესტი განაცხადეს და კიდევაც წინდაწინ გადასწყვიტეს არაფრის გულისათვის ქალი არ გაეყვანათ. მიუხედავათ ბ-ნი კიტას და ზოგიერთი მასწავლებლების სამართლიანი ჩივილისა, რომ ქალისათვის მიეცათ ადგილი, უმეტესმა ნაწილმა ,,ინტელიგენტ მასწავლებლებისამ" თავისი გაიტანა სულ კაცები გაიყვანეს".

ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი საქციელის გამო ტაშს უკრავს იმ მასწავლებლებს, რომლებმაც სიმართლე უკუაგდეს და ერთპიროვნულად გადაწყვიტეს ქალთა ბედი: ,,ბევრი თქვენგანი ხომ ქალთა ემანსიპაციის მომხრეა და უფლებათა გათანასწორებაც ეს არის. აი, რით იმართლებენ თავს ჩვენი ამომრჩევლები: ,,ქალს სოფელში მოეწყინება" ბ-ნო, დიდი სითამამეა ყოველი ქალის ერთ ფარგალში მომწყვდევა."

უმჯობესია თქვენს თავზედ დაიხედოთ და თქვენს საქციელსაც კრიტიკულათ შეხედოთ. თუ ქალი იწევს სოფლისაკენ, თუ მას სწყურია სოფელში იმოღვაწეოს, ამ შემთხვევაში რა უფლება გაქვთ ხელი კრათ მათ, იმ დროს ერთადერთი ასპარეზი ქალებისათვის დღეს საპედაგოგო მოღვაწეობაა: ,,ქალებისათვის ხომ მარტო საპედაგოგო ასპარეზია დარჩენილი. ქალთა საშუალო სასწავლებლები ხომ ცოტათ თუ ბევრათ მარტო ამისათვის ამზადებს მათ? თვით ქალის ბუნებაც ხომ ბავშების აღზრდისაკენ მიისწრაფის და თქვენ კი ამ ერთად ერთ სამოქმედო საშუალებას ართმევთ მას. ქალი აქ არ შეიძლება, ქალი იქ არ შეიძლება, ქალს სოფელში მოეწყინება, ქალს უნივერსიტეტში რა უნდაო, ქალი უნდა გათხოვდესო".

ასეთია, ზოგიერთ ჭიათურელ მასწავლებელთა პასუხი ქალებზე ზოგადად. ამასთან ერთად თქვენი შეხედულება თითქოს გათხოვებისათვის საჭიროა პრანჭვა-გრეხვა, პრანჭვას კი ჩაცმა-დახურვა მოსდევს ესეც თურმე ქალების დანაშაულია?! ეს არის მწარე და დამაღონებელი სინამდვილე რასაც მამაკაცი პედაგოგები უწყობენ ხელს მცდარი შეხედულების გავრცელებისათვის.

გაზეთი ,,კოლხიდა" N165, 20 ოკტომბერი, 1911
ავტორი: ფარი.

,,მცირე შენიშვნა"

,,კოლხიდის" N161-ში ვინმე იმერელ-მეგრელი ქალი მოგვითხრობდა ჭიათურის პირველ დაწყებით სკოლებში ოთხი ახალი მასწავლებლის არჩევის შესახებ, რომელიც აღნიშნავდა რომ კონკურსში მონაწილე 16 მასწავლებლიდან 5 მთხოვნელი ქალი გახლდათ რვა კლასდამთავებული, ხოლო მამაკაცები კი საქალაქო სასწავლებლისა და სამასწავლო სემინარიის კურსდამთავრებულები გახლდნენ. ისინი კომისიის გადაწყვეტილებას უკანონოთ მიიჩნევდა იმის გამო, რომ ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა რვაკლასიან ქალთა ცოდნის შესახებ. ეტყობა წერილის ავტორი თვითონაც ამ კატეგორიის მასწავლებელთა რიგს მიეკუთვნება. იმერელ-მეგრელ ქალს უნდა მოეხსენებოდეს, რომ სახალხო შკოლები ყოველთვის უფრო მაღალ სიმაღლეზე იდგნენ ცოდნითა და გამოცდილებით. ამავე აზრს გამოთქვამს რუსული

პედაგოგიური ჟურნალი ,,რუსკიე შკოლა“ და ,,ჩვენებური განათლებაც“. რაც მთავარია, დღევანდელ სკოლებში სწავლა-განათლება ქართულად წარმოებს. გიმნაზიელ ქალებს კი ,,კარტული“ ხომ არ ეხერხებათ და ისინი მშობლიურ ენაზე მოკითხვის ბარათსაც კი არ სწერენ.

,,სახალხო მასწავლებელი, როგორც თვით მსხნელი გვიჩვენებს, ხალხში უნდა ტრიალობდეს, და ცხადია, ყოველმხრივი განვითარებით, ფართო მსოფლმხედველობით, საჭირო ენციკლოპედიური ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, რასაც ამჟამათ, სამწუხაროთ, სემინარიელებიც მოკლებული არიან.“

საერთოდ, დღევანდელ პირობებში ყველაზე უფრო შესაფერ კონტიგენტს მასწავლებლობისათვის წარმოადგენს სახალხო მასწავლებელი, რომელიც ყველაზე უფრო გრძნობს ერის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას. ამასთან წერილის ავტორი საკვირველია რა მოსაზრებით უგულებელყოფს ,,რამდენიმე წლის პრაქტიკის“ მნიშვნელობას მასწავლებლისათვის: ,,გონიერი და დაკვირვებული მასწავლებელის ხელში რამდენიმე წლის პრაკტიკა ისეთი მძლავრი იარაღია, რომელსაც ვერ მისცემს მას ვერც ქალების გიმნაზია და, თუ გნებავთ, ვერც უმაღლესი სასწავლებელი.“

გარდა ამისა პრაქტიკა მასწავლებლის თვითმოქმედებაში დაუფასებელი ღირსება და უძვირფასესი განძია, რამეთუ იმ მასწავლებელს შეუძლია სხვისი სწავლება, რომელიც მუდამ თვით სწავლობს.

,,აქაც თქვენგან ათვალისწუნებული სამასწავლებლო სემინარიელები გიმნაზიელ ქალებზე უკეთ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას.“

ათასობით შეგვიძლია დავასახელოთ სემინარია დამთავრებული საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, პოეტი და სხვა.

გვჯერა, რომ ჭიათურის მასწავლებლებმა მხოლოდ ვიწრო შეხედულების გამო უარყვეს სკოლაში მიეღოთ გიმნაზია დამთავრებული ქალები. ეტყობათ, მათ კარგად იცოდნენ ამორჩეულ მასწავლებელთა ღირსებანი, რის გამოც მისცეს უპირატესობა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N168, 23 ოკტომბერი, 1911

,,ახალი ამბავი“

ქუთაისში გავრცელდა ხმა, რომ სასიქადულო მამულიშვილისა და ქველმოქმედის, აწ განსვენებულის დავით სარაჯიშვილის მეუღლე ქალბატონი ეკატერინე თითქოს შეპირდა თბილისში მყოფ ქუთაისის ქალაქის მოურავს ქუთაისში თეატრის აშენებას.

დანამდვილებით არავინ იცის ეს გავრცელებული ამბავი სიმართლეა თუ ჭორი, თუმცა კვამლი უცეცხლოთ შეუძლებელია: ,,თუ ეს ხმა გამართლდა და დაბეჩავებული ქუთაისი ეღირსა ეროვნულ ტაძარს, ქ-ნი ეკატერინე სიცოცხლეშივე სწორეთ უკვდავების ძეგლს დაიდგამს ქართველი ერის ამჟამადაც მადლიერს გულში.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N172, 28 ოკტომბერი, 1911
ავტორი: ს. მ.

,,ათი მცნება გათხოვილ ქალთათვის“

ამ დროინდელ ქორწინებასა და მეუღლეთა შორის მშვიდობიან ურთიერთობის დამყარებისათვის, რომელსაც ხელს უშლის ქალთა ემანსიპაცია, შეადგინა გათხოვილი ქალისათვის სავალდებულო ათი მცნება. იგი იტალიურმა გაზეთმა ,,Za Donna” (ქალი) დაბეჭდა:

,,1) გიყვარდეს ქმარი შენი ყველაზე მეტად ქვეყანაზე და მოყვასი შენი.“ მუდამ გახსოვდეს რომ შენი სახლი და შენ ეკუთვნი ქმარს შენსას და არა მოყვას შენსას.

,,2) უყურე ქმარს შენსა, როგორც დიდებულ სტუმარსა და ძვირფას მეგობარსა“. ყურს ნუ უგდებ შენი მეგობარი ქალების ლაპარაკს.

,,3) ეცადე შენი ქმარი შინ ყოველთვის იყოს მოსვენებით და როდესაც ის სახლში ბრუნდება, მიეგებე მხიარული სახით“. არასოდეს არ გაფიცხდე თუ ქმარი ვერ შეამჩნევს უცბად შენ შეხვედრასა და იმ დღის საქმიანობას.

,,4) ნუ წარუდგენ ქმარს ნამეტანს მოთხოვნილებას“. მხოლოდ შეგიძლია მოითხოვო, რომ შენი სახლი არ იყოს ძალიან მხიარული, მაგრამ მაშინ მთავარია ბავშვებისათვის იყოს საკმაო ადგილი დათმობილი.

,,5) შენი შვილები ყოველთვის უნდა იყვნენ მხიარულნი და სუფთად ჩაცმულნი.“ მსგავსად უნდა გამოიყურებოდე შენც, რომ თქვენი შემხედვარემ ქმარმა უნებლიეთ გაიღიმოს.

,,6) გახსოვდეს, რომ შენ გაყევი მას, რათა გაუყო სიხარული და მწუხარება.“ თუ მოხდა ისე რომ შენი ქმარი ყველასგან იქნა დევნილი შენ მაინც არ უნდა მიატოვო იგი ბოლომდე.

,,7) თუ შენი დედამთილი ცოცხალია, გახსოვდეს, რომ უნდა ეპყრობოდე გულ–კეთილათ“. დედამთილს ყოველთვის მოფერებით უნდა მიმართო და მოეპყრა.

,,8) ნუ მოსთხოვ ცხოვრებას იმას, რასაც ის სხვას არ აძლევს“. შენი ინიციატივით უნდა ეცადო მოიტანო რამე სარგებლობა, რათა სრულად ბედნიერი გახდე.

,,9) როდესაც საჭიროება და მწუხარება მოგვევლინოს ნუ დაიმადლებ თავს, და ნუ დაკარგავ იმედს: ბედნიერება დაბრუნდება“. ყოველთვის იმწუხრე შენი ქმრის გამო და თქვენ უნდა ვაჟკაცურად გადაიტანოთ მწუხარება.

,,10) თუ იგი გაგშორდეს ელოდე. თუ დიდხანს არ დაბრუნდეს, - კიდევ ელოდე“. თუ ქმარმა დაგტოვოს მაშინაც უნდა დაუცადო, რადგან შენ მარტო მისი მეუღლე კი არ ხარ ამ შემთხვევაში, არამედ მის სახელსაც პატივი უნდა მიაგო. მოვა დრო რომ იგი ოდესმე დაბრუნდება და დაგლოცავს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N177, 3 ნოემბერი, 1911

,,ახალი ამბავი“

1. ,,ქალთა უფასო შკოლის გამგე, მარიამ ივანეს ასული რუბანისა, მოწაფეთა და თავის მხრითაც გულითად მადლობას სწირავს ელეკტრო-თეატრის ,,მონპლეზარის“ პატრონს გ. ე. ჩარექოვს.“

თეატრის მეპატრონემ სკოლის სასარგებლოდ 220 მოწაფე ქველმოქმედების მიზნით უფასოდ მიიწვია თეატრში წარმოდგენაზე დასასწრებად.

2. რედაქციაში შემოვიდა მღვდელ მიხეილ სუპატაშვილის მეუღლე თავისი მდგომარეობით შეწუხებული და რედაქციას თხოვა დახმარება, ვინაიდან მისი ქმარი ოთხი წელიწადია, რაც ენისეის გუბერნიაშია გადასახლებული: ,,8 სულისაგან შემდგარი მისი ოჯახი ცხოვრების სახსარს მოკლებული უკიდურეს შიმშილსა და გაჭივრებას განიცდის. ამასწინათ სუპატაშვილის მეუღლეს მიუმართავს სამღვდელოების კრებისათვის, რომელსაც თხოვნით შეუწყნარებია და დაუდგენია, შემწეობა აღმოუჩინონ, მაგრამ უმაღლეს მთავრობას არ შეუწყნარებია. ახლა სახლის პატრონს მთელი ოჯახი გარეთ გაუყრია და თავშესაფარს ვერსათ პოულობენ“.

რედაქცია მიმართავს ყველა ქველმოქმედს და კერძო სამღვდელოების კრებას, რათა ამ გაჭირვებულ ოჯახს სათანადო ყურადღება აღმოუჩინოს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N220, 24 დეკემბერი 1911
ავტორი: აქილევსი

,,ქალთა განათლების საქმე და ჩვენი საზოგადოება“

ქალთა განათლების საკითხი ძალზე უნუგეშო მდგომარეობაშია. ამ საკითხის გარკვევას მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ქართველი ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

,,დღეს თუ ოჯახი არ გვივარგა და ოჯახში ქართული ენა დევნას განიცდის, ამის ბრალი უმთავრესათ იმ ,,კარტველ კალებს“ მიუძღვის, რომელთაც განათლება დღეს ჩვენში არსებული შკოლებისაგან მიუღიათ.“

თანამედროვე ქალებს დღეს, რომ სამშობლოს სიყვარული მოთხოვო ძალზე უსამართლობა იქნება. ისინი როგორიც აუზრდიათ, სწორეთ ისეთნი არიან.

,,მათში 9-10 წლის განმავლობაში სთესდენ ყოველივე მშობლიურისადმი მძულვარებას, ცდილობდენ, რომ მათგან ამოეფხვრათ ნაციონალური გრძნობა. ამ მიზნის მისაღწევათ შკოლის ბატონ-პატრონნი სდევნიდენ და ავიწროებდენ სამშობლო ენას შკოლებში, უკრძალავდენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს ოჯახსა და საზოგადოებაში, ჩასჩიჩინებდენ გამუდმებით უცხო ენის სწავლის სარგებლობას.“

სკოლის ბატონ-პატრონებს ამგვარი პოლიტიკის გატარებაში მხარს უჭერდა და ახლაც ეხმარებათ ოჯახი. ოჯახი ამგვარი მოქმედებით სჭრიდა სწორედ იმ ხის ტოტს, რომელზედაც თვითონ ზის. ოჯახისა და შკოლის ბატონ-პატრონების უკუღმართმა მოქმედებამ მიზანს მიაღწია და მათ აღსაზრდელ ქალში შექმნეს იმგვარი არსება რაც უნდოდათ. დღევანდელი ,,კარტველი კალები“ სწორედ იმ პოლიტიკის ნაყოფია, რომელსაც ქალთა შკოლები აწარმოებდა. მსგავსი პოლიტიკა ტარდებოდა ვაჟთა სკოლებში, მაგრამ აქ მათ მიზანს ისე ვერ მიაღწიეს, როგორც საქალებო შკოლებში: ,,მოსწავლე ქალები, სუსტი ხასიათის პატრონნი ემორჩილებიან შკოლის სულშემხუთავ პირობებს, კარგავენ საკუთარ აზროვნებას და მონიზმით იჟღინთებიან.“

მონიზმის ნიშანია ის, რომ ეს ქალები თავისუფალ ცხოვრების დროსაც შკოლისადმი და იქ გატარებული პოლიტიკისადმი ერთგულები რჩებიან. ეს უპირველესად გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოებაშიც უცხო ენაზე ტიკტიკებენ. 7-8 წლის ბავში, რომელიც უცხო ენის სწავლაში მუყაითობს დედისაგან ალერსით ჯილდოვდება.

,,საერთოდ ჩვენი ქალები სხვისი აზრებით გამოდიან ცხოვრებაში, თავის საკუთარი აზროვნება შკოლის წყალობით დაკარგული აქვთ. ჩვენი ქალები, შვილისაგან გონება გამოჩლუნგებულნი, ცხოვრებაში იყენებენ მხოლოდ იმ სწავლას, რომელიც დღევანდელი დახავსებული შკოლებისაგან მიუღიათ“. მათ მიაჩნიათ შკოლაში

თქმული შეხედულება ჭეშმარიტებად, ხოლო რასაც საზოგადოებასა და პრესაში ლაპარაკობენ, სიცრუეა. ამ გარემოების შედეგია, რომ საუკეთესო პირთა საუკეთესო აზრებს ჩვენი ოჯახები ყურადღებას არ აქცევენ.

ქალების ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი მარტო მათი უმეცრობა როდია. თუ შკოლამ მათში იოლად მიაღწია მიზანს, ეს მხოლოდ ქალთა ბუნებრივი სუსტი ხასიათით აიხსნება.

ამასთან ქალების გადაგვარებაში ყველაზე მეტი დამნაშავეა ის საზოგადოება, რომელიც ქალთა განათლების საქმეზე ზრუნვით თავს არ იწუხებს.

აუცილებელია ჩვენში ისეთი შკოლების დაარსება, რომელიც ,,ქალებს ჩაუნერგავს ოჯახის ერთგულებას, შრომის წადილს და სამშობლოს სიყვარულს“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N224, 31 დეკემბერი 1911
ავტორი: გ.ა.

,,ქალის მდგომარეობა გამაჰმადიანებულ საქართველოში“ (აჭარა–ქობულეთი)

,,ყოველი ადამიანის გულში მწარე სიბრალულს გამოიწვევს ქალის მდგომარეობა აჭარა-ქობულეთში. ათი-თორმეტი წლიდან ვიდრე სიცოცხლის უკანასკნელ ხანამდი, საწყალი ქალი ეწევა მონურსა და მისი პიროვნების გამთელავ უღელს. წამოიზრდება თუ არა ქალიშვილი, მშობლები მას ჩადრში ხვევენ და ამ დღიდან მისთვის დახშულია ცხოვრება: სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას ნება არ აქვს გარდა ძმებისა და ბიძაშვილებისა სხვა მამაკაცს დაენახოს.“

გამაჰმადიანებული ქალებისათვის არ არსებობს წირვა-ლოცვა, შკოლა, ქალაქი, ახალი ამბავი, ქორწილი, ტირილი. მას არავითარი უფლება არ აქვს და მისი არსება სამუდამოდ გამქრალია და იგი მხოლოდ გამხეცებული მამაკაცის დესპოტური ბრძანების შესასრულებლად არსებობს.

,,ასეთ მდგომარეობაში საწყალი ქალი ჩლუნგდება და ყოველი დამტკიცებითი მხარე გონება-ზნეობისა თანდათან ეცლება“.

გონება განუვითარებელი ქალის საქმიანობა მხოლოდ საჭმლის მომზადებითა და პირუტყვის მოვლით განისაზღვრება. მშობლების უფლება ქალიშვილზე საზღვარ დაუდებელია. მამას უფლება აქვს თავის ქალიშვილს ისე მოეპყრას, როგორც მოესურვება. თუ გაიგო, რომ მისმა ქალიშვილმა სახე ვინმეს უჩვენა, მას შეუძლია ცემოს, ხშირად სახეც დაუსახიჩროს. გათხოვების შემდეგ ქალის დაბეჩავებული ცხოვრება უკეთესობისაკენ არაა მიმართული. მას მშობელი საკუთარი ნება-სურვილით ათხოვებს.

,,საწყალი ქალი მხოლოდ დაქორწინების მეორე დღეს პირველათ შეხედავს თავის ქმარს. აქამდის ის მას არ უცვნია და არც უნახავს.“

არც იცის მისი ზნე-ჩვეულება, ჭკვა-გონება და ხასიათი. სწორედ, ამის შედეგია ის, რომ უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახით ქმარი ცოლს უპატრონოდ მიაგდებს და მოყავს მეორე ცოლი, ხშირად მესამეც. ერთი ცოლთაგანი ხდება უფროსი ცოლი, რომლის ბრძანებას სხვები ასრულებენ.

ასეთ მდგომარეობაში ცოლის თავმოყვარეობა შელახულია. ხშირად ქმარი ცოლს მთელი წლობით არ ეკარება, და, ვაი ქალის ბრალი, თუ ქმარმა ღალატი შეატყო. ასეთი დამნაშავე ქალის სასჯელი ,,ყურანს“ გადაწყვეტილი აქვს.

,,მოღალატე ცოლი გასუდრეთ, მოაბით ლოდი და გადისროლეთ წყლის უფს–კრულში, ვინაიდან ესე არს ნება ალაჰისა და მე ვამბობ მას“. ეს კანონი მთელ აჭარა-ქობულეთში მტკიცედაა დაცული. გამაჰმადიანებულ ქართველ ქალთა სწავლა განათლებაზე ზრუნვა ხომ ზედმეტია. მთელ აჭარა-ქობულეთში ათამდე თავადის ოჯახობამ თუ იცის ქართული წერა-კითხვა. დანარჩენს თავის სიცოცხლეში ხელი არ მოუკიდიათ წიგნსა და კალმისათვის.

ასეთია მძიმე ყოფა ამ კუთხის ქალებისათვის. ამიტომ სავალდებულოა წერა-კითხვის საზოგადოებამ მაინც იზრუნოს ქალთა განათლებისათვის. ,,მოუწოდებთ ქართველ განათლებულ ქალებს, აქ იქნებოდა ძვირფასი ნიადაგი მათი მოღვაწეობისა. 14 საუკუნეა იმათ დებს პირ-საბური აქვთ აფარებული. დროა მოხსნან ამ დებს ეგ პირბადე, დაანახონ ქვეყანა, აჩვენონ მზის სხივი“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N2, 4 იანვარი, 1912

,,ახალი ამბავი“

ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის საბჭოს წევრათ ,,სამღვდელოების მხრივ მომავალი სამი წლით არჩეულია და დამტკიცებული ბლაღ. ი. ფანცხავა“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N2, 4 იანვარი, 1912
ავტორი: ჯ.ფ.

,,წინასწარმეტყველობა 1912 წ.“

რა მოელის ქვეყნიერებას 1912 წელს?! ამ კითხვებზე არასაიმედო პასუხს იძლევა ფრანგი გულთმისანი ქალი ქ-ნი ფებსი. იგი გულთმისან-წინასწარმეტყველებს შორის პირველ ადგილზე დგას. ფებსის ცნობები 1912 წლის ,,ბედ-იღბლის“ შესახებ მალე დაწვრილებით გამოვა. მანამდე უნდა გადმოვცეთ ფებსის სიტყვებით, რომ ვთქვათ მომავლის რამდენიმე უიმედო ბედისწერის შესახებ.

1912 წელიწადი შავ-ბნელი წელიწადი იქნებაო, წელი საშინელებისა, სიკვდილისა და ადამიანთა ჟლეტის, - ამბობს იგი.

1911 წელს მან ბინდის წელიწადი უწოდა. მომდევნო 1912 წელი - ეს წელი შავ-კუპრიანი ღამეა, რომელიც ელვის ნაპერწკლებით დროგამოშვებით განათებულიც იქნება: ,,მერკური - ქვეყნების ერთგული პლანეტაა - ამბობს ,,გულთმისანი“, მაგრამ იგი განიცთის მარსის ზეგავლენას!... საქმის ხალხი ფინანსისტები, ძალიან წინ წაიწევენ, მაგრამ რამეზე უეჭველათ ,,კინკლავი“ მოუვათ - და საქმეს ჯარის სარდლები და ბრძოლის ველი გადასწყვეტსო. ძალა, თურმე როგორც აქნობამდე, 1912 წელსაც ფულსა და იარაღს ექნება!!..

საფრანგეთს არ აცთება ომი... თუ 1912 წ. დამლევს არა, წლის დასასრულ მაინც უსათუოთ იქნება.“

თუ საფრანგეთს 1912 წელს რაიმე მიზეზით აცდა ომი 1913 წელს უსათუოთ მოუხდება იგი. ამასთან ერთად დედამიწაზე ერთი დიდი კატასტროფა უნდა მოხდეს, რაც გადაატრიალებს ევროპასა და თან მიაყოლებს აზიასაც. სახელმწიფოთა

ურთიერთობები ამ დროს ობობას ქსელივით აიბურდება. შემცირდება სანოვაგე, გაძვირდება ცხოვრება, მოისპობა თურმე ძროხის რძეც.

1912 წლისათვის ზამთარიც იქნება სასტიკი, გაზაფხული მძიმე, ხოლო ზაფხული და შემოდგომა საძაგელი. შემცირდება ღვინისა და ხილის მოსავალი. მთელ დედამიწაზე იქნება ხშირი და ძლიერი ქარიშხალი.

გულთმისნის წინასწარმეტყველებიდან აღნიშნულია ასევე: ,,ყველგან მოჩანს თურმე ცეცხლი, სისხლი. პარიზში ყოველგვარი შეთქმულობა იქნება. ალჟირსა და ტუნისში გამცემლობა... საფრანგეთში ძლიერ გართულდება საქმე. იქნება შეტაკება ხალხსა და ჯარს შორის."

ერთი მსახიობი ქალი, რომელიც დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურსა თუ სოციალურ ცხოვრებაში სცენას თავს გაანებებს და გათხოვდება.

ესპანიაში იქნება ბრძოლა და შეთქმულობა. არც გერმანიაში იქნება ნაკლები უბედურება. ,,პრუსია დიდ როლს ითამაშებს. აი, რას მიიღებს ბერლინი თავისი სიმკაცრისა და ბარბაროსობის სანაზღაუროთ. ვილჰელმის დღეები, როგორც მეფისა, თურმე დათვლილი ყოფილა. და მისი ჩამოღების შემდეგ გერმანიაში ,,ფერისცვალება" დადგება."

ინგლისისათვის ასევე ცუდი ნიშნებია. სიკვდილი, ცეცხლი და საერთოდ ვაიუშვე-ლებელის წელიწადია.

გაზეთი ,,კოლხიდა" N4, 6 იანვარი, 1912
ავტორი: თეოდოსია ჯაფარიძისა

,,ქართველ ქალთა საყურადღებოთ"

ძველი წელიწადი გავისტუმრეთ და იგი უნდა მივცეთ დავიწყებას, რადგან მას ერთი წამითაც არ უზრუნვია ჩვენს სასარგებლოთ.

,,წელიწადი დიდი დროა კაცის ცხოვრებაში, მის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, ჩვენც მივსდიოთ მას კვალდაკვალ, დაუზარებელი ხალისით გავიკვლიოთ გზა უკეთესი მომავლისკენ, განსაკუთრებით ვიზრუნოთ ქალთა უმაღლეს განათლებაზე."

ქალთა განათლების შესახებ გაზეთ ,,კოლხიდის" ფურცლებზე ბევრი მისაუბრია. ეს ისეთი საკითხია, რომელიც მუდმივ ზრუნვას საჭიროებს, ვინაიდან მარტო ქველმოქმედებაზე შეჩერება არას გვარგებს. აუცილებელია ისეთი საშუალებების გამონახვა, რომლის შემწეობით ერთმა ქართველმა ქალმა უნდა მიიღოს განათლება უმაღლეს სასწავლებლებში.

,,ამ მიზნით მივმართავ ქუთაისელ და თფილისელ ქართველ ქალთ, რადგან ეს საქმე უფრო მოსახერხებელია საგუბერნიო ქალაქებში, ვინემ დავებში, - დააარსონ ქალთა საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც კარგი ხელმძღვანელობით დიდ შემოსავალს მოგვცემს. ადესაში არსებობს კიდეც ასეთი დაწესებულებაც, შეგვიძლია გამოვიწეროთ წესდება, ანგარიში და თუ ხელსაყრელი დარჩება ჩვენც საერთო შრომით შევქნათ ასეთი საქმე. ჩემის ფიქრით ქალთა საერთო განათლების საკითხზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენში ბევრი არ მოიპოვება; რადგან ამაზეა დამყარებული თვით ჩვენი ერის კეთილდღეობა".

ქალთა განათლების საკითხი არსად არარის ისეთი კრიზისული როგორც საქართველოში. დღემდე ქალთა უმაღლეს განათლებას ჩვენში როგორც ფუფუნებას ისე უყურებდნენ და არა ისე, როგორც ერთ სახსართაგანს, რომელსაც ჩვენი ცხოვრების გადატრიალება საკეთილდღეოდ შეუძლია.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N4, 6 იანვარი, 1912
ავტორი: კ. მაღრაძე

,,700 წლის ქალი“

მრავალი ლეგენდა და თქმულებაა დარჩენილი ჩვენში თამარ მეფის შესახებ.

მათი შეკრება და ჩაწერა მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიისათვის, ასევე დიდებული გვირგვინოსნის პიროვნების დახასიათებისათვისაც.

ზემო იმერეთში თამარ მეფეზე ერთი ლეგენდა მოგვითხრობს: ,,დიდ თამარს ვარსკვლავი ყავდა დაჭირული და ოქროს კოლოფში ჩამწყვდეული. ამ ვარსკვლავის საშვალებით მას შეეძლო, როცა უნდოდა, წვიმა მოეყვანა. თუ კოლოფს ახთიდა - გაავდარდებოდა, თუ დახურავდა - კაი დარი დადგებოდა. ამიტომ იყო, რომ დიდი თამარის დროს მუდამ უხვი მოსავალი იყო და ხალხიც ამ მოსავლით გაჯერებული. თამარის დროს ხალხი მდიდრათ და ბედნიერათ ცხოვრობდა.

თამარის ვარსკვლავს უკვდავების წყალიცა ქონდა და ვინც მას დალევდა საუკუნოთ იცოცხლებდა. თამარს ურჩევდენ დაელია ის წყალი, მაგრამ იგი არა სთანხმდებოდა, რადგან ღვთის საწინააღმდეგოთ მიაჩნდა, ღვთისაგან აქვს კაცს სიკვდილი დადგენილიო“.

თამარს მეფეს მრავალი სეფე ქალი და მოახლე ჰყავდა. იგი განსაკუთრებით ენდობოდა ერთ მოახლეს, რომლისგან დაფარული არაფერი ჰქონდა რა.

ერთხელ ეს მოახლე მის საპირფარეშოში შეიპარა და ვარსკვლავიან კოლოფიდან წყალი დალია. ამ დროს კოლოფიდან მას ვარსკვლავი ამოუხტა და გაუფრინდა. თამარმა მოახლე სასახლიდან დაითხოვა. თამარი წამოვიდა ტრაპიზონიდან და მოახლე კი იქ დარჩა. ამის შემდეგ მოახლე სტამბოლში ჩავიდა და აია სოფიის გალავანში დაიწყო ცხოვრება. გავიდა დიდი ხანი. რამდენიმე თაობა შეიცვალა ნამოახლარი კი ისევ ცოცხლობდა.იგი სიბერისაგან ისე დაპატარავდა, რომ მუჭის სისხო დარჩა. ხალხს უკვირდა თუ რატომ არ კვდებოდა იგი. ერთ დღეს ნამოახლარმა თავისი თავგადასავალი ეკლესიის მსახურებს უამბო და სთხოვა იგი სარწყულ კვახში ჩაესვათ და ეკლესიაში დაეკიდათ. ეკლესიის მსახურებმა სურვილი აუსრულეს.

,,ეს კვახი ახლაც კიდია დიდ აია-სოფიაში და ყოველ 1 მაისს, თამარის დაბადების დღეს გაქანდება და დაიძახებს: ,,ნეტავი თამარი კიდევ ცოცხალია?!“ და ეს დაძახილი ეკლესიაში მყოფს ყველას ესმის“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N4, 6 იანვარი, 1912
ავტორი: აკაკი

,,მსახიობ ქალის მ. აბაშიძის იუბილეს გამო“

წყალში ნაშობი მარგალიტი, სანამ ზღვის სარდაფშია გამომწყვდეული არაფრად ღირს, მაგრამ როცა ხოჭიჭს გახსნიან და გადმოიღებენ ადამიანის თვალის შეხედვისთანავე იგი განძად გადაიქცევა. ამ მარგალიტით რთავენ სამოსელს, აკეთებენ ქინძისთავებსა და ყელსაბამებს. ამ მარგალიტებში ზოგჯერ მსხვილი მარგალიტიც გამოერევა ხოლმე, და იგი თვალს შორიდანვე სჭრის, მაგრამ ახლოს გასინჯვისას წმინდა წყლის მარგალიტად აღარ გამოდგება.

ასეთივეა საზოგადო მოღვაწეობაც: ,,სანამ ადამიანი არა გამოუცდიათ, არც არავინ იცის, მაგრამ როცა კი გამოვა საზოგადო სარბიელზე და ისახელებს თავს, იმ დღიდან

იმას ისე აფასებენ, როგორც მარგალიტს. აი მიზეზი, თუ რათ ცთილობს ყველა, რომ თავი გამოიჩინოს! მაგრამ რადგანაც საზოგადო მოღვაწე ძვირია, როგორც წმინდა წყლის მარგალიტი, მის ადგილს იჭერენ თაღლითები, კუჭს რომ ვერ ასცილებია და მეგანგაშეების და მებუკეების წყალობით არიან გაბერილი, ზოგჯერ ჩვენც ვსტყუვდებით და თაღლითებით მოტყუებული თვალს ვარიდებთ ხოლმე ობოლ მარგალიტს!...“

ქალბატონი საფაროვის ქალი სწორედ ერთი იმ წმინდა წყლის მარგალიტთაგანია და ვიდრე ქართული სცენა არსებობს, მისი სახელიც უკვდავი იქნება. 32 წელი სულითა და გულით ემსახურა იგი ქართულ სცენას, სანამ სმენა არ დაკარგა. დღეს ამისთანა მოღვაწის დაუვიწყრობის აღსანიშნავად საჭიროა უკვდავსაყოფად მისი იუბილის აღნიშვნა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N5, 8 იანვარი, 1912

,,ახალი ამბავი“

6 იანვარს ნაშუაღამებს ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა ადგილობრივ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ქალი სიო ბერიძის ასული ვენერა.

იგი ერთხანს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მოღვაწეობდა და მეორე წელია რაც გათხოვდა. ,,შვილოსნობის მიზეზით მოხთენილ ოპერაციის შემდეგ დიდხანს იავადმყოფა - და გადაიცვალა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე და ჩვენი შინაური საქმეებისთვის სასარგებლო ადამიანი. განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეში“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N7, 11 იანვარი, 1912

,,ახალი ამბავი“

დღეს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში, სტუდენტური ტრადიციული საღამო გაიმართა. ,,საღამოს პროგრამაც საინტერესოა სხვათა შორის იმით, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს ქალი ელ. თარხნიშვილისა. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ეს მომღერალი ქალი, ძალიან კარგათ მღერის და ძლიერ სასიამოვნოა, რომ პროგრამაში შეუტანია ქართული სიმღერებიც“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N13, 19 იანვარი, 1912
ავტორი: შხან კოლა

,,პასუხი ლანჩხუთის მასწავლებელ ქალებს“

ალმანახ ,,ხათაბალის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ლექსი (ლანჩხუთის ინტელიგენტთა სიმღერა), რომელმაც ძალზე გაანაწყენა ლანჩხუთის მასწავლებელი ქალები. მათ შეკითხვით მიმართეს გაზეთ ,,კოლხიდის“ ნომერ 9 საშუალებით რედაქციას,-ყავდათ თუ არა ისინი იმ ნასწავლ ქალების რიცხვში, რომელთაც ბრალს კარტ-ნარდის თამაშით დროს ტარებაში ბრალს დებდნენ.

თუ გყავდით, მაშინ ან წაიღეთ გაზეთის საშვალებითვე ეგ ბრალდება ჩვენს შესახებ ან გამოგვყევით სამედიატორო სამართალშიო. მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი: ,,აი ქ-ბო ჩემი უმთავრესი ბრალდება ლანჩხუთის ნასწავლ ქალებზე და საზოგადოთ აქაურ ინტელიგენტებზე კარტ-ნარდისა და გინდ ჭადრაკის თამაშობა კი არ არის, არამედ თავიანთ ჩინოვნიკურ საქმისა, რომლითაც ქანქარს ხვეტავთ, არაფრის გაკეთება, ყოველი კულტურული საქმისადმი გულციობა, სრული მცონარეობა და ერთი სიტყვით თანამედროვე ცხოვრებაში უკან ჩამორჩენაა, რომელის საპასუხოთაც თქვენ ქ-ბო კრინტსაც არა სძრავთ.“

რაც შეეხება კარტის თამაშობას რომელთა სახეში ლანჩხუთის ნასწავლ ქალთა უმრავ-ლესობა იგულისხმებოდა, ზოგიერთი თქვენგანიც მათ რიცხვში მოიაზრებოდნენ. ამ პასუხის წაკითხვის შემდეგ თქვენი ნება-სურვილით თანახმა ვარ მედიატორულ სამართალში წარვსდგე იმ მოტივით, რომ გამოაშკარავოთ ჩემი პიროვნება.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N14, 20 იანვარი, 1912

,,ახალი ამბავი“

1.,,ქუთაისში დაარსდა ქალთა წრე, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ქართული მწერლობის გაცნობა და შესწავლა“.

ამ წრეში ჯერ-ჯერობით წაუკითხავთ თავიანთი ნაწერები დ. კლდიაშვილს, ევგ. გეგეჭკორს, ვას. წერეთელსა და ჯ. ჯორჯიკიას.

2. ,,მ.მ. საფაროვის ასულის იუბილეზე დასასწრებათ ქართულმა გიმნაზიამ გადაწყვიტა გაიგზავნოს მასწავლებელი გ. ნათაძე.“

დრ. დასმა დაადგინა გაიგზავნოს ნ. ჩხეიძის ასული და მ. ქორელი. დრ. საზოგადოების გამგეობის წარმომადგენლათ იქნება გამგეობის წევრი გ. ნათაძე.

ჭიათურის დარამატული საზოგადოების გამგეობისა და სცენის მოყვარეთაგან დაესწრება ს. ტარუაშვილი.

,,ქართველ აქიმთა საზოგადოებამ დაადგინა, - ეთხოვოს აქიმს შ. მიქელაძეს, წაიკითხოს ადრესი და მიართვას ნობათი.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N16, 22 იანვარი, 1912

,,ღრმათ პატივცემულო, ჩვენო სცენის სიამაყევ და დიდებავ, ქალბატონო მარიამ!“

,,ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია წრფელი გრძნობით გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. დღეს მარტო თქვენი კი არა, ჩვენი დღესასწაულიც არის, რადგანაც შემთხვევა გვეძლევა აღვნიშნოთ ის კავშირი, რომელიც ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძართა შორის არსებობს. ეს ორი რამ დაგვჩენია დღეს ჩვენ და მათ შორის ხელოვნების ტაძარს უფრო მაღლა უჭირავს დროშა, უფრო უმწიკვლოთ აქვს იგი მას დაცული.

მაშინ როდესაც დროთა ვითარების გამო ეროვნული მეცნიერება დაჩაგრული და შელახულია, ხელოვნება და სცენა, თქვენისთანა მოღვაწეების მეოხებით, უზაკველათ ემსახურება საზოგადოებასა და ახალ თაობას“.

მარიამ საფაროვას ძალისხმევით ქართულ თეატრს მრავალი თაობა გამოუზრდია და სწორედ ეს თაობა უძღვნის მას გულწრფელ სალამს იმ ღვაწლისათვის, რომელთა სცენური მოღვაწეობის ჩამოყალიბებაში მან როგორც მასწავლებელმა შეიტანა როლი.

,,თქვენს დიად პიროვნებას კიდევ დიდხანს არ დაეკარგება ცხოველმყოფელი გავლენა და თქვენი ხსოვნა კიდევ ბევრ ახალ თაობას გამოზრდის".

გაზეთი ,,კოლხიდა" N16, 22 იანვარი, 1912
ავტორი: დ. მესხი

,,მ.მ საფაროვის ასულის იუბილეს გამო"

დღეს თბილისის ქართველობა იუბილეს უხდის მარიამ საფაროვა-აბაშიძისას. ,,მე მომსწრე ვარ იმ დროისა, როცა პატარა, ცქრიალა მაკო თფილისის სცენაზე ცქრიალებდა და ცქრიალი თამაშით მაყურებელს ხიბლავდა. ქართულ წარმოდგენაზე ისეთი გულიანი, თავდავიწყებული სიცილი არ გამიგონია, როგორიც იყო მაკოსა და ნატოს დროს."

სიცილი სცენაზე ახლაც ისმის. ზოგჯერ გაიცინებს ერთი, სამი, თუნდაც ათი, ხოლო დანარჩენს ღიმილიც კი არ უკრთის სახეზე. მაკოს თამაში ერთიან სიცილსა და აღტაცებას იწვევდა.

,,მაკო რომ სცენაზე გამოვიდოდა, საზოგადოება ტყვე იყო მისი. დიდი, პატარა, მოხუცი, ყრმა - იყო მისი. ყველას იმონებდა, ყველა ნეტარებას, კმაყოფილებას განიცთიდა. მახსოვს, ერთი პატარა, სახუმარო ვოდევილი გადავთარგმნე - ,,სუსტი მხარე". პირველათ ითამაშეს თფილისში მაკომ, ნატამ, ვასომ და კოტემ. როცა ვოდევილი დასრულდა და თეატრში ძახილი გაისმა: - ავტორი, ავტორიო, - კარგათ ვგრძნობდი, რომ მე მეძახოდენ, ე.ი. მე მეძახოდენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი სცენის ბუმბერაზებმა ითამაშეს ისე კარგათ, ისე ცოცხლათ ეს პატარა, უბრალო ხუმრობა, - ვოდევილი".

ენით აუწერელი სიხარულის გრძნობა სუფევდა, როცა ვოდევილის მთარგმნელს მაკო და ნატო ამოუდგნენ მხარში და ისე გაიყვანეს სცენაზე.

მაკო იყო ის დიდი მსახიობი, რომელთა ძალისხმევით ბევრმა აიღო ხელში კალამი უცხოური პიესის გადასათარგმნად. მან გაამდიდრა დრამატული ლიტერატურა, დღეს სამწუხაროა, რომ მეორე მაკო აღარა სჩანს.

გაზეთი ,,კოლხიდა" N16, 22 იანვარი, 1912

,,ქუთაისელ ქართველ ქალთაგან"

სცენის დიდი ოსტატის მარიამ საფაროვის ასულის იუბილესთან დაკავშირებით ქუთაისიდან მრავალი დეპეშა გაიგზავნა. მათ შორის გახლდათ ქუთაისელ ქართველ ქალთა ერთი ჯგუფი: ,,ღირსახსოვარ დღეს 30 წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისას ეროვნული სცენის აყვავებისათვის სალამს უძღვნით მარიამ საფაროვა-აბაშიძისას და ვუსურვებთ ხანგრძლივსა და ბედნიერ სიცოცხლეს სამშობლოს თეატრის სახელისათვის."

გაზეთი ,,კოლხიდა“ N16, 22 იანვარი, 1912

,,კოლხიდის რედაქციისაგან“

იუბილესთანდაკავშირებითგაზეთ,,კოლხიდის“რედაქციაადრესუგზავნისცნობილ მსახიობს მარიამ საფაროვას: ,,სამშობლოს სცენის მშვენებავ! გულწრფელ სალამს მოგიძღვნით და გისურვებთ დღეგრძელობას 30 წლის ნაყოფიერი თავგანწირული მოღვაწეობისათვის მშობლიური დრამატიული ხელოვნების ასაყვავებლათ“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N16, 22 იანვარი, 1912

,,ქუთ. ქალაქის მოურავისაგან“

მომლოცველთა შორის გახლდათ ქუთაისის ქალაქის მოურავი, რომელიც 30 წლიანი სასცენო მოღვაწეობისათვის ბრწყინვალე ნიჭით გამორჩეულ სცენის ოსტატს მაკო საფაროვას საიუბილეოთ უგზავნიდა დეპეშას: ,,იგი მიუხვდა მშობლიური ხელოვნების სამსახურს, აიღო ალღო, ქალმა, გმირმა თამამათ სძლია რუტინას, კარჩაკეტილობას და სამშობლო სცენის საკურთხეველზე ღვთიური ცეცხლით გამთბარი გული დასდვა. საცოდავ მაკოს ტრაგიკული ბედი არგუნა ამ აღფრთოვანებულმა სამსახურმა, მაგრამ ქართული სცენის მიმქრალი ვარსკვლავი კვლავ დიდხანს იქნება თაყვანსაცემი“.

ქალაქის მოურავი ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის სახელით მდაბალ სალამს უძღვნიდა სახელოვან იუბილარს, როგორც ქართული გენიის გამომხატველს“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N25, 2 თებერვალი, 1912

,,ახალი ამბავი“

ქალაქის თვითმმართველობას აღუთქვამს 1100 მანეთის ყოველწლიური დახმარება პირველი საქალაქო სასწავლებლისათვის, რომლისთვისაც 1909 წლისათვის გადაუხდელი დარჩენილი ჰქონდათ 3520 მანეთი.

,,ქალთა უფასო სასწავლებლის კი, რომელსაც ყოველწლიურათ აძლევს ქალაქი 1400 მანეთს, დარჩენილა 1050 მანეთი; სახალხო შკოლების დირეკტორის თხოვნით, გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, რომ რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილოს ხსენებული სასწავლებლები“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N30, 10 თებერვალი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,ყოვლადსამღვდელო გიორგის განკარგულებით საეპარქიო ქალთა სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა დეკ. ივლიანე აბესაძე.“

ყოფილი თავმჯდომარე დეკანოზი მელ. ცაგარეიშვილისა ამ მოვალეობიდან პირადი თხოვნის საფუძველზე გაათავისუფლეს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N33, 14 თებერვალი, 1912

,,წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში“

ქუთაისის საზოგადოებაში წმინდა ნინოს სასწავლებელზე დიდი ხანია რაც არა სასიამოვნო ხმები დადიოდა. სასწავლებლის ხელმძღვანელზე მოწაფე ქალები დიდ უკმაყოფილობას აცხადებდნენ და ეს პროტესტი იქამდე გაიზარდა, რომ ერთ დღეს გუბერნატორის მოწვევაც აუცილებელი გახდა.

შაბათ დღეს, როდესაც მთელი სასწავლებლის მოწაფე ქალები დილის ლოცვისათვის დიდ დარბაზში შეგროვდნენ - ,,ლოცვის დაწყებამდი შევიდა მათთან სასწავლებლის უფროსი ქალი, რომელსაც სტვენითა და ყვირილით - მოგვშორდი, არ გვიდნიხარ! - დახვდენ მოწაფე ქალები. უფროსი ქალიცა და სხვა მასწავლებელნიც ბევრს ეცადენ, მაგრამ მოსწავლენი ვერ დაამშვიდეს. მაშინ აცნობეს გუბერნატორს, რომელიც მალე გამოცხადდა სასწავლებელში, დაამშვიდა მოსწავლენი და გამოკითხა გარემოება.“

მოსწავლეებმა გუბერნატორს განუცხადეს, რომ მათთვის მოეშორებიათ სასწავლებლის უფროსი, რომელიც მათ ყოველდღე ლანძღვასა და შეურაცყოფას აყენებდა. ეს ინციდენტი ერთ გარემოებას გამოუწვევია. სასწავლებლის უფროს ერთი რუსი მოსწავლისათვის დაუვალებია, რომ თვალყური ედევნებია მისი ამხანაგებისათვის და ყველაფერი ამბავი მისთვის გადაეცა. ,,მოსწავლეს უარი უთქვამს ამ ,,ხელობაზე“ და უფროსსაც ვითომ ამ სიტყვებით მიუმართავს მისთვისო: - შენც გაიჟღენთე იმერლების ველური ინსტიკთითო...“ ამ სიტყვებით აღელვებულ რუს მოწაფეს ყველაფერი უამბია თავისი ამხანაგებისათვის, რომელსაც ყველა ეროვნების მოწაფე აუღელვებია და ეს პროტესტიც ამის ნიშანი გახლდათ.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N35, 16 თებერვალი, 1912

,,ახალი ამბავი“

1. ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებელში მომხდარი ინციდენტის გამო გამოძიება კვლავ გრძელდება. მართალია სასწავლებელში სწავლის პროცესი მიდის, მაგრამ იგი ნორმალურ კალაპოტში არაა ჩამდგარი. ,,უფროსი კლასების მოწაფე ქალები თითქმის ყველა ერთ სულოვნებით არიან გამსჭვალული და უფროსის წინააღმდეგ პროტესტის გზას ადგიან. ხოლო იმასაც ამბობენ, რომ უმცროსი კლასის მოწაფენი რაღაც კოლეკტიური თხოვნის შედგენას ფიქრობდენ იმის თაობაზე, რომ ახლანდელი უფროსი არ მოგვაშოროთო“.

ყოველივე ამის მიუხედავად, აუცილებელია ამ საჭირბოროტო საკითხის დროულად გადაწყვეტა, რათა ,,სწავლის საქმეს შეფერხება არ დაეტყოს. - ეგზამენის დრო მოახლოვებულია და ბავშების გამოურკვეველ მდგომარეობაში დატოვება დიდი დანაშაული იქნებოდა“.

2. ორი წლის განმავლობაში გურია-ოდიშის ეპარქიაში იქაური სამღვდელოება ცდილობს ,,საეპარქიო ქალთა სასწავლებელის გახსნას. ახლა ეს საკითხი სასულიერო მთავრობის რევიზორის აქ ყოფნის დროს შეიძლება საბოლოოთ გადაწყდეს“. საერთოდ, უფრო ხელსაყრელი იქნება ამ სასწავლებელის სენაკში გახსნა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N38, 19 თებერვალი, 1912

,,ახალი ამბავი“

ჯერ კიდევ ორი დღის წინ ასეთი ხმა გავრცელდა, რომ ,,ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი ქალი გადაყავთო. მომხვდარ ინციდენტამდიც იყო ხმები, - ამ უფროს ქალს ორი თვით თავისუფლებას აძლევენ სამსახურიდან და უკან აღარ დააბრუნებენო“.

ამასთან ერთად სხვა ხმებიც იყო გავრცელებული, რომ ამ უფროსის ფონდები აიწია და მოწამე ქალთა მოთხოვნამ საქმე გააფუჭა. დღეს კი იმასაც ამბობენ, რომ უფროსი გადაიყვანეს და მისი მოადგილის სახელი და გვარიც გარკვეულია.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N38, 19 თებერვალი, 1912
ავტორი: შხანკოლა

,,პასუხათ ლანჩხუთის ოთხ მასწავლებელ ქალს“

,,კეთილი გინებებიათ, რომ სიტყვას არ შეწბილებიხართ და დაგინიშნავთ მედიატორები. მარა ერთი მინდა გკითხოთ ქ-ო! სხვები რა უყავით? მარტო თქვენ ოთხმა მიითვისეთ ყველა მასწავლებელ ქალთა სახელი? მარტო თქვენ შეადგენთ აქაურ ნასწავლ ქალთა წრეს! ეს უზურპატობაა ქ-ბო!“

თქვენს წინადადებას მაინც სიამოვნებით ვეთანხმები და ჩემს მედიატორებად ვნიშნავ ს. ორაგველიძეს და მ. კვაჭაძეს. ამასთან წინასწარ მინდა განვაცხადო ოთხივე მედიატორის საყურადღებოთ, რომ თავმჯდომარედ არ იქნება არჩეული არც ერთი ის პირი, რომელიც ჩემს მიერ დაწერილ ,,ხათაბალაში“ მოთავსებული წერილი შეეხება.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N41, 23 თებერვალი, 1912

,,ახალი ამბავი“

1.,,ქუთაისის ქალთა უფასო შკოლის გამგემ - ტიმჩენკო-რუბანისამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა 1911 წლის ანგარიში“: 1911 წელს 217 მოსწავლე ქალი ყოფილა. ამათში 198 ქართველი და 19 რუსი. ხარჯი ყოფილა 4, 946 მანეთი და 9 შაური. ხაზინას მიუცია შემწეობა 2, 500 მანეთი, ქალაქს - 1400 მანეთი.

2.,,ქუთაისის ქალაქის ქალთა მეორე სასწავლებლის გამგემ თ. მაჭავარიანის ასულმა შემდეგი ანგარიში წარუდგინა გამგეობას: 1911 წლის განმავლობაში 221 მოწაფე ყოფილა. სწავლის ფულიდან გაუთავისუფლებიათ 67 მოწაფე, ფული შეუტანია 88 მოწაფეს, სიღარიბის გამო სწავლის ფული ვერ შეუტანია 22-ს“.

უსახსრობის გამო სწავლისათვის თავი დაუნებებია 23-ს სხვადასხვა მიზეზების გამო. მეორე წლის ნახევრის სწავლის ფულიდან გლეხთა გათავისუფლების სახსოვრად ყველა გაუთავისუფლებიათ.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N42, 24 თებერვალი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,22 თებერვალს ოლქის სასამართლომ გაარჩია შოვნაძის, კოღოაშვილისა და ლიზა შოვნაძის ქალის საქმე. მათ ბრალდებოდათ გასულ წელს ნოემბერში თავის ეზოში კოხრეიძის მოკვლა. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო სამივე და მიუსაჯა ქალს და კაც შოვნაძეებს 15 წლის კატორღა. კოღოაშვილს კი 10 წლის კატორღა.“

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ გაარჩია სადგურ ნატანების მახლობლათ ნავთის მიწის გაჭრა და ნავთის მოპარვა დამნაშავეთა დიდ ჯგუფზე. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ყველანი და ყოველ მათგანს სხვადასხვა ვადით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N42, 24 თებერვალი, 1912
ავტორი: რაჭველი მაკვლიერი

,,რაჭული ქალ-ვაჟიანი“

ერთ დიდებულ მეფეს მზეთუნახავი ქალი ჰყავდა, რომელსაც მრავალი ყმაწვილი ეტრფოდა. მზეთუნახავის სილამაზე ისე იყო მთელ ქვეყანაზე მოფენილი, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან მოდიოდნენ მეფის მემკვიდრენი მისი ხელის სათხოვნელად.

,,მზეთუნახავი ქალი იდგა, იმ ადგილს გალავანი სულ კაცის თავებისა ჰქონდა შემოვლებული. მზეთუნახავი აძლევდა ვაჟებს კითხვას; უკეთუ ვაჟი ქალის კითხვაზე ვერ მიუგებდა, ვაჟს თავსა კვეთდენ. მზეთუნახავს აღთქმა ჰქონდა დადებული: ვინც ყოველ ჩემს კითხვაზე მიპასუხებს, მისი მეუღლე შევიქნებიო. მრავალი ვაჟის თავი გაეხმო მზეთუნახავს. ეს ამბავი მივიდა თურმე აღმოსავლეთის მეფის შვილის ყურამდი. იგი ადგა და მივიდა მზეთუნახავ ქალთან და შეუკვეთა ქმრობა.“

მზეთუნახავმა ქალმა წაუყენა თავისი პირობა, უკეთ თუ ყველა კითხვაზე უპასუხებთ მაშინ შენი ცოლი გავხდებიო, თუ არა შენი თავიც ჩემი სახლის გალავანზე ჩამოდებულ თავებს მიემატებაო. ვაჟი დათანხმდა. ქალის კითხვებს ვაჟი პასუხობდა.

ბოლო კითხვაზე: ,,ვინ უფრო მეტ ჯილდოს მიიღებს? ვაჟმა უპასუხა: - ვინც შეიტყობს ნამდვილ გვარსა და სახელს ვინც არის“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N53, 8 მარტი, 1912
ავტორი: თეოდოსია ჯაფარიძისა

,,ორიოდე სიტყვა ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებაზე ძველათ და ახლა“

ერთ დროს ძველათ ქმარი იურიდიულადაც და ფაქტიურადაც ბატონობდა ოჯახში, ხოლო ცოლი ყოველ მის ბრძანებას ემორჩილებოდა. ზოგან საზოგადოებაში მართალია ქალს პატივი არ აკლდა, მაგრამ ქმართან ის მაინც დამცირებული არსება გახლდათ.

სამწუხაროთ და სავალალოთ უხსოვარი დროიდან ქართველი ქალიც მონა იყო მამაკაცის. მონობის განმაპირობებელი გახლდათ ნივთიერი დამოკიდებულება ქმართან, ძმასთან თუ გარეშე პირთან. ნივთიერი დამოკიდებულება უტყუარი იარაღია დამონებისა და დამორჩილებისა.

,,ქალი ვერ წასვლია ხელიდან ამ საშინელ ბორკილს. გამწარებული დღეს ის ეძებს საშვალებას იხსნას თავი ამ მდგომარეობიდან. დარწმუნებული, რომ თავისუფლების მოპოვება ეკონომიურ დამოუკიდებულებაშია, ის იძენს განათლებას, ნახევრათ მშიერი მიისწრაფის შორეულ ქვეყნებში, ბევრ გაჭივრებას იტანს, რათა ბოლოს დარჩეს თავისუფალი ადამიანი.“

ზოგიერთი მამა–კაცი, რომელსაც არ სჭირდება არავითარი ბრძოლა იმ პირობების მოსაპოვებლად, რისთვისაც დღეს ქალები იღწვიან, თვით იჭედენ მონობის ბორკილს - და ამ ადამიანთა წუმპეში ცვივდებიან.

სასურველია განათლებული ვაჟკაცი, მაგრამ ნივთიერად დამოკიდებული უგუნური ცოლის ფეხქვეშ გათელილი კი საზიზღარია. ცოლზე ამას ხაზგასმით იმიტომ ავღნიშნავთ, რომ შეგნებული ქალი დამმონავებლის როლში ყოფნას არ იკადრებს.

,,მან საკმაოთ გამოსცადა და ცთის თავის თავზე რა სულიერია ,,ბრძანებელი“, როგორ უზღუდავს თავისუფლებას, ართმევს, ამცირებს მის პიროვნებას, ამახინჯებს სულით ხორცამდი თავის მონას; ნუ თუ საკადრისია თავათ ნებაყოფლობით იკისროს ეს საზიზღარი, სამარცხვინო მოვალეობა!

შორს ასეთი ქალები. ღმერთმა გვიხსნას მათი ლამაზი ბრჭყალებისაგან. აგრეთვე ღმერთმა გვიხსნას ლაჩარი, შერცხვენილი, უგუნური ცოლების ფეხს - ქვეშ გათელილი ქმრებისაგან.“

ასეთი მამაკაცები, ბუნებრივია, არ წარმოადგენენ სასურველ ქმრებს, არც ღირსეულ მამებსა და არც საზოგადოებისათვის არიან საჭირო მოღვაწეები.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N54, 9 მარტი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,შაბათს, 10 მარტს, ქ. ფოთში, ქალთა ადგილობრივი გიმნაზიის სასარგებლოთ გაიმართება დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ლიტერატურული გასამართლება.“

ბრალს დასდებს ჭუმბაძე, დაიცავს დ. უზნაზე, სააკაძის მაგიერ სიტყვას წარმოთქვამს ჯ. ჯორჯიკია.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N55, 10 მარტი, 1912

,,ახალი ამბავი“

1. ,,6 მარტს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსა და სამზრუნველო კომიტეტს სხდომა ქონდათ თფილისიდან მოსული მოწერილობის გამო იმის შესახებ, რომ ხსენებული სასწავლებლის მოწაფეები უფრო სასტიკათ იქნენ დასჯილნიო“.

პედაგოგიურ საბჭოსა და სამზრუნველო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოწაფეები არა თუ მეტი სასჯელის ღირსნი არიან, ამჟამათაც ძლიერ არიან დასჯილნიო. მათ ყოფაქცევაში სამი დაუწერეს. კრებას ესწრებოდა ქალაქის მოურავი და თავად-აზნაურთა წარმომადგენელიც, სადაც ცხარე და მწვავე კამათი გაიმართა.

2. ,,მესხეთის ქუჩაზე, ქალების გიმნაზიის წინ, მოთავსებულია ციხის განყოფილება; აქვე პირდაპირ მელ. ჩხეიძის სახლებში დგას ჯარი. ციხის დარაჯი დღისით დგას ჩხეიძის სახლების წინ ქვაფენილზე, ღამით კი დასეირნობს ციხის ქვაფენილზე, ამის გამო გამვლელს დარაჯი არ უშვებს იმ დროს, როდესაც ის დგას ან დადის ქვაფენილზე“.

ხშირად ხდება, განსაკუთრებით ღამით, რომ სახლისაკენ მიმავალი ჩაფიქრებული ადამიანი ქვაფენილზე მოსიარულე დარაჯს წააწყდება და ეს უკანასკნელი გაბოროტებული თოფის დუმით უმასპინძლდება მას. ამ გარემოებას საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N55, 10 მარტი, 1912
ავტორი: შკოლის უფროსი მ. რუბანის ასული

,,მოკლე ანგარიში ქუთაისის ქალთა უფასო შკოლის მდგომარეობის შესახებ“

ქუთაისის ქალთა შკოლა 1886 წელს დიდი მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის ინიციატივით დაარსდა, სადაც ქუთაისში მცხოვრებ ღარიბთა შვილები განურჩევლად სარწმუნოებისა, წოდებისა თუ ეროვნებისა სწავლობენ. შკოლა ექვსი განყოფილებისაგან შედგება და ექვსი წლის განმავლობაში ასწავლიან: საღვთო რჯულს, ქართულსა და რუსულ ენას, ანგარიშს, ხატვას, სუფთა წერას, გალობას და ხელსაქმეს. ამის გარდა უფროსი განყოფილების მოწაფენი მზარეულობასაც სწავლობენ.

შკოლაში საგნებს სამინისტროს ორ კლასიანი სკოლის პროგრამით გადიან.

,,საგნების სწავლება დღეში მარტო ორი-სამი საათია, დანარჩენი დრო ხელსაქმეს ეთმობა, ასე რომ შვადღემდი საგნების სწავლებაა ოთხ უფროს განყოფილებაში და ნაშვადღევს ხელსაქნარი; ორი უმცროსი განყოფილება - კი შვადღეზე ან შინ მიდის ან შეძლებისადაგვარათ ბაღში მუშაობს.“

ხელსაქმეს სკოლაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ,,მშვენიერი ხელსაქმისა და სასარგებლო პრაკტიკული ცოდნის მდაბიო ხალხში გავრცელებისათვის“ შკოლამ 1901 წ. კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე პირველი ხარისხის ოქროს დიდი მედალი მიიღო.

ასევე, ოქროს მედალით აღინიშნა 1889 წელს სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები კავკასიისა და ქუთაისის სამეურნეო გამოფენებზე.

ქალთა სასწავლებლებს ხელმძღვანელობენ მარიამ ყაუხჩიშვილი, ელენე ხოჯევანიშვილი და სხვები.

,,კურსის გათავების შემდეგ ჩვენს მოსწავლეებს, ვისაც სურვილი და შეძლება აქვს, იღებენ მოუმზადებლათ ქალების გიმნაზიის მეორე კლასში და თუ გეოგრაფიაში მოემზადენ - მესამეშიც. ვისაც სწავლის გაგრძელების შეძლება არ აქვს, ისინი იმ ცოდნითაც, რომელსაც შკოლაში იძენენ, კარგა შეგნებულათ იკვლევენ ცხოვრების გზას, თვითონ თავის პატიოსანი შრომით ცხოვრობენ და მეტ ბარგათ არ აწვებიან მშობლებსა და საზოგადოებას“.

შკოლა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის გამგეობის ქვეშ იმყოფება, რომელიც ყოველწლიურად კონტროლს უწევს მას.

დღეს სკოლაში 217 მოსწავლე ქალი სწავლობს, აქედან 198 ქართველია 19 კი რუსი. მასწავლებელი არის 12, რომელსაც სახალხო სკოლების დირექტორი ამტკიცებს და კანდიდატურას კი სკოლის უფროსი ასახელებს. მასწავლებლებსაც სხვადასხვა ანაზღაურება აქვს.

სკოლის შემოსავლის მუდმივ წყაროს შეადგენს: სახალხო განათლების სამინისტრო და ქალაქის გამგეობა. დანარჩენ ხარჯს ფარავს კერძო შემოწირულობანი, ხელსაქნარსა და ყვავილებში აღებული ფულით.

,,შკოლას აქვს ახლათ აგებული ორსართულიანი ქვიტკირის შენობა, რომელიც შედგება 9 ოთახიდან; 6 საკლასო დიდი ოთახია, სივრცით 12-ჯერ 9, და 3 ოთხი შკოლის

მმართველს უჭირავს ბინათ, მოსამსახურის ოთახით და სამზარეულოთი. აშენებულია ეკლარის თლილი ქვისაგან და დახურულია თუნუქით; ოთახებში აგია პარკეტის იატაკი, აქვს ორი ქვის კიბე, აივანი, სარდაფი ქვითკირის თავლა, სამრეცხველო ოთახი და სხვანი“.

სკოლა შეძენილია 3000 მანეთად არტ. ვახ. მურალოვისაგან. სამი მხრით შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით და მეოთხე მხრიდან რკინის მოაჯირითა და რკინისავე ჭიშკრებით. ეს ღირებულება სკოლას შემოსწირეს დიდმა მთავრებმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და ალექსანდრე მიხეილის ძემ.

სკოლის თანხები ასევე გროვდებოდა თბილისში, ბაქოში, ტემინხაშურასა, ვანსა, ხონსა, საჩხერესა, ზუგდიდსა, რიონის სადგურზე, პეტერბურგსა, ადესასა, ლიბავასა და ირკუტსკში. შენობას უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ინჟინრები ვ. კუნი და მისი თანაშემწე გ. ფონ-შუცი.

შენობის აგებაში ,,მხურვალე მონაწილეობას იღებდენ შემდეგი წევრნი: დ.ა. ლორთქიფანიძე, ი.ვ. პავლოვსკი, ი.გ. ანჯაფარიძე, ვ.ა. სახაროვი, ი.გ. ჩიმაკაძე, ა.ლ. კამბიაჯიო, ი.ს. მესხი და ქუთაისის საოლქო შენობის ამგებნი ბ. როზენშტეინი, ლეიკინი და ილინი.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N58, 29 მაისი, 1912
ავტორი: ტ.ჯ.

,,ქალთა ახალი საზოგადოება“

ქუთაისში არსდება ქალთა საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ძალიან ფართო კულტურული პროგრამა დაუსახავს: ,,ცალკე ძალთა შეერთება და შეკავშირება საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ ყოველთვის სასარგებლო იყო და ახლაც ამას უნდა მოველოდეთ. სხვათა შორის ეს ახალი, ,,საზოგადოება“ ააღორძინებს ქალთა წრეს და სამუშაოთ გამოიწვევს ბევრ დამალულ (პოტენციალურ) ძალას. წარსულის ისტორია ცხადათ მოწმობს, რომ ქალთა წრე არ ყოფილა მოკლებული არც ნიჭიერს, არც ენერგიულს, არც ზნეობით შემკულ პირებს, მაგრამ, სამწუხაროთ, სხვადასხვა ისტორიულმა გარემოებამ და სოციალურმა პირობებმა ისე მოაწყო ქალის ცხოვრება, რომ დღემდი მამაკაცსა და დედაკაცს შორის კიდევ რაღაც უკიდურესი განსხვავება ელანდებათ.“

ეჭვი არ არის ქალთა წრის გაღვიძება და მათი ძალების შეერთება არსებითად შეცვლის ქალის მდგომარეობას საზოგადო ასპარეზზე. დააჩქარებს მის როლს საკითხის სასურველად გადაწყვეტაშიც.

დასახული მიზნის მესამედიც რომ შესრულდეს ეს დიდი ღვაწლი იქნება ერისა და ისტორიის წინაშე. ქუთაისის საზოგადოებაში ქალთა წრის ინიციატივა სასიამოვნოცაა და მისაბაძიც.

დარწმუნებული ვართ ქუთათურ ქალებს სხვა ქალაქებშიც მიბაძავენ. ,,სასურველია, გამგეობას სათავეში დაუდგეს ისეთი პირები, რომელთაც შეუძლიათ ნაყოფიერი მოქმედება და შედარებით უფრო თავისუფალი არიან ოჯახური მოვალეობით“. იმედით ვხვდებით დღევანდელი კრების შედეგებს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N58, 29 მაისი, 1912

,,ახალი ამბავი“

ქუთაისში დაარსდა ქალთა საზოგადოება, რომლის მიზანს თავის წევრთა თვით განვითარებასთან ერთად საქველმოქმედო მოღვაწეობაც შეადგენს. ,,საზოგადოებას აქვს მთავრობის მიერ დამტკიცემული წესდება. წლიური საწევრო გადასახადი მხოლოდ ერთი მანეთია. 29 მაისს, საღამო შვიდ საათზე, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების პირველი კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. გულით ვუსურვებთ ამ ახალ საზოგადოებას სრულ გამარჯვებას და ბევრი ,,კარტველი კალი“-ს ქართველ კალებად ქცევას“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N60, 31 მაისი, 1912

,,ახალი ამბავი“

29 მაისს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გაიმართა ქალთა კრება, სადაც ელენე ხუნდაძის ასულმა საზოგადოებას მოკლედ გააცნო კრების მიზანი. ,,კრებას დაუსურათა დღევანდელი ქართველი ქალი და მისი მოღვაწეობა და მომავალი ქალთა საზოგადოების ბრძოლა, რათა კვლავ აღადგინონ ნამდვილი ქართველი ქალები, დღევანდელი ,,კარტველი კალების“ ნაცვლად.“

მომხსენებელმა აქვე წაიკითხა 34 მუხლისაგან შემდგარი წესდება. წესდების წაკითხვის შემდეგ საზოგადოებას წინადადებით მიმართეს, რათა ჩაწერილიყვნენ წევრებად. ამასთან აირჩიეს გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარის, მისი თანაშემწის, ორი მდივნისა და ათი გამგეობის წევრისაგან.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N61, 1 ივნისი, 1912
ავტორი: სევდიანი

,,ქართველ ქალს“

გაზეთ ,,კოლხიდის“ ფურცლებზე მრავალი ლექსი, მოთხრობა, ნოველა და ესეა მიძღვნილი ქართველ ქალისადმი. ავტორი სევდიანი ასე ამთავრებს ქართველ ქალისადმი მიძღვნილ პოეტურ სტრიქონებს:

,,ქართველ - ქალო,
ვარდათ შლილო, ნაზო ია!
თვალწარმტაცო,
ფრთაგაშლილო ფანტაზია!
ახლა ვიცი -
ტრფობის ჰანგათ ვინაც გსახა!
საოცნებო გრძნობის
ტაძრათ ვინც დაგსახა...“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N61, 1 ივნისი, 1912
ავტორი: ფარი

,,ქალთა კრება“

ქალთა კრების დასწრებამ მწარე ფიქრები გაუღვივა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ წარსულის გამოცდილების მიუხედავად ჯერ არც ჭკუა გვისწავლია და არც თავი დაგვიწევია იმ ,,საბედისწერო ისტორიული სენისაგან, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განსაცთელში ჩააგდო და დაღუპვის კარამდი მიიყვანა. ჩვენებურ საზოგადო საქმეში ყოველგან და ყოველთვის პირად ნიადაგზე აღმოცენებული შური და მტრობა ისადგურებს ხოლმე, რაც მის წარმატებას ხელს უშლის და დღეს უმოკლებს. ნუთუ ვერ ვეღირსებით იმ სანატრელ დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოების თითოეულ წრესა და ჯგუფში ერთსულოვნება გამეფდება და თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად საერთო მიზანს გატაცებით თანხმობით ემსახურება, სადაც წვრილმან პატივმოყვარეობას და უაზრო კინკლაობას ადგილი არ ექნება!“

მკითხველისათვის, ცნობილია რომ ქუთაისში კარგა ხანია რაც ქალთა წრე შესდგა, რომელმაც ქალთა საზოგადოების დაარსებაც განიზრახა.

ინიციატორმა ქალებმა საქმის მოსაგვარებლად მრავალი შრომა და ჯაფა გასწიეს და წარსულ სამშაბათს საჯარო კრებაც მოიწვიეს.

სწორედ აქედან, იჩინა თავი ,,ყოველი საზოგადო საქმის დაუძინებელმა მტერმა - პირადობამ და წვრილმანმა ,,თავმოყვარეობამ“. ყოველ რიგიანსა და კეთილგონიერ საზოგადოებაში შემოღებულია, რომ საქმის მეთაურები თავისი მხრით ასახელებენ ასარჩევ პირთა სასურველ კანდიდატებს“.

გამგეობისა და სარევიზიო წევრათ არჩევნებისას გაისმა უკმაყოფილებისა და უსაფუძვლო საყვედურების ხმა. ბუნებრივია ყოველ საქმეში გონიერი და კრიტიკული მხილება სასარგებლოა, მაგრამ უთანხმოება კი ხელს უშლის ახლად ფეხადგმულ საქმეს.

სასურველია თუ ქალთა წრის მეთაურები გულს არ გაიტეხენ და მხნეობით განაგრძობენ დაწყებულ საქმეს. ,,დასახული მიზანი მეტათ სიმპატიური და დიდმნიშვნელოვანია და, დარწმუნებული ბრძანდებოდენ, მისთვის ღირს მხურვალე შრომის გაწევა და პირადი უსიამოვნების ატანაც იმ იმედით, რომ მათი ცთა ცუდათ არ ჩაივლის და საგრძნობელ ნაყოფსაც გამოიღებს“.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N62, 2 ივნისი, 1912

,,ქალის ჭკუამახვილობა“

პეტერბურგში ერთმა შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომლის გმირი თანამედროვე ქალი გახლდათ. იგი ,,კეთილ“ განწყობილებაში იყო ერთ თვალსაჩინო ბიუროკრატთან.

,,ამ დღეებში ქალს ძალზე გაუჭირდა ნივთიერათ და ძლიერ ეკსცენტრიულათაც მოიქცა. იმ დროს, როდესაც მისი ,,მეგობარი“ ბიუროკრატი ავტომობილით თავის მეგობარს ეწვია ქალი მივიდა, შოფერს უბრძანა წასულიყო, დაჯდა ავტომობილზე, გაქუსლა და... ავტომობილი ლომბარდში დააგირავა, რომლის გამოყიდვა შემდეგ ხსენებულ ბიუროკრატს ხალასი 3000 მანეთი დაუჯდა.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N63, 3 ივნისი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა წრეს უკანასკნელ კრებაზე აურჩევია შემდეგი თანამდებობის პირნი: საზოგადოების თავჯდომარეთ ელენე წულუკიძისა, ამის თანაშემწეთ - თეოდოსია ჯაყელისა, მდივნებათ თამარი გელაზარიასა და ნატალია ქორქაშვილის ასული, ხაზინადრათ ანასტასია ყიფიანისა; წევრებათ: ნინო ბადრიძისა, ნინო ფანცხავასი, სოფიო მაჭავარიანისა, ელენე ჩიქოვანისა, მარიამ ვარდოსანიძის ასული, მარიამ კლდიაშვილის ასული, ეკატერინე ნიკოლოზის ასული, ოლღა ქორქაშვილის ასული, ელენე მეფისაშვილის ასული და ელენე ხუნდაძის ასული;

სარევიზიო კომისიაში: იულია მიქელაძისა, ქეთევან წერეთლისა, ელისაბედ ბარათაშვილისა, ნინო მიქელაძის ასული და ნატალია თურქიას ასული;

კანდიდატებათ: ელენე კლდიაშვილისა, ლიზა მიქელაძისა, ოლღა იოსელიანისა და ელისაბედ ჩარკვიანის ასულნი.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N64, 5 ივნისი, 1912

,,თფილისი“

,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებასთან არსებულს ქალთა კომისიას ფულის შესაგროვებლათ ქონდა 97 ცალი შაურიანი წიგნაკი 485 მანეთისა. რამდენიმე წიგნი გაიყიდა და წ.- კითხვის საზოგადოებას ჩაბარდა 406 მან. 45 კ. დაბრუნებულ იქნა 39 მ. 40კ. გაუყიდავი წიგნაკი“.

დასაბრუნებელია 8 წიგნაკი, რომელიც აქვთ შემდეგ პირებს: სოფიო რომანიშვილ-დგებუაძეს, კნეინა მაყაშვილს, სვიმონ მდივანს, ივანე ხუნდაძეს, ბორის ესაძესა და რაისა ჭიღლაძეს. კომისია თხოვს, რომ მათ ეს წიგნაკები მოკლე დროში დააბრუნონ, რათა მოხდეს სრული ანგარიშის შედგენა.

,,ამავე ქალთა კომისიამ გააკეთებინა 200 დასურათებული ახალი წიგნაკი. ხარჯი იკისრა კონსტანტინე ივანეს ძე მესხიშვილმა, რომელსაც კომისია გულითად მადლობას უხთის. ახალ წიგნაკებით დღემდი კომისია 15 მან. 55 კაპ. შეაგროვა“.

ფულის შეკრების მსურველთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შეუძლიათ ყოველდღე მიიღონ წიგნაკები.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N66, 7 ივნისი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,წელს იმერეთის საეპარქიო ქალთა სასწავლებელი დაასრულა 33 ქალმა. აი, სია: ასულნი ქეთევან აბესაძის, პელაგია აბდუშელიშვილის, ელისაბედ გაბელაშვილის, მარიამ გოგოხიას, ოლღა გრიგოლიას, რივსიმე დარახველიძის, ნინო დევიძის, დომინიკა დეკანოსიძის, თეოდოსია თვალთვაძის, ნინო კაკაბაძის, ეკატერინე კანდელაკის, მარიამ კახაიას, ანასტასია კუხალეიშვილის, ქსენია ლეჟავას, კიონია ნიჟარაძის, ნინო ორაგველიძის, მარიამ სახელაშვილის, ნინო სოხაძის, ნეონილა სიორდიას, ქეთევან ფხაკაძის, ივლიტე ფანჯავიძის, პისტია შველიძის და სხვა.“

ოქროს მედლით გაათავეს დეკანოსიძის და გოგოხიას ასულთა, ვერცხლის მედლით ქებულაძის ასულმა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N70, 12 ივნისი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,ხოჯევანოვის ქალთა პროგიმნაზიაში ეგზამენები სახალხო შკოლების დირეკტორის ბ. კრუპსკის თანდასწრებით უკვე დამთავრდა. სწავლა დაასრულა 19 ქალმა და ამ დღეებში მიიღებენ მოწმობას კავკასიის ოლქის მზრუნველისაგან. (3 მოსწავლე დაითხოვეს წერაში გამოცდის შემდეგ). მათ შორის ერთი რუსის ქალია ელენე პასიკოვის, ერთიც სომხის ქალი ანნა გალუსტიანცის, დანარჩენები კი ქართველებია;“

ესენი არიან ასულნი: ნინო ადამიას, ანასტასია ბარბაქაძის, ნინო ბოკუჩავას, ნინო ბერძენიშვილის, ნინო ვასილიევის, ქეთევან გრძელიძის, ლიდა იოსელიანის, მარიამ კარტოზიას, ელისაბედ ჭლიქაძისა და სხვების.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N71, 13 ივნისი, 1912
ავტორი: სამს. ყიფიანი

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების საყურადღებოთ“

ქუთაისის ქალთა საზოგადოების დაარსებას ეძღვნება დღევანდელი ფელეტონი, რომელზეც საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლება გაგვიგრძელდეს. ვინაიდან ჩვენში ქალთა საზოგადოება, როგორც იტყვიან ახალი ხილია და მოსაწყენი არ იქნება ამასთან დაკავშირებით ჩვენი წარსულიდან ცოტა რამ დავიმოწმოთ: ,,ქუთათურ ქალთა მოღვაწეობის შესახებ და მეორე მხრით მიუთითოთ ქალთა საზოგადოების მეთაურთ იმ წყაროსა და საუნჯეზე, სიდანაც მათ უნდა ამოიღონ თავისი მოღვაწეობისა და მუშაობის სულის ჩამდგმელათ და დამახასიათებლათ სანიმუშო მაგალითები მედგრობისა, მუყაითობისა, ერთსულობისა და ერთგულობისა.

გულწრფელობისა, თავგანწირული მოღვაწეობისა, სოლიდარობისა და სხვადასხვა სიკეთის უნარისა, ურომლისოთაც არაფერი საზოგადო საქმე წაღმართად არ წასულა და არც წავა არაოდეს.“

ჯერ ქალთა საზოგადოებას საქმე და მოღვაწეობაც კი არ დაუწყიათ, რომ მათ შესახებ ალაპარაკდა ,,კოლხიდისა“ და ,,ზაკ. რეჩის“ კორესპონდენტები. მათი სტატიები მოგვითხრობენ ხსენებულ საზოგადოებაში გამართულ კინკლაობას, სადაც თავი უჩენია გათიშვის სენს, რის გამოც ზოგი ინტელიგენტი ქალი ,,ღობის გარეთაც დარჩენილა“.

ალბათ, ბევრს ემახსოვრება, რომ ქუთაისში ოფიციალურად ორ თუ სამ ოჯახში ცნობილი ქალბატონები მცირე წრეებში იკრიბებოდნენ და ქალთა უფლებებზე საუბრობდნენ. მათ კრებებზე ხშირად გვინახავს თვალსაჩინო მოღვაწეები: აკაკი და გიორგი წერეთლები, გიორგი ზდანოვიჩი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ჭიჭინაძე, ა. ჭყონია და სხვა მრავალი ინტელიგენტიც.

ქალთა ორგანიზაციები მართალია დიდხანს არ არსებობდნენ, მაგრამ მათ საქმიანობას მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია: ,,ხან რიგიანი წიგნები გამოსცეს ,,კრებული“,

ხან საკვირაო შკოლას მოაბეს თავი, ხან მეურნეობას და მეოჯახეობას მოებღაუჭენ. მეურნეობის ფრაქციას, მართალი რომ სთქვას კაცმა, კვალი არ დაუტოვებია ქუთაისში, გარდა იმ შეგნებისა, - რომ ყველამ თავის შესაფერ საქმეს შესაფერივე ძალღონით უნდა მოკიდოს ხელი, თორემ შეუსაბამო საქმის ბედი ყოველთვის სასაცილო და სამწუხარო იქნება, სამწუხარო იმიტომ, რომ გარეშე საზოგადოებას გული აეყრება მასზე და თვით საქმეში ჩაბმულ წევრებსაც გული გაუტყდება, და ეგ გულის გატეხა, მოგეხსენებათ, პირველი მომასწავებელია საქმის სამუდამოთ დაღუპვისა".

დღევანდელ ქალთა საზოგადოებას კი სულ სხვა შემადგენლობა და წინდაწინვე განზრახული სამოქმედო პლანი აქვს. წინათ თუ ახლობელი ნაცნობები და ორი წოდების ქალბატონები თუ იკრიბებოდენ ამჟამად ქალთა საზოგადოებაში მსგავსი დანაწილება აღარ არსებობს და წესდება წინასწარვეა შედგენილი.

წინასწარ პესიმისტური განწყობილებით არ არიან ქალთა ორგანიზაციების მიმართ განწყობილნი, მაგრამ მათი მოღვაწეობის გზაზე ბევრი დაბრკოლება და ხიფათია. საერთოდ, წარსულმა შეცდომებმა ჭკუა უნდა გვასწავლოს და მომავალ დაბრკოლებასაც ძველი გამოცდილებით უნდა შევებრძოლოთ.

ამბობენ, ,,აწმყო წარსულის შვილია და მომავალი აწმყომ უნდა დაბადოს. ჩვენ მარტო ხორციელათ არა ვართ შვილი ჩვენი წინაპრებისა, სულიერათ და ზნეობრივათაც მათი ღვიძლი ქალ-ვაჟი გახლავართ. ჩვენს ზნეობასა და ყოფაქცევაში ძლიერ ცოტაა გამორიცხვით ,,ჩვენ მამაპაპათა კარნახს ვექვემდებარებით."

საერთოდ, ქართველთა ბრძანებლები 1000 წლების განმავლობაში იყო დედ-მამა. აქედან გამომდინარე საზოგადოების ყურადღება საჭიროა მივაპყროთ იმას, თუ რას გვეუბნება ხალხის გენია, ისტორია და ჩვენი ნიჭიერი მგოსნები და მწერლები ჩვენს ისტორიაში ქალის როლის შესახებ.

ხალხის გენია მრავალ თქმულებათა შორის ერთი შესანიშნავი ანდაზა მოგვცა: ,,ღვთის აშენებული ოჯახი ქალმა დააქციაო, და დედაკაცის აშენებული ოჯახის დარღვევა ღმერთმაც ვერ შესძლოო. ეს ანდაზა იმას ამბობს, რომ ქართველ ქალს ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში დიდი როლი უთამაშია საოჯახო საქმეებში: რაც მისი ხელით გაკეთებულა, რაც მისი გრძნობით გამთბარა და მისი გონებით მოგვარებულა ოჯახში. ყოველივე მკვიდრი და საიმედო ყოფილა."

ზემოთ თქმული აშკარად მიუთითებს ქალის დიდ როლსა და მის ავკარგიანობაზე ოჯახსა თუ გარეთ. თუ ისტორიას გადავხედავთ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება ქართველი ქალების დიდ როლზე ერის სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ თუ სარწმუნოებრივ სფეროში: ვინ დაამხო ჩვენში კერპ-თაყვანისცემა და წარმართობა?

ვინ იყო ჩართული საქრისტიანო ერთა შორის ფერხულში? ვინ ჩაუნერგა მირიან მეფეს ნინოს მიერ ნაქადაგები სარწმუნოების პირველი სხივი? ისევ ქართველმა ქალმა.

ვინ არის მსოფლიოს ისტორიაში ქრისტეს რჯულისთვის წამებული? - ისევ ქართველი ქალი - ქეთევან დედოფალი.

ვინ არის ქართველი ერის პოლიტიკური ძლიერების ზეამყვანი? ისევ ქართველი ქალი თამარ მეფე, რომლის შარავანდედით მოსილ პიროვნებას შესტრფოდა შოთა რუსთაველი.

,,ვეფხისტყაოსანმა" მოუხვეჭა ქართველთა გენიას საკაცობრიო სახელი. ,,განა ამ ძვირფასი ნაწარმოებით არ ვიხსენებით ევროპაში?! შესანიშნავ ჩვენს მწერლებს: მოსე ხონელს, ჩახრუხაძეს და სარგის თმოგველს თამარის მიერ შექმნილი ხანა ამოძრავებთ. ეს ხანაა მათი მუზა და შთამგონებელი. ესენი ქმნიან ისეთ ნაწარმოებს, სადაც სარკესავით ჩანს მაშინდელი ჩვენი ერის სულისკვეთება. ეს დროა ჩვენი ოქროს ხანა

პოლიტიკასა, კულტურისა, მაღალი ზნეობისა და ქველმოქმედებისა“.

ჩვენს ისტორიას მხოლოდ სამი-ოთხი მოკლე დრო ახსოვს თავისუფლად ამოსუნთქვისა. ეს იყო დრო ფარნაოზისა, ვახტანგ გორგასლისა, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალესი. სხვა დრო მთელი 2000 წლის განმავლობაში ბრძოლის ველზე დანთხეული სისხლით არის შეღებილი. ყოველ მამაკაცს იარაღით ხელში უნდა დაეცვა თავიანთი სამშობლო და ოჯახი.

ამ დროს მთელი ოჯახის მოვლა-პატრონობა ქართველი ქალის კისერზე იყო. ოჯახის მოვლა-პატრონობის გარდა ქალს უნდა ემხნევებია ბრძოლის ველზე გასული ქმრები და ძმები. ქალის მხნეობას არა ერთი პოეტი აუმღერებია. აი, რას წერს აკაკი დედაზე, რომელმაც შვილი ბრძოლის ველზე გაგზავნა:

,,რა მოგშორდი შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბურავს,
ვაჰ, თუ გშია! ან გწყურია!
ან გცივა და არა გხურავს!
ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზე,
გულს გასვია მტრის ისარი,
და, რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა შენი არსად არი!...“

დიდი ილიას ,,ნანა“ ქართველი დედის მხნეობაზე მიგვითითებს:

,,მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამათაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.“

საქართველოს მთა-ბარი რომელიც მამა-პაპათა სისხლითაა გაპოხიერებული, მას ყოველთვის თან ახლდა გამწარებული დედებისა და დების ქვითინი. მათი მდუმარე ცრემლი მამულისათვის თავდადებულთა საფლავებს ხშირათ აიაზმის წყალივით დასხურებია. ჩვენი ქვეყნის ისტორია, რომელიც მარტვიროლოგიით არის წოდებული, ე.ი მოწამეთა, წამებულთა ისტორიით ასეთი ბედი არგუნა ქართველ ქალს, რომ მას ღირსეულათ ხელში დაეჭირა ქართული დროშა.

დღეს კი ,,ქართველი ქალი არც სარწმუნოების შეუგნებელი ცრუ მორწმუნეა, არც მამა კაცის და პოლიტიკის ყურმოჭრილი ყმა. მას ესმის ერის თავისუფლების ნაყოფიერება, ესმის და შეგნებული აქვს, როგორი სასყიდელით მოიპოვა მან იგი თავისუფლება“.

ამ მხრივ საინტერესოა დიდი ილიას ნაწარმოები ,,დედა და შვილი“ და თავისუფლებაზე საუბარი.

,,თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის, წმინდა საფარი!“...

გაზეთი ,,კოლხიდა“ N72, 14 ივნისი, 1912
ავტორი: სამს. ყიფიანი

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების საყურადღებოთ“ (გაგრძელება)

მაშინ, როცა მთელი საქრისტიანოს ერთა რელიგია ქალს სატანის კერძად და ცოდვის ჩამდენად მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძემ ქართველი ქალი თავისუფლების მომტანად და ადამიანთა მხსნელად აღიარა. ილიას აზრით: ,,თუ ადამიანი თავისუფალი არ არის მისი ბედნიერება და ნეტარება ყოვლად შეუძლებელია; შეიძლება არ აკლდეს სასმელ-საჭმელი, არც სხვა გარეგანი კმაყოფილება, მაგრამ ეს ისეთი კმაყოფილება იქნება, როგორსაც მშვენიერ მორთულ გალიაში დამწყვდეული ჩიტი განიცდის ხოლმე.

ქართველ ქალს ღირსებათ მიაჩნია, რომ იგი არ დასჯერდა სამოთხეში ანგელოზისებრ ცხოვრებას, ღმერთთან სიახლოვეს და მასთან საუბარს, ნეტარებას, რადგანაც ყველა ამას თავისუფლება არ ახლდა, მართალია, ყოველივე სამოთხის კარგი რამ იყო, მაგრამ ყოველსამე ამას თავისუფლება აკლდა.

ადამიანი თითქო ღვთის მცნებით იყო შეკრული და შებოჭილი, და ეს დედაკაცს არ აკმაყოფილებდა, არ დაკმაყოფილდებოდა უთუოდ მამაკაციც და, აჰა, ამ უკმაყოფილების შემგნები და თავისუფლების მოპოვების ინიციატორი ქალი არ შეიქნა?! დაუტევა დედაკაცმა სამოთხის ნეტარება და მიატოვებია მამაკაცსაც იგი.“

ასეთ ძვირფას სასყიდლით მოპოვებული მიაჩნია ქართველ ქალს თავისუფლება და ამიტომაც ამბობს დიდი ილიას დედა, როცა მის სამშობლოს დამონებულსა და განადგურებულს ხედავს. დედა ლამობს განთავისუფლებას:

,,აგრე ნაშოვნი რათ წაგვერთვი მოსავთა შენთა?!
რაღათ ღვრის დღესა შენთვის სისხლსა ადამიანი!
რათ შეიღებე კაცის სისხლით საშიშრათ ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნათ პირსისხლიანი?“

ადამიანს, რომელსაც თავისუფლების მოპოვებისათვის სამოთხეც კი დაუთმია, ბუნებრივია ყველაფერზე უძვირფასესათ უთუოთ თავისუფლება მიაჩნია.

სწორედ ამას გვეუბნება ის დედა, რომელიც ერთადერთ შვილსაგან მოითხოვს, რომ სამშობლოს თავისუფლება დაუბრუნოს:

,,ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი...
ჩემი სიბერის მისაყრდობათ ის ღა მშთენია;
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია!“

სნეულ დედას კარგად ესმის, რომ მას ყურის მგდებლად და პატრონათ მხოლოდ ერთადერთი შვილი გააჩნია, რომ მოკვდეს მას დამმარხველიც არ ეყოლება.

მიუხედავად ამისა იგი აცხადებს:

,,ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“.

ასე მხნედ არის ქართველი დედა და მას აღარც შვილის დაკარგვა ენანება ბრძოლის ველზე და აღარც მისი უპატრონობა. ოღონდაც მისმა შვილმა თავგანწირული მონაწილეობა მიიღოს მამულისა და თავისუფლების დასახსნელ-მოსაპოვებლად.

,,ეგებ ვინმემ ეჭვი შეიტანოს და გვითხრას: ისინი იდეალისტობდენ მაშინ, როდესაც უნდოდათ მკითხველზე შთაბეჭდილება მოეხდინათ და იქით მიემართათ საზოგადოების მისწრაფება, საითაც მათი პროგრამის მიზანი იყოო.

ე.ი მათ უნდოდათ, როგორც პატრიოტებს, ასეთი სული ხელოვნურათ ჩაედგათ ახალთაობა ქალებისათვის, თორემ ზემოხსენებული დედები ოცნებით თუ წარმოიდგინება, თორემ ნამდვილ ცხოვრებაში შეუძლებელიაო.“

ამის პასუხად შეიძლება ქართველ ბაირონად ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხედულება დავიმოწმოთ მე-18 საუკუნის ქალის შესახებ: მაშინ, როცა პატარა კახი საქართველოს შესახებ სოლომონ მსაჯულთან ერთად მსჯელობს, რათა საქართველოს გადასარჩენად თავისი ქვეყანა რუსეთისათვის გადაეცა და მას სოლომონ ლეონიძე ეწინააღმდეგება. შინ მისული სოლომონი თავის მეუღლეს სოფიოს მეფის გადაწყვეტილებას გააცნობს. გამწარებული სოფიო წინააღმდეგობას გაუწევს მეფის გადაწყვეტილებას და აცხადებს:

,,უწინამც კი დღე დამელევა მე,
უცხოობაში რაა სიამე?!“

,,აი, უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველი ქალი არც პოლიტიკის მონაა, იგი რაღაც თავისებურობას იჩენს ყველაფერში და ყველა ეს ქართველი ქალის თავისებურობა მიმზიდველია, თუ დაუჯერებთ ჩვენი ხალხის გენიას, თქმულებას, ხანგრძლივი ისტორიის მოწმობას და ჩვენს ბუმბერაზ მგოსნებს“.

აქედან გამომდინარე, თუ წარსული აწმყოს მშობელია, დღევანდელი ქართველი ქალებისათვის ბევრ საიმედო რამეს უნდა მოელოდეს ჩვენი ქვეყანა.

,,ახლანდელმა ქართველმა ქალმა მოღვაწეობის ასპარეზზე თვისი მოქმედების გზის მაჩვენებელ ვარსკვლავათ თავისი სქესის ბრწყინვალე წარსული უნდა გაითვალისწინოს, არაფერი დაბრკოლების წინაშე მონურად ქედი არ უნდა მოიხადოს, ამ ვაგლახ გარემოებაში გული არ უნდა გაიტეხოს, ძველ დედათა გმირული სული შთაგონებული და აღფრთოვანებული ახალ საქმეს ისეთ თავგანწირულობით უნდა შეუდგეს, როგორც ჩვენი ბუმბერაზი მგოსნების სათაყვანო გმირი ქალები უძღოდნენ სამამულიშვილო საქმეებს“.

დღეს, მხოლოდ ამის მკრთალი ნიშნები გვაქვს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N73, 15 ივნისი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში 8 კლასის გათავების მოწმობა ჯერ-ჯერობით სულ 20 მოწაფე ქალს მიუღია, თუმცა კლასში 53 მოწაფე ყოფილა. ექვს სულ ვერ გაუთავებია, რადგან გამოცთის დროს ცუდი ნიშნები მიუღია. როგორც შევიტყეთ, იმათ ვისაც მოწმობა არ მიუღია, სამი ქონია ყოფაქცევაში და შვამდგომლობაა აღძრული უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ მათ ნიშნები გადაუსწორონ“.

ამავე სასწავლებლის მე-7 კლასის მოწმობის ასაღებად ხოჯევანოვის სასწავლებ–ლიდან გამოცდებს ექსტერნათ 32 ქალი აბარებდა. მათგან მხოლოდ ექვსმა ჩააბარა გამოცდა, ხოლო დანარჩენები რუსულსა და გეოგრაფიაში ჩაიჭრნენ.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N80, 23 ივნისი, 1912

,,ახალი ამბავი“

,,მთავრობის ქალთა გიმნაზიის ზედამხედველი საბჭო სთხოვს ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტს, აცნობოს - შეიძლება თუ არა, საზოგადოებამ მიყიდოს მას გიმნაზიის შენობის ასაგებათ თავისი ადგილი“.

საბჭო მოითხოვდა წინასწარ პირობას, რომ ადგილის ფასი ნაწილ-ნაწილ გადაეხადა გიმნაზიას. ამასთან ვალის გადახთამდე საზოგადოებას ამ ვალის სარგებელს აძლევდა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N118, 9 აგვისტო, 1912

,,ქმრიანი ქალების უბედურება“

მოკლე ინფორმაცია ეხება ეპისკოპოსს ალექსის განკარგულებას, რომლის ,,მოწერილობით“ საეპარქიო სამოსწავლო საბჭო ყველა ქმრიან ქალს სასწავლებლიდან ითხოვს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N135, 31 აგვისტო, 1912

,,ახალი ამბავი“

ინფორმაცია ეხება ქუთაისის ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროსად ერმოლაევას ქალის დანიშვნას. ,,ერმოლაევის ქალი ამავე სასწავლებელის ნამოწაფარია. უმაღლესი სწავლა მიღებული აქვს ბესტუჟევის კურსებზე. ამ მხრით არ გამართლდა ის ხმები - ძველი უფროსი ქალი ისევ დაუბრუნდება წმ. ნინოს სასწავლებელსაო - და ერმოლაევის ქალის დანიშვნის გამო მასწავლებლების კორპორაცია და მოწაფე ქალნიც ნასიამოვნები დარჩენ.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N137, 2 სექტემბერი, 1912
ავტორი: თეოდ. ჯაფარიძისა

,,აკაკის წერილის გამო“

,,თემის“ უკანასკნელ ნომერში მოცემული იყო აკაკის წერილი ქალების შესახებ, რომელმაც ავტორს დიდი სიამოვნება აგრძნობინა: ,,მახსოვს ისეთი დრო, როცა ჩვენი ძვირფასი მგოსანი მხოლოდ წარსულში პოვებდა ჩვენი ქალების ღირსეულ მხარეს. არც აწმყო, არც მომავალი მას იმედს არ აძლევდა. დღეს კი ჩვენს ქალებს დიდებული მგოსნის გულში იმედი ჩაუსახავს. მისი ბრწყინვალე სახე სიამოვნების შუქს მოუფენია და თავისი გამჭრიახი გონებით ხედავს, როგორი ტანჯვითა და წამებით იკვლევს

საბრალო ქალი უვალ გზას მომავლისაკენ, რა მძიმე ტვირთსა სწევს იგი, ტვირთს დაქცეული სამშობლოს უბედურებისას და ათასგვარ ჭირ-ვარამისას.“

მგოსანს ბრმად სწამდა რომ ქართველი ქალები გამობრუნდებიან, ვინაიდან ქვეყნის ხსნა მხოლოდ მათზეა დამოკიდებული და ამიტომაც მიმართავდა იგი გულგაგრილებულ საზოგადოებას. პოეტი ურჩევდა მათ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ამ საკითხისათვის, რომლის დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ სავსებით არ ჰქონდათ შეგნებული ქვეყნის ინტელიგენციას.

,,იგი ყველაფერზე ზრუნავს გარდა ამ საკითხისა - ვერ ხედავს, ვერა გრძნობს, რომ ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი ქალების გაუნათლებლობის გამოა და სანამ ეს საკითხი სასურველ ნიადაგზე არ დადგება, მანამ ჩვენი ქვეყნის წინსვლაც შეუძლებელია. ამიტომ მოვალე ვართ სამშობლოს წინაშე ყოველი ზომა მივიღოთ - ამ საკითხს ფართო გზა მიეცეს. გულს ნუ გაგვიტეხს, რამდენიმე ნაწილი აგრეთწოდებული კურსისტკებისა, რომელთაც არ შეუგნიათ თავისი მოვალეობა და სხვა რამ მიზანი მიაქროლ-მოაქროლებს რუსეთსა და ჩვენი ქვეყნის შორის.

მათ თამამათ შევწირავთ მსხვერპლათ მომავალ დიდ საქმეს. მწამს - მათ ნიადაგზე ამოცენდება ის ტიპი ქართველი განათლებული ქალისა, რომელსაც მოუთმენლათ ელის ჩვენი საბრალო მხარე. მოვალე ვართ ვიზრუნოთ მათ ნივთიერათ უზრუნველყოფაზე, - ცარიელი კუჭით სწავლის შეძენა შეუძლებელია.“

ავტორი მოითხოვს, რომ ქველმოქმედმა ქალებმა ყურადღება მიაქციონ ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს და უმიზნო საღამოების გასამართავად არ დაკარგონ არც დრო და არც სახსრები. სამწუხაროა, რომ მათ ერთხელაც არ მოსვლიათ ფიქრათ დახმარების ხელი გაეწვდინათ თავიანთი უმცროსი დებისათვის. მათი დახმარებით ავტორს სჯერა, რომ შეგნებული წევრი შეემატება ჩვენს ჭორიკანა და წვრილმან ინტერესებით გაჟღენთილ საზოგადოებას.

,,რამდენათ საჭიროა ქალებისათვის უმაღლესი განათლება, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი: წელს ჭიათურის ქალთა ოთხკლასიან სასწავლებელში მოხთა მასწავლებლებთა არჩევანი. უპირატესობა, რასაკვირველია, მიეცათ მათ, ვისაც უმაღლესი სასწავლებელი ქონდა გათავებული. ასეთებიც აღმოჩნდენ და ამგვარათ საშვალო სასწავლებელში სწავლა მიღებულნი გახთენ მათთვის ადგილი დაეთმოთ. ეს უკანასკნელნი ვერ უწევენ მეტოქეობას მათ იმ შემთხვევაშიც როცა დიდი გამოცთილება ახლავთ სამოსწავლო ასპარეზზე.“

გამოდის რომ სხვებს რომლებიც არ არიან მზად მასწავლებლობისათვის მოესპობათ ამის გამო მოღვაწეობის საშუალება.

ამასთან ერთად განათლებულ ქალებს უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობისას მომავალში უკეთესი ცხოვრების საშუალებაც ექნებათ.

,,დამყარება იმაზე, რომ ქმრის მზა ლუკმაზე იცხოვროს - თანამედროვე ქალმა, ეწინააღმდეგება მის აზრსა და თავმოყვარეობას. და არც არის ახლანდელ დროში ისეთი უცილო თანხმობა ცოლ-ქმართა შორის, როგორიც იყო ძველს დროში. თანამედროვე ცხოვრების პირობები სრულებით სხვას გვიჩვენებს - ეს პირობები აშკარათ ითხოვენ ქალთა მდგომარეობის შეცვლას. და ეს აუცილებლათაც უნდა მოხთეს, რათა ნივთიერათ დამოუკიდებელი ადამიანი, პიროვნება დაცული, განათლებული ბევრათ უფრო სასარგებლო წევრია საზოგადოებისა, სასურველი დედა და ამხანაგი თავის ქმრის. მაშ, დროა ვსძლიოთ ჩვეულებრივ გულგრილობას, სავსებით შევიგნოთ ეს საჭიროება და ზომებიც მივიღოთ მის განსახორციელებლათ.“

გაზეთი ,,კოლხიდა“ N146, 14 სეკტემბერი, 1912

,,ქალთა შკოლა“

წელს ჭიათურაში სასკოლო არეულობა იყო, რადგან სამოქალაქო სასწავლებელი თავისი მოუმზადებლობით ჩავარდა. ,,ქალთა შკოლა დღესაც ისევ არეულია. ამ შკოლის გამგემ მარიამ ჩხეიძის ასულმა გადაწყვიტა რუსეთს წასვლა და ამიტომ შკოლისათვის თავი უნდა დაენებებია. ეს ჯერ ისევ გაზაფხულზე მოხდა. ჰარი-არათ გაათავეს სწავლა, დაითხოვეს ბავშები და იმ წუთსავე შუადღის მატარებლით მასწავლებელი ქალები შინისაკენ გაეშურენ და ერთ წუთასაც არ დაფიქრდენ იმაზე, რომ ჯერ შკოლისა და ბავშების ბედ-იღბალი მოეწყოთ.“

მასწავლებლებმა მთელ ზაფხულს ისეირნეს და მხოლოდ 20 აგვისტოს ვაი-ვაგლახით მოიყარეს თავი მასწავლებლებისა და გამგის ასარჩევათ. აირჩიეს თუ არა, იმ წუთსავე ისე გაიფანტნენ და შინ გაიქცნენ თითქოს ფაფა უცივდებოდათ.

მართლაც, უცნაური და საკვირველი ხალხია იმით, რომ ერთი შებერვით საქმის გაკეთება სურდათ.

,,გამგეთ აირჩიეს მეორე მარიამ ჩხეიძის ასული, იურისტი ქალი, მაგრამ დღემდის არ მოსულა. ზოგი ამბობს მზრუნველი არ ამტკიცებსო, ზოგი კიდევ გვარწმუნებს, რომ ის თფილისის ქალაქის შკოლებში ცთილობს ადგილის მიღებას და სამაგალითო გაკვეთილს აძლევსო. ეს ცნობა უფრო სწორე უნდა იყოს, მსგავსი ცნობა რუსულ გაზეთებშიაც ვნახეთ“.

ასე რომ, ჭიათურის ქალთა შკოლა კვლავ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა და მათ აღარც ძველი და აღარც ახალი გამგე ჰყავთ. დარჩა უთაოთ ისე როგორც ერთდროს ქუთაისში იყო.

,,მაგრამ ქუთათურებს რა უჭირდათ, მოზრდილი ხალხია. აქ რა უნდა ქნან ბავშებმა, რომელთაც არ იციან რა გზას ეწიონ, ჯერ მისაღები გამოცთაც არ ქონიათ და უიმედოთ დახეტიალობენ“.

მასწავლებლებიც სასაცილო მდგომარეობაშიც არიან. ისინი ყოველ საღამოს მატარებელს ხვდებიან და ელიან რომ იქნება გამგე გამოჩდესო.

,,ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა სასწავლებელი მასწავლებლებისა და გამგის დაუდევრობამ, რომელთაც ეს დანაშაული ბავშების წინაშე არ უნდა ეპატიოთ“.

იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს მრეწველთა საბჭო, რომელიც ამ სასწავლებლის მზრუნველია.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N1, 6 მარტი, 1913
ავტორი: მასწავლებელი ქალი

,,17 თებერვალი ,,ქალთა დღის გამო“

იყო დრო, როცა ,,მამაკაცსა და ქალს შორის დიდ განსხვავებას პოებდენ. ქალი პირდაპირ მონათ ითვლებოდა კაცისა. მას არაფერი უფლება არ ქონდა, არ იღებდენ არაფერს დაწესებულებაში მოსამსახურეთ, მამაკაცებთან შედარებით ამის გამო ისინი ცოდნასაც ნაკლებს ღებულობდენ, - რათ უნდა ქალს სწავლაო, იტყოდენ ხოლმე, -

წერა-კითხვა სულ დაღუპავს მის საქმეს: ვაჟს ,,სიყვარულის“ წერილებს გაუჭრელებს, სჯობს 14-15 წლამდი ოთახში გვეყოლოს, კარ-ჩაკეტილათ ვაცხოვრებ. არ დავანახებ არც გავაცნობ ვისმე და ალო რო მოუვა! გავათხოვებო...“

ქალი იმ თავიდანვე დაჩაგრული იყო თუნდაც იმითაც, როცა ქალი დაიბადებოდა ,,ვაი“ უნდა დაეყოლებიათ აუცილებლათ, მაშინ როცა ვაჟის დაბადებისას თოფ-ზარბაზნების სროლა ატყდებოდა... ,,ქალიო, ამბობენ, გასათხოვარია, გასამზითებელია, სანამ შენთან იქნება მოსავლელია, სამწყესავია, კაცი კი ყოველთვის შამომტანიაო“...

ასეთი ამბები ადრეც ისმოდა და საუბედუროთ ახლაც ისმის, მაგრამ გადის დრო და ეს უკუღმართი შეხედულება ქალზედ თანდათან იცვლება, ქალი პოულობს თავის უფლებებს.

,,ამ რამდენიმე წლის განმავლობაში იმატა ქალთა წინსვლამ და განვითარებამ. აქა-იქ შეგნებულ ქალთა საზოგადოება აარსებს წრეებს, რომლის მიზანია, ქალი ქართულ ლიტერატურას, ისტორიას და სხვადასხვა საკითხსაც გააცნოს. ასეთ წრეებს აქვს მიზნათ დასახული აგრეთვე ბევრი საქველმოქმედო საქმეები. როცა ასეთ რასმე გაიგონებ და შეხვდები გაზეთებში ქალების შესახებ, სიხარული აგიტაცებს, გული მხიარულათ დაიწყებს ცემას“...

ამით დიდი ხნის საოცნებო ნეტარება გვისრულდება, რადგან ვხედავთ ქალს მომუშავეს. საგულისხმოა ჩვენთვის 17 თებერვალი, ე.წ. ,,ქალთა დღე“ პეტერბურგში. მსგავსი დღეები საზღვარგარეთ ხშირად იმართებოდა და იმართება, მხოლოდ რუსეთში იგი პირველათ აღინიშნა. მოგეხსენებათ, რომ მთელ რუსეთში მილიონზე მეტი ქალი მუშაობს სხვადასხვა ქარხნებში. მარტო პეტერბურგში - 75 ათასი ქალი ყოფილა. ამ დღეს ისინი გამოდიან პეტერბურგში გამართულ ღონისძიებაზე და ლაპარაკობენ თავიანთ მოთხოვნილებაზე. ამასთან ისინი ხაზგასმით იმასაც აღნიშნავენ: ,,მუშა ქალი ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლებს მამაკაცთან ერთად მუშათა საერთო მიზნის განსახორციელებლათ; აცხადებენ, რომ ენერგიულათ და შეურყევლათ იბრძოლებენ საყოველთაო თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებისათვის.“

პირველი ნაბიჯების გადადგმა ცხადია ყველაფერში ძნელია, მაგრამ როცა საქმე დაიწყება,როგორც ეს ქალთა მოძრაობაში ხდება, მერე ვეღარ გააჩერებ მას. ამგვარად ამობრწყინდა ქალებისათვის დიადი მზე და მისი სხივები ,,სოფელსა ბნელსა“ გაანათლებს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N11, 17 მარტი, 1913

,,ახალი ამბები“

,,პარასკევ საღამოს ქალთა წრეში კ. აბაშიძემ ისაუბრა ქართული ლიტერატურის შესახებ. ლეკტორმა ამ პირველ საუბარში დაახასიათა ჩვენი ლიტერატურის საერთო მიმართულება. დასაწყისში ცოცხალი სურათებით ლეკტორმა განმარტა საქართველოს თვითარსებობის უკანასკნელი დღე; შემდეგ ახსნა ამ პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ლიტერატურა და რა და რა ხანა გაიარა მან დღემდი.“

შემდეგ საუბრებში სისტემატიურად იქნება გარჩეული ყოველი ხანის წარმო–მადგენელ მწერალთა შემოქმედება.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N24, 3 აპრილი, 1913
ავტორი: გ. ა-ნი

,,ქალთა წრეში“

,,გასულ პარასკევს რაისა ჩიხლაძის ასულმა ისაუბრა ქართველი ქალის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. რეფერენტმა პირველათ განიხილა ქალის მდგომარეობა ისტორიული ხანის დაწყებამდი“.

მომხსენებელმა საბუთებათ მოიყვანა ცნობები ხალხური გადმოცემებიდან და მოგზაურთა ანგარიშებიდან იმ ქვეყნების შესახებ, სადაც განათლებას ჯერ კიდევ არ შეუდგამს ფეხი და პირველყოფილი ხანის ზნე-ჩვეულებები და შეხედულებები ბატონობდნენ.

,,ამ წყაროების საშვალებით რეფერენტმა დაახასიათა რა მდგომარეობას განიცთიდა საზოგადოთ ქალი იმ ხანებში, როდესაც ,,კერძო საკუთრება“ არ არსებობდა. მაშინ ქალი თავისუფალი იყო. მას ქონდა უფლება ცხოვრებაში მამაკაცთან ერთად ჩაბმულიყო: ღებულობდა მონაწილეობას ომში, მართავა-გამგეობაში, მუშაობდა და სხვ.

ის ითვლებოდა ჩამომავლობის შემნახველათ და შვილებიც დედის გვარს ატარებდენ. მაგრამ ქალი მაინც დაცემული და დაქვეითებული იყო. სპეტაკი, წმინდა ცოლ-ქმრული კავშირი არ არსებობდა და ყოველი ქალი სქესობრივი მხრით საერთო -საზოგადო საქონელს წარმოადგენდა“.

განვლო რამოდენიმე საუკუნემ და მას შემდეგ რაც ცხოვრებაში კერძო საკუთრებამ ფეხი მოიკიდა, ადამიანმა თავისი ,,მე“ ყოველ საგანს დააკისრა. აქედან მოყოლებული ,,ქალიც მამაკაცის სრულ საკუთრებათ იქცა. ამ დროიდან ქალმა თანდათან დაკარგა თავისუფლება და გახდა მონათ.“

იმ დღიდან ქალსა და მონას შორის თითქმის არავითარი განსხვავება აღარ არსებობდა და მამაკაცს შეეძლო ცოლის როგორც ყიდვა ისე გაყიდვა, სიცოცხლის წართმევაც და გაჩუქებაც.

ჩანს რომ პირველ ხანაში მართალია ქალი თავისუფალი იყო, მაგრამ მისი ადამიანური თვისება და ზნეობრიობა გათელილი გახლდათ, მეორე ხანაში კი ზნეობრივმა კანონებმა ფეხი მოიკიდა, მაგრამ ქალმა თავისუფლება დაკარგა. გამოდის რომ ორივე შემთხვევაში ქალი მაინც მონურ უღელს ეწეოდა და ღირსება ახდილს პიროვნება წართმეულ ადამიანს წარმოადგენდა.

აქვე რეფერენტი შეეხო ამ ხანაში ქართველი ქალის მდგომარეობასა და უფლებებს.

განმარტა ვახტანგ სჯულმდებლის კანონების ის მუხლები, რომელნიც ეხებოდენ ქალის მდგომარეობას, მის უფლებებსა და პიროვნებას, როგორც დედის, ცოლის, ქალიშვილისა და მოქალაქის.

მოყვანილი ცნობებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ქართველი ქალის უფ-ლებები იმ ისტორიულ ხანაში თანდათან გაფართოებული იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ მონობისათვის თავი დაეღწია და თავისუფლება მოეპოვებია.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ,,ქართველი ქალის გულში არ გამქრალა თავის სჯულის, ერის, სამშობლოსთვის საზოგადო მოღვაწეობა და ბევრ მათგანს ენერგიასთან, სიცოცხლესთან და სპეტაკ სიყვარულთან ერთად, სულიც შეუწირავს მამულის საკეთილდღეოთო.“

მომხსენებელმა დაახასიათა იმ დროის სათაყვანებელი ქართველი ქალების წმ. ნინოს, თამარ მეფის და ქეთევან წამებულის მოღვაწეობა. საკმარისად შეჩერდა თითოეულის ღვაწლზე და აქვე განმარტა კერპთაყვანისმცემლობასთან ქრისტიანობის ბრძოლის ეპიზოდები. ამ ხანას ისტორიაში ,,ოქროს ხანა ეწოდება, რადგან მან მოგვცა დიადი

ქართველები: შოთა, მოსე ხონელი, სარგის მთოგველი, ივანე შავთელი და ჩახრუხაძე.

ამის შემდეგ მომხსენებლი გადავიდა იმ ხანაზე, როდესაც ქართველი ქალის უღელი ცოტათი შემსუბუქდა და ნება მიეცა თავისი ნიჭისა და შემოქმედების გამომჟღავნებისა.

,,ეს ხანა იწყება 1850 წლიდან, როდესაც გიორგი ერისთავმა საძირკველი ჩაუყარა ქართულ თეატრს - ხალხის აღმზრდელს, ცოცხალსა და დიად შკოლას. ბევრი შრომა დასჭირდა გიორგი ერისთავსო, რომ ქალის სცენაზე თამაშობის შესახებ ბნელი აზრი გაექარწყლებია. განვლო დრომ,, საზოგადოების რწმენა შეფერხდა: ქალს მიეცა ცოტათი თავისუფლება. თუ როგორ მოიხმარა ქართველმა ქალობამ ეს თავისუფლება ამის დასახასიათებლათ მოსაუბრემ ჩამოთვალა და დაახასიათა ჩვენი გამოჩენილი მწერალი ქალები: ეკ. გაბაშვილისა, ნინო ორბელიანისა, განდეგილი, ან. წერეთლისა, ნინო ნაკაშიძისა, აზიანი, ბარ. ჯორჯაძისა, ელ. ლორთქიფანიძისა და ნინო ყიფიანისა.

მანვე აღწერა თითოეული მათგანის სამშობლოსათვის დაუფასებელი ღვაწლი. მოიხსენია სამშობლოს სცენის საუკეთესო ქალთა ღვაწლი ქართული თეატრის განვითარების დიდ საქმეში და ასეთი დასკვნა გააკეთა: ,,ქართველმა ქალმა იმ მონურ პირობებში შეძლო მედგარი ბრძოლა ცხოვრებაში, - მას ასულდგმულებდა სიყვარული მამულისა და ერის სამსახური. თუ თანდათან ქალს მიენიჭება თავისუფლება და ხალხში დამკვიდრდება ის აზრი, რომ განვითარებული და განათლებული ქალი უფრო პირნათლად აასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ მას შეეძლება სამშობლოსა და ერის წინაშე თავისი ვალი სავსებით მოიხადოს.“

რეფერენტი ქართველი ქალის მოღვაწეობის გაშუქებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ქართველი ქალები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი წავლენ წინ, მაშინ თამამად შეიძლება ვსთქვათ: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიო!

საუბარმა ცხარე კამათი გამოიწვია და ჩ. შარაშიძის ასული არ დაეთანხმა რ. ჩიხლაძის ქალს, რომ ქალის პიროვნების აღდგენა, მისთვის უფლების მოპოვების საჭიროება შოთამ სცნო ამ აბზაცითო.

მოკამათემ განაცხადა, რომ მართალია შოთა გენიოსი იყო, მაგრამ ის მაინც თავის საუკუნის შვილი გახლდათ. და ეს ცნობილი აფორიზმი მან საზოგადოდ ქალზე კი არა, მხოლოდ მეფის ქალიშვილზე თინათინზე განაცხადაო. რაც შეეხება მდაბიო ხალხს მათზე შოთა საერთო შეხედულებისა იყო. რაც კარგად ჩანს ფატმანის დახასიათებისას.

მსმენელთა გარკვეული ნაწილი იზიარებდა მომხსენებლის აზრს იმაზე, შოთა ქალის პიროვნების დაცვასა და მისი უფლების აღდგენას დღევანდელი მნიშვნელობით არ ქადაგებდა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ,,მაშინ საზოგადოება არ იყო დაყოფილი ისეთ კასტებათ, როგორც ეს ბევრს დღეს გონია. ტახტსა და ხალხს შორის ისეთი უფსკრული, როგორიც დღეს არის, არასდროს არ ყოფილა, თვით ხალხის ცხოვრებაში ქალის პატივისცემა და თაყვანისცემა აზროვნებასთან შესისხლხორცებულ იყო.“

აბა, ჩაუკვირდეთ ხალხის სულისკვეთებას: ,,ქართველი ხალხის მფარველი და მხსნელი - ღვთისმშობელია;

ქართველი ხალხის ერთგული და სახელოვანი მეფე - თამარია; ქართველი ხალხის განმანათლებელი - წმ. ნინოა; ქართველი ხალხის სჯულის დამცველი - ქეთევანია.

თუ შოთა მეფის ქალსა და ვაჟს შორის ხედავდა თანასწორობას, რატომ მდაბიო ხალხის შვილებს არ არგუნებდა ამ აზრს?

თუ ერთსა და იმავე პირობებში შესაძლებელი იყო მეფის შვილების გათანასწორება, რატომ ამავე პირობებში არ შეიძლებოდა უბრალო მომაკვდავთა შთამომავლობის გათანასწორება?

მართალია, შოთამ ფატმანის გამო განაცხადა დიაცს არაფერი გაენდობაო, მაგრამ ფატმანი საზოგადო ტიპი არ არის. ფატმანს ქალის უდიდეს თვისებაზე ზნეობრიობაზე

ხელი აღებული აქვს და ბუნებრივია, ასეთისათვის საიდუმლოს განდობა შეუძლებელი გახლდათ. საერთოდ, მთელი ,,ვეფხისტყაოსნის“ იდეა ქალის გაღმერთება და სიყვარულია. რეფერენტი მსმენელებმა ტაშით დააჯილდოვეს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N25, 4 აპრილი, 1913
ავტორი: ვ. მ.

,,ლიტერატურული საღამო“ ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში

კვირას, 31 მარტს, ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ დაბალი კლასის მოსწავლე ქალები.

,,საღამო დაიწყო 5 საათზე. პირველათ წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი პიესა: ,,ბოლოს სინანულიგვიანია“ ან. დგებუაძისა მოსწავლეთა ცხოვრებიდან. ამ წარმოდგენამ დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ხანგრძლივი სიცილ-ხარხალი გამოიწვია. შემდეგ ვ. პლატ. ხიზანიშვილის ლოტბარობით ბავშებმა შეასრულეს რამდენიმე სიმღერა და წაიკითხეს ლექსები“.

საღამომ ჩინებულათ ჩაიარა და ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა. კარგი იქნება თუ სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია ხშირ-ხშირათ მოაწყობს მსგავს საღამოებს, რომელიც ხალხზეც და მოსწავლეებზეც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N30, 10 აპრილი, 1913
ავტორი: ქ. ქ. ს. გამგეობა.

,,ქალთა საზოგადოებისაგან“

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა გულითად მადლობას სწირავს იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და ხსენებული საზოგადოების სასარგებლოთ ,,რადიუმში“ შვიდ მარტს გამართულ სეანსებს დაესწრო. მადლობას უცხადებს აგრეთვე ბ. ისაკ მესხს, რომელმაც თვისი გარდაცვალებული მეუღლის სახელით საზოგადოებას ხუთი მანეთი შესწირა.“

სეანსიდან სავარაუდო შემოსავალი 456 მანეთი იყო. საიდანაც თანხები განაწილდა რადიუმის პატრონის ქირათ და სხვა ხარჯებისათვის.

სულ წმინდა შემოსავალი 286 მანეთი და 2 აბაზი დარჩა, რომელსაც დაემატა 13 მანეთი და 2 აბაზი საწევრო შემოსავლისაგან. საერთოდ, ქუთაისის ქალთა საზოგადოების სახელით მიმდინარე ანგარიშზე ქუთაისის საურთიერთო ბანკში ამ ღონისძიებიდან 300 მანეთი ჩაირიცხა.

გაზეთი ,,კოლხიდა“ N40, 27 აპრილი, 1913
ავტორი: სიმონ ქვარიანი

,,ქალთა საზოგადოება“

ხვალ, კვირას ქუთაისის ქალთა საზოგადოება ქალაქის ბაღში (ბულვარში) მართავს დიდ სეირნობას ფართო და მრავალფეროვანი პროგრამით. ამ სეირნობას მეტად საინტერესო მიზანი გააჩნია: ქალთა საზოგადოებას სეირნობიდან შემოსული თანხით სურს დაარსოს ქუთაისში ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი.

იმედია, ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობას გამოიჩენს ამ დიდ სეირნობაში მონაწილეობით და თავის წვლილს შეიტანს ქალთა საზოგადოებისათვის თავის მიზნის მისაღწევად.

დიდი ხანი არაა, რაც ქუთაისში ქალთა საზოგადოება დაარსდა. მისი წესდება შარშან დამტკიცდა და საზოგადოებამ მუშაობა წარსული წლის სექტემბრიდან დაიწყო.

,,მხოლოდ 8 თვეა, რაც მოქმედობს იგი და დღეს ამ საზოგადოების წევრებათ ითვლება 300-მდი ქალი და მათი რიცხვი მატულობს საოცარი სისწრაფით.

დღემდი ქალთა საზოგადოების მოღვაწეობა იფარგლებოდა რეფერატების კითხვით.

ქალები იკრიბებიან ყოველ პარასკევობით და ისმენენ რეფერატებს, რის შემდეგ იმართება კამათი, ქალები ეცნობიან უმთავრესათ საქართველოს წარსულს, ისტორიას, ქართულ ლიტერატურას და ქალთა საკითხს.

ლექტორებათ პირველათ მოწვეული იყვნენ მამაკაცები, ამ ბოლო თვეებში კი გამოჩდენ ქალები, რომლებიც ამზადებენ და კითხულობენ ფრიად საგულისხმო რეფერატებს.“

თვით ამ სტრიქონების დამწერიც არა ერთხელ დასწრებია თურმე ამ რეფერატების კითხვას, მოუსმენია ქალთა კამათი, რითაც ფრიად ნასიამოვნები დარჩენილან.

,,ამ საზოგადოებამ დაახლოვა, გააცნო და შეაერთა დაბნეულ-დაქსაქსული ქუთაისში მყოფი ქართველი ქალები, მისცა მათ საერთო მიზანი, გაუღვიძა სოლიდარობის ალღო და აღძრა მათში სწავლის, შეგნების, თვით მოქმედების და საზოგადო მოღვაწეობის სურვილი.

წესდების ძალით ქალთა საზოგადოების მიზანია: გაავრცელოს განათლება დასავლეთ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ქალთა შორის და საჭირო შემთხვევაში დაეხმაროს მათ ნივთიერათ.

საზოგადოების მოქმედება გამოიხატება შემდეგით: ქალთა საზოგადოება აარსებს შკოლებს, კურსებს, წიგნსაცავებს, სამკითხველოებს, კლუბებს, ბეჭდავს წიგნებს, მართავს ლექციებს და რეფერატებს, აგრეთვე არტელებს და დამხმარებელ კასებს“.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიბაძვით უკვე დაარსდა და არსდება 12-მდი ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგალითად: ხონში, ფოთში, ბათომში, ოზურგეთში და სხვა.

ამგვარი საზოგადოების დაარსებისადმი ლტოლვა დღითი დღე მატულობს, რაც იმის ნიშანია რომ მსგავსი საზოგადოებები მთელს საქართველოს მოეფინება, რომელიც დიდ როლს ითამაშებს ხალხის დუღჭირ ცხოვრებაში.

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება დასავლეთ საქართველოში პირველი პიონერია ამ დიადი მოძრაობის. იგი ცდილობს დღეს სხვადასხვა პრაკტიკულ დარგებშიც გამოიჩინოს თავის უნარი და საქმიანობა.

ჩვენ, მამაკაცები ზნეობრივათ ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ და ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ ნორჩსა და ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას“.

„ცხოვრება“. 1912.ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ. ბ.ა ჯულაყიძე. (ივ. კილაძის ელექტრომბეჭდავი). სოც.-დმ. მიმართ. ორგანო. 1912 წ. N1(1/II) – N33(11/III) ? თით. 4 გვ. F.

გაზეთი ,,ცხოვრება“ N7, 10 თებერვალი, 1912
ავტორი: ?

,,დაგვიანებული მიმოხილვა“
(ქ-ნი თარხნიშვილი და ,,კოლხიდა“)

სამშობლო ქვეყნის გუშაგმა ,,კოლხიდამ“ მესამე ,,შინაური მტერიც“ აღმოაჩინა.

სიმართლე უნდა ითქვას რომ ჯერ კიდევ საქართველოში ქართული სიმღერები ნოტებზე არ არის გადაღებული და ამიტომაც ვერ შეისწავლა იგი ევროპიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა მომღერალმა. ამისთანა კითხვა დაებადება მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს და არა ჭეშმარიტ პატრიოტს. ,,კოლხიდაზე“ აღზრდილი მამულიშვილი მათ ასეთ პასუხს გასცემდა: ,,საქმე იმაში კი არ არის, თუ როგორია სიმღერის კილო; პირველი ის არის; რომ სიტყვები იყოს ქართული; ბ. სილოვანს დიდი ხანია მოცემული აქვს ქართულის მუსიკალური პროგრამა და ქ-ნი თარხნიშვილი ჯერ უნდა ამ პროგრამას გასცნობოდა და მერე ქუთაისში მოსულიყო“.

იტალიურ არიებზე აღზრდილი მომღერალი თუ სილოვანის პროგრამას თავშივე გაეცნობოდა, მაშინ აღარ გაუჭირდებოდა ხელში აეღო ქუთათური გიტარა და დაემღერებია ბ. სილოვანის მიერ გადმოქართულებული რომანსი ,,მტრედის ფერ ცაზე მისცურავს მთვარე“... რა ვუყოთ, რომ ეს რომანსი იმავე კილოზე იმღერება, როგორც რუსული ,,მისიაც პლივეტ“... სიტყვები ხომ ქართულია.

გაზეთი ,,ცხოვრება“ N15, 19 თებერვალი, 1912
ავტორი: პელო

,,ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებლის საკითხის გამო“

,,ქუთაისის საბჭოს 14 თებერვლის მორიგ სხდომაზე აღძრულა საკითხი ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებლის 2450 მანეთით წლიურათ დახმარების შესახებ“. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი საბჭო არ გამხდარა, მხოლოდ მხმოსან ქორქაშვილს გაუკეთებია ასეთი განცხადება: ,,ფულს კი ვაძლევთ, მაგრამ არ ვიცით ვის ეკუთვნის ან რა ტიპისაა ეს სასწავლებელიო?“ აგერ უკვე 40 წელია, რაც ეს სასწავლებელი არსებობს და მას ამ ხნის განმავლობაში შემწეობას უწევს, როგორც ქუთაისის თვითმმართველობა, ასევე ქუთაისის საზოგადოება, მაგრამ აქამდის არ აღმოჩნდა: ,,ისეთი კაცი, რომელიც ამ სასწავლებლის შინაური საქმეებით დაინტერესებულიყოს და ჩემის აზრით დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს აქ მოსწავლე ქალებმა და მათმა მშობლებმა ბ. ქორქაშვილს, რადგან ამ საკითხის აღძვრას შეუძლია გამოიყვანოს ის სასწავლებელი ამ გაჭირვებულ მგომარეობიდან, რომელშიაც დღეს იმყოფება ის.“

ამ სასწავლებელზე დახარჯული თანხა იმაზე მეტ ნაყოფს გამოიღებს, რომელიც დღეს აქვს. ცნობილია რომ ქალთა ეს სასწავლებელი ათეული წელია ეკუთვნის მის გამგეს მარიამ რუბანის ასულს. სასწავლებელი ამზადებს კარგ ხელზე მოსამსახურე ქალებს, რადგან გამგის აზრით ღარიბთა შვილებს არც ნიჭი და არც ცოდნა შესწევთ უკეთესი სწავლისათვის. გამგე ქალსაც უკანონობაზე ვერავინ შეეპასუხება.

,,გული გიკვდება კაცს, როდესაც ხედავ გარეგნულათ ძვირფასათ მოწყობილს სასწავლებელს, ხალხის სახელით აშენებულს, სადაც თვით გამგე, განცხრომით ცხოვრობს და სწავლის მხრით კი სრული სიცარიელეა. იმის გარდა, რომ შენობა ყოველმხრივ შემკულია, თვით გამგეს ეძლევა 50 მანეთი თვეში და მასწავლებლებს 35 მანეთი. მასწავლებლებიც დიპლომებით აღჭურვილნი არიან, მხოლოდ საცოდავი ქართული ენა დანაწილებული აქვთ იქვე კურს დამთავრებულ ქალებს, რომლებიც ამავე დროს ზედამხედველების როლსაც ასრულებენ. ქართულის სწავლება ხომ ყველას შეუძლია! სწავლის კურსიც ექვს წლიანია“.

თუ ქალაქის სკოლებსა და სოფლის სკოლებსაც გადავხედავთ, სადაც სასწავლო კურსი ხუთ წლიანია, იქიდან მოსწავლეები უფრო მეტი ცოდნით გამოდიან, ვიდრე რუბანის სასწავლებლიდან. სოფლის სკოლებში ბავშვები კედლებ გამოფარატინებულ ოთახებში ნახევრად შიშველ-ტიტველნი მეცადინეობენ თანაც ოთხი-ხუთი ვერსის ნაწილსაც ფეხით გადიან და მეტად ნასწავლნი გამოდიან. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ქუთაისის უფასო საქალებო სასწავლებელში, რომლის გამგეა მარიამ რუბანის ასული ,,სასწავლებელი უპატრონოთ არის მიტოვებული და შიგ ისე დათარეშობენ, როგორც სურთ. დროა აწი მაინც მიექცეს ყურადღება ამ საქმეს და რადგან ფული იხარჯება ,,მაია“ - ,,ტვოიას“ ძახილით, ორიოდე რუსული-ქართული ლექსების გაზეპირებით აქაური მოსწავლეები შორს ვერ წავლენ, რადგან ცხოვრება წინ მიდის და ცოდნასაც მეტს ითხოვს ყველასგან“.

სწავლა-განათლება აუცილებელია როგორც მდიდრის ისე ღარიბი კაცის შვილებისათვის.

„დილა“. 1912-1913. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ.- ი. რუხაძე. (ფერაძისა და კარნაუხოვის ელექტრო მბეჭდავი; 1913 წელს სტამბა ,,ძმობა“). სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო;
გამოვიდა:
1912 წ. N1 (21/ VIII) – N20 (14/ IX) 4 გვ. F
1913 წ. N1 (5/ III) – N39 (23/ IV) ,, ,,
გაზეთ ,,დილა“-ს დროებითი შეჩერების პერიოდში გამოდიოდა (იმავე თანამშრომელთა შემადგენლობით) გაზეთი ,,მერცხალი“ (1912-1913). დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

გაზეთი ,,დილა“ N1, 5 მარტი, 1913

,,ქალთა მოძრაობის ქრონიკა“

,,შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოანგარიშებით ქარხნის მუშების ბავშვთა სიკვდილი 60-70 აღემატება. უმთავრესი მიზეზი ბავშვების ასეთი ხშირი სიკვდილისა მდგომარეობს ბავშვების ცუდ გამოკვებაში. ამ მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ ბავშვის მასაზრდოვებელ დედების სამუშავოდან განთავისუფლებით. გადაწყვეტილია სამშობიარო სახლები ქარხნებთან და ფაბრიკებთან გაუქმებულ იქნას და გაიხსნას პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა დიდ საფაბრიკო ცენტრებში ბავშვთა და დედათა სამფარველო ინსტიტუტები.“

სანამ სამინისტრო შეკრებდეს და გამოიანგარიშებდეს ბავშვთა სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს, მანამ სახელმწიფო საბჭომ უნდა უზრუნველყოს ბავშვებისა და ფეხძიმე ქალების მდგომარეობა. მუშა ხალხის ამგვარი დაცვა ჯერ კიდევ უიმედოა და ამიტომ ჯერ-ჯერობით თვითონ ქალებმა უნდა იზრუნონ თავიანთ თავზე.

,,ქალთა კლუბის პედაგოგიურმა სექციამ გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს თავის დაბეჩავებულ დებს. თავიანთ მოწოდებაში დედებისადმი, სთხოვენ მათ შეკავშირდნენ ერთ საზოგადოებათ საბავშვო ბაღის მოსაწყობათ, რომელიც, აღზრდის საღ პრინციპებზე იქნება დამყარებული“.

გაზეთი ,,დილა“ N20, 28 მარტი, 1913

,,ქალთა მოძრაობის ქრონიკა“

ქალთა თანასწორობის რუსეთის ლიგის მოსკოვის განყოფილებამ რუსის ქალებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: ,,ძალა ერთობაშია“, - უფლებისათვის ბრძოლის საქმეში ჩართულიყო, რომელიც მთელი დედამიწის ზურგზე მიმდინარეობს და ქალთა თანასწორობის ბრძოლის საქმეში საპატიო ადგილი უჭირავს.

,,წავიდა ის დრო, როდესაც ქალთა მოძრაობის სფერო შეზღუდული იყო ოჯახის ფარგლებით. ეკონომიურ და სოციალურ პირობების შეცვლის გამო, ქალებს დაინახავთ მომუშავეთ ყველა სარბიელზე სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრებაში. ისინი მამაკაცებთან ერთად შრომის ჭაპანს ერთნაირათ ეწევიან, ასრულებენ თავის

მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, მხოლოთ უფლებით კი სარგებლობენ მარტო მამაკაცები. დასავლეთ ევროპის ქალებმა შეიგნეს, რომ ,,მხოლოდ ერთობით, შეკავშირებით შეუძლიათ მიაღწიონ მიზანს, რასაც შედეგათ მოსდევს მათი ბრძოლისადმი საპატიო ყურადღების მიქცევა.“

მართალია ქალთა მოძრაობა ჯერ-ჯერობით ნორჩია, მაგრამ მან ცოტაოდენი მაინც გააკეთა, მაგალითად: ,,კანონპროექტების შესახებ ,,ცოლ-ქმრის შორის გაყრა“, ,,ვექილ ქალების უფლების მინიჭებისა“, ,,სათემო თვითმმართველობაში ქალების დაშვება,“ ყველა ეს პროექტები დეპუტატების მიერ შეტანილ იქმნა სახელმწიფო დუმაში. მოძრაობა, რომლითაც დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ გადალახავს ყველა შევიწროებებს, წალეკავს დაბრკოლებებს, თუ ქალთა შეერთებული ძალა ამოქმედდება“...

130 დეპუტატის ხელის მოწერით შევიდა დუმაში კანონპროექტი მასწავლებელ ქალების მამაკაცებთან უფლებრივათ გათანასწორების შესახებ, სამსახურისა და პენსიის მიღების მხრივ.

ამასთან ხარკოვში, კიევში და კაზანში უნივერსიტეტებში დატოვეს ყოფილი თავისუფალი მსმენელი ქალები, მომავალში პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

გაზეთი ,,დილა“ N24, 2 აპრილი, 1913

,,ქალთა წრეში“

,,წასულ პარასკევს ქალთა ჩვეულებრივ საღამოზე წაკითხულ იქნა საინტერესო რეფერატი ქართველ ქალთა საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ. რეფერენტკას - რაისა ჩიხლაძის ასულს, ძალიან ფართეთ აეღო თემა. იგი შეეხო მატრიარხატის ხანას, რომელიც სხვათა შორის რაღაც მოსაზრებით ქალთა გარყვნილების ხანად აღიარა, რადგან მაშინ მრავალ ქმრიანობა არსებობდა. პატრიარქატი კი ქალთა ზნეობრივ ამაღლების ხანათ და თან მის მონობათ. შემდეგ რეფერენტკამ განიხილა ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის მიხედვით და ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალი ჩვენშიაც თითქმის ყოველ უფლებას მოკლებული მონა იყო.

მიუხედავათ ამისა, ქალები დიდ მონაწილეობას იღებდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“

მომხსენებელმა სამაგალითოდ მოიყვანა წმინდა ნინოს, თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის ცხოვრება- მოღვაწობა.

მსმენელებს მომხსენებელმა გააცნო მათი ბიოგრაფია და მოღვაწეობა. შემდეგ იგი შეეხო დღევანდელ საზოგადო მოღვაწე ქალებს, ლიტერატორებს და მათი ბიოგრაფიისა და მოკლე მოღვაწეობის გაცნობით დაასაბუთა ის აზრი, ,,რომ ქალიც ისეთივე ადამიანია, როგორც კაცი, მასავით შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევა. ცხადია, ასეთ ფართო თემაში მთლიანობის შეტანა ახალგაზრდა რეფერენტკისთვის ძნელი იქნებოდა, ამიტომ ჩვენ ამ ნაკლს მისი რეფერატისას გვერდს აუვლით.“

აქვე უნდა აღინიშნოს მისი რეფერატის ზოგიერთი სუსტი მხარე. მაგალითად ვახტანგის კანონმდებლობაში იგი ერთმანეთისაგან არ არჩევს კანონებს ქართულს, სომხურს, ბერძნულს და ბექასას. ყველა მათი დებულებანი მომხსენებელს ქართველ ქალთა უფლებრივ მდგომარე-ობათა დასახასიათებლად მოყავს მაშინ, როდესაც სომეხთა კანონი სომხებისთვის იყო დაწერილი და არა ქართველებისთვის.

ასე იყო ბექა და აღბუღას კანონი, რომელშიაც სხვათა შორის შეტანილი ბაგრატ

მეოთხის კანონებიც ეხება შედარებით უფრო ძველ დროს, ვიდრე ვახტანგის კანონმდებლობა.

,,კამათი გამოიწვია კრებაზე რეფერენტკას ერთმა დებულებამ, რომელიც ქართველ საზოგადოებაში დიდად გავრცელებულია. სახელდობრ, თითქოს შოთა რუსთაველი ქალთა თანასწორობის მომხრე ყოფილიყოს. ნამდვილათ მეცნიერული გამოკვლევა ვეფხისტყაოსნის ამტკიცებს, რომ ეს რაინდული პოემა, რაინდული თვალსაზრისით უყურებს ქალს. და თუ აქებს, მხოლოდ დიდებულ და არა საზოგადოთ ქალს, როგორც ადამიანს.

საზოგადოთ ამ პოემისთვის სრულიად უცხოა იდეა თანასწორობის, როგორც ქალთა ისე ბატონისა და მონას შორის“.

ამ თვალსაზრისმა ქალბატონ შარაშიძის ასულის შენიშვნები გამოიწვია, რაც სწორი იყო და სრულიად დაურღვეველი დარჩა მოწინააღმდეგეთაგან.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა თუ შენიშვნებისა რეფერატი მეტად საინტერესო იყო. ჩანდა ავტორს ბევრი უშრომია და ბევრი მასალა მოუგროვებია.

მომხსენებელი მოხსენებას კითხულობდა მშვენიერი ქართული ენით და მხოლოდ ცოტას ჩქარობდა.

„იმერეთი“. 1912-1915. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი. ოფიციალური რედაქტორები გრ. ერმ. ჭელიძე (1912-14 წწ.); ბეს. ჯაიანი (1914 წ. N87-დან); გრ. ერმ. ჭელიძე (1915 წ.). ნამდვილი რედ. გამ. (კოლეგია): ვასილ წერეთელი, ალ. ჯაფარიძე; 1914 წლიდან ფაქტიური რედაქტ. - მიხ. შავარდნაძე.
სულ გამოვიდა:
1912 წ. N1 (26/ IX) – N77 (30/XII), თით. 4 გვ. F
1913 წ. N1 (1/I) – N177 (27/X)
1914 წ. N1(6/III) – N150 (11/IX)
1915 წ. N1 (6/I) –N20 (30/I) და შემდეგ N21 (27/VII) – N23 (3/VIII)
ნაციონალური და დემოკრატიული მიმართულების გაზეთი; იცემოდა ,,კოლხიდის“ ნაცვლად იმავე პროგრამით. თანამშრ: ნ. ლორთქიფანიძე, ურო (ვას. წერეთელი), ისარი ?, დია ჩიანელი, გრიგ. გველესიანი, კანდე? სიმ. ქვარიანი, აკ. პაპავა, ვ. კაკაბაძე, ილ. გოგია, ტ. ჯაფარიძე, დე-ზი(?) და სხვანი.
,,იმერეთი“-ს დახურვის შემდეგ (იხ. ,,სახალხო ფურცელი“ 1915 წ. 28 აგვისტო N368) იცემოდა გაზ. ,,სამშობლო“ (1915-1917).

გაზეთი ,,იმერეთი“ N1, 1იანვარი, 1913

,,ჩვენს ქალებს“

გაზეთ ,,იმერეთის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია უცნობი ავტორის ლექსი ,,ჩვენს ქალებს“. უცნობი ავტორი გამოთქვამს თანაგრძნობას ქალთა კრების დაარსების შესახებ. აქვე იგი კრიტიკულ შენიშვნასაც აძლევს ქალთა კრების მესვეურთ:

,,ვნახე, ქალმა სასარგებლო
ბევრგან წრენი დააწესა...
მაგრამ ნაყოფს მეტს მომკიან,
თუ გაშლიან კაბის წრესა.“

უცნობი ავტორი ქარაგმასაც გადაკრავს ურიცხვი სამკაულებით შემკობილ ქალებს და აღნიშნავს:

,,შორს ვერ წავლენ შებორკილი,
უნდა მოიხსნან ხუნდები...
ქალო, ვფიცავ, მებრალები, -
მაგ ბორკილში გახუნდები.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N11, 13იანვარი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ბათომში გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო. პროგრამა საღამოსი რთული და შინაარსიანია: იქნება ქალ-ვაჟთაგან შემდგარი ქართულ მომღერალთა გუნდი ბ-ნი გოგიტიძის ლოტბარობით; იმღერებს ცნობილი მომღერალი ბაშარინას ქალი: ოპერის ცნობილი მომღერალი ივ. სარაჯიშვილი;“

ქართულ საღამოზე რეჟისორ შალვა დადიანის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნება დასის მსახიობთა მონაწილეობით ცოცხალი სურათები ,,სადღეგრძელოდან“ და ,,მოგზაურიდან“.

ასევე გაიმართება იმერულ-მეგრული სცენების კითხვა. ,,ბოლოს კი ქართული და ევროპიული ცეკვები.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N14, 18იანვარი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,სუხუმელ ქალებს ქალთა წრის დაარსება განუზრახავთ. ამათ ქუთაისის ქალთა წრისათვის შემოუთვლიათ საზოგადოების წესდება გამოგვიგზავნეთო“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N15, 19იანვარი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,24 იანვარს - მსახიობი ქალის მარო მდივანის ასულის ბენეფისია. წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ,,პატარა კოლეტა“ (მოზარდი ქალის სიყვარული 4 მოქ. კომ).

გაზეთი ,,იმერეთი“ N17, 22იანვარი, 1913
ავტორი: მეც.

,,წმინდა ნინოს დღესასწაულის გამო“

,,14–ს ამ თვეს ჩვეულებრივათ იდღესასწაულა ქუთაისის საქალებო სასწავლებელმა თავის ტაძრის წმინდანის - ნინოს დღეობა. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო გიორგი. წირვაზე გალობდა სასწავლებლის გუნდი. სასწავლებლის მღვდელმა დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განუმარტა შეგირდებს ამ აღმზრდელობითი მნიშვნელობა ტაძრისა.“

წირვის დროს ქართულად ისმოდა აქა-იქ კვერექსები, მაშინ როცა გალობა არ იყო ქართული. ამის მიზეზი ვერავინ ვერ ახსნა. ამასთან რაც შეეხება წმინდა ნინოს დღესასწაულს ეს დღე სხვა ეკლესიებში საერთოდ არ აღნიშნულა არც სოფლად და არც ქალაქად. სიმართლე უნდა ითქვას, რომ საზოგადოება ჩვენი წმინდანების დღესასწაულს გულგრილად ეკიდება.

აქვე ერთ მოვლენაზეც უნდა შევაჩეროთ ყურადღება, რომლის მოწმე წერილის ავტორი ნინოობის წინა დღეს გამხდარა:,,13 იანვარს. მოვისურვე ამ დღეს ერთს მახლობელ ეკლესიაში მომესმინა წირვა. წირვის შემდეგ მღვდელი - რუსი სდგას ამბიონზე და უხსნის მსმენელ და მლოცველ რუსებს ცხოვრებას და ღვაწლს წმინდა ნინოსას, იხდის ამავე წმინდანის სახელზე პარაკლისს და ბოლოს მრევლს ამ სიტყვებით მიმართავს: ,,მართალია წმინდა ნინოს დღეობა ხვალ არის, მაპატიეთ რომ დღეს ვიხსენიებ მას, მაგრამ ვინაიდან ხვალ ჩვენ წირვა არ გვექნება, ამისთვის დღეს განვიზრახე ამ წმინდანის მოხსენებაო“...

ჩვენებმა კი ბევრმა განუმარტა წმინდა ნინოს ვინაობა ხალხს და მისი დღეობა 14 იანვარს არისო“.

ასე სვამს საკითხს წერილის ავტორი და აქვე რჩევასაც იძლევა: ,,წმინდა ნინოს პიროვნების და ცხოვრების გაცნობა აუცილებლათ საჭიროა ხალხისათვის და განსაკუთრებით ჩვენი დედებისათვის. ამ დიდებული ადამიანის მოციქულებრივმა მოღვაწეობამ მთელი ხანა შექმნა ჩვენს ცხოვრებაში და ისტორიაში - ხანა განმაახლებელი სარწმუნოებრივ - ზნეობის და გონებისა.“

წმინდა ნინოს ცხოვრებამ და ღვაწლმა მეოცე საუკუნეშიც უნდა მოიპოვოს შესაფერი მიმბაძველობა ზნეობისა და ეროვნულობის ნიადაგზე. ამის გათვალისწინება არ წარმოადგენს დიდ შრომას, მაგრამ იგი ქალაქად თუ სოფლად სასიამოვნო და სასარგებლო საქმეა.

გაზეთი ,,იმერეთი“ N18, 23იანვარი, 1913
ავტორი: ს.

,,თეატრი და ხელოვნება“
მარო მდივნის ასულის ბენეფისის გამო.

,,ხვალ მ. მდივნის ქალის ბენეფისია. დიდი ხანია, მდივნის ქალი დაუღალავათ და გულწრფელათ ემსახურება ქართულ სცენას. მუშაობით და მუყათობით ამ მსახიობ ქალს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი სცენის სხვა ნიჭიერ მსახიობთა შორის. ბევრჯელ წავსულვართ თეატრიდან მისი თამაშით სავსებით კმაყოფილნი, ნასიამოვნები და დღეს როდესაც ეს მუშაკი ქალი თავის დღესასწაულს იხდის ჩვენი საზოგადოება ზნეობრივათ ვალდებულია დაესწროს მის დღესასწაულს და დაუფასოს ეს შრომა.

პიერ ვებერის და ანრი დე გორსის პიესა ,,გულის შეცთომა“, რომელსაც მდივნის ასული საბენეფისოთ დგამს, მეტად საინტერესოა.“

ვფიქრობთ მსახიობი ქალი თავს კარგად გაართმევს პიესაში კოლეტას როლს და თავისი ნიჭისა და გარეგნობის წყალობით მაყურებელს იმედს კვლავ გაუმართლებს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N24, 30იანვარი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,კნ. სოფიო მიქელაძისამ ჩვეულებრივათ შემოსწირა ქუთ. ქართ. გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ ასი მანეთი, რისთვისაც გიმნაზიის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N25, 31იანვარი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ხვალ საღამოს 7 საათზე შავი ქვის საბჭოს სადგომში ქალთა წრის ჩვეულებრივი კრებაა. სიმ. ქვარიანი ისაუბრებს ქართულ ისტორიაზე... როგორც ,,მერცხალსაც“ გაუგია კრებაზე სხვა მამაკაცებს არავის ,,დაუშვებენო“.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N31, 8 თებერვალი, 1913

,,ახალი ამბავი“
ქუთაისი.

,,დღეს შავი ქვის საბჭოს ბინაზე დანიშნულია ქალთა წრის ჩვეულებრივი კრება. აქიმი გ. ბადრიძე ისაუბრებს ქალთა თვის ფრიად საგულისხმო საგანზე - ძუძუთა ბავშის აღზდის შესახებ. როგორც გადმოგვცეს წრის გამგეობას გადაუწყვეტია - პრესის წარმომადგენელნი დაესწრონ ამ კრებაზე“.

ინფორმაციის ავტორი აქვე სვამს ერთ კრიტიკულ შეკითხვას: ,,პრესის წარმომადგენელნი ქალთა წრის კრებაზე მაშინ დაესწრებიან, როცა მამაკაცი საუბრობს რაიმე საგანზე, თუ იმ შემთხვევაშიც, როცა ქალიც კითხულობს ამა თუ იმ საგანზე რეფერატს“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N34, 12 თებერვალი, 1913
ავტორი: გ. ა-ნი.

,,ქალთა წრე“
(8 თებერვალის კრება)

ქალთა წრეში ბავშვის აღზრდის შესახებ აქიმმა გიორგი ბადრიძემ საგულისხ–მო ლექცია წაიკითხა. მომხსენებელმა ლექციის პირველ ნაწილში დაამტკიცა, რომ დედამ შვილი თავისივე ძუძუთი უნდა გამოზარდოს. რაც ბუნებრივი კანონი და მოთხოვნილებაა.

,,თუ დღეს ზოგიერთი დედა თავისი ძუძუთი ვერ კვებავს შვილს და იმართლებს თავს იმით, რომ ძუძუ არა მაქვსო, ეს სულაც არ არღვევს ჩვენ მიერ ნახსენებ ბუნების კანონს, ვინაიდან დღეს ადამიანი და კერძო დედაკაცი გადაგვარების გზას ადგია და ეს არის მიზეზი დედაკაცის რძის უქონლობისაო.“

თანამედროვე გონებრივმა და სულიერმა განვითარებამ თანდათანობით დააქვეითა ადამიანის ფიზიკური და ფიზიოლოგიური თვისება. დღევანდელი ადამიანი თუ ძლიერია გონებრივათ, სამაგიეროდ სუსტია ფიზიკურად, რაც მისი გადაგვარების ნიშნებს მოასწავებს.

სწორედ, ამან განაპირობა დღევანდელი სტატისტიკური მონაცემები: ,,ძუძუთა ბავშთა შორის სიკვდილის ხშირი შემთხვევებისა. რაც წარმოსდგება პირველ თვეებში დედის რძის უქონლობით და ბავშის შეუფერებელი კვებით.“

შემდეგ ლექტორმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ხელოვნური კვების დროს საჭიროა ჰიგიენის დაცვა, როგორც თვით დედაზე, ისე ბავშვზეც. თუ ყველა ის პირობა არ შესრულდება, იგი ადვილად გამოიწვევს ჩვილის დასნეულებას.

ლექციის მესამე ნაწილში ლექტორი შეეხო ძიძის არჩევის პრობლემას: ,,რამდენად საჭიროა, მიექცეს ყურადღება მის ჯანმრთელობას, აღზრდას, ზნეობას, ვინაიდან ძიძა გარემოების წყალობით ხდება ბავშის მეორე დედათ და მაშასადამე, დიდი გავლენა აქვს ბავშის ფიზიკურსა და სულიერ მხარეზე.“

ლექციის ბოლოს ექიმი ბადრიძე შეეხო ქალისა და პირუტყვის რძის რაობაზე საუბარს: ,,საქონლის რძეც უფრო უახლოვდება ქალის რძეს შემადგენელი ნაწილებით და როგორ უნდა მივაწოდოთ ის ბავშს, რომ ამ ხელოვნურმა გამოკვებამ ასაზრდოოს ბავში. აქვე განმარტებული იყო, როგორი ყურადღებაც უნდა მიექცეს ბავშის სისუფთავეს, ბანაობას, ჰაერსა და სხ.“

ლექციამ ქალებზე თავისი შინაარსით დიდი ინტერესი გამოიწვია, რის გამოც მსმენელებმა მადლობა უძღვნეს ლექტორს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N34, 12 თებერვალი, 1913

,,ახალი ამბავი“

ლადო მესხიშვილის სახელზე ქუთაისის სხვადასხვა დაწესებულებებიდან მოლოცვის მრავალი დეპეშა გაიგზავნა. მათ შორისაა: ,,ქუთაისის ქალთა საზოგადოებისაგან: ,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება ქართული სცენის ნაციონალური დღესასწაულის გამო, როცა ნიჭიერს ვლადიმერ მესხიშვილს 30 წლის არტისტული მოღვაწეობა შეუსრულდა, სალამს უძღვნის იუბილარს და სამშობლო სცენის ნაყოფიერი შრომისათვის უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N35, 13 თებერვალი, 1913
ავტორი: მიხაკო

,,ქალებით ვაჭრობა“

,,გაზეთ ,,პრავდაში“ გადმობეჭდილია ფრანგული ,,ჟურნალიდან“ ცნობა ქალთა ვაჭრობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საგანგებოდ დანიშნული კომისიის მიერ, სადაც ამ საზარელი ფაქტის გამო თვით ბურჟუაზიული პრესაც გაოცებულია: ,,მარტო ნიუ-იორკში ყოფილა 25, 000 როსკიპი. ამ ბოლო დროს 95 პროც. ქალებისა შორდება მშობლიურ ოჯახს და ხდება მსხვერპლი გარყვნილებისა. წელიწადში, როგორც კომისია ამბობს - 20 მილიონი მანეთის შემოსავალი ქონია პროსტიტუციას. ბურჟუაზიული პრესა, ტყუილად კვირობს და იკატუნებს თავს, თითქოს მას ეს ამბავი პირველათ ესმოდეს.

რამდენიმე წელიწადია, ერთმა გამოჩენილმა რომანისტმა და პუბლიცისტმა, წევრმა სოციალისტური პარტიისა - სიკლერმა გამოსცა წიგნი - ,,საღებ-მიცემო რესპუბლიკა“, სადაც ნათლად დაახასიათა ამერიკის ბურჟუაზიის ზნეობრივი გახრწნა.“

სიკლერის აზრით კაპიტალისტურ სამყაროში პროსტიტუცია გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა. ამ გახრწნილების მიზეზი აუტანელი სამუშაო პირობებია. ამასთან მწერალი აღნიშნავს რომ თუ ,,პროსტიტუტკას შეეძლო თავისი მოგებული ფული სურვილისამებრ მოეხმარა, მაგრამ ეს პროსტიტუცია გადაიქცა სხვილ სამრეწველო დარგათ. ამ პირობებში პროსტიტუტკა რომ კარგად მოირთოს, ექნეს კარგათ მოწყობილი ბინა, რომ ბევრი მუშტარი მიიზიდოს საჭიროა ფული და კრედიტი. ამას დაურთეთ პოლიცია, რომელიც როსკიპს კვალდაკვალ სდევს და დიდ ბეგარათ აწევს მის ჯიბეს.“

ასეთი ვაჭრობა დიდ მადას უღვიძებს კაპიტალისტებს და ათასობით ქალებს ქირაობს, რომლებთაც რამდენიმე წლის შემდეგ ქუჩაში ერეკება, როგორც გამოუყენებელ ნივთს. ამერიკის ყოველ ქალაქშია პროსტიტუციის სახლები, რაც წელიწადში თითო ტრესტს 25 ათას დოლარს მოგებას აძლევს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N36, 14 თებერვალი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ხვალ პარასკევს ქალთა წრის ჩვეულებრივი კრებაა შავი ქვის საბჭოს ბინაზე. აქიმი ვასილ წერეთელი ისაუბრებს მეათე საუკუნის ქართულ მწერლობაზე“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N39, 17 თებერვალი, 1913

,,ოსმალელ ქალთა კრება“
სტამბოლში

ოსმალეთის სატახტო ქალაქ სტამბოლში გაიმართა დიდი მანიფესტაცია. უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ოსმალელ ქალებმა პირველი პოლიტიკური მიტინგი გამართეს, რომელშიც სხვადასხვა წოდებისა და მდგომარეობის ქალები მონაწილეობდნენ: ,,აქ ყოფილან, როგორც ძველი წესის მტკიცეთ დამცველნი, სახე

დაბურულნი ჩადრიანი ქალნი, რომელნიც თვისს მშვენიერებას მალავენ, აგრეთვე პარიზის უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი შნოიანი და მომხიბლავი ოსმალთა ახალგაზრდა ქალნი, რომელთათვის ევროპის ემანსიპაცია უცხო არ არის“.

კრებას თავმჯდომარეობდა მაჰმედ მუხთარ-ფაშას მეუღლე ნიმედ ხანუმი, რომელიც უმდიდრესი ქალი გახლდათ მთელ ოსმალეთში.

ხალხში ამბობენ, რომ პრინცესა და მისი ქმარი, ეგვიპტის ბანკში ბევრ ფულს რიცხავენ სამშობლოს საჭიროებისათვის. მიტინგის თავმჯდომარემ მიმეთ ხანუმმა სიტყვა მისცა ოსმალელ ისტორიკოსის ჯევეთ ფაშის ასულს ფატმან ალიხანუმს. ამ უკანასკნელმა განაცხადა: ,,თუ როგორ ძნელად იზრდება კაცობრიობის კულტურა, თუ როგორი საზარელი შემთხვევებია მეოცე საუკუნის დასაწყისში, თუ როგორი საზიზღარი შეთქმულობა მოხდა და ევროპის პრესა მონაწილე შეიქმნა ამ საზარელის ძალმომრეობისა, მხეცობისა და მწვალებლობისა. რასაც სჩადიან დღეს ბალკანის ცხოვრებნი, ქრისტეს მოსავნი ერნი.

ორატორი ამბობდა, რომ ბალკანელ ქრისტიანთაგან ატეხილი ჯვაროსანთა ომი, მხოლოდ ერთი ნაწილია იმ ბრძოლისა, რომელიც ისლამის კულტურას წალეკვას ემუქრება, თუ მაჰმადიანთა ერი ერთიანათ არ აღსდგენ თვისის კულტურის დასაცველათ. და, ამ ბრძოლაში მაჰმადიანმა დედაკაცმა თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს“-ო, - დაასრულა თავისი სიტყვა ფატმა ალიხანუმმა.“

მიტინგზე გამოვიდა რუსეთის მაჰმადიანი ქალი კელხემ ხანუმი, რომელმაც დაგმო ბალკანეთის ომი და მოითხოვა, რომ მამაკაცთა მსგავსად მაჰმადიანმა ქალებმაც თავი გასწირონ განსაცდელში მყოფ სამშობლოსათვის.

მიტინგზე ასევე გამოვიდა მწერალი ქალი ფეიგიმენიზეტ-ხანუმი. მისმა სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ოსმალელ ქალებში. მომიტინგეები ასევე აღტაცებით მიეგებენ ქალთა გიმნაზიის დირექტორ ქალს ნაკიე ხანუმს. ,,რომელიც იწვევდა ოსმალელ ქალთა და კაცთა, რათა მათ ხელი-ხელ ჩაკიდულებმა საერთოდ იშრომონ და იბრძოლონ სამშობლოს დასახსნელათ.

შეკრება დასრულდა სახელგანთქმული მწერალი ქალისა და ემანსიპაციისათვის მებრძოლის სალი დე ხანუმის გამოსვლით. მათ ერთლობლივად გადაწყვიტეს დეპეშა გაეგზავნათ ოსმალეთის ლაშქრისათვის, რომელსაც ,,ოსმალელი ქალნი იწვევდენ სამშობლოს, სარწმუნოების და მათ ცოლებისა, დედებისა, ქალებისა და დების პატიოსნების დასაცველად. მომიტინგეებმა ასევე დახმარებისათვის მიმართეს ევროპის ყველა ქვეყნის დედოფლებს და სთხოვეს გამოიჩინონ ქრისტიანული სიყვარული და დედობრივი გრძნობა ოსმალელ ქალთა დასახსნელად.

ხალიდე ხანუმმა მოიხსნა ყველა სამკაული, რომელიც თან ჰქონდა და შესწირა სამშობლოს, მათ სხვებმაც მიბაძეს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N40, 19 თებერვალი, 1913
ავტორი: გ. ა-ნი.

,,ქალთა წრე“
(15 თებერვალის კრება)

ქალთა წრეში ექიმმა ვ. წერეთელმა მეათე საუკუნის ლიტერატურის შესახებ ისაუბრა. ,,ჩვენი ძველი მწერლობა ამ დროს სასულიერო მიმართულების იყო და ლეკტორმა თავის საუბარში ამ მიმართულების წარმომადგენელი - სასულიერო წოდება - დაახასიათა.

ლეკტორმა განმარტა, რომ სასულიერო წოდებაში არ შეეძლო გამხდარიყო სასულიერო პირათ.“

მაშინ სასულიერო წოდებაში დიდი გავლენა ქონდა მოძღვრება-ქადაგებას, რომელიც გაჟღენთილი იყო რელიგიურ დოგმებთან ერთად მამულის სიყვარულით. ,,ტაძარში სასულიერო წოდება იყო მწერალი და ღვთის მადიდებელი. ტაძრის გარეშე-მედგარი მცველი ეკლესიის და სამშობლოსი (გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელი და სხ...).“

არაბთა ბატონობამ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებას შესამჩნევი დაღი დაასვა. ქართველებმა ბევრი ისეთი რამ გადმოიღეს მათი ცხოვრებიდან, რომლებიც გასაკიცხი და დასაგმობი გახდათ. ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა - მრავალ ცოლიანობა, რომელსაც მოსდევდა კარჩაკეტილობა და ქალების პიროვნული დისკრიმინაცია, მათი მონობა. მაშინ, როცა სპეტაკ ცოლ-ქმრული სიყვარულზე ლაპარაკი მხოლოდ ერთ - ცოლიანობის დროს შეიძლება. იმ დროს სასულიერო წოდებას დიდი გავლენა ჰქონდა ერთა ინტერესების დასაცავად.

,,როგორც ისტორია მოგვითხრობს, ვახტანგ გორგასალმა 471 წელს თავის სამეფოს ეკლესიას მიანიჭა ავტოკეფალია, მაგრამ ეს უკანასკნელი სრული არ იყო, ვინაიდან საბერძნეთს დიდი გავლენა ქონდა მასზე: კათალიკოსები უმეტეს წილად ბერძნები იყვნენ და კურთხევასაც ღებულობდენ ანტიოქიაში. ხოლო სასულიერო წოდების მედგარი ბრძოლის გამო მე-VIII საუკუნიდან იწყება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებულობა და, როგორც ისტორია მოგვითხრობს, მე-IX საუკუნეში ჩვენი ეკლესია საბოლოოთ პოულობს თავისუფლებას.“

ამ ხანაში საეკლესიო კრებამ დამოუკიდებლად აირჩია და დაამტკიცა ქართლის კათალიკოსი. სასულიერო წოდებას დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც ხალხზე ასევე იგი ამდიდრებდა ქართულ კულტურასა და პოლიტიკურ შეგნებას. ქართველი ერი ჩაბმული იყო მსოფლიო ჩარხის ტრიალში. ლექტორი მოყვანილ ფაქტებს ამყარებდა პროფესორ მარის კვლევებით.

გაზეთი ,,იმერეთი“ N41, 20 თებერვალი, 1913
ავტორი: ნინო ყიფიანისა

,,დიდი საქმის გამო“
(მიმართვა ქართველ ქალს)

ხშირად უკიჟინებიათ ქართველი ქალისათვის, რომ ისინი უწინდელ ქალების აჩრდილნი არიან, მაგრამ ასეთი შეფასება მართალი არ არის: ,,დღევანდელი ქართველი ქალი მოკლებულია ისეთს ასპარეზს, როგორიც ქონდათ, მაგალიდათ, თამარს, ნინოს, ქეთევანს, მაგრამ ამის და მიუხედავათ, ვიცით, რომ ერის ცხოვრებაში, რაც უნდა შებორკილი იყოს მისი შვილის მოქმედება, არის ხოლმე ისეთი დრო, როდესაც მას შემთხვევა ეძლევა ისეთი ღვაწლით თუ არა, როგორიც მიუძღვით ზემოხსნებულ პირთ, მისი მაგვარი, დროის შესაფერათ ფრიად სასარგებლო საქმით მაინც იჩინოს და ისახელოს თავი.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას მეტად კრიტიკული საკითხი, რომელშიც ქალებმა უნდა ითამაშონ დიდი როლი. ეს საქმე კი ასეთია ,,მოგეხსენებათ, რომ ნადელების გამოსყიდვით ჩვენს თავად-აზნაურობას ორივე გუბერნიაში რვა მილიონ მანეთამდი ფული ეძლევა. პრესაში უკვე აღიძრა საკითხი ამის შესახებ და სთხოვენ თავად-აზნაურობას მეოთხედი ნაწილი ამ ფულისა საზოგადო თანხად გადასდონ.“

ბუნებრივია ისმის კითხვა რა საქმეს უნდა მოხმარდეს ეს თანხა. უპირველესად ეჭვს არ იწვევს ის, რომ ,,ეს თანხა მოხმარდება ჩვენსავე სწავლა-განათლებას, მრეწველობას, მეურნეობას და სხვა ამგვარს საზოგადო საჭიროებას, რაიც კი ჩვენ საქმეებს გააუმჯობესებს და წინ წასწევს.

ამჟამათ საქმე თვით თავად-აზნაურთა თანხმობაზეა დამოკიდებული, - ისურვებს თუ არა, რომ შეძლოს ამ წილის თვისი ხვედრი ფულიდან ნადელებში ჩადენა.“ წერილის ავტორი ამ საქმეში დახმარებას სთხოვს ქართველ ქალებს, რათა ისინი ბურჯად ჩაუდგენ ერის ათასნაირ წყლულს. ამიტომ ავტორი მიმართავს ქალებს: ,,შენგან მოითხოვს შენი ქვეყანა მხოლოტ პატარა მსხვერპლს, მცირე ნაწილს შენი ხვედრი ფულისას, იმ ფულისას, რომელსაც შენი ოჯახი მიიღებს ერთხელ უკვე გამოყიდულ ნადელებში და რომელიც იქნება ისე გაქრეს ხელიდან, რომ შენი ოჯახის კეთილ-დღეობას ნიშანიც კი არ დასდვას, ორი მილიონი მანეთი ფული კი საზოგადო თანხათ გადაიდება.“

ავტორი მოუწოდებს ქალებს, რომ ბანკებში ჩადონ მისი კუთვნილი თანხა, რასაც ქვეყნის წინსვლა მოითხოვს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N46, 28 თებერვალი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,5 მარტს დაბა ხონში ქუთაისის დასის მსახიობების ა. ჩხეიძისა და ო. ღოღობერიძის ასულთა და ბ.ნ. გვარაძის კ. მაჭარაშვილის და შ. ხონელის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენები ,,იუდას ამბორის“ და ,,სხვის ლოგინში“.“

დასის მსახიობები ამავე პიესას წარმოადგენენ მალე სამტრედიასა და ლანჩხუთშიც.

გაზეთი ,,იმერეთი“ N47, 1 მარტი, 1913

,,ქუთაისი, 1 მარტი“

7 მარტს ქუთაისის ქალთა საზოგადოების სასარგებლოთ კინო-თეატრ ,,რადიუმში“ გაიმართება სეანსები. ქუთაისის საზოგადოებას მოუწოდებენ ამ საქველმოქმედო საქმეს თანაგრძნობა გამოუცხადონ და ხელიც შეუწყონ.

ვინაიდან: ,,ქალთა საზოგადოება ჩვენში ახალი საქმეა და, თუ მას საზოგადოების ყურადღება არ მოაკლდა, უთუოდ იხეირებს და კარგ ნაყოფსაც გამოიღებს.

ამ საზოგადოებამ მეათედიც რო გააკეთოს იმისა, რაც მას წესდებაში საზრუნავ საგნათ დაუსახავს, ესეც დიდ საქმეთ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ფუყე ცხოვრებაში.

ჯერ-ჯერობით საზოგადოების გამგეობა ძლიერ სიფრთხილეს იჩენს: იწვევს ლეკტორებს და მათი საშვალებით ეცნობიან სამშობლო ქვეყნის ისტორია-ლიტერატურას, ბავშთა კვება-აღზრდის თეორიებს და სხვა.

ამასაც არა სჯერდებიან: აღმოჩნდენ ისეთი მანდილოსნები, რომელთაც ჩინებული რეფერატები დასწერეს სხვათა შორის, ქალთა საკითხის შესახებ.“

განსაკუთრებით სასიამოვნო მოვლენაა ქალთა საკითხებზე ქალების მოხსენებები, ვინაიდან ქართველი მანდილოსანი ყოველთვის მამაკაცების იმედად რატომ უნდა იყვნენ. მათაც კარგად შეუძლიათ შემოქმედებითი მოღვაწეობა.

მართალია, ახლანდელი სასწავლებლები ქალებს ,,თვითმოქმედების უნარს არ აძლევს, პირიქით სასწავლებლის პროგრამებში ბევრი უვარგისი და ტვინის გამაწყალებელი სასწავლო მასალაა მოთავსებული.“

ასე რომ, სასწავლებლის ნაკლს ქალთა წრე შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომზეურებით მაინც ახდენს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N49, 3 მარტი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ქუთ. ქალთა წრემ სამი ქალი, აირჩია, რომელთაც ვლ. მესხიშვილს ადრესი უნდა მიართვან ქალთა წრის სახელით ქუთაისში იუბილეს გადახდის გამო.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N50, 8 მარტი, 1913

,,ეფროსინე კლდიაშვილისა“

თბილისში ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა ეფროსინე კლდიაშვილისა. ,,ქუთაისის საზოგადოება ტკბილათ მოიგონებს ამ კარგს ადამიანს, საბა კლდიაშვილის დედას, დაუვიწყარ ეფროს. ქუთაისში ეროვნული თეატრის, ქართული წარმოდგენების ჩასახვის საქმეში განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის. იგი ერთი პირველი პიონერთაგანი იყო ამ საქმისა, ცხოვრებამ მოხუცებაში მწარე სევდა არგუნა განსვენებულს: დაკარგა საყვარელი შვილი ლუარსაბი, მეორე ვაჟი, საიმედო ქართველი საბა კლდიაშვილი, დაკარგა ტკბილათ მომღერალი ქალი მარიამ ძნელაძისა, სიძე ქუთაისში კარგათ ცნობილი აქიმი მიხ. ძნელაძე.“

ამდენმა ჭირმა მოხუცებულობა გაუმწარა დამსახურებულ მანდილოსანს. გასვენების დღეს დაუკრავს ჭიანურზე ცნობილი დამკვრელები.

საუკუნო ხსენება ამდენ სიმწარეს გამოვლილ ქალბატონს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N54, 14 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ამ დღეებში ხოჯავანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში ქართული წერით გამოცდა უნდა ყოფილიყო, ერთ-ერთ მასწავლებელს ის აზრი გამოუთქვამს, რომ რა საჭიროა ამ საგნისთვის ბავშები მოვაცდინოთო! და გამოცდა აღარ მომხდარა.“

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენად მართალია ეს ცნობა.

გაზეთი ,,იმერეთი“ N56, 16 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, ვისაც წაღებული აქვთ საწევრო წიგნაკები, ანგარიშისათვის დააბრუნონ ხვალინდელ მორიგ კრებაზე შავი ქვის საბჭოში“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N56, 16 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,იაპონელების დასმა სამი პატარა პიესა წარმოადგინა სამშაბათს. სცენიდან გვესმოდა სხაპა-სხუპით საუბარი, ვხედავდით უცნაურ სისწრაფეს, თავისებურ, ჩვენთვის უცხო მიხვრა-მოხვრას. პატარა მსახიობი ქალი, ოოტა ოთხი-ხუთი ტკაველი თუ გამოვა სიმაღლით. იგი, ეტყობა, ხნიერიც უნდა იყოს. მუსიკა და თამაში საუცხოვო იყო, საზოგადოდ ყველასი, განსაკუთრებით კი პატარა ცქრიალა ოოტასი.“

ეს მსახიობი ქალი მერცხალივით ჟღურტულებდა, უკრავდა თავისებურ საკრავებზე და ცეკვავდა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით.

გაზეთი ,,იმერეთი“ N57, 17 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,23 მაისიდან ქუთ. ქარ. მსახიობთა ამხანაგობა გამართავს რამდენიმე წარმოდგენას“. ქუთაისის გარდა წარმოდგენები გაიმართება სამეგრელოში, აფხაზეთსა და გურიაში. დამთავრდება იგი ჭიათურაში.

,,ჯერ-ჯერობით დასში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ქ. ქ. ნ. ჩხეიძის, მ. მდივანის, ან. ჩირგაძის და ო. ღოღობერიძის ასულმა“.

ქალ მსახიობთა გარდა წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მამაკაცი მსახიობებიც. რეპერტუარში წარმოდგენილი იქნება: ,,მედეა“,,,ციცინათელა“. ორივე პიესის თაობაზე რეფერატების კითხვაც მოეწყობა.

გაზეთი ,,იმერეთი“ N58, 18 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ქალთა გიმნაზიების მმართველ ქალებს უფლება ეძლევათ შვილები უსასყიდლოთ აღზარდონ გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში და პროგიმნაზიებში, თუნდა ისინი ამ სასწავლებლებში არც ასწავლიდენ.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N64, 26 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,სახალხო განათლების კომისიამ უკვე გაათავა ქალთა და მამაკაცთა სამოსწავლებლო სემინარიათა კანონ-პროეკტის განხილვა. სემინარიებში იქნება ორი პირველ დამწყებითი განყოფილება და სამი სპეციალური კლასი. პირველკლასში მიიღებიან სასოფლო ორ კლასიან სასწავლებელში კურს დასრულებულნი და სპეციალურში - უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კურს დამთავრებულნი.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N67, 30 მაისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ხონის ბაღში, იქაურ ქალთა წრის სასარგებლოთ, 26 მაისს სეირნობა გაუმართავთ ლატარეია - ალეგრით. სეირნობას ხალხი ბლომად დასწრებიათ“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N77, 12 ივნისი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა (მთავრობის) გიმნაზიის მერვე პედაგოგიური კლასი წელს დაასრულეს: ლიუბოვ ანდრეევის, ნადეჟდა ვონდარევის, ელენე გრიცაის, ელენე ლბინინის, ელისაბედ ერქომაიშვილის, ალისა ქიქოძის, ვერა კოლოტუხინის, მარიამ ლოლაძის, ქეთევან მარგველაშვილის, ელისაბედ მეცხრიკაძის, ირენა რელიგიონის, ელისაბედ საბურდოს, ნინო ცაგარლის და ლიდა ცაგარლის ქალებმა. ყველამ საუკეთესო მოწმობა მიიღო.

გაზეთი ,,იმერეთი“ N78, 13 ივნისი, 1913

,,სუფრაჟისტ - ქალის თავგანწირულობა“

,,ლონდონში დოღის დროს შუა მინდორზე გაქანებულა სუფრაჟისტი ქალი ემილია ვილდინგ დავისონი და დოღში მონაწილე მეფის ცხენი გაუჩერებია. ქალების უფლებით გათანასწორების შეუდრეკელი მებრძოლი გრძნობადაკარგული წაუყვანიათ საავადმყოფოში. ბევრ ადგილას დაჭრილა ცხენის ფეხის რტყმევით. დაჭრილ ადგილებში ცხენის ჩლიქებიდან ჩარჩენილ ტალახს ანთება გამოუწვევია. ჟოკეის (მხედარი) ხელი მოუტეხია და რამდენიმე ნეკნის ძვლები დაშავებია.“

მისი ემელია დავისონი საავადმყოფოში გარდაიცვალა. იგი 30 წლის მოკვდა. დავისონი სწავლობდა ლონდონის უნივერსიტეტში ფილოსოფიასა და აქიმობას.

მას კარგად იცნობდა ინგლისის მოსამართლე და პოლიციელები, რადგან 7 წლის განმავლობაში ქალთა საარჩევო უფლებისათვის მებრძოლ კავშირის წევრად ითვლებოდა და მისი ქმედების გამო ბევრჯერ აღმოჩენილა დამნაშავის სკამზე.

პირველად 1909 წლის მარტში წესრიგის დარღვევისათვის მას ერთი თვის ციხე მიუსაჯეს. იმავე წლის მკათათვეში კიდევ ორი თვით ჩაუსვამთ ციხეში საზოგადოებრივ ადგილებში აურზაურის გამო. ასევე იმავე წლის ენკენისთვეში მაღაზიის ფანჯრების ჩალეწვისათვის ორი თვის ციხე მიუსჯიათ. მან ესეც არ იკმარა და 1910 წლის გიორგობის თვეში თემთა პალატის ფანჯრების ქვებით ჩალეწვისათვის ერთი თვით ციხეში ჩაუსვამთ, ხოლო 1912 წლის იანვარში ცეცხლის წაკიდებისათვის 6 თვით ამწყვრევენ.

,,ყოველთვის, როგორც კი ციხეში მოხვდებოდა, მაშინვე შიმშილს გამოაცხადებდა. ერთხელ სრულს ორ კვირას პირში არა ჩაუკარებია - რა. ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ხოლმე პოლიციას დატუსაღების დროს. მანჩესტერში, სადაც დიდ ხანს ცხოვრობდა, თვითოეული პოლიციელი იცნობდა ქ. დავისონს. მანჩესტერის კონსტებლს, რომელიც ცდილობდა დაეტუსაღებია, ერთხელ ისე უკბინა ხელზე, რომ უვარგისათ იცნეს და იძულებული გახდა გამოსულიყო სამსახურიდან.“

მრავალი წინააღმდეგობა მოიგერია დავისონმა. ერთხელ, როდესაც სასამართლოზე მოწმეთ დაიბარეს მსაჯულებისა და ხალხის წინაშე ტანსაცმლის გახდაც დაიწყო. მისი ქმედების მსხვერპლი ჟოკეი იხსენებს რა იპოდრომზე მომხდარ ინციდენტზე აცხადებდა: ,,როდესაც შევამჩნიე ჩემკენ გამოქცეული ქალი, ვიფიქრე შეშლილი თუ არის მეთქი. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ფეხში მტაცა ხელი, ცხენი წაბორძიკდა და მე ძირს ,,გადმოვარდნილმა გრძნობა დავკარგე."

სუფრაჟისტ-ქალების ახალმა გამოსვლამ ძლიერ გააბრაზა მამაკაცები. ბევრი აცხადებს პროტესტს იმის გამო, რომ ძლიერ კარგათ იცნობს პოლიცია ისეთებს, როგორიც განსვენებული ქ. დავისონი იყო და მაინც საჭირო ზომებს არ ღებულობენ და არ უზრუნველყოფენ მშვიდობიან საზოგადოებას ქ. დავისონისთანა თავზე ხელაღებულებისაგან."

გაზეთი ,,იმერეთი" N80, 15 ივნისი, 1913

,,ახალი ამბავი"

,,ხონში საზაფხულო თეატრალური სეზონი 16 ივნისიდან იწყება. მოწვეული არიან სხვათა შორის, ნინო ჩხეიძის და ო. ღოღობერიძის ასულნი და მ. ქორელი, ნ. გვარაძე. მსახიობთა განძრახვაა, სპექტაკლში სათამაშოდ მოიწვიონ ასევე ცნობილი მსახიობები ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია. რეპერტუარი რჩეული პიესებიდან შეირჩევა."

გაზეთი ,,იმერეთი" N80, 15 ივნისი, 1913

,,ახალი ამბავი"

,,წელს ქ. მარიამ ყაუხჩაშვილის ქალთა კერძო გიმნაზიის 7 კლასის მოწაფეებმა სწავლის დასამთავრებელი ეგზამენები ჩააბარეს წმ. ნინოს სასწავლებელში. 24 მოწაფეთაგან მოწმობა მიიღეს ოცდა ერთმა ქალმა".

მოსწავლეთა ქალთა ჩამონათვალიდან ირკვევა რომ ყაუხჩიშვილის გიმნაზია დაუმთავრებია, როგორც ქართველებს ასევე სომეხ და რუსი ეროვნების მოსწავლეებს.

გაზეთი ,,იმერეთი" N81, 16 ივნისი, 1913

,,ახალი ამბავი"

,,ხონის სამოქალაქო სასწავლებლის გამგე ს. მამალაძე მადლობას უცხადებს ხონის ქალთა წრეს, რომელსაც ხსენებული სასწავლებლის ერთი ღარიბი და ღირსეული შეგირდისთვის ორი თუმნით დახმარება აღმოუჩენია".

გაზეთი ,,იმერეთი“ N81, 16 ივნისი, 1913
ავტორი: სიმონ ქვარიანი

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების ანგარიშის გამო“

ქუთაისის ქალთა საზოგადოების ანგარიშმა ბევრი რამ საგულისხმო გვაცნობა: ,,ერთი რომ საზოგადოების წევრთა რიცხვი შესამჩნევათ გაზრდილა და 70 ქალიდან ამ 9 თვეში ასულა 347 ქალამდი. მეორე - გამგეობას გამოუჩენია დიდი უნარი ფულების შეკრებაში და დღეს საზოგადოების თანხას შეადგენს 1687 მანეთი. მესამე - ამ ცხრა თვის განმავლობაში ქალთა კრებებზე წაკითხულა მრავალი ლექცია, როგორც ისტორიიდან, ისე ქალთა საკითხისა და ბავშების აღზდის შესახებ. მეოთხე - განუძრახავთ მომავალ შემოდგომიდან გახსნან ქუთაისში ქალთა პროფესიონალური შკოლა, ჯერ-ჯერობით ჭრა-კერვის შესასწავლათ“.

ამ წარმატებაში დიდია გამგეობის უნარი, მაგრამ ამავე დროს ორი ფაქტი იქცევს ყურადღებას: 1. გამგეობა მთელი საზოგადოების სახელით მადლობას წირავს სიმონ ქვარიანს (ამ სტრიქონების დამწერს) საქართველოს ისტორიიდან ლექციების წაკითხვისათვის.

,,იმავე დროს კი ავიწყდება სხვა ლექტორები ქ. ნი ჩ. შარაძის ქალი, ე. ბახტაძის ქალი, გ. ლორთქიფანიძის ქალი, რ. ჩიხაძის ქალი, რ. სიდავას ქალი და ბბ. გ. ბადრიძე, ვ.წერეთელი ალ.გარსევანიშვილი და გრ. რობაქიძე, რომელთაც თავის მშვენიერი ლექციებით ხელი შეუწყვეს ქალთა საზოგადოების გონებრივ ზრდას. ვგონებ სამართლიანობა მოითხოვდა გამოეცხადებიათ მადლობა ამ პატივცემულ პირთათვისაც. ასეთი ყურადღება საზოგადოების მხრით გაამხნევებდა როგორც ამათ, ისე სხვა ლეკტორებსაც.“

გამგეობა იმედია მომავლში არ ჩაიდენს ასეთ შეცდომას, – აღნიშნავს წერილის ავტორი.

მასვე გამგეობის მეორე შეცდომათ მიაჩნიათ საზოგადოების საპატიო წევრად გიორგი ზდანოვიჩის არჩევა. მაშინ როცა ქალთა საზოგადოების წესდების მეოთხე მუხლის თანახმად, საპატიო წევრად ირჩევა ის პირი, ვინც საყურადღებო სამსახურით გამოიჩინა თავი.

საინტერესოა დაფნის გვირგვინი რისი პატივის ნიშნად მიაგეს ბატონ ზდანოვიჩს ქალთა საზოგადოებამ. ამას ვერც ადრესატი ახსნის, ხოლო ქალთა საზოგადოებას კი ზდანოვიჩის საპატიო წევრად არჩევისათვის მოჰყავთ შემდეგი: ,,მან ქალთა საზოგადოებას უფასოდ დაუთმო კრებისთვის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზი. და ეს ყოფილა თურმე საყურადღებო სამსახური“.

თუკი სხვისი ბინის დათმობის გამო შესაძლებელია საპატიო წევრად აირჩიონ ადამიანი, მაშინ რატომ ქალაქის მოურავს ილია ჩიქოვანს არ მიაგეს ეს პატივი?!

როცა ორივე პირმა სრულიად ერთგვარი სამსახური გაუწიეს ქალთა საზოგადოებას. ბოლოს წერილის ავტორი სიმონ ქვარიანი თავის ინფორმაციას ასეთი კითხვით აბოლავებს. სასურველია ვიცოდეთ, თუ რით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში ქალთა საზოგადოების პატივცემული გამგეობა.

გაზეთი ,,იმერეთი“ N87, 23 ივნისი, 1913
ავტორი: ქუთ. ქალთა საზოგადოების გამგეობა

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება“

,,1913 წელს 12 ივნისს ქუთაისის ქალთა საზოგადოების წლიურ კრებაზე შემდეგი პირნი აირჩიეს. თავმჯდომარეთ - კნ ელენე წულუკიძისა, თავმჯდომარის ამხანაგათ - ოლგა ქორქაშვილის ასული, ხაზინადრათ - ანასტასია ყიფიანისა.

მდივნებათ: ,,ნატალია ქორქაშვილის ასული და რიტა სიდავას ასული.

წევრებათ: ელენე ჩიქოვანისა, ნინო ბადრიძისა, ელისაბედ ბარათაშვილისა, მარიამ ვარდოსანიძის ასული, ნინო ფანცხავასი, მარგალიტა ჭილაძისა, ქეთო წერეთლისა, სოფიო მაჭავარიანისა, თეოდოსია თავდგირიძის ასული, მარიამ ბუტულაშვილის ასული.“

აქვე დასახელებული იყვნენ სარევიზიო კომისიის წევრები და ქალთა საზოგადოების გამგეობის კანდიდატები.

ქუთაისის ქალთა საზოგადოებას მთელი წლის განმავლობაში რეფერატი წაუკითხა შემდეგმა პირებმა: ბატონებმა ანტონ ფურცელაძემ, გიორგი ბადრიძემ, გრიგოლ რობაქიძემ, კიტა აბაშიძემ, ვასილ წერეთელმა და ალექსანდრე გარსევანიშვილმა.

,,ამავე დროს რამდენიმე ქალმაც წაიკითხა რეფერატი. დიდ მადლობას სწირავს გამგეობა ბ. ივანე პურადაშვილს, რომელმაც სარევიზიო კომისიასთან ერთად რევიზია გაუკეთა მთელ გამგეობის მოქმედებას და შემოსავალ-გასავალის დავთრებს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N87, 23 ივნისი, 1913

,,ქალთა მოძრაობა“
რუსეთი.

,,შვამდგომლობა. ტიხონოვის მეუღლემ შვამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე, რათა ნება დართონ, რომ ეკატირინოსლავში ქალთა უმაღლესი კურსები გაიხსნას.

,,კურსები მიმდინარე წლის სეკტემბერში უნდა გაიხსნას და პირველ ხანათ გაიხსნება სააქიმო, ფიზიკო - მატემატიკური და უცხო ენათა ფაკულტეტი. შემდეგ წელს კი იურიდიულ და ისტორია - ფილოლოგიურ ფაკულტეტსაც გახსნიან“.

კურსებზე მიღების წესი ჩვეულებრივი იქნება.

შეწირულობა. ,,ა. შახოვმა ქალთა დამხმარე საზოგადოებას ვალების გასას– ტუმრებლათ ათი ათასი მანეთი შესწირა. მანვე შესწირა ქალთა უმაღლეს კურსებს 5 ათასი მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულით ბიოლოგიური მუზეუმისათვის საჭირო ნივთები შეიძინონ.“

დაპატიმრება. ,,პოლონელთა შორის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ტულავეცკის ასული პოლონელ ქალებთან საუბრის გამართვისთვის 12 დღით დააპატიმრეს.“

წვრილი კრედიტის საზოგადოება. ,,ადესაში საზოგადო მოღვაწე ქალთა ერთი ჯგუფი წვრილი კრედიტის საზოგადოების დაარსების განზრახვით საჭირო წესდებას ამუშავებს. საზოგადოების გამგეობაში მხოლოდ ქალები იქნებიან და ფულს სესხათ მხოლოდ ქალებს მისცემენ“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N87, 23 ივნისი, 1913

უცხოეთი
,,სუფრაჟისტი ქალი გადასახადების მომკრები“

,,შეერთებული შტატების მთავრობამ გადასახადების მომკრებათ სუფრაჟისტი ქალი დანიშნა და ჯამაგირათ 15 ათას ფრანკს აძლევს წელიწადში. ფინანსის მინისტრის აზრით ფულის საქმეში დედაკაცები უფრო სანდო არიან ვიდრე მამაკაცნიო.“

გაფიცვა. ამერიკაში მოსალოდნელია მოსამსახურე ქალთა დიდი გაფიცვა. მათ მოთხოვნილებები უკვე შეიმუშავეს. ,,თუ მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს ამერიკის ყოველ კუთხეში მოსამსახურე ქალთა გაფიცვი გამოცხადდება. თხოულობენ სხვათა შორის 10 საათის სამუშაო დღის დაკანონებას და კვირაში ერთი დღის თავისუფლებას.“

მზარეულ ქალთა გაფიცვა. ,,ჩიკაგოში ყველა მზარეული ქალი გაიფიცა. გაფიცული ქალები თხოულობენ - ჩვენს მოვალეობას არ შეადგენდეს ძაღლების ბანა და ბატონის ტანზე ღილ-დუგმების შებნევაო.“

თანაამედროვე მოდის ტანისამოსს 200-300 ღილი და დოგმა აქვს და ქალებს მათი შებნევით თითებზე კანი ჰქონდათ გადაძრობილი.

სუფრაჟისტი ქალები ინგლისში. ,,ლონდონში ხალხის ბრბომ ჰაიდ პარკიდან სუფრაჟისტი ქალები ქვის სროლით გამორეკა. ხალხმა სუფრაჟისტი ქალები ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილშიც არ გაატარა.“ ცხენოსანმა პოლიციელებმა სუფრაჟისტები ძლივს დაიხსნეს ხალხის შემოტევისაგან.

საფრანგეთი. ,,საფრანგეთში პარიზის მუნიციპალურმა საბჭომ ერთხმად შეიწყნარა სურვილი, რომ ქალებს მუნიციპალურ არჩევანში საარჩევნო ხმა მიეცესთ“.

ნორვეგია. ,,მიიღეს პროეკტი, რომლის ძალითაც არჩევნებში იმდენი ხმა ეძლევა ქალებს, რამდენიც მამაკაცებს აქვთ.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N103, 14 ივლისი, 1913

,,ქალთა ინტერნაციონალურის კონგრესი პარიზში“
(ლუდმილა სტალის წერილის)

,,ივნისის პირველ რიცხვებში ათასამდი წარმომადგენელი დაესწრო ქალთა ინტერნაციონალურ კონგრესს პარიზში. თუმცა ბურჟუაზიულ წრის ქალთა კონგრესი იყო, მაგრამ მაინც ინტერეს მოკლებული არ არის შეგნებული მუშებისათვის. თუ თვალს გადავავლებთ ევროპის დიდ სახელმწიფოთა სტატისტიკურ ცნობებს, დავინახავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ქალები სჭარბობენ მამაკაცების რიცხვს.

... თანამეროვე ქალი ხშირ შემთხვევაში იძულებული ხდება მოსცილდეს ოჯახს, კერას, რომ თავიდან აიცილოს შიმშილი და ოჯახიც გამოკვებოს. მშრომელ ქალთა რიცხვი ძლიერ დიდია.

...საერთოდ 50 მილიონამდი ქალია რომელიც თავის შრომას ყიდის და მაშასადამე, შეუძლიათ პროფესიონალურათ შეკავშირება ყოველდღიურ პროლეტარულ კლასობრივ თვალსაზრისზე.“

კონგრესს არ შეეძლო გვერდი აეხვია ისეთი ფაქტებისათვის როგორებიც არის: შრომის საკითხი და მასთან დაკავშირებული ჰიგიენისა და საზოგადოებრივი

აღზრდის პრობლემები. კონგრეს რომელსაც ბურჟუაზიულ ელემენტთა უმრავლესობა ესწრებოდნენ მომხსენებლებმა პირველ რიგში მაინც მოახერხეს წამოეყენებიათ ზემოთ აღნიშნული საკითხები.

,,მწერალი ქალი ქ. კამპენისა მუშა- ქალის შრომის პირობებს შეეხო თავის მოხსენებაში და შემდეგი რეზოლუცია წამოაყენა: 1) სამუშაო დღის შემცირება რვა საათამდი მშრომელ ქალთათვის; 2) ღამით მუშაობის აკრძალვა; 3) ქალის შრომის აკრძალვა მრეწველობის ესეთ დარგში, რომელიც ცუდ გავლენას ახდენს მის ჯანმთელობაზე, როგორც დედაზე და მის შთამომავლობაზე.

დამსწრეთ მიუთითა, რომ საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და დანიაში 10 საათის დღეა დაწესებული; შვეიცარიასა და ავსტრიაში 11-ს და 12-ის იტალიაში. მხოლოდ ავსტრიაში, შემოღებული 8 და 9 საათის სამუშაო დღე. ევროპის ბევრ სა–ხელმწიფოში აკრძალულია ღამით მუშაობა. რუმინიაში, ფინლიანდიასა და ამერიკაში შრომის სრული თავისუფლებაა. დანიაში თვით ქალებმა უარყვეს იმ კანონით სარგებლობა, რომელიც ღამით მუშაობას აკრძალავდა ფრანგ სოციალისტ-ქალებმა ,,წესი აუგეს“ ქალბატონ კემპენის წინადადების, რომლითაც 8 საათის სამუშაო დღეს და კვირეულ დასვენებას მოითხოვდა ქალებისთვის. ,,თუ პრივილეგიური მდგომარეობა გვექნა, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვეღირსებით მამაკაცთან ხელფასით გათანასწორებას“. შემცთარი აზრია და საერთაშორისო სოციალისტურ და პროფესიონალურ კონგერესების დადგენილებაც ეწინააღმდეგება“.

ამ საკითხთან დაკავშირებით მუშათა მოძრაობის პრაქტიკა გვიჩვენებდა, რომ წარმოების რომელიმე დარგში სამუშაო დღის შემოკლება იწვევდა, არამარტო ქალებისათვის სამუშაო დღის შემცირებას, არამედ მთელი მუშათა კლასისათვის სამუშაო დღის შემცირებასაც. ამასთან დაკავშირებით დიურანის წინადადებით კონგრესზე შემდეგი შესწორება შეიტანეს: ,,სასურველია ქალთათვის არსებული ყოველგვარი განსაკუთრებული კანონების გაუქმება და საერთოდ შრომის დაცვის კანონების შემოღება მუშათა კლასისთვის განურჩევლათ სქესისა“.

მშობიარობის წინ და შემდეგ დასვენების სავალდებულო კანონი არსებობდა მხოლოდ შვეიცარიაში, გერმანიაში, იტალიასა და დანიაში.

,,გერმანიაში მშობიარეთ ეხმარებიან დამზღვევი კასები. საფრანგეთში ახლახან შემოიღეს ასეთი კანონი, მაგრამ მხოლოდ იმ ქალებს შეეხება, რომელნიც სამრეწველოებში მუშაობენ და სავაჭროებში მსახურებენ, სახელოსნოებში და ოჯახათ მომუშავენი კი, ე.ი. სრულიად უმწეო ნაწილი უყურადღებოთ დატოვა ამ კანონმა და გვერდი აუხვია. მხოლოდ ავსტრალიაში არსებობს ყველა ქალისთვის ამგვარი კანონი და მასთან დიდ პრემიასაც იღებენ დედობისთვის. ამგვარათ ავსტრალიაში ქალი იძულებული არ არის ორსულობის უკანასკნელ წუთამდი ოფლი ღვაროს. დედობის დაზღვევა რუსეთში 1912 წლის 23 ივლისს დაკანონდა. კასაში დაზღვეული მუშა ქალი დახმარებას იღებს მშობიარობის დროს, თუ იგი ,,გაწესებულ დროს“ არ მუშაობს.“

დასასრულ კონგრესის მონაწილენი შეეხნენ ასევე ნოქარ ქალთა პროფესიონალურ საქმიანობას და კრიტიკულად წარმოადგინეს მათი მდგომარეობა.

კონგრესის მონაწილენი ასევე შეეხნენ ბავშვთა შრომის საკითხებს: ,,მოზრდილებთან ერთად ბავშთა შრომა, კანონის უქონლობა რომ სრულიად უკრძალავდეს ბავშს ღამით მუშაობას. რეზოლიციას იღებენ, რომლითაც საზოგადოთ მოითხოვენ ბავშის შრომის აკრძალვას 14 წლამდი (არსებობს ასეთი კანონი საფრანგეთში 12-13 წლამდი, გერმანიაში და ინგლისში 18 წლ.) და ღამით მუშაობის გაუქმებას ვაჭრობასა და მრეწველობაში 18 წლამდი.“

კონგრესმა მოითხოვა ღამით მუშაობის გაუქმება იმ ბავშვებისათვის, რომლებიც მუშაობენ შუშის, შაქრის, ქაღალდის ქარხნებისა და წარმოების სხვა მავნებელ დარგში.

გაზეთი ,,იმერეთი“ N106, 21 ივლისი, 1913
ავტორი: გუცა

,,ქალო!“

გაზეთ ,,იმერეთის“ ფურცლებზე პოეზიის ნიმუშებსაც ვხვდებით. ვინმე გუცას 7 ივლისს საჩხერეში დაუწერია ეს ლექსი, სადაც გამიჯნურებული მამაკაცის სიყვარულია გაჟღერებული:

,,აბა, გულს რა სურს ვით ჩამოვთვალო,
ხომ გაივსება მთელი რვეული?
შენი თვალები მაწამებს, ქალო!
მაგიჟებს ტანი ლერწმით რხეული.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N110, 27 ივლისი, 1913

,,უცხოეთი“

სუფრაჟისტ - ქალები. ,,14 ივლისს ლონდონში მებრძოლმა სუფრაჟისტ - ქალებმა დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციაში 15 ათასი ქალი ღებულობდა მონაწილეობას. დემონსტრატები ერთი ქალის წინადადებით მთავარი მინისტრის ასკვიტის ბინისკენ გაემართენ. გზაში პოლიციელებსა და დემონსტრატებს შეტაკება მოუხდათ. სუფრაჟისტ - ქალები ბრძოლის დროს იარაღათ ქოლგებსა და ჯოხებს ხმარობდენ.“

ამ დღეს ბევრი დემონსტრაციის მონაწილე სუფრაჟისტი ქალები დააპატიმრეს.

ქალთა რევოლუცია. ,,ლონდონში სუფრაჟისტ ქალებმა გაიგეს თუ არა, რომ მათი ხელმძღვანელი სილვია პანკრნერსტი დაუპატიმებიათ, შეიკრიბენ ტრაფასალის მოედანზე და გასათავისუფლებლათ საპატიმროსკენ გასწიეს. პოლიციის სამმართველოს წინ სუფრაჟისტები ჟანდარმებმა გააჩერეს და 25 მათგანი დააპატიმრეს კიდეც“.

ამის გამო სუფრაჟისტების სურვილი იყო პოლიციელებს შეტაკებოდნენ.

საკანონმდებლო მუშაობა და ქალები. ,,კალიფორნიაში ქალებმა საკანონმდებლო უფლება მიიღეს და ამ ასპარეზზე მუშაობაში დიდი ენერგიაც გამოიჩინეს. კონსერვატორებმა მანიფესტი გამოსცეს და აცხადებენ ქალები გაგიჟდენ და პარლამენტის საქმეში ანარქია შეიტანესო.“

პარლამენტის ერთ სესიაში 4 000 კანონპროექტი განუხილავთ და მათგან ერთი 1 103 მიუღიათ.

გაზეთი ,,იმერეთი“ N117, 4 აგვისტო, 1913

უცხოეთი
,,სუფრაჟისტები“

,,სიტყვის თავისუფლების დამცველმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში მუშათა დეპუტატები და რადიკალებიც შედიან, დემონსტრაცია გამართა. დემონსტრაციის მიზანი იყო პროტესტი გამოეცხადებიათ მთავრობისათვის, სუფრაჟისტთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვის გამო ლენდ სბერნის სამი თვით დაპატიმრებისათვის. დაპატიმრებულმა ლენდ სბერმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადა და სამი დღე არაფერი სჭამა. ლენდ სბერნი დროებით გაანთავისუფლეს და ახლა ისევ უნდა ჩასვან ციხეში. კომიტეტის მიერ მოწყობილ დემონსტრაციას 40 ათასი კაცი დაესწრო. დემონსტრაციაში მონაწილეობას უმთავრესათ სუფრაჟისტი ქალები და მუშები ღებულობდენ.“

მთელი რიგი ორატორები ამტკიცებდენ, რომ ლენდ სბერნის დაპატიმრება სიტყვის თავისუფლების დარღვევის მოტივით განხორციელდა. ამას ამტკიცებდა ასევე პატიმარიც, რომელმაც ხალხს სიტყვით მიმართა და დემონსტრანტები კი მას დიდი ოვაციით მიეგება.

დემონსტრაციის შემდეგ ხალხი მინისტრ ასკვიტის სასახლისაკენ გაემართა, რომელთაც წინააღმდეგობა 4 ათასმა პოლიციელმა გაუწია. მათ შორის მოხდა ხელჩართული ჩხუბიც, რომელმაც სამ საათს გასტანა.

,,ლენდ სბერნის ამომრჩეველმა მუშათა ოლქმა გაფიცვა გამოაცხადა და პოლიციელებს, რომ არ დაეპატიმრებიათ თავის დეპუტატის ბინას დარაჯობენ.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N121, 11 აგვისტო, 1913
ავტორი: ისარი

,,მუშათა, ქალთა და ეროვნული საკითხი“

იმპერიალისტურ სახელმწიფოში, სადაც არიან დამპყრობელი და დაპყრობილი ერები, შეუძლებელია დემოკრატიული პრინციპის სავსებით გამარჯვება. იმპერიალისტურ ქვეყანაში თითოეული მოქალაქე, კაპიტალისტი თუ მუშა, მილიტარიზმით არის გაჟღენთილი.

აღიარებულია, რომ პროგრესს ქმნის მხოლოდ ხალხთა აღიარებული კავშირი. მოქალაქის პიროვნება ხელშეუხებელია იქ, სადაც არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და სამართალი. ამ მხრით ინგლისმა მაგალითი უჩვენა ახალ ქვეყნებს. ,,თუ ინგლისში სუფევს პიროვნების ხელშეუხებლობა, კრების თავისუფლება, დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა, ეს იმის შედეგია, რომ იქ არ განვითარდა ძლიერი მილიტარიზმი გეოგრაფიულისა და ისტორიული პირობების გამო: დღემდე არ არის საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

ამიტომ ინგლისში, როგორ მის ახალშენებში, ნაკლები დაბრკოლება ეღობება წინ მუშათა ეკონომიურ ბრძოლას. ინგლისში, მის ახალშენებში და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობანი

უშენებენ მუშებს იაფსა, სუფთასა და ჰიგიენურ სახლებს, უადვილებენ მათ მიწის შეძენას პატარ-პატარა ნაჭრებათ, უიაფებენ აქიმობას, სწავლასა და სხვ. ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა დიდი ნაწილი იძენს ნამდვილ მეცნიერულ განათლებას სახალხო უნივერსიტეტებში, რომლებშიც საუკეთესო პროფესორები ასწავლიან.

განათლებული მუშა კი ქმნის ქონებრივ სიმდიდრეს: მრეწველობასა და მეურნეობაში. ავტორი ღრმად მიმოიხილავს იმ დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას ჩრდილო ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში, რომლებმაც გააუმჯობესეს ერის მდგომარეობა პოლიტიკურად და კულტურულადაც.

აქვე ავტორი ეხება ამ ქვეყნის ქალთა პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს და ასკვნის: ,,ვერც ქალთა საკითხი გადასწყდება, ვიდრე არ გადასწყდება ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი.

ამგვარათ, მუშათა და ქალთა საკითხი - ნაწილია დიდი ეროვნული საკითხისა და ემორჩილება ამ უკანასკნელს.

არ ვიტყვი, რომ შეუძლებელი იყოს პროგრესი ცენტრალისტურ სახელმწიფოში. მაგრამ კუს ნაბიჯით მიფოფხავს სწავლა-განათლება, მრეწველობა და მეურნეობა, და საშინელი იურიდიულ ადმინისტრაციული მუხრუჭი უხუთავს ხალხს სულს.

და მხოლოდ მაშინ დაადგება ცხოვრება ნორმალური განვითარების გზას, როდესაც ხალხს აეხსნება ეს შემავიწროებელი ბორკილი, ე.ი როდესაც თითოეული ერი მოიპოვებს ავტონომიას.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N124, 15 აგვისტო, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ქალთა უმაღლეს კურსებს თფილისში 1909-10 წწ.-ს ყოლია 212 მსმენელი, 1910-11 წწ.-ს 257, 1911-1912 წწ.-ს 313.

ამ უკანასკნელ წელს კურსებზე დახარჯულა 51, 116 მან, მიუხედავათ თანაგრძნობისა და შეწირულობის, კურსები მაინც გაჭივრებულ მდგომარეობაშიაო.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N129, 22 აგვისტო, 1913

უცხოეთი
,,სუფრაჟისტი ქალები“

,,ლონდონის მახლობლათ სუფრაჟისტი ქალები ასკვიტს თავს დაესხენ და სცემეს. ისინი დააპატიმრეს. ამათ ხალხმა ყიჟინა დასცხო. ყვიროდენ - ზღვაში გადაყარეთო“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N139, 8 სეკტემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,მარიამ ყაუხჩიშვილის ასულის ქალთა სასწავლებელმა გუშინ ოლქის მზრუნველისაგან დეპეშით ცნობა მიიღო, რომ მის სასწავლებელს გიმნაზიის უფლება მიენიჭა.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N143, 13 სეკტემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,მაცეკვარმა ქალთა კოლონამ თეატრში საზოგადოებას ბლომათ მოუყარა თავი, მაგრამ მეტი ნაწილი ამ საზოგადოებისა ვერ დააკმაყოფილა. ამბობენ კოლონა აისიდორა დუნკანს შემდეგ პირველ მაცეკვრათ ითვლებაო. დუნკანი არ უნახავს ჩვენ საზოგადოებას, ხოლო კოლონას ცეკვამ, - იქნება, ვერ მიუხვდით, ვერ მივწვდით - შთაბეჭდილება ვერ მოახდინა“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N165, 13 ოკტომბერი, 1913
ავტორი: გ. ა-ნი

,,ქალთა საზოგადოება“

პარასკევ საღამოს გაიმართა ქალთა საზოგადოების მორიგი კრება, სადაც თავმჯდომარის თანაშემწემ საზოგადოებას გააცნო გამგეობის დადგენილება: ,,გამგეობა გაყოფილია სამ კომისიათ: საშკოლო - მარგალიტა ჭილაძისა, მარიამ ბუტულოვისა და ოლღა ქორქაშვილის ქალი; საპარასკეო კრების მომწყობი - როზალია სიდავას, ელისაბედ ჩარკვიანისა და ელენე ბახტაძის ქალები და საფინანსო - ნინო ბადრიძისა, ელისაბედ ბარათაშვილისა, სოფიო მაჭავარიანისა და ნინო ფანცხავასი.

შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა საზოგადოების მომავალი შკოლის შესახებ, რომელიც უნდა გაიხსნას 1914 წლის იანვრიდან“.

სკოლის გახსნასთან დაკავშირებით სამწუხაროთ, მომხსენებელმა ვერ შეძლო საზოგადოებისათვის განემარტა, თუ რა სახის იქნებოდა მომავალი სკოლა: ,,ზოგის აზრით - სახელოსნო შკოლა უნდა გაიხსნას, სადაც პირველათ ჭრა-კერვას ასწავლიან და პირობების გაუმჯობესების მიხედვით სხვა დარგის მუშაობასაც შემოიღებენ; ზოგი კი სამეურნეო შკოლის სურვილს გამოსთქვამდა“.

გამგეობამ გადაწყვიტა შეექმნათ რამდენიმე პირისაგან კომისია, რომლებიც შეისწავლიან თბილისსა და გორში იქაურ ქალთა საზოგადოების მიერ დაარსებულ შკოლების ფუნქციებს და ამ პირობების გათვალისწინებით შეიმუშავებენ ქუთაისში სკოლის გახსნის საქმეს. ,,თვარა იმ 1600 მანეთით, რომელიც დღეს ქალთა საზოგადოებას ხელთ აქვს შორს ვერ წავლენ.“

ბოლოს კრებამ წაიკითხა და გაარჩია თავისი წესება.

გაზეთი ,,იმერეთი“ N168, 17 ოკტომბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,15 ოკტომბერს კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნველის თანაშემწემ ბ-მა ლაპატინსკიმ რევიზია მოახდინა ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებელში და ძლიერ კმაყოფილი დარჩა სასწავლებლის მასწავლებელ ქალთა მუყაითი შრომით და სასწავლებლის გამგეს სწავლის საქმის კარგათ დაყენებისათვის მადლობა გადაუხადა“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N168, 17 ოკტომბერი, 1913
ავტორი: ქალი

,,ქუთაისელ ქალებს“

პარასკევს ქალთა ჩვეულებრივ კრებაზე, რომელიც წინა პარასკევს არ შესდგა ქალთა მოუსვლელობის გამო, მეორე პარასკევს ვიმედოვნებდით ბევრი ქალი დაესწრებოდა: ,,იმედი მქონდა - ერთი წლის წრის არსებობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა, გაუღვიძებდა ქუთაისელ ქალებს სიყვარულს საზოგადო საქმისადმი, სიხარულით გულს აუძგერებდა მათი მომავლის გაუმჯობესების წინაგრძნობით, ძალას გაუასკეცებდა და ფრთებს შეასხამდა თვით შეგნების სურვილს“.

საუბედუროთ ოთხი თვის დასვენების შემდეგ, ძალის მობილიზაციის მაგივრად ქალებს საშიში გულგრილობა დაეტყოთ.

,,გასულ წელსაც გააკვირებდა მეთვალყურეს გულგრილობა ქუთაისელი ინტელიგენტი ქალების თავის წრისადმი. ძალაუნებურათ მისცემდი თავს კითხვას: ნეტავ, სად არიან ახლა ეს ქალები, როცა იქ არ არიან, სადაც უნდა იყვნენ? ნეტა ვის და რას ემსახურებიან, როცა თავისი ინტერესების დასაცველი ადგილისთვის ვერ მიუგნიათ?“

გაოცებას იწვევს ქალთა იმ ნაწილის საქციელი, რომლებიც გაურბიან წრეს, სადაც ქალთა საკითხები უნდა გადაწყდეს. ძირითადად ესენი არიან მასწავლებელი ქალები, რომელთაგან ძალიან მცირე ნაწილი ესწრებოდა ქალთა საზოგადოების კრებას. ,,ტყუილი იმედია, თავისით არ გამოცხვება ის უფლებები, რომელიც ჩვენთვის ასე საჭიროა, არც გამოჩნდება ვინმე, რომ პრომეთეოსის მსგავსად მოსტაცოს აკრძალული ბედნიერების ცეცხლი იმათ, ვისაც ის ქალისთვის არ ემეტებათ.

მაშასადამე ჩვენ თვითონ უნდა ვეცადოთ შევკავშირდეთ, რათა მოვიპოოთ აუცილებელი ძალა ბრძოლისათვის.“

რამდენიმე პირის მეცადინეობით დაარსებული ქალთა კავშირი გავამაგრეთ და შევქენით ძლიერი წრე, რათა გვებრძოლა ჩვენი მომავლის გასაუმჯობესებლად. და დღეს ინტელიგენტი ქალები, შეკითხვაზე თუ რატომ არ ესწრებიან ქალთა კრებას, ასე პასუხობენ: ,,რა მინდა რომ წამოვიდე, არაფერია საინტერესოო!“

ბუნებრივია, ქალთა საზოგადოება იქნება ისეთი თუ როგორ ყურადღებას გამოვიჩენთ საქმისადმი.

,,შეიძლება წრის მუშაობის მიმართულება არ მოსწონდეს ზოგიერთებს და ამიტომ გაურბოდეს მას? ესეც გაუგებარია, ხომ იციან, რომ აქ დასრულებული არაფერი გვაქვს წრის სახით! ვმუშაობთ, უნდა ვიმუშაოთ და თუ თითოეული ჩვენგანი შესაძლებელ შრომას არ დაიშურებს, საქმე სასურველ სახეს მიიღებს.“

ყველა დაბრკოლება, რომელიც ჩვენს წინსვლას ეღობება უნდა მოისპოს და დანთებული ნაპერწკალი კვლავ უნდა გაღვივდეს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N6, 12 მარტი, 1914
ავტორი: გ. რია.

,,მოწერილი ამბავი“

ს. ვაკისჯვარი. ,,პარასკევს ღამით 14 თებერვალს ამ სოფელში მოხდა შემაძრწუ–ნებელი ამბავი: ამ სოფლის სკოლის მასწავლებელმა ფილიპე ქიქოძემ დასჭრა რევოლვერით თავის მეუღლე, რომელიც ამ სკოლაშივე იყო მასწავლებლად და შემდეგ თვითონც მოიკლა თავი. მისი ასეთი საქციელის მიზეზი ჯერ გამოურკვეველია. ამბობენ კი, რომ იმ ღამეს ეს მასწავლებელი ცოტა შეზარხოშებული დაბრუნდა სახლში და როდესაც ქალმა უსაყვედურა მას მისი ასეთი საქციელისთვის, გაბრაზებულა. ამოუღია რევოლვერი და დაუჭრია ქალი.“

ეს ამბავი, როცა მეზობლებმა გაიგეს ქალის მისაშველებლად გამოცვივდნენ. ამ საერთო არეულობის დროს მეუღლეს მოუკლავს თავი. ზოგის აზრით, იმასაც ამბობენ, რომ მკვლელობა ეჭვის ნიადაგზე მომხდარა. მასწავლებელი იქვე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილი ,,ქალი კი ბათუმის საავადმყოფოში მოათავსეს“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N8, 14 მარტს, 1914

,,ახალი ამბავი“

,,დღეს 14 მარტს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში საღამოს რვის ნახევარ საათზე. ბ. ალექსანდრე გარსევანიშვილი ქალთა წრის კრებაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ,,დ. გურამიშვილი და მისი პოეზია“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N11, 18 მარტს, 1914
ავტორი: რ.ს

,,მუშა ქალთა მოწამვლა“

,,რეზინის მანუფაქტურის ფაბრიკა ,,დელტაში“ მოიწამლა 150 მუშა ქალი, რაღაც ნივთიერებისაგან, რომლითაც აკეთებდენ სხვადსხვა რეზინის საქონელს. ბევრს გული შეუწუხდა. ერთი ჭკუაზე შეცდა. საავადმყოფოში 8 მოწამლულთაგანი გარდაიცვალა. საღამოს ფაბრიკასთან მოხდა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 1, 500 კაცი. პოლიციელებმა გაფანტა მუშები.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N11, 18 მარტს, 1914
ავტორი: (რ.ვ)

,,ქ-ნ კაიოს საქმე“

ქალბატონმა კაიომ გამომძიებელს განუცხადა, რომ მას უნდოდა შეეშინებია კალმეტი, რადგან მას არ გამოექვეყნებია საიდუმლო წერილები. მას წინასწარ არ ჰქონდა განზრახული მისი მოკვლა. სასამართლო პროცესზე ,,გაზ. ,,ფიგარო“-ს თანამშრომელმა ქ-ნმა ესტრა დერემ სთქვა, რომ კალმეტა კაიოს წერილები იშოვა 30, 000 ფრანკად. იმ წერილებიდან სჩანდა, რომ ქ-ნი კაიო საყვარელი იყო მინისტრის კაიოსი, ვიდრე იგი მას მისთხოვდებოდაო.“

ბუნებრივია ამ წერილის გამოქვეყნება ქ-ნ კაიოს სახელს გაუტეხდა მაღალ საზოგადოებაში.

გაზეთი ,,იმერეთი“ N14, 21 მარტს, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისში, ი. ვასილიევსკი 25 მარტისთვის კიდევ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ოჯახური არეულობა, ბრძოლა ქალისა და კაცის, ცოლები და ქმრები, მამები და შვილები.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N14, 21 მარტს, 1914

,,ახალი ამბავი“

,,დღეს შავი ქვის საბჭოს დარბაზში ქალთა წრის კრებაზე საღამოს რვის ნახევარზე წაიკითხავენ კ. ნიკოლაძის რეფერატს შემდეგ თემაზე:

,,ქართველი ქალი წარსულსა, აწმყოსა და მომავალში“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N15, 22 მარტი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა წრის გამგეობამ ნება არ დართო დაარსდეს ხიდისთავში წრის განყოფილება“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N15, 22 მარტი, 1914
ავტორი: (დ.).

,,უმაღლეს სასწავლებლებში“

,,ქალთა უმაღლეს საექიმო კურსებზე დაიწყო სახელმწიფო ეგზამენები. ეგზამენებზე დაუშვეს 240, მათ შორის 200 კურსებზე მსმენელი ქალია.“ პსიხონევროლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა 14 მარტს მომხდარი გაფიცვის გამო პროტესტი განაცხადა. 15 მარტს ლექცია წაიკითხა პრ. მიტროფანოვმა, რომელსაც მხოლოდ 10 მსმენელი დაესწრო.

გაზეთი ,,იმერეთი“ N19, 28 მარტი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,მომავალ დღესასწაულებზე ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მერვე და მეშვიდე კლასის მოწაფენი რამდენიმე მასწავლებლის ხელმძღვანელობით თფილისს მიემგზავრებიან საექსკურსიოთ“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N26, 10 აპრილი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,შაბათს, 12 აპრილს, ქალაქის თეატრში, ბათომის დრამატიული დასი დასდგამს მწერალი ქალის ნინო ნაკაშიძის ახალ პიესას ,,ვინ არის დამნაშავე“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N27, 11 აპრილი, 1914

,,მოდების მიმდევართა გაკვეთილი“

ბელგიის მეფის სასახლეში გამართულ ნადიმზე მეფის ყურადღება მიიპყრო მოდის მიმდევარმა ქალმა, რომელსაც თეძოებ დაბლა ჩაჭრილი იუპკა ეცვა. მეფემ ამასთან დაკავშირებით კარის გამგეს რაღაც წასჩურჩულა. კარის გამგე ქალთან მივიდა, ხელი სთხოვა და დარბაზიდან გამოიყვანა. ,,ქალს გაეხარდა - ყურადღება დავიმსახურეო, მაგრამ მას მოახსენეს: მეფემ შეგნიშნათ, იუბკა გაგხევიათ და მე დამავალა თქვენი ფარეშამდი მიცილება, რომ მან ამოგიკეროს კაბაო. ქალი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ის ავტომობილმა სახლში მიიყვანა.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N27, 11 აპრილი, 1914

,,ქალთა სახელმწიფო“

გერმანელი მწერალი მაგდა ტროტი ამტკიცებს, რომ XX საუკუნის დამლევს, როცა უდიდესი სისხლის მღვრელი ომი დასრულდება და გამარჯვებული გერმანია დარჩება შეიქმნება: ,,ქალთა სახელმწიფო“, რომელსაც გერმანელი ქალები დააარსებენ მდინარე ელბასა და ვეზერის შუა იქნება.

რასაკვირველია, ამ სახელმწიფოს ყველა მმართველი, მოხელე, მინისტრი, რკინიგზის სადგურის უფროსი და სხვ. ერთი სიტყვით ყოველივე მმართველობისა და საქმის სათავეში მოხელეთ ქალები იქნებიან.ოცი წლის შესრულებულმა ქალებმა სამხედრო ბეგარაც უნდა მოიხადონ.“

მწერალი მაგდა ტროტი ამ სახელმწიფოში იცხოვრებენ თუ იმოღვაწებენ მამაკაცები ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.

გაზეთი ,,იმერეთი“ N28, 12 აპრილი, 1914

,,ახალი ამბავი“

დღეს 12 აპრილს ,,ბათომის დრამატიული დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქუთაისის სცენაზე მწერალი ქალის ნინო ნაკაშიძის ახალი პიესა: ,,ვინ არის დამნაშავე“. 4 მოქ. და 5 სურათად გურულთა ცხოვრებიდან.“ ეს პიესა პირველად დაიდგა ბათუმის სცენაზე და დიდი მოწონება დაიმსახურა. დადგმა ეკუთვნის შალვა დადიანს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N34, 19 აპრილი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ყაუხჩაშვილის ქალთა გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეების გამოცდებზე, სათანადო მთავრობას დაუნიშნავს ახალციხის პროგიმნაზიის ინსპეკტორი ბ-ნი კორიცკი“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N35, 20 აპრილი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქ-ნ ელისაბედ პავლეს ასულის ხოჯევანიშვილის კერძო პროგიმნაზიაში მოწაფე-ქალთა გამოცდა დაიწყება 21 მაისიდან და დამთავდება შვიდი ივლისისათვის.“ აღნიშნულ გიმნაზიაში გამოცდებს დაესწრება ახალციხის პროგიმნაზიის ინსპეკტორი ბ-ნი კორიცკი. იგი უფლება მოსილია ქუთაისის სხვა სასწავლებლებშიც დაესწროს გამოცდებს.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N39, 26 აპრილი, 1914

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების მომავალი შკოლა“

ქუთაისის ქალთა საზოგადოება თვისი თავმჯდომარე ამხანაგი ოლღა ქორქაშვილის ასული და ერთი გამგეობის წევრთაგანი ბუტულაშვილის ასული მარიამი თფილისს გაგზავნა იქაურ საქალაქო სახელოსნო შკოლების დასათვარიელებლათ. ამათ დაუვლიათ სახელოსნო შკოლები ქალაქისა, სომეხთა საქველმოქმედოსი, ქალთა საზოგადოებისა, ,,განათლების“ და გრ. ვორონცოვ-დაშკოვის სახელობისა.

ხსნებული დელეგატები დაწვრილებით გაეცვნენ ხუთივე სკოლის საქმიანობას, რომელიც კარგად ჩანს მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან. ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობამ ორ სხდომაზე მჯელობდა გაეხსნათ თუ არა ქუთაისში მსგავსი ტიპის სახელოსნოები. საბოლოოდ გამგეობამ შეიმუშავა დადგენილება: ,,1914 წ. სეკტემბერში გაიხსნას ქალთათვის სახელოსნო შკოლა 3 წლის კურსით.

4 კურსზე მოწაფე ქალები შეისწავლიან პირველ-დაწყებით ჭრა–კერვას, თეთრეულის კერვასა და ქარგვას.

5 კურსზე განაგრძობენ ამავე დარგებს, მხოლოდ უფრო ვრცელი პროგრამით.

6 მესამე კურსზე ყველა ზემოხსენებულ საგნებს პირველისა და მეორე კურსისას გაივლიან მხოლოდ პრაკტიკულათ მოწვეული სპეციალისტი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელ განყოფილებაში მიიღება შესაკერავათ შესაფერი ფასდადებით, გარეშეთაგან შეკვეთილი ტანისამოსები.

სახელოსნოში შემსვლელთათვის სავალდებულოა პირველ დაწყებითი წერა–კითხვა ქართულათ და ანგარიში.

მოწაფე ქალები მიიღებიან ხნოვანებით არა ნაკლებ 12 წლისა“. გადასახადი იქნება პირველ და მეორე კურსზე 20 მანეთი, ხოლო მესამეზე 25 მანეთი.

ვინც მესამეში ისურვებს შესვლას ხელობის დასასრულებლათ და მოწმობის მისაღებათ, მან წელიწადში ხუთი თუმანი უნდა გადაიხადოს.

ქუთაისის ქალთა საზოგადოებას კარგად ესმის ამ სასარგებლო სასწავლებლის დიდი მნიშვნელობა, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მალე დაიმსახურებს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N40, 27 აპრილი, 1914
ავტორი: ლანი

,,კავკავი“

,,თორმეტ აპრილს აქაურმა ქართველ ქალთა ,,პარასკევის“ საზოგადოებამ გამართა მეორე საღამო ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლის სასარგებლოთ. საღამოს დიასახლისად იყვნენ ,,პარასკევის“ ქალთა საზოგადოებისა სოფია დავითის ასული კალანდარიშვილისა და კნ. ლორთქიფანიძისა. ქ-ნ კალანდარიშვილის მეცადინეობით მრავალმა ქართველმა ქალმა მიიღო მხურვალე მონაწილეობა საღამოს მოწყობაში: ყველა ცდილობდა, რითაც შეეძლო ხელი შეეწყო საღამოს საგულისხმოთ მოწყობისათვის. განსაკუთრებულ მუყაითად მუშაობდენ დები მოზდოკელის ასულნი, თამარ დადეშქელიანის ასული და სხვა.“

საღამოს მონაწილე ქალებს გარჯილობა სიამოვნებას გვრიდა იმით, რომ შემოსავალი სკოლის სასარგებლოდ ჩაირიცხებოდა. საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო. იგი შესდგებოდა სამი ნაწილისაგან: ,,პირველ ნაწილში ითამაშეს დ. მესხის ,,ვოდევილი“

ოთხი იმერელი“... მეორე განყოფილებაში ითამაშეს რუსული ვოდევილი... მესამე განყოფილებაში ქართულმა გუნდმა ბ. კუხიანიძის ლოტბარობით შემდეგი სიმღერები შეასრულა: ,,სადაც ვშობილვარ“ მუზ. ბალანჩივაძისა, ,,მერცხალი“ გადმოკეთებული კუხიანიძის მიერ, ,,ლიახვო“ - მისივე. ,,კრულ იყოს“ ფოცხვერაშვილისა, ,,ვახტანგ მეფე“ მისივე და ,,პატარა საყვარელო“ ფ. ქორიძის ჩაწერილი გადმოკეთებული კუხიანიძისა მიერ.“

გუნდის მომზადებისათვის კუხიანიძეს ორი კვირის განმავლობაში არ მოუსვენია. მისმა გუნდმა უსასყიდლოდ შეასრულა სიმღერები. მას მადლობის ნიშნად ვერცხლის საწერი მოწყობილობა მიართვეს.საღამომ მაყურებელთა დიდი სიამოვნება გამოიწვია.

,,შემოსავალი საღამოსი 700 მანეთამდეა ხარჯიანათ. თუმცა შემოსავალი არ შეფერის იმ შრომას, რაც საღამოს მომწყობელმა დახარჯეს, მაგრამ ისინი ზნეობრივათ კმაყოფილნი უნდა დარჩენ, რადგან ხალხი დაინტერესეს ქალთა საქმით... ვუსურვებ კავკაველ ქართველ ქალებს წარმატებას საზოგადო მოღვაწეობაში.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N42, 30 აპრილი, 1914
ავტორი: გერასიმე

,,ხელსაქმე ჩვენს შკოლებში“

,,ჩვენს სოფლის შკოლებში ვაჟებთან ერთად ქალებიც სწავლობენ. ბევრგან ამ უკანასკნელთა რიცხვი ბევრია. ყოველგვარი ცოდნა გამოსადეგია, მაგრამ ქალებიც ხელსაქმის ცოდნა დიდად საჭირო რასმე შეადგენს. ქალი უნდა იყოს დედა და მეოჯახე. თავის ოჯახში, ჩვენი ქალიშვილები სწავლობენ მწყემსვას, ჭადის გამოცხობას და პერანგის კერვას მხოლოდ. საჭიროა აქ შკოლა დაეხმაროს ჩვენს ოჯახებს და სადაც კი მოსახერხებელია, შეასწავლონ მოწაფე ქალებს ქარგვა, ჭრა-კერვაც. სათანადო მთავრობაც თანაგრძნობით ხვდება ამ საქმეს, თუ კი რასაკვირველია, შკოლამ იზრუნა, აღძრა შესაფერი შუამდგომლობა.“

საერთოდ მთავრობამ არ იცის ვინ უნდა იკისროს ხელსაქმის სწავლება სკოლაში, რადგან ჩვენში ყველმ არ იცის ეს საქმე. ამიტომ სასურველია ხელსაქმეს მასწავლებლად დაინიშნოს იმ სოფელშივე მყოფი. თუ კი მასწავლებელს შკოლისას ეცოდინება ხელ–საქმე და ასწავლის, ეს ხომ სასიხარულოა და იგი შესაფერ გასამრჯელოსაც მიიღებს.

საერთოდ, ორკლასიან შკოლაში მოწაფე ქალთა რიცხვი ძალზე დიდია. ამიტომ საგნის მასწავლებელი ვერ ასწრებს მოსწავლეს ხელსაქმეც შეასწავლოს. მოწაფეები ხელსაქმის გაკვეთილებს ხალისით ეტანებიან. როცა სოფელში ხმა გავარდა ხელსაქმის მცოდნე მასწავლებელი ინიშნებაო, შკოლას მოწაფეთა რიცხვი უფრო მოემატა. ამის მიზეზი ისაა, რომ ,,ბევრი მოწაფე შინ ოჯახში რჩება სოფლის სკოლის გათავების შემდეგ. ამიტომ ის ცხოვრებისთვის რამდენათმე მაინც მომზადებული უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს კურთხეულ მხარეში მეურნეობის აყვავებას მოყვება ხალხის ქონებრივათ წინ სვლა, რასაც აუცილებლათ შედეგად მოყვება ჩვენი ერის გონებრივათაც წინ სვლა. ამიტომ სასურველია, სადაც კი მოსახერხებელია, ასწავლონ ვაჟებსაც ხელობა: კალათების წვნა, მიწის დამუშავება, ხეხილის მოვლა და ბოსტნის კეთება. ამისათვის საჭიროა მიწაც ჰქონდეს შკოლას.

მერევის ორკლასიან შკოლის მასწავლებელთ განზრახვა აქვთ როგორმე მოაწყონ ხსენებულ შკოლასთან აგრონომიული განყოფილებაც.

დიდად დაავალებენ საზოგადოებას აქაური მკვიდრნი თუკი ვინმე მათგანი ამ მიზნისთვის მიწას შესწირავს შკოლას.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N43, 1 მაისი, 1914

,,თამარის დღე“

პირველი მაისი საქართველოში თამარის დღეა. საქართველოს დიდებული დედოფლის გახსენება დღესასწაულია ქართულ კულტურისა და ეროვნულ შეგნებისა. თამარის დრო იყო, რომ საქართველო გაერთიანდა, თამარის დრო იყო, რომ საქართველო კულტურულად აყვავდა. ამიტომ ჩვენს ,,ოქროს ეპოქას” დიდი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. არასოდეს ძველ საქართველოში ძლიერება არ მისულა იმ ხარისხამდი, განათლება იმ სიმაღლებდი, ხელოვნება და ლიტერატურა იმ უმწვერვალესობამდი, როგორც თამარ მეფის დროს.“

ეთნოგრაფიულად საქართველო მუდამ არსებობდა მაგრამ ისტორიას ნაკლებ ახსოვს პოლიტიკური საქართველო. მხოლოდ თამარ მეფის დროს გამტკიცდა საქართველო პოლიტიკურად და იგი აღარ იყო დანაწევრებული ქართლ-კახეთად, გურია-სამეგრელოდ, იმერეთ-აფხაზეთად. იყო მარტო ერთი ქართველი ერი, ერთი პოლიტიკური წესწყობილებითა და სახელმწიფო კულტურულ–ეროვნულ მიზნებით გაერთიანებული.

დღეს ისმის კითხვა თანამედროვე ქართველისათვის რა აზრი აქვს ამ ეპოქის ხსენებას?

რა აქვს საერთო თანამედროვე საქართველოს მე–12 საუკუნის საქართველოსთან, მაშინ როცა საქართველო გადემოკრატიულდა?

,,დღევანდელ დღეს ჩვენ კვლავ ვიგონებთ იმ დროს, რომელიც ჩვენგან შვიდასი წლით არის დაშორებული და ეს ჩვენს უნებურად ხდება. ამას სჩადის კულტურა, მთელი ქართული კულტურა! ეს კულტურა რომ არ ყოფილიყო, საზოგადოთ, არ იქნებოდა კავშირი საუკუნეთა შორის. მაგრამ მან ისეთი ჯაჭვებით შებოჭა ისინი, ისეთნაირად გადააბა ერთმანეთს, რომ ახლა როცა ჩვენ, თანამედროვეთ ამ საუკუნეთა ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი გვიჭირავს ხელში, ინსტიკტიურად ვგრძნობთ სად არის მისი პირველი დასაწყისი. სად არის ყველაზე უფრო მტკიცე, მაგარი რგოლი ამ ჯაჭვისა. თამარის ხანა სწორედ ეს მტკიცე და მაგარი რგოლია ქართული კულტურის ჯაჭვისა.“

თამარი ბედმა გახადა მეფეთ, ეკლესიამ წმინდანად, ხოლო ხალხმა უკვდავად.

გაზეთი ,,იმერეთი“ N43, 1 მაისი, 1914
ავტორი: ფარსმან-ფარუხი

,,თამარის ქვეყანა“

იშვიათია ისტორიაში ისეთი მაგალითი, რომ საუკუნეთა განმავლობაში ვისმეს და მეტადრე ,,ქალს, ასე ხანგრძლივ შეენახოს სიჭაბუკე ხსენებისა. ჯოჯოხეთზედ ამბობენ - ავსურვილებით არის სავსეო. საქართველო მარტო თამარით არის აღსავსე. აქ სუყველაფერი თამარისაა! მაზედ ლაპარაკობენ ადამიანები! ქვები, მოგონებანი! ყველაფერს მისი სახელი ჰქვიან: მთას, ველს, არხს, ეკლესიას, ციხეს. ქალზედ აღარას ვიტყვი! ხუთ ქართველ ქალში სამი - თამარია!“

ისმის კითხვა თუ სად ცხოვრობდა თამარი სვანეთში? ხევსურეთში? დარიალის ხეობაში? გამოქვაბულში? თამარი ყველგან ცხოვრობდა. რას აკეთებდა ქალი

-საკვირველება? - ყველაფერს. ,,დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი. მერე ზღვაში ჩაუშვა ხომალდი, ზედ ალმასები დაჰკიდა. შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი, მრავალს წყალობას დაპირდა! დაამარცხა სულთანი! დაამარცხა შაჰი! ააშენა, მაგრამ რა არ ააშენა!? მან ააშენა ყველა ის ციხე–დარბაზები, რომელშიაც ის ,,სცხოვრობდა". ყველა ის ეკლესიები და მონასტრები სადაც ის ,,დამარხულია";

გამოქვაბა ყველა ის გამოქვაბულები, სადაც ის ,,ადიოდა". ბაზალეთში ოქროს აკვანი დასდგა და მერე თავის ხალხთან ერთად იმდენი იტირა, რომ ცრემლისაგან ტბა დადგა. მან ,,უბრძანა და შოთა რუსთაველმა ,,ვეფხისტყაოსანი" დასწერა! ჩახრუხაძემ ხოტბა დასწნა." ამდენი საქმის მომქმედმა მეფემ ცხრა ადლი ტილო წაიღო. სად მარხია ქალი საკვირველება, რომელსაც ჰქვიან თამარ? ყველგან ერთი პასუხია: აი, აქ! ამ ეკლესიაში, ამ მონასტერში, ამ გამოქვაბულში! ყველგან! რა ვრცელი სასაფლაოა, რა ვრცელი აკალდამაა."

გაზეთი ,,იმერეთი" N55, 15 მაისი, 1914

,,ახალი ამბავი"

,,16 მაისს საბჭოს დარბაზში, საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე. ე. ნინოშვილის გარდაცვალების 20 წლის თავის აღსანიშნავათ წაკითხულ იქნება მისი ბიოგრაფია და მოთხრობა ,,გოგია უიშვილი"."

გაზეთი ,,იმერეთი" N56, 17 მაისი, 1914
ავტორი: ქვილიშორელი კაკო

,,სალიტერატურო საღამო"

,,15 მაისს ქუთაისის ქალაქის ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში, ამავე სასწავ–ლებლის მასწავლებელთა კორპორაციის თაოსნობით, გაიმართა სალიტერატურო საღამო. საკმაოდ მოზრდილი ზალა საზოგადოებას ძლივს იტევდა. საღამოს დაესწრენ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი. ქართული გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლების მასწავლებელნი, მოწაფენი და მოწაფეთა მშობლები". საღამოს მოსწავლეთა გუნდმა ბ. სოხაძის ლოტბარობით მოხდენილად შეასრულა ქართულ-რუსული სიმღერები.

პატარა მოწაფე ქალებმა წაიკითხეს ლექსები და წარმოადგინეს საბავშვო პიესები. დასასრულ მოწაფეებმა ჩინებულად ითამაშეს ლეკური. ნასიამოვნები საზოგადოება 11 საათზე დაიშალა.

გაზეთი ,,იმერეთი" N58, 20 მაისი, 1914

,,ახალი ამბავი"

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ მორიგი სხდომები დაიხურა, მომავალი საზაფხულო კანიკულების გამო. წლიური კრება შესდგება ეკენის თვეში, რომელიც საკუთრათ გამოცხადებული იქნება.

გაზეთი ,,იმერეთი“ N62, 24 მაისი, 1914

,,მსახიობი ქალი დ. ივანიძე“

,,დღეს მიწას უნდა მიაბარონ დესპინე ივანიძის ქალი. მერე ვინ იყო იგი? იგი იყო ერთი მოღვაწეთაგანი დაუვიწყარისა და ძვირფასი კოტე მესხის; იგი იყო მსახიობი ქალი და დაუღალავი მუშაკი, რომელმაც თავისი სიყმაწვილე შესწირა ქართულ სცენას. და ოცდასამი წლის განმავლობაში არ უღალატნია მისთვის. ამ ხნის განმავლობაში სანახევროთ სულ საქველმოქმედო წარმოდგენებში ღებულობდა უსასყიდლოთ მონაწილეობას. იგი სცენაზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც ჩვენს ქალებს და ოჯახებს სასირცხვოთ მიაჩნდათ სცენაზე ქალის თამაში, იგი არას დასდევდა მშობლების რისხვას, მეზობლების დაცინვას და ყველაფერს სცენას ანაცვალებდა; სცენა იყო იმის მშობელი; სცენა იყო იმის სულის ჩამდგმელი.“

საყოველთაოდ, როგორც ყველა მსახიობი დესპინე ივანიძე დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. მაგრამ იგი სცენის ერთგული მოღვაწე გახლდათ. 23 წლის განმავლობაში რა თანაგრძნობა, რა დაფასება მიიღო მან, როგორც სცენის ერთგულმა მუშაკმა?!

იგი ,,გააძევეს სცენიდან, მას ბინა არ მისცეს და იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში დაგლეჯილ დაფლეთილი ტანისამოსით ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდა ხელ გაშვერილი და მოწყალებას თხოულობდა. ღვრიდა ცრემლს წარსულის მოგონებით, წყევლიდა და კრულავდა მათ, ვინც მას სცენაზე მუშაობა მოუსპო.

ამ გაუბედურებულ ქალს და დაუფასებელ მოღვაწეს ქუთაისის საზოგადოებიდან ავადმყოფობის დროს დახმარებას უწევდა კნეინა ეკატერინე აბაშიძის ასული ერისთავისა, გამგეობის წევრი ივანე პურადაშვილი და ექიმი გრიგოლ ალშიბაია. ეს პირნი დიდ შემწეობას უჩენდენ საცოდავ დესპინეს და მის შვილებს. მეც ჩემის მხრით, როგორც დესპინეს სცენით ამხანაგი უღრმეს მადლობას ვწირავ.“ იმედია მომავალი სცენის მუშაკნი კეთილად მოიგონებენ თავის ძველს, საცოდავად დატანჯულ მსახიობ ქალს დესპინეს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N63, 25 მაისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა მადლობას უცხადებს ბბ.–ტიხონ ასათიანს და პავლე მეფისაშვილს, რომლებმაც უფასოდ დაუთმეს ,,რადიუმი“ სეანსების გასამართავათ, ამ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლათ.“ გამგეობა ასევე მადლობას უცხადებს ქუთაისის საზოგადოებას, რომლებიც დაესწრნენ ამ სეანსებს.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N63, 25 მაისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქუთ. ქალთა საზ. გამგეობას სთხოვს იმ პირთ, რომლებსაც საწევრო კვიტანციების წიგნაკები აქვთ წაღებული - დაუბრუნოს გამგეობას ქ. ნინო ბადრიძის ბინაზე.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N65, 29 მაისი, 1914

,,უცხოეთი. დეპეშები (ლონდონი)“

ლონდონი. საერთაშორისო ოლიმპიურ დოღის დროს, როცა მეფე დედოფალი შევიდა ლოჟაში, ,,ვიღაც ქალმა მიმართა დედოფალს და უთხრა, რომ დატუსაღებულ სუფრაჟისტებს ძალათ აჭმევენ საჭმელსო. ორმა პოლიციელმა იგი ჰიპოდრომიდან გაიყვანა.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N75, 10 ივნისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში წელს სწავლა დაასრულა 28 ქალმა.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N79, 14 ივნისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,წელს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი დაამთავრა და სიმწიფის მოწმობები მიიღო 23 ქართველმა ქალმა.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N81, 17 ივნისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,გუშინწინ , 15 ივნისს, უკვე დასრულდა ელისაბედ პავლეს ასულის ხოჯევანაშვილის კერძო პროგიმნაზიის უკანასკნელ კლასის გამოცდები. იმისდა მიუხედავათ, რომ მთავრობის დელეგატის ბ-ნ კორიცკის თავმჯდომარეობით სასტიკი გამოცდები იყო, ოცდაათ მოწაფე ქალიდან 22 მოწაფემ ჩინებულად დაამთავრა სწავლა. აქედან 17 ქართველია, 1 ებრაელი, 3 რუსი და 1 სომეხი.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N83, 19 ივნისი, 1914

,,გაფიცვა და ლოკაუტი“

,,პეტერბურგის ძაფის ქარხანაში მუშები ქალი და კაცი, მოითხოვდენ ზედამხედველ ლუდვიგის დათხოვნას, რომელიც მუშა ქალებს შეურაცხყოფას აყენებდა. ქარხნის ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა მუშათა სურვილი, რის გამოც ყველა მუშამ გადაწყვიტა გაფიცულიყო.“

ქარხნის დირექტორმა გამოაკრა განცხადება, რომლითაც აცნობებდა მუშებს განუსაზღვრელ დრომდე ქარხნის დაკეტვასა და 5000 კაცის დათხოვნას სამუშაოდან.

გაზეთი ,,იმერეთი“ N86, 22 ივნისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,წელს, პირველათ, ქ-ნ მ. ყაუხჩაშვილის საქალო გიმნაზიაში მოხდა გამოცდა მე7 კლასის მოწაფეების, ოლქის მზრუნველის წარმომადგენლის გ. კორიცკის ხელმძღვანელობით. ეგზამენებზე დაშვებული იყო 28 მოწაფე. ამათში სწავლა დაასრულეს და ატესტატის მიცემის ღირსათ იცნეს 22 მოწაფე ქალი.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N87, 24 ივნისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს იმ პირთ, რომელსაც წაღებული აქვთ საწევრო ფულის კვიტანციები, დააბრუნონ ქ. ნინო ბადრიძის ბინაზე (გენერლის ქუჩა, ექიმი ბადრიძის სახლი).“

გაზეთი ,,იმერეთი“ N87, 24 ივნისი, 1914
ავტორი: (რ.)

,,პოლონელ ქალთა კრება“

,,ქ. კრაკოვში დაიხურა პოლონელ ქალთა კრება. მიღებულ რეზოლუციებში კრება მოუწოდებს პოლონელ ქალებს, ხელი შეუწყონ პოლონელთა ვაჭრობას და მრეწველობას და იყიდონ საქონელი მხოლოდ ქრისტიანებისაგან“. შემდეგი კრება მომავალ წელს გაიმართება ისევ კრაკოვში.

გაზეთი ,,იმერეთი“ N88, 25 ივნისი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ელენე ჯინოევის ქალი ქალაქის გამგეობას სთხოვს, მისცეს მას ბილეთი, რომ ეკლარის ქვის სატეხზე აარჩიოს ქვა ქუთაისში ეპისკოპოზ გაბრიელის სახელობაზე ასაგებ წიგნსაცავ სამკითხველოსათვის.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N88, 25 ივნისი, 1914

,,ქალის შეპყრობა“

,,ლონდონში ღამით შეიარაღებული ქალი შეიპყრეს, რომელიც უკან გემის სასახლეში შეიპარა. ეჭვი შეეპარათ, რომ იგი სულით ავადმყოფია, ამიტომ მისი გასინჯვა ექსპერტიზას მიენდო. პოლიცია ირწმუნება, რომ შეპყრობილს არა ქონდა აზრათ მეფის ოჯახობის წევრთა მიმართ ბოროტმოქმედებაო.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N91, 28 ივნისი, 1914
ავტორი: ბიძის ასული

,,პასუხად ქ-ნ გეგენავას ქალს“

ქალბატონი გეგენავას ასული გაზეთში დაბეჭდილ წერილს ისე აუღელვებია, რომ ავტორს სამედიატორო სასამართლოშიაც კი იწვევდა. ამასთან დაკავშირებით წერილის ავტორი შენიშნავს: ,,გეგენავა თავის გასამართლებათ არაფერს ამბობს, პირიქით ჩემგან წამოყენებულ ბრალდებას თავისი პირით აღიარებს და თავისი დანაშაულისთვის ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე, ხოლო მე სამედიატორო სამართალში მიწვევს. ერთში ვეთანხმები გეგენავას ასულს, რომ მე მის გაკვეთილს არ დავსწრებივარ. ეს ჩემს წერილშიაც ნათლათ სჩანდა. მე ვეყრდნობოდი მხოლოდ გაზეთების უტყუარ ცნობებს, რომელიც თავიდან ბოლომდი თქვენს საქციელს ამხელდა. მე სრულიად არ ,,დამიმტკიცებია“, რომ გეგენავას გაკვეთილი მოვისმინე-მეთქი, საქმის გამოსარკვევათ, მე ის სტრიქონებიც მეყოფოდა, რომელიც ცრემლით აცნობდა საზოგადოებას, რომ მუნჯური მეთოდის მიმდევარი, თვით მასწავლებლებშიაც აღმოჩნდაო“.

იმერეთის 76 ნომერში ვკითხულობთ შემდეგს: ,,თვით სოფლის მასწავლებელთა შორის აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომელიც შეეცადენ სანიმუშო გაკვეთილი მუნჯური მეთოდით გადაეცათო.“

ამასთან დაკავშირებით წერილის ავტორი ზემოთხსენებულ სტრიქონებს ასე განმარტავს: ,,გამოდის რომ მასწავლებელი ეცადა მაგრამ ვერ შეძლო მუნჯური გაკვეთილი ჩაეტარებია და ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თუ რა გარემოებამ შეუშალა ხელი.“

ავტორი ხაზგასმით იმასაც აღნიშნავს, რომ გეგენავას განმარტებით მასწავლებელმა, რომელმაც მუნჯური მეთოდის ნაცვლად მშობლიური ენა გამოიყენა ქალბატონი გეგენავა ამას დიდ ნაკლოვანებად მიიჩნევს.

მართალია ქალბატონმა გეგენავამ დაგმო მუნჯური მეთოდი, მაგრამ მისი დაუფიქრებელი სიტყვების თანახმად სხვათა შორის თავს იმით იმართლებს, რომ მას უნებურად წამოცდა რუსული სიტყვები. საინტერესოა რატომ მოითხოვდა იგი გაზეთში დაბეჭდილი სტატიის ავტორისაგან ერთ თუმანს პედაგოგის ფონდის გასაძლიერებლად, იმ მოტივით აქაო და ავტორი დამნაშავეაო. ავტორს კი მიაჩნია რომ თვით გეგენავა უნდა მივიდეს გოგებაშვილის საფლავთან ბოდიშის მოსახდელად და შენდობა მოითხოვოს შემდეგი სიტყვებით: ,,მომიტევე, უფალო, რადგან არა ვიცოდი, რასა ვიქმოდი-თქო.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N92, 29 ივნისი, 1914

,,ალექსანდრა მაკარის ასული კნეინა მელიქიშვილისა“

თბილისში გარდაიცვალა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა, რომელიც იყო თავად მამუკა ორბელიანის ასული და მეფის მოადგილის გენერალ ადიუტანტის თავად ლევან მელიქიშვილის მეუღლე. გარდაიცვალა ქართული არისტოკრატიის უძველესი წარმომადგენელი, რომელსაც დიდი ძალა და გავლენა ქონდა საქართველოში.

,,განსვეულებულს სიკვდილამდი შენარჩუნებული ჰქონდა ყველა ის თვისება, რომელიც ახასიათებდა ძველს ქართულ არისტოკრატიას, სიყვარული საზოგადო საქმისადმი, ლიტერატურისადმი და ქველმოქმედებისადმი.“ კნეინამ ზედმიწევნით

იცოდა ქართული. იგი ახლოს იდგა ქართულ ლიტერატურულ წრეებთან ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ხანაში. კნეინა თვითონაც სინჯავდა კალამს ლიტერატურაში და მისი ნაწერები იბეჭდებოდა ,,ცისკარსა“ და ,,ივერიაში“.

მიუხედავად იმისა რომ მისი მეუღლე გახლდათ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თანაშემწე და თვითონ კი ,,კავალერსტვენნაია დამის“ ხარისხით იყო დაჯილდოვებული, იგი დარჩა კეთილ ქართველ ადამიანად.

,,განსვენებული კნეინა ბევრსა სწირავდა ქართულ ეკლესია - მონასტრებს გასამშვენიერებლად, ეწეოდა ახალგაზრდობას და სასწავლებლებს. უკანასკნელად, მაშინაც კი, როცა მხედველობა დაკარგული ჰქონდა, იგი ითვლებოდა თფილისის ეპარქიალური სასწავლებლის მზრუნველათ და უყურადღებოთ არ სტოვებდა სასწავლებლის საჭიროებათ.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N93, 1 ივლისი, 1914

,,სუფრაჟისტები“

,,ედინბურგში, როცა რ.კ. გ.ზ. სადგურიდან ეტლით მოდიოდენ ინგლისის მეფე და დედოფალი, ერთმა სუფრაჟისტმა ისროლა ეტლში სუფრაჟისტთა ბროშიურები და ქაღალდის ბურთი წარწერით: ,,ქალები შევიწროებას განიცდიან.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N93, 1 ივლისი, 1914
ავტორი: მოგზაურთაგანი

,,ქ. ყაუხჩიშვილის კერძო საქალო გიმნაზიაში“ კურსდასრულებულთა მოგზაურობა გელათში

,,20 ივნისს, დილის მატარებლით გელათს გაემგზავრენ ყაუხჩიშვილის საქალო გიმნაზიაში კურს დასრულებულნი, რიცხვით 22, სასწავლებლის უფროსის ქ. ყაუხჩიშვილის, საღმრთოს რჯულის მასწავლებლის ღვდ, ცქიტიშვილისა და სხვა მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. მოგზაურობის მიზანი მონასტრის უძველესი ნაშთების დათვალიერება იყო.“ დამთვალიერებლებს მწვანეთ აბიბინებულ გალავანში გადაეშალათ ვეებერთელა ტაძარი, რომლის შორი ახლოს იდგა ძველი ტაძრები და ნანგრევები, ხოლო გარშემო შემომწკრივებული იყო კოხტა საცხოვრებელი სახლები.

მონასტერში წირვა მიმდინარეობდა, რომლის შემდეგ საღმრთოს რჯულის მასწავლებელმა მ.პ. ცქიტიშვილმა შეასრულა სამადლობელი პარაკლისი და დაარიგა სახარება. მან პარაკლისის წინ ასე მიმართა კურსდამთავრებულებს: ,,იმის წარმოდგენამ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით, სევდა აწვია ჩემ გულს. მცირე ხანს ვიყავი მე თქვენთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც განვიცადე მამაშვილური სიყვარული თქვენდამი.

თქვენ დაასრულეთ გიმნაზია, გამოდით სკოლის ვიწრო კედლებიდან და დაადექით ფართო გზას ცხოვრებისას...

იცოდეთ, შრომა და სიფრთხილე აწი უფრო მეტი მოგელით. სწავლა სკოლაში მიღებული თქვენ არ გეყოფათ, რომ ცხოვრება თქვენ შეიგნოთ. ცხოვრება იმდენს და მეტს ახალ-ახალ საკითხებს გიკარნახებთ. ეცადეთ არ ჩამორჩეთ ცხოვრებას და ამნაირად ბედნიერება თანდათან დაიახლოვეთ.“

მ. ცქიტიშვილმა დაათვალიერებია ტაძრის მხატვრობა, ძვირფასი ხატები და სამკაულები, მოუთხრო იქვე დაკრძალულ ნეტარ ხსენებულ გაბრიელის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. მოგზაურობის შთაბეჭდილება ძალზე შთამბეჭდავი იყო, რომელსაც გასდევდა ის აზრი, რომ ,,მთელი გიმნაზია მრავალრიცხოვანი მოწაფეებითა და მასწავლებლებით ქ. ბ. ყაუხჩიშვილის მეოხებით დღეს ამ სასურველ და არა შეუმჩნეველ მდგომარეობამდი მოყვანილი, მართლაც წარმოადგენს ერთ გულწრფელ მთლიან ოჯახს, ნამდვილ სიყვარულზე და არა შიშზე დამყარებულს. ითქვა ისიც, რომ დღევანდელ პირობებში ყაუხჩიშვილის, გიმნაზიაში სწავლა-აღზრდის საქმე დამყარებულია ნამდვილ დედა-შვილურ სიყვარულზე, სოლიდარობაზე და სხვა ბევრ ღირსებაზე.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N109, 19 ივლისი, 1914
ავტორი: მ. ფარცხნალელი

,,ქალების აღზრდაც საჭიროა“

,,ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ბევრს წერენ ვაჟებისათვის სხვადასხვა გვარი სასწავლებლების დაარსების შესახებ სოფლად, მაგრამ ქალთათვის შესაფერის სასწავლებელზე კრინტსაც არავინ ძრავს. ჩვენი სოფლის ხალხი ვაჟებისა და ქალების სწავლა-განათლებას ერთნაირი თვალსაზრისით არ უცქერის, ხალხი ქალებისათვის სწავლა-განათლების მიღებას თითქმის ზედმეტათ სთვლის და საქმეს პრაქტიკული მხრიდან ზომავს, ხშირად იტყვიან ხოლმე ,,გოგო სხვისი ნაცარია, გათხოვდება და წავაო და ბიჭი კი ჩემთან დარჩებაო.“ ასეთი ყალბი შეხედულებისგან რომ გამოვიყვანოთ ჩვენი სოფლის მასსა და შევაგნებიოთ: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“; გაორკეცებული შრომა და ენერგიაა საჭირო ქალთა სასწავლებლების გახსნის შესახებ, არა თუ ქალთა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი არსად არის ჩვენში, არამედ სოფლად ერთკლასიანი და ორკლასიანი საქალო სასწავლებელთა რიცხვიც ერთობ მცირეა ვაჟთა სასწავლებლებთან შედარებით, სწავლა-განათლების სურვილი კი ქალებს უფრო დიდიც აქვსთ, ვიდრე ვაჟებს, ისიც შემჩნეულია, რომ არსებულ სასწავლებლებში ქალები უფრო ენერგიულად ეკიდებიან საქმეს.“

გულსაკლავია, როდესაც სოფლის გოგუნია ემუდარება მამას, რომ სკოლაშიც შეიყვანოს, მამა კი თხოვნას არ უსრულებს იმიტომ რომ ქალია და არა ვაჟი.

,,გავამრავლოთ ერთ კლასიანი ქალთა სასწავლებლები და მერე ვიზრუნოთ ქალთა უმაღლეს პირველ დაწყებით ოთხ კლასიან პროფესიონალურ სასწავლებლის დაარსების შესახებ.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N120, 2 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“
რედაქციის კანტორისაგან

17 ივლის ბახმაროს თეატრის დარბაზში ,,ჩიტო შარაშიძის ასულმა ლექცია წაიკითხა უკვდავ ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ და ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შესახებ. მან დაგვიხასიათა ნინოშვილი, როგორც ბელეტრისტი, როგორც საუკეთესო გამომთქმელი ხალხის დუღჭირი ცხოვრებისა. ლექცია კარგი ქართულით არის დაწერილი. ეს ლექცია მას რამდენიმე ადგილს წაუკითხავს და საზოგადოებას ძალიან მოსწონს“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N135, 22 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“

,,მომავალ სეკტემბრიდგან ნინო ხოჭოლავას ქალი ვაგზლის ქუჩაზე ხსნის მესამე ხარისხის სკოლას; რომელსაც მიზნათ ექნება მოამზადოს ორივე სქესის ბავშები გიმნაზიაში მისაღებათ“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N137, 24 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“

- ,,როგორც გავიგეთ, ქუთაისის ქალთა საზოგადოებას ნებართვა მიუღია სამკლასიან სახელოსნო ქალთა სასწავლებლის დაარსების. სასწავლებელი გაიხსნება შუა ენკენისთვეში.“
- ,,ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში ხელმეორე გამოცდები დაიწყება“.
- ,,მ. ყაუჩხაშვილის ქალთა სასწავლებელში ხელმეორე გამოცდები დაიწყო 23 აგვისტოდან“.

გაზეთი ,,იმერეთი“ N138, 26 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“

- ,,შაბათს, 23 აგვისტოს, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის თავმჯდომარეობით, ქუთაისის ქალაქის გამგეობაში შესდგა ქალთა წრის კრება ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებელ საზოგადოების დასაარსებლათ“.
- ,,ელისაბედ პავლეს ასულის ხოჯევანიშვილის ქალთა ოთხკლასიან კერძო პროგიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყო 21 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვიდან.“
- ,,სამოსწავლო მთავრობის ნებართვით ნინო გრიგოლის ასული ლაფე–რაშვილისა პირველი სეკტემბრიდან ქუთაისში ხსნის მესამე ხარისხის სკოლას, რომელსაც მიზნად ექნება მოამზადოს ორთავე სქესის ბავშები სხვადასხვა სასწავლებელში მისაღებად.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N138, 26 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ხელმეორე და მისაღები გამოცდები გუშინ 25 აგვისტოდან, დაიწყო. სწავლა - კი ჩვეულებრივათ პირველი სეკტემბრიდან დაიწყებაო.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N139, 27 აგვისტო, 1914

,,საფრანგეთის პრეზიდენტის მოწოდება ფრანგი ქალების მიმართ“

პრეზიდენტმა პუანკარემ მოწოდებით მიმართა ფრანგ ქალებს, რომელთა მამები, ქმრები თუ ძმები პირველ მსოფლიო ომში იყვნენ გაწვეულნი თავიანთ სამშობლოს დასაცავად.

რადგან საომრად წასული იყო ყველა ის, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, სოფლად ყანებსა და მინდვრებში სამუშაო პროცესები შეჩერდა.

,,რესპუბლიკის და მთელი სახელით მოგმართავთ თქვენ და თქვენს შვილებს, რომლებიც მცირე წლოვანობისა გამო შინ დარჩენ. გთხოვთ, განაგრძოთ მუშაობა ყანებში, შემოიტანოთ წრევანდელი მოსავალი და მოამზადეთ მომავალი მოსავალი. თქვენ არ შეგიძლიათ მეტი სამსახური მიუძღვნათ სამშობლოს...

უნდა იზრუნოთ თქვენი საკუთარი გამოკვებისთვის ქალ. მცხოვრებთა უზრუნველყოფისთვის და განსაკუთრები იმათ პურისათვის, რომლებიც იბრძვიან მამულისა, ცივილიზაციისა და უფლებისათვის. პრეზიდენტის მოწოდება მიმართული იყო სამშობლოს სამსახურისათვის, რომელთა ჭაპანი უნდა გაეწიათ ქალებს.

გაზეთი ,,იმერეთი“ N139, 27 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“

- პარასკევს ქალაქის ბაღში, დილის 12 საათიდან გაიმართება ,,ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ სახალხო სეირნობა ლოტარია - ალეგრით, რომლის შემოსავალიც გადაიდება დასახელებულ კომიტეტის თანხის გასაძლიერებლად.“ ქალთა წრე მიმართავდა საზოგადოებას, რათა ამ კეთილ საქმეში თავიანთი წვლილი შეეტანათ და საღამოს დასწრებოდენ.

გაზეთი ,,იმერეთი“ N142, 31 აგვისტო, 1914

,,დაკარგული მოგზაური ქალები“

,,16 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა ექსკურსია შვეიცარიაში, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ქალისა და კაცისაგან. ექსკურსია მოაწყო ტექნიკურ ცოდნათა გამავრცელებელმა საზოგადოებამ. 12 ივლისს მოგზაურები დააპატიმრეს ბერლინში. მამაკაცები გაგზავნეს ციხეში და მასწავლებელი ქალები მძიმე საპოლიციო უბანში. მეორე დღეს მამაკაცები გაათავისუფლეს და უბრძანეს 12 საათის განმავლობაში მიეტოვებიათ ბერლინი. ქალები კი ბერლინში დარჩენ“. ექსკურსიის ხელმძღვანელებმა ქალები ვერ იპოვნეს. რამდენიმე დღის შემდეგ იმ მოგზაურ ქალთაგან ერთ-ერთის დეპეშა მოვიდა რუმინიიდან: ,,ვიგვიანებ, ბერლინი, მარიამობის თვე.“ ეს დეპეშა ისე გაიგეს თითქოს და მოგზაური ქალები რუმინიაში მშვიდობით ჩავიდნენ. გამოხდა დრო ქალების სვებედი გაურკვეველი დარჩა და ამიტომ მიმართეს რუმინიის სამინისტროს

გაერკვიათ ქალთა სვებედი. იქიდან მოვიდა დეპეშა: ყველა ცდამ მასწავლებელ ქალების აღმოსაჩენად უნაყოფოდ ჩაიარა. პოლიცია განაგრძობს მათ მოძებნასო.“

გაზეთი ,,იმერეთი“ N142, 31 აგვისტო, 1914

,,ახალი ამბავი“

- ,,ამ წლის 1 სეკტემბრიდან ქუთაისში იხსნება სამი მესამე ხარისხის სასწავლებელი. პირველს ხსნის ქალთა წრე, მეორეს ნინო ლაფერაშვილისა და მესამეს ნინო ხოჭოლავასი.“
- ,,ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში ხელმეორედ და მისაღები გამოცდები უკვე დასრულდა. განყოფილებებში მთხოვნელთა რიცხვი 120 იყო, მიღებულია 45.

გაზეთი ,,იმერეთი“ N143, 2 სეკტემბერი, 1914

,,ახალი ამბავი“

- ,,ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში სწავლა 9 სეკტემბრამდი არ დაიწყება. სწავლა ჩვეულებრივათ დაიწყო ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიასა და სასეირნო სასწავლებელში.“
- ,,ახლად გახსნილ ნინო გრიგოლის ასულის ლაფერაშვილის მოსამზადებელ სპეციალურ სასწავლებელში, რომელიც იმყოფება ივანოვის ქუჩაზე მეცადინეობა დაიწყება 10 ეკენისთვეს. სწავლის ფული ყველასათვის ხელმისაწვდომია.“

,,მასწავლებელმა ქალმა ანნა ჟღენტმა ეთნოგრაფიული საზოგადოებისათვის გადასაცემათ, ჩვენს რედაქციას გადასცა ოთხი ცალი ვერცხლის ფული. ეს ფული უპოვიათ ს. ქვარციხეში მიწაში ქოთნით, რომელიც ებრაელ მოვაჭრეებს უყიდიათ“. ამავე მასწავლებელს ჰქონია ვახტანგ მეფის კანონების წიგნი ხელ-ნაწერი, აგრეთვე ხუცურ ენაზე ნაწერი ,,ჟამნი” ბეჟან ავალიშვილის ნაქონი. პატრონს სურდა ეს წიგნები ეთნოგრაფიული საზოგადოებისათვის გადაეცა.

მარიამ ყაუხჩიშვილი (1866-1939)

,,ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა” და ქუთაისის ქალთა საზოგადოების აქტიური წევრი. ქალთა კერძო გიმნაზიის დირექტორი.

„სასოფლო გაზეთი“. 1912-1918. ყოველკვირეული სამეურნეო საოჯახო ჟურნალი. ქუთაისი. - თბილისი. რედ.-გამ.-თ. პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე.
პოპულარული აგრონომიული ჟურნალი.
1912 წ. N1 (25/XI) – N6 (?)
1913 წ. N7 (?) – N53 (25/ XII) წლიური საძიებლით
1914 წ. N1 (1/I) – N28 (3/VIII)
1915 წ. N1 – N20
1916 წ. N1 – N24
1917 წ. N1 – N14
1918 წ. N1, N2

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912
ავტორი: ილია წინამძღვრიშვილი

,,დედაკაცისთვის საჭიროა სამეურნეო ცოდნა, თუ არა?

,,დედაკაცს ცხოვრებაში უპირველესი ალაგი უჭირავს. დედაკაცით არსდება ოჯახი და დასაწყისი სკოლა შვილებისთვის. ოჯახში, დედ-მამის კეთილ თვისებით მოზარდი შვილები იწვრთნებიან, ზნეობით მაღლდებიან, ჭკუა-გონებით ვითარდებიან და სწავლით მდიდრდებიან. ოჯახის ზნეობითი მიმართულება ბადებს შვილის გულში სამშობლოს სიყვარულს, აჩვევს შრომას და აყენებს კეთილ გზაზედ.“

ძველი ოჯახი არ ეთანხმება ეხლანდელ ოჯახს. ძველ ოჯახში ყველა წევრი, დედ-მამის გავლენით ყველაფერს აკეთებდა, რასაც ოჯახის საჭიროება მოითხოვდა. ამ დროს ოჯახში ყველა წევრებთან ერთად ქალიშვილებიც ეჩვეოდნენ: ,,ქალები ალაგებდნენ, სწმენდნენ სახლსა, ჭრა-კერვით საქმობდნენ, სამზარეულოში ოჯახს საჭმელებს უმზადებდნენ, იკერავდნენ ტანსაცმელს, ქსოვდნენ ოქრო მკერდით, აბრეშუმის და ფერადი ძაფით ბალიშებს, მუთაქებს, სუფრებს, ხალიჩებს, ფარდაგებს და სხვა და სხვა სამკაულს, ყველას კაცი ვერ ჩამოთვლის.“

კვირა დღეობით ქალიშვილები წირვა-ლოცვას ისმენდნენ, უქმე დღეს ხელნაწერ ,,ვეფხისტყაოსანს” კითხულობდნენ, ამზადებდნენ ტკბილეულობას ოჯახისა და სტუმრებისთვის.

ქართულ ოჯახში ბევრი ქალია უმაღლესი განათლებით, რომლებიც ირჩევენ მასწავლელობას, ექიმობას, აფთიაქში მუშაობას. ,,მეურნე ქალები კი ჩვენში იშვიათნი არიან. ეს ნაკლი სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ უნდა შეავსოს. დაარსებით ქალთათვის სამეურნეო სასწავლებლისა, თავისი შემკული ფერმით, ყველა სამეურნეო დარგითა, სავარჯიშოთ მოსწავლე ქალებისთვის და ამ სკოლების საშვალებით გამოიწვიოს ქალები, მოსურნენი სამეურნეო სწავლის და ცოდნისა საკეთილოდ ოჯახისა და საზოგადოებისა.“

საქართველო სამეურნეო ქვეყანაა, მაგრამ აქ მაინც მაღალ დონეზე არ იციან მიწის მოვლა, სასუქით გამდიდრება და დათესილ მცენარეთა პატრონობა. დედაკაცებს რომ ქონდეს სამეურნეო სწავლა-ცოდნა, მაშინ ისინი საკუთარ მამულს რიგიანად მოაწყობენ და ოჯახსაც დიდ სარჩო ქონებას მისცემენ.

,,ჩვენი მანდილოსნები ერიდებიან სოფელს, ეჩოთირებათ იქ ცხოვრება. ჩვენი ქალები თავისი ცოდნით და სწავლით, რომ დაუახლოვდნენ სოფელს, უფრო ჯანმრთელნი იქნებოდნენ და ძალა-უნებურათ შეეჩვეოდნენ სამეურნეო შრომას; ბევრ სიკეთეს შეიტანდნენ სოფელში და მით გამოიყვანდნენ მკვიდრთ სიბნელისაგან, რომელიც დღეს ჟამთა ვითარებით მოცულნი არიან."

საერთოდ, სამეურნეო სწავლა კაცს ცოდნას აძლევს, აჩვევს სამეურნეოო მუშაობას, მიწის წესიერად შეკეთებას, ხვნას, თესვას, ღვინის დაყენებას, ვაზის და ხეხილის დამყნობას, შეწამვლას, აბრეშუმის ჭიის მოვლას, ფრინველებისა და საქონლის მოშენებას, მეფუტკრეობას და სხვა.

ერბო-კარაქის და ყველის გაკეთებას, ტყის მოშენებას, ბამბისა და კანაფის გაშენებას. სამეურნეო იარაღის ხმარებას. ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედების ქვეყანაა, სადაც თავად-აზნაურობა და გლეხი მამულით სცხოვრობს. ამ გარემოებით მათ საშვილიშვილოთ უნდა შეინარჩუნონ და სარჩოს მოსაცემათ უნდა გაამდიდრონ თავისი მიწები.

ეხლანდელი ცხოვრება ყოველივე ამ საქმეს არამარტო კაცებისაგან არამედ ქალებისაგანაც მოითხოვენ, რადგან ,,მამა-კაცის სიკვდილის შემდეგ რჩება მამული, წვრილ -შვილი უპატრონოდ ცოლის ანაბარად. მამულის მართველად, მანამ შვილები წამოიზრდებიან და გახდებიან უფლებით სავსე ოცდაერთის წლისა, სამსჯავრო ალაგი ნიშნავს შვილების ზრუნველათ დედას. თუ დედას სამეურნეო ცოდნა და სწავლა არ ექნება, მას გაუჭირდება რიგიანად და წესიერად მამულის მოვლა."

თუ დღევანდელ მდგომარეობას თვალს გადავავლებთ, რუსეთისა და სხვა ევროპული სახელმწიფოებს შორის ომის ამბებს გადავხედავთ, აშკარად დავინახავთ, რომ საომრად წასული ოჯახის უფროსს რჩება ცოლ-შვილი და თუ ქალს არ ექნება სათანადო სამეურნეო ცოდნა, ცხადია, ოჯახს ვერ წაუძღვება.

,,ქალები ვერ გაიკიცხვებიან იმით, რომ ისინი არ სწავლობენ მეურნეობას, რა ქნან... მთელს საქართველოში დღევანდლამდე არ არის ქალთათვის არც დაბალი, არც მაღალი სამეურნე სასწავლებელი. ვისაც სურვილათ აქვს მეურნეობის შესწავლა და საშვალება მიუძღვის, გადის საზღვარ-გარეთ, შვეიცარიაში ან სხვადასხვა ევროპის ქალაქებში, სადაც სამეურნეო სასწავლებელია, იქ სწავლობს და ვარჯიშობს. აი ამისი მაგალითი: თავადის ქალმა ეკატერინე ლევანის ასულმა ჯანდიერმა შეისწავლა მეურნეობა შვეიცარიაში და დაამთავრა სწავლა. დღეს ამ ქალ-აგრანომმა კახეთში თელავის მაზრაში, სოფელ ვაჩნაძიანში, მამის მამულში მოაწყო ყველა მეურნეობის დარგი სამაგალითოდ, როგორც სწავლა-მეცნიერება იმას მოითხოვს. მეურნეობა იმას დიდათ ახალისებს და სწამს იმისი სიკეთე ოჯახისა და საზოგადოებისათვის."

ამ ქალის კეთილმა მაგალითმა მკვიდრ ქალთა თანაგრძნობა გამოიღო და სოფლის მუშაკთა შკოლა შესდგა, რომლის მოსწავლეები არიან როგორც თავადის, ისე გლეხის ქალები. თავადი ჯანდიერის ქალის ხელმძღვანელობით ისინი სწავლობენ ვენახში, ბაღში საფუტკრეში საქმიანობას და ჭიის მოვლა-მოშენებას.

ჩვენმა მანდილოსნებმა რაკი შეიგნეს სიკეთე სამეურნეო ცოდნისა, იმედია ქალთა სამეურნეო სკოლასაც დაარსებენ.

,,ვიმეორებთ, მეურნეობა დიდ ცლილებას შეიტანს ქალთა ცხოვრებაში. ცოლი ქმარს გვერდში ამოუდგება და ერთად გასწევენ ცხოვრების მძიმე უღელს... ასეთ დედებს დიდი ზნეობრივი გავლენა ექნებათ თავიანთ შვილებზე, შეაჩვევენ იმათ საქმიან ცხოვრებას, ჩაუნერგავენ გულში ოჯახის სიყვარულს და დაიხსნიან ისეთ საქმისაგან, რომელიც ხრწნის მომავალ თაობას."

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912
ავტორი: ნ.გ.

,,ქალები და კოოპერაცია“

ამ დიდმა საერთაშორისო ომმა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ნაკლი და უწესრიგობა გამოააშკარავა. მათ შორის უპირველესი ადგილი უკავია ჩვენი კოოპერატივების ცალმხრივობასა და მის მიერ გამოწვეულ უხერხულობას.

,,მოგეხსენებათ ჩვენს კოოპერატიულ დაწესებულებებში დღემდი მსახურობენ მხოლოდ მამაკაცები, ქალები კი ძალიან ნაკლებათ იღებენ მონაწილეობას ამ დაწესებულებათა მოქმედებაში, თითქოს შევრიგებოდეთ იმ აზრს, რომ კოოპერაცია მათი საქმე არ იყოს.“

პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოში საოჯახო საქმეებს მრავალი მუშა ხელი მოაშორა, რითაც კოოპერატივებს გამოგლიჯეს მისი წევრების დიდი ძალა.თუ ომამდე კოოპერატივებში ორი-სამი გამოცდილი ხელმძღვანელი იყო, ამჟამად ერთსაც ვერ პოულობენ, ვისაც ანგარიშის საქმე გაეგება რამ. ასე, რომ კოოპერაცია დიდ ზიანს განიცდის ჩვენში.

,,თუ მშვიდობიან დროში ქალები რაიმე მიზეზის გამო განზედ უდგნენ კო–ოპერატიულ მოძრაობას, ეხლა, ამ საშინელ განსაცდელის დროს, ხომ გვაქვს საბაბი, რომ ისინი არ დაიშურებენ თავის ენერგიას და შრომის უნარს გამოიჩენენ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებათა მუშაობაში, განსაკუთრებით ამ ჟამათ, როცა ქალები მარტონი არიან ოჯახში და საზოგადოებაში, დაყრდნობილნი თავის საკუთარ ძალ ღონეზე, უფრო დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ მიიღონ კოოპერაციის სასარგებლო მუშაობაში მონაწილეობა“.

აუცილებელი საჭირო საგნების გაძვირებამ და კრედიტის საჭიროებამ ქალებს უნდა გაუღვიძოს სურვილი საქმის შესწავლისა, ვინაიდან მომხმარებელთა დუქნები, საუკეთესო საშუალებაა სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

,,სოფლებში საზოგადოთ ნაკლებია განათლებული კაცები, რომელთაც შეეძლოს კოოპერატიულ დაწესებულებათა საქმეს კარგად გაუძღვენ, ჩვენ კი საკმაოთ გვყვანან გიმნაზია დამთავრებული ქალები, რომელთაც შეუძლიათ სოფლებს დაეხმარონ კოოპერატივების მართვა-გამგეობაში“.

წერილის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თანამედროვე პროვინციელ ქალთა შორის საზოგადოებრივი გრძნობა ძალიან სუსტადაა განვითარებული. მაგრამ ამავე დროს ცხადია, ის რომ ადამიანი პირობების მიხედვით იცვლება და ჩვენს ქალებშიც მოხდება საკეთილო ცვლილებები თუ ისინი ხელს მოკიდებენ კოოპერატიულ დაწესებულებაში საქმიანობას.

,,გვწამს, ჩვენს ქალებშიაც მოხდება საკეთილო ცვლილება და ისინი მოჰკიდებენ ხელს მოღვაწეობას ამ გაჭირვების დროს. არა ერთი და ორი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ქალები სამოღვაწეო ასპარეზზე დიდ უნარს იჩენენ და მამაკაცებს ტოლს არ უგდებენ“.

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N1, 8 მარტი, 1912
ავტორი: მუჩიტო ხუნდაძის ქალი

,,ომი და ქალები“

ომმა ყველაფერს ფერი უცვალა, მაგრამ ბუნება ისევ უცვლელი დარჩა. ზამთარი მიიწურა და მოახლოებულმა გაზაფხულმა თავისი ძალა გვაგრძნობინა იმით, რომ ბუნებაში კვლავ იღვიძებს სიცოცხლე. სოფელში აკვამლებული მიწა კვლავ უცდის მადლიან მარჯვენას, რათა მისი ხელით მიმობნეული თესლით ხვავი და ბარაქა დააყენოს.

ამაოთ უცდის აკვამლებული მიწა მოამაგის ძალღონით სავსე მარჯვენას. მაშინ, როცა ახალგაზრდობა სოფლებიდან აიკრიფა.

,,წლიური საზრდო აუცილებლათ უნდა მოვიყვანოთ. ახალგაზრდა ვაჟები ომში მიდიან, მაგრამ მათი ტოლი, ჯან-ღონით და სიცოცხლით სავსე ქალები შინ დარჩნენ, გაცარიელებულ სოფლებში. თუ ისინი უწინ ყანაში მომუშავე მუშებს, ქმრებს და ძმებს მხოლოთ საჭმელს უზიდავდენ და იმედით შეჰყურებდენ მათი მარჩენალის მიერ მარჯვეთ მოქნეულ თოხს - ახლა თვითონ უნდა გაიდვან თოხი მხარზე და დაობლებულ ველ-მინდვრებს უნდა მოეფინონ თავისი და ქვეყნის საზრდოს მოსაყვანათ. ახალგაზრდა ქალებს ამისი ძალა შესწევთ“.

ქალებს ლაღი ბუნების წიაღში აღზრდილთ, რომელთაც დაუხარჯავი ენერგია გააჩნიათ სიღარიბისა და გაჭირვების ატანა შეუძლიათ. ისინი სამუშაოზე ომში წაყვანილ ძმებსა და ქმრებს შეცვლიან და შრომის უნარს გაიორკეცებენ. მათმა გამრჯე ხელებმა უნდა ააცდინოს ქვეყანას მოსალოდნელი შიმშილი.

,,მადლიერი ხალხი კი შთამომავლობას გადასცემს იმათ ღვაწლს, ვინც ქვეყანას მხრებში შეუდგა და ობლობის დროს ნამდვილი დედობა გაუწია ნორჩ თაობას.“

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N10, 16 მარტი, 1914

,,ქალთა სამეურნეო ინსტიტუტი“

,,ქალაქ ნოვოჩერკასკში არსდება ქალთა სამეურნეო ინსტიტუტი. ამ სასწავლებ-ლისთვის ადგილობრივ ქალაქის საბჭოს 55 დესეტინა მიწა შეუწირავს“.

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N22, 22 ივნისი, 1914
ავტორი: ვ.ქიქოძე.

,,დედა-კაცი და სასოფლო მეურნეობა“

უხვ ბუნებიან კავკასიაში, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე სხვადასხვა ჰავა და ნიადაგია მეურნეობის შესწავლა და მოწყობა არც ისე ადვილია. ჩვენ ხალხს, რომელსაც მოუთმენარი და აჩქარებული ბუნება ახასიათებს გულისყური არ ყოფნით ნიადაგის მშვიდად შესწავლისათვის. წარუმატებლობის შემთხვევაში, მაშინვე სასოწარკვეთილებაში ვარდებიან ან ხსნას მამულის გაყიდვაში ხედავენ.

აბა, დაუკვირდით რამდენი ცნობილი გვარისშვილი და მემამულე უბრალო მოხელედ მუშაობს და გასამრჯელოდ მხოლოდ 25 მანეთს იღებს თვეში. მაშინ, როცა

თავის მამულში მეტის გაკეთება შეუძლია და თავის ბატონ-პატრონიც თავადვე იქნებიან.

,,ამ ნაირათ სოფლის მამულის და მეურნეობის შეძულებას და მიტოვებას, რაშიაც დიდი წილი ქალებსაც უდევს, მოჰყვა ის რომ მწარმოებელთა რიცხვი დღითი-დღე მცირდება, და პირიქით მრავლდება რიცხვი მომხმარებელთა, რაც დიდათ უშლის ხელს ცხოვრების ეკონომიური განვითარების საქმეს ჩვენს ქვეყანაში. უმთავრესი წარმოება საქართველოში მეურნეობა გახლავთ. რაც უფრო საფუძვლიანია სამეურნეო ცოდნა მით უფრო წინ მიდის მატერიალური მდგომარეობა.

მოგეხსენებათ, რომ სოფელი ხომ ერთეულ ოჯახებისაგან შესდგება. თუ მდინარეს სათავენი მღვრიეა და ბინძური აქვს, მაშინ მთელი მდინარეც გაბინძურებული იქნება. თუ ეს ერთეულები სოფლის შემადგენლობისა - ოჯახი, გლეხის იქნება ის თუ თავადის ან აზნაურის სულ ერთია, არ არის ზნეობრივი, შრომის მოყვარული, მაშინ მთელი სოფელი უზნეო, ზარმაცი და ღარიბია.

პირიქით შრომის მოყვარულ ოჯახებისაგან შემდგარი სოფელი მატერიალურათ ყოველთვის წინ სდგას და ზნეობაც მეტი არის იქ დაცული. ოჯახის მართვა-გამგეობა ყოველთვის ქალს აქვს ხელში და მისი თავიც ის არის. შემცდარია ის, ვინც ფიქრობს რომ მამა-კაცი თვით ოჯახში უმთავრეს როლს თამაშობდეს. აბა გადახედეთ ოჯახებს, სადაც ქალი (ოჯახის დედა) ზნედაცემულია, ზანტია და შრომის უნარს არის მოკლებული, იქ მთელი ოჯახის საქმე არეულ-დარეულია და შიგ საერთო გარყვნილება და სიზარმაცეა გამეფებული. და როდესაც ოჯახს ზნეობრივათ მაღლა მდგომი, შრომის მცოდნე და მოყვარული ქალი განაგებს, მაშინ იქ ყველაფერი თავდარიგზე არის, ყველა შრომას ეჩვევა და ეწევა და ზნეობაც კარგად არის დაცული“.

ბუნებრივია, ასეთი ოჯახებიდან გარყვნილები და ავაზაკები არ გამოდიან. მაშასადამე, დედის ზნეობრიობა დიდ როლს თამაშობს მომავალი თაობის აღზრდისათვის.

ასევე ქალის ზნეობრივ ძალსა და შრომისმოყვარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ოჯახის წარმატებისათვის ასევე მასზეა დამოკიდებული საზოგადოების ბედ-იღბალიც.

,,ჩვენი დროის მოწინავე ქალები დიდათ არიან დაინტერესებული ხელოვნებით, განყენებული მეცნიერებით, საზოგადოთ ყველაფრით, რაც მამაკაცისათვის საინტერესოა, მაგრამ საუბედუროთ მეურნეობა კი ძალიან ნაკლებათ აინტერესებთ. ეჭვი არ არის, რომ ქალი მეურნეობის შესწავლაშიაც საკმაო უნარს და ნიჭს გამოიჩენს.“

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N23, 29 ივნისი, 1914
ავტორი: ვ. ქიქოძე.

,,დედა-კაცი და სასოფლო მეურნეობა“
(დასასრული)

ჩვენს მეურნეობაში ბევრი ისეთი დარგია, რომელიც ზედგამოჭრილია ქალისათვის ,,ავიღოთ მაგალითად მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, შინაური ფრინველების მოვლა, მოშენება, მეწალკოტეობა, მეაბრეშუმეობა, ხილის ხმობა და კონსერვების კეთება და სხვა მრავალი ამგვარი. როდესაც მამა-კაცი სახლს გარეთ გადის სამუშაოთ, ან და სხვა რომელიმე მძიმე დარგს მეურნეობისას წინ მიუძღვის, ქალს ამ დროს სახლში ასეთი ფიზიკურათ ადვილათ შესასრულებელი, მაგრამ სარგებლიანი და საყურადღებო საქმე რჩება.“

ჩვენი კუთხის ბუნების სიუხვისა, ჩვენში მაინც ვერ შეხვდებით ხეირიან ბოსტანსა და ხეხილს. თუ კარგი ჯიშის ხილი დროზე არ გაიყიდა გვილპება. არ ვიცით მისი ხეირიანი გახმობა და გამოყენება. ასე გვემართება მეფუტკრეობაშიც, მაშინ როცა თაფლი საუკეთესო საზრდოა ბავშვებისათვის. იმისათვის რომ მიღებული პროდუქცია შესაფერისად შევინახოთ და გავყიდოთ ამისათვის საჭიროა ქალთა სამეურნეო და პროფესიონალური სასწავლებლები.

ასეთ სასწავლებლებში უნდა შევიდეს ისინი, ვისაც გიმნაზიისა და უმაღლესი კურსების დამთავრების საშუალება არა აქვს.

,,რუსეთის სატახტო ქალაქში, პეტერბურგში, ქალთა გიმნაზიები თითქმის მეტია, ვიდრე მთელ გერმანიაში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვითომ და რუსეთი უფრო წინ იდგეს განათლებით გერმანიაზე. პირიქით გერმანია სწავლა-განათლებით თითქმის ყველა სახელმწიფოებზე წინ სდგას, იქ მეურნეობას და პროფესიონალურ ცოდნას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. გიმნაზიაში (ქალების) შედიან მხოლოდ მილიონერების და უმაღლესი არისტოკრატების შვილები, გლეხ-კაცობა და საშვალო წოდების ხალხი გიმნაზიაში შვილის მიცემას, რაიმე პროფესიონალური და სამეურნეო სასწავლებელში მიცემას ამჯობინებენ.“

სამაგიეროთ დღეს გერმანელი გლეხი გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ჩვენებური თავადაზნაურობა, რადგან მათ ოჯახში ქალიც, კაციც, დიდიც თუ პატარაც შრომის მოყვარული და მცოდნეა.

,,დღეს ჩვენი დედები და დები სოფლის მამულის მართვა-გამგეობას (ვისაც გაუყიდელი დარჩენია) დაქირავებულ პირს აძლევენ და თვითონ ქალაქებში, უსაქმოთ მოწყენილნი ფერ-უმარულის, მოდის კაბა შლიაპების ფიქრში და ლოტო-ბანქოს თამაშში კლავენ დროს. ისინი მეურნეობის ცოდნით აღჭურვილნი სოფელს დაუბრუნდებიან, გამოაცოცხლებენ მას და, წარმოგვიშობენ ჩვენს საღს და ენერგიით სავსე და ჯაფის მოყვარულ ახალგაზრდა თაობას“.

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N24, 6 ივნისი, 1914

,,ახალი საქალებო სამეურნეო სასწავლებელი“

ინფორმაცია გვამცნობს, რომ თბილისში, კვირას, 9 თებერვალს, ,,ქართველ სათავად-აზნაურო საქალებო გიმნაზიის ტიპის გამოსარკვევათ კომისიას კრება ჰქონია. საქმის დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ სასურველათ უცვნია სასოფლო სამეურნეო ტიპის სასწავლებელი გაიხსნას“.

გაზეთი ,,სასოფლო გაზეთი“ N24, 6 ივნისი, 1914

,,რას უნდა ჭამდეს მეძუძური ქალი“

,,პირველ ორმოცი დღის მერე - შემდეგ მშობიარობისა, მეძუძური ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს ცოტ-ცოტაობით იმავე საჭმელ-სასმლის ხმარებას, რასაც ჩვეულებრივათ ხმარობდა. მავნებელია მეტისმეტი სიფრთხილე საჭმლისა და არჩეული სმა-ჭამა.

მეძუძურმა ქალმა არ უნდა დაივიწყოს,რომ აუცილებლად საჭიროა თვითონაც იმ საზრდოს დაუბრუნდეს, რასაც ის ლოგინობამდე კარგად ირგებდა და ბავშის კუჭიც შეაჩვიოს იმ საზრდოსგან შემდგარ რძის შერგებას“.

სოფლებში გავრცელებულია ცრუ აზრი, თითქოს ღვინო მატებდეს მეძუძურ ქალს რძეს. ეს გავრცელებული აზრი უარსაყოფია. რძეს მატებს ქალს უბრალოდ მომზადებული უხორცო წვნიანი, რომელსაც ,,სუპს“ ეძახიან.

ასეთ წვნიანს სხვადასხვა ძირეულობისაგან ამზადებენ, როგორიცაა: სტაფილო, ოხრახუში, ცერეცო, კამა, კომბოსტო, ხახვი და კარტოფილისგან მოხარშული წვენი, რომელსაც გაწურვის შემდეგ ათქვეფილ კვერცხს შეურევენ და ცეცხლიდან გადმოდგამენ. მას შეიძლება დაემატოს ჭიქა რძე ან პამიდორის წვენი.

ასევე მეძუძურისათვის სასარგებლოა კვერცხი, რძე, მაწონი, რძიანი ჩაი, ახალი ყველი. ,,სმა - ჭამაც ზომიერი უნდა და ხშირი - სამ - ოთხ საათში ერთხელ. სააზრდოობის გარდა, მეძუძურს უნდა ახსოვდეს, რომ სუფთა ჰაერსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დედისა და ბავშვისათვის.“

„თანამედროვე ქვეყანა“. 1913. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ. - ნ. ჯანელიძე. (ი. კილაძე მსწრაფლმბეჭდავი). სოც. -დემ. მიმართ. ორგანო; სულ გამოვიდა:
1913 წ. N1 (25/IV) –N32 (31/VII) და N33 (24/IX) – N38(29/IX), თით. 4 გვ.
მთავრობის მიერ შეჩერებულ იქნა დროებით მაისში და ივნის (1913), შემდეგ აღკვეთილ იქნა სამუდამოდ (იხ. ,,იმერეთი“ 1913 ნოემბრის 25 ნოემბერი, ქრონიკა).
გაზეთის დროებით შეჩერების პერიოდში გამოდიოდა ,,სიმართლის ხმა“ (1913-1914).

გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა“ N3, 27 აპრილი, 1913

,,ქალთა მოძრაობის ქრონიკა“
რუსეთი

,,სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იყო პროექტი ქალთა საფაბრიკო ინსპეკციის შემოღების შესახებ. თავის მხრით ქალთა თანასწორობის ლიგამ ბევრი იმუშავა ამ საკითხზე, და ეგონა ამას თანაგრძნობით მოეკიდებოდენ უმაღლეს წრეებში, რადგან დასავლეთ ევროპაში ასეთი თანამდებობა უკვე არსებობს და საქმეც ჯეროვნადაც მიყავთ. მაგრამ მინისტრების საბჭომ უარყო სახელმწიფო სათათბიროს 33 წევრის წინადადება. საზოგადოთ ქალთა უფლების გაფართოების შესახებ შეტანილ პროექტებს უგულოთ ეგებებიან მმართველ წრეებში“.

ყველამ კარგად იცის თუ როგორაა გავრცელებული ალკოგოლიზმი რუსეთში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მარტო სამოქალაქო სასწავლებლებში 92% მამრობითი სქესის და 79% მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ეტანებიან სპირტიან სასმელებს.

ყოველივე ეს გადაგვარების გზაზე აყენებს მათ. ეს სენია სწორედ პროსტიტუციისა და ვენერიულ დაავადებათა წყაროც, რომლებიც საბოლოოდ თავშესაფარში ან ციხეში ამთავრებენ სიცოცხლის უკანასკნელ წამებს.

,,ამის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა მასის ფართო განათლება: შკოლების, სამკითხველოების, სახალხო უნივერსიტეტების დაარსება და სხვ.

ქალთა თანასწორობის ლიგამ აღძრა შვამდგომლობა პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რომ პატარა მარმარილოს დაფა იქნეს გაკეთებული იმ სახლზე სადაც ცხოვრობდა, შრომობდა და სული დალია გამოჩენილმმა მოღვაწე ქალმა ქალთა მოძრაობის სფეროში, ქ-ნმა ფილოსოფოვმა, და ზედ შესაფერი წარწერა იქნეს: ,,აქ ცხოვრობდა და გარდაიცვალა ანნა პავლეს ასული ფილოსოფოვისა“.

ქალთა ემანსიპაციის იდეა ციმბირის მუსულმანთა ქალებშიაც შეიჭრა“.

ტომსკის გაზეთი ,,სიბირია“ მოგვითხრობს თუ როგორ ამხედრდენ ჰარამხანების წინააღმდეგ ქალები, რადგან ისინი თავიანთ ცხოვრებას ასეთი ქცევისათვის არანორმალურად მიიჩნევენ. თხოულობენ შკოლების გაღებას ქალთათვის და მათი უფლებების გაფართოებას ოჯახსა და მის გარეთაც. ,,ტაშკენტში სენსაცია მოუხდენია ორი მუსულმან ქალის უჩადროთ გამოსვლას“.

გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა“ N16, 12 ივლისი, 1913
ავტორი: ორსოფლელი

,,სახალხო მასწავლებლების კურსები ქუთაისში“

,,20 ივნისს ქუთაისში ინსპექტორ გროზდოვის ხელმძღვანელობით გაიხსნა სამინისტროს სკოლების მასწავლებელთა კურსები, რომელიც გუშინწინ დაიხურა. ამ კურსებზე მოწვეულ მასწავლებლებს წინასწარ დაურიგდათ დირექტორის მიერ კითხვები, რომელზედაც უნდა გაეცათ სათითაოდ პასუხი. შემდეგ, ყველა მასწავლებელთა პასუხებიდან უნდა შემუშავებულიყო საერთო კითხვებზე პასუხი. მოწვეულნი იყვნენ ყველა ახალგაზრდა გამოუცდელი მასწავლებლები, (რიცხვით 40, მათ შორის იყვნენ ქალებიც). კურსებზე დირექციის მიერ მოწვეული იყვნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პოლიტიკის ყურმოჭრილი მონები იქნებოდნენ და ყველაფერში კვერს დაუკრავდნენ.“

ნაწილობრივ მიზანს მიაღწიეს, მაგრამ მასწავლებელთა შორის ისეთიც აღმოჩნდნენ, რომლებიც დირექციის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ. ცხადია, კურსების ხელმძღვანელს ეკლად ესობოდა მათი გამოსვლები, მაგრამ რას იზამდა. კურსების გახსნის დღეს სიტყვები წარმოსთქვეს სახალხო სკოლის დირექტორმა კრუბსკიმ, ინსპექტორმა გროზდოვმა, რომელმაც თავის სიტყვაში ,,მამობრივად“ დამოძღვრა დამსწრენი: ,,იყავით გულწრფელნი და ყოველთვის თქვენი აზრი თავისუფლად გამოთქვითო“. მის სიტყვას მასწავლებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ. იმ დღესვე, არა მოწვეულმა მასწავლებლებმა ინსპექტორ გროზდოვს სთხოვეს დასწრებოდა ლექციებს, რაზედაც მან ცივი უარი განაცხადა იმის შიშით, რომ ვინმემ ,,არა საიმედო არ შემომაპაროსო“. კურსებზე გასარჩევი იყო მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ,,რუსული ენა ისწავლებოდეს პირველ ენკენისთვიდან და არა პირველ იანვრიდან, მასწავლებლების უმრავლესობამ დაადასტურა. რას ნიშნავს ეს, თუ არა კანონის ფეხქვეშ გათელვას. გასარჩევი იყო ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სახელმძღვანელოების შესახებ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო კურსების ხელმძღვანელმა ბ. გროზდოვმა ამ საკითხს გვერდი აუარა, თუმცა ყოველთვის კამათის დროს ატარებდა აზრს გოგებაშვილის სახელმძღვანელოების უვარგისობის შესახებ.“

კურსების დახურვისას გროზდოვმა აღნიშნა, რომ სკოლაში პოლიტიკა არ შეიტანონ. ,,მისი აზრით, როგორც ვიცით, პოლიტიკას ნიშნავს სამშობლო ენის გამოქომაგება და სკოლაში საღი პედაგოგიური წესების შემოღება!“

გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა“ N16, 12 ივლისი, 1913
ავტორი: ალექსანდრა ცერცვაძისა.

,,მუშათა ქალების მდგომარეობა ჩვენში“

დღევანდელ გაზეთებში ვკითხულობთ წერილებს, რომლებიც მოგვითხრობენ მუშა კაცების მდგომარეობაზე, მათ ავსა და კარგზე.

სამწუხაროთ ,,მუშა ქალების შესახებ ნაკლებათ იწერება წერილები, მეტადრე ჩვენებური მუშა ქალები სულ მივიწყებულია, ასე გეგონება თითქოს მუშა ქალები ჩვენს ქვეყანაში არც კი იყვენ. ვინ არ იცის რომ ცხოვრებასთან ბრძოლამ, ლუკმა პურის ძებნამ ძველებურ ოჯახს მამაკაცთან ერთად ქალებიც მოსწყვიტა, და ქალებიც იძულებულნი გახდენ შრომით პური ჭამონ, სხვადასხვა სახელოსნოებში და ქარხნებში მათაც იმავე აუტანელ პირობებში მუშაობენ (და ზოგჯერ უარესშიაც), როგორშიაც მამაკაცები მუშაობენ.“

მამაკაცები თავიანთ გასაჭირს გაზეთის საშუალებით უზიარებენ ერთმანეთს და იბრძვიან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

,,ჩვენ კი ამ დროს ქალები, მუშა ქალები რას ვშვრებით, რათ ვართ მდუმარე, რატომ ხმას არ ვიღებთ? ნუთუ ცხოვრებით ჩვენ კმაყოფილი ვართ, მოპოებული გვაქვს ადამიანური უფლებები და საბრძოლველ - მოსაპოებელი აღარაფერი დაგვრჩა? დიახაც, რომ ბევრი რამ გვაქვს, მოსაპოებელი და საბრძოლველი, მაგრამ ჩვენ ყურზე გვძინავს, არ ვცდილობთ გათვითცნობიერდეთ, ერთი მეორეს სასიამ-მწარო გავიგოთ, ერთი მეორეს თანავუგრძნოთ".

მაშინ, როცა ჩვენი ძმები, დღიური შრომით მოქანცულნი საღამო სკოლაში მიდიან, ლექციებს ესწრებიან, კამათობენ, მსჯელობენ, ვითარდებიან. ხოლო ქალები ჟურნალ-გაზეთების კითხვის მაგიერ და ამხანაგობაში ჩაწერის ნაცვლად ხმას არ ვიღებთ და სიმართლის თქმას გაურბივართ. უკვე დროა დაქსაქსულობისა და ჩამორჩენილობის ნაცვლად გამოვფხიზლდეთ და გავერთიანდეთ.

,,დროა ჩვენც მოვიახლოვოთ ცხოვრების გაუმჯობესება, ჩავეწეროთ ჩვენც მამაკაც მუშებთან ერთად ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებში, თავი დავანებოთ კოპწიაობას და კავალრებთან ბულვარის ტკეპნას. დარწმუნდით, რომ ამით ჩვენ ბევრს მოვიგებთ და ჩვენი მუშური თანაგრძნობით ჩვენს მოძმე მუშა კაცებსაც გავამხნევებთ."

საჭიროა დაუმტკიცოთ კაცებს, რომ ჩვენც იგივე მუშები ვართ და ჭირში და ლხინშიც მათ გვერდით ვდგავართ. ყოველივე ამით ჩვენ ავმაღლდებით და დღეს, როცა მუშა კაცებს მარტო ,,სასიამოვნო" ქმნილებად მივაჩნივართ ჩვენზე აზრი შეეცვლებათ, რადგან საერთო ფერხულში თუ მათთან ერთად ჩავებმებით.

გაზეთი ,,თანამედროვე ქვეყანა" N36, 27 სექტემბერი, 1913
ავტორი: დ-ნი.

,,ს.აცანა (გურია)

,,აქ არსებობს ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ერთ - კლასიანი საქალებო. ამ ორის წლის წინეთ მოინდომეს გაღმა აცანაში გაეხსნათ ერთ კლასიანი სასწავლებელი. ამის შესახებ თხოვნაც გაგზავნეს სადაც საჭირო იყო და მიიღეს გახსნის ნებართვაც. ახალი შენობის გაკეთებამდე სკოლა მოათავსეს ნაქირავებ შენობაში. 1 წელიწადს ასე იყო. საზოგაოებამ მიხვდა, რომ ქირის ხდით ზარალობდა და მოინდომა სახლის ყიდვა. სახლი მთელ საზოგადოებას უნდა ეყიდა, მაგრამ აქ სხვანაირათ დატრიალდა საქმე. ამავე დროს გამოღმა აცანამ მოინდომა არსებულ სასწავლებელზე მეორე სართულის აგება. დახმარება სთხოვეს მთავრობას."

საზოგადოებამ პირობა დასდო, რომ სოფლის ორივე ნაწილში გააკეთებდენ სასწავლებლისათვის ახალ შენობას. თავდაპირველად დაიწყეს გამოღმა აცანის სასწავლებელზე მეორე სართულის გაკეთება, ხოლო გაღმა აცანაში კი სასწავლებლის შენობა კი შეასწორეს.როცა საზოგადოების მიერ არჩეულნი პირნი შეუდგა მშენებლობის ხარჯისათვის ფულის აკრეფას გაღმა აცანამ ფულის თანხის გადახდაზე ვუარი განაცხადა: ,,თუ გაკეთება გინდათ ორივემ ერთად გავაკეთოთ. და რაც მოგვიწევს ერთად გადავიხადოთო". ამაზე მთელი ალიაქოთი ატყდა.კვლავ აღიძრა საკითხი სამოსწავლო მთავრობის წინაშე საქალებო სასწავლებლის ორ კლასიანათ გადაკეთების შესახებ.

სამწუხაროთ, ,,ეს განზრახვა დიდი ხანია რაც მოკვდა, ყველამ მიივიწყა. მიივიწყეს აგრეთვე ერთ დროს მშვენიერათ მორთულ-მოწყობილი სამკითხველო, რომლის სახსენებელიც არაა დღეს. სამკითხველოს ბევრი წიგნები ქონდა, აგრეთვე ფულიც, ახლა კი არც ერთი სჩანს და არც მეორე".

„სიმართლის ხმა“. 1913-1914. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.ქუთაისი. მისი რედაქტორ-გამომცემელი - ლევ. პ. ბუაძე (ი. კილაძის მსწრაფლმბეჭდავი). სოც. დემ. მიმართ. ორგანო; იცემოდა გაზეთის ,,თანამედროვე ქვეყანა“-ს ნაცვლად.
სულ გამოვიდა:
1913 წ. N1 (8/V) – N25 (22/IX)
1914 წ. N1 (1/I) – N48 (28/II)

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N7, 15 მაისი, 1913

,,ქალთა მოძრაობის ქრონიკა“
რუსეთი.

საყოველთაოდ ცნობილია რუსეთში ახალგაზრდა ვექილ ქალთა ბრძოლა შესაფერის თანამდებობაზე მიღებისათვის, რათა მათ პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა. ისინი მაგალითად მუშაობენ: ,,ნატარიუსებთან, მდივნად ვექილებთან, გამოდიან ამა თუ იმ კომერციულ ფირმის წარმომადგენლათ, არკვევენ სხვადასხვა სამეცნიერო იურიდულ საკითხებს და საზოგადოთ ცდილობენ თავის ცოდნით ისარგებლონ.

ეგრე მუშაობენ ახალგაზრდა ვექილი ქალები სათანადო ასპარეზზე. მათი რიცხვი რუსეთში 150-200 უდრის. ისინი უმეტეს ნაწილათ თავს იყრიან საუნივერსიტეტო ქალაქებში, როგორიცაა პეტერბურგი, კიევი, ოდესა, ხარკოვი და სხვა.“

ახალგაზრდა ვექილ ქალებს თავიანთი უფლების დაცვა ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი,რომ მათ გადაწყვიტეს ვექილ-ქალთა პროფესიონალურ საზოგადოების დაარსება.

და, აი 2 აპრილს ,,1913 წელს პეტერბურგის ვექილთა კლუბის დარბაზში მოხდა ორგანიზაციული კრება ახლად შემდგარ პეტერბურგის იურისტკების საზოგადოებისა. ამ კრებას ხალხი ბლომათ დასწრებიან. ერთს დამაარსებელთაგანს - ქ-ნს ს. ე. რინკევიჩისას წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც გაუტარებია ის აზრი, რომ ახალ საზოგადოების მიზანს შეადგენს - კანონის სამსახური. ბეხტერევისა კი ,,ერთათ ერთი გზა, ძმური ერთობაა“. ჩაწერილა 55 ნამდვილი წევრი, თანამგრძნობელთა შორის პროფესორები: მ. პერგამენტი, პ. ს. ნიუბლინსკი, გამგეობის წევრებათ აურჩევიათ ქ-ნი ბეხტერევისა, ზაკი, ბაცი, ფლეიშჩიცი, რინკევიჩისა.“

- ,,ტომსკის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ანგარიშით მომავალ სამოსწავლო წელს 60 ვაკანსია იქნება ციმბირის მკვიდრ ქრისტიან ქალებისათვის დათმობილი“.

,,ქალთა მოძრაობა ოსმალეში“

ამ ცოტახნის წინათ სტამბოლში გამოვიდა პატარა ფორმატის ყოველდღიური გაზეთი ,,გატინლარ დიუნვასა“ (ქალთა ქვეყანა).

აღნიშნულ გაზეთს სათავეში მხოლოდ ქალები უდგანან. გაზეთის დაარსებასთან ერთად აუცილებლობამ მოითხოვა, მასთან დაკავშირებული ორგანიზაციის შექმნა, რომლის სახელი გახლდათ ,,ქალთა უფლებების დამცველი ოსმალთა საზოგადოება“.

მასში ჩამოყალიბებულია წესდება, რომელიც მიზნად ისახავს შემდეგ პირობებს: ,,წინასიტყვაობაში საზოგადოება აღნიშნავს ოსმალელ ქალთა შეგნებულ ცხოვრებისთვის გამოფხიზლებას, მისწრაფებას საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი, შეკავშირების, პროგრესის გზაზე შედგომას, თავის ცხოვრების მოწესრიგებას, სურვილს გონების ჰორიზონტის გაფართოებისას და სხვ.“

პოლიტიკურ უფლებების მოპოვება საზოგადოებას წესდების მიხედვით ჯერ კიდევ ნაადრევად მიაჩნდათ.

,,იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩარევა, - სწერენ წინასიტყვაობაში, - რომ განვითარდეს მათში შრომის მოყვარეობა და მომზადდეს განათლებული დედები, რომლებსაც შეეძლებათ აღზარდონ ხეირიანი ახალი თაობა, საზოგადოება საჭიროთ რაცხს:

1. ტანისამოსის შეცვლას
2. სახელოსნოების მოწყობას, რომლებშიც იმუშავებენ ქალები
3. ქალებში განათლების გავრცელება.“

პირველ რიგში ტანისამოსის შეცვლის დასმა, ერთი შეხედვით ეუცხოება მკითხველს, მაგრამ ამ საკითხის პირველ რიგში წამოწევა განპირობებულია იმით, რომ ,,ოსმალელ ქალებს მათი ნაციონალური ტანსაცმელი აცალკევებს სხვა სარწმუნოების მაღიარებელ მათ დებისაგან და ამასთანავე ჰქმნის მათთვის მონურ მდგომარეობასო.

მაგრამ ოსმალელ ქალებში ჯერ კიდევ იმდენათ ღრმათ აქვს ფესვები გადგმული, ძველ ჩვეულებებს, რომ საზოგადოება ვერ ბედავს ერთბაშათ შესცვალოს ტანისამოსი. საზოგადოების აზრით ტანისამოსის ფორმა ისეთი უნდა იქნეს, რომ ის არ ეწინააღმდეგებოდეს შარიატის მოთხოვნილებას და საზოგადოება გარდა ამისა მიზნათ ისახავს მოაწყოს სახელოსნოები და შრომის სახლები, რომლებშიაც იმუშავებენ ღარიბი ქალები, რომლებიც მოამზადებენ მზითვებს.“

საზოგადოება ასევე ცდილობს სკოლების გახსნას, ჟურნალ-გაზეთების გამოცემასა და ლექციების კითხვის მოწყობას. საერთოდ საზოგადოება იმედს იტოვებს, რომ მათ ამ საქმეში დაეხმარებიან მთელი ოსმალეთის ქალები განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა.

,,საზოგადოება უკვე შეუდგა დასახულ მიზნის პრაკტიკულათ განხორციელებას. მან გახსნა სახელოსნო და მოაწყო მომხმარებელი საზოგადოება, რომლის მიზანია ბრძოლა არა საქონლის სიძვირის წინააღმდეგ, არამედ ბრძოლა ევროპიულ საქონლის გავრცელების წინააღმდეგ, რათა მათ მიერ დამზადებულს ნაკლები კონკურენცია გაუწიოს“.

ამ ბრძოლის ინიციატორებად ახლად გამოფხიზლებული ოსმალელი ქალები გამოდიან და მათთან ჩამოყალიბებული საზოგადოება ყოველგვარ თანადგომას გამოხატავენ, რომლის დასტურია ოსმალურ პრესაში გამოქვეყნებული წერილები.

ცხადია, ოსმალეთის ქალთა მოძრაობას ,,ბურჟუაზიულ ჰუმანიზმის“ ბეჭედი აზის, მარა ესეც დიდი სანუგეშო მოვლენაა ამ სახელმწიფოსათვის.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N14, 8 სექტემბერი, 1913

,,სასარგებლო ცნობა მასწავლებლებისათვის“

,,იმ მასწავლებლებს, რომელნიც ჯამაგირს ღებულობენ ხაზინიდან, ახალი კანონის თანახმათ ჯამაგირი ოთხჯერ ემატებათ ყოველი ხუთი წლის განმავლობაში: პირველი ხუთი წლის სამსახურისათვის - 60 მანეთი, ათი წლის -120 მანეთს, 15 წლის -180 მანეთი და 20 – 240 მანეთი.“

ბუნებრივია, ჯამაგირის მომატება ეხებოდა, როგორც მამრობითი ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენელ მასწავლებლებს. თანხის მომატება ბევრ ხარჯთან იყო დაკავშირებული და ამიტომაც მთავრობამ დაადგინა, რომ ,,1913 წლიდან მიემატოს ჯამაგირი მხოლოდ იმათ, ვისაც მიმდინარე პირველ ენკენისთვემდის უმსახურნია 20 წელიწადი. დანარჩენებს კი დააკმაყოფილებენ თანდათან სამი წლის განმავლობაში“

***

,,11 ენკენისთვეს ქუთაისში ჩამოვა და ქალაქის თეატრში გასტროლი ექნება მოცეკვავე ქალს არტემისა კალონას“.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N14, 8 სექტემბერი, 1913
ავტორი: ალექსანდრა ცერცვაძისა

,,მუშა ქალების მდგომარეობა ქუთაისში“

გაზეთის ფურცლებზე ხშირად იწერება მუშათა ცხოვრების შესახებ, მაგრამ მუშა ქალების მდგომარეობაზე კი დღემდე არაფერი არ თქმულა და არც დაწერილა.

ამ მცირე წერილით გვინდა წარმოვადგინოთ ქუთაისის მკერავი ქალების ცხოვრება.

,,ქ. ქუთაისში მომუშავე ქალი სულ იქნება არა ნაკლებ ორასისა, რომელთა ყოფნა არ ყოფნას წარმოადგენს. ჩვენ აქაური მუშა ქალები ძალიან სუსტნი ვართ სულიერათ, მით უფრო, რომ ერთი მეორესთან არავითარი კავშირი არ გვაქვს და არავითარი ამხანაგობა, ამიტომაც ჩვენი ასეთი შეუკავშირებლობით სარგებლობენ ხაზეინები და ისე გვექცევიან, როგორც თვითონ მოესურვებათ.

და თუ ისინი დღემდე აულაგმავი არიან და ჩვენი მდგომარეობა ახლა ცოტათი არის გაუმჯობესებული, ამის მიზეზი თვითონ ჩვენა ვართ.“

არ გვაქვს იოტის ოდენა არც მოთმინება და არც გონიერება. მაგალითად, ავიღოთ ერთი ქალბატონის სამკერვალოს ამბავი, რომელმაც ამ ერთი წლის წინათ თავისი უმსგავსო საქციელით მთელი ბათუმი აალაპარაკა.

,,ახლა ერთი წელი იქნება, რომ ის ქუთაისს ესტუმრა და სამკერვალო გახსნა. აი, ეს ქალბატონი ისე ეპყრობა თავის მუშა ქალებს, როგორც მგელი ცხვარს; დღე ვითომ სამკერვალოს ამუშავებს, ხოლო ღამ-ღამობით საეჭვო ყოფაქცევის კაცებს ღებულობს სტუმრათ და შეექცევიან კარტ-ნარდის თამაშს და ლაზღანდარობაში ატარებენ დროს.“

ნუთუ ჩვენ ვერ უნდა მივხვდეთ, რომ ამისთანა ქცევა სამარცხვინოცაა და უფსკრულისაკენაც მიგვაქანებს.

დროა ჩემო დებო ჩვენი თავის სიკეთეზე ვიფიქროთ და ხმამაღლა განვაცხადოთ, რადგან უბრძოლველად არაფერი გაკეთებულა და არც გაკეთდება.

,,დროა, დებო, დავეწაფოთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთების კითხვას. დროა, რომ დავგმოთ სიბნელე და გავსწიოთ სინათლისკენ, დროა ჩვენც ჩავებათ საზოგადო ფერხულში და ვიმოქმედოთ ჩვენ ძმებთან ერთად და გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმეც.“

გირჩევთ გადავხედოთ რუსეთის ცხოვრებას და შევხედოთ ჩვენი შორეული დების მოქმედებას და მათი საქციელით სამაგალითოდ გავიხადოთ და ამასთან ისე მოვიქცეთ, როგორც სხვაგან მოქმედებენ!

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N22, 29 იანვარი, 1914
ავტორი: მუშა ვასილ

,,დ. ზუგდიდი“

,,დიდიხანია აქ არსებობს ეპარქიული საქალებო სკოლა, სადაც სწავლობს ორასამდე ქალი. 1913 წელს ეს სასწავლებელი სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით, უნდა გადაეტანათ სხვა უცხო მხარეში, მიზეზათ ასახელებდნენ - სკოლის შენობის უვარგისობას. საბედნიეროთ ასეთი ზომა სხვა და სხვა მიზეზების გამო შეჩერებულ იქნა ერთი წლით იმ იმედით, რომ ზუგდიდელები მიიღებდნენ შესაფერ ზომებს შენობის ასაგებათ“.

ამ დროს სამსონ თათარაშვილმა და მასთან მყოფმა რამოდენიმე პირმა ხალხს ამ საქმის მნიშვნელობა განუმარტეს და ხალხიც მხურვალედ მოეკიდა გამოსავლის ძებნას ამ ფრიად საჭირო საქმისათვის.

არჩეულ იქნა დეპუტაცია, რომელთაც დაევალათ შუამდგომლობა სასწავლებლის ადგილზე დატოვებისა და თანაც აღუთქვეს მთავრობას, რომ თავიანთი თანხით გააკეთებდნენ სკოლის შენობის რემონტს.

,,იმედია, როგორც არჩეულნი პირნი, ისე საზოგადოება ამ მთელი მაზრისთვის ფრიად სასარგებლო საქმეს ხელს შეუწყობენ და შეეცდებიან აქაურთა ინტერესის თანახმათ დაბოლოვებას“.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N32, 9 თებერვალი, 1914
ავტორი: ალ. ცერ-სა.

,,ქუთაისის მომუშავე ქალთა მდგომარეობა“

ქუდებზე მომუშავე ქალთა ცხოვრება მართლაც კალმით აუწერელია. ქუთაისში იქნება ათი ქუდების მაღაზია, სადაც ქუდებს აკეთებენ და თვითეულში ხუთი ქალი მაინც იქნება. მათ დღეში 16-18 საათს ამუშავებენ, ხელფასზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მარა ქალები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მდგომარეობას.

არ კითხულობენ გაზეთებს, არ უკვირდებიან თავის მდგომარეობას და რასაკვირველია, ამით სარგებლობენ ხაზეინები და მათ საშინლათ ყვლეფენ“.

ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკის მუშა ქალებიც. ამ ფაბრიკაში 30 ქალი მუშაობს და მათი ხელფასი 30-50 კაპ. ,,აი ამ ფასებში მუშაობენ 13-14 საათს დღეში. მათი უფლებები ხომ ფეხქვეშ გათელილია. მცირე წლოვანი ქალები თავიანთ ჯან-ღონეს იქ ტოვებენ აბაზათ და 6 შაურად დღეში. გაზეთის წაკითხვა ხომ მათთვის აკრძალულია.

დროა მომუშავე ქალებმა შეიგნონ თავისი მდგომარეობა, შეუდგენ ჟურნალ-გაზეთების კითხვას და შეეცადონ თვისი მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N34, 12 თებერვალი, 1914

ახალი ამბავი
,,თფილისი“

,,თფ. ქართველ ქალთა საზოგადოების საჯარო კრება მოხდება შაბათს 15 თებერვალს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. საზოგადოების წევრთათვის ექიმი ვ.ღამბაშიძე წაიკითხავს ლექციას: ,,ბავშთა აღზრდა და ჰიგიენა“. დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიათ“.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N34, 12 თებერვალი, 1914
ავტორი: (დ.)

,,მუშათა მოძრაობა“
ქალთა დღე

23 თებერვალს რუსეთის მუშათა კლასი დღესასწაულობს ქალთა დღეს. გაზეთები არკვევენ მუშა ქალთა მდგომარეობას. ქალთა რიცხვი 1901 წლიდან მოკიდებული 1910 წლამდი 33%-ით გაზრდილა, მამაკაცთა რიცხვი კი მხოლოთ 8%-ით.“

საფეიქრო წარმოებაში 1909 წლიდან 359. 000 მუშა ირიცხებოდა, რომელთაგან ნახევარზე მეტი ქალები გახლდათ.

1912 წელს მარტო მსხვილ საფეიქრო წარმოებაში 420.000 კაცი მუშაობდა, რომელთა შორის ქალთა რიცხვი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

საერთოთ მუშა ქალთა რიცხვი 1910 წლისათვის შეადგენდა მამაკაცთა 40%-ს, ხოლო 1912 წლისათვის კი 45%-ს.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N37, 15 თებერვალი, 1914
ავტორი: ლენა

,,ქუთათურ ქალთა საყურადღებოთ“

ორი წელიწადი კიდევ არ გასულა მას შემდეგ, რაც ქ. ქუთაისში დაარსდა ,,ქალთა საზოგადოება“, რომლის მიზანს შეადგენს ქალთა თეორეტიულათ განვითარებას და ქალთა სამეურნეო სკოლის დაარსება.

ამ მიზნით საზოგადოება კვირაში ერთხელ მართავს წევრთა მორიგ კრებას, რომელზედაც იკითხება ლექციები: ქალთა საკითხზე, ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ჰიგიენიდან და სხ.

სკოლის გახსნა კი შემდეგისათვის გადაიდო, რადგან საკმაო თანხა ჯერ არ მოეპოვება.“

საერთოდ, ჩვენში ყოველ ახალ საქმეს თავდაპირველად აღფრთოვანებით ეგებებიან.

ჩვენდა საუბედუროთ ეს ენთუზიაზმიც მალე ქრება და დაწყებული საქმეც ფერხდება.

ასეთი ბედი ეწვია ჩვენს ,,ქალთა საზოგადოებასაც.“ თუ შარშან ყოველ მორიგ

კრებებს აუარებელი ქალი ესწრებოდა, წელს მათმა რიცხვმა საგრძნობლად მოიკლო. ამის გამო წელს გამგეობა იძულებული გახდა კომისიებად დაყოფილიყო: ,,სულ სამი კომისია დაარსდა. საშკოლო, ლექციების მომწყობი და ფინანსიური.“

ლექციების მომწყობი კომისია ყველაფერს აკეთებს რათა საუკეთესო ლექტორები მოიწვიოს აუდიტორიასთან შესახვედრად, მაგრამ, მსმენელი კი არ ყავს.

,,თუ ეს შემდეგშიაც ასე გაგრძელდა, გამგეობა იძულებული იქნება შესწყვიტოს თავის მოქმედება და საზოგადოებაც დახუროს. ასეთ მდგომარეობაშია ქალთა ერთ-ერთი საზოგადოება“.

უკვე ახლოვდება 23 თებერვალი, მუშა ქალთა საერთაშორისო დღე. ყველა ამ დღისათვის ემზადება, მაშინ როცა, ჩვენში მისი მნიშვნელობაც არ იციან.

,,ამისათვის გვმართებს ვისწავლოთ სხვებისაგან, რანაირათ უნდა იყოს მოქმედება. შევერთდეთ, ნუ დავხურავთ ამ საზოგადოებას, რომელსაც ასეთი სიმპატიური მიზანი აქვს დასახული. ამ საზოგადოების ბედ–იღბალი სავსებით ქალთა თვით მოქმედებაზე ჰკიდია“.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N38, 16 თებერვალი, 1914
ავტორი: (დ.)

,,მუშათა მოძრაობა“
ქალთა დღე

,,მოახლოვდა ქალთა დღე და პეტერბურგის მუშათა წრეებში მისადმი ინტერესი თანდათან მატულობს. ყველა ლეგალურ დაწესებულებებში კრებენ ცნობებს მუშა ქალთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მრავალ ადგილას ლექციებს მართავენ.“

ვარაუდობენ, რომ ქალთა დღის დღესასწაულის აღსანიშნავად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის ხელზე მოსამსახურე ქალებიც.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N38, 16 თებერვალი, 1914
ავტორი: (დ.).

,,ქალების ბუნტი“

,,რიბინსკის მაზრის ადმინისტრაციამ აკრძალა სოფლებში ,,სეირნობა“. ამით ფიქრობენ ხულიგნობის აღმოფხვრას. ახალგაზრდა ყმაწვილები ,,სასეირნოთ“ მეზობელ მაზრებში წავიდენ და იქ ქალები დანიშნეს და ჯვარი დაიწერეს, ამან ძალზე ააღელვა რიბინსკის მაზრის ახალგაზრდა ქალები.“

ქალებმა ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციას მიმართეს და მოითხოვეს ,,სეირნობის“ ნებართვის დაშვება.

ადმინისტრაცია იძულებული გახდა დადგენილება გაეუქმებია და ამით ქალთა ,,ბუნტიც“ დამთავრდა.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N40, 19 თებერვალი, 1914
ავტორი: (რ. ვ)

,,ქალების უფლება“

,,საკანონმდებლო განზრახვათა კომისიამ სადამოჟნო დეპარტამენტში მოსამსახურე ქალები პენსიის მხრივ მამაკაცებს გაუთანასწორა“.

კომისიის თავმჯდომარემ ანტონოვმა განაცხადა, რომ იგი უახლოეს მომავალში დუმაში კანონპროექტს შეიტანს სახელმწიფო კონტროლის შტატების შესახებ. ამასთან იგი შეეცდება, რომ ,,საბოლაოთ გადასჭრან საკითხი დედაკაცების სახელმწიფო სამსახურში მიღების სასარგებლოთ“.

გაზეთი ,,სიმართლის ხმა“ N44, 23 თებერვალი, 1914

,,ქალთა დღე“

დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი ქალთა დღეს დღესასწაულობს.

,,მუშათა კლასი კაცობრიობის გაყვლეფილ ნაწილს შეადგენს. მუშა ქალი მშრომელთა შორის ყველაზე უფრო დევნილი და გაყვლეფილია. ქალი დამონებულია ფაბრიკა-ქარხანაში და ოჯახში, საზოგადოებაში და სახელმწიფოში, მოკლეთ, ის მონათა შორის მონაა“. დღეს ეს მონა ქალი მთელ ინტერნაციონალში თავის გათვითცნობიერებას დღესასწაულობს და სხვადასხვა ერის ქალები, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე თავის განთავისუფლებას შეჰხარის და ერთმანეთს მხარში უდგანან უკეთესი მომავლის მოსაპოვებლათ.

,,იყო დრო, როცა ქალი ბატონობდა საზოგადოებას. ეს ე.წ. დედათმთავრობის ანუ მატრიარქატის ხანაა. იმ დროს მამაკაცები სათევზაოთ და სანადიროთ დადიოდნენ, ქალი კი საოჯახო მეურნეობას განაგებდა და მამაკაცებს გზა-კვალს აძლევდა.შემდეგ გარეული ცხოველები მოაშინაურეს და მეჯოგეობას შეუდგენ. ეს მამაკაცების საქმეა. ამით ისინი საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას დაეპატრონენ. ის ვინც ბატონობს ეკონომიაში, ბატონობს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც. ეს კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მიწის დამუშავებას შეუდგენ და კერძო საკუთრება დაფუძნდა.

იმ დღიდან მოყოლებული ქალიც მამაკაცის კერძო საკუთრება გახდა.

ქალის მონობის ხანა ასევე გაგრძელდა ფეოდალურ საზოგადოებასა და კაპიტალისტურ წესწყობილებაშიც.

მართალია, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში იცვლებოდა საზოგადოებრივი ფორმები, მაგრამ ქალთა უუფლებობა დღესაც უცვლელი დარჩა, რამეთუ მთელი თანამედროვე ცხოვრების საფუძველი ამჟამადაც კერძო საკუთრებაა. აქედან გამომდინარე: ,,სიყვარულის ნაცვლად ვიწრო ანგარიში გამეფდა.

მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებანი მამაკაცთა კუთვნილება შეიქმნა. ქალის მემკვიდრეობითი უფლება შეკვეცილია: ეს მომავალის ინტერესია. ქალს სდევნიან საზოგადო და პოლიტიკური ასპარეზიდან: მას არ შეუძლია ვექილობა, მისი წყურვილი სწავლა-განათლებისკენ იზრდება, მას ერეკებიან სახელმწიფო სამსახურიდან უმნიშვნელო გამონაკლის გარდა, მას აყრილი აქვს პოლიტიკური უფლება - არ შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ის ვერ იკისრებს ხმოსნობას ან დეპუტატობას, მოკლეთ მას არ აქვს არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლება.

მხოლოთ ავსტრალიის ზოგიერთ კოლონიაში, ამერიკის ზოგიერთ შტატებში და ფინლიანდიაში ქალებმა უკვე მოიპოვეს პოლიტიკური უფლება და მოქალაქეები შეიქმნენ.“ ქალი დამონებულია, რათა მამაკაცმა იბატონოს; ქალი უფლება აყრილია, რათა მამაკაცს მეტი უფლება და გავლენა ჰქონდეს; ქალი დაჩაგრულია, რათა მამაკაცმა იპარპაშოს.

ასეთია თანამედროვე ცხოვრება და ერთის ბედნიერება მეორეს უბედურებაზე შენდება, ერთის უფლების სათავე მეორეს უუფლებობაა, ერთის ბატონობის საფუძველი მრავალთა ჩაგვრა და გაყვლეფაა.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რა იხსნის ქალს არსებული მონობისა და მდგომარეობისაგან. ვინ მიანიჭებს ქალს თავისუფლებასა და ბედნიერებას?!

,,მამაკაცებთან მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ სარბიელზე უფლებრივათ გათანასწორება, ამბობენ ფემინისტები ანუ ბურჟუაზიულ ქალთა მეთაურები. ეს თვალთმაქცობა ან თავის მოტყუილებაა.

ეს იგივეა, რომ ეკალს ეკლის თავი მოსჭრა და ძირი დასტოვო. ქალის დამონების სათავე ხომ კერძო საკუთრებაა. განა შეიძლება ოჯახის გარდაქმნა, აქ კერძო საკუთრების მოსპობა, ანგარიშის უარყოფა და სიყვარულის გამეფება ისე, რომ ამან მთელი ბურჟუაზიული წყობილება არ შეარყიოს?რასაკვირველია არა“.

საერთოდ, ქალთა ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა კლასის ბედთან. დადასტურებულია, რომ სანამ მუშათა კლასი დამონებული იქნება, მანამ ქალიც ანალოგიურ მდგომარეობაში იქნება.

მუშათა განთავისუფლება გახდება ქალთა განთავისუფლების საფუძველი. ,,ყველა ქვეყნის მუშათა სოციალისტურ პარტიაში ქალთა განსაკუთრებული ჯგუფები დაარს– და, რომელიც ქალთა შორის აგიტაციას ეწევიან, მათ იკრებენ და ათვითცნობიერებენ, ხოლო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების დროს იმართება ქალთა საერთაშორისო კონფერენცია ყველა ქვეყნის მუშა ქალთა შესაკავშირებლათ“.

ასეთმა კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება, რომ 23 თებერვალი ქალთა ინტერნაციონალურ დღესასწაულად დაწესდეს, რათა ყველა ქვეყნის მუშა ქალებმა ერთი მეორის ხელი მიაწვდინონ, რომ მამაკაც მუშებთან ერთად მიაღწიონ თავისუფლებას.

გარდა ამისა მუშა ქალებს თავისი სპეციალური თუ განსაკუთრებული სატკივარი აქვთ: ისინი მოკლებულნი არიან იმ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს, რითაც მამაკაცები სარგებლობენ. სწორედ, 23 თებერვალი ქალთა პრობლემების მოთხოვნილებათა დღეა, რათა მოისპოს ყოველგვარი მოქალაქეობრივი თუ პოლიტიკური პრივილეგია ქალსა და მამაკაცს შორის.

აი, რას მოითხოვენ ქალები: ,,გათანასწორება სამოქალაქო უფლებაში და კერძოთ მემკვიდრეობის ნიადაგზე, ქალებისათვის ყოველნაირი სკოლის კარების გახსნა და საზოგადო და სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლების მინიჭება, თვითმმართველობის ორგანოებში და პარლამენტებში არჩევნების დროს ქალების აქტიური და პასიური საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლებით აღჭურვა - აი ის ახლობელი მოთხოვნილებანი, რომელთა განხორციელებით ქალთა მოძრაობა გაძლიერდება და მათი ბრძოლა გაადვილდება.“

მონაა ქალი, სანამ მას არ შეუგნია თავისი ბედკრული მდგომარეობა. ის მაშინ ხდება მოქალაქე, როცა თავის უუფლებობას შეიგრძნობს და იწყებს ბრძოლას თავისუფლებისა და თანაბარუფლებიანობისათვის.

და ბოლოს: ,,ჯერ ქართველი ქალი სავსებით მონობის ბჭყალებშია. მარა ახლა ის დღეა, როცა ის გარშემო მიმოიხედავს, ბნელ ძალებს შეებრძოლება და უკეთესი მომავლისაკენ გაექანება.“

„განთიადი“. 1913. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისის. რედ.-გამ.-იი. თარგამაძე. (ი. კილაძის სტამბა). სოც.-დემ. მიმართ. ორგანო. 1913 წ. N1(1/III) – N24 (31/VIII)

გაზეთი ,,განთიადი“ N1, 1 აგვისტო, 1913
ავტორი: ნინო ქართლიშვილისა

,,თფილისი“

ამას წინათ ქალთა მდგომარეობის შესახებ გაზეთ ,,თანამედროვე ქვეყანაში“ მოთავსებული იყო ქალბატონ ცერცვაძის წერილი ,,მუშა ქალთა შესახებ“: ,,მოწოდება ქალებისადმი, რომ ხელი მოკიდონ კულტურულ მუშაობასა და მომმეთა ბრძოლაში ჩაებან.“

ამასთან დაკავშირებით რედაქცია აუწყებს მკითხველს შემდეგს: ,,ამ გაზაფხულზე ქ. თფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა სექციამ განიზრახა მოეწყო თფილისის სხვადასხვა უბნებში ქალთა მომღერალ-მგალობელთა გუნდები და შემდეგ ეს პატარა გუნდები შეერთებინა ერთ დიდ გუნდათ, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ამა თუ იმ კულტურულ საზოგადო საქმეებში. მაგალითად, სალიტერატურო დილა - საღამოებში და სხვ... ამ მხრივ სექციამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა და ავლაბარში მოაწყო მომღერალ - მგალობელ ქალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ი. ა. გოძიაშვილი და უკვე სასიმღერო ვარჯიშობას მართავენ წმ. მარინეს სამრევლო სკოლაში კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით საღამოს 6-8 საათამდე.

გუნდს განზრახვა აქვს თავის წევრთ შეასწავლოს გიტარაზე, ფანდურზე, მანდალინაზე და თარზე დაკვრა-დამღერება სრულიად უსასყიდლოდ.“

იმედია ქალები აქტიურად ჩაებმებიან კულტურულ საქმიანობაში და ჩაეწერებიან გუნდში. ჩაწერას შეიძლება როზოვის მოედანზე ქართულ უფასო სამკითხველოში მინა ქართლიშვილთან. გუნდში ჯერ-ჯერობით 35 ქალია ჩარიცხული.

გაზეთი ,,განთიადი“ N8, 10 აგვისტო, 1913
ავტორი: ალექსანდრა ცერცვაძისა

,,ბათუმის მკერავ ქალების მდგომარეობა“

,,ქ. ბათუმში 30 ქალის ტანისამოსის სამკერვალო სახელოსნო იქნება და შიგ ასზე მეტი მომუშავე ქალი; ამათი ყოფნა არ ყოფნას წარმოადგენს: ახლა, ამ ზაფხულში გათენებიდან დაღამებამდის მუშაობენ და ხელფასი კი ექვსი შაურიდან ათ შაურამდი ეძლევათ. თუ ამის შესახებ რომელიმე მომუშავე ქალი შეეკითხა გაუმაძღარ ხაზეინს, იგი ასე უპასუხებს ხოლმე: რას ამბობ, ქალის ჯამაგირი მანეთი და 6 აბაზი ვინ გაიგონაო; ქალებს კი არა კაცებსაც არა აქვს ამდენი ჯამაგირიო.“

ასეთი პასუხის შემდეგ ქალები უსიტყვოდ განაგრძობენ ჯოჯოხეთურ პირობებში მუშაობას.

საერთოდ, ქალებს ზრდილობიანათ მოპყრობის მაგივრად პირუტყვებივით ექცევიან და სუსტ არსებებს არაფრად აგდებენ.

,,აქ მომეტებულათ მუშა ქალები გურიიდან არიან ჩამოსული, რომელთაც ეუბნებიან: გინდათ ამ ფასში იმუშავეთ, არადა მიბრძანდითო, მათ კი უკან წასასვლელი საშუალებაც არ აქვთ და ასე უპატრონონი იძულებული ხთებიან, რომ დათანხმდენ რა ფასიც უნდა შეაძლიონ.“

ხაზეინები მათი უსიტყვო მორჩილობით სარგებლობენ და ადგილობრივ მუშებს ასე ეუბნებიან: ხომ ხედავთ გურულები როგორ ფასში მუშაობენ და თქვენ თუ გინდათ იმუშავეთ, თუ არადა მიბრძანდითო. მათი ამგვარი უსინდისო საქციელი თავად მუშა ქალების ბრალია, რადგან არავითარი კავშირი და ამხანაგობა არა აქვთ ერთმანეთთან: ,,ეს კი ერთი უკეთესი საშუალებაა, რომ თვითონვე საკუთარი ხელით იხსნან თავი ამ გასაჭირიდან. კარგად უნდა იცოდენ, რომ ,,ხსნა ერთობაშია“.

ისინი კი კულტურულ და გამანათლებელ საქმეს შორს გაურბიან. დროა, ჩვენი მუშა ქალებიც მოვიდნენ გონს და მოითხოვონ ამხანაგ კაცებთან ერთად შრომის ნორმალური პირობები.“

უკვე დროა ქალებმაც ხელი მოჰკიდონ საგანმანათლებლო საქმიანობას, გულდასმით წაიკითხონ გაზეთები და გაერკვენ თუ რა ხდება სამყაროში.

,,საჭიროა ჩვენც გავახილოთ თვალები და გავიგოთ ავი და კარგი ქვეყანაზე. დროა, დრო, დებო, მოვიდეთ გონს და შეუერთდეთ ჩვენს ძმებს და როგორც ისინი მსჯელობენ და მოქმედებენ, ჩვენც ისე მოვიქცეთ: გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმეც და არ ჩამოვრჩეთ ჩვენი უვიცობით ჩვენს ძმებს“.

გაზეთი ,,განთიადი“ N10, 13 აგვისტო, 1913
ავტორი: - ი.

,,ძველი სენაკი“

ძველად ცნობილი სენაკი მდებარეობს ახალ სენაკიდან 6 ვერსის მანძილზე: ,,იგი წარმოადგენს ერთ ბნელ და უმოძრაო დაბას: არც ფოსტა-ტელეგრაფი, არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო, არც სხვა რამე კულტურული დაწესებულება მას არ მოეპოვება. მთელ დაბასა და ახლო-მახლო სოფლებს მარტო ისღა მოუხერხებიათ, რომ დაუარსებიათ ერთი ორ კლასიანი ვაჟთა და ერთ კლასიანი ქალთა სკოლები; ძველი სენაკის წ.კ.ს. სკოლას გუბერნიის თავად-აზნაურობა ინახავს.“

ძველ სენაკში არიან ახალგაზრდა ინტელიგენტები მოსწავლე-ახალგაზდობის სახით, მაგრამ ისინი ქალებთან არშიყობასა და ველოსიპედით და ცხენებით სეირნობას უფრო ეტანებიან, ვიდრე ხალხში თვითცნობიერების შეტანას.

ძველ სენაკელებს არ გაუჭირდებოდათ კულტურული დაწესებულების გახსნა, მაგალითად ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი. გვიკვირს ამ საქმის მოგვარებას რატომ არ კისრულობენ მასწავლებლები.

„სიტყვა“. 1913. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ. - ვ. აბდალაძე. (ი.კილაძის მსწრაფლ მბეჭდავი). სოც.-დემ. (მენშ.) მიმართ. გაზეთი; გამოდიოდა ,,მერცხლის (1912-1913) შემდეგ. 1913 წ. N1 (1/XII) – N17 (20/XII) თთ. 4 გვ.

გაზეთი ,,სიტყვა“ N7, 8 დეკემბერი, 1913
ავტორი: (რ.ვ.)

,,მუშათ ქალთა შორის“

,,ქალთა თავისუფლების ლიგის“ მიერ გამართულ კრებაზე, რომელზედაც მოხსენება ქალის საფაბრიკო ინსპექტორობაზე წაიკითხეს. დამსწრეებმა კამათის მოწყობის სურვილი გამოსთქვეს. კრების თავმჯდომარემ ისინი პოლიციის მიერ აკრძალულად გამოაცხადა. მაშინ მუშათა რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ მუშებს განძრახული აქვთ მომხსენებელს წერილობით შეეკითხონ ამა თუ იმ კითხვებზე.

თავმჯდომარემ ამაზე თანხმობა განაცხადა და მუშებმა შემდეგი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს: ,,არჩეულ იქნებიან მუშების მიერ ინსპექტორი ქალები, თუ დანიშ–ნულნი, როგორი იქნება დამოკიდებულება მუშებსა და ინსპექტორებ შორის და სხვ. ვერც ერთ ამ შეკითხვაზე მუშებმა პასუხი ვერ მიიღეს, მაშინ მუშებმა დემონსტრაციულათ დატოვეს კრება.“

გაზეთი ,,სიტყვა“ N15, 18 დეკემბერი, 1913
ავტორი: (რ.ვ.)

,,ქალთა დასვენების შრომა“

,,ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმათ მრეწველები ცდილობენ მოზრდილ მუშათა ნაცვლათ ქალები და ბავშვები დაიქირავონ. ამიტომ 1901-1910 წლების განმავლობაში ქალთა რაოდენობა წარმოებაში 26%-დან 21%-ზე ავიდა. ბავშვების რაოდენობამ კი 36%-ით მოიმატა. ბავშთა შორის ქალთა რიცხვმა 53%-ით.“ მუშათა დაზღვევა გზათა სამინისტროს მიერ მოხდება კასპიის ზღვასა და ვოლგის რაიონის გემების მოსამსახურეთა აღსაწერათ.

გაზეთი ,,სიტყვა“ N17, 20 დეკემბერი, 1913
ავტორი: (რ.ვ.)

,,ქალების განათლება“

,,განათლების სამინისტრო მოკლე ხანში დაამთავრებს საქალებო გიმნაზიების კანონპროექტის შემუშავებას. პროექტის თანახმათ საქალებო გიმნაზიების კურსი უნდა გაუთანასწორდეს სავაჟო გიმნაზიების კურსს და კერძოდ უნდა შემოიღონ ლათინური და ერთი უცხო ენის შესწავლა.“

ახალი კანონპროექტის დამტკიცება თვალსაჩინო რეფორმებთან იქნება დაკავშირებული, კერძოდ: ,,ამ ახალი საქალებო გიმნაზიების კურსდამთავრებულთ უფლება მიეცემა უნივერსიტეტში შესვლისა და საერთოდ უფლებრივათ ვაჟ-გიმნაზიელებს გაუთანასწორდებიან. საქალებო გიმნაზიის მასწავლებელთ ისეთივე უფლებები მიენიჭება, რითაც სავაჟო გიმნაზიების მასწავლებლები სარგებლობენ“.

„ერი“. 1913-1914. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი. რედ.-გამ.- გ. ბრეგვაძე. (ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბა).
ნაციონალური და დემოკრატ. მიმართულების გაზეთი; იცემოდა გაზ. ,,იმერეთი“-ს შეჩერების დროს მის ნაცვლად; უახლ.თანამშრ. გრ. გველესიანი, სერგო გერსამია, იმერი (?), შ. ვარდიძე, თ.ხუსკივაძე და სხვანი.
სულ გამოვიდა:
1913 წ. N1 (1/XI)-N48(31/XII); თით. 4 გვ.F
1914 წ. N1 (1/I)-N34(13/II) ,,,,
გაზ. ,,ერი“ დაიხურა მთავრობის განკარგულებით. გაზეთ ,,იმერეთში“ (1914 წ.10 ივლისის N101) შემდეგი ცნობაა: ,,8 ივლისს ოლქის სასამართლომ გაზ. ,,ერის“ ყოფილ რედაქტორს (ამჟამად გაზ. ,,შრომის“ რედაქტორს) - გ.ბრეგაზეს 3 კვირით დატუსაღება მიუსაჯა“.
,,ერის“ შემდეგ იცემოდა ,,ჩვენი ერი“ (1914).

გაზეთი ,,ერი“ N3, 3 ნოემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

კვირას, 3 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში, რომელიც კინო-თეატრ ,,რადიუმის“ შენობაშია განთავსებული გაიმართება ლექციების კითხვა. გრიგოლ ნასარიძე განაგრძობს თავის წინანდელ ლექციებს და შემდეგ იგი ისაუბრებს წყალსადენის საკითხზე ქუთაისში და წყლის მიწოდებაზე.

ამის შემდეგ ,,ჩიტო შარაშიძის ასული წაიკითხავს ორ განყოფილებათ ლექციას ამ თემაზე: ,,ქართველი ქალი ახალს ქართულ მწერლობაში“. უმთავრესი მუხლები ლექციისა დაახლოებით შემდეგია: ქართველი ქალი ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებში, ოთარაანთ ქვრივი, როგორც ხალხის უკეთესი მისწრაფებისა და თვისების გამომხატველი; ახალი ქართველი ქალი ნინოშვილის მოთხრობაში - ,,ჩვენი ქვეყნის რაინდი“. განათლებული ქართველი ქალის ტიპი შიო არაგვისპირელის ნაწარმოებში: ,,ჩემი გული - ჩემი სამშობლოა“, ,,ქართველი ქალი“და ,,ქართული პრესა“.

ლექციების დასაწყისია დღის 12 საათი.

გაზეთი ,,ერი“ N11, 14 ნოემბერი, 1913

,,ქალთა საზოგადოებამ წასულ მორიგ კრებაზე ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ანტ. ფურცელაძის ხსოვნას და შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა მის ჭირისუფლებს: ,,ქუთაისის ქალთა საზოგადოება გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ანტონ ფურცელაძის ოჯახობას, რომელიც ხანგრძლივათა და ნაყოფიერათ იღვწოდა ქართველთა შორის საზოგადოებრივი თვით შეგნების აღორძინებისათვის“.

გაზეთი ,,ერი“ N13, 16 ნოემბერი, 1913

,,ნარევი“

იაპონელი ქალები. ,,იაპონელი ქალის დამახასიათებელი თვისება მორჩილებაა. იაპონელი ქალი უპირველეს ყოვლისა მამას ემორჩილება, შემდეგ ქმარს და ქმარს შემდეგ კი უფროსს ვაჟს. იაპონიაში ქალის თვით მოქმედება სასტიკათ აკრძალულია. მიუხედავათ ამისა, ქალმა იქ შევიწროებას თავი დააღწია. იქაური ქალები განათლებას ძალიან ეტანებიან. ამჟამათ იაპონიაში ორასი ქალთა უმაღლესი შკოლაა. ქალთა პირველი უმაღლესი შკოლა 1901 წელს დაარსდა. უკანასკნელ ხანებში იაპონელი ქალები მედიცინას ეტანებიან“.

გაზეთი ,,ერი“ N14, 17 ნოემბერი, 1913
ავტორი: ლაჯანელი ბანოვანი

,,ქართველ ქალთა მიმართ“

,,ჩვენი ერის ცხოვრებაში ძველ ქართველ მანდილოსანს თვალსაჩინო სამოქმედო მოვალეობა ჰქონდა ნაკისრი. საბედნიეროთ ჩვენდა წარსულში ისეთი მძლავრათ მანათობელი დედანი გვყვანდენ, რომ ისტორიამ სახელი მათი ერთ საუკეთესო განძათ შეიტანა თავისი მატიანეს სალაროში. აი, ასეთ დედასა და ერის ღირსეულ პატრონთ ეკუთნის მეფე ქალი თამარ, რომლის არსებობის დროც ოქროს ხანათ არის აღსარებული; რომლის მეოხებითაც შექმნილმა დიდებულმა დრომ ამოსტყორცნა გენია რუსთველისა.

ამ დროს მოღვაწეობდა და სამშობლოს დარაჯად უდგა მხარგძელნი. თამარ დედოფალზე მრავალი ლექსია მიძღვნილი და მათ შორის საყურადღებოა ხალხური ლექსი

,,უბის ავაგე საყდარი“,
უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავდე ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიღე.“

ფასდაუდებელი ღვაწლის მიუხედავად, როგორც ბუნების წესია თამარ დედოფალმაც ამ ქვეყნიდან მხოლოდ ,,ცხრა ადლი ტილო“ წაიღო.

სამწუხარო ისიცაა, რომ სამშობლოსათვის თავდადებული დედოფლის საფლავიც არ იცის ქართველმა ერმა.

სასურველია, ქართველმა ქალმაც ისე იშრომოს თავისი ქვეყნისათვის, როგორც დიდმა თამარმა და გაამართლოს რუსთველის სიტყვები:

,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

გაზეთი ,,ერი“ N15, 19 ნოემბერი, 1913
ავტორი: გ. ბ.

,,ქუთათურ ქალთა წრის საღამო - 21 ნოემბერს“

,,ამ თვის 21-ს ქუთაისის საკრებულო დარბაზში გაიმართება ფრიად საგულისხმო საღამო, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს იმ პროფესიონალურ შკოლას, რომლის გახსნაც უკვე მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს ქუთათურ ქალთა საზოგადოებას.“

ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, იმედია ყველა ადამიანი დაესწრება და გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ საქმის კეთილად დაბოლოებაში.

,,ჩვენ კარგათ გვესმის, რომ როგორც ჩვენი დიდებული წარსული უპირველესათ ქართველი დედის სულის სიდიადემ შექმნა, ისევე მერმისიც მას ელის, მოელის მისი ძველებური სულიერი ძალის გამოღვიძებას.

გაზეთი ,,ერი“ N15, 19 ნოემბერი, 1913
ავტორი: თეოდოსია ჯაფარიძისა

,,ახალი ქალი“
ქ. ნი კოლონტაისა

ჟურნალი ,,სავრემენი მირ“-ის ნუმერში მოთავსებულია ქ-ნი კოლონტაის ,,ახალი ქალი“ - საკითხი მეტათ საყურადღებო, უკვე იმდენათ მომწიფებულია, ვფიქრობდი - ქ-ნ კოლონტაის ჩემთვის მოუტაცნია ის აზრები, ის შეხედულობა, რომელსაც ის თავის ახალ ქალში ატარებს - მეთქი. ამით მინდა ვსთქვა, რომ საკითხი, რომელსაც ეხება ქ-ნი კოლონტაი იმდენათ ფეხ-მოკიდებულია, შეთვისებული, რაღაც ნათესაობასა გრძნობ იმ ტიპებთან, რომელიც ის ,,ახალი ქალის“ სახელით გვამცნობს.“

ალბათ, არც ისე შორსაა ის დრო, როცა ახალი ქალი, ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა და ყველა ქალი იქნება თავისუფალი და მონური და საუკუნოვანი დაჟანგებული ბორკილებიდან საბოლოოდ განთავისუფლდება.

ვინ არის ახალი ქალი? ნამდვილათ არსებობს იგი თუ არა? - იძლევა კითხვას ქ-ნი კოლონტაი და ამნაირათ გვიპასუხებს: - დიახ, არსებობს. ცხოვრების ყოველ საფეხურზე შეხვდებით მას, მუშა ქალიდან დაწყებული, ვიდრე იმათამდი, ვინც მეცნიერებას ემსახურება.“

ახალი ქალები ყველგან არის, თუმცა მას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ცხოვრების მძიმე პირობებმა შექმნა ეს ახალი ქალი, რომლის ფსიქოლოგია შესამჩნევად განსხვავდება წარსული ქალებისაგან.

ახალი ქალები, ახალი ხედვით უყურებენ ცხოვრებას. თუ ადრე ქალი მწარედ განიცდიდა ქმრის ღალატს, ახალი ქალი ამ ქმედებას სულ სხვანაირად უდგება.

კოლონტაი, ასეთი სახელით ნათლავს ახალი ქალის ტიპებს და მას ,,ხოლოსტია ჟენშინის“ უწოდებს.

,,ახალი ქალები აღარ არიან მამაკაცების აჩრდილი; ასეთ ქალს საკუთარი შეხედულება აქვს ყველაფერზე; დღითი დღე იზრდება ამ ტიპის ქალთა რიცხვი“.

ამ ქალებს შევხვდებით ქარხნებისაკენ მიმავალთ, მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძრებისაკენ რომ ისწრაფვიან, შევხვდებით ლაბორატორიებში, არქივებში, საავად-მყოფოებში და პრაქტიკულად ყველგან.

,,ისინი უარყოფენ ყოველივე მას, რაც თავისუფლებას, პიროვნებას ზღუდავს.“

თუ უწინდელი ქალებისათვის სიყვარული ყველაფერს შეიცავდა და ის იყო ცხოვრების მიზანი, ახალი ქალისათვის ,,წმიდათა წმიდას“ შეადგენს ის, რასაც ემსახურება: ,,სოციალური იდეა, მეცნიერება, შემოქმედებითი ნიჭი. აქიდან წარმოსდგება ის ,,ახალი შეხედულება“ საქმეზე, რომელსაც ვერ ვამჩნევდით ძველ ქალებში“.

ისმის კითხვა თუ საიდან წარმოსდგენ ასეთი ტიპის ქალები? რასაკვირველია, რთულმა ცხოვრებამ შექმნა ახალი ქალები კულტურულ ქვეყნებში. მათი მიზანი იყო ერთი რამ: ,,თავისი შრომით სურთ ამათ მოიპოონ ადგილი ქვეყანაზე, მით გაამართლონ თავისი არსებობა. რასაკვირველია, არც ისე ადვილია მისი დაწევა, რაც შესისხლხორცებული გვაქვს. ერთბაშათ გარდაქმნა თავისი თავის მეტად ძნელია. ეს გამოიწვევს დიდ ბრძოლას ყოველი ქალისას.“

ცხოვრების ახალი პირობები თავისთავად მიანიშნებს ქალებს შექმნან ის რაც გააიოლებს მათ ცხოვრებას.“

ქალებს სჭირდებათ მეტი სიფხიზლე, მეტი ენერგია, მეტი სურვილი შრომისა, რათა ფეხი აუწყონ ცხოვრებას.

გაზეთი ,,ერი“ N18, 23 ნოემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ქალთა საზოგადოების მიერ გამართულმა საღამომ ხალხი ბლომათ მიიზიდა საკრებულოს დარბაზში. საკონცერტო განყოფილება საერთოდ სუსტი იყო. სარაჯიშვილმა მოხდენილათ შეასრულა რამდენიმე ხმა და დაატკბო საზოგადოება“.

გაზეთი ,,ერი“ N18, 23 ნოემბერი, 1913

,,ქალთა საზოგადოების საღამოზე“

,,ხუთშაბათს, 21 ნოემბერს ქ. საკრებულოს დარბაზში ქალთა საზოგადოების ნივთიერი სახსარის გასაძლიერებლათ გაიმართა საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა სეგელისამ (პიანინო), კასპაროვიჩისამ (სიმღერა) და თფილისის საოპერო დასის მსახიობმა ბ-ნმა სარაჯიშვილმა. საზოგადოებამ უმთავრესათ ამ უკანასკნელმა მიიზიდა, დარბაზი ხალხით გატენილი იყო. მომღერალმა შეასრულა რამდენიმე რომანსი რუსულ, იტალიურსა და ქართულ ენებზე“.

ვანო სარაჯიშვილი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მომღერალია, რომლის სიმღერით ყველანი კმაყოფილი დარჩა. ბოლოს გაიმართა ტრადიციული ლეკური და საღამოს სამ საათამდე გაგრძელდა.

გაზეთი ,,ერი“ N23, 29 ნოემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,ბ-ნი მ. მარჯანიშვილისაგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო 14 მანეთი და ათი შაური მსახიობი ქალის დესპინე ივანიძის ასულის გადასაცემათ. შემომწირველთა სია: მ. მარჯანიშვილმა 5 მან. ნ. გვარამაძემ, ი. კაჭახიძემ, ი. საყვარელიძემ, ჟუჟუნაშვილმა, ვერელმა, მ. კაკაბაძემ და დ. თედეიშვილმა თითო მანეთი.“

ბ. მარჯანიშვილი იწერება, რომ ივანიძის ასულის გაჭივრება ,,თემში“ მოთავსებული ცნობის მეოხებით შევიტყეო და ამის გამო მადლობას უძღვნის ხსენებულ ორგანოს.

გაზეთი ,,ერი“ N26, 3 დეკემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,შაბათს, 7 დეკემბერს, თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლეკტორი ბ-ნი ს. კაკაბაძე ქალაქის თეატრში წაიკითხავს საგულისხმო ლექციას: - ახალი შეხედულებანი საქართველოს საშვალო საუკუნეების ისტორიაზე“.

ლექციის შემოსავალი მოხმარდება ,,ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას მე-17 საუკუნის ნახატებით.“

გაზეთი ,,ერი“ N28, 5 დეკემბერი, 1913

,,ახალი ამბავი“

,,თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლეკტორმა ს. კაკაბაძემ შვამდგომლობა აღძრა თფილისის გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს 1914 წლის 1 იანვრიდან გამოსცეს თფილისში ყოველთვიური მეცნიერული ჟურნალი - ,,ჩვენი სიძველე“.

გაზეთი ,,ერი“ N37, 15 დეკემბერი, 1913
ავტორი: თეოდოსია ჯაფარიძისა

,,ახალი ქართველი ქალი“

,,ჩვენი ერის ბედი დიდათ დამოკიდებულია ქალთა წინსვლაზე, ყოველი შემთხვევა ამ მხრით უზომო სიამოვნებას განიჭებს. ეჭვი არ არის, ქართველი ქალი თანდათან იკვლევს გზას კულტურული ცხოვრებისაკენ. გაჩნდენ თითო-ოროლა, ვინც წყნარი, გაუბედავი ნაბიჯით სძლევენ დამაბრკოლებელ მიზეზებს და გვაცნობენ თავს ახალი სახელით; აზრიანი მსჯელობები გვარწმუნებენ, რომ ქართველ ერს აქვს საბუთი იფიქროს: - ,,აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“.

ასეთ სიამოვნებას გრძნობდა კვირა საღამოს ჭიათურის თეატრში შეგროვილი დიდძალი საზოგადოება, როდესაც მის წინ წარსდგა ქალი და წყნარი, ბეჯითი სიტყვით გაგვიღვიძა იმედი, რწმენა, რომ ქართველ ქალს უკვე შეუგნია თავისი დანიშნულება ცხოვრებაში.“

მართალია, დღეს თითქოს არავის უკვირს ქალის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რადგან გვყავს მემუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი, ქველმოქმედნი ქალები, მაგრამ საღი სულით და აზრიანი სიტყვის მატარებელი ქალები ნაკლებია. ხსენებული ქალი აუდიტორიის წინაშე ღირსეულათ იცავს თავის ინტერესებს, ვიმეორებ, სასიამოვნო სურათია, ლამაზი, დიდებული! თითქოს აფაქიზებს მსმენელთ, ავიწყებს ყოველდღიურ წვრილმან ანგარიშებს და თავისი მთელი არსებით იმ აზრით, იმ შთაბეჭდილებით იმსჭვალება, თუ რა ძალაა მომავალი ქალის არსებაში."

ჩვენ ის დაგვრჩენია, რომ ახალ ქართველ ქალს წარმატებები ვუსურვოთ.

გაზეთი ,,ერი" N40, 19 დეკემბერი, 1913
ავტორები: კომისიის წევრნი: ნინო ბადრიძისა,
ელ. ბარათაშვილისა. სოფ. მაჭავარიანისა

,,ქალთა წრის სასარგებლოთ მართული საღამოს შემოსავალი–გასავალი ანგარიში"

,,ქუთაისის საზოგადო საკრებულო დარბაზში გამართული იყო ამაწლის 21 ნოემბერს საღამო ქალთა წრის სასარგებლოთ. ბილეთებიდან შემოვიდა 621 მ. 10 შ. ჩაისა, შამპანიურისა, ყვავილებისა, ლოტოსა და ვახშმიდან შემოვიდა 289 მ. 17 კ. სხვადასხვა პირმა შემოსწირა 139 მ. ამ ნაირათ სრული შემოსავალი იყო 1049 მან. 57 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 606 მ. 59 კ. რომელიც უკლებლივ გადაეცა ქალთა წრის გამგეობის მოლარეს".

საღამოს მონაწილენი მადლობას წირავდენ იმ ადამიანებს, რომელთაც არ დაიშურეს და ქალთა სასარგებლოთ თავისი წვლილი გაიღეს.

წერილში ჩამოთვლილი გახლავთ ქალი და მამაკაცი შემომწირველებიც, ქუთაისის საზოგადოების ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

აშკარად ირკვევა, რომ საქველმოქმედო საღამოში თუ ადრე მარტო ქალები მონაწილეობდენ, ახლა უფრო მეტი შემომწირველი მამაკაცები გამოჩნდნენ.

გაზეთი ,,ერი" N41, 20 დეკემბერი, 1913

,,სუფრაჟისტი ქალები"

,,ინგლისელ სუფრაჟისტმა ქალებმა ამ უკანასკნელ ხანებში ტაკტიკა შეიცვალეს და ადამიანის სიცოცხლის შემწირველ ტერორს მიმართეს. სუფრაჟისტ ქალებმა ორი ყუმბარის გადასროლით გოლოების ციხის კედელი დაანგრიეს. ამ ციხეში დაპატიმრებული იყო სუფრაჟისტი ქალების ხელმძღვანელი".

სუფრაჟისტების ასეთი ქმედება ძალიან აბრაზებდა საზოგადოების დიდ ნაწილს და მათ შორის ახალგაზრდებს. ინგლისში სუფრაჟისტების დაუნდობელ მტრათ ნოქრები და სტუდენტები ითვლებიან. მათ განზრახული აქვთ შეიჭრნენ სუფრაჟისტების ბიუროში და დაამტვრიონ საბეჭდი მანქანა, სადაც მათი ორგანო იბეჭდება.

გაზეთი ,,ერი“ N14, 19 იანვარი, 1914

,,ახალი ამბავი“

,,ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციას განსვენებული ნატალია ქორქაშვილის ასულის სახელის სახსოვრათ სამი თუმანი შეუწირავს ქუთაისის ქალთა საზოგადოებისთვის, რომლის გამგეობის წევრათაც განსვენებული იყო.“

გაზეთი ,,ერი“ N17, 23 იანვარი, 1914

,,ქალთა გიმნაზიები“

,,სახალხო განათლების მინისტრმა ქალთა გიმნაზიის საქმეთა რეფორმის პროეკტი მოიწონა. გიმნაზიები რვაკლასიანი იქნება და ლათინური ენის სწავლას სავალდებულოთ გახდიან. ქალთა გიმნაზიის დასრულება ქალებს იმგვარ უფლებას ანიჭებს, რაც ვაჟთა გიმნაზიის დასრულება მამაკაცებს“.

„აზრი“. 1914. ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
გაზეთი. ქუთაისი. რედ.- გამომც. - ალ. ცერცვაძისა.
(მსწრაფლმბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის).
სოც. დემ. (მენშ.) მიმართ. ორგანო.
1914 წ. N1 (1/III) – N94 (11/ VII), თით. 4 გვ.
დაიხურა მთავრობის განკარგულებით; მის ნაცვლად გამოვიდა (ივლისში)
,,ახალი აზრი“ (1914), შემდეგ ,,ჩვენი აზრი“ (1914).
(გაზეთის კონფისკაციის შესახებ იხ.გაზ. ,,ტალღა“ 1914 წ. 11 ივნისის N1).

გაზეთი ,,აზრი“ N11, 13 მარტი, 1914

,,ქალთა საფაბრიკო ინსპექცია“

სახელმწიფო დუმის მუშათა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი ქალთა საფაბრიკო ინსპექციის დაწესების შესახებ. საფაბრიკო ინსპექტორები მართალია მთავრობის მოხელენი არიან და ისინი უმეტეს შემთხვევაში კაპიტალისტებსაც ემხრობიან, მაგრამ მათი არსებობა მაინც აიძულებს მეპატრონეებს უფრო ფრთხილად მოეკიდონ მუშათა უფლებებსა და ანგარიში გაუწიონ საფაბრიკო კანონმდებლობასაც.

,,დღემდის საფაბრიკო ინსპექტორებათ მხოლოდ მამაკაცები ინიშნებოდნენ. ვინ არ იცის, რომ მუშა - ქალები მამაკაცებზე უფრო დაბეჩავებულია! ამიტომ არის მათ უძნელდებათ თავიანთ უფლებების დაცვა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ხაზეინები და მათი მოსამსახურენი მათ პიროვნებას ამცირებენ და შეურაცხყოფენ.

შემოიღეთ ქალთა საფაბრიკო ინსპექცია და თქვენ დაინახავთ, რომ მუშა ქალები უფრო გაბედულათ დაიცავენ თავიანთ ინტერესებს, მეტი ენერგიით შეებრძოლებიან იმ პირებს, რომელნიც ცდილობენ მათი პიროვნება ფეხქვეშ გათელონ და მათ დაბეჩავებას ეტრფიან.“

დასავლეთ ქვეყნებში, მაგალითად ავსტრალიასა და ფინლიანდიაში დიდი საფაბრიკო ინსპექცია დიდ სამსახურს უწევს მუშათა კლასს.

დღეს მათ გზას განაგებს რუსეთის კანონმდებლობაც და ქალებს მალე ვიხილავთ საფაბრიკო ინსპექტორებად. ,,განძრახულია 40 საფაბრიკო ინსპექტორი - ქალის დანიშვნა 2500 მანეთი წლიური ჯამაგირით. ვინ იცის რა ბედი მოელის ამ კანონ პროექტს ჯერ სახელმწიფო დუმაში და მით უფრო სახელმწიფო საბჭოში, რომელიც ყოველივე რეფორმის წინააღმდეგ ილაშქრებს და მას ცივ სავანეს უმზადებს“.

მართალია, დღევანდელი კანონ–პროექტი სრულიად არ შეესაბამება იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც დემოკრატია აყენებს, მაგრამ საფაბრიკო ინსპექტორების არჩევა მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია იმით, რომ ისინი იძულებული იქნებიან გამოესარჩლონ მუშებს და მათ მოთხოვნილებებსაც ჯეროვანი ყურადღება მიანიჭონ.

,,ჩვენში სუსტია მუშა-ქალთა მუშაობა: ის მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. სასურველია ამ კანონპროექტს მუშა-ქალები გულდასმით გაეცნობოდეს და თავიანთ მოთხოვნილებათა გარკვევას შეუდგებოდენ.“

გაზეთი ,,აზრი“ N25, 12 აპრილი, 1914
ავტორი: ზემოშვილის ასული

,,ქუთაისი“
(ფირალოვის თამ. ქარხნის მუშა ქალთა მდგომარეობა)

მუშა ქალებს ფირალოვის თამბაქოს ქარხანაში ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა. თუმცა აქ არც მამაკაცთა მდგომარეობაა სახარბიელო.

,,ამ ქარხანაში მუშაობს დაახლოვებით 15-მდე ახალგაზრდა ქალი, რომელთა ხელფასი დღიურათ 25 კ. 45-ს არ აღემატება. ამას გარდა ზრდილობიან მოპყრობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სასწუხაროთ ხაზეინებს ამ მხრით ზოგიერთი მუშებიც არ ჩამოუვარდებიან. ძალიან ხშირათ ისეთ უწმაწურ სიტყვებით გაგვიმასპინძლდებიან, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანის გულში ზიზღს გამოიწვევს, მარა ყველა ამას ჩვენ ვითმენთ, იმიტომ, რომ თუ ხმა ამოვიღეთ, მაშინვე ქუჩაში გაგვრეკენ. რას იზამ, გაჭივრებული ცხოვრება ყველაფერს აგატანიებს ადამიანს! მუშაობა იწყება დილის რვის ნახევარ საათზე და თავდება საღამოს 6–ის ნახევარზე, საათნახევრის გამოკლებით სადილზე. ჟურნალ-გაზეთების კითხვას ქალები მეტ ყურადღებას აქცევენ ვიდრე მამაკაცები. ისეთები, რომ ჟურნალ-გაზეთებს იწერდენ, ძლიერ ცოტანი არიან.“

იმედია, ქალები უფრო აქტიურები გახდებიან და მტკიცედ მოკიდებენ ხელს, როგორც ჟურნალ-გაზეთების კითხვას, ასევე თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

გაზეთი ,,აზრი“ N37, 26 აპრილი, 1914
ავტორი: ატუა

,,ხონის ქალთა წრეში“

,,ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, როდესაც კითხულობ გაზეთებში ამა თუ იმ პროვინციაში ქალთა წრის დაარსების შესახებ, მაგრამ წრის მარტო დაარსება კი არ კმარა, არამედ საჭიროა მას შინაარსი მისცე, და კულტურული საშვალებით გაათვითცნობიერო მისი წევრები. საუბედუროთ ჩვენში ზოგიერთ ქალთა წრეებში ამ მხარეს სრულიად არ აქვს ყურადღება მიქცეული.

ჩვენებური ქალთა წრეები თუ გნებავთ, ეს იგივე ოჯახური კლუბია, რომელთა წევრები ,,მესჩანურ“ სულისკვეთებას ვერ გასცილებიან და თავის უფერულ ბურჟუაზიულ მორალით თავიც კი მოაქვთ. ასეთ წრეთა შორის მე მგონია, პირველ ადგილს ხონის ქალთა წრე დაიჭერს. ორი წელია არსებობს ის, მაგრამ მისი მუშაობა უბრალო ქველმოქმედებას ვერ გასცილებია“.

სამწუხაროთ თანამედროვე ქართველი ქალი ჯერ კიდევ ვერ გასცილებია იმ საერთო მდგომარეობის ბარიერებს, რომელსაც დღეს საერთო ქალთა მოძრაობა აყენებს. მანდილოსანთა შორის სამ ქალსაც ვერ შეხვდებით, რომელთაც წაეკითხოთ ცნობილი წიგნი ა. ბებელის ,,დედაკაცი და სოციალიზმი“.

მის შესწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ,,ისინი არ ცდილობენ დაეწაფონ თვითგანვითარებას, თავი დააღწიონ იმ მონურ კარჩაკეტილობას, რომელიც თანამედროვე დედაკაცს საშვალებას არ აძლევს მამაკაცთან ერთად გამოვიდეს ცხოვრების ასპარეზზე და იბრძოლოს უკეთესი მერმისისათვის. ასეთი კითხვები რასაკვირველია, უცხო ხილია ,,მეშჩანურ“ სულის კვეთებით გამსჭვალულ

ხალხისათვის. ისინი კმაყოფილდებიან უბრალო ქველმოქმედებით და მეტ დროს მასკარადების და საცეკვაო საღამოების გამართვაში ხარჯავენ."

ამ მოკლე ხანში ხონის ქალთა წრემ ორჯერ გამართა სამასკარადო საღამო და საცეკვავო ბალები, მაშინ როცა მთელი არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი ლექცია მოაწყო. მას ათიოდე წევრი დაესწრო, ხოლო მასკარადებზე საგანგებოთ მასწავლებლებიც კი ჩამოყავთ სოფლებიდან, რათა ქეიფს უფრო ფართო ხასიათი მისცენ და ამით ,,ქველმოქმედებას" ხელი შეუწყონ.

მართალია ეჭვი არ შეგვაქვს ამ საღამოზე შემოსული თანხის უყაირათოდ ხარჯვაზე, მაგრამ ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს გამახვილებული ქალთა წრის წევრთა თვითგანვითარებაზე.

,,უმრავლესობა კრებებს და სამუშაო საღამოებს მხოლოდ გასართობათ ესწრებიან, რომ ილაპარაკონ და მეტი არაფერი. ჩვენ კი გვეგონა, რომ წრის წევრი მასწავლებელი ქალები მეტ ენერგიას გამოიჩენდნენ, ისინი დაანახვებდენ სხვებს მაგალითს და მით წრის მოქმედებას მეტ სიცოცხლეს მისცემდენ, მაგრამ ჯერ ჯერობით მოვტყულდით. აბა რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქ-ნ ჩიტო შარაშიძის ლექციას, რომელსაც მთელი ქართველი საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილმა ყოველგან აღტაცებით მიეგება, ხონში მხოლოდ მოსწავლე-ახალგაზრდობა დაესწრო და ქალთა წრის ,,მოღვაწე" წევრები კი სხვადასხვა ადგილას საერთო ვახშმებზე შეექცეოდენ?"

მეტი საქმიანობაა საჭირო და არა სიტყვები და დაპირებები.

გაზეთი ,,აზრი" N48, 9 მაისი, 1914
ავტორი: ა. ც-ძისა.

,,ქუთაისი. ქალთა ტანთსაცმელის მკერავი მუშა ქალების მდგომარეობა"

გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ დაწერილა, ქუთაისის ქალთა ტანთსაცმელის მკერავი ქალების გაუსაძლის მდგომარეობაზე. მსგავსი სახელოსნოები ქუთაისში ათი თუ იქნება. თითოში 10-15 ქალი მაინც მუშაობს, მაგრამ მათი ყოფნა არ ყოფნის ტოლფასია.

,,მათ არ აინტერესებს არავითარი კულტურული საქმე და მხოლოდ არშიყობასა და უსაფუძვლო ფუქსავატობაში ატარებენ დროს. მათი შეუგნებლობით რათქმა უნდა, ბ. ხაზეინებიც სარგებლობენ და მათ თავიანთ გემოზე ამუშავებენ. აქ საზოგადოთ მომუშავე ქალები როგორც ყველგან, ნაკლებ ხელფას ღებულობენ, გარდა ამისა, მათ არ იციან განსაზღვრული სამუშაო დრო. მუშაობენ შვიდ საათიდან მოყოლებული ღამის 9-10 საათამდის. თუ უკმაყოფილება მოხდა და ხმა ამოიღო რომელიმე მომუშავე ქალმა, მაშინ მზად არის ბ. ხაზეინი, რომ კარები უჩვენოს და ეუბნება: თუ არ მოგწონს მიბრძანდით, სხვაც ბევრია თქვენისთანებიო."

ამდენი ქალებიდან ერთი ან ორი თუ კითხულობს მუშათა გაზეთებს და იმათაც დასცინიან. დროა უფრო ბევრი იკითხოთ ქალთა დამცველი ჟურნალ-გააზეთები, წაიკითხოთ წიგნები, დაესწროთ ლექციებსა და ქართულ წარმოდგენებს, რაც მოგცემთ იმის დანახვის საშუალებას თუ რაშია ძალა.

გაზეთი ,,აზრი“ N69, 5 ივნისი, 1914
ავტორი: ლენა

,,ქუთათურ ქალთა გულგრილობა“

სამწუხაროთ ქუთაისელი ქალები გულგრილად ეკიდებიან კულტურულ საქმეს. ,,მიუხედავათ იმისა, რომ საყურადღებო ხანაში ვცხოვრობთ, აზროვნების ამუშავება საზოგადოების ყველა წრეებში ემჩნევა, ყველა გრძნობს, რომ ძველი ნიადაგი ირყევა, იბადება აუარებელი ახალი საკითხი, რომელიც თხოულობს გადაჭრას, ჩვენ ქალები ჩამოვრჩით საერთო მისწრაფებას, არ გვაინტერესებს საზოგადო საქმეები, გარდა ბაღის ქვაფენილის ტკეპნისა, პრანჭვა-გრეხისა და სხვა.

აბა, რით აიხსნება ე. ნინოშვილის დილაზე, რომელიც გადახდილ იქნა მისი 20 წლის თავის აღსანიშნავათ დამსწრე ქალების რიცხვს თითზე ჩამოითვლიდით?“

სამწუხაროა, რომ ჩვენი ქალები გულგრილად ეკიდებიან სამშობლო ლიტერატურას და არ აფასებენ იმ მწერლის ღვაწლს, რომელმაც შეამჩნია და ხმა აღიმაღლა ქალთა დამონებისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ. ნინოშვილის შემოქმედება თავისი ღირსებითა და ნაკლით გადმოგვიშალა ჩვენმა ნიჭიერმა ლექტორმა ქალმა ჩიტო შარაშიძის ასულმა.

,,სად იმყოფებოდენ ,,ქალთა საზოგაოების“ წევრები ან გამგეობა?... რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ შეგნებულმა დემოკრატიამ ზურგი გვაქციოს, რომლის მხარის დაჭერა ქალთა დამონების მოსპობის თავდებია. დროა თავი დავაღწიოთ საღათას ძილს და მივბაძოთ ჩვენ შორეულ დებს“.

გაზეთი ,,აზრი“ N75, 19 ივნისი, 1914

,,ქალთა საერთაშორისო კონფერენცია“

ქალთა მოძრაობამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, განსაკუთრებით დიდი აურზაური მოჰყვა სუფრაჟისტი ქალების გამოსვლას ინგლისში. ინგლისი პარლამენტარიზმის კლასიკური ქვეყანაა და დღეს ტერორისტულ თავდასხმების ასპარეზი გახდა. ამის გამო ინგლისის საზოგადოება ღელავს.

,,სუფრაჟისტები ანადგურებენ მუზეუმებს, სჭრიან საუკეთესო სურათებს, სწვავენ საზოგადო სახლებს, თავს ესხმიან მინისტრებსა და სამეფო სახლის წარმომადგენელთ და სხვ...

ქალთა არისტოკრატია ბარბაროსული ზომებით ცდილობს პარლამენტში საარჩევნო უფლების მოპოებას.

დემოკრატიისათვის რასაკვირველია საყურადღებოა ის გარემოება, რომ განთავისუფლების სურვილმა არისტოკრატ ქალების სალონებამდისაც მიახწია, ხოლო არსებითად ასეთ ბარბაროსობას ის სასტიკათ გმობს. ქალთა განთავისუფლება სხვა გზით მოხდება.

ვინ არიან სუფრაჟისტები? რა იხსნის ქალებს მონობის ბორკილებისგან? სუფრაჟისტები ბურჟუაზიულ წრეებს ეკუთვნიან და მათ ინტერესებს იცავენ. მათი ერთადერთი მიზანია მამაკაცებთან უფლებრივათ გათანასწორება, უპირველესათ საარჩევნო უფლების მოპოება. ხოლო არსებული საზოგადოების უცვლელათ დატოვება.“

უფლება ძირითადად ეკონომიურ საფუძველზეა დაყრდნობილი. რანაირი ეკონომიაა, ისეთივეა უფლებაც. თანამედროვე საზოგადოება კლასებად დაყოფილია და აქედან გამომდინარე ერთი კლასის მიერ მეორეს ჩაგვრას ემსახურება. ასეთივეა ოჯახიც, რადგან დღევანდელი ოჯახიც თანამედროვე საზოგადოების სარკეა. ბურჟუა ბატონობს წარმოებაში, ხოლო ოჯახში მამაკაცები.

ეს პროცესი ვერ შეუგნიათ სუფრაჟისტებს და ამიტომაც მათი მოძრაობა უსუსურია. ,,ქალთა განთავისუფლება მუშათა კლასის განთავისუფლებას მოითხოვს, როცა საზოგადოებაში ადგილი აღარ ექნება მონობას, ოჯახშიც შეანათებს თავისუფლების სხივი და მას ახალ საფუძველზე ააგებს. აქეთკენ მიილტვის მუშა-ქალთა მოძრაობა.“

ქალთა განთავისუფლება სუფრაჟისტების კი არა, მუშა ქალთა ამოძრავების საქმეა.

,,ამ მხრივ დიდი ყურადღების ღირსია ის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, რომელიც ქ. ვენაში (ავსტრია) საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გახსნამდე გაიმართება.“

ამ კონფერენციას წინ უძღოდა ბერლინში გამართული მუშა ქალთა შეკრება, სადაც ქალებმა დაგმეს მილიტარიზმი და კაპიტალიზმი. რუსეთში ასე ფართო კრებების მოწყობას ჯერ კიდევ არ აქვს ნიადაგი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალებმა ფარხმალი დაყაროს.

,,ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე სხვათაშორის გაირჩევა ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი მშობიარეთა დაცვა...

დამყაყებული ცხოვრება უკვე შეიძრა და ქალთა ამოქმედებაც მორიგ საქმეთ წამოაყენა. ვინც ამ საქმეს ემსახურება, მუშათა გამარჯვებასაც ხელს უწყობს.

ქალთა მოძრაობა გაიმარჯვებს არა სუფრაჟისტების წყალობით, არამედ მუშა-ქალთა ამოძრავებით და საერთო მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით“.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (1887-1973)
პედაგოგი, მარიამ ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიის მასწავლებელი, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატების სიით დამფუძნებელი კრების წევრი, საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიების წევრი.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967)
მედიცინის დოქტორი, პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, სოციალ-დემოკრატიის სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, დამფუძნებელი კრების წევრი, შრომისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი.

ანა (ოლა) სოლოღაშვილი (1882-1937)
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი კრების წევრი. ბათუმში, ნურიის ბაზარში მისი თაოსნობით გაიხსნა სამკითხველო და ჩამოყალიბდა სახალხო თეატრი.

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875 - გ. უცნობია)
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1902 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1912 წლის მონაცემებით გახლდათ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების "სოხუმის განყოფილების (დაარსდა 1909 წელს) გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937)
ქართველი პოლიტიკოსი, დამფუძნებელი კრების წევრი. 1905 წლიდან მიემხრო მენშევიკებს და იყო გურიის ქალთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1917 წელს ლიზა ნაკაშიძე აირჩიეს „გურიის ქალთა საზოგადოების" თავმჯდომარედ.

ეკატერინე ნიკოლაძე (1854-1931)
ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

ეთელ ენეკინ-სნოუდენი (1881-1951)
ბრიტანელი სოციალისტი, სამოქალაქო აქტივისტი, ჟურნალისტი, ფემინისტი, მე-20 საუკუნის დასაწყისში სუფრაჟისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. პირველი მსოფლიო ომის დროს რადიკალური პაციფისტური მოწოდებებით გამოირჩეოდა და ანტისაომარ პროპაგანდას ეწეოდა, პირველი მსოფლიო ომის დროს მოგზაურობდა ბრიტანეთში, კანადასა და ამერიკაში. ომის შემდეგ კი -საბჭოთა რუსეთში. 1920 წლის სექტემბერში ევროპელი სოციალისტების დელეგაციის წევრის სტატუსით იმყოფებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ალექსანდრა კოლონტაი (1872 -1952)
საერთაშორისო და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, საბჭოთა დიპლომატი.

„ახალი ივერია“. 1914. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი.
რედ.-გამ.-გ. დარახველიძე. (ა.ი. კოხრეიძის სტამბა).
ნაციონალური და დემოკრატ. მიმართ. ორგანო; იცემოდა დროებითშეჩერებულიგაზ.,,იმერეთი“-ს(1912-1915)ნაცვლად იმავე პროგრამით და თანამშრომელთა შემადგენლობით. სულ გამოვიდა: 1914 წ.N 1(28/IX) – N69 (21/XII) 4 გვ.F

გაზეთი ,,ახალი ივერია“ N4, 2 ოკტომბერი, 1914

,,ქუთაისი“
ქალთა წრის სახელოსნო სასწავლებელი

,,დღეს დღის 12 საათზე აკურთხებენ ქუთაისის ქალთა საზოგადოების ქალთა სახელოსნო სასწავლებელს. სასწავლებელი იმყოფება თფილისის ქუჩაზე ნიჟარაძის სახლში.“ ქალთა სახელოსნო სასწავლებელში ამ დღეებში დაიწყება სწავლა.

გაზეთი ,,ახალი ივერია“ N5, 4 ოკტომბერი, 1914
ავტორი: რაჟ. კანდელაკი

,,ქალთა სახელოსნო სასწავლებლის დაარსება ქუთაისში“

2 ოქტომბერს, საეროვნო და საეკლესიო დღესასწაულის არგვეთელი მთავრების წმინდა დავითისა და კონსტანტინეს ხსოვნის დღეს ქუთაისში საძირკველი ჩაეყარა ,,ფრიად სიმპატიურ და სასარგებლო დაწესებულებას, ეგრეთ წოდებულ ქალთა სახელოსნო სასწავლებელს. ასეთი სასწავლებლები განათლებულ ქვეყნებში ფრიად ხშირია, ხოლო ჩვენში კი იშვიათი მოვლენაა. ქუთაისის ქალთა წრემ, მიუხედავთ მისი შედარებით ცოტა ხნის არსებობისა, შესძლო ასეთი დიადი საქმის დაწყება. ხუთშაბათს, დღით 12 საათზედ, როგორც გამოცხადებული იყო გაზეთებში აკურთხეს ეს სასწავლებელი.“

სასწავლებელს 5 ოთახი უკავია, რომლებიც ლამაზადაა მორთული ახალი სკამებითა და მაგიდებით. სასწავლებელი აკურთხა მღვდელმა სპ. ლეკვეიშვილმა. მანვე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომელშიც აღნიშნა სასწავლებლის დიდ მნიშვნელობაზე.

შეკრებილთ ასევე მიესალმა ქალაქის თავი ჩიქოვანი. მან ისაუბრა: ,,იმ ძველ ბედნიერ და ნეტარ დროში, როდესაც ჩვენი ქალები მამაკაცებთან ერთად მუშაობდენ ქალთა რაღაც უფლებებზე ლაპარაკიც არ იყოვო, რადგან მას ადგილი არ ქონდაო, ეს კითხვა თავისთავად გადაწყვეტილი იყოვო, იმიტომ რომ მამა - კაცი და დედა კაცი ერთად ერთნაირათ მუშაობდნენ სამშობლოს საკეთილდღეოთა და ამ დროს უპირატესობაზე ლაპარაკი არც შეიძლებოდაო; მაგრამ დრონი იცვალენ და ჩვენ ქალთაც დაკარგეს პირვანდელი სახე. ისინი გარაიქმნენ და გადაგვარდნენ. ხოლო სასიხარულოთ და სანუგეშოთ ჩვენდა ამ ჟამათ ჩვენ ვხედავთ ისეთ ნიშნებს, რომ ჩვენი ქალები კვლავ ჩადგებიან თავიანთ კალაპოტში და ამოუდგებიან გვერდში მამა კაცებს მსგავსათ თავიანთ სასახელო წინაპართა და სხვა.“

დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ქალებს ასეთი ინიციატივისათვის და უსურვეს მსგავსი სასწავლებლების დაბა სოფლებშიც გახსნა. ასეთი სასწავლებლები, როცა მთელ ქვეყანას მოეფინება, როგორიცაა სამეურნეო, სახელოსნო, სატეხნიკო და საკომერციო, მაშინ ცხოვრებაც თავისთავად გაუმჯობესდება.

ამ საზარელ დროს, როდესაც საშინელი ომის აჩრდილი თავს დაგვტრიალებს და მრავალი ქართველი იღუპება, ქალთა მიერ დაარსებული სასწავლებელი დიდი იმედის მომცემია.

გაზეთი ,,ახალი ივერია“ N41, 19 ნოემბერი, 1914
ავტორი: ლაჯანელი ბანოვანი.

,,პირველ - შობილი ქალი და კაცი“
(სვანური ლეგენდა)

ერთხელ ცამ და დედამიწამ გადაწყვიტეს შეექმნათ უმშვენიერესი და უძლიერესი მპყრობელი მთელი სამყაროსი.

ცამ სთქვა: ,,მე შევქმნი უნაკლოს და უუსრულესს, უმანკოს და უუმშვენიერესს არსებას. მიწამ სთქვა მე შევქმნი ძლიერსა და ულმობელს, მპყრობელს და მდომელს მთელი სამყაროისას.

ამგვარათ რამდენიმე ხნის შემდეგ ცამ სრულჰყო თვისი განძრახული: შექმნა მშვენიერი არსება - ქალი; შთაბერა სპეტაკი სული და აამეტყველა. როცა ცამ იგრძნო თავისი შემოქმედებით გამოწვეული უსაზღვრო აღტაცება, მოიყარა მუხლი შექმნილის წინ და შეეკითხა:

- შენ ხომ ჩემი სწორ-უპოვარი შემოქმედებითი ძალის სრულ-ყოფილი არსება ხარ! შენ ხომ მთელ სამყაროთა სივრცე - სიმაღლის გვირგვინი ხარ და მითხარი ნაკლსა ხომ არას გრძნობ?
- მითხარით რა მაკლია?! - გული.“

ქალმა თავის შემქმნელს უსაყვედურა: თუ რისთვის დააკლო მას გული. შემოქმედმა კი განუმარტა, რომ სპეტაკსა და წმიდა სულს, გულის ნდომა ზვიადი და ბოროტი შეგიმუსრავდაო...

ამ დროს ქალს დედამიწიდან მოესმა ხმა, რომ მე შეგიქმნი იმას, რაც შენ გაკლიაო!. ქალი თავის შემოქმედის დაუკითხავად გადმოეშვა დედამიწაზე და რაკი იგრძნო მოახლოება ზე არსთა ხელოვნებისა, მთელი დედამიწა შეძიგძიგდა და მისი შუა გულიდან მშვენიერი ჭაბუკი წამოიმართა. ერთმანეთის დანახვამ ორივენი შეაკრთო: ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკენ და ვაჟმა მშვენიერ ასულს მიუგო: ,,მაშ შევქმნათ ორმა ერთი სრული არსება, ვიქმნეთ ერთ სულ და ერთგულ და გავეხვათ ბედნიერების სამოსელში...

შეეხო თუ არა ზეციურ სპეტაკ სულს მიწიერი, იგრძნო ცამ, დასჭექა მრისხანეთ დედამიწას და წალეკას ემუქრებოდა ქუხილით, წვიმით და ელვით. დედამიწაც შეშინებული ძიგძიგებდა და თვისგან წარმოშობილ გულს და გულით დამდაბლებულ სულს თვის მკერდში იკრავდა და ღრმად ჩასძახოდათ: ესხეულეთ ერთმანეთს უკუნითი უკუნისამდე...“

ამის შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო, მაგრამ ცა თავის დანაკარგს ვერ ივიწყებს და ქუხილით უხმობს და ელვით დაეძებს. დედამიწა კი შიშით იძვრის და ზანზარებს, რომ არ მოსტაცონ სული, რომელიც გულით დაიპყრო.

„სამშობლო“. 1915-1917. ყოველდღიური გაზეთი. ქუთაისი.
რედ-გამ. - იაკობ ცინცაძე (ფსევდონ. - ია ეკალაძე); რედ: 1917 წელს: ნ. ლორთქიფანიძე (N520-582) და ვას. წერეთელი (N583-დან). გამომცემელი 1916 წლის N293-დან ამხანაგობა ,,სამშობლო“. იცემოდა გაზეთ ,,იმერეთი“-სა (1912-15) და ,,ახალი ივერიის“ (1914) შემდეგ იმავე პროგრამითა და თანამშრომელთა შემადგენლობით.
სულ გამოვიდა: 1915 წ. N1 (31/I)- N253 (31/XII); თით. 4 გვ. F
1916 წ. N254 (1/I) – N 519(30/XII)
1917 წ. N520 (1/I) – N587 (6/IV)
,,სამშობლოს“ შემდეგ გამოდიოდა გაზ. ,,ჩვენი ქვეყანა“ (1917-1918).

გაზეთი ,,სამშობლო“ N524, 8 იანვარი, 1917
ავტორი: იგივე.

,,ქალთა საყურადღებოდ“

,,იუსტიციის სამინისტროს უკვე დაუმთავრებია კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროში ქალთა სამსახურში მიღებისა და მათდამი სასამართლოებში ზოგიერთ თანამდებობის მინიჭების შესახებ.

კანონპროექტის ძალით სასამართლოებში თანამდებობაზე მიღებული იქნებიან ის ქალები, რომელთაც გიმნაზია აქვთ გათავებული, ან ინსტიტუტი, ეპარქიალური სასწავლებელი და სხვა კერძო სასწავლებელიც, რომელთაც გიმნაზიის უფლება აქვთ მინიჭებული.“

თავდაპირველად ქალები დაშვებული იქნებოდნენ სასამართლო პალატის მდივნებად, ოლქის სასამართლოებისა და მომრიგებელი სასამართლოების მდივნებად. თავდაპირველად უხერხული ეჩვენათ მდივნის თანამდებობაზე ღია სხდომებზე ქალთა დაშვება, მაგრამ ბოლოს ეს საკითხიც ქალთა სასარგებლოდ დამთავრდა. ,,კანონპროექტში შეტანილია მუხლი: ქალებს - მდივნებს უფლება ეძლევათ სხდომებზე გამოვიდენ, თუ ამაზე ნება ექნება დართული სასამართლოს თავმჯდომარისაგან, ან მომრიგებელი მსაჯულისაგან.

ქალები, მიშვებულნი მოხსენიებულ თანამდებობაზე, სახელმწიფო სამსახურში იქნებიან ჩარიცხულნი და პენსიის უფლება ექნებათ. ამასთანავე აღნიშნულია, რომ თუ მდივანი ქალი გათხოვდა, ახალი მდგომარეობა მას სრულიად არ დაუშლის განაგრძოს სამსახური და პენსია დაიმსახუროს.“

ეს კანონპროექტი სახელმწიფო სათათბიროში მოკლე ხანში იქნება წარდგენილი.

გაზეთი ,,სამშობლო“ N531, 18 იანვარი, 1917
ავტორი: მ. ქუთათელი

,,ნინოობის დღესასწაული ქუთაისის ქალთა სასწავლებელში“

,,ჩვენი განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმ. ნინოს დღეობა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის სულ უბრალო, მივარდნილ და მიყრუებულ სოფელშიდაც დიდი ზეიმით სრულდებოდა. დიდ რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველებისათვის ამ დიდმა დღეობამ ერთ ხანს თავის ელფერი და მიმზიდველობა დაჰკარგა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეს ჩვენი ეროვნული დღესასწაული, რა მოსაზრებით არ ვიცი, უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ საყოველთაო უქმედ არ აღიარა.“

ნინოობის დღესასწაული მთავრობის თითქმის ყველა დაწესებულებაში უქმედ არ არის აღიარებული. გამონაკლისია მხოლოდ სამოსწავლო უწყება და ისიც მარტო კავკასიის ოლქის სასწავლებლებში უქმობენ ამ დღესასწაულს.

,,ქუთათურ სასწავლებლებს შორის ყველაზე უფრო დიდის პატივით, წმ. ნინოს დღეობას ქუთაისის ქალთა სასწავლებელი იხდის ყოველ წლობით. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ეს სასწავლებელი ღირსეულად ატარებს წმ. ნინოს სახელს. მხოლოდ სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ სხვა დანარჩენი ჩვენი სასწავლებლები, როგორც სავაჟო აგრეთვე საქალებო ბანს არ აძლევენ ამ სასწავლებელს და მარტო ფორმალური უქმობით ჩაატარებენ ხოლმე ამ დღეს.“

14 იანვრისათვის ამ სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა მიხეილ ნაცვლიშვილმა ღირსეულად აღნიშნა წინა დღის ღამის თევით ლოცვით ეს დღესასწაული. ამ ცერემონიალზე დაპატიჟა მხცოვანი დეკანოზი მ.გაბრიელ ცაგარეიშვილი, რომელმაც სხვა მღვდლების თანამსახურობით ბრწყინვალედ შეასრულა წინა საღამოს ეკლესიური ღვთის მსახურება.

,,ამ დღეს გაორკეცებული სასოებით იქმნა შესრულებული მოსწავლე ქალების კითხვა გალობა. ეკლესიებში მათი სამსახური დიდად უწყობდა ხელს და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. წირვას დაესწრო ბ. გუბერნატორი და მთელი სასწავლებლის შემადგენლობა. ნაწირვების შემდეგ მთელი სამღვდელოება და გუბერნიის სტუმრები საუზმეზე მიიწვიეს.“

გაზეთი ,,სამშობლო“ N535, 22 იანვარი, 1917
ავტორი: ვასილ წერეთელი

,,კატო მიქელაძის ლექციის გამო“

,,ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“, ეს ნათქვამი კატო მიქელაძის ლექციებზეა ზედგამოჭრილი, რადგან მისი შინაარსით დატვირთული ლექციები საზოგადოების ჯეროვან ყურადღებას მაინც ვერ ეღირსენ, როცა ზოგიერთი ლექტორის ბრახაბრუხის შემცველი სიტყვებიანი ლექციები უფრო მეტ მოწონებას იმსახურებენ.

აი კატო მიქელაძის გუშინდელი ლექციის დედააზრი: ,,დედაკაცის უუფლებობა და მამაკაცის ბატონობა - ზოოლოგიურის, ცხოველური მძლავრობისა და გულისთქმის შედეგია. ხანგრძლივმა ისტორიულმა სოციალურმა განვითარებამ დედაკაცი მონობისაგან კიდევ ვერ გაანთავისუფლა, მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში გაუთანასწორდა ის მამაკაცს სოციალური მდგომარეობით. ხსენებული ფედერაციის ზოგიერთს შტატში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში კი - პოლიტიკური

უფლებებითაც. დედაკაცებმა თავის სოციალ-პოლიტიკურ უფლებათა მოპოებისათვის თვითონვე უნდა იბრძოლონ, მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ; უამისოდ მამაკაცების ვერც ერთი ჯგუფი ანუ პარტია, თუნდა სოციალისტური, ქალთა საკითხს ვერ გადასწყვეტს. კერძოდ თვითეულმა დედაკაცმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ის-მამაკაცის სქესობრივი გულისთქმის დასაკმაყოფილებელ იარაღს არ წარმოადგენს და ავხორცობა, ლირწება, გარყვნილება, რომელიც ადამიანის გონებას ჩრდილავს, აძაბუნებს, ქალის თავისუფლების და ადამიანური ადამიანობის უდიდესი მტერია."

უფლებრივი თანასწორობისათვის მებრძოლი ქალები პირველ რიგში მხარს უჭერენ მონო-გამიას, ე.ი. ერთცოლიანობასა და ერთქმრობას. ყოველივე ეს ემყარება თავისუფალ სიყვარულს. ვინაიდან ქალების აზრით ისინი ქმრებთან და შვილებთან დიდი სიყვარულით ცხოვრობენ და სხვა მამაკაცებს მხოლოდ მეგობრად უყურებენ, რომელიც მაუწყებელია გარყვნილების წინააღმდეგ. ბოლოს საქართველოში დამკვიდრებული ის საოცარი მიმართულება, რომლის იდეოლოგადაც გრიგოლ რობაქიძე გამოდის და განმასახიერებლად გრიშაშვილი მათვე ემატებათ ,,ცისფერიყანწების" სხვა თანამშრომელნიც ქართველ ქალთა სწორუფლებიანობის უდიდეს მტრებად უნდა იქნენ აღიარებულნი, რადგან ისინი ქალის ავხორცობის თაყვანისმცემლები გამხდარან.

,,სქესობრივი სიყვარული ადამიანის ერთადერთი მიზანი კი არ არის და ცხოვრებას მთლად კი ვერ ამოსწურავს, არამედ ცხოვრების მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია და, რამდენადაც უფრო მოკლებულია ავხორცობისა და ლირწების გულისმთქმელობას და უახლოვდება უმანკო მეგობრობას, მით უფრო განმაკეთილშობილებელია. მეორე მხრით სქესობრივი სიყვარული სხვას, უმაღლეს ზნეობრივ დასაწყისებს უნდა ემორჩილებოდეს: მეგობრობას, ახალ თაობისადმი ზრუნვას, ოჯახისა და საზოგადოების კეთილღეობისათვის თავდადებულ შრომასა და სხ."

ალბად, ჩვენ აზრს, რომელიც ექვემდებარება ჩვენი ერის ზნეობრივ და გონებრივ წარმატებას ყველა ქალი მოაწერს ხელს.

ლექტორი ქალის თქმა ,,ქალები, რომელნიც თავის მოვალეობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე კეთილსინდისიერად ასრულებენ ბებერ ქალწულებადაც რომ დარჩენ, ისეთსავე ზნეობრივს ღირებულებას წარმოადგენენ, როგორც დედები, და ეს სრულიადაც არ ესაძრახისებათ. მამაკაცების ლირწი დაცინვა კი მათთვის ანგარიშში ჩასაგდებელი არ არისო, სრული ჭეშმარიტებაა."

ქალბატონებო! ნუ აყვებით ავხორცობას. ერიდეთ ლირწებრივ ცხოვრებასა და მიზნად კეთილშობილი სიყვარული, მეგობრობა და შრომა დაისახეთ. ამით თქვენ ზნეობრივად უნდა აჯობოთ ავხორცობას აყოლილ მამაკაცებს.

სასურველია, რომ პატივცემული ლექტორი თავის ლექციას კვლავ წაიკითხავდეს დიდი აუდიტორიის წინაშე, რადგან ბევრი ქალიშვილი დაჰკარგავს იმ სიწმინდეებს, რომელსაც ლექცია მათ უკარნახებთ.

გაზეთი ,,სამშობლო" N543, 7 თებერვალი, 1917

,,ქალები სამხედრო სამსახურში"
(სტოკჰოლმი)

,,4 თებერვალი. ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: ოფიციალურად გამოიცა მთავრობის ბრძანება, რომლის ძალითაც დედაკაცებსაც მოახდევინებენ სამხედრო ბეგარას; მათ დანიშნავენ ,,ორდინატთა" თანამდებობაზედ. დედაკაცებისა და ქალების მოვალეობას უნდა შეადგენდეს ბრძანებათა შეტყობინება და დოკუმენტების გაცემა".

გაზეთი ,,სამშობლო“ N543, 7 თებერვალი, 1917

,,ახალი ამბავი“
(ქალის მოტაცება)

,,24 იანვარს შხეფის (სენაკის მაზრა) მცხოვრებნი ვლ. სიკ. ჯანჯღავა, პიმენ ან. ჩემია და გრ. ვას. კინწურაშვილი მიხდომიან ამავე სოფლის მცხოვრებ ქალს პელაგია სახოკიას და წინადადება მიუციათ ცოლად წაყოლოდა ერთ მათგანს ჯანჯღავას. ქალს უარი უთქვამს და დაუწყია ტირილი, მაგრამ მომტაცებლებს აუხვევიათ მისთვის პირი და წაუყვანიათ ერთი ვერსის მანძილზე. ჩემიას და კინწურაშვილს მიუტოვებიათ ქალი და ჯანჯღავა, რათა უკანასკნელს გაეუპატიურებია იგი. ეს გარემოება გაუგია პოლიციას და სამივე გამტაცებლები დაუპატიმრებიათ, ხოლო ქალი ჩაუბარებიათ მშობლებისათვის.“

გაზეთი ,,სამშობლო“ N546, 10 თებერვალი, 1917
ავტორი: იგივე

,,ქალთა საყურადღებოდ“

დღემდე არსებულ კანონში ცოლ-ქმრობის შესახებ იხატება აშკარა ძალმომრეობა მამაკაცის სიძლიერე დედაკაცზე და მისი დაჩაგვრა-დამონება. ,,107 მუხლი სამოქალაქო კანონთა ამბობს: ,,ცოლი ვალდებულია დაექვემდებაროს თავის ქმარსა, როგორც ოჯახის თავს, უყვარდეს იგი, პატივისცეს, მორჩილობდეს მას და ყოველგვარი ნდობა უჩვენოს მას, როგორც ოჯახის დიასახლისმა.“

კანონის თანახმად ყველაფერი კაცის უპირატესობაზეა მოცემული, მაგრამ როგორ შეუძლია კანონს აიძულოს ცოლი უყვარდეს და პატივისცეს ქმარს, ეს კანონმდებლის საიდუმლოება გახლავთ.

,,სიყვარული და პატივისცემა ცოლ-ქმართა შორის ნუთუ კანონის საქმეა? და ნუთუ კანონმდებელმა ეს აღარ იცის, რომ ამგვარი მიდებულ-მოდებული აზრები სამოქალაქო კანონში არ შეიტანოს?“ ეს კანონი დღესაც ასეა დარჩენილი. 1914 წელს, სახელმწიფო სათათბიროში ირჩეოდა საქმე, რომ ცოლს ნება ჰქონდეს ,,ქმრის შეუკითხავად და მისი ნების წინააღმდეგათაც, თავისუფალი ცხოვრებისთვის პასპორტი მიიღოსო, მარკოვი მეორე სასტიკათ ამხედრდა: თქვენ გინდათ გლეხის ოჯახი დააქციოთო, - სთქვა მან. მართლაც რუსეთის კანონმდებლობის აზრით ცოლი გლეხის ოჯახისთვის კაცი, პიროვნება, კი არ არის, არამედ მხოლოდ, სამუშაო ძალაა, როგორც საქონელი, ოჯახის სასარგებლოდ.“

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1914 წლის 4 თებერვალს სახელმწიფო სათათბირომ დაადგინა: ,,ცოლს უფლება ჰქონდეს მიიღოს საკუთარი პასპორტი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ეს ქმარს არ სურს. ამ კანონის ძალით იმ ცოლებმა, რომელთაც ქმართან სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიაჩდათ, თავისუფლად ამოისუნთქეს.“

მიუხედავად ამისა რუსეთის კანონებში კაცი ყოველთვის მონახავს ისეთ ხერხს, რომ კანონი არ შეასრულოს. იქაც ეს კანონი გამოჩნდა.

მართალია სახელმწიფო სათათბირომ პასპორტის თაობაზე ახალი კანონპროექტი მიიღო და კანონადაც აქცია, მაგრამ ჯერ არ გაუუქმებია 103 მუხლი ამავე კანონისა, რომელიც ამბობს, რომ ,,ცოლ-ქმარმა ერთად იცხოვრონო. ამისათვის მათი ცხოვრების გასათიშავად არავითარი საბუთი არ იქნესო და, თუ ქმარმა ცხოვრების ალაგი გამოიცვალა, ცოლი ვალდებულია თან წაყვესო.“

ამნაირად ოთხი თებერვლის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული საპასპორტო წესი მხოლოდ იმ საბუთად გამოდგა, რომელიც მომხრეა მეუღლეთა განცალკევებული ცხოვრებისა.

გამოდის, რომ საკანონმდებლო პალატებმა ვითომდა ,,თავისუფლებას მხარი დაუჭირეს და ცოლს თავისუფალ ცხოვრებაზე ნება დართეს. ეს იმ დროს, როდესაც ყველამ კარგად იცის, რომ თავისუფლებისათვის მთელი კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს და არა თითო ოროლა მუხლი.“

გაზეთი ,,სამშობლო“ N549, 15 თებერვალი, 1917

,,რუსეთი“
(ქალები ნოტარიუსებად)

,,მმართველმა სენატმა განმარტა, რომ ქალებს შეუძლიათ დაიკაონ ნოტარიუსების თანამდებოდა, მხოლოდ არა უფროსის“.

გაზეთი ,,სამშობლო“ N556, 23 თებერვალი, 1917

,,ქალები საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე“

,,განათლების სამინისტრომ ნება დართო იურიევის უნივერსიტეტს მიიღოს ქალები საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლის იმ ცენზით, რა ცენზითაც მამაკაცებს იღებენ“.

გაზეთი ,,სამშობლო“ N564, 4 მარტი, 1917
ავტორი: ქ. საზ. გამგეობა.

,,წერილი რედაქციის მიმართ“

ბ-ნო რედაქტორო!

,,ქუთ. ქალთა საზოგადოების გამგეობა გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბატ. ვარლამ ობოლაძეს, რომელმაც საზ. შკოლის კურს დამთავრებულ ქალებს მიაღებინა ჭრა-კერვის პრაკტიკა თავის სახელოსნოში უსასყიდლოთ“.

გაზეთი ,,სამშობლო“ N567, 8 მარტი, 1917
ავტორი: ბაბალე წულეისკირისა

,,ქართველ ქალებს“

დღეს მთელი რუსეთი ზეიმობს ძველი რეჟიმის დამხობას, დღეს მთელი რუსეთი ეგებება ახალ მთავრობას და ყველა საშუალებას ხმარობს მისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ჩვენ ქართველი ქალები გაჩუმებული ვართ. ,,ჩვენ ქართველი ქალები 6 თუმნიან ტუფლიკებს ვეძებდით და იმას ვკითხულობდით დაჟინებით თუ

რომელი მკერავი უფრო კარგ ,,ფასონს“ შეკერავს, ან და რომელ მაღაზიაში საუკეთესო საკაბეები მოიძებნება.

ნუთუ არაფერი გვაინტერესებს? განა ჩვენ კი არ გვინდა მოქალაქებრიობა თავისუფალი რუსეთისა?... ნუთუ ადგილობრივ დროებით აღმასრულებელ კომიტეტში არც ერთი ქალი არ უნდა ყოფილიყო? შეიძლება ჯერ ახლაც არ იყოს დაგვიანებული - შევიკრიბოთ; დავხვდეთ მომენტს შესაფერისად. ნუ განვამტკიცებთ იმ აზრს რომ ჩვენ მხოლოდ ტიკინები ვართ. შევუერთოდ ჩვენი ხმა და შრომა ჩვენს მამაკაცებს! გაუწოდოთ მათ ხელი ამხანაგობისა და ასე ხელი-ხელ ჩაკიდებული ვემსახუროთ ერთ კერპს.“

აუცილებელია ქალთა კრების მოწვევა, რადგან დაგვიანებით იმდენად არ დაშავ–დება, როგორც სიჩუმით.

გაზეთი ,,სამშობლო“ N578, 12მარტი, 1917

,,რუსული პრესა“
(ქალთა საკითხი)

,,რუსეთი ახალ ცხოვრებას იწყებს, უუფლებო უფლებით იმოსება, მაგრამ სამწუხარო არის, რომ ახალ წესწყობილებაში ჩვენ ვერ ვხედავთ ქალთა საკითხს. დღეს სადაო აღარავისთვის არ უნდა იყოს, რომ ქალთა შრომა წარმოების სხვა და სხვა დარგში დაუფასებელი აღმოჩნდა. ქალებმა ყველგან დიდი უნარი და ნიჭი გამოიჩინეს და რად არ უნდა იხსენიებოდენ იგინი პოლიტიკურ განახლებაში და ასპარეზზე? არსებულ მომენტში ქალთა საკითხის გვერდზე გადადება დიდი ცოდვა იქნება.“

ახალი წესწყობილება ყველა მოქალაქეს ათანასწორებს. დღეს აუცილებლად მიგვაჩნია ქალთა უფლებრივი თანასწორობის კანონის შემოღება, ვიდრე გვიან არ არის.

გაზეთი ,,სამშობლო“ N571, 14მარტი, 1917

,,ახალი ამბავი“

,,ქ. ქალთა საზ. გამგეობა 15 მარტს საღამოს შვიდ საათზე იწვევს საზოგადო კრებას, მომენტის გამოსარკვევად. ბინა ხვალინდელ ნომერში იქნება გამოცხადებული.“

გაზეთი ,,სამშობლო“ N573, 17მარტი, 1917

,,ქალთა პროტესტები“

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავად ლვოვს, სამართლის მინისტრს ა. კერენსკის და ეროვნულ-სოციალისტურ ბიუროს.

,,გავიგეთ, რა კავკასიის კომისარიატიდან სოციალ-ფედერალისტთა პარტიის უკეთეს წარმომადგენელის გადაყენება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული რუსეთის

დემოკრატიულ საფუძველზე განახლება, პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობის ინტერესების დაცვა, აგრეთვე ბრძოლა საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის მოსაპოვებლად, ავტონომიის მომხრე ქართველი ქალები რიცხვით 1500–ზე მეტი შევიყარენით ქუთაისში დროებითი მთავრობის განკარგულების გამო და გამოვსთ–ქვამთ ღრმა მწუხარება–აღშფოთებას იმ რწმენებით, რომ კიტა აბაშიძის გადაყენების ფაქტი ბევრ არა სასურველ უხერხულობასა და შედეგებს შექმნის ადგილობრივ ელემენტთა ახალ მთავრობასთან სოლიდარულ თანამშრომლობისათვის დიდი რუსეთის კეთილდღეობის საქმეში. ღრმადა გვწამს, რომ ბ-ნ კიტა აბაშიძეს კომისრობა დაუბრუნდება.“

ამასთან ჩვენი სამშობლო 100 წელზე მეტია, რაც ზღაპრულ პრომეთესებურად პოლიტიკური მონობის ჯაჭვში სულს ღაფავს. გვწამს, რომ თავისუფალი რუსეთი ჩვენ გვარგუნებს პოლიტიკურ ავტონომიას, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება აგებული.

გაზეთი ,,სამშობლო“ N573, 17მარტი, 1917

,,ქართველ ქალთაგან“

თბილისი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ-დ ლვოვს და სამართლის მინისტრს კერენსკის შემდეგი დეპეშა გაეგზავნა: ,,ქართველი ქალები სინანულს გამოსთქვამენ კომისარიატის წევრობიდან კიტა აბაშიძის უმიზეზოდ შეცვლას სხვა პირით. მოვალეობად მიგვაჩნია გაცნობით, რომ აბაშიძე, როგორც ნამდვილი გამომხატველი ქართველთა ეროვნულ ნებისყოფისა კომისარიატის შემადგენლობაში მისი ყოფნა აუცილებელია ამ კუთხის არსებით საჭიროებათა გადასაწყვეტად.“

გაზეთი ,,სამშობლო“ N573, 17მარტი, 1917
ავტორი: დ. უ. ძე.

,,ქართველ ქალს“

,,არ მჯეროდა, თუ ქართველი ქალის სულსა და გულში არარაობა და ფუქსავატობა ასეთ შეურყეველ ნავთსაყუდარს იპოვიდა; ნუთუ ქართველი ქალის მჭექარე და მამულისადმი სიყვარულით აღგზნებული ხმა, რომელიც ისმოდა ჩვენ ისტორიაში ჟამსა გაჭივრებისას, ეხლა არ მოუწოდებს გმირთ და მამულისთვის თავდადებულთ? რა უყავით კეთილშობილური გრძნობა ძველი ქართველი ქალისა, სადაა თქვენი ხმა, რათ არ ხართ შეკავშირებული და არ ეწევით მუშაობას? ნუ თუ ამ დიად მომენტში საკეთებელი და სამუშაო არაფერია? განა მარტო დღიური მოთხოვნილების დაყმაყოფილება გიანდერძათ თქვენმა დედებმა?“

დაყოვნების დრო აღარ არის. დროა ჩაებათ საზოგადო ფერხულში, რისთვისაც მომავალი ისტორია პატივისცემით მოგიხსენიებთ.

გაზეთი ,,სამშობლო“ N573, 17მარტი, 1917

,,ქუთ. ქალთა საზოგადოება“

14 მარტს ქუთაისის თეატრის დარბაზში გაიმართა ქუთაისელ ქალთა საზოგადოების კრება, სადაც სილოვან ხუნდაძემ შეკრებილთ გააცნო კრების მიზანი. ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ცნობილი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი და თავის გრძნობით სავსე სიტყვაში განმარტა რუსეთის ძველი რეჟიმის სიყალბე, რომლის დანგრევას იგი აღფრთოვანებით შეეგება.

ამასთან დავით კლდიაშვილმა თავისი მოსაზრება გამოთქვა იმ დღეებში მომხდარ ამაღელვებელ ფაქტზე: ,,კიტა აბაშიძე, სთქვა დავითმა, ცნობილია, როგორც სამშობლოს ეროვნული ინტერესების დამცველი და ასევე მშრომელი მასის უკეთესი დარაჯი. მიუხედავად ამისა მეტად შემაძრწუნებელი ცილისწამების გამო ჩამოყენებულ იქნა თანამდებობიდან, სადაც იგი მოიწვია თვით კერენსკიმ და მის ალაგას კი ბ.ა. ჩხენკელი დაინიშნა. ჩვენ საწინააღმდეგო არა რა გვაქვს ბ. ჩხენკელთან და არც პროტესტს უცხადებთ მას, მაგრამ გულით გვსურს, რომ დღეს, როდესაც ყოველი ნაწილი რუსეთისა სახელმწიფო ფხიზლდება ჩვენი სამშობლოსაც ყავდეს ეროვნული ინტერესების დამცველიო.“

დავით კლდიაშვილის ამ განცხადებას აღფრთოვანებით შეეგება ქალთა საზოგადოება. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ა. წერეთელი და ილაპარაკა ქართველ მანდილოსანთა თავდადებაზე და იმ ფაქტზეც, რომ ქალებმა კვლავ მოიწადინეს კიტა აბაშიძის ხელახლად კომისრად დაბრუნება და ამასთან სრული ტერიტორიალური ავტონომიის შექმნა. აქვე სიტყვები წარმოთქვეს ბ. დოლიძემ და სპ. ჯორჯიკიამ. მეტად შინაარსიანი და საყურადღებო იყო ქალბატონ მჭედლიძის ასულის სიტყვა, რომელმაც მხურვალე ტაშისცემა დაიმსახურა. აქვე წაკითხული იქნა კერენსკის სახელზე გასაგზავნი საპროტესტო დეპეშები.

გაზეთი ,,სამშობლო“ N574, 18მარტი, 1917
ავტორი: მ.ქუთათელი

,,წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის უფროსის გაპარვა“

ქუთაისის საზოგადოებამ კარგად იცოდა თუ რა პიროვნებას წარმოადგენდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის უფროსი ქალი. მას ქართველების ხსენება ჭირივით ეზარებოდა და მასწავლებლებსა თუ მოსწავლეებს უდიერად ეპყრობოდა. ამ სასწავლებელში ბევრ ინსპექტორს გაუშრო სისხლი და ერთი თვითმკვლელობამდისაც მიიყვანა. მისი ოინები და ხრიკები კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ამ სასწავლებლის ინსპექტორს კონსტანტინე ბიძინას ძე გაბარაშვილს არ ჩამოეხადა მისთვის ნიღაბი. ეს ქალბატონი შორს იდგა საღ პედაგოგიურ მოსაზრებიდან და სწავლა-აღზრდის საქმეს იგი მარტო ბრძანებლობაში ხედავდა.

ბატონმა გაბარაშვილმა მისი ასეთი ყალბი შეხედულება სრულიად გააქარწყლა და ,,ნაჩალნიცას“ უზურპატორობას წინ აღუდგა და სასწავლებელს სათავეში თვითონ ჩაუდგა. თვითნებობას მიჩვეულ უფროს ქალს ეს ამბავი, რასაკვირველია, არ ესიამოვნა და თავის მხრით ინსპექტორს კბენა დაუწყო. ასეთი უსიამოვნება ,,ინსპეკტორსა“

და ,,ნაჩალნიცას“ შორის წასული წლის ენკენისთვიდან დაწყებული დღითი დღე იზრდებოდა. ბოლოს ვ. ინსპექტორს მოთმინების ფიალა აევსო და ,,ნაჩალნიცას“ ოინები გამოააშკარავა.“

მთავრობამ გაიზიარა ინსპექტორის მოხსენება და ცრუ აღმზრდელი უფროსი ქალი გაანთავისუფლა. იგი მალე ქუთაისიდან გაიპარა და მოსწავლეებსაც არ გამოთხოვებია.

გაზეთი ,,სამშობლო“ N580, 25მარტი, 1917

,,20 მარტს მოწვეულ ქალთა კრებაზე არჩეული დროებითი აღმასრულებელი ქალთა კლუბის ბიურო“

,,მოუწოდებს ყველა იმ ქალთ განურჩევლათ ეროვნების და პარტიულ მიმარ–თულებისა, რომელნიც მომხრე არიან ქალთა კლუბის და ქალთა სწორუფლებიანობის ლიგის დაარსებისა, მობრძანდენ ქალაქის სამკითხველოში, ორშაბათს, 27 მარტს, საღამოს რვა საათზე. კრებაზე შემოსვლის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ მამაკაცებს, რომელნიც დღიურ კითხვების შესახებ სიტყვებს წარმოსთქვამენ, არა უმეტეს ათი კაცისა. ყოველი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ, ის პირები, რომლებიც რაიმე მოსაზრებით ქალთა კლუბის დაარსების წინააღმდეგნი არიან, ნუ მობრძანდებიან.“

„ახალი კვალი“. 1915-1916. ყოველკვირეული (1916 წელს ყოველდღიური) საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედ. გამ. -სევერიანე ბ. ბახტაძე (მსწრაფლმბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა; 1916 წელს სტამბა ,,ძმობა“).
1915 წ. N1 (1/V) – N12 (20/VII); თით. 4 გვ.
1916 წ. N13 (7/III) – N37 (22/VIII)
გამოვიდა გაზ. ,,ჩვენი აზრის“ (1914)ნაცვლად. გაზეთის 1916 წ. შეხედულებათა გასაცნობად იხ. წერილი ,,ჩვენი პასუხი“ (ნ. ჟორდანიას). N24-ში. იხ. აგრეთვე რეცენზია გაზ. ,,სამშობლოში“ 1915 წ. 5 მაისის N72-ში.
გაზეთი ,,ახალი კვალი“ დაიხურა ადმინისტრაციის განკარგულებით 1915 წელს მე N12-ის შემდეგ; განახლდა 1916 წ. 7 მარტს მე-13 ნუმრით, რომელზედაც შეცდომით 14 ნომერია აღნიშ-ნული.
გაზ. ,,სახალხო ფურცელი“-ს ცნობით ,,ახალი კვალი“ უსახსრობის გამო დაიხურა (იხ. ,,სახალხო ფურცელი“ 1916 წ. 3 აპრილის N543).

გაზეთი ,,ახალი კვალი“ N8, 22 ივნისი, 1915
ავტორი: ლიუდ. მეგრელიძისა.

,,მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლ. საქართველოში“

ვიდრე გავარკვევდეთ საკითხს თუ ვინ უნდა მოაწესრიგოს მშრომელ ქალთა ცხოვრება ჩვენში, მანამ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ,,თუ რა ადგილი გვიჭირავს თვით ცხოვრებაში. ე.ი ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულება და ჩვენი მოქალაქეობრივი უფლება.“

ჩვენს წვრილ მესაკუთრეთა ოჯახში როცა ქალები გაჩნდებიან, მშობლები საყვედურის კილოთი აცხადებენ: ,,რა უყოთ, ღმერთმა ასე ინება და ასე მოგვცაო“.

რატომ ათი ვაჟი რომ ეყოლოს ასე არ იტყვიან? ადვილი მისახვედრია: ქალის ცხოვ–რება მეტად უკუღმართათ არის მოწყობილი. ჯერ კიდევ მამის ოჯახშივე უპირატესობას აძლევენ ვაჟს. ვაჟს ეძახიან ოჯახის ბურჯს, ქალს კი ისე უყურებენ, როგორც დროებით სტუმარს, წამსვლელს. კეთილი და ლმობიერი დედა, კიდეც ერიდება მას. ,,ვაიმე შვილო... არაფერი ვაწყენიო, გულნაკლული არ წავიდეს ოჯახიდანო.“

ოჯახის უფროსი მამაკაცი, ძმა არის ის თუ მამა, მუდამ იმაზე ფიქრობს თუ როგორ გაათხოვოს მისი ქალი და როგორ მოიშოროს ეს მძიმე ტვირთი თავიდან. ზოგიერთ კაცს რომ კითხოთ ჩვენში, რამდენი შვილი გყავსო, თუ ორი ვაჟი ყავს და ორი ქალი გულუბრყვილოთ გეტყვის: ,,ორი - შვილი მყავს და ორიც სხვისი ნაცარიო.“

ხუმარა გურულს რომ კითხო, რამდენი შვილი გყავსო, თუ ერთი ვაჟი ყავს და ხუთი ქალი, სიცილ-ხარხარით გეტყვის, - ,,შვილი ერთი მყავს, მჭამელი კი ხუთიო“.

,,ჩვენებურ ოჯახში ასე ვსთქვათ, უფლება შელახული პიროვნებანი არიან. თუ იცხოვრებთ სოფელში და ჩაუკვირდებით ჩვენს დაბეჩავებულ მესაკუთრეთა ფსიხოლოგიას, მაშინ ჩემი სიტყვები არც თუ უცხო იქნება.“

გასათხოვარი ქალები მამისეულ ოჯახში არც თუ ისე წრფელები არიან, რადგან ცალი თვალით თუ დედ–მამას შესცქერიან, მეორე თვალით ვიღაც შორეულს ელიან. ისინი

დაოჯახდებიან თუ არა ქალწულობასთან ერთად კარგავენ იმ პაწაწინა უფლებასაც, რომელიც მამის ოჯახში გააჩნიათ. ე.ი თავისუფლების მოგვარებას. კერძოდ ცხოვრებაში და გრძნობის სიუხვეს.

ეკლესიაში ფეხის შედგმისთანავე ქალიშვილებს ეუბნებიან: ,,ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ ქმარი არს თავი ცოლისა."

ასევე წმინდა მამები ქალს გადაჭრით უბრძანებენ: ,,ხოლო ცოლსა გეშინოდეს ქმრისა" აქედან ჩანს: ,,რა სასტიკი შეურაცყოფაა ადამიანის, როდესაც მისი თავის მაგიერ, სხვის თავს ადგამენ კისერზე! ამით უხშობენ მას საკუთარ აზროვნებას და უბოჭავენ თავისუფალ გრნობას. სიყვარულისა და პატივისცემის ნაცვლად ლამობენ შიშით და რისხვით მის დამორჩილებას."

ასეთია, ჩვენ ხალხში ზნე და ჩვეულება ქალზე. იქნებ სამოქალაქო და სახელმწიფო კანონმდებლობაში მაინც ქონდეს მშრომელ ქალებს სანატრელი ადგილი?

,,სწორედ უდიდესი უბედურებაც ეს არის, რომ აქედან ჩვენ სრულიად განდეგილი ვართ. მართალია, არც მუშა მამაკაცებია ამ მხრით კარგ დღეში, მაგრამ ჩვენ სავსებით გამოსხლეტილი ვართ იმ ნამცეცებსაც, რაც მათთვის მიუციათ."

ქალთა უფლებებზე სახელმწიფო დუმა, სამოქალაქო და სასოფლო მმართველობა დუმს. ქალთა ბედს ჩვენდა დაუკუთხავად სწყვეტენ. ქალებს არა აქვთ საშუალება ამ საგანზე დაწვრილებით მსჯელობისა და რაიმეს გაუმჯობესებისა.

,,ამნაირათ უფლება-თვით მოქმედება ჩამორთმეული შინ, ყოველივე უფლება აყრილი ოჯახს გარეთ. სხვისი შემჩერე შინ, სხვისი შემჩერე გარეთ აი, მოკლე სურათი მშრომელ ქალებისა ჩვენში."

რუსეთისაგან განსხვავებით მრეწველობისა და ეკონომიკის განუვითარებლობა ქალებს უმუშევრად ტოვებს, ამიტომ ისინი შინ თუ გარეთ მონათა როლში არიან.

ქართველ ქალებს ეროვნული თავისუფლების შეზღუდვას დამატებით უღელს უქმ–ნის. თუ რუსეთის იმპერიაში ქალებისათვის ენა თავისუფალია ყველგან სახელმწიფოსა თუ სასამართლოში, ჩვენ ამის უფლებას ენის უცოდინრობის გამო მოკლებული ვართ. დაგვრჩენია მხოლოდ ორი ნაბიჯი მიწა სამშობლოში გარდაცვალების შემდეგ.

ყველაზე მთავარი უბედურება ის არის რომ ქართველ ქალებს წასასვლელი არსად გვაქვს. ,,უუფლებო, უენო, ზნეჩვეულებათა მონა, ქონებით ღატაკი. აი, რა ადგილი გვიჭირავს ცხოვრებაში."

ერთადერთი იმედი მუშათა კლასის გამოსვლაა ჩვენში.

გაზეთი ,,ახალი კვალი" N11, 13 ივლისი, 1915
ავტორი: ლიუდ. მეგრელიძისა.

,,მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლ. საქართველოში"

,,როგორიღა არის მუშის სულიერი განწყობილება დედაკაცთან? თუ წვრილი მესაკუთრე ისევ უცქერის ქალს, როგორც მის საკუთრებას და არავითარ ანგარიშს არ უწევს მის სულიერ მოთხოვნილებას, და კიდეც ამაყობს მით, რომ მის ცოლს მისკენ აქვს ორივე ხელი გაწვდილი საარსებო ლუკმისთვის, ქალაქის მუშა პირიქით ეწინააღმდეგება ქალთან ასეთ დამოკიდებულებას. მას სძულს მისკენ ხელგაწვდილი მეუღლე. მუშას თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება უყვარს. ის განდევნილია ყოველგვარ კერძო საკუთრებიდან და ისიც აღარ უბრუნდება იმაზე ფიქრს. ის უკვე შეურიგდა იმ აზრს, რომ წვრილ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში მას არაფერი წილი არ უძევს. მისი არსებობა დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ მისივე ძალღონეზე,

რომელიც გააქვს ბაზარზე გასაყიდათ. და რასაკვირველია, ასეთი ადამიანები ვერ იყოლიებენ მონებს, ვერ იყოლიებენ მისგან დამოკიდებულ ოჯახობას. მისი მეუღლე იმავე კერძო და მოქალაქეობრივ უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი.“

ქალაქის მუშას დასთანაც ისეთივე განწყობილება აქვს, როგორც სხვებთან. დაც არ შესცქერის ძმას თვალებში, რადგანაც არაფერი აქვს გასაყოფი ერთმანეთთან. მასაც თავისი ცოცხალი ძალა გააქვს ბაზარზე, როგორც ყველა მუშას და ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებული.

ასეთია საზოგადოთ მუშის სულიერი განწყობილება დედაკაცთან ყველა ერში. როგორი სურათია ჩვენში? ,,ჩვენში ამ მხრით მუშები შორს არ წასულან გლეხებისაგან. ჩვენებურ მუშების უმრავლესობა ვერ არიან თავისუფალი კერძო საკუთრების გავლენისაგან.სხვადასხვა სამრეწველო დარგების განვითარებამ ჩვენში უმალ მამაკაცებს გამოუძახა სახლიდან. დედაკაცები კი დარჩნენ იმავე ოჯახურ პირობებში. ამ გარემოებამ გამოიწვია ქალის გულში ორი გარემოება: გრძნობა, - ჩვეულებრივ ოჯახის გაღონიერების და შეძენის. გრძნობა, - თავისუფალ დამოუკიდებელ შრომის და ცხოვრების. ხან ერთი იზიდავს თავისკენ და ხან მეორე.

დიდი სიამოვნებით დათანხმდება თავისუფალ შრომას და ცხოვრებას, მაგრამ საამისოდ ბაზარი არ უღებს კარებს და იძულებულია იოცნებოს ისევ შეძენაზე და გამდიდრებაზე, რომელიც არასოდეს არ იქნება.“

ეს გარემოება დიდად აბრკოლებს მუშის თავისუფალ მოქმედებას და იგი უიმედოდ უყურებს მეუღლესა და დედაკაცს, რომელიც მის თვალში უვიცობის სარკედ გადაქცეულა.

,,ჩვენი ქალები კი უმეტეს შემთხვევაში ყველაფერს ინსტიქტიურათ გრძნობენ. გონების საზომით არ შეუძლიან ასწონონ და გაზომონ. მხოლოდ ინსტიქტიურად გრძნობა ავისა და კარგის, აქედან წარმომდგარი სურვილი, სურვილის მიუწვ–დომლობა... აი რა იწვევს ჩვენი მშრომელი ქალის გულში უკმაყოფილობას. თვით ის დედაკაციც, რომელიც მოწყვეტილია ოჯახის კერას და ქალაქის ქუჩაზე დაეძებს ხსნას, ისინიც ვერ არის გამორკვეული თავის მოქმედებაში.“

ქალთა ამ ჩამორჩენის მიზეზია მათი საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. თუ სოფლის უმუშევარნი სოფლადვეა გაბნეული და უსაფუძვლო რამეებზე ოცნებობენ, ქალაქის უმუშევარნიც უორგანიზაციოთ და უთავბოლოთ დაეხეტებიან ქალაქის ქუჩებზე. ის მცირედი ნაწილიც, რომელიც ასე თუ ისე ჩაბმულია საქმეში, ვერ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული.

,,ამრიგათ ქართველ მშრომელ ქალებს ჩვენში არა აქვთ ერთი მთლიანი სახე და არც შეიძლებოდა სხვანაირათ: სადაც კაპიტალიზმი არ განვითარებულა და არ მოუხდებია მკაცრი დიფერენციაცია, სადაც არაა გარკვეული ეკონომიური მდგომარეობა ქალისა, იქ არ შეიძლება იყოს გარკვეული, მთლიანი სახეც“.

ბოლოს, როცა აშენდება სოციალური შენობის მძიმე კედელი ცხოვრებაც გაუმჯობესდება.

გაზეთი ,,ახალი კვალი“ N23, 16 მაისი, 1916
ავტორი: ლენა

,,ნაწყვეტები ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“

,,ქალთა განთავისუფლების იდეა ანუ დედაკაცთა ემანსიპაცია ჩაისახა მე-18 საუკუნის ბოლოში. ეს მოძრაობა ორ მიმართულებაში გამოისახა: იდეალურ-სულიერში დედაკაცი ილტვოდა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისადმი,

ითხოვდა უფლების გაფართოვებას, მონაწილეობის მიღებას ამა თუ იმ საზოგადო საქმეში და სხვა.

მატერიალური, ფილანტროპიური იხატება სხვადასხვა პრაქტიკული საშუალების გამოძებნაში. მუშა დედაკაცის ეკონომიური და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში."

გამოჩენილი ფრანგი მწერალი კონდორსე 1887 წელს დაჟინებით ითხოვდა, დედაკაცისათვის საარჩევნო უფლებას, ხოლო ორი წლის შემდეგ კი დედაკაცის უფლების - მამაკაცთან სრულად გათანასწორებას.

ქალი იბრძოდა არამარტო სიტყვით არამედ საქმითაც თავისი უფლებების გაუმჯობესებისათვის. ,,მესამე წოდების ქალთა პეტიცია მეფისადმი", რომელიც 1789 წელს იყო წარდგენილი გვიხატავდა მუშა ქალის აუტანელ მდგომარეობას. იმავე წლის მეორე პეტიცია კი თხოულობდა უფლების გაფართოებას და გენერალურ შტატების არჩევნებში ქალთა მონაწილეობას, ხოლო მესამე კი მამაკაცთან სრულიად გათანასწორებას ხელოვნებასა და შრომაში. იყო შემთხვევები, როცა ქალები მღვდლის ადგილსაც თხოულობდნენ ეკლესიაში.

,,პეტიციის შემდგენელი ქალები თხოვდენ ,,ნაციონალურ კრებას", რომ მამაკაცებს აეკრძალოთ ქალის შერთვის დროს მოთხოვნაო. მართლაც, მათი მოთხოვნილებანი ისეთი მძლავრი შეიქმნა, რომ ,,ნაციონალურ კრებამ" და ,,კონვენტმა" შეიწყნარეს მოთხოვნილებანი და შეიმუშავეს კოდექსი ანუ კრებული, რომლის ძალით, ცოლი და ქმარი ყოველივე უფლებებით გათანასწორებული იყვნენ. ამასთანავე სახალხო განათლება ორივე სქესისათვის თანასწორი იყო. ამ გამარჯვებამ ქალების მხრივ გამოიწვია შეკავშირება, რადგან ისინი გრძნობდენ რომ ძალა ერთობაშია."

მთელი საფრანგეთი მოიფინა ,,ქალთა საზოგადოებებით", მასში აუარებელი ქალი ეწერებოდა წევრებათ. მათ ხელმძღვანელობდენ გამოჩენილი ქალები ოლიმპიადა დე გუჟი და როლანდი.

ოლიმპიადა იყო მჭერმეტყველი, რომელიც მდაბიო ქალებს იცავდა, რომელმაც ლუიზა ლაკობთან ერთად კონსტიტუციას 17 მუხლისაგან შემდგარი ,,ქალის უფლებები" დაუპირისპირეს და იგი პარიზის კომუნის წინაშე იქნა დასაბუთებული. ეს მოხდა 1793 წლის 10 ნოემბერს. ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი იყო: ,,თუ ქალს უფლება აქვს სახჩობელაზე ასვლის, მას უფლება უნდა ჰქონდეს აგრეთვე ტრიბუნაზე ავიდესო. ამ მოთხოვნით ოლიმპიადა დე გუჟს ეშაპოტზე თავი მოჰკვეთეს. ხოლო მას შემდეგ კი ქ. როლანდს. იგი პოლიტიკოსის როლს თამაშობდა რევოლუციონერებს შორის. ამით კონვენტმა ხალხს დაანახა თავისი მტრული განწყობილება. საფრანგეთში დაიკეტა ქალთა კავშირები და მათი საზოგადო კრებებზე დასწრება. ეს იყო ხანა საფრანგეთის იმპერიისა, რომელიც ნაპოლეონის ტახტზე ასვლით შეიცვალა. ამ უკანასკნელმა მტრული განწყობა გამოხატა ქალთა მიმართ და ულმობლად და არარაობად აქცია ქალის ყოველგვარი უფლებები. ნაპოლეონის კოდექსის ძალით: ,,ქალს უფლება არა აქვს რაიმე განკარგულება მოახდინოს უძრავ ქონების შესახებ, თუ ამის შესახებ ქმრის ნება უფლება არ არის. ქმარი არის ოჯახის ბატონ პატრონი, ცოლი მისი მონა მორჩილი. უკანონოთ შობილს მამის ძებნის უფლება ეკარგება. თუ ვინცობაა ცოლი ღალატობს ქმარს, კანონი მას სჯის ორი წლის დაპატიმრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმარი სრულიად არ აგებს პასუხს კანონის წინაშე თუ გინდ 10 ქალთან ცხოვრობდეს იგი. კანონი მას აჯარიმებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხასას ოჯახში მოიყვანს."

ქალბატონი პუტრე დე მოშანი სცემს გაზეთს, სადაც მოითხოვს ნაპოლეონ ბონაპარტის კოდექსის დებულებათა შეცვლას. მისი მეთაურობით ქალებმა მეფეს ლუი ფილიპეს წარუდგინეს პეტიცია, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი მეფეა ფრანგების განურჩევლად სქესისა. ქალებს მხარს უჭერდნენ გამოჩენიილი ფრანგი მწერლები.

გაზეთი ,,ახალი კვალი“ N25, 30 მაისი, 1916
ავტორი: ლენა

,,ნაწყვეტები ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“

საფრანგეთში ქალთა მოძრაობას ყავდა, როგორც თანამგრძნობელი, ასევე მოწინააღმდეგე პრუდონის სახით. იგი ბუნებრივად მიიჩნევდა მონოგამიურ ქორწინებას დედაკაცსა და მამაკაცს შორის. მისი აზრით მამაკაცი უფროსად უნდა ითვლებოდეს ოჯახში, რადგან მამაკაცი ფიზიკური და ინტელეკტუალურის ძალებით სძლევს დედაკაცს. ამიტომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს მამაკაცს და იყოს მასზე დამოკიდებული.

,,გასული საუკუნის 60-იან წლებში ქალთა საკითხებით ძალზე დაინტერესდენ გამოჩენილი ფრანგი მწერლები ჟიულ სიმონი, პოლ-ლერუა, ზოლიე, მიშლე და სხვანი. ამის შედეგი იყო 1878 წელს ქ. პარიზში პირველათ საერთაშორისო კონგრესის, ქალთა უფლების დასაცველად მოწყობა. კონგრესის მომწყობ კომიტეტში მონაწილეობას იღებდენ ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელნი: საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიის, ჰოლანდიის, რუსეთისა და ამერიკის. თვით კონგრესზე კი გარდა ქალებისა დაესწრნენ სენატორები, დეპუტატები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები და სხვა.

კონგრესი დაიყო ხუთ სექციათ: ისტორიულ, პედაგოგიურ, საკანონმდებლო, სექციათა ყველა ოქმები გამოცემული იქნა შემდეგ ცალკე წიგნად.“

ამ კონგრესს უწოდეს ,,ინტერნაციონალურ კონგრესის ქალთა უფლების აკტი“. ამ დროს ორი ქალის ხელმძღვანელობით მარი ბერენისა და გრის-ტროტის მიერ პარიზში დაარსდა დედაკაცთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საზოგადოება. ამაზე ადრე დაარსებული იყო იუბერტინ ოკლერის მეთაურობით ქალის უფლების დამცველი საზოგადოება, რომლის მიზანი იყო ქალთათვის საარჩევნო უფლებების მოპოვება.

1881 წელს ამ საზოგადოებას უკვე ქონდა ბეჭდვითი ორგანო ,,მოქალაქე“. მეორე წელიწადში ლეონ რიშეს მიერ დაარსდა წრე ქალთა იურიდიულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ასეთი წარმატებებისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში ბევრს ბჭობდნენ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მისი უმთავრესი მიზეზი გახლდათ ფრანგი ქალების განყენებული აზროვნება, რადგან ისინი მხოლოდ სიტყვით ითხოვდნენ ემანსიპაციას და არა პრაქტიკული მოქმედებით. ამის მაგალითად გამოდგება ფაქტი ქალთა უმაღლეს განათლების შესახებ.

,,საფრანგეთში შედარებით სხვა სახელმწიფოებთან უნივერსიტეტებს კარი არ დაუხურავთ ქალებისათვის“; არც მთავრობა და არც თვით უნივერსიტეტის კორპორაცია ყოფილა წინააღმდეგი ამისა, მაგრამ ფრანგის ქალებმა ვერ ისარგებლეს მოპოვებული თავისუფლებით და უცხოელ ქალებთან შედარებით უნივერსიტეტებში მათი რიცხვი მცირე იყო. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ საშვალო სწავლა-განათლება 1880 წლამდის ნაკლებად განვითარებულ იყო იქ. მხოლოდ ამ წლიდან კამილ სეისის კანონის ძალით გაიხსნა საფრანგეთში საშუალო სასწავლებლები დედათა სქესისათვის. მანამდე კი ფრანგის ქალები იძულებული იყვენ დაბალი შკოლის ცოდნით დაკმაყოფილებულიყვენ თუ მხედველობაში არ მივიღებთ კერძო პანსიონებს, სადაც სწავლობდენ მხოლოთ მდიდრის შვილები. მიუხედავად სწავლების დაბალი დონისა ფრანგ ქალებში მაინც იჩინა თავი ნიჭმა მხატვრულ ლიტერატურაში, ხელოვნებასა და ბევრ სხვა დარგში.“

საფრანგეთი იყო ის ქვეყანა, რომელმაც მოუმზადა ნიადაგი მეზობელ ქვეყნებში ქალთა მოძრაობას.

„ხმა ქართველი ქალისა“. 1917-1918. ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედ. - კატო მიქელაძე; გამომცემელი - ქუთაისის ქალთა კლუბი.
1917 წ. N1 (5/IV) – N32 (4/XII);თით. 4 F პატ.
1918 წ. N1 –N18 (31/XI).

,,ხმა ქართველი ქალისა“, N1, 5 აპრილი, 1917

,,სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე ქ.ქუთაისში“

,,ქართველო ქალებო!

არავისათვის ძველი რეჟიმი, რომლის დანგრევას დღეს მთელი რუსეთი დღესასწაულობს, ისეთი დამჩაგვრელი არ იყო, როგორც დედაკაცების და კერძოთ, ქართველი ქალების. ის მთელი თავისი სიტლანქით 100 წლის განმავლობაში აწვა ჩვენს სამშობლოს, რომლის სიმძიმის ქვეშ ქართველი ქალის ღირსება ისრისებოდა. მან შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად უჩვეულო ზნე-ჩვეულებანი, რომელმაც შესცვალა უმაღლესად ზრდილი რაინდული პსიხოლოგია ქართველი მამაკაცისა და ოდესღაც ამაყს, თავისი ზნეობრივი გავლენით, ქართველ ცოლსა და დედას ჩაუწყვიტა ხმა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში და უპიროვნო კეკელკათ გადააქცია.

ქართველო ქალებო, იცოდეთ, რომ ჩვენ გვმართებს უდიდესი თავგამოდება, დიდი მეცადინეობა, რომ გავფანტოთ ის უღირსი ჩვენი ზნეობრივად დამამცირებელი, ჩვენი ადამიანური ღირსების შემლახველი უკუღმართობანი, რომელიც რუსის ბიუ–როკრატიამ ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა. ვის უნდა ახარებდეს მისი დამსხვრევა, როგორც ჩვენ? მოისპო მმართველობა ძალმომრეობისა! და დღეს, როცა ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის საძირკველი იყრება, ჩვენ თავს გვაწევს, ამ დიად ისტორიულ მომენტში, საშვილიშვილო ვალი, რომ მოვითხოვოთ ისეთი პირობები პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომელიც საშვალებას მისცემს ჩვენს მომავალ თაობას თავიანთი ინდივიდუალური ადამიანური პირობების განვითარებისა.“

კატო მიქელაძე კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მოითხოვდა, რომ ქალებს ერთსულოვნად ებრძოლათ თავიანთი უფლებების მოპოვებისათვის.

მომხსენებელმა დიდი შეფასება მისცა 1917 წლის რუსეთის რევოლუციის ისტორიას და ამ რევოლუციაში რუსი ქალების ღვაწლს განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

,,გვახსოვდეს, რომ ქართველ ქალთაც უდევთ წილი რუსეთის ხანგრძლივ რევოლუციის სვლაში და თავისუფალ საქართველოში ისინი მონებათ ვერ დარჩებიან. მართალია, ჩვენ რუსის ქალების სიგმირე არ გამოგვიჩენია, მაგრამ არა მისთვის, რომ ჩვენში საამისო სულიერი ძალა არ მოიპოვებოდა, არამედ მისთვის, რომ საგმირო ასპარეზი თანამედროვე საქართველოში ორთავე სქესისათვის დახშული იყო. თუ ქართველს ქალს აქტიური სიგმირე არ გამოუჩენია, სამაგიეროთ, ქართველი ქალებიც ისეთივე ინტერესით ეხმაურებოდენ განმათავისუფლებელს მოძრაობას, როგორც ჩვენი მამაკაცები.“

კატო მიქელაძემ მიმოიხილა საქართველოში სწავლა განათლების სისტემაში ქართველ ქალთა დიდი როლი და ის საქველმოქმედო საქმიანობა, რომლებსაც ქალები იჩენდნენ კერძო სკოლების, ბიბლიოთეკების გახსნის საქმეში.

,,ჩვენ გვყავს ინტელიგენტი მშრომელი ქალები, რომელთა ხელში არსებობს მრავალი კერძო სკოლები. ჩვენცა გვყავს იდეური მუშა ქალები და თავდადებული დედები.

ჩვენ ვიცნობთ ისეთ ქალებს, რომლებიც ოჯახისა და შვილების საკეთილდღეოთ წელებზე ფეხს იდგამენ, მაშინ როდესაც მათი ქმრები უდარდელს ლხინსა და ქეიფს ეძლევიან“.

,,ხმა ქართველი ქალისა“ N1,5 აპრილი, 1917
ავტორი: მარიამ გარიყული

,,ქალებო შევერთდეთ“

,,ეს ქუთათური კინკლაობაა, თუ მართლა კლასთა ბრძოლა? … ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზეზი უფრო პირველში დევს და იმედს არ ვკარგავთ, რომ მის უადგილობას შევიგნებთ და ყოველ უთანხმოებას გამოვასწორებთ ჩვენდა საკეთილდღეოდ...

გახსოვდეთ, რომ ისტორიული უკუღმართობის გავლენით დღევანდელი მამაკაცი იმდენად ეგოისტია, რომ ის თავისი ნებით იშვიათათ თანასწორ ამხანაგათ ჩაგთვლის“.

,,ხმა ქართველი ქალისა“ N2, აპრილი, 1917

,,ქართველი ქალი დღევანდელს ოჯახში“

,,დღევანდელი ქართველი ქალი თავის ქმარ-შვილში იმდენად აგდებული და უმნიშვნელოა, რომ, არამგონია, ჩამოსულმა უცხოელმა დაგვიჯეროს თავმოწონება ჩვენი ძველი დედების ზნეობრივ და პიროვნულ სიდიადეზე“... მას შემდეგ, რაც ჩვენი მოწინავე საზოგადოება რუსეთის ბიუროკრატიას დაუმორჩილდა, მოქალაქობრივი გულის ტკივილის მაგიერათ, მილიტარისტული სულით გაიჟღინთა...

ტარას ბულბაზე და ანეგინზე აღზრდილი თაობა თანდათან კარგავდა დედაკაცისადმი პატივისცემას და ამ ნიადაგზე განათლებულმა პირებმა ქართული ოჯახური ცხოვრება რუსულ დომოსტროიაზე ააგეს და შინა და გარედ ერთადერთი ავტორიტეტი მამაკაცი გახდა.“

,,ხმა ქართველი ქალისა“ N5, მაისი, 1917.
ავტორი: კატო მიქელაძე

,,ქალი, როგორც მოქალაქე“

,,ჩვენ ხშირად გვესმის ქალის ,,დანიშნულებაზე“ და მის უფლებებზე, ვითომც ისინი გამოყოფილი უნდა იყოს კაცის უფლებათა და დანიშნულებისაგან... უაზრობაა და უსამართლობაა ვიფიქროთ, რომ, ვითომც, ქალებს არ ჰქონდეთ რაიმე დამოკიდებულება ცოდნის უმაღლეს ფორმებთან, რომელნიც ზრდის და ანვითარებს კაცობრიობას ზნეობრივად და სულიერად. მითუმეტეს მძიმე ბოროტებაა, თუ მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალი მხოლოდ მონურად უნდა ემორჩილებოდეს მას და მისი მოქმედება ისაზღვრებოდეს ოჯახური ცხოვრებით.“

,,ხმა ქართველი ქალისა“, N17, 3 აგვისტო, 1917
ავტორი: კატო მიქელაძე

,,მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა“

,,ხმა ქართველი ქალისა“, N18, 10აგვისტო, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N19, 17აგვისტო, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N20, 24აგვისტო, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N21, 31აგვისტო, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N22, 7 სეკტემბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N23, 14 სეკტემბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N24, 21 სეკტემბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N25, 28 სეკტემბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N26, 12 ოკტომბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N27, 19 ოკტომბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N30, 13 ნოემბერი, 1917.
,,ხმა ქართველი ქალისა“, N31, 20 ნოემბერი, 1917.

,,ლეგიონი ქალთა უფლების მტერთა დედაკაცების პიროვნული მონობის ბუნებრივობას თავისი ძალმომრეობის გასამართლებლად უკანასკნელ ხანამდე სხვადასხვა საბუთებით ადასტურებდა“.

მამაკაცები მეცნიერულად ცდილობდნენ იმ უსამართლობის დაკანონებას, რომლის მიმართ მამრობითი სქესი ისტორიულად სისხლს ღვრიდა. ბუნებრივია ისმის კითხვა რა იყო და რა არის დღესაც მიზეზი იმ აშკარა ჭეშმარიტი გაუგებრობისა, რომ ქალებიც ადამიანები ვართ და ვართ ღირსი ადამიანური უფლებისა. გარდა ამისა საოცრებაა, ის რომ ამით მამაკაცები არ აფასებენ დედებისა და დების ღირსებასაც, როცა ისინი მეტი ყურადღების ღირსნი არიან მათგან. ქალების მიმართ ზნეობრივ მოვალეობას ისინი უკანა პლანზე წევენ და ახსოვთ მხოლოდ ქალი, როგორც სქესი. ,,რომელზედაც ბატონობას ისტორიულად შეეჩვიენ და რომლის უფლებრივი გათანასწორება თავიანთ სქესთან მათ შიშსა და გულისწყრომას გვრის. ამ საიდუმლო შიშს ისინი ოსტატურად მალავენ და შვილებისა და ოჯახის საკეთილდღეოდ თავს გვახვევენ სამუდამო მონობას და რომ შეგვარიგონ მონურ უპიროვნო ცხოვრებას. ერთი მათგანი ტვინის სიმძიმით გვიმტკიცებს ქალთა ბუნებრივ ჭკუანაკლებობას, მეორენი ტვინის აპკის ხვეულით და მესამენი ფიზიოლოგიური თვალსაზრისით და ფიზიკური ძალის სიჭარბით გვარწმუნებენ თავიანთ ბუნებრივ უპირატესობას.“

ასეთი არგუმენტების გაბათილების მიუხედავად, მამაკაცები თავისებურ ლათაიებს იმეორებენ. ქალები იძულებულები ვართ სათითაოდ განვიხილოთ მათ მიერ წამოყენებული ქალთა ბუნებრივი ჭკუათხელობის დამამტკიცებელი საბუთები.

უპირველესად დავიწყოთ ფიზიკური ღონის სიჭარბიდან: ,,ცნობილი ფაქტია და დიდი ხნის გამოკვლეული, რომ იქ, სადაც ინტელექტუალური ძალა სჭარბობს, ფიზიკური ნაკლებია და იქ, სადაც ფიზიკური ძალა მეტია, ინტელექტუალური ნაკლებია.“

ამ დებულების ჭეშმარიტებას ამტკიცებს დიდხერხემლიან ცხოველთან ადამიანის შედარება ღონითა და გონებით. ასევე ველურ და ცივილიზაციურ ხალხისა და ინტელეგენციისა და ფიზიკურად მომუშავეთა შედარება.

ასე რომ, ,,დღევანდელი დედაკაცის ფიზიკური სისუსტის მიზეზი ისტორიულია და არა ორგანიული და ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ჩვენ ვხედავთ როგორც ბუნებაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში.“

რაც შეეხება ტვინის სიმძიმეს და მის მეცნიერულ მნიშვნელობას, ამის შესახებ ანატომიური ცნობები შემდეგს ამტკიცებენ: ,,გენიოსის ტვინი გაცილებით ნაკლებს იწონიდა იდიოტის ტვინზე. ვალტერის (ვოლტერი) ტვინის სიმჩატემ გაკვირვებაში შეიყვანა იმდროინდელი მედიკები.

ტვინი ცნობილი მეცნიერი ბიშობისა, რომელიც ამტკიცებდა დედაკაცების ჭკუის სიმჩატეს, მათი ტვინი მამაკაცების ტვინისაზე ნაკლებს იწონიდა. გაცილებით უფრო ნაკლები აღმოჩნდა წონით, ვიდრე ის საშუალო ტვინი, რომელიც გამოიყვანა ქალთა ტვინის საზომათ.“

მესამე არგუმენტი, რომელსაც მამაკაცებს მათი უპირატესობის არგუმენტად მოჰყავდათ იყო ტვინის აფკის სხეული, რომელზედაც ბოლო დროს დაიწყეს საუბარი ანტი ფემინისტებმა.

,,ცხადია, ის ტვინი უფრო მდიდარი იქნება ხვეულით, რომლის პატრონი უფრო მეტი მცოდნე და განვითარებულია. რადგან ისტორიულად სულიერი ცხოვრება, სწავლა-განვითარება და პრაქტიკული სოციალ-პოლიტიკური გამოცდილება მამაკაცების მონოპოლია იყო.

ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ მათი ტვინი მეტს ხვეულს არ ატარებს და ყოველი დედაკაცის ტვინის სხეულს არა სჭარბობს.

ზემოთ დასახელებული არგუმენტები იმას ცხადყოფენ ,,თუ რამდენათ მიუდ–გომლად ადამიანი ბუნებას ორ სქესად გაუყვია, როგორც დედაკაცი და მამაკაცი“. თუ ეს ასეა, თუ რომ ბუნებას მამაკაცი არავითარი განსაკუთრებული ღირსებით არ დაუჯილდოვებია, მაშ, რამ წარმოშვა ქალთა მონობა? მიზეზი სხვა მხრივაც უნდა ვეძიოთ და ავხსნათ.

ცნობილია, რომ პირველ ყოფილ საზოგადოებაში მდედრობითი სქესი გაცილებით ნაკლები იყო მამრობით სქესზე, რომელსაც გვიმტკიცებს კულტურის ისტორია და თანამედროვე სოციოლოგია.

,,ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რენე ვორმსის სტატისტიკური გამოკვლევით მტკიცდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა საკმარისად განვითარებულია ხალხში, მდედრობითი სქესის დაბადება სჭარბობს მამრობითი სქესისას და იქ, სადაც ასეთი ცხოვრება განუვითარებელია მამრობითი სქესის დაბადება მეტია მდედრობით სქესზე.“

ფრანგმა მეცნიერმა თავისი კვლევებით დაადასტურა, რომ ეკონომიურად გაძლიერებული ინგლისში მდედრობითი სქესის დაბადება გადააჭარბა მამრობითისას.

გამოდის, რომ მდედრობითი სქესის სიმრავლე მოითხოვს უკეთესი ცხოვრების პირობებსა და საზოგადო ცხოვრების წინსვლას, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში არ მოიპოვებოდა და ,,მაშინდელი რიცხვ მცირე მდედრობითი სქესი ძალა უნებურად უნდა გასწვდენოდა იმ დროინდელს რიცხვით მეტს მეორე სქესს. ამ მოსაზრებას, სხვა რომ არა იყოს რა, მაშინდელი პოლიანდრია (მრავალქმრიანობა) ამტკიცებს.

პირველყოფილი დედაკაცი თავისი ფიზიკური ძალით, რომ მამაკაცზე სუსტი არ იყო, ამას თვით პირველყოფილი მატრიარქატის არსებობა ამტკიცებს. ამაზე მოგვითხრობს ამაზონების გმირ ქალთა მითები. ,,გარდა ამისა ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ სუსტი, უძლური და თანაც მცირე რიცხოვანი სქესი თავისზე ძლიერსა და მრავალ რიცხოვანს სქესს სოციალურ ცხოვრებაში გააბატონებდა. როგორ უნდა აიხსნას მატრიარქატის დროს ქალის უპირველესი უფლება მოვალეობები. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ,,მატრიარქატის დროს დედაკაცი იყო უმთავრესი მარჩენალი, უმთავრესი მებრძოლი ბუნებასთან. მან დაღვარა პირველი ოფლი მიწაზე, მან დაამუშავა და გამოაღებინა მას პირველი ნაყოფი, რომელსაც სახელად დედამიწა ეწოდა.

მატრიარქატის დროს როგორც მოზრდილი ბავშვი ღებულობდა სარჩოს დედის ოჯახიდან ასე ღებულობდა სარჩოს მამაკაცი. გამოდის რომ როგორც ფრანგი სოციალისტი ლაფარგი აღნიშნავს ,,ის ბავშვის ტვინი, რომელსაც დღეს ქალებს გვასაკუთრებენ თვით მამაკაცის საკუთრება ყოფილა პირველყოფილ საზოგადოებაში.

ამასთან ერთად ,,პირველყოფილი დედაკაცის ყოფიერებას მოწმობს ის ფაქტი, რომ პირველად ხალხი თაყვანს სცემდა არა ვაჟ-ღმერთებს, არამედ ქალ-ღმერთებს. რისთვის იყო ეს, თუ არა მისთვის, რომ ერთადერთი მფარველი და პატრონი მოდგმისა მხოლოდ დედაკაცები იყვნენ, რამდენათაც მათში ზნეობრივი გრძნობა უფრო ადრე იყო გაღვიძებული დედობრივი სიყვარულისა გამო, მაშინ როდესაც მამაკაცს წარმოდგენაც არ ჰქონდა ვინმესთვის მზრუნველობაზე.“

ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ალფრედ ფულე ამტკიცებდა დედაკაცის ბუნებრივ პასიურობას და მამაკაცის ბუნებრივ აქტიურობას. დედაკაცის ორგანული კონსტრუქცია იმდენად პასიურია, რამდენადაც მასში მეტია პოტენციალური ძალა და ამის გამოც შეუძლია მას მეტის ატანა, მეტი თავდაჭერა როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. მამაკაცი იმდენად მოძრავია, რამდენადაც ეგოისტი, რის გამოც ის ნაკლებად თავდაჭერილიცაა და ბუნებრივად ნაკლების ამტანიც. მაგალითვისათვის ავიღოთ შეყვარებულის საქმრო-საცოლის სულიერი განწყობილება, როცა ,,პირველი მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ოცნებობს, მეორე მხოლოდ ამ ბედნიერებასთან ერთად თავის მომავალ დედობასაც ითვალისწინებს. ზნეობრივი ძალა მეტია დედაკაცში, ვიდრე მამაკაცში.“

აქვე უნდა ითქვას ისიც რომ ,,რამდენათ დედაკაცისთვის ბუნებრივად ადვილია უმამაკაცოდ ცხოვრება, იმდენად მამაკაცისთვის ძნელია უდედაკაცოთ არსებობა.“

ავტორი თავის მიმოხილვაში ეხება ერთ მწვავე პრობლემასაც: თუ რამ წარმოშვა ის უკუღმართი მოვლენა, როცა დედაკაცს აყარა უფლება და დაამონა იგი? ეს იყო უვიცობით გამოწვეული შედეგი, რადგან იმ დროინდელმა ადამიანმა არ იცოდა ბუნების ექსპლუატაცია და არსებობისთვის მხეცურ ბრძოლას შეუდგა.

,,ხალხის სიმრავლესთან ერთად, როცა ეკონომიკურმა გაჭირვებამაც იმატა, მამაკაცი უდარდელ, ლაღ ცხოვრებიდან იძულებული შეიქნა გამოსულიყო და დედაკაცთან ერთად შრომაში ჩაბმულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სიკვდილით შიმშილი ემუქრებოდა, რადგან მარტო ერთი სქესის შრომის უნარი მომრავლებული ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამ დღიდან ერთდება ორთავე სქესის შრომა და მამაკაცი ოჯახს უახლოვდება, სადაც მან უკვე დაიწყო თავისი წვლილის შეტანა. ასეთმა დაახლოვებამ მამაკაცს აღუძრა სურვილი შვილებთან დაახლოებისა და მამობრივი გრძნობის გამოსახატავად შემოღებული იყო ეგრეთწოდებული კრუხობა.“

ეს კრუხობა უპირველესად იმაში გამოიხატებოდა, რომ დედაკაცი მშობიარობისას ქმარიც ლოგინად ვარდებოდა და ყველა იმ ტანჯვა–წვალებას გამოხატავდა, რასაც მისი მეუღლე. ხალხის მატებასთან ერთად მიწის სივიწროვემაც იმატა და ბუნებასთან მებრძოლი მამაკაცი ერთი მეორეს შეაჯახა და აქედან გაჩაღდა კაცთა შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა.

,,ის პირველი გმირი, რომელიც გარეშე თემს მიუხტა და დაიპყრო, პირველი მბრძანებელი გახდა. ბუნებრივად თანდაყოლილ მხეცური ინსტიქტის გამარჯვებამ აღძრა მამაკაცებში გამარჯვებისა და შურისძიების სინდრომები. ამგვარად ჩაეყარა საძირკველი უდიდეს ძალმომრეობას ომიანობის სახით, რამაც გამოიწვია დედაკაცისა და მამაკაცის სულიერი გათიშვა და სქესთა ბატონყმობა.“

რამდენად უფრ ძლიერი იყო მამაკაცი, იმდენად მდიდარი იყო ის ქონებითა და მონა ცოლებით, რომლის გამო ხალხი პოლიანდრიულ (მრავალქმრიანობა), ცხოვრებიდან ალაგ-ალაგ პოლიგამიაში ,,მრავალ ცოლიანობაში“ გადავიდა და აქედან დაიწყო მატრიარქატის რღვევა.

,,პოლიგამიურ ცხოვრებიდან იწყება დედაკაცის ადამიანური უფლებების აყრა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

შრომის დანაწილება, აქ ღებულობს სრულს მონურს ხასიათს დედაკაცის მხრივ, რომელსაც თავზე აწევს ყოველი მძიმე მდაბალი და პიროვნების დამამცირებელი შრომა."

აქედან მოყოლებული ,,რამდენათაც უფრო და უფრო გაბატონდა ტლანქი ძალა საზოგადოებაში და უკვე ამ ხანებში დედაკაცის ჩაწყვეტილი ფიზიკური ძალა საერთო ძალმომრეობასთან მფარველობას მოითხოვდა, იმდენათ თანდათან გამოეცალა მას პიროვნული თავისუფლება და დედის უფლებაც მამის უფლებაზე შეიცვალა. ამგვარად, წარმოიშვა პატრიარქატი, რომელმაც დედაკაცის პიროვნება სრულიად დაიმონა და ეს უკანასკნელიც შეურიგდა მას."

საერთოდ, რამდენადაც უფრო განუვითარებელია ადამიანი, იმდენად უფრო ეგუება მის ყოველგვარ დამცირებას, განსაკუთრებით მაშინ თუ ის იძულებულია და მცირე სარგებლობასაც გამოელის მისგან. აქედან გამომდინარე შეიძლენა ითქვას, რომ ,,ჩაეყარა საძირკველი ქალთა მონობას და ერთი მხრით უვიცობამ და მეორე მხრით ფიზიკურმა სისუსტემ ქალებიც დაუმორჩილა მას.

თავდაპირველად პატრიარქატი ლმობიერი იყო ქალის მიმართ და პატივისცემით ექცეოდა მას. ,,არ დაკრა ცოლს არასოდეს თუნდაც ყვავილი! ერთი დედა ათას მამათა ღირს", - ამბობდა მანუს კანონი.

,,როცა საზოგადოებამ სახელმწიფოებრივი ფორმა მიიღო და მილიტარიზმი იმდენად გაძლიერდა, რომ უმაღლეს სოციალურ ფუნქციათ აქცია, მაშინ წარმოიშვა, როგორც თავისებური სარწმუნება, ისე სამართალი და იერარქიულად დაწყობილ სოციალურ ორგანიზაციაში დედაკაცის უუფლებობაც ღვთისაგან და კაცისაგან დაკანონდა."

აქედან მოყოლებული ქმარი ისევ უყურებდა ცოლს, როგორც საკუთარ ნივთს, რომელსაც შეეძლო მისი მოკვლა, გაყიდვა, ან გაჩუქება. ამგვარად, ომიანობის გავრცელებასთან ერთად ქალთა მონობაც გრძელდება.

ლაშქრობა გახდა ერთადერთი ღირსეული საქმე და საზოგადოების სათავეში ხმალამოღებული ბრძანებელი მეომარი დადგა, რომელმაც ყველაზე უწინ დედაკაცის პიროვნება გასრისა და როგორც გაბატონებულმა წოდებამ აღიარა თავისი სისხლისმსმელი ბუნებრივი უწმინდესობა დამონებულ წოდებასთან.

ომიანობასთან ერთად ქალის დამონების კიდევ ერთი საფუძველი გახდა მილიტარიზმის გაძლიერება, რომელმაც საბოლოოდ ქალთა მოძრაობის გაძლიერებაც გამოიწვია. რამდენადაც სასტიკი მეომარი იყო ესა თუ ის ხალხი და იპყრობდა სხვა ერებს, იმდენად ის მეტად ჩაგრავდა ქალებს.

არ იყო ქვეყანა, სადაც ომი არ არსებულიყო. ამისთვის არ იყო ხალხი, რომელსაც დედაკაცი მეტ-ნაკლებად დაეჩაგრა. ებრაელების თვალში ცოლი ქმრის მოსამსახურეა, ისლამი დედაკაცს უმდაბლეს არსებადა თვლის.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, რომელმაც ყოველგვარი ძალმომრეობას და კაცისაგან კაცის დაჩაგვრას ზნეობრივად წინ აღუდგა, არსებითად მაინც ვერ შეცვალა ვერც ძველი იერარქიული სოციალური წყობილება და ვერც დედაკაცის მდგომარეობა. მართალია, პირველყოფილმა ქრისტიანობამ დედაკაცსა და მამაკაცს ერთნაირი ღირებულება მისცა სულიერად, მაგრამ როცა ის ოფიციალურ სარწმუნოებად იქცა და წამებულთა ნაცვლად, მწვალებელნი მფარველად აღმოუჩნდა. სახარების და ბიბლიას ერთად არევით ებრაელთა ძველი პატრიარქატი კვლავ აღსდგა და ერთ დროს გაბატონებული დედის უფლება სრულიად გააქარწყლა მეომარმა სახელმწიფომ. ქრისტიანულ სახელმწიფოს ის მფარველობა აღმოუჩინა, რომ დესპოტი იეჰეღოვასა და უაღრესად კაცთმოყვარე ნაზარეველის ცნებას სინთეზი გაუკეთა და თავისი ძლევამოსილებით შეძლო შეურიგებელთა შერიგება.

,,ამ ორმა, ერთი მეორის საწინააღმდეგო მცნებათა ერთმანეთში არევამ კიდევ უფრო განამტკიცა კაცთა შორის არსებული მონობა... მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კითხვა დასვეს: ,,ადამიანია თუ არა დედაკაციო?" და მხოლოდ იმის წყალობით, რომ იესო ქრისტე თავის თავს ადამიანიშვილს ეძახდა და ასეთი ადამიანი მისთვის დედა მარიამი იყო, დიდი დავის შემდეგ აღიარეს, რომ ქალი ადამიანათ ეცნოთ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სასულიერო წოდება დედაკაცს ეშმაკის კერძად აღიარებდა. ხოლო მეომარსა და ასკეტს, ამ ორ პატივცემულ პიროვნებას, რომელთაგან ასკეტი გაურბოდა ქალს, ხოლო მეომარი შიში საგმირო აღმაფრენას ეძებდა და თაყვანსა სცემდა.

,,საშუალო საუკუნეში დედაკაცის მდგომარეობა მით უფრო სატანჯველი იყო, რომ ერთი მხრით მოითხოვდენ მისაგან: სავნებათ ტკბილ სინაზეს, მიმზიდველობის განვითარებას, რომ თავისებური პასიური სექსუალური ტემპერამენტის (ჟენსტვენოსტ) გამოფენით უფრო მეტად გაეღვიძებინა აქტიური სექსუალური ტემპერამენტი (,,მუჟენსტვენოსტ") მამაკაცებისა; და მეორეს მხრით, სასტიკად დევნიდენ მათ, ამავე ქალურობის შედეგისათვის. რაც საჭირო ოყო მეომრებისათვის, ის საზიანო იყო სამღვდელოებისათვის. ქალებს კი ერთიც და მეორეც უნდა დაეკმაყოფილებინათ."

როგორ უნდა მოეხერხებინა ყოველივე ეს ქალს თუ არ მიმართავდა თვალთმაქცობას. ასე რომ ქალისათვის არავითარი სულიერი და გონებრივი წინსვლა არ არსებობდა, გარდა სექსუალური მიმზიდველობისა და ცოდვის მოსახდელად ლოცვა მარხულობისა.

ესე იგი XI-XII საუკუნეებში ქრისტიანულმა მეომარმა საზოგადოებამ ქალებს კუდიანობა დასწამა და ათასობით დაწვეს ცეცხლში.

,,აღორძინების ეპოქამ ოდნავ კარი გაუღო ქალთა სულშეხუთულს ცხოვრებას, მაგრამ მხოლოდ დიდად წარჩინებულ ოჯახის ქალებს. ამ ხანებში შემოიღეს სასახლეებში ქალ-ვაჯთა ერთად სწავლა ჰუმანისტების ხელმძღვანელობით და აი, იმ დროს ჩვენ ვხედავთ ქალებს, რომლებიც ღებულობენ მონაწილეობას ხელოვნებაში და მეცნიერებაში. ამ ხანებში, თითქმის მთელს ევროპაში თავს ამოყოფს პოეტი, ლინგვისტი, იურისტი და თეოლოგი ქალები, რომელთა მოვლენამ მორწმუნე ფანატიკოსები ერთობ აღაშფოთა.

მეორე მხრით, იმდროინდელი საუკეთესო მოაზროვნე მამაკაცები, რომლებიც იყვნენ პირველი ჰუმანისტები, მოითხოვდენ ქალთა განთავისუფლებას და მათ სწორუფლებიანობას, რომლებიც უერთებდენ თავიანთ პატიოსან ხმას იმ დროინდელს ქალთა მოძრაობის პიონერ ქალებს."

XV-XVI საუკუნის საზოგადოება ქალებისათვის ერთადერთ განათლებას ლოცვა–ვედრებას მიიჩნევდენ და ამიტომაც მათ სასწავლებლად მონასტრებში აძლევდნენ და ქალების გამოსვლას ასე უფრთხოდენ.

XVIII საუკუნის ფილოსოფოსთა გავლენით მოწინავე საზოგადოების ქალების ნაწილი ჩააფიქრა თავისი სქესის მდგომარეობამ. თუმცა ქალთა უფლების სასარგებლოთ არცერთს სიტყვა არ დაუძრავს, გარდა რუსოსი: ,,რუსო მხოლოდ სიყვარულსა და დედობაზე ქადაგებდა, რომლის აზრით მშობლები კი არ უნდა ირჩევდენ თავიანთი ქალიშვილებისათვის ქმრებს, არამედ უკანასკნელის გული. ვოლტერი და შარლ მონტესკიე სრულიად უარყოფდნენ ქალის შემოქმედებასა და სხეულის სილამაზის მეტს, მასში არასა ხედავდენ. ამგვარად, XVIII საუკუნის ფილოსოფოსნი საკაცობრიო საკითხის გადაწყვეტის დროს დედაკაცის პიროვნებას უარყოფდენ და არავითარ ანგარიშს არ უწევდენ იმ საკვირველს მოვლენას, რომ ქალებმა თავისი უკიდურესი მონობის დროს, ძველსა და საშუალო საუკუნეში, მრავალი შესანიშნავი ნიჭიერი პიროვნებანი წარმოშვეს, რომელთა მსგავსი მამრობით სქესს სოციალური და ეროვ–ნულ მონობის დროს იშვიათად გამოუჩენია."

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მოქალაქის უფლების დეკლარაციაზე

ალაპარაკდა ოლიმპია დე გუჟი: ,,ყველა მოქალაქეს, ქალია ის, თუ ვაჟი, თავისი უნარის მიხედვით ერთნაირად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ყოველ გვარ თანამდებობაზე და ხელობაზე. მხოლოდ ნიჭი და ზნეობა უნდა გახდეს საზომი მათი არჩევისა.

რევოლუციონერ ქალთა წამოწყებას ,,ძმობა, ერთობა და თავისუფლება" თანამებრძოლმა მამაკაცებიდან ფრანგმა რევოლუციონერმა პიერ გასპარ შომეტმა ფემინისტ ქალებს ასეთი პასუხი გასცა: ,,დარჩით მათ, რაცა ხართ" ე.ი დარჩით მონებათ და უვიცებათო, რომელშიაც შომეტის აზრით იხატებოდა ქალის ბუნებრიობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალები სიგიჟეს დაამტკიცებდნენო...

კანონმდებელი თქვენ ფეხქვეშ არიან", - ეუბნებოდა შომეტი უფლებისათვის მებრძოლ ქალებს, იმ ქალებს რომლებსაც სურდათ გამოეყვანათ თავიანთი დები უვიცობიდან, ცრუ მორწმუნეობიდან და მონობიდან".

შომეტის ქათინაურებმა ვერ დააცხრეს მებრძოლი ქალები. ამ დროს საფრანგეთში ქალთა კარჩაკეტილი ცხოვრება ირღვეოდა, ღარიბ ქალებსაც ოჯახის გარეთ უხდებოდათ მუშაობა, მათ არ ჰქონდათ ცოდნა და მოქალაქეობრივი უფლება. ამ დროს ქალებს მფარველებად ფილოსოფოსები გამოუჩნდათ: ,,ქალებმა დაარსეს თავიანთი კლუბები, ჟურნალ-გაზეთები, დაიწყეს პეტიციების გზავნა როგორც მეფესთან ისე კონვენტთან. კონვენტის თანაგრძნობით კოდექსის შემუშავებაც დაიწყეს ქალთა უფლებების გათანაბრებისათვის მამაკაცთან, მაგრამ ნაპოლეონის სისხლიანმა ხელმა ყველაფერი გაანიავა."

ნაპოლეონმა თავისი კოდექსის ძალით, ცოლს არა აქვს უფლება ქმრის გარეშე მისი ქონების განკარგვისა, რადგან ქმარი არის ოჯახის თავი, რომელსაც ცოლი უნდა ემორჩილებოდეს. ღალატისათვის ცოლი დაისჯება ორწლამდე ციხეში დაპატიმრებით, მაშინ როცა ანალოგიური ქმედებისათვის ქმარი არავითარ სასჯელს არ იხდის; მამაკაცი რომელიც ქალწულს შეაცდენს, არავითარ ვალდებულებას არ ღებულობს არც დედის და არც შვილის წინაშე და სხვა. ასეთი იყო სამართალი დიდი მოლაშქრისა, რომლის ბრძანებლობის დროს ქალთა მოძრაობა თავის პირველ ნაბიჯში საფრანგეთში მეხდაკრული გახდა, ხოლო მისი გაძევების შემდეგ ქალთა მოძრაობა ისევ ფეხზე დადგა. 1830 წლის ივლისის რევოლუციის დროს არსდება გაზეთები ქალთა მეთაურობით. ,,ამ ხანებში მათ მოსარჩლედ გამოდის დიდი ფილოსოფოსი სენ-სიმონი. 1848 წელს კონსიდერანს ფრანგ უტოპისტ სოციალისტს შეაქვს პარლამენტში წინადადება და მოითხოვს ქალთა არჩევით უფლებას."

ქალთა განათლების სასარგებლოდ ფრანგი რევოლუციონერები კარნო, ჟულფერი, ბრონა და სხვანი მოითხოვენ მონასტრის სკოლებიდან ქალების გამოყვანას, რადგან ისინი მეთორმეტე საუკუნის შეხედულებით ცხოვრობენ და თავისებურ გავლენას ახდენენ შვილებზე. მათი გავლენით 1880 წელს დაამტკიცეს საფრანგეთში ქალთა სამი ტიპის სკოლა: ,,პირველ დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლა, ქალთა კოლეჟი და სამასწავლებლო სემინარია. ამასთან ერთად, მათ გაუღეს უნივერსიტეტის კარები ფრანგ ქალებს."

ქალთა თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალებს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ემანსიპაციის ნაცვლად პროსტიტუცია შეთავაზეს. მაშინ, როცა სულ სხვა მდგომარეობაში იყვნენ ამერიკელი ქალები. სამშობლოდან დევნილი ევროპელი ემიგრანტები, მომეტებულად ინგლისელები ჩრდილო ამერიკაში დასახლების დროს პოლიტიკური უფლებებით მამაკაცებთან თანაბარი გახლდნენ. ,,აქ სოციალური მდგომარეობა დედაკაცებისა გაცილებით მამაკაცებზე მაღლა იდგა, ცოლი ოჯახში და საზოგადოთ, ქალი საზოგადოებაში ამერიკაში წარმოადგენს ისეთ პატივსაცემ არსებას, რომლის წინაშე მამაკაცი ერთობ თავაზიანად უნდა იქცეოდეს...

ასეთი მაღალი სოციალური მდგომარეობით, ამერიკელი ქალები სრულიად არ შერიგებიან პოლიტიკურ უუფლებობას.“

XX საუკუნის მამაკაცთა სანაქებო ცივილიზაციამ მხოლოდ ფორმა შეუცვალა პირველყოფილი ადამიანის სიმხეცეს მაშინ, როდესაც არსებითად უფრო გაასასტიკა და გაამედიდურა იგი. თანამედროვე მეცნიერები გვიმტკიცებენ, რომ პატივმოყვარეობა უფრო მეტად უკულტურო ველურ ხალხში არსებობს, ვიდრე კულტურულ, ცივილიზაციურ ხალხშიო.

ველურის პატივმოყვარეობას ერთი რომელიმე გარეული ნადირის მოშინაურება სრულიად დააკმაყოფილებს, ან რომელიმე ზიზილ-პიპილას ჩამოკიდება, დღევანდელი იმპერიალისტებისას კი მილიარდი ეწირება. ველური უვიცობით და დღევანდელი კულტურული ადამიანი კი თავისი განუსაზღვრელი ეგოიზმით და ვნებათა აშვებულობით და თუ ველური თავის გულუბრყვილობით ამ თვისებას ვერ ფარავს და აშკარად იჩენს, დღევანდელი კულტურული მამაკაცი გულუბრყვილობას დიდად დაშორებულია. ისინი ცხვრის ტყავში გახვეული მგლების გულით მიმოდიან ცხოვრების მოედანზე.

,,ადვილად წარმოსადგენია ვის უფრო დასჩაგრავდა ის ეპოქა: დედაკაცს, ამ ხანებში ფიზიკურად დასუსტებულს და იურიდიულად უფლება აყრილს არსებას, თუ მამაკაცს - ღონიერსა და პიროვნული თავისუფლებითა და მოქალაქური უფლებით აღჭურვილს? რასაკვირველია, პირველს! და ყველაზე მეტად იმ ღარიბ, მარტოხელა ქალს, რომელიც ასეთს უთანასწორო პირობებში ვერ უმკლავდება საარსებო ბრძოლაში უფლებიანი მამაკაცის კონკურენციას.“

გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალები ზნეობრივად დასაღუპავად განწირულნი არიან და ამიტომ ამ საშინელ მოვლენას კაცობრიობისათვის, რამდენადაც მდედრობითი სქესის ინტელექტუალური სიჩლუნგე, მასაც სიჩლუნგეს უქადის.

,,დედის უწმინდეს მოვალეობის“ მყვირალნი ანტი ფემინისტები არა თუ ყურადღებას არ აქცევენ, არამედ პროსტიტუციის იდეოლოგებათაც გამოდიან და გვარწმუნებენ, რომ როსკიპობა არის ბუნებრივი მდგომარეობა დედაკაცისა და რომ სცდებიან ის სოციოლოგები, რომელნიც მას ეკონომიური მიზეზით ხსნიანო. საყოველთაო ზნედაცემულობამ მიიყვანა მამაკაცების უმრავლესობა იმ დასკვნამდე ყველა ქვეყ–ნებში, რომ ქალების ერთი ნაწილი უნდა იყვეს მუქთი, უპიროვნო მოსამსახურენი თავიანთი ქმრებისა და მეორე ნაწილი კი შეწირულნი საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლად.“

ასეთმა შეხედულებამ და ძალმომრეობამ კანონმდებელი მამაკაცებიდან ააფეთქა და აღაშფოთა ჩრდილოეთ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მოწინავე ქალები: ,,რომელთა მოძრაობის გასროლილი, ძლიერი ტალღა მთელს მსოფლიოში გაიტყორცნა და თითქმის, დღეს ყველგან ოდნავ კულტურულ ქვეყნებში ქალები თავის ადამიანურ უფლებისა და პიროვნების დასაცველათ აამხედრა.

აი, მიზეზი ქალთა მოძრაობისა, რომლის მიზანია დაიცვას თავისი სქესი იმ გახრწნისაგან და გონებრივი გადაგვარებისგან, საითკენაც ასე ურცხვად და ტლანქათ ისვრიან ხოლმე გაჭირვებაში მყოფ ქალებს უზნეო ეგოიზმით დაბრმავებული ნაწილი მამაკაცებისა.“

დღევანდელი სოციალისტების რჩევა და დაპირება, რომ ქალები განთავისუფლ–დებიან სოციალისტურ წყობილებაში, პროლეტარიატის განთავისუფლებასთან ერთად გავს ანდაზას, რომელიც ამბობს ,,პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო. ამისთვის ქართველი ქალები დგავენ დამოუკიდებელ ნაბიჯს და განაგრძობენ მსოფლიო ქალთა არჩეულ გზას. იმედია რუს ქალებთან ერთად ქართველი ქალებიც განთავისუფლდებიან პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

თუმცა, დღეს ვერ ვნახეთ ვერც ერთი მამაკაცი გლეხი თუ მუშა, რომელსაც უარყოს თავისი უფლებრივი პრივილეგია მამისა თუ მემკვიდრისა თავიანთი დებისა და ცოლის წინაშე. გამოდის რომ თეთრი მონებით სარგებლობენ არა მარტო ბურჟუები, არამედ თვით ქალთა ,,განმათავისუფლებელი“ პროლეტარიატი და მშრომელ გლეხთა შვილები, ჯარისკაცნი.

ქალთა უპიროვნო ცხოვრება და მოქალაქური უუფლებობა იმდენათ მწვავეა ყოველი შეგნებული დედაკაცისთვის, რომ ჩვენ ვფიქრობთ, მისი სიმწარე ოდნავ მაინც რომ ხვდებოდეს მამაკაცის გულს, თანამედროვე სოციალისტები ასე რჩევასაც არ მოგვცემდენ, რომ სოციალიზმის განხორციელებამდე გონების უღელი მოთმინებით სწიეთო.“

ქალების საერთო ბრძოლამ გატეხა ინგლისის პარლამენტის კარები და ქალთა ამ შეუპოვრობამ მიანიჭა მათ ადამიანისა და მოქალაქის უფლება. საკაცობრიო დანა–შაული იქნება თუ დამფუძნებელი კრება უუფლებოდ დატოვებს ქართველ და რუს ქალებს.

ამრიგად, მილიტარიზმმა დაამონა დედაკაცი და თავის განთავისუფლებასთან ერთად დედაკაცი მოსპობს მას, რომელმაც ამდენი სიმხეცე და ბოროტება შემოიტანა კაცთა ცხოვრებაში. თავისი ხანგრძლივი ტანჯვის სამაგიეროდ უფლებამოსილი ქალები იმ ავკაცობას მხოლოდ სიკეთით გადაუხდიან მამაკაცებს.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N2, 17 აპრილი, 1917

,,ამიერკავკასიის ახალი მთავრობის პროგრამა“

ამიერკავკასიის მთავრობის გამოქვეყნებულ პროგრამაში ვარაუდობდით, რომ მრავალ საჭიროებათა შორის იქნებოდა წარმოდგენილი დედაკაცის ადამიანური უფლებების აღდგენა. როგორც ჩანს ადგილობრივი მთავრობა ამისთვის თავს არ იცხელებს. მათი პროგრამა ეხება მხოლოდ სვინდისის თავისუფლების განხორციელებას, ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართელობის მოწყობას, ერობის შემოღებას, ტრანსპორტს, სასკოლო საქმეს, მიწის საკითხებსა და სხვა.

თვით აქ წარმოდგენილ კითხვებშიაც კი, რომელსაც დამფუძნებელი კრების გადასაწყვეტად ტოვებენ, არ ურევია საკითხი ქალთა სწორუფლებიანობის.

კავკასიის განსაკუთრებითი კომიტეტის წევრებად ითვლება ხუთი კაცი: თავმჯდომარე ხარლამოვი, წევრები: პაპაჯანოვი, ჯაფაროვი, ჩხენკელი და აბაშიძე.

ჩხენკელი და აბაშიძე თავისი პარტიების პროგრამებსა და თავიანთ ბეჭდვით ორგანოებში აღიარებენ ,,ქალთა ხმის უფლებას და ქალთა სრულს ემანსიპაციას და თუ ეს დაპირებანი ცარიელ ქაღალდზე არ რჩება და ორთავე აღნიშნულ პარტიების წარმომადგენელთ გულით სწადიათ ქალთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლების აღდგენა, სად არის მათი ხმა. მათი გავლენა და რად იქნა მივიწყებული ნახევარი კავკასიის მცხოვრებთა ადამიანური პიროვნება და მისი უფლება? ასეთი მწველი საკითხის მიყრუება ერთობ ჩამაფიქრებელია კავკასიის ქალებისთვის და განსაკუთრებით, ქართველი ქალისთვის და ვისაც კიდევ არ დაუკარგავს რწმენა, რომ ესა თუ ის პარტიული მამაკაცები აღადგენენ ქალთა უფლებას და ამ იმედით, დუმილით მოელიან სწორუფლიან მოქალაქეთა რიგში ჩარევას, ასეთი ქალები ვამბობ მე წააგვანან იმ გულუბრყვილო ბავშვებს, რომლებსაც რამე შეწუხების დროს უფროსები ეუბნებიან: ,,შენ ოღონდ არ იტირო და მე ბზრიალას მოგიტანო. და ისინიც უჯერებენ და ელოდებიან დაპირებულ საჩუქარს.“ დროა ქალებო შევერთდეთ, რომ

საერთო იერიშით აღვადგინოთ ამდენი ხნის უპიროვნო ცხოვრება - საჩუქრებისა და მოწყალების ხანა წასულია.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N3, 24 აპრილი, 1917

,,დღევანდელი ქალთა მოძრაობა“

იმისათვის, რომ ქალთა მოძრაობა გახდეს მნიშვნელოვან ძალად, საჭიროა ყოველ დაბა-სოფლებში დაარსებულიყოს ქალთა კავშირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან დაკავშირებული ქუთაისის გუბერნიის ცენტრთან, რათა მათ გაუწიონ იდეური ხელმძღვანელობა. თითეული გუბერნიის ცენტრი უნდა ხელმძღვანელობდეს რუსეთის რესპუბლიკანური ქალთა კავშირის მითითებით. აქედან უნდა შემუშავდეს ახალი კანონები და სამუდამოდ მოისპოს პოლიტიკური მონობა მდედრობითი სქესისა რუსეთის სახელმწიფოში.

,,ქალები უნდა ღებულობდენ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმმართველობაში. თითოეულ პოლიტიკურ პლატფორმაში გარკვეული ქალი ღებულობს მონაწილეობას საერთო პოლიტიკურ მოძრაობაში იმ პარტიასთან, რომლის თვალსაზრისს ინაწილებს. პარტიული ქალები გამოყოფილი ცალკე კავშირად თვით პარტიაში უნდა შეუერთდენ საგუბერნიო ცენტრის რესპუბლიკანურს ქალთა ორგანიზაციას. ასეთი შეერთება საშვალებას მისცემს ქალებს მეტი ენერგიის გამოჩენისას მცხოვრებთა შორის აგიტაციის გასაწევად. წინასწარ არჩევნების დროს ქალებმა უნდა მოსთხოვონ თავიანთ პარტიებს, რომ თითოეული პარტიის სიაში შეტანილ იყოს თუნდაც, ერთი რომელიმე ამხანაგი ქალის სახელით“.

ქუთაისის გუბერნიის ცენტრს ქალებისათვის ქუთაისში ქალთა პოლიტიკური კლუბი წარმოადგენს, რომელსაც აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო ,,ხმა ქართველი ქალისა“.

ამასთან თბილისის ქალთა კავშირებს ვთხოვთ საჩქარო შეერთებს, რადგან ამიერკავკასიის უმაღლეს მთავრობას მოსთხოვონ აზრის გამოთქმა ქალთა საარჩევნო უფლებაზე.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N4, 4 მაისი, 1917

,,ქ. ქუთაისის ქალებს“

ქალთა უფლებისათვის მებრძოლთ ბევრი მტერი ჰყავს. მათ მხარს ქალთა სქესის შეუგნებელი ნაწილიც აძლევს. ეს საქციელი ერთის მხრივ სამწუხაროცაა და მეორე მხრით ეს მათი შიში ჩვენს მომავალ სიძლიერეს მოასწავებს. მათი წინააღმდეგობა რწმენით ავსებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალებს და ძალასაც მატებს, რომ ,,ან ეხლა ან არასოდეს უნდა მოხდეს დედაკაცის ადამიანური პიროვნების აღდგენა! არ შეიძლება, რომ კაცობრიობის დედა და კერძოთ, ქართველი ერისა მონა იყოს! არ შეიძლება, იმ ქვეყანას თავისუფალი ქვეყანა დაერქვას სახელად, სადაც მდედრობითი სქესი ნივთია და არა პიროვნება, სადაც მას უცქერიან ისე, როგორც საშვალებას და არა ისე, როგორც თვით მიზანს. ძირს ქალთა უფლების მტერნი!“

ქართველი ქალის ძლიერი სული იღვიძებს, მათი ჩაწყვეტილი ხმა დღეს მოისმის და ვისაც არ სურს საქართველო იყოს დამონებული და გადაგვარებული, არ იყოს არც სქესთა და არც კლასთა ბატონობა. ყველანი უნდა გაერთიანდეს ქუთაისის ქალთა დემოკრატიულ პოლიტიკური კლუბის წევრებათ, რომელიც მართავს ყოველ კვირაობით ქალაქის სამკითხველოში კრებას.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N4, 4 მაისი, 1917

,,გაუმარჯოს სულით დემოკრატს“

ყველა ადამიანი ბუნებრივათ ერთნაირი უფლებითაა დაბადებული, ყველა უნდა სარგებლობდეს პიროვნულათ თავისუფლებით და მოქალაქეობრივათ სწორ უფლებიანობით. ვინც ამ ცნებაში არ გულისხმობს ორთავე სქესს, ის დემოკრატიული პრინციპების დამრღვევია. ის, ვინც, რომ მოქალაქური უფლების ღირსი მხოლოდ მამრობითი სქესია და ის არის გამგე კანონმდებლობისა და წესწყობილებისა, ასეთი ადამიანი დემოკრატი ვერ იქნება და ვერც დემოკრატიულ სახელმწიფოს დამცველად გამოდგება.

,,დემოკრატს ჩვენ ვეძახით მას, ვინც იცავს ადამიანის პიროვნებას, ქალია ის თუ კაცი, ყოველგვარი ძალმომრეობისგან, ვინაც იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს არავითარ კაცისაგან, კაცის ჩაგვრას იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაც ხალხის სახელით სამართლიანობას გაყივის და გულში კი სქესური პრივილეგიის დამცველია, ასეთი მყვირალა დემოკრატის მიზანია, დამარცხებული ბატონების ადგილი დაიჭიროს თავის გასაბატონებლად.“

,,ხმა ქართველი ქალისა“, N5, 11 მაისი, 1917

,,საიდუმლო მტერნი“

ქალების მოქალაქეობრივი უფლების მოთხოვნა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მათგან, ვინც საყოველთაო და თანასწორი არჩევნების უფლებას აღიარებს. არჩევნებს თანასწორი და საყოველთაო არ დაერქმევა, თუ კი სახელმწიფოს მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი სწორუფლებიან მოქალაქეთ არ ირიცხება. ადამიანების ორ ბანაკად დაყოფა, სადაც ერთი ნაწილი მეორეზე ბატონობს არის ყოველგვარი უსამართლობისა და უზნეობის წყარო.

ქალთა მიზანი თავი დაიხსნან მონობისაგან იმდენად საფუძვლიანია, რომ ამ სამართლებრივ მოთხოვნას ვერ უძლებენ მისი მოწინააღმდეგები.

ზოგი მათგანი ამბობს: ,,ქალებს ისტორიულად არასოდეს არა ჰქონიათ ერთნაირი უფლება მამაკაცებთან და ვერც მიიღებენო. მამაკაცები ფიზიკურად ძლიერი სქესია, ამისათვის დედაკაცებთან იურიდიულად ყოველთვის მაღლა იქნებიან.“

პირველი მოსაზრება, რომ დედაკაცებს ისტორიულად არ ჰქონდათ პიროვნული თანასწორობა ეს აზრი მცდარია იმით, რომ ,,ადამიანის პიროვნულ განვითარებას დროსა და სივრცეს კი არ უფარდებს, არამედ ძველს, დახავსებულ ტრადიციებსა და ჩვეულებას. იმის თქმა, რომ ,,ეს იყო და ასე უნდა დარჩეს“ ეწინააღმდეგება ყოველგვარ მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ვინც ამ შეხედულებას იცავს, არის მტერი პიროვნული თავისუფლებისა.“

მეორე მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის ქალზე იურიდიულად ყოველთვის მაღლა იდგა თავისი ფიზიკური სიძლიერით ეს აფსურდული შეხედულებაა და საფუძველს პოულობდა წარსულში, როცა ,,საზოგადო ცხოვრება მუშტის ძალაზე იყო დამყარებული. ხმლისა და მუშტის ბატონობამ დიდი ხანია მისდამი ზიზღით აღჭურვა მოაზროვნე კაცობრიობის დიდი ნაწილი. და თუ დღეს დედაკაცი ისევ ძველებურათ მონობაში დარჩა უფლებრივად, ამის მიზეზი დევს იმ დროინდელს ქალთა კარჩაკეტილ ცხოვრებაში.“

და, ეს კარჩაკეტილობა უშლიდა ქალს საკუთარი ნაბიჯის მტკიცეთ გადადგმაში. საკუთარ მეს გამოუჩენლობაში. დედაკაცები რჩებოდა იმ პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების გარეთ, რომელსაც იწვევდა საერთო დემოკრატიული ბრძოლა.

,,დღეს, მე-20 საუკუნის რევოლუციის და ომის დროს ისინი ხელს უწყობენ მებრძოლ კაცებს, თავიანთ ინტერესებსაც არ ივიწყებენ, საკუთარი დროშით გამოდიან, რომელზედაც ქალთა ემანსიპაცია აწერია და რომლის ქვეშ თავმოსაყრელად მოუწოდებენ დამონებულ დებს, განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა."

,,ხმა ქართველი ქალისა", N8, 1 ივნისი, 1917
ავტორი: ,,ჰარიეტ"

,,რამოდენიმე სიტყვა ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაზე"

პროლეტარი ქალი გაზეთ ,,ხმა ქართველი ქალის" მეექვსე ნომერში აღნიშნავდა იმ უნუგეშო მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფება აწ უკვე თავისუფალ რუსეთში ქალები. საოცარია იმ მამაკაცთა მოქმედება, რომლებიც თავს სოციალისტებს უწოდებენ, სიტყვით ქალთა თანასწორობას ქადაგებენ, ხოლო საქმით კი სხვას ვხედავთ. მაგალითად შეიძლება ავიღოთ ერთი ფაქტი: ,,გამოაცხადეს - ქალს შეუძლია არჩევნებში მიიღოს როგორც პასიური, აგრეთვე აქტიური მონაწილეობაო. ე. ი. მას უფლება აქვს, როგორც სხვა აირჩიოს, აგრეთვე თვითონაც იყვეს არჩეული. სინამდვილეში რას ვხედავთ, ქალები პასიურ მონაწილეობას, ასე თუ ისე, ქე ღებულობს, თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც სოფლათ, სადაც მამაკაცებმა თავიანთი ცოლები არ მიუშვენ არჩევნებზე, ხოლო, რაც შეეხება აქტიურ მონაწილეობას, ქალი ჯერ-ჯერობით ძალიან ნაკლებად ღებულობს. მერე ეს ვისი ბრალია? რათქმაუნდა, მამაკაცების, რომლების აზრით, ქალი მოუმზადებელი და სუსტია და ვერ შეძლებს მუშაობას. მერე, იცით, რომ ასეთ მამაკაცებს თავი სოციალისტად მოაქვთ".

აბაშაში მასწავლებელთა ყრილობაზე უნდა ამოერჩიათ დელეგატები თბილისში ყრილობაზე გასაგზავნად. დაადგინეს დელეგატების არჩევა, მაგრამ დელეგატად არც ერთი ქალი არ აირჩიეს და სიტყვის ნებაც არ მისცეს ქალებს.

როცა ქალებმა პრინციპულად მოითხოვეს ასეთი დაუდევრობის მიზეზის ახსნა, პასუხი ასეთი იყო: ,,ქალი არა გვყავს ჩვენ იმდენათ მომზადებული, რომ ის ყრილობაზე გავაგზავნოთ საჭირბოროტო საკითხების გასარჩევათო. თუ არ მივცემთ ქალებს შესაძლებლობას პრაქტიკული ნაბიჯის გადასადგმელად და რამდენადაც არ უნდა ვამკოთ ქაღალდზე, სინამდვილეში მომზადებული ქალი არ გვეყოლება."

აქედან შეიძლება დავადასტუროთ ის დებულებაც, რომ ,,მდგომარეობა ქმნის შეგნებას". შეიძლება სამართლიანად ითქვას რომ ყრილობაზე გასაგზავნად იყო ისეთი ქალები, რომ აჯობებდენ თავისი მომზადებით ყველა მამაკაცს. ვერ ვიტყვით, რომ ყველა სოციალისტი ასეთია. ,,არიან ნამდვილი სოციალისტები, რომლებიც უფრო თავგამოდებით, ვიდრე ქალი იცავენ მათ უფლებებს, როლო სულით დემოკრატ ძმებს გვინდა აუხსნათ ,,მათი დახავსებული შეხედულება ქალის უმოქმედობაზე, დღეს უკვე ხანმოჭმული და უნიადაგოა."

,,ხმა ქართველი ქალისა“, N11, 22 ივნისი, 1917

,,ქალაქის არჩევნები“

ქუთაისის ქალაქის არჩევნები უკვე ჩატარდა და მომავალ თვითმმართველობას ბევრი საზრუნავი აქვს მოსაწესრიგებელი. ყველა ის მძიმე პირობები უპირველესად ღარიბ დედაკაცებს აწევს სიმძიმედ, რამეთუ ოჯახის მოთხოვნილება გადაბმულია ქალაქის წესრიგზე და ოჯახის გამგეობა კი ქალის ხელშია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროება მოითხოვს თვითმმართველობაში ქალთა ჩარევას. ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბის შემადგენლობის უმრავლესობა წარმოადგენს ამა თუ იმ პარტიულ წევრებს, ჩვენ ვთხოვთ ამხანაგებს, რომ თითოეულმა მათგანმა დაავალოს თავის პარტიებს, რომ კანდიდატთა სიაში შეტანილი იყოს ღირსეული ამხანაგ ქალების სახელებიც. ,,თუ რომ მამაკაცები, ჩვეულებრივად ამ შემთხვევაშიც გვიპასუხებენ, რომ მათ მომზადებული ქალი არა ჰყავთ, ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბის ბიურო მოუწოდებს კლუბის წევრებს, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ.“

საბჭოს ხმოსნობისათვის არ არის საჭირო არც იურისპუდენციისა და არც ფილოსოფიის ცოდნა. აქ არის საჭირო გულმტკივნეულობა და თადარიგის დაცვა, რომლის გამოჩენა, ყოველ გონიერ დედაკაცს შეუძლია.

,,ქალებო თქვენ გეუბნებიან თვითმმართველობა უნდა გადავიდეს ხალხის ხელშიო“. სთქვით, რომ ხალხს არ წარმოადგენს მარტო მამაკაცები, რომ თვითმმართველობა ნამდვილად ხალხოსნური უნდა იყოს. წამოაყენეთ ეგ სამართლიანი მოთხოვნილება. დაიცავით თქვენი უფლება!“

,,ხმა ქართველი ქალისა“, N12, 29 ივნისი, 1917

,,ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ“

ის რაც ასი წლის წინათ დაფარულსა და საიდუმლოს წარმოადგენდა, რის გამოც მამაკაცთა სიტლანქითა და უხეშობით ცივ სამარეში ჩაესვენენ ქალთა მთელი არმია, დღეს მასზე დუმილი დაუშვებელია. მამაკაცებს გონიათ, რომ ,,პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის და მოქალაქის უფლება გამოიხატება იმაში, რომ ჩაიდინოს ის, რაც მათ პირუტყვულ ბუნებას მოეპრიანება და ასეთი თავისუფლების შეგნებით მათი უწესო საქციელი ყოველს საზღვარს სცილდება, რომლითაც ყველაზე მეტად ქალები იტანჯებიან. დღეს საკმარისია ვინმე ლოთმა ეროტომანმა აითვალთვალოს, რომელიმე ქალიშვილი, რომ ის მისი მსხვერპლი გახდეს, თუ რომ უკანასკნელი გავლენიანი ჭირისუფლების პატრონი არ არის. ამ ორი თვის განმავლობაში ქუთაისის დაბა-სოფლებში ისე გახშირდა ქალების მოტაცება, როგორც უძაღლო ოჯახში მელიებისაგან საქათმებიდან ვარიების მოპარვა.“

ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება: სოფელ კულაშში მკერავი ქალიშვილი გაიტაცეს, რომლის კმაყოფაზე იყო მოხუცებული მამიდა და პატარა ძმა. ეს ქალი მოძალადე საქმრომ გაიტაცა, დღისით-მზისით შუა ბაზარში და მის შემზარავ კივილს არავინ გამოსარჩლებია. ახალ სენაკში რამოდენიმე დღის წინათ ქალიშვილი გაიტაცეს და გაუპატიურებული სამი დღის შემდეგ უკან დააბრუნეს. სოფელ მაღლაკში მოიტაცეს ქალიშვილი და ძალით ჯვარი დასწერეს. კიდევ რამდენიმე ოჯახს თავზე დასხმით ემუქრებიან და შიშით მათ თავიანთი შვილები გადამალული ჰყავთ. ,,ასეთ ბარბაროსულ მოვლენას, ასეთ გათახსირებას ქართველი კაცისას არა თუ ჯეროვანი

ყურადღება არ ექცევა, არამედ პირზე ღიმილით უხდებიან ის პირები, რომლებიც ცარიელი ენით ქალთა სწორუფლებიანობას აღიარებენ.“

თვითონ ქუთაისში მოხდა ძალადობის რამდენიმე ფაქტი. მათ შორის ,,პარკის სარჩევ სახელოსნოში, რომელიც მოთავსებულია სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში, რამოდენიმე კაცის თვალწინ სახელოსნოს პატრონმა მუშტით ცემა ხანში შესული მუშა ქალი. სამტრედიაში ერთმა მხეცმა ხალხის წინ ცემა რომ არ აკმარა, მკლავზე უკბინა დედაკაცს და მთელი ლუკმა ხორცი ამოაგლიჯა. ქალებო, გესმით რა ხდება ჩვენს სამშობლოში, სადაც ქალთა სწორუფლებიანობას ხელს აწერს ყველა პოლიტიკური პარტიები?“

დღეს, ამ საერთო განახლების დროს ჩვენში ხდება ის, რაც მე-10- მე-12 საუკუნის ქართველი კაცისათვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ ქართველი მამაკაცები!

,,ხმა ქართველი ქალისა“, N12, 29 ივნისი, 1917
ავტორი: ლენა ზდვკ.

,,მიხედეთ სოფლად ქალებს“

ცხადია, დღევანდელ სოფელში ქალაქთან შედარებით აშკარად შეიმჩნევა კონსერვატიულად და თანამიმდინარე რევოლუციის შეუფერებელი აზროვნება.

განსაკუთრებით ქალთა საკითხის განმარტება-გაშუქებაში სოფლის წურბელები ხელს უშლიან მოსახლეობას.

დიდებული რევოლუციის ტალღებმა მივარდნილ სოფლელთა ტვინი და გრძნობა ააფორიაქა და დღესაც აქაც გაისმის ხმა სხვადასხვა მოქალაქეობრივ უფლებებზე. ,,მხოლოდ სხვათა შორის, ,,მასხრობით“ მოიხსენიებენ ქალების უფლებრივათ მამაკაცებთან გათანასწორების საკითხს.“

აქაური მამაკაცები უშვერი სიტყვებითა და ბილწი აზრებით მოიხსენიებენ სოფლად ქალთა სწორუფლებიანობას. ვინ არიან ეს პატივცემული ვაჟბატონები? ,,სოფლის მღვდელი, სოფლის ნამწერლები და აბლაკატები. ზოგს მათგანს მოყავს ციტატა საღმრთო წერილებიდან, ზოგს ვეფხისტყაოსნიდან და ამტკიცებენ ადამიანთა უთანასწორობის მოუცილებლობას.“

რა ნიადაგი აქვს ამ ვაჟბატონებს ქადაგებისა? მოგეხსენება მღვდლის ავტორიტეტი სოფლად. და იმდენად შეუგნებელია სოფლელი ქალები, რომ იტანენ უდიერ სიტყვებს და მოწინააღმდეგეს ამშვიდებენ: ,,მართალს ამბობ, შენი ჭირიმე, სად გაგონილა ქალის გათანასწორება მამაკაცთანო. ეს მხოლოდ უსაქმურ ნასწავლ ქალაქელ ქალთა გამოგონილიაო“.

დღეს ნასწავლი, ქალაქელი, სოფლელი და ყველა, საერთოდ ქალები, დიდად დაჩაგრულია თანამედროვე ცხოვრებაში, რომელთაც აერთიანებს საერთო ტანჯვა, უუფლებობა, დამცირება და სიდუხჭირე.

დროა შეიგნოს ქალებმა, რომ ისინი მამაკაცების ვნებების დამაკმაყოფილებლები არ არიან მარტო. დროა გამოფხიზლებულმა ქალებმა აჩვენონ ქვეყანას, რომ შეგნებულად უყურებენ ცხოვრებასა და საერთოდ თავისუფლებას.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N17, 3 აგვისტო, 1917
ავტორი: პირველი სუფრაჟისტკა

,,ქალებით ვაჭრობა“

ქალებით ვაჭრობა საქართველოში იმ სახით წარმოებს როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც მონა ქალსა და კაცს ბატონები თავისი ნებასურვილით ყიდდა, ან გაცვლიდა და ან გააჩუქებდა. ყოველი მაჰმადიანი მტარვალი ჩვენი ქვეყნის აკლებისას თავიანთი ჰარამ ჰანებისათვის, ლამაზ და ახალგაზრდა ქალებს იტაცებდა. ქალების გატაცება ბატონყმობის დროს ხელობად გადაიქცა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს მართალია მოისპო მამაკაცთა ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ ქალებით ვაჭრობა დღემდე გრძელდება.

,,ამ მოვლენას ძლიერ ხელს უწყობს ხალხის ეკონომიური დაქვეითება, ომიანობის ან მოუსავლობის დრო, როდესაც შიმშილი ჩნდება თვით მახლობლებიც კი ყიდიან ქალებს. ვინ არის მსხვერპლი? უმეტეს ნაწილათ ღარიბი, ლამაზი ქალები, ან ქალიშვილები, რომელნიც ეძებენ სამუშაოს, რათა თავი ირჩინონ, ან მახლობლებს დაეხმარონ. აქ კი მათ ხვდებათ ობობას ქსელი გაბმული სხეულით ვაჭართა მიერ სხვადასხვა ხერხით და მოტყუებით.“

ქალების ვაჭრობა ძირითადად გავრცელებულია დიდ ქალაქებსა და ზღვის პირათ, საიდანაც ადვილად ახერხებენ მათ საზღვარგარეთ გაგზავნას.

უმთავრესი ბაზარი ქალებით ვაჭრობისა სტამბოლია, სადაც ყველაზე მეტი ქალები რუსეთიდან შემოყავთ. საქართველოდან ბათუმ-ფოთიდან გაყავთ ქალები და საროსკიპო სახლებში შეცვლილი სახელ-გვარით შეყავთ. ქალების გარდა მცირე წლოვანი ბავშვებითაც ვაჭრობენ, რომლებსაც ტკბილეულობით და საჩუქრებით ატყუილებენ. ,,მონობა მოისპო, მაგრამ ქალი დღესაც მონაა და იყიდება ისე, როგორც საქონელი. ქალებით ვაჭრებს დიდი გამოცდილება აქვთ, რადგანაც ეს უხსოვარი დროიდან იწყება.“

მართალია, ქალთა მფარველი საზოგადოება 1910 წლიდანაა დარსებული, რომელსაც ფართო ბრძოლა აქვს გაჩაღებული ამ საქმიანობის წინააღმდეგ, მაგრამ ქალებით ვაჭრობა ისე კარგად აწყობილი და გამაგრებულია, საბოლოო მიზანს მაინც ვერ აღწევენ.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N22, 7 სეკტემბერი, 1917
ავტორი: პირველი სუფრაჟისტკა

,,ქალები და პოლიტიკური პარტიები“

ქალი პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს ვიდრე მამაკაცი, რომელშიც დამნაშავე ქალი კი არა ის გარემოებაა, რომელიც მამაკაცმა შეჰქმნა. მან მთელი ოჯახის ტვირთი ქალს მოახვია თავზე. სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ ქალმა უნდა მიხედოს შვილებს, ქმარს და ამავე დროს ქმარი მას ჩასჩიჩინებს, რომ ქალის უპირველესი მოვალეობაა ოჯახი და შვილები.

ამიტომაც რაც არ უნდა ნიჭიერი და მცოდნე იყოს ქალი, თუ ქმარი თანამოაზრე არა ჰყავს იგი საზოგადოებისთვის მკვდარია. ბერტა ზუტნერისა და კიურის ქმრები მათი ხელშემწყობი რომ არ ყოფილიყვნენ, ისინი მთელი ქვეყნისათვის უცნობებად დარჩებოდნენ.

,,ქალს, როგორც აღმზრდელს ყოველმხრივ ესაჭიროება განვითარება და თუ ის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ გაერია, ამ მხრივ იქნება მოუმზადებელი და ვერ ჩაუნერგავს თავის შვილს მოქალაქურ გრძნობას და მოვალეობას. განა კორნელია გრაკხს შეეძლო გაეზარდა თავისი ვაჟები თავდადებული ხალხისათვის, რომ მას თავისი მამისაგან ეს გრძნობა არ ჰქონოდა ჩანერგილი?“

ახალი მთავრობა უფრო ღრმად ჩაუკვირდა ქალთა საკითხს, დააფასა შრომა და ღვაწლი. თავგანწირული რევოლუციონერ ქალებისა, რომელნიც მამაკაცებთან ერთად სახჩობელაზე და კატორღაშიაც მიდიოდენ.

,,ქალების დღევანდელი მონაწილეობა ომში, დიდი ამაგით უკვე დააფასა მთავრობამ და იცნო ქალების ღვაწლი სასარგებლოთ და აგრეთვე მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიანიჭა არჩევნების უფლება.

ჩვენი პარტიები ამ მოვლენას სხვადასხვანაირად შეხვდნენ: ქალების არჩევნების უფლება თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, ჩვენი უფლების განხორციელებას ცხოვრებაში წინ აღუდგენ და ყველგან ქალების გაყვანას გზას უღობავდენ, როგორც შეეძლოთ“.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება კავკასიის ქალთა საზოგადოების მაგალითი, მაშინ როცა ქალაქის კომიტეტი დაარსდა, კავკასიის ქალთა საზოგადოებამ მიმართა კომიტეტს, რომ ქალებსაც მიეღოთ მათ წრეში მონაწილეობა.

კომიტეტმა ცივი უარით გაისტუმრეს ისინი. შემდეგ ქართველი ქალების საზოგადოებამაც ამავე წინადადებით მიმართა და ისინიც უარით გამოისტუმრეს.

მერე ქალთა საზოგადოების შეერთებულმა კომისიამ კომიტეტს იგივე თხოვნით მიმართა და ისინი პასუხის ღირსნიც არ გახადეს. ყოველივე ამის შემდეგ, ,,რა გასაკვირელია, რომ ქალაქის 120 ხმოსანთა შორის მარტო 5 ქალი გასულიყო.

ქალაქის ხმოსნების არჩევნების დროს ყველა პარტიამ თავის კანდიდატების სიაში თავი სწორედ იმ ადგილას ჩასწერა, რომლის შემდეგ თავის კანდიდატის გაყვანის იმედი არა ჰქონდათ. ეს შეგნებულმა ქალებმა ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ რა ექნათ? სიას კომიტეტი ადგენდა, სადაც თავიდან ქალები არ დაუშვეს.“

ქალის ერთგულება საქმისადმი ყველასათვის ცნობილია და რატომ ჰკრეს ჩვენმა პარტიებმა გულზე ხელი მათ? ერთადერთი, მამაკაცური ეგოიზმი იყო ამის მიზეზი, რადგან მათ არ უნდოდათ ქალი თავის სწორათ ჩაეთვალათ.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N27, 19 ოკტომბერი 1917
ავტორი: პირველი სუფრაჟისტკა

,,ქალი და დამფუძნებელი კრება“

დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის ყველა პარტია თუ საზოგადო ძალები ამოძრავდა თავიანთი კანდიდატების გასაყვანად. ქალებმა, რომლებმაც თანასწორი უფლება მამაკაცთან მიმართებაში მიიღეს გარკვეული მონაწილეობა შეიტანეს დამფუძნებელ კრების მუშაობაში.

ქალაქის არჩევნების დროს, როცა პარტიებმა სიის ბოლოში მოათავსეს ქალთა გვარები და ეს არ გამოასწორეს, ახლა დამფუძნებელ კრებაში ქალი დელეგატების უგულებელყოფა ნიშნავდა ქალის უფლებების უარყოფას, რომელსაც თაობა, მათ არასოდეს მიუტევებდა.

რატომ იყო საჭირო ქალების მონაწილეობა? - იკითხავს ზოგიერთი. იქ სადაც ქალისა და კაცის ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს, იქ ქალის ინტერესი ყოველთვის მარცხდება, როგორც ეს მოხდა მაგალითად მემკვიდრეობაში და და-ძმის სრული გათანასწორების დროს. ამასთან ოჯახში ცოლს და ქმარს ერთი უფლება არა აქვთ, მაშინ როცა მთელი ოჯახის სიმძიმის ჭაპანს ცოლი ეწევა. ამასთან ქალს შვილებზეც ნაკლები უფლება აქვს და თვითონაც ნივთიერად ქმარზეა დამოკიდებული". ჩვენ მამაკაცებს არ უყვართ და კიდეც ეთაკილებათ, რომ მათი ცოლები სამსახურში იყვნენ და ოჯახს ეხმარებოდნენ.

არის იმისთანა კითხვები, სადაც ქალის მონაწილეობა აუცილებლად საჭიროა, მაგალითად მილიტარიზმი. ,,ყველა ეხლა ამას იძახის, ქალებს რომ კანონმდებლობაში ქონოდათ მონაწილეობა, ომის ნებას არავის მისცემდაო."

არის აგრეთვე იმისთანა ბოროტებაც, რომელიც ძირს უთხრის კაცობრიობას და დაღუპვას უქადის. ეს არის პროსტიტუცია და ლოთობა და მათი პირმშო სიფილისი.

ამ სენის დასამარცხებლად ავსტრალიაში კანონის მიღება ვერ შეძლეს, სანამ ქალები არ დაუშვეს კანონმდებლობაში. საერთოდ, კანონმდებლობაში საჭირბოროტო კითხვები ვერ გადაწყდება, სანამ ქალები არ მიიღებენ მონაწილეობას. ეს მრავალი ქვეყნის მაგალითზეა ცნობილი.

,,ხმა ქართველი ქალისა", N27, 19 ოკტომბერი 1917

,,ქართველ ქალთა სწორუფლებიანობა და ეროვნული სკოლა"

,,ჩვენთვის დიდათ საინტერესოა რა დამოკიდებულება ექნება ეროვნულ სკოლას ქალთა სწორუფლებიანობასთან? და ამ მხრივ მაინცდამაინც დიდ სანუგეშო ნიშნებს ვერასა ვხედავთ".

საქართველოში აქა–იქ შემოიღეს შერეული სკოლები მაშინ, როდესაც ამავე ტიპის პირველ დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სკოლების შემოსაღებათ არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა. საშვალო სასწავლებელში და პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში, სადაც უკვე მოზრდილ ბავშვებს უხდებათ შესვლა, მათი ერთად სწავლა ძველებური პროგრამით თუ არ გაამწვავებს ანტაგონიზმს ორთავე სქესის მოწაფეთა შორის, არავითარ შემათვისებელს გავლენას არ მოახდენს მათზე.

მომავალი ქართველი ქალის ადამიანური პიროვნების ამაღლებას, რომ დღევანდელი ჩვენი პედაგოგთა უმრავლესობა ხელს შეუწყობდეს, ამაში ჩვენ ვეჭვობთ და სანამ მათი პსიხოლოგია არ შეიცვლება და პედაგოგიური სფეროდან არ გაიდევნება, ის მოთხრობები, რომელიც ქალის ადამიანურს პიროვნებას ამცირებს და შეურაცხყოფს, მანამდე ჩვენი სკოლები ვერც სულით თავისუფალ მოქალაქეთა აღზრდას შესძლებენ.

,,ათასი კრიტიკა რომ გაუკეთოს მასწავლებელმა გოგოლის მოთხრობას ,,ტარას ბულბას", ბავშვის ტვინში ყოველთვის დარჩება ის შთაბეჭდილება, რომ დედაკაცის, როგორც ასეთის, დაჩაგვრა და დამცირება შესაძლებელია.

თუ სხვა არაფრით შეეძლება მას ამ აზრის გამოტანა, მხოლოდ იმ ჩუმი მოთმენის და სისაწყლის წარმოდგენის, რომელსაც იტანდა ტარასის მეუღლე ქმრისაგან.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N30, 13 ნოემბერი, 1917

,,ქალებო დამფუძნებელი კრება ახლოვდება“

დამფუძნებელი კრება იქნება ის მოწვეული ბოლშევიკური მთავრობიდან თუ ახალი მთავრობიდან ახლოვდება, რომელიც ქალთა საკითხის გადაჭრას მოითხოვს. რა უნდა მისცეს დამფუძნებელმა კრებამ ქალებს? უპირველეს ყოვლისა, მან ,,დღევანდელი სიტყვით აღიარებული ქალთა სწორუფლებიანობა საქმით ე.ი. კანონით უნდა დააფუძნოს და განამტკიცოს.“

რა უნდა მოსთხოვონ ქალებმა დამფუძნებელ კრებას? ,,პირველ ყოვლისა, სრული პიროვნული თავისუფლება, რომელიც უნდა მიანიჭოს მათ სრული პოლიტიკური უფლება, რომ ქალებს ჰქონდეთ ხმა არჩევნებში და იყვნენ როგორც ამომრჩეველნი ხალხის წარმომადგენლებისა, ისე რჩეულნი ხალხის წარმომადგენლებში. ქალი უნდა შეუდგეს თავისი თავის და თავისი ინტერესის დაცვას. მუშა ქალებს უნდა მიენიჭოთ უშუამავლო ხმა, რადგან მათი ამხანაგები მამაკაცები ამის მაგივრობას ვერ გაუწევენ მათ.

მომავალში დამფუძნებელმა კრებამ უნდა თანაბრად განამტკიცოს ორთავე სქესის აქტიური და პასიური ხმის უფლება. ორთავე სქესის თანასწორი უფლება, როგორც საზოგადო, ისე კერძო სამსახურში.“

თანასწორ განათლებასთან და აღზრდასთან ერთად ქალები ვაჟებს არ უნდა ჩამორჩენ შრომაში და კიდევ უფრო უკეთ უნდა შეასრულოს ის, რომლის გამოც დამფუძნებელმა კრებამ უნდა დააწესოს ,,თანასწორი შრომა და თანასწორი ჯილდო ორთავე სქესისათვის“, ერთნაირი სწავლა განათლება მათთვის.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოსპოს პროსტიტუცია და დასჯილი უნდა იყვნენ საროსკიპოების გამგენი და ქალთა სხეულით მოვაჭრენი.

ასევე გაუქმებული უნდა იქნეს პოლიციური ზედამხედველობა პროსტიტუტკებზე, რადგან ასეთი ზედამხედველობა მხოლოდ ერთ სქესზე ვრცელდება და არა მეორეზე.

დაარსებული იქნეს საკანონმდებლო მართველობა ყოველი ფორმის ქალთა შრომაზე და უნდა შესცვალოს საოლქო და სამოქალაქო კანონები, მოსპოს დღეს არსებული სქესთა შორის სხვადასხვაობა სასჯელისა და მოქალაქური უფლებებისა.

ასევე მოსპობილი უნდა იყვეს მემკვიდრეობითი განსხვავება სქესისა და ოჯახურ ცხოვრებაში პრივილეგია მამის უფლებისა შვილებზე.

,,ხმა ქართველი ქალისა“, N17, 20 ივნისი, 1918

,,ქართველ ქალებს“

ისტორიულად საქართველოს ყოველთვის ათასი რჯულის დამპყრობელი ეტანებოდა, რომელთან ბრძოლაში ქართველი არ გაველურებულა გონებითა და გრძნობით. ქართველმა არა თუ დაივიწყა წიგნი და მწერლობა, პირიქით მოახერხა საკუთარი კულტურის შექმნა და სისრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ენა და მწიგნობრობა, რომელშიც ფასდაუდებელია ქართველი ქალის ღვაწლი.

,,არსად, არც ერთ ერში ისე გავრცელებული არ ყოფილა ქალისადმი პატივისცემა და სიყვარული, როგორც ჩვენში, საქართველოში. ისტორიას რომ თავი დავანებოთ

თვით უბრალო სიტყვებიც კი დაამტკიცებენ ზემოთქმულ აზრს. ავიღოთ, მაგალითად სიტყვები დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, ქალ-ვაჟი და სხვა მრავალი. ყველგან პირველ ადგილზედ ქალი არის დაყენებული. საუკეთესო მოწამეებად ქრისტიანობისთვის ჩვენში შუშანიკ და ქეთევან ითვლებიან.

ქართველი დედა ბავშვობიდანვე უნერგავდა შვილებს საქართველოსა და ერის სიყვარულს, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, მაშინ ჩაესვენა მისი ბედი.

,,თუ გსურს, რომ რომელიმე ერი, ხალხი დაიმონო, თუ გსურს წაართვა მას ძალა არსებობისა და მოუსპო შეგნება თვით შემეცნებისა, უნდა ეცადო, რომ ქალი გააფუქსავატო, ჩაკლა მასში ყოველივე სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსადმი. და თუ ეს შესძელი, იმედი გქონდეს, რომ სულ მალე მიაღწევ შენს საწადელს. ჩვენშიაც ასე მოხდა, უპირველესად ქალმა მიიღო და შეითვისა შურის გამათახსირებელი პოლიტიკა. მშვენიერი ნანა ,,ბაუშკი ბაიუზე“ შეცვალა და ,,დედის“ მაგიერ, ,,მამოჩკა“ გვესმოდა. ამ იდეაზე აღზრდილი შვილები თავისთავად ცხადია, ვერ შეძლებდნენ შეესრულებინათ ის, რაც მამა-პაპათაგან ქონდათ ნაანდერძები და მიყვნენ თავის ბედს.“

,,თუ ქალმა ხელი შეუწყო ჩვენი ერის გადაგვარებას, ისევ ქალმა უნდა აღადგინოს იგი იმ დროს, როდესაც ქალი სრული ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებით იქნება შემოსილი საქართველოში.“

„ჩვენი ქვეყანა“. 1917-1918. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ქუთაისი. რედაქტ-გამომც - დ.ბ. კვირკველია. თანარედაქტორები - ვასილ წერეთელი და კონსტ. ჭანტურია. (სტამბა ,,ძმობა“).
ეროვნულ-დემოკრ. პარტიის ორგანო; იცემოდა ,,სამშობლო“ -ს შემდეგ. უახლ. თანამშრ. (გარდა რედაქციის წევრებისა) - გ. ვეშაპელი (გრიგ. ვეშაპიძე). ია ეკალაძე (ცინცაძე), ნ. ლორთქიფანიძე, ექ, ნაზაროვი, სამს. ყიფიანი, ალ. თოხაძე, ი. დიდიძე და სხვანი. სულ გამოვიდა:
1917 წ. N1(9/IV) – N208 (29/XII), თით. 4 გვ.
1918 წ. N1(1/I) – N162 (I/IX)
1919 წ. N1(1/I) – N247 (?)

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N10, 21 აპრილი, 1917
ავტორი: ვასილ წერეთელი

,,გაზ. ,,ხმა ქართველი ქალისა“

გაზეთ ,,ხმა ქართველი ქალისა“ - გამოსვლა ქართულ ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის ამბად უნდა ჩაითვალოს. ,,სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო ნათქვამია“ ქალის საქმეს აქედან გამომდინარე ისე ვერავინ მოუვლის, როგორც თვითონ დედაკაცი. ,,ჩვენ რომ ქალთა და კაცთა თანასწორობას აღიარებთ, ამ აღსარებას განყენებული ხასიათი აქვს და არა ხორცშესხმული. და მხოლოდ ქალთა გაზეთს შეუძლია გაგვახსენოს ყოველ წუთს ჩვენი მოვალეობა მათდამი. ერთი სიტყვით ქალთა და კაცთა სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის განხორციელება უმთავრესად თვით ქალების შენაწევრებულ მოქმედებაზე ჰკიდია.“

ქალთა საკითხს გააჩნია მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც. ,,გარყვნილება დღითი-დღე იზრდება და ლამის გადაგვარების უფსკრულში შთანთქას კაცობრიობა. გარყვნილების მიზეზი კი უმთავრესად - მამაკაცია, რომელსაც ცხოვრების მიზნად დაუსახავს ლირწება და ავხორცობა და საცინლად იგდებს უბიწოებასა და ზნეობასა.“

საქართველოში ძალზე გამრავლდა სხვადასხვა ვენერიული სენი: სიფილისი, სუსუნატი, ბილიშანკირი, საშვილოსნოს სხვადასხვა ავადმყოფობა და მათი საშინელი შედეგები.

ამ საშინელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად უნდა იბრძოლონ ქალებმა. დიდი სიამოვნებით ვკითხულობ კრისტაბელ პანკჰერსტის წერილს, რომელიც ამხელს ამ სხვადასხვა დაავადებებით დასნეულებულ ადამიანებს.

აქვე ისიც უნდა დაუმატოთ: ,,გარყვნილება მარტო მით კი არ არის საშიშარი, რომ შობს სხვადასხვა ვენერიულ სენს, არამედ იმითაც, რომ სწამლავს სულს, ასნეულებს თავის ტვინის უმაღლეს ცენტრებსა და ამდაბლებს მაშასადამე გონებასა და ზნეობას.

ქართველო ქალებო თქვენი ვალია ქართველი ერი ამ უბედურებისაგან იხსნათ“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N15, 27 აპრილი, 1917

,,მაჰმადიანი ქალები“

ტომსკი. ,,აპრილის 23. მაჰმადიანთა ბიურომ მოწოდებით მიჰმართა მაჰმადიან ქალებს, რათა მათ თავი დააღწიონ კარჩაკეტილ ცხოვრებას და სამოქმედო ასპარეზზე სამუშაოდ გამოვიდნენ. საჭიროებათა გამო მათ უნდა დაიარსონ პროფესიონალი კავშირები, საზოგადოებანი, ჯგუფები, ქალთა ლიგები; აგრეთვე იარონ მეჩეთებში, მონაწილეობა მიიღონ ყრილობაში და სხ.

მოწოდება სიტყვით, ყველა ეს უფლებანი მათ ახალი მთავრობის მიერ მიენიჭათ“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N26, 11 მაისი, 1917

,,ვირუბოვის ქალი“

პეტრე-პავლეს საპატიმრო ციხეში გამომძიებელი კომისია ჩვენებას ართმევდა ვირუბოვის ქალს. ,,ვირუბოვის ქალმა“ განაცხადა: მე ვერაფერს გეტყვით, წუხელის წმინდანები გამომეცხადენ, ჭკუაზე შემშალეს და ამიტომ ყოველივე ბრალდებას უსიტყვოდ ვღებულობო“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N66, 29 ივნისი, 1917
ავტორი: ინ -ხანი.

,,თანამოაზრე ქალებს“

,,საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცხოვრებაში დღევანდელი დღე მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩაითვალოს. დღეს მოხდება ჩვენი თანამოაზრე ქალების შეერთებული კრება. მართალია, რევოლუციამდი ქართველი ქალი არაჩვეულებრივის პატივისცემით იყო აღჭურვილი და თითქმის ჩვენს სათაყვანო კულტადაც ქცეული, მაგრამ ამას დღეს ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი ერთვის, რომ ქართველი ქალი პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე გამოდის და ამიერიდან ქართული პოლიტიკური მაჯისცემა უფრო მძლავრი და ანგარიშგასაწევი იქნება.“

ამ ფაქტის გარდა ერთი რამ არის სავალალო, რომელიც ქალებს ჯერ ჯერობით არ ახასიათებს ორგანიზაციული ტრადიციებით გამსჭვალვა.

ჩვენი ქალების შეერთება შეკავშირებისათვის ქალებს მრავალი დაბრკოლება ეღობებათ წინ. უპირველესი ისაა, რომ ჯერჯერობით პოლიტიკურად გამობრ–ძმედილნი არ არიან. ამ პარტიისათვის თანამოაზრე ქალების შეკავშირებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

,,სამი ბოძი ჩვენი პარტიისა: კერძო საკუთრება, დემოკრატიზმი და ეროვნება ღრმადაა დასადგურებული ქართველი ქალის სულსა და გულში.

,,თამარი, ქეთევანი და ნინო ამათ მისცეს საქართველოს არა ნაკლები საძირკველი ეროვნული შენობისა, ვინემ სხვა რომელიმე გამოჩენილმა ქართველმა.“ მათი სახელებით დღესაც ამაყობენ ქართველები, მაგრამ რუსეთის ზეგავლენამ ჩვენს ქალებსაც ჩაუქრო მამულიშვილური სულისკვეთება.

მაგრამ ქართველი ქალით ისევ აღორძინდება ჩვენი სამშობლო.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N101, 12 აგვისტო, 1917
ავტორი: მ. ქუთათელი

,,ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს ,,ნაჩალნიცა“ არაყავს“

ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელი დასავლეთ საქართველოში ერთი უხუცესი სასწავლებელთაგანია, რომელიც თავისი არსებობის 50 წელს მალე შეასრულებს. მართალია, ეს სასწავლებელი ქართველი ერის დემოკრატიული ნაწილისათვის დახშული იყო და არც დედაენის სწავლებას ქონია დიდი ადგილი, მაგრამ ის არისტოკრატიული ნაწილი ჩვენი ერისა, რომელთაც აქ სწავლა განათლება მიიღეს, დღესაც ენერგიულად იღწვის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სარბიელზე.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნდა, რომ სასწავლებელში ,,მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ქართული ენის საქმეც რიგიანად მოეწყო ამ სასწავლებელში. ამ განახევრებულ ცხოვრებისაგან ეს სასწავლებელი დიდ იმედებს მოელის. აწი მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წმინდა სასწავლებელი პირდაპირ ეროვნულ ქართულ სასწავლებლად გადაიქცევა.“

ყველა ამის სისრულეში მოყვანას, ვიმედოვნებთ ხელსშეუწყობს მისი მომავალი ,,ნაჩალნიცაც“. ამისათვის ქართველი საზოგადოება, ამთავითვე უნდა ეცადოს ამ სასწავლებელს უფროსად ღირსეული ქართველი მანდილოსანი დაუნიშნოს“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N106, 19 აგვისტო, 1917

,,ქალთა თანასწორობის ლიგის წევრის სიტყვა“

,,ქალთა თანასწორობის ლიგის წევრი შიშკინი ამტკიცებს აგრეთვე, რომ საჭიროა მტკიცე მთავრობა, ქალთა შრომის ბეგარა და დედების სახელით, რომელთათვის ყველაზე უფრო საჭიროა ზავი და მშვიდობა.“

ამასთან იმასაც აცხადებს, რომ დედები მზად არიან ყოველი მსხვერპლისთვის. ოღონდ ზავი საპატიო იყოსო.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N111, 25 აგვისტო, 1917

,,ახალი ამბავი“
(ქალთა მებრძოლ რაზმის შესახებ)

რუსეთის ლაშქარის უმაღლესმა მთავარ სარდალმა სამხედრო საბჭოსთან ერთად განიხილა ქალთა მეომარ ბატალიონების შედგენის კითხვა და შემდეგი დადგენილება გამოსცა:

4. ქალთა ბრძოლის ველზე საომრათ გაგზავნა შეჩერდეს.
5. ის ქალები, რომლებიც ამჟამათ უკვე ბრძოლის ველზე არიან: და შემდეგ ისინი ჩააყენონ გზების და ხიდების დასაცავად.
6. უმთავრესად ომში ჩაწერილი მოხალისე ქალები უნდა მუშაობდეს სასანიტარო საქმეებში.“

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N133, 23 (6) სექტემბერი, 1917

,,ქალთა წარმომადგენლების სიტყვა“

,,სრულიად რუსეთის მოწყალე დათა კავშირის სახელით ნორიკოვა აცხადებს, რომ კავშირი რევოლუციურ დემოკრატიის პლატფორმას იზიარებს და საჭიროდ სთვლის ზომების მიღებას, ავადმყოფთა და დაშავებულთა დასახმარებლათ. ქალთა დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი დობროვოლსკაია მხარს უჭერს კუალიციას და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებს.“

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N134, 24(7) სექტემბერი, 1917

,,წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში“

,,წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ პედაგოგიურ პერსონალის შემადგენლობაში აირჩია: ი. არსენიშვილი, ე. წულუკიძის ქალი, ო. ნასარიძის ქალი, ს. აბესაძის ქალი და ა. ცერცვაძე“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N166, 3 (16) ნოემბერი, 1917

,,ახალი ამბავი“
(ქ-ნ კორძაიას ქალის კერძო გიმნაზიაში მომხდარ კომფლიკტის გარშემო)

,,კორძაიას ქალმა რამდენიმე მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვა იმისთვის, რომ მათ (მასწავლებლებმა) ჯამაგირის მომატება მოსთხოვეს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა კავშირმა.“

საქმის გამოსარკვევად გაიგზავნა საგანგებო კომისია. ამ კომისიამ პირველ ნოემბერს დასავლეთ საქართველოს საშვალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის სხდომას დასამტკიცებლად შემდეგი დადგენილება წარუდგინა: ,,კორძაიას ქალის სასწავლებლიდან დათხოვნილ მასწავლებლებს, რადგანაც მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნილების გამო იქმნენ დათხოვნილი, დაუბრუნდეთ მათ თავისი ადგილები და მათი ყოველი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნეს.

ხოლო ეს სასწავლებელი გადავიდეს ან ქალაქის თვითმმართველობის ხელში ან და მასწავლებელთა კავშირის განკარგულებაში, იმ პირობით, რომ კორძაიას ქალი დარჩეს ამ სასწავლებლის საპატიო წევრათ“.

კომისიამ დადგენილება მოიწონა და სამ წევრს მისი სისრულეში მოყვანა დაავალა. ამასთან ერთად მასწავლებელთა კრებამ გადაწყვიტა ახლად მიწვეულმა მასწავლებლებმა ძველი მასწავლებლის წინაშე ბოდიში მოიხადონ სამი დღის განმავლობაში. და თუ ამას არ გააკეთებენ პრესის საშუალებით სასტიკი პროტესტი გამოეცხადოთ.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N182, 23 (5), 1917
ავტორი: მ. ბუაჩიძე

,,სალიტერატურო საღამო წმ. ნინოს სასწავლებელში“

,,საქართველოს ისტორია რუსეთთან შეერთებამდის ნათლად მოწმობს, რომ ქართველი ქალი ერთგული დარაჯი ყოფილა თავის ტურფა და კეკლუც სამშობლოსი. ისტორია იმასაც მოწმობს, რომ არა ერთსა და ორს ქართველ ქალს სიცოცხლეც კი შეუწირავს, თავისი სული და ხორციც უნაცვლებია საქართველოსათვის. ბედკრულ მე-19 საუკუნეს ასეთი თავდადებული მანდილოსნები აღარ წარმოუშვამს საქართველოსთვის.“

ეს სამწუხარო მოვლენა საგონებელში აგდებდა დიდ მამულიშვილებს და სწორედ აკაკის მუზა ლექსში ,,სიზმარი“ ამ მოვლენაზეა მიძღვნილი.

საქართველოს მკვდრეთიდ აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში წამოვიდა ახალი თაობა სამშობლოს კეთილდღეობით აღსავსე. სწორედ, ამ იდეებით გატაცებულმა მეექვსე კლასის მოსწავლეებმა გამართეს სალიტერატურო საღამო. ლექსების თქმასა და კომედიის წარმოდგენაში ერთმანეთს ცვლიდნენ მოსწავლე გოგონები.

ასეთი ლიტერატურული საღამოები უცხო ხილი იყო წმინდა ნინოს ქ. სასწავ–ლებელში ძველი უფროსების დროს, მაგრამ ბ. გაბარაშვილის შემდეგ ამ სასწავლებელმა ფერი იცვალა და წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დადგა.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N182, 23(5), 1917
ავტორი: ანტონ ოდიშარია

,,მასწავლებელი ქალიც ასეთი უნდა“

წერილში ლაპარაკია იმ კორპორაციაზე, რომელიც ბ. ნ. მესხის ,,გამოსულ მოღვაწეობის“ წინააღმდეგ ხმას არ იღებდა და დღესაც არავითარ ხმას არ იღებს. საქმე იმაშია რომ სკოლის მასწავლებელმა მარიამ ღამბაშიძემ გაკვეთილის ჩატარების მსვლელობისას, როცა მას ინსპექტორი პროვოკაცი ესწრებოდა და მას მოსთხოვეს უბრალო არითმეთიკული ამოცანა ბავშვებისათვის რუსულ ენაზე მიეწოდებია, მან ასეთი განცხადება გააკეთა ,,1881 წლის სასწავლო გეგმის თანახმად ქართულად გავდივართო“. მაშინ როცა დასახელებული სასწავლო გეგმის მიხედვით ეს საგანი მეორე განყოფილებაში ორივე ენაზე ისწავლებოდა. მარიამ ღამბაშიძის განცხადებაზე ბრაზ მორეულმა ინსპექტორმა სკოლის გამგეს მოთხოვა მოეტანა 1881 წლის პლანი და გადაეცა მარიამისათვის გასაცნობად.

მარიამის განცხადებაზე წერილის ავტორი ორჯერ დაიბარეს დირექციაში და მოითხოვეს კორპორაციას ღონისძიება განეხორციელებია ასეთი პროვოკაციული განცხადებისათვის.

აქვე ისმის ასეთი კითხვა: როგორ მიიღო სასწავლებელმა ამღზრდელად ასეთი უვიცი მასწავლებელი ქალაქის სკოლაში და თანაც უკონკურსოდ იმ დროს, როცა ქალაქში გამოცდილ მასწავლებელთა მთელი წყებაა უმუშევარი. ,,ამასთან ერთად არავითარი პირადის ღირსებითაც არ არის შემკული, იმ დროს, როცა ქ. ქუთაისში იმყოფება არა ერთი და ორი ჩინებული მასწავლებელი.“

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ: ,,ჩემი გამოსვლა ბ. ნ მესხის წინააღმდეგ არ არის გამოწვეული არავითარი პირადი ინტერესით, არამედ მას აქვს მხოლოდ პრინციპიალური ხასიათი და ასეთი პროვოკაციის გამო ვიწვევთ მას და ქალბატონ მარიამ ღამბაშიძესთან ერთად სასამართლოში. დეე, მასწავლებელთა სასამართლო და ფართო საზოგადოება იყვეს ჩვენი მსაჯული.“

დამატებით წერილის ავტორი ანტონ ოდიშარია ითხოვს, რომ დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა მთავარ გამგეობას ეს საქმე გასაშუქებლად და თავის მსჯავრის დასადებათ გადასცეს ვისაც ჯერ არს ერთი კვირის განმავლობაში.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N192, 5(18) დეკემბერი, 1917

,,ახალი ამბავი“
,,მომღერალ მოწაფე ქალ-ვაჟთა ყრილობა“

6 დეკემბერს სოციალ-დემოკრატების კლუბში დანიშნულია მომღერალ მოწაფე ქალ-ვაჟთა ყრილობა. თანახმად სამოსწავლო კომისარიატის დადგენილებისა უნდა შესდგეს მოწაფეთა მუდმივი გუნდი, რომელიც შეუერთდება სრულიად საქართველოს ეროვნულ ხოროს. მოკლე მოხსენების შემდეგ გაიმართება ქართული ახალი ჰიმნისა და სარევოლუციო საგალობელის რეპეტიცია.

რეპეტიციაზე დასწრება და მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას (არა მოწაფე–საც), ვისაც ხმა აქვს და რომელიმე ხოროში უკვე უმღერია. ყრილობა ინტერპარტიულია.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N21, 31 (12) იანვარი, 1918
ავტორი: ზილოტი

,,გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიაში“

,,გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზია უწინაც სიღარიბეს განიცდიდა და წელს სულ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა. აქამდე გიმნაზია ამგვარად ინახებოდა. ცოტა დახმარებას რუსეთის სინოდი უგზავნიდა, ადგილობრივი სამღვდელოება ყოველ წლივ სამღვდელოებას საერთო ჯამაგირიდან პროცენტს და სანთლის ქარხნის მოგებიდან ნაწილს მას აძლევდა. ამის გამო სამღვდელოების შვილები სწავლის ფულს არ იხდიან და საერო წოდების შვილებზე თუმცა იყო გადასახადი, მაგრამ შედარებით ცოტა, ვინემ სხვა სასწავლებლებში.“

წელს გარემოება შეიცვალა და აღარც სინოდი იძლეოდა შემწეობას და სანთლის ქარხნის მოგებაც სულ სხვა საქმეს მოხმარდა.

,,საერო წოდების ბავშვებს, რომელთა მარჩენალნი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდენ, სამხედრო კომიტეტი პირდებოდა დახმარებას და მათაც უარი გამოეცხადა.“

ამ მიზეზთა გამო გიმნაზია უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. საბჭომ გადაწყვიტა ერის კაცთა შვილებისა და სასულიერო წოდების შვილებზეც გადასახადი შემოეღოთ.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N33, 18(30), 1918

,,ახალი ამბავი“
(ქალთა კრება)

,,ხუთშაბათს, 22 თებერვალს, საღამოს ოთხის ნახევარზე, დანიშნულია საქართ–ველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქალთა წრის საერთო კრება. გასარჩევია სასწრაფო კითხვები“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N34, 21(3), 1918

,,ახალი ამბავი“
(ქალთა კრება)

,,ხუთშაბათს, 22 თებერვალს, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში შესდგება საქ. ერ. დემოკრ. პარტიის ქალთა კრება, რომელზედაც გასარჩევია ფრიად საყუ–რადღებო კითხვები.“

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N38, 25(7), 1918
ავტორი: ბაჭუა.

,,ნინო ჩხეიძის ბენეფისი“

,,ნინო ჩხეიძე - ეს დამამშვენებელია ქართული სცენისი. ნ. ჩხეიძე - ეს დარაჯია მსახიობთა სიკეკლუცისა.

ნინო - ეს მსახიობების ნიჭით აღსავსე პიროვნებაა, რომელსაც ქართულ სცენაზე ტოლი იშვიათად ყოლია და ამიტომაც საზოგადოების ფართო მასას, პიესები, რომლებშიც ის მონაწილეობას იღებს, უსაზღვროდ იზიდავს. მისი ბენეფისის დროს თეატრი გაჭედილი იყო მაყურებელით. მან საბენეფისოთ ამოირჩია ჰენრიჰ იფსენის ,,ნორა“.

,,ზედმეტია ლაპარაკი ნინოს ვარგისობაზე და სიმშვენიერეზე - ეს ისედაც ცხადია. გრძნობიერად ასრულებდენ თავის როლებს ყალაბეგიშვილი და მგალობლიშვილი.“

ამ პიესაში მხოლოდ მოისუსტებდა ჭიაურელი. ნინო ჩხეიძე საზოგადოებამ მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა და მრავალი საჩუქარით.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N53, 18(30) მარტი, 1918
ავტორი: სამსონ ყიფიანი

,,ქართველ ქალებს“

ქალებო, ქართველთ დედანო,
ცხოვრების ხელის უფალნო,
ასწელს მონებად ყოფილნო,
ახლა კი თავისუფალნო
...
წამებულთ მემკვიდრენი ხართ:
რუსუდან - ქეთევანისა,
შოთას ნაქები ქალების:
ასულის როსტევანისა

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N64, 31(13) მარტი, 1918

,,ახალი ამბავი“
(ქალთა კრება)

,,ყველა პარტიის წარმომადგენელთა ახლად შედგენილი ინტერპარტიული ქალთა ბიურო, რომლის მიზანია, რევოლუციის სამშობლოს დამცველ მეომრებისთვის ყოველ გვარი დახმარების გამოჩენა, იწვევს დღეს 31 მარტს 5 საათზე ქალთა ფართო კრებას კლასიკურ გიმნაზიის შენობაში. ინტერპარტიულ ქალთა ბიურო დარწმუნებულია არც ერთი ქალი არ მოისურვებს სახლში დარჩეს და არ მოვა კრებაზე თავის წვლილის შემოსატანათ. მაშინ, როცა დღეს, სისხლით მოპოებული თავისუფლება განსაცდელშია.“

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N69, 8(21) აპრილი, 1918

,,ახალი ამბავი“
(ქალთა კრება)

,,დღეს აპრილის 8-ს გაზ ,,ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში შუადღის 12 საათზე დანიშნულია ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიის ქალიშვილთა კრება“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N75, 15(28) აპრილი, 1918

,,სოფლელი ქალები“

უბედურების ჟამს ქალებმა წარმოებულ ომში მამაკაცებთან ერთად დიდი წვლილის გაღება დაისახეს. სოფლელმა ქალებმა სამაგალითო თაოსნობა იკისრეს: ,,ამ დღეებში შემთხვევით ქუთაისში დაჭრილები ვინახულე და რა დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როდესაც სხვადასხვა სოფლებიდან ქალებმა საავადმყოფოს გამგეს სოფელში შეგროვილი კვერცხები, ყველი, რძე და ქათმები მოუტანეს ავადმყოფის საჭიროებისათვის.“

ამ ქმედებაში საოცნებო იყო ის რომ მათ ეს სანოვაგე მოართვეს არა მათ დაჭრილ ნათესავებს, არამედ ყველა ჯარისკაცს და თან განაცხადეს: ,,ჩვენი საქმე მიზნად დავისახეთ და ყველა დაჭრილი ჯარისკაცი მტრისაა თუ ჩვენი, ყველა ძმა და ნათესავიაო. ბარაქალა ქართველო სოფლის ქალებო. ეს მაგალითი კაი გაკვეთილია, თქვენი დედისათვის, რომლებიც მთელ დღეებს ქუთაისის ქუჩებში კოპწიობით ატარებენ“. იმედია, ინტელიგენტი ქალებიც შეიგნებენ სამშობლოსადმი თავის მოვალეობას.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N90, 22 მაისი, 1918

,,ქალების სოციალიზაცია“

სარატოვი. ,,აქ შემუშავებული, ქალების სოციალიზაციის პროექტი მიიღეს ზოგიერთ ანარქისტულ და საბჭოების წრეებში. როგორც გამოირკვა პროექტი შეუმუშავებია ცნობილ შავრაზმელ უვაროვს. პროვოკაციით მოთმინებიდან გამოსულმა ანარქისტებმა უვაროვი სიკვდილით დასაჯეს“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N139, 3 აგვისტო, 1918

,,ლონდონი - ქალები საავიაციო სამსახურში“

,,ლონდონიდან იუწყებიან შრომის მინისტრმა რობერტსმა ქალთა ერთ კრებაზე განაცხადა, მთავრობას აზრად აქვს, რომ ქალები შეაჩვიოს საავიაციო სამსახურს და მან დაუმატა, რომ ქალები ამ მოვალეობას მშვენივრად შეასრულებენ.

დამსწრე ქალებმა ეს განცხადება აღტაცებით მიიღეს“.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N152, 21 აგვისტო, 1918
ავტორი: ს.მ.

,,მუსიკალური სკოლა ქუთაისში“

მუსიკის მასწავლებელი ელენე კონიევისა- ივანე ბაინდუროვის ასული მოკლე ხანში ქუთაისში ხსნის საშუალო მუსიკალურ კურსებს, სადაც გამგეთ მოიწვია ცნობილი არტისტი პედაგოგი კომპოზიტორი ლეონიდე კნინა. ლ. კნინამ პირველად გახსნა მუსიკალური სკოლა პეტროგრადში 1870 წელს. მისი სკოლა დაამთავრა კომპოზიტორმა

გლაზუნოვმა და დირიჟორმა ხესინმა. ,,ბ. კნინას მიერ გამოშობილია და დაბეჭდილია რუსეთში და საზღვარგარეთ 240-ზე მეტი ოპუსი. მუსიკალური თხზულებებისა - სალონური, კლასიკურ და პედაგოგიურ ხასიათისა. ბ. კნინამ პირველი კონცერტი დადგა საზღვარგარეთ. ქ. პრაღაში 1805 წელს. გარდა პეტროგრადისა და პრაღისა დიდია კნინას დამსახურება ქართულ მუსიკალურ სამყაროში.

,,1882 წელში ქ. თბილისში ბ. კნინამ გახსნა მუსიკალური სკოლა და მასთან ერთად 12 წელიწადზე მეტს ირიცხებოდა ინსპექტორათ მუსიკალურ ნაწილისა თბილისის წმ. ნინოს გიმნაზიაში, სადაც მოწაფეთაგან გამართული იქმნა მუსიკალური საღამო კნინას სახელობაზე.“

თბილისში არტისტულ საზოგადოების დარბაზში გადაიხადეს კნინას 50 წლის იუბილე, რომელსაც მთელი რუსეთის კუთხეებიდან დაესწრო მისი აღზრდილები.

,,ელენე ბაინდურაშვილი - კონიევისა თვით არის ერთი მოწაფეთაგანი ამავე ბ. კნინასი.

ქ. კონიევისა აგერ უკვე 12 წელიწადია, რომ მოღვაწეობს ქ. ქუთაისში, როგორც მასწავლებელი მუსიკისა და ბევრი მოწაფეთაგანი მადლიერნი არიან მისი სწავლისაგან. ამის გამო მან ქუთაისში სამოღვაწეოდ მოიწვია პატივცემული ბ. კნინა.

ამნაირათ ქუთაისელ ახალგაზრდობას ეძლევა საშვალება, რომ სხვა ადგილებში წაუსვლელად მიიღოს მუსიკალური განათლება თავიანთ დედაქალაქში“.

იმედია, ქუთაისის საზოგადოება ჯეროვნად მოეპყრობა ამ მოვლენას და ახლად აყვავებულ რესპუბლიკაში შეეცდებიან ბევრი მუსიკის მცოდნე ახალგაზრდები მიიღონ.

გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ N157, 27 აგვისტო, 1918

,,ახალი ამბავი“
(მოწაფე ქალი ალექსანდა სტურუა)

მოწაფე ქალი ალექსანდრა სტურუა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას 25 აგვისტოს ბაღის გვერდით დაეკარგა შემდეგი საბუთები, 1) რკინიგზის სეზონის ბილეთი; 2) რკინის გზიდან მიცემული პიროვნების მოწმობა ორი სურათით და სასწავლებლის მოწმობები“.

პოვნელი ,,ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში ამ ნივთების წარდგენისას ჯილდოს მიიღებს.

„მუშა და გლეხი“. 1921-1924. საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის და საგუბერნიო რევკომის ორგანო. (1921 წლის 8 მაისიდან (N11) - ,,საქ. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევ. კომიტეტის ორგანო“; 1923 წლიდან - ქუთაისის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის ორგანო). ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. რედ. - სარედ. კოლეგია. (სტამბა ,,წითელი ვარსკვლავი“).
სულ გამოვიდა:
1921 წ. N1 (3/IV) – N67 (29/XII); თით. 4 გვ. F (ტირაჟი 3000 ც).
1922 წ. N1 (1/I) – N49 (25/XII); თით. 4 გვ. F (ტირაჟი 400 ც).
1923 წ. N1 (1/I) – N53 (30/XII); თით. 4 გვ. F (ტირაჟი 700 ც).
1924 წ. N1 – N52 (23/XII); თით. 4 გვ. F (ტირაჟი 2000 ც).

გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N1 (170) 6 იანვარი, 1924
ავტორი: დიანოსი რიჟამაძე

,,სოფ. კურსების სკოლისათვის“

,,თანახმად ამხ. კ. ნიშნიანიძის გამოწვევისა, კურსების სასკოლო ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს ნახევარი ჩერვონეცი და ამავე თანხაზე ვიწვევ თბილისიდან: ამხ. ეროდიონ ბერეკაშვილს, დარია ბერეკაშვილის ასულს და ფაცა ხეცაძისას; ქუთაისიდან: ამხ. კალისფენია და ნინო ბრეგაძის ასულთ, იონა არსენიშვილს, სამსონ ხვედელიძეს და დანიელ მახარაშვილს; ხრესილიდან: ამხ. ამხ. კარპეს ცირეკიძეს, მარიამ ჩხაიძისას და კატო რიჟამაძისას და საწირიდან - ამხ. ამხ. ისიდორე ქარქაშაძეს, საშა (ალექსანდრა) ყიფიანის ასულს და მ. კუბლაშვილს.“

თბილისში მყოფ ამხანაგებმა თავიანთი წვლილი უნდა გადასცენ ამხ. კოტე ბერიკაშვილს.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N8 (177) 23 თებერვალი, 1924

,,მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის“ ისტორია

,,მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს საფუძველი ჩაეყარა ამერიკელ მუშა ქალების წინადადებით - 1909 წელში. ხოლო 1910 წელს, მუშა - ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე კოპენგაგენში (დანია). დადგენილ იქნა: ყოველ წელს ყველა ქვეყნებში ეუქმათ ,,მუშა - ქალთა დღე“. ეს წინადადება შემოტანილ იქნა გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადის - ამხ. კლარა ცეტკინის მიერ“.

შემდეგ წელში ამ დღის ჩატარება მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მოხდა. მათ შორის გერმანიაში, სადაც მოწყობილ იქნა მიტინგები, ხოლო ავსტრიაში ამ დღის აღსანიშნავად დიდი დემონსტრაცია გაიმართა, რომელზედაც მუშა ქალების შეტაკება პოლიციასთან მოხდა.

1912 წლიდან ქალთა საერთაშორისო დღეს უკვე აღნიშნავდნენ ყველა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

,,რუსეთში ეს დღე პირველათ იდღესასწაულეს 1913 წელს. ქალაქ ლენინგრადში (პეტროგრადი) ამ დღის აღსანიშნავათ გამოშვებულ იქნა გაზეთის სპეციალური ნომერი და მოეწყო მიტინგები. ამ დღის შემდეგ მეფის მთავრობამ დააპატიმრა რამოდენიმე მუშა-ქალი. 1914 წელში პოლიციის წინასწარი რეპრესიების გამო მშრომელ ქალთა დღის ჩატარება ვერ მოხერხდა.

1915 და 16 წლებში იმპერიალისტური ომის გამო ,,ქალთა დღე" არ ჩატარებულა".

სხვა ქვეყნებში ქალთა დღესთან დაკავშირებით მოეწყო ომის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებიც მთავრობამ დაარბია.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი" N9 (178) 2 მარტი, 1924
ავტორი: ... ე

,,მშრომელი ქალის დღის" მიზნები"

,,ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ისტორიულ ,,ქალთა დღეთ ითვლება 1917 წელი - რუსეთში. ამ წლის 8 მარტს (ძველით 23 თებერვალს) რუსეთის მუშა და გლეხ-ქალებმა პრაქტიკულათ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე და ლოზუნგით: ,,ძირს ომი", ,,მოგვეცით პური" გამოვიდენ პეტროგრადის ქუჩებში და პირველად აღიმართეს ხმა იმ წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც მთელი თავისი სიძლიერით სტანჯავდა მშრომელ ხალხს."

მშრომელი ქალები 8 მარტს - ქალთა დღესასწაულზე ის მერცხლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მოიყვანეს რუსეთში თებერვლის რევოლუცია.

მომავალ 1918 და 1819 წელსაც ქალთა დღე დიდი ხმაურით ჩაატარეს ქალებმა, სადაც ისმოდა შეძახილები ყველა წითელი ფრონტისაკენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

1920 წელშიც მშრომელი ქალები გამოდიოდენ ინციატივით, რათა დახმარება გაეწიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დანგრეული რკინის გზების აღსადგენად.

,,1921 წელში ,,ქალთა დღეს" უმთავრეს საკითხათაა გამოცხადებული ,,სახალხო მეურნეობის აღორძინება". 1921 წელში საბჭოთა რესპუბლიკაში მძვინვარებს შიმშილი. მთელი ყურადღება შეგნებულ მუშა და გლეხი ქალების მიმართულია ათასობით დამშეულთა გადარჩენისაკენ. რუსეთის მშრომელი ქალები უშუალო მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სამეურნეო აღორძინებაში.

ამ წელს ქართველმა მშრომელმა ქალმა პირველათ იდღესასწაულა თავის საერთაშორისო დღე.

,,მუშა და გლეხ - ქალთა საერთაშორისო დღე" 1922 წელში მთელ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში აკავშირებს მშრომელ ქალთა საუკეთესო ძალებს სამეურნეო ცხოვრების ასაღორძინებლათ, სოფლებში ,,ქალთა დღე" ტარდება გლეხ-ქალებში სწავლა-განათლების შეტანის ლოზუნგით."

თანდათანობით იხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სხვადასხვა კურსები, თანდათან მაღლდება მშრომელ ქალთა შეგნება, რაც საფუძველს აძლევს ქალებს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ასე რომ, 1923 წლიდან ქალები უფრო აქტიურად გამოდიოდნენ ქალთა დღეს და მათი ამოცანა იყო: ,,ქალების უფრო ფართოთ ჩაბმა სკოლებში, მათი მიზიდვა სხვა და სხვა

კურსებზე, ,,საზოგადო ორგანიზაციების“ (საზოგადო სასადილოები, სახელოსნოები, საბავშო სახლები, ბაღები და სხვა) გამრავლება.“

ამ დროს დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში 8 მარტის აღსანიშნავად ქალები მხოლოდ ერთადერთ ლოზუნგს აყენებდნენ: ,,მთელი ძალაუფლება მშრომელებს“.

სულ სხვა პირობებში უხდებოდათ საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებს ,,8 მარტის“ ჩატარება. ,,ამ დღესასწაულის მეშვიდე წლის თავზე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ქალები მათი მოძმე - მამაკაცებთან ერთად მწარე ტკივილებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მათთან აღარ არის ის ადამიანი, რომელმაც გამონახა საუკეთესო გზა ყველა მშრომელების და, კერძოთ, მშრომელ ქალთა განთავისუფლებისათვის.“

კომუნისტურმა პარტიამ 8 მარტის დღესასწაულზე მთელ საბჭოთა რუსეთში და საკავშირო რესპუბლიკებში წამოაყენა ლოზუნგი: ,,გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ ილიჩის ანდერძი მუშა და გლეხი ქალების განთავისუფლების შესახებ“.

ამ დღიდან უნდა გაუმჯობესდეს ქალების ეკონომიური, სოციალური და კულტურული მდგომარეობა და როგორც ილიჩი ამბობდა ეს მოხდება მაშინ, როდესაც დემონსტრაციებში მონაწილეობას მიიღებენ მილიონიანი მასა მშრომელი ქალებისა.

ამისათვის კი საჭირო იყო შემდეგი: ,,მშრომელი ქალების კულტურული დონის და შრომის კვალიფიკაციის ამაღლება, მუშა და გლეხი ქალების რიცხვის გადიდება საბჭოებში, კოპერაციებში და სხვა ორგანიზაციებში, გამრავლება ისეთი დაწესებულებები, რომლებიც ანთავისუფლებენ მშრომელ ქალს უნაყოფო შრომისაგან“.

ლენინის სიკვდილის შემდეგ მშრომელმა ხალხმა კიდევ უფრო წინ უნდა წაიყვანოს მის მიერ გაკაფული გზა. ქალები უნდა დასაქმდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და გაამაგრონ კომპარტიის რიგები. ეს ლოზუნგი გახდა მთავარ ანდერძად 1924 წლის 8 მარტის დღესასწაულის აღნიშვნისას. თუ საბჭოთა ქალების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა საბჭოთა კავშირში ამავე პერიოდში ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელ ქალებს უხდებოდათ ბრძოლა ,,თეთრი ტერორის წინააღმდეგ პურის, თავისუფლებისა და სამართლიანობის მოპოვებისათვის.“

საბჭოთა კავშირში რვა მარტის კიდევ ერთი ლოზუნგი იყო: ,,ძმური კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებთან“, ე.ი პროლეტარიატის დიქტატორულ ქვეყნებთან, სადაც უკვე დამსხვრეულია ყოველგვარი ჩაგვრისა და მონობის ბორკილები.

,,8 მარტი არის დღე - ყველა ქვეყნის მშრომელების უდიდესი სიმტკიცის და სოლიდარობისა. გაუმარჯოს მას“.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N10 (179) 8 მარტი, 1924
ავტორი: ... ე

,,მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე“

დღეს მთელ მსოფლიოში აღინიშნება ქალთა საერთაშორისო დღე. ოქტომბრის რევოლუციამ მთელი მსოფლიო ორ ნაწილად გაყო და თითოეულ ამ ნაწილში მყოფ პროლეტარიატს სხვადასხვა მორიგი ამოცანები დაუსახა.

,,იმ დროს, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ქალები დღესასწაულობენ ამ დღეს გამარჯვების დროშის ქვეშ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ისინი მხოლოდ ბრძოლის დაწყების სამზადისში არიან.

ყველგან, სადაც კი ბატონობს ბურჟუაზია მშრომელი ქალები როგორც ქარხანაში, ისე სახელოსნოში, როგორც ქალაქში, ისე სოფლათ განიცდიან კაპიტალისტების სასტიკ შემოტევას.“

პროლეტარიატის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში ათასჯერ უფრო უარესია, ვიდრე წინეთ. სამხედრო დიქტატურა, ფაშიზმი, მანეთის კურსის საშინელი პანიკა პირველ მოთხოვნილების საქონელზე ფასების მატება, მასიური უმუშევრობა, ათიათასობით რევოლუციისათვის მებრძოლთა დატუსაღება, აი, ასეთია დღევანდელი ევროპის ცხოვრება.

ყველაფერი ეს მძიმედ აწვება მშრომელ ქალს, რომელიც იტანჯება, როგორც კაპიტალისტის ექსპლოატაციისაგან, ასევე მამაკაცებისაგან ოჯახში განიცდიან სივიწროვეს.

,,დასავლეთის მშრომელ ქალებზე უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან აღმოსავლეთის მშრომელი ქალები. ისინი სავსებით დამოკიდებული არიან მამაკაცებზე და ოჯახზე. თუ დასავლეთში ქალის უფლება ფორმალურათ მაინც არის აღიარებული, აღმოსავლეთის ქალები, (რასაკვირველია გამოკლებით საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებისა) ფაქტიურათ და ფორმალურათ მოკლებული არიან ყოველგვარ სახელმწიფოებრივ უფლებებს. მათ დაჩაგვრას და უუფლებობას კიდევ ის უწყობს ხელს, რომ ქალი განიცდის სხვა და სხვა ჩვეულებების და სარწმუნოების დიდ გავლენას“.

დღეს პროლეტარი ქალები ცდილობენ დაუმტკიცონ ბურჟუა - მემამულეებს, რომ მზად არიან მოიშორონ მონობის უღელი.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალები რვა მარტის დღესასწაულის ჩატარებას ახდენენ მამაკაცებთან ერთად, რომლებსაც გვერდით ედგნენ ბრძოლასა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ბევრი რამ არის გაკეთებული მშრომელი ქალის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების განსამტკიცებლათ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა კიდევ დიდი შრომა, კიდევ დიდი ენერგია და ძალღონე ქალის ნამდვილ და ყოველ მხრივ განთავისუფლებისათვის. საჭიროა სავსებით აღმოფხვრა: ქალის დამონავებელი ძველი ჩვეულებების, გაუნათლებლობის, უკულტურობის, ეკონომიური სივიწროვისა და სხვა.

ლენინი, რომელიც დღეს ჩვენს გვერდით არ არის, მაგრამ იგი თავისი ნაწერებით ქალებს ყოველმხრივი განთავისუფლებისათვის გზას უნათებს.

,,საბჭოთა რესპუბლიკების განთავისუფლებული მუშა ქალები მიაწოდებენ დღეს სოლიდარობის ხმას კაპიტალის სამეფოში დემონსტრაციებზე გამოსულ თავიანთ დებს და უსურვებენ მათ იმ საერთაშორისო დღის მოახლოვებას, რომელიც გაანთავისუფლებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და შეუდგება იმ ლოზუნგების განხორციელებას, რომელსაც აყენებენ დღეს მხოლოდ წითელი რესპუბლიკების მშრომელი ქალები.“

გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N10 (179) 8 მარტი, 1924
ავტორი: ელენე ასათიანი

,,რვა მარტის დღესასწაული“

8 მარტი არის მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაული, რომლის დროსაც ყველა ქვეყნის მშრომელი ქალები დროშებითა და პლაკატებით გამოდიან ქუჩებში და აწყობენ მიტინგებს.

,,1910 წელს სოციალისტ მშრომელ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე ცნობილმა კლარა ცეტკინმა შემოიტანა წინადადება, რათა 8 მარტის დღე ყოფილიყო სავალდებულო სადღესასწაულო დღეთ - ყველა ქვეყნებში, რაც მიღებულ იქნა დიდი აღტაცებით.

დასავლეთ ევროპის მშრომელმა ქალებმა პირველათ ეს დღე იდღესასწაულეს 1911 წელს. ამ დღემ მიიღო აგიტაციის ხასიათი და მიუხედავათ ბურჟუაზიის ბარიკატებისა ის სათანადოთ იქნა ჩატარებული.

რუსეთის მშრომელმა ქალებმა პირველათ 1913 წელში ჩაატარეს ეს დღესასწაული, თუმცა მშრომელი ხალხის ჯალათებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. ამ დღეს გამოშვებულ იქნა ქალთა ჟურნალი, რომელიც მესამე ნომრის გამოსვლის შემდეგ დახურულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. მიუხედავათ დიდი რეპრესიებისა პიტერის მუშა ქალებმა არა ლეგალურათ მოაწყვეს სამეცნიერო დილა, რომლის შემდეგ ყველა ორატორები იყვნენ დატყვევებული.

1914 წელში მშრომელმა ქალებმა სცადეს საერთაშორისო დღის ჩატარება, მაგრამ დღესასწაულის მომწყობი ქალები გადამწესებულ იქნენ ციმბირში.

იმპერიალისტური ომის განმავლობაში 1917 წლამდე მშრომელ ქალთა საერთა–შორისო დღე არცერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა, მაგრამ 1917 წ. რუსეთში ქალთა დღე გადაიქცა მთელი ქვეყნის ინტერნაციონალურ ბრძოლის დღესასწაულათ.

1917 წელში რუსეთის მშრომელმა ქალებმა პირველად აღმართეს ბრძოლის დროშა და მუშებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ოქტომბრის რევოლუციაში."

ამ დროს კავკასიის მშრომელი ქალი ისევ მონობის უღელში იმყოფებოდა და წარმოდგენაც არ ქონდა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულზე.

,,1920 წელში აზერბეიჯენიდან თეთრ გვარდიელთა ბანდის გარეკვის შემდეგ კავკასიის მშრომელმა ქალმა პირველად იდღესასწაულა მშრომელ ქალთა დღე. ბაქოს ქუჩებში ამ დღეს წარმოადგენდენ არაჩვეულებრივ სანახაობას. აქ იყვნენ ქართველი, სომეხი, სპარსელი და ებრაელი ქალები, რომლებიც შეერთებულნი ერთი ფიქრით და ერთი გრძნობით დღესასწაულობდნენ თავიანთ განთავისუფლების დღეს. საქართველოში, ,,8 მარტი" პირველად იდღესასწაულეს 1921 წელში ე. ი. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებშიც. მხოლოდ მაშინ ის ჩატარდა დიდ ქალაქებში. 1922 და 23 წლებში ამ დღესასწაულმა მიიღო უფრო ფართო ხასიათი."

იმ დღიდან მოყოლებული ქართველი შრომელი ქალები მესამე კომინტერნის ბრძოლის ლოზუნგებით, რომლის ძირითადი მოთხოვნაა ლენინის საბჭოთა კავშირისა და მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ქალთა გამარჯვება.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი" N10 (179) 8 მარტი, 1924
ავტორი: ექიმი ევსევი ლოსაბერიძე

,,მშრომელ ქალთა დღის ერთი ამოცანათაგანი"

მშრომელთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას დიდი და საშინელი მტერი ჰყავს. ეს არის მასებში ფართოდ მოდებული სიფილისი და სხვა ვენერიული სატკივრები. ,,სიფილისი საშინელი, ძნელი და ხანგრძლივი ავადმყოფობაა, რომელიც ერთხელ შესული ადამიანის სხეულში ნელ-ნელად ღრნის და შლის ამ სხეულს, უსპობს მას მაცოცხლებელ ძალას და ენერგიას, ართმევს გონებას და ქმნის ქვეყნისათვის მძიმე ტვირთად. ამას გარდა ასეთი პირისაგან ავადმყოფობა გადადის სხვაზე, - კაცისაგან ქალზე, იწვევს უკანასკნელის სხეულში მრავალმხრივ და მძიმე ცვლილებებს, ასახიჩრებს მას და უსპობს მას შვილიერების უნარს და ამით აკლებს მას დედობრივი გრნობის განცდის ბედნიერებას."

თუ ქალს შვილი მაინც მიეცა ისინი დაბადებიდანვე სიკვდილის ძლიერებას თან

ატარებენ, რითაც ანაღვლიანებენ დედის გულს. ასევე ძნელია ვენერიული ავადმყოფობა - სუსუნატიც...

,,ხშირად და უმეტესად ეს ავადმყოფობანი მთელი თავისი სიმძიმით და საშინელებით კაცობრიობის მეორე ნაწილს ქალთა სქესს აწვება და მხოლოდ იგი განიცდის იმ სიმწარეს და ტანჯვა-ვაებას, რომელიც მათ თან სდევს."

ამ დაავადების ხელის შემწყობი არის ბურჟუაზიულ ქვეყნებში გავრცელებული პროსტიტუცია, რომელშიც ღარიბი და მშრომელი დედაკაცი გაჭირვების გამო ებმება და ფულზე ყიდის თავის სხეულს.

,,პროსტიტუცია კაპიტალისტურ ქვეყანაში შეძლებას აძლევს მამაკაცს იქონიოს დამოკიდებულება ქალთან და ამასთან აიშოროს თავიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობა და მოვალეობა ამ კავშირის შედეგებისა და თვით ქალის უზრუნველყოფაზე. ქალებს აძლევენ ხშირად სიფილისს და სხვა ვენერიულ ავადმყოფობას, ესენი კი გაზრდილსა და გაძლიერებულ ავადმყოფობას უკანვე უბრუნებენ მამაკაცს, და ჩვენდა სამწუხაროთ, იმ მუშებსაც, რომლებსაც თვისი უკიდურესი მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ გაუბედნიათ თავისი საკუთარი ოჯახის შექმნა და იძულებული გამხდარან გაჭირვებაში მყოფი სხეული იყიდოს...

ამნაირათ, პროსტიტუცია მუდამ ზრდის და ინახავს სიფილისს და ვენერიულ ავადმყოფობებს, რყვნის და ათახსირებს ქალს და ჩაგრავს მის პიროვნებას."

ევროპაში პროსტიტუცია ფართოდ არის გავრცელებული და ამ ბოროტების მოსასპობად ქალები საპოლიციო საექიმო შემოწმებას გადიან. პოლიციელს ნება აქვს, ქუჩაში მისთვის საეჭვოთ მიჩნეული ქალი პოლიციაში გასასინჯად წაიყვანოს.

,,საკმარისია კიდევ ცოტა ეჭვი, რომ ასეთ ქალს ყვითელი ბილეთი მისცენ ხელში და ამით ცოცხლებისა და უფლება მოსილი ადამიანების სიიდან ამოშალონ იგი.

გაჭირვების ბრჭყალებიდან მის დახსნაზე, მის ნამუსზე, მის გაადამიანებაზე, ცხოვრების სიდუღჭირისაგან გათელვით მის პიროვნების ამაღლებაზე კი, არავინ არ ფიქრობს."

უცვლელი სოციალური პირობებია, პირმშო პროსტიტუციისა და ვენერიული სატკივრებისა. სულ სხვა მდგომარეობა არის საბჭოთა რესპუბლიკებში. მართალია, პროსტიტუცია აქაც არსებობს, მაგრამ რევოლუციის შემდეგ, როცა ამაღლდა ქალის უფლებები იგი თანდათან შენელდა. ქალმა კარგად იცის რომ იგი მამაკაცის ტიკინა არ არის და არც მისი ხელის შემყურებელია მხოლოდ. მას შეუძლია ცხოვრების მოწყობა და დამოუკიდებლობა.

გარდა ამისა საბჭოთა რესპუბლიკებში გაძლიერებულია განათლების როლი, რათა ქალთა მასებში შეიტანოს მეტი მომზადება, სქესობრივი აღზრდა, ჰიგიენის სავალდებულო შემოღება. ყოველივე ეს ამცირებს ამ მძიმე ავადმყოფობის გადადებას.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი" N16 (185) 22 აპრილი, 1924
ავტორი:ექიმი ი.კვიჟინაძე

,,მშობიარობა, როგორც ერთი მიზეზთაგანი ქალთა სიკვდილიანობისა"

,,მშობიარობა, ეს უდიდესი აქტი კაცობრიობის არსებობისა, მთელი თავის სიმძიმით დაკისრებული აქვს დედაკაცს."

ეს ქალის რაიმე ავადმყოფობა ან არანორმალურობა არ არის, რადგან იგი ოდითგანვე ბუნებრივი მოვლენა გახლდათ და ათასობით ქალთა სიცოცხლესაც იწირავდა.

მშობიარობით გამოწვეული სიკვდილიანობა 99 % -ით ჩვენს გაუნათლებლობასა და დაუდევრობას უნდა მივაწეროთ, რადგან მშრომელი გლეხობა და ინტელიგენციის ნაწილიც კი ექიმებსა და ბებია ქალების ნაცვლად მშობიარობის პროცესში ექიმბაშებს მიმართავენ.

მათი გაუნათლებლობით მშობიარობის პროცესი ფატალურად თავდება და ასეა დღესაც, ვინაიდან ,,საექიმო დახმარების საქმე ექიმებით და სათანადოთ მომზადებულ ბებიებით ძლიერ ცუდათ არის ჩვენს სოფლებში დაყენებული.

იმ დროს, როდესაც დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს, სრულებით უსასყიდლოთ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ექიმებით, ისე ბებია ქალის დახმარებით."

დღემდე შეკრებილი ცნობების მიხედვით ქუთაისში დაზღვეულთა შორის სამი თვის განმავლობაში იყო სულ 131 მშობიარობის მაგალითი. ამათში ექიმების ზედამხედველობის ქვეშ მხოლოდ 20-25 ქალი მორჩა. დანარჩენი კი, როგორც სჩანს ისევ ბებიების ,,ექიმობით" რჩებოდენ.

ჩვენ ქალებს ,,უნდა გაეწიოს რაციონალურ ნიადაგზე დაყენებული საექი–მო დახმარება, რითაც ვიხსნით მათ იმ ბებრუხანა ექიმბაშებისაგან, რომლებიც თავის უცოდინარობით ხელს უწყობენ მშობიარობის გართულებას და ქალთა სიკვდილიანობასაც კი."

გაზეთი ,,მუშა და გლეხი" N19 (188) 13 მაისი, 1924
ავტორი: ა. ნუცუბიძე

,,ჩვენი მუშაობა ახალგაზრდა ქალთა შორის"

,,დღეს, ყოველ ჭეშმარიტ რევოლუციონერს უნდა წამდეს, რომ სოციალისტური წყობილების დამყარება მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა ახალ მუშაობის პროცესში, მასთან ერთად იქნება და ხელი ხელ ჩაკიდებული იმუშავებს ქალების აბსოლიტიური უმრავლესობა.

თუკი ათეულ მილიონებს მშრომელ მამაკაცებისას, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი როლი რევოლუციის განვითარების და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობაში, გვერდში ამოუდგება საკმაო რიცხვი მშრომელ ქალებისა, - მაშინ მშრომელი ხალხის გამარჯვება საბოლოოთ უზრუნველყოფილია და ვერავითარი მოწინააღმდეგე ძალა ხელს ვერ შეუშლის მათ სოციალისტური მშენებლობის საქმეში."

ეს ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა დიდ ლენინს და იგი მთავარ ყუ–რადღებას ქალთა შორის მუშაობას უთმობდა.

,,საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე მხოლოდ მაშინ წავა წინ, როცა მის მუშაობაში ჩაებმებიან და მიიღებენ მონაწილეობას ასეულის მაგივრათ ათასეული და მილიონი ქალები." ამ სიტყვებით ბუნებრივად გამოსჭვივის ლენინის ღრმა რწმენა ქალების როლსა და დანიშნულებაზე.

ყოველივე აქიდან გამომდინარე საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით ცდილობდა ,,მიცემოდა ქალებს მოქალაქეობრივ, იურიდიულ თავისუფლებასთან ერთათ ეკონომიური თავისუფლებაც და წინ წასწიოს მათი, როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური განვითარების დონე."

მართლაც, არცერთ ქვეყანაში ქალები არ სარგებლობდა ისეთი უფლებებით, როგორც საბჭოთა ქვეყნებში.

ქალები შედიოდნენ საბჭოებში, იგზავნებოდა წითელ დიპლომატებათ, მსახურობდენ კოოპერაციებში, სწავლობდენ უმაღლეს სასწავლებლებში, მუშაობდენ კომპარტიის რიგებშიც და სხვა.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა მაინც ქალთა სქესის რაოდენობა დაბალი იყო უმაღლეს სასწავლებლებსა და კომკავშირთა რიგებში.

ამ უკანასკნელს მხოლოდ 15-16 % ეკავათ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირებში.

ეს კი უკვე საგანგაშო და ღრმად შესასწავლი ფაქტი გახლდათ. ჩვენი დღევანდელი ლოზუნგია გავამრავლოთ რიცხვი ახალგაზრდა ქალებისა ჩვენს კავშირში. ამაში უპირველესად დაგვეხმარება ის, რომ ახალგაზრდა ქალები მოვაშოროთ ფლირტებს და დავაინტერესოდ საზოგადოებრივი საქმიანობით.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N20 (189) 20 მაისი, 1924

,,მუშა ქალთა შორის“

,,რაიკომი ყოველგვარ დახმარებას უწევს ქალთა შორის მუშაობას. გამოყოფილი ყავს პარტ. ამხანაგი ქალი, რომელიც ახდენს უპარტიო ქალთა სადელეგატო და საერთო კრებებს. სადელეგატო კრებები ეწყობა კვირაში ერთხელ, სადაც მეცადინეობა სწარმოებს არსებული სქემის მიხედვით.

საერთო კრებები ეწყობა თვეში ერთხელ, რომელზედაც კეთდება მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე და რელიგიურ ცრუ- მორწმუნოებაზე. უპარტიო ქალები ესწრებიან კომუჯრედის ღია კრებებს. ზოგიერთი მათგანი ჩაბმულია პოლიტ წრეებში, პროფკავშირების მუშაობაში და სხვ.“

საერთოდ, ქალთა მუშაობა წინა თვეებთან შედარებით გამოცოცხლებულია, რომლის დასტურია დიდი ზეიმით 8 მარტის აღნიშვნა.

სადელეგატო კრებები ეწყობა გუბში, კუხში და გორდში, რისთვისაც გამოყოფილი ორგანიზატორი ქალები აწარმოებენ პროპაგანდისტულ მუშაობას ქალებს შორის.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი“ N25 (194) 29 ივნისი, 1924
ავტორი: ქალთა განყოფილება

,,მოწოდება - მშრომელ ქალებისადმი“

,,სოციალისტური რევოლუციის ქარტეხილმა საუკუნოების განმავლობაში უკუღმართ პირობებისაგან შექმნილ ქალთა ჩაგრულ ყოფაცხოვრებას მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია. მან გაანთავისუფლა მშრომელი ქალი, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ. სამაგიეროთ თანამედროვე მომენტი, განახლებული ცხოვრება ბევრ რამეს მოითხოვს განთავისუფლებულ ქალისაგან. იგი მას დიდ როლს აკისრებს. იგი ავალებს ყოველგვარი უფლებებით აღჭურვილ ქალს ალღო აუღოს მომენტის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნილებებს; მან უნდა შეიგნოს თავისი პირდაპირი მოვალეობა და მამაკაცთან ერთად გზა გაიკაფოს საუკეთესო მერმისისაკენ.“

ქალები ვალდებული არიან გამოიჩინონ მეტი პასუხისმგებლობა, შეეჩვიონ საღ მსჯელობასა და სოლიდურ მოქმედებას საზოგადოებრივ ასპარეზზე, რითაც ხელს შეუწყობენ მათ კეთილდღეობასა და სახელმწიფოს აღმშენებლობას.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზნების განხორციელებაში დიდ როლს თამაშობს ბეჭდვითი სიტყვა. ,,ამისათვის ქუთაისის სამპარტკომის ქალთა განყოფილებამ უკვე აირჩია სარედაქციო კოლეგია, რომელიც მოათავსებს წერილებს გაზ. ,,მუშა და გლეხში", სადაც ქალთა შორის მუშაობას დათმობილი ექნება განსაკუთრებული ადგილი.

ამ საქმეს უნდა გამოეხმაურონ მშრომელი ქალები და შეძლებისდაგვარათ მოაწოდონ რედაქციას კორესპონდენციები და წერილები მათი ყოფა-ცხოვრებიდან".

გაზეთი ,,მუშა და გლეხი" N31 (200) 10 აგვისტო, 1924

,,ქალთა შორის"

,,28 ივლისს შესდგა უპარტიო ქალთა დელეგატების კრება, რომელსაც 200 ქალამდე დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. თ. ბაქრაძე. დღის წესრიგში იყო ამხ. ქეთო ჩხიკვაძის მოხსენება იმპერიალისტური ომის 10 წლისთავის შესრულების შესახებ. მომხსენებელმა კრებას გააცნო ომის საშინელება და აღნიშნა კაპიტალისტურ ქვეყნების სამზადისი ახალ ომებისთვის."

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, სადაც დაგმო ომის მწარმოებელ ბურჟუაზიის სურვილი და მის დამხმარე მენშევიკებს გამოუცხადა პროტესტი.

გაზეთი ,,მუშა და გლეხი" N38 (207) 28 სექტემბერი, 1924

,,უპარტიო ქალების გამოსვლების შესახებ"

,,15 სეკტემბერს შესდგა უპარტიო დელეგატ ქალთა საზოგადო კრება, რომელზედაც ამხ. შ. ტაბიძემ მოხსენება გააკეთა მენშევიკების გამოსვლების შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ,,მოვისმინეთ რა მოხსენება მენშევიკურ ავანტიურის შესახებ, პროტესტს ვაცხადებთ უკანასკნელ გამოსვლების გამო, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ერთადერთი პარტიაა, რომელიც იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, მიყავს ისინი სოციალიზმისაკენ და აწარმოებს ყოველგვარ აღმშენებლობით მუშაობას".

კრებაზე ქალებმა ერთად გამოიტანეს რეზოლუცია, რომ საბჭოთა ხელისუფლების გვერდით მუდამ იქნებიან ქალები რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

„წითელი ვარსკვლავი“. 1924-1925. ყოველდღიური მუშურ-გლეხური გაზეთი. ს.კ.პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტის და მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილების ორგანო. ქუთაისი. რედ. - სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი-ქუთაისის სამაზრო კომიტეტი. (სტამბა,,წითელი ვარსკვლავი“).
1924 წ. N1 (7/IX) –N44 (31/XII); თთ. 4 გვ. F (ტირ. 3500 ც.)
1925 წ. N1 (45)(3/I)- N181(225) (11/VIII).

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N19, 30 ნოემბერი, 1924
ავტორი: ქ. განყოფილება კ. მიქაძე

,,მუშა ქალთა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრების ხელახალი არჩევნები“

,,კომპარტია ეწევა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ქალთა მასაში; ის ამ მუშაობას ორგანიზაციულად აყალიბებს მუშა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებებზე. კრებებს შეაქვს ქალთა მასაში შეგნება და გათვითცნობიერება, გამოყავს რა ისინი პარტიული და საბჭოთა აღმშენებლობის ასპარეზზე; ეს არის ხიდი, რომლის საშუალებითაც მშრომელი ქალები ერთვიან პროლეტარიატის დარაზმულ რიგებს.“

დეკემბრიდან ქუთაისის მაზრაში უნდა ჩატარდეს სადელეგატო კრებები ხელახალი არჩევნებისათვის, რადგან ამა წლის ნოემბერში არსებულ სადელეგატო კრებებმა დაამთავრეს თავიანთი პროგრამები.

მოსამზადებელი მუშაობა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოხსენებების სახით უნდა ჩაატაროს დელეგატ-ქალთა ყრილობების შესახებ.

ახალგაზრდა კომკავშირისა და კომუჯრედების სხდომაზე ამ კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ ქალები და პარტიული ორგანიზაციები. ამორჩეული იქნება ერთი დელეგატი.

,,დელეგატ-ქალთა ყრილობებში მექანიკურად შედიან კომუნისტი გლეხი ქალები და საბჭოს, გლეხთა ერთ-ერთ დამხმარე კომიტეტების მიწის კომისიის წევრი ქალები. არჩეული დელეგატები უნდა იქნენ აყვანილი აღრიცხვაზე სპეციალური ანკეტების მიხედვით“.

ახლად არჩეული დელეგატი პირველ კრებაზე საზეიმო ვითარებაში მიიღებს მონაწილეობას.

ყოველგვარი მასალები არჩევნების შესახებ უნდა გაიგზავნოს მაზრის ქალთა განყოფილებაში პირველი იანვრისათვის.

,,არჩევნები ჩატარებული იქნება ქ. ქუთაისში შემდეგ პუნკტებზე: თამბაქოს ქარხანაში 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 3/2 საათზე. სააბრეშუმო სადგურში 4 დეკემბერს ნაშუადღევის 3/2 საათზე, საავადმყოფოში 5 დეკემბერს 3 საათზე.

პირველი ცხრაწლედი შრომის სკოლის დარბაზში 6 დეკემბერს სამ საათზე.

დელეგატებად არჩეული იქნებიან აქტიური და შეგნებული ნაწილი იმ მშრომელებისა, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ დავალებებს და ისინი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებენ ამომრჩევლებს სადელეგატო კრებებზე. სადელეგატო კრებები რაიონში 30 წევრზე, ხოლო სოფელში ათ წევრზე მეტი არ უნდა იყოს.

საარჩევნო კრებები ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების გარდა ჩატარდება ნინოშვილის სამკითხველოში, საქსოვ ქარხანაში, ქართული ლეგიონის დარბაზში, რუსთაველის სამკითხველოში და საფიჩხიაზე განათლების სამკითხველოში. საარჩევნო კრებებში არჩეული იქნებიან ყოველი ათი თანამშრომლიდან თითო დელეგატი ქალი. ,,ინტერნაციონალ" საკრებულოში მუშა-მოსამსახურე ქალების საერთო კრება 12 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ხონის სამტრედიისა და დანარჩენ რაიონებში კი 15 დეკემბრიდან დაიწყება.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი" N20, 2 დეკემბერი, 1924
ავტორი: ჯანსაღი

,,ქალთა წრე ჩვენში"
(სოფ. გოჩა-ჯიხაიში)

ორი თვის წინათ სოფელ გოჩა-ჯიხაიშში ახალგაზრდა კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით ქალთა წრე დაარსდა. ვინაიდან ქალთა წრეს არც ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციები, როგორც მატერიალურ ისე იდეურ დახმარებას არ უწევდნენ, ამიტომ მთელი მუშაობა ახალ კომკავშირლებს დააწვა.

ხსენებულ წრეში ერთ-ერთმა წევრმა მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: ,,ქალი წარსულში და აწმყოში", მაგრამ სამწუხაროთ არც კამათი და არც აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ გამოუწვევია ამ მოხსენებას, რაც უნდა მიეწეროს ამხანაგების მოუმზადებლობას."

იმედი გვაქვს ქალთა წრე მომავალში მაინც გააუმჯობესებს მუშაობას.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი" N22, 4 დეკემბერი, 1924
ავტორი: მიხეილ ჩინჩალაძე

,,ელისაბედ პავლე ხოჯივანიშვილის ხსოვნას"

ამა წლის 26 ნოემბერს თბილისში გარდაიცვალა ქუთაისში ყველასათვის ცნობილი პედაგოგი ელისაბედ პავლეს ასული ხოჯივანიშვილი. დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომელსაც ელისაბედის სახელი არ გაეგონოს. ლიზამ დიდი ხანი იმუშავა პედაგოგიურ ასპარეზზე; მან თავის შრომით და თავის პატარა საშვალებით დაარსა 1900 წ კერძო მოსამზადებელი განყოფილებები და შემდეგ მოწაფეთათვის უფლებიანი კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. მან დიდი ენერგია დახარჯა ხსენებული სასწავლებლის აღორძინებისათვის, რაც მეფის რუსეთის რეჟიმის დროს ძნელი მისაღწევი გახლდათ.

დაარსების დღიდან ,,ის ცდილობდა თავის პროგიმნაზიისათვის აეგო საკუთარი შენობა; ამ მიზანსაც მიაღწია და პროგიმნაზიისათვის ააგო ჩინებული შენობა, სადაც ოთხწლედია. ჯერ კიდევ მაშინ თავიდანვე ლიზა თავის სასწავლებელში მშვენივრათ ატარებდა შრომის პრინციპებს, მოწაფეთა თვითმმართველობას და თვითსამსახურს."

ელისაბედ ხოჯივანიშვილი იყო უანგარო მუშაკი, რომლის სასწავლებელში ბევრ ღარიბ მოსწავლეს მიუღია უფასო განათლება. იგი საბჭოთა ხელისუფლებამაც დააფასა და სიცოცხლეშივე დაუნიშნა სოციალური დახმარება პენსიის სახით.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N22, 4 დეკემბერი, 1924
ავტორი: ჟ. მატაშვილი

,,ქალიშვილთა შორის მუშაობა“

ყველა ქვეყანაში ქალთა რაოდენობა მეტია, ვიდრე მამაკაცების; ,,საბჭოთა რესპუბლიკებში ქალები უფლებრივად თანასწორი არიან მამაკაცებთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი (ქალები) არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლენინმა სთქვა: ,,საბოლოო მიზანი მაშინ განხორციელდება, როდესაც მილიონები მშრომელ ქალებისა აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ახალ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.“

ბოლო უნდა მოეღოს ქალების შრომის ალმაცერად ყურებას და უნდა გააქტიურდნენ ახალგაზრდა ქალიშვილები, რათა გარკვეული წვლილი შეიტანონ ახალი საზოგადოების აშენების საქმეში. ამ კუთხით უნდა დაინტერესდნენ კომკავშირის უჯრედები. მათ უნდა ჩაატარონ მუშა-გლეხ ქალიშვილებთან მასიური კრებები, პრაქტიკული საქმიანობები და კამპანიები, სადელეგატო კრებები.

,,კომკავშირში მცირეა პროცენტი ქალიშვილთა; ჩვენი ამოცანაა - ქალიშვილთა საგრძნობ რაოდენობით ყოლა, ამიტომ ვაწარმოვოთ ფართო და ღრმა მუშაობა მათ შორის, რომ შევასრულოთ ეს გადაუდებელი ამოცანა.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N29, 12 დეკემბერი, 1924
ავტორი: მადონა

,,რკინისგზის მუშა-მოსამსახურე ქალთა კრება“

9 დეკემბერს რკინისგზის ადგილკომში შესდგა რკინის გზაში მოსამსახურე ქალთა კრება, რომელსაც 35-მდე ქალი დაესწრო.

კრების თავმჯდომარედ დასახელდა ს. ფირცხალავა, ხოლო მდივნად მ. კეშელავა.

,,დღის წესრიგში იყო 1) ვენერიული ავადმყოფობა და მასთან ბრძოლა“, 2) მიმ–დინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ ილაპარაკა ექიმ კაკიტელაშვილმა, რომელმაც გასაგებ ენაზე განუმარტა კრებას სხვადასხვა გამომწვევი მიზეზები ამ ავადმყოფობის წარმოობისა, და მის წინააღმდეგ საჭირო ბრძოლა. მიმდინარე კითხვებზე ილაპარაკა მ. კოსტავამ.“

კრებაზე აირჩიეს მუშკორთა ორგანიზაციაში სამუშაოთ ორი ამხანაგი. ხოლო დრამ წრეში სამუშაოდ გამოყოფილი იქნა ოთხი ამხანაგი. ქალებს მეტ ენერგიულ მუშაობას ვუსურვებთ კულტურულ საქმიანობის გასაღრმავებლათ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N31, 14 დეკემბერი, 1924
ავტორი: ზალი

,,მშრომელი ქალის შენიშვნა“

თბილისიდან ჩამოსულმა ნაცნობმა ქალმა შემჩივლა: ამ დასაწვავ ქუთაისში ვერაფერს იშოვიო. გადავწყვიტე დავხმარებოდი და მიზეზი ვკითხე: მაინც რა ვერ იშოვეთ მეთქი;

,,თურმე ნუ იტყვით ამ ქალბატონს მანიკიური ვერ უშოვნია, სწუხდა სად გამოვჩდე ამ ხელებითო. ადვილი გასაგებიცაა მისი მწუხარება, ქალი უკანასკნელ ,,მოდაზე“ ჩაცმული, შეღებილი სახე, წითელი ტუჩები, თმებიც კი შეეღება ოქროსფრად. (თურმე,,მოდა“ ყოფილა ასე), ამასთანავე მხარს უმშვენებდა კავალერი“, ქალის ქოლგა და ვერცხლის სუნკა ხელში ეჭირა, მზად იყო სამსახურისთვის, თუ კი დამა უბრძანებდა.“

ამნაირად მორთულ ქალს რასაკვირველია ხელები თეთრი და ფუნთუშა უნდა ჰქონდეს და ფრჩხილებიც ვარდისფრად აპრიალებული.

,,სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს, დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში ქალს ფართო ასპარეზი აქვს, საერთო აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა - ის კი ,,კოსმეტიკაზე ფიქრობდეს“.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N38, 23 დეკემბერი, 1924

,,ვინ დააპატიმრა როზა ლიუქსემბურგი?“

ებერტის საქმის განხილვის დროს მისი ვექილი შეეცადა დაემტკიცებია დაპატიმრებულის დამსახურება გაფიცვის მოხსნაში, რომელსაც 1918 წელს ადგილი ჰქონდა საამუნიციო ქარხანაში. სასამართლო პროცესზე საყურადღებო იყო იმპერიის დროის სამხედრო მინისტრის ფონშტეინისა და გენერალ ბის-ბერგის დაკითხვა. ფონ შტეინმა პროცესზე განაცხადა: 1918 წლის იანვარში სოციალ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებულმა მთხოვა ლითონზე მომუშავეთა კრება მომეხსნა. მან ეს კრება მართლაც მოახერხა და აკრძალა. ხოლო გენერალი ბისბერგმა განაცხადა: ,,სოც. დემ. პარტიამ მთხოვა ერთ დროს დამეპატიმრებია ვინმე მანდილოსანი - სახელად როზა ლუქსემბურგი. უკანასკნელი მართლაც დავაპატიმრე. შემდეგ მოწმე ზიზღით აგრძელებს: ,, ამიტომ სწორედ დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, როდესაც შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდა ებერტი - რ. ლუქსემბურგის დაპატიმრების გამო.”+

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N40, 25 დეკემბერი, 1924
ავტორი: დელეგატი ქალი

,,ქალთა მოძრაობა“ ყრილობაზე

,,17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის თეატრის დარბაზში ამხ. კ. მიქაძის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა საზეიმო სხდომა მესამე მოწვევის დელეგატ - ქალთა ყრილობის.“

ყრილობას მიესალმენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. თ. ჭუმბურიძემ გააკეთა მოხსენება ,,საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ თუ საგარეო მდგომარეობაზე“.

,,საზეიმოსხდომისსახელითამიერკავკასიისსაოლქოდაცენტრალურიკომიტეტების ქალთა განყოფილებების სახელზე“ გაიგზავნა მისასალმებელი დეპეშები.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N40, 25 დეკემბერი, 1924
ავტორი: ქალთა განყოფილება

,,მადლობა“

,,ქუთაისის ქალთა განყოფილება უღრმეს მადლობას უცხადებს მესამე მოწვევის დელეგატ - ქალთა საზეიმო სხდომის საპატივცემულოდ უფასოდ წარმოდგენის დადგმისთვის მოქ. მ. ნემოს ხელმძღვანელობისათვის და ფოსტა-ტელეგრაფის დრამატიულ დასს.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N40, 25 დეკემბერი, 1924
ავტორი: ვ. ნიჟარაძისა

,,არჩევნები ქალთა ფსიქიატრულ საავადმყოფოში“

15 დეკემბერს დღის სამ საათზე ქალთა ორგანიზაციის დავალებით ფსიქიატრიულ საავადმყოფოს თანამშრომელ ქალთა კრება შედგა. ქალთა ორგანიზაციის სახელით მას დაესწრნენ კ. მიქაძე და კუხიანიძე.

,,მოხსენება გააკეთა ამხანაგმა მიქაძემ. მოხსენების შემდეგ მოხდა დელეგატების არჩევნები. იქნენ არჩეულნი ამავე დაწესებულებიდან კ. კირთაძე, მ. კაციტაძე და კორესპონდენტათ ვ. ნიჟარაძისა.“

ქალები ქალთა ორგანიზაციის დაარსებას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N40, 25 დეკემბერი, 1924
ავტორი: ზ.

,,ასე მოპყრობა შეუძლებელია“

ოჯახში მოსამსახურე ,,გოგო“ ბევრგან მცირე მოსვენებასაც მოკლებულია; ზოგ ოჯახში ამუშავებენ გათენებიდან - შუაღამემდი, ყოველნაირ, საოჯახო საქმეზე, თან ლანძღვა გინებითაც კი - უმასპინძლდებიან“.

მოსამსახურე გოგოთა ნაწილი ობოლია ან ძალიან ღარიბი. მან ყოველგვარი შრომა და დამცირება უნდა აიტანოს, რადგან ქუჩაში არ დარჩეს უადგილოდ.

გოგონები ,,ქალბატონს“ ვერ უბედავს, რომ მათთვისაც საჭიროა მოსვენება. თუ ,,ქალბატონს“ სურს საღამოზე გაისეირნოს ამ დროს ,,გოგომ“ ოჯახსაც და ბავშვებსაც უნდა მიხედოს. მას არც კი ახსოვს, რომ გოგო სალიკ. სკოლაში მაინც გაგზავნოს.

,,ქალბატონებო“ გახსოვდეს - ,,გოგოც“ თქვენისთანა ადამიანია, ნუ ეპყრობით მათ, უდიერათ: - საჭიროა ზომები იქნეს მიღებული, რომ სალიკ. სკოლაში მაინც იგზავნებოდეს ისინი.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N41, 27 დეკემბერი, 1924
ავტორი: ნ.

,,ქალთა შორის მუშაობა უნდა გაძლიერდეს“

ამ დღეებში თფილისში გაიხსნა სოფლის უჯრედების თათბირი, ამ თათბირზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მოხსენებები ადგილებიდან.

,,ეს მოხსენებები უმეტეს შემთხვევაში, ზოგიერთის გამოკლებით, იძლევოდა ჩვენი მუშაობის სურათს სოფლათ. ვინც აკვირდებოდა ამ მოხსენებებს, ის აუცილებლათ შეამჩნევდა ერთს რამეს: ქალთა შორის მუშაობა ან სრულიად არ სწარმოებს, ან და ძლიერ მოისუსტებს იგი“.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ ქალთა შორის მუშაობა, ძალიან სუსტია იმიტომ,რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მთელი ნახევარი ნაწილი - ქალი განზე დგას, არ ჩაგვითრევია მუშაობაში, არ დაგვინტერესებია რევოლუციით, ტყვილია ყველა მუშებისა და გლეხების, ჩვენი იდეური გავლენის დაყენებაზე ლაპარაკი.

,,ქალი ორნაირი მონაა ათასი წლების განმავლობაში, მხოლოდ დღეს თავი–სუფლდება და ეძლევა თავისუფალი მუშაობის საშვალება. მას დღეს ეხსნება გზა მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში“.

პარტიის ვალია გაათკეცოს მუშაობა მუშა და გლეხ ქალებთან. ეს კი მოხდება კულტურულ, განმანათლებლური მუშაობის შედეგად.

აუცილებლობას წარმოადგენს, რომ სოფლად ქალები ავირჩიოთ საბჭოებსა და კოოპერატივებში. უფრო აქტიური მუშა და გლეხი ქალები უნდა ჩავაბათ პოლიტწრეების მუშაობაში და შემდეგ პარტიებშიც მივიღოთ. ამასთანავე საჭიროა ქალთა განყოფილებამაც გააძლიეროს თავისი მუშაობაც.

,,ამ მხრით სოფლათ მას დიდ დახმარებას გაუწევენ სოფლის მასწავლებელი ქალები. თუ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ამ საკითხს სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან, ჩვენ სრულიად სხვა სურათს დავინახავთ, ვიდრე ეს იყო სოფლის უჯრედების თათბირზე თფილისში.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N44, 31 დეკემბერი, 1924
ავტორი: პარტკორი ოლ. ბ. ფაღავა

,,ქალთა მოძრაობა“
,,ქალთა შორის მუშაობა ხონის რაიონში“

რაიონში ქალთა შორის მუშაობას ხელმძღვანელობს რაიკომის მიერ გამოყოფილი უჯამაგირო ორგანიზატორი ქალი, რომელიც მუშაობს რაიკომის მაზრის ქალთა განყოფილების დირექტივების ქვეშ.

,,მუშაობა, საგრძნობლად გამოცოცხლდა: არჩეულია დელეგატი ქალები – სულ 188.მათ შორის ქალაქში 50 დელეგ, დანარჩენი თემებიდან. თემებში დაარსებულია სადელეგატო კრებები: კუხში, გორდში, კონტუათში და პატარა ჯიხაიშში. დელეგატთა შორის 22 ქარხნის მუშაა, 20 ფარდულის, დანარჩენი შემადგენლობა დელეგატებისა გლეხი ქალებია - დიასახლისები და სოფლის მასწავლებელი ქალები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სადელეგატო კრებებს და აგრეთვე ზოგიერთნი ორგანიზატორებათ ითვლებიან. დელეგატთა შორის არიან სხვა დარგის მუშა-მოსამსახურენიც, რო–გორიცაა, კოოპერატივის, რაიაღმასკომის, აფთიაქის, საავადმყოფოს და სხვა.“

სადელეგატო კრებები თემებში ყოველკვირას, ხოლო ქალაქში კი კვირაში ორჯერ ტარდება. ამასთან ერთად მუშაობს თვეში ერთხელ უპარტიო ქალთა კრებებიც.

სადელეგატო კრებებზე მეცადინეობა პროგრამების მიხედვით იმართება; ხოლო საერთო კრებებზე კეთდება მოხსენებები ქალთა საკითხებზე. აბრეშუმის ძაფის საგრეხ ქარხანასთან უპარტიო ქალთა პოლიტწრეა დაარსებული და იქ ყოველ შაბათობით იმართება მეცადინეობა და კეთდება მოხსენებები პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების სტრუქტურაზე. საერთოდ ქალაქში ქალთა შორის მუშაობა სათანადო დონეზე დგას, ხოლო თემებში ძლიერ მოისუსტებს, რადგან უსახსრობის გამო სისტემატიურად ვერ ტარდება შესაფერისი მუშაობა და ადგილზე არ აქვთ სათანადო ლიტერატურა.

,,დედათა და ბავშთა დაცვის საქმეში იგივე უსახსრობის გამო რაიონში არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. მხოლოდ სახალხო სასამართლოებში ქალთა დაცვის საკითხი, წერა- კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია და ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე დამაკმაყოფილებლად სწარმოებს“.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N42 (86), 21თებერვალი, 1925
ავტორი: შ-კო.

,,ქალი და კოოპერაცია“

,,კოოპერაცია, ის ორგანიზაცია არის, რომლის მიზანია მშრომელი ხალხის განთავისუფლება კერძო ვაჭრის ბრჭყალებისაგან, რომელიც ასე უსაზღვროთ ყვლეფს მშრომელებს და რომელიც მხოლოდ მოგებითაა დაინტერესებული.“

ერთი შეხედვით კოოპერაცია შეიძლება გარეგნულად არ განსხვავდებოდეს კერძო დუქნებისაგან, მაგრამ იგი მხოლოდ თავის წევრთა კეთილდღეობისთვისაა მოწოდებული, რათა ხალხს მათთვის ხელსაყრელ პირობებში მიაწოდოს საჭირო საგნები. ამით კოოპერაცია მომხმარებელს ათავისუფლებს კერძო ვაჭრის ექსპლუატაციისაგან.

ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კოოპერაციას და აღნიშნავდა: ,,ჩვენ ისე უნდა გავანათლოთ მასსა, რომ მან საყოველთაო მონაწილეობა მიიღოს კოოპერაციის მუშაობაშიო.“

რა იგულისხმება საყოველთაო მონაწილეობაში. მშრომელი ქალი უშუალოდ დაკავშირებულია საზრდოს შემენისათვის. ქალი ზრუნავს უპირველესად ოჯახის მატერიალური გაუმჯობესებისათვის და ამიტომაც კოოპერაციამ უნდა ეცადოს მშრომელი ქალი დაიცვას მყვლეფელი კერძო ვაჭრისაგან.

ამიტომ ქალებმა უპირველესად უნდა იზრუნოს კოოპერაციის გაუმჯობესებისათვის.

,,მშრომელი ქალი უნდა შეუდგეს ამ საქმეს, მან თავის გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს - ზრუნვა კოოპერაციის წინსვლელობისათვის - და მასში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ ქალებს და ვუსურვებთ ამ დარგში ნაყოფიერ მუშაობას.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N45 (89), 25 თებერვალი, 1925
ავტორი: მასწავლებელი ქალი

,,მშრომელი ქალი საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე“

,,ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება. კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ოთხი წელი დიდი დრო არ არის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო. მან, როგორც ერთ უმთავრეს საკითხს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალთა საკითხს - ქალის განთავისუფლებას კარჩაკეტილობისაგან და მის ჩაბმას საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

საბჭოთა ხელისუფლება ასრულებს დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძს, რომელიც ამბობდა - თუ ჩვენ ვერ შევაგნებიებთ ქალს, რისთვის ვიბრძვით ჩვენ, ისე ვერ მივაღწევთ მიზანსო.“

მართლაც, თუ კაცობრიობის ნაწილმა ქალმა ვერ შეიგნო მუშათა კლასის ბრძოლის მიზნები და არ ამოუდგა მამაკაცებს გვერდით, ისე წარმატება მიუღწეველი გახდება.

,,ავიღოთ თუნდა უკანასკნელი საბჭოთა არჩევნები საქართველოში და კერძოთ ჩვენს ქუთაისის მაზრაში. გაზეთ კომუნისტის N27-ს მოწინავეში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: ,,ცალკე აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ გლეხი ქალები. ახალ საბჭოებში ისინი შეადგენენ დაახლოებით 20 პროცენტს. ეს საკმაო დიდი გამარჯვებაა“.

თუ მაგალითად ავიღებთ ქუთაისის მაზრას, ნათლად დავინახავთ რომ ახალ საბჭოების მუშაობაში ქალების საკმაო რიცხვი იღებს მონაწილეობას.

ქალს ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორიცაა: საბჭოები, კოოპერაცია, გლეხკომები და სხვა ორგანიზაციებში ყველგან მამაკაცების გვერდით მუშაობენ.

,,ის უკვე არ არის ისე დაწვრილმანებული, რომ მარტო ოჯახზე და თავის პირად ბედნიერებაზე იფიქროს, არამედ დაინტერესებულია საზოგადო საქმით და ფიქრობს რა გააკეთოს და რა სარგებლობა მოუტანოს ხალხს.“

ასე რომ, ქართველი მშრომელი ქალის შეგნება და მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში საგრძნობლად იზრდება და ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N46 (90), 27 თებერვალი, 1925
ავტორი: ნოეს-და.

,,ქუთაისის სადგურის მოსამსახურე ქალთა წრის კრება“

,,17 თებერვალს შესდგა ქუთაისის რკინისგზის მუშა-მოსამსახურე ქალთა წრის კრება. თავმჯდომარეობდა ანეტა ბურჯანაძე, მდივნობდა აკულინა წულაიასი, მოხსენებით გამოვიდა რ. გზ. კბილის ექიმი ქალი სვანაძე, კბილის მოვლის შესახებ.

ექიმმა განმარტა კბილის გაფუჭების გამომწვევი მიზეზები და მისი თავიდან აცი–ლების ღონისძიებები.

ამხანაგმა მარო კოსტავამ გაარჩია წიგნი ,,დედაკაცი პირველყოფილ კომუნალურ დროს“.

ამხანაგმა მდაბიო და გასაგები ენით მსმენელებთან ერთად გაარჩია წაკითხული“.

წიგნის გარჩევაში მონაწილეობა მიიღეს დამსწრე ქალებმა. დასასრულს სადგურის მოლარე ქალმა სალომე ფირცხალავამ წაიკითხა მოხსენება 8 მარტის დღესასწაულის ჩატარების შესახებ. აქვე აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ამ დღისათვის დროშის შეძენა და სათანადო მომზადება.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N54 (98), 8 მარტი, 1925
ავტორი: მშრომელი დედა

,,ქალი და ოჯახი“

როგორც კი ძველი ოჯახის კედლები გაირღვა და ქალი ოჯახიდან სამუშაოთ გარეთ გამოვიდა, მას უკან ვერავითარი ძალა ვერ დააბრუნებს. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ქალები, რომლებიც მარტო ოჯახს ემსახურებიან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არიან ჩაბმული.

ამასთან ქალს მძიმე ტვირთიც დააწვა თავს ,,გარეთ საზოგადოებრივი სამსახური და სახლში ოჯახური სამუშაო, და სწორედ ასეთი მდგომარეობიდან ქალის გამოსაყვანად ლენინმა უდიდესი საკითხი წამოაყენა: ,,განტვირთეთ ქალი ოჯახური სამუშაოსაგანო“. ეს სიტყვები საშინელი მეხი იყო იმათთვის, რომლებიც მუდამ გაიძახოდენ ,,ქალის საქმე ოჯახიაო“.

კოოპერატიული სასადილოები, რომლებიც ლენინმა ქალის საოჯახო საქმეებიდან განტვირთვას დაუკავშირა არც ილუზია, არც მოგონილი ამბავი არ არის, ამერიკასა და ინგლისში ბევრი ხელ-მოკლე ოჯახები კოოპერატიულ სასადილოებს აწყობენ და მას ბევრად აჯობინებენ ოჯახურ ვიწრო მეურნეობას, აგრეთვე სადილის კეთებაც ქალის ბუნებრივი მოვალეობა არ ყოფილა, ბებელი თავის წიგნში ,,ქალი და სოციალიზმი“ ამბობდა, - მარტო ის ფაკტი, რომ მდიდარი ოჯახის ქალები სადილს თვითონ არ აკეთებენ, მძიმე მაჩვენებელია იმის, რომ ეს ქალის ბუნებრივი მოვალეობა არ არის.“

საერთოდ მდიდარ ოჯახებში სადილების მკეთებლებათ მამაკაცები ყავთ, რაც ამტკიცებს, რომ ეს ხელობა მამაკაცებს უფრო შეფერის.

ამ ფაქტზე გვინდა ყურადღება გაამახვილონ იმ მამაკაცებმა, რომელსაც ვერ წარმოუდგენია თუ ქალი დაკაპიწებული არაა და ისე არ ამზადებს სადილს.

აქვე ჩნდება მეორე კითხვაზე პასუხიც. ამბობენ დედა ბავშვის ბუნებრივი აღმზრდელია. მართალია, მაგრამ რა ქნან იმ ბავშვებმა, რომლებთაც დედა უდროოდ

უკვდებათ და სხვის ანაბარად რჩებიან, ან კიდევ რა ქნან იმ შრომელმა ქალებმა, რომლებიც დღეში რამდენიმე საათს ოჯახს მოშორებული არიან სამუშაოს გამო და თავის შვილების აღზრდას სხვა ქალს ანდობენ?

,,სწორედ, ამიტომ მოუწოდებდა ლენინი ყველას: - გახსენით საბავშო კერები, სახლები, ბაღები, დაეხმარეთ მშრომელ ქალებს და საშუალება მიეცით მათ თავისუფლათ განავითარონ თავიანთი ძალები და მისწრაფებანიო.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N54 (98), 8 მარტი, 1925
ავტორი: ქართველი ებრაელის ქალი

,,8 მარტი“

,,8 მარტი ქალთა დღესასწაულის ეს დღე ყველამ იცის, მხოლოდ, ეს დღემდე არ იცოდა, ქუთაისის ქართველ ებრაელ ქალთა უმეტესმა ნაწილმა, ისინი ისეთ პირობებში ცხოვრობდენ (უმეტესობა), ვერც გაიგებდნენ 8 მარტის მნიშვნელობას. შეგნებულმა ნაწილმა (ებრაელ ქალებისა) კი იცოდა უთუოდ, 8 მარტის ისტორია, მაგრამ ისიც გაურბოდა საერთო აღმშენებლობაში ჩაბმას.“

დღეს უკვე სხვა ვითარებაა. ქუთაისის ქართველ ებრაელ ქალს უკვე მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ქუთაისის სამაზრო ქალთა განყოფილებასთან.

,,უკვე ჩამოყალიბებულია ებრაელ ქალთა სექცია. ყოველ კვირა დღით საღამოს 6 საათზე, ამ სექციის გარშემო იკრიბება, რამდენიმე ათეული ებრაელის ქალი.“

ებრაელ ქალთა რიცხვი სექციაში დღითი დღე იზრდება. მიმდინარე წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო ზეიმზე ქუთაისელმა ებრაელმა ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა, რაც უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევათ, ქალთა შორის მუშაობისა. ამ წარმატებას ვულოცავ ებრაელ ქალებს და მათი სახელით ვესალმები ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N54 (98), 8 მარტი, 1925
ავტორი: გლეხის ქალი

,,გლეხის ქალი და საბჭოთა ხელისუფლება“

,,ძველი უკუღმართი წეს-წყობილების დროს, თუ მუშა ქალი გმინავდა, მძიმე უღლის ქვეშ, მით უფრო უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა გლეხის ქალი, რომელიც მიჯაჭვული ოჯახის კერაზე, უხმოდ ასრულებდა, როგორც ყურმოჭრილი მონა, მამის, ძმის და ქმრის ბრძანებებს; ნუგეშს პოულობდა მხოლოდ რელიგიურ ცრუ შემეცნებაში, რომელიც მოუწოდებდა მას სათნოებისაკენ და უკარნახებდა ყოფილიყო ქმრის მონა-მორჩილი. გლეხი ქალის მდგომარეობა მეტად გამწვავდა, მსოფლიო იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტის დროს, რადგან მას ხელიდან აცლიდენ: შვილებს, ძმებს და ქმრებს, მიერეკებოდნენ მათ სამეურნეო ფრონტიდან საომარ ფრონტისაკენ, რის გამოც მთელი ოჯახის სიმძიმე და პასუხისმგებლობა თავს აწვებოდა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხის ქალს“.

ასეთ ვაი ვაგლახით გაატარა გლეხის ქალმა მთელი იმპერიალისტური ომის მსვლელობა. რამაც გაანადგურა გლეხკაცობის მეურნეობა და ომიდან ზოგი დამახინჯებული, დაინვალიდებული და ზოგიც სამუდამოდ შინ მოუსვლელი დარჩა და ამან გააპარტახა მათი ოჯახის მდგომარეობა.

ამ ომმა და მისმა გამომწვევმა მიზეზებმა დააჩქარეს მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა, დაამხეს ისინი და მთელი ძალაუფლება აიღეს მუშებმა და გლეხებმა.

,,მშრომელთა ბედი თვით მშრომელების ხელშია და იგი ისე წყვეტდა ამ საქმეს, როგორც მისთვის იყო სასარგებლო. მოხდა მუშათა და გლეხთა რევოლუცია და მან მამაკაცებთან ერთად თავისუფლება მოუტანა გლეხის ქალებსაც.

საბჭოთა წყობილებამ გაუმჯობესა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა და მათ შორის ქალის ეკონომიური მდგომარეობაც.

გლეხის ქალო, გაამტკიცე მუშათა და გლეხთა ხელისუფლება! იგი შე–ნი ხელისუფლებაა! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გლეხის ქალის გამანთავისუფლებელს!“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N54 (98), 8 მარტი, 1925
ავტორი: მუშა ა. ტოფაძე

,,მშრომელ ქალებს“

,,ვაშა მშრომელო ქალებო!
რომ მისდევთ წმინდა მცნებასა.
საბჭოთა ხელისუფლება
თქვენ არ მოგაკლებთ შველასა“....

მრავალი ლექსია მიძღვნილი ქალთა თავისუფლებაზე, რომლებიც მამაკაცებთან თანადგომითა და შრომით ახალ საზოგადოებას აშენებენ.

მამაკაცები 8 მარტის დღესასწაულსაც ულოცავენ ქალებს და განსაკუთრებით რევოლუციონერ ქალებს. გუტონ მარჯნეულის ლექსი ,,8 მარტს“ აღნიშნავს:

,,დიდების დღე არის ქალთათვის 8 მარტი“.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N54 (98), 8 მარტი, 1925
ავტორი: ელენე ლ.

,,ქალი და ოქტომბრის რევოლუცია“

ოქტომბრის რევოლუციამ ყველა ქალი იმ უფლებებით აღჭურვა, რომლებიც წინათ მამაკაცებს ეკუთვნოდათ მხოლოდ. ვინ მოთვლის რამდენი დამცირება ხვდა ქალს წილად ამ უფლებებისათვის ბრძოლაში.

,,ქალი ადამიანიაო? ეკითხებოდენ საშუალო საუკუნოებში ბერები ერთმანეთს. ბურჟუაზიამაც ყოველგვარი მსხვერპლი მოითხოვა ქალისაგან იმ უბრალო ჭეშმარიტების დასატკიცებლად, რომ ქალიც ისეთივე ადამიანი იყო, როგორც მამაკაცი.

ქალი იბრძოდა, პარიზის კომუნის დროს და სისხლს ღვრიდა ისევე, როგორც მამაკაცი. ქალის ხელის შემწეობით ბრძოლაში პირადი მონაწილეობითაც, ამერიკამ თავი გაინთავისუფლა. ქალი შეიჭრა მეცნიერებაში. ქალი გახდა მსახური ხელოვნების, გახდა მუშა ფაბრიკის, ქარხნის, ერთი სიტყვით ქალი შეიჭრა ყველგან, სადაც მამაკაცი საქმიანობდა. მაგრამ ბურჟუაზია მას მაინც ადამიანათ არ სთვლიდა და საშუალო საუკუნის ბერებივით მის ადამიანობაზე კამათობდა.“

დაჰკრა ოქტომბრის რევოლუციის ზარმა და ქალაქებიდან და სოფლებიდან დაიძრენ მშრომელი ქალები, რომლებმაც ერთხმად აღიარეს რომ ჩვენ ქმრებთან და შვილებთან ერთად ვიშრომებთ, რათა დავამყაროთ მშვიდობა და ადამიანთა შორის თანასწორობა.

მართალია დღეს ქალს არ აქვს სრული თავისუფლება ბოლომდე მიღწეული და იგი ისევ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ დადგება დრო, როცა ქალი უარყოფს ძველ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N55 (99), 10 მარტი, 1925

,,ახალი ამბავი“
(,,ქალთა დღე“)

საზოგადოებრივი სამზარეულოს გახსნა 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, ელექტრიკების მუშაკთა სახლთან გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი სამზარეულო.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N56 (100), 11 მარტი, 1925

,,რადიო - დეპეშები“
(,,როგორ ჩატარდა ქალთა დღე“)

მოსკოვი. 10 მარტი.,,სხვა და სხვა ქალაქებიდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ყველგან ბრწყინვალეთ ჩაუტარებიათ ქალთა დღე 8 მარტი. მრავალ ადგილას გაუხსნიათ უპატრონო ბავშთა თავშესაფრები, დასასვენებელი სახლები და სხ.

,,ქალთა დღე ჩინეთში“

პეკინი. 10 მარტი. ,,8 მარტს პეკინში შედგა მრავალრიცხოვანი მიტინგი საერთაშორისო ქალთა დღის აღსანიშნავათ. დაესწრო ათასზე მეტი ქალი. მიტინგზე დაადგინეს მისალმების დეპეში გაეგზავნოთ რუსეთის ქალებს და საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატს. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭოს ეროვნული კრების არჩევნებში.

,,ქალთა დღე მონგოლეთში“

ურგა. 10 მარტი. ,,მონგოლეთის სატახტო ქალაქში დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღე. კლუბი გავსილი იყო მონგოლი ქალებით.

,,ქალთა დღე პარიზში“

პარიზი. 10 მარტი. ,,საფრანგეთის კომპარტიამ 8 მარტს პარიზში მოაწყო მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი მუშა დაესწრო. მიტინგზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მუშა ქალებს მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირზე მოუწოდებდა.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N58 (102), 14 მარტი, 1925
ავტორი: მშრომელი დედა

,,ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის ზეიმი ქუთაისში“

,,ათ საათზე სამპარტკომის დიდი დარბაზი გაიჭედა ქალებით. აქ იყვნენ: ყველა დარგის მუშა-მოსამსახურე, პარტიული, წითელ არმიელი და დიასახლისი ქალები. ათ საათზე დარაზმულ ქალთა მასა დროშებით, პლაკატებითა და მუსიკით გაემართა მთავარი ქუჩით და შეჩერდა სახელმწიფო თეატრთან, სადაც მიმდინარეობდა სამაზრო ყრილობის სხდომები. სამაზრო ყრილობას ქალთა სახელით მიესალმა მართა არაბიძის ასული.“

ამხანაგმა არტემ ბარამიძემ სამაზრო ყრილობის სახელით თავის სამადლობელ სიტყვაში ქალებს მთელ მსოფლიოში გამარჯვება უსურვა. შემდეგ ქალები გაემართნენ მესამე ინტერნაციონალისაკენ, სადაც საზეიმო სხდომა გაიმართა.

სხდომა გახსნა ქუთაისის სამაზრო ქალთა განყოფილების გამგემ დამსახურებულმა რევოლუციონერმა კატო მიქელაძემ. მუსიკამ ინტერნაციონალი შეასრულა.

,,მისასალმებელ სიტყვაში კატო მიქელაძემ მოუწოდა ქალებს ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ლენინის ხსოვნისათვის.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იყო: კლარა ცეტკინა, ზინოვიევი, ტროცკი, მახარაძე, კალინინი და სხვა.

საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს კატო მიქელაძე, გიორგაძის ასული, მართა შარაბიძე, ფარცხავა სონია, ელენე კუჭავასი. მისასალმებელი სიტყვა, თბილისის სამაზრო ცეკას ქალთა განყოფილების სახელით გაცხადდა.

სამაზრო პარტკომის სახელით მიესალმა იოსებ ხარაბაძე. ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მიესალმა ოსიკო დევდარიანი; პიონერთა სახელით სხდომას მიესალმენ ოთხი პიონერი: მეშველიძე ნინო, იოსელიანი თამარა, ხელაია ნინო და ერთიც ვაჟი.

სამაზრო ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით მიესალმა თამარა ბახტაძე, წითელი ჯარის ნაწილიდან გაის ინიცინა, ქართველი ჯარის სახელით გეგია, პროფ ბიუროს სახელით გუგუ შენგელია, ხონის რაიონის მშრომელ ქალთა სახელით ფარცხალაძე, ებრაელ ქალთა სახელით როზა თავდიდიშვილი, ქუთაისის საბავშო სახლის სახელით ფუცუ ფულარია და რუსული ქალთა ორგანიზაციის სახელით ბოგადაევას ქალი.“

8 მარტის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა გიორგაძის ასულმა, რომელმაც განმარტა შემდეგი: ,,8 მარტის აღსანიშნავად პარტიაში მიღებულია 150 ქალი, დელეგატ ქალთა რიცხვი, თუ 1921 წელში იყო 500, ახლა არის 5000, დელეგატ ქალთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 50 000 ქალმა. თემებში 35 ადგილას გლეხ ქალთა კუთხეებია მოწყობილი“.

ცეკაში დაისვა საკითხი 8 მარტის ფონდის შესაქმნელად, რომლითაც დახმარება გაეწევათ უმუშევარ ქალებს და ყოველ რაიონში გაიხსნება საბავშვო სახლები.

აქვე ოთხ წითელ არმიელ რუსის ქალს რევოლუციის წინაშე დამსახურებისათვის გადაეცათ ,,ნაკაზი“. კრებამ მისასალმებელი სიტყვა გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცეკას, მის ქალთა განყოფილებას, საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატს და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტს. საღამოს ზეიმი გაიმართა.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N69 (113), 28 მარტი, 1925
ავტორი: გუჩა

,,ქალიშვილთა შორის, მუშაობა“ (გოდოგნის თემი)

,,ჩვენი თემის ა. ლ. კ. კ-ის უჯრედი აწყობს დრამ. წრეს, სადაც მეცადინეობენ როგორც ჩვენი კავშირის წევრები, აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდა ქალიშვილებიც, მასწავლებლები და მოწაფენი. მაგრამ ჩვენი მიზანია ჩავაბათ ასეთ მუშაობაში მეოჯახე, განუვითარებელი ქალიშვილები, რომ იმათაც გაიგონ ავი და კარგი. ამისათვის ჩვენი უჯრედი აწარმოებს შემდეგ მუშაობას: ვიწვევთ თემის ადგილკომის საშუალებით უპარტიო ახალგაზრდების კრებას; ესწრებიან როგორც ვაჟები, ისე ქალიშვილები, არის მოხსენება საინტერესო თემაზე. უხსნით ჩვენი აკ.კ.ს დანიშნულებას.“

აქვე ტარდებოდა აგიტაცია, რათა შემოეკრიბათ ბევრი უპარტიო ახალგაზრდა.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N70 (114), 29 მარტი, 1925
ავტორი: ნარ-ბანი.

,,ხონის უპარტიო ქალთა პირველი სარაიონო კონფერენცია“

,,ხონის რაიონში ქალთა შორის მუშაობა თანდათან მტკიცდება. თუ 1921 წელში მხოლოდ სამიოდე ქალი შემთხვევით ესწრებოდა კრებებს, დღეს საქარ. გასაბჭ. წლის თავზე ჩვენ ვხედავთ 212 ქალს ჩაბმულს დელეგატურ კრებაში. ხონში პირველად ეწყობა რაიონული კონფერენცია, საერთაშორისო ქალთა დღის 8 მარტის აღსანიშნავად.“

ამ ღონისძიების ჩასატარებლად 10 მარტიდან დაიწყო მზადება, ეწყობოდა სხდომები თემებში, სადაც რაიონული კონფერენციის დელეგატ ქალებს ირჩევდნენ. თემებიდან არჩეულ იქნა 25 ქალი, ქალაქიდან 30.

15 მარტს დღის 12 საათზე გაიხსნა ხონის უპარტიო ქალთა პირველი კონფერენცია, სადაც ხონის რაიონის ქალთა ორგანიზაციის სახელით გამოვიდა სონია ფარცხალაძე.

,,ქუთაისის სამაზრო ქალთა განყოფილების სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. კატო მიქაძე. პარტიულ კომიტეტისა და აღმასკომის სახელით ამხ. გ. ბახტაძე.

ახალ. კომკავშირელთა სახელით დ. ტაბიძე.

სტუმრებს ამ დღეს მიესალმნენ პიონერების სახელით ნინა გუჯეჯიანი და კ. გაბეხაძე.

აქვე წითელი არმიელების სახელით სიტყვით გამოვიდა ალ. ბახტაძე, პროფ. კავშირის სახელით ნადია გალდავაძისა, ღანირ-ქუტირის ქალთა სახელით ზინა რუხაძე, გორდის თემის ქალთა ორგანიზაციიდან ნინა ჩიხლაძე, ხონის დელეგატკა დიასახლისების სახელით მარო ყუფარაძისა.

4 საათზე კონფერენციის დამთავრების შემდეგ ,,ყველა დელეგატი ქალი დროშით, რომელსაც ამშვენებდა მსოფლიო ქალთა მოძრაობის ბელადის კლარა ცეტკინის სურათი, გაეშურა ამავე ტეხნიკუმის ბაღში, სადაც გადაიღეს სურათი პ. მ. მუშაკებთან, პიონერების და საბავშვო ბაღის მოწაფეთა წარმომადგენლებთან.“

ბოლოს დელეგატი ქალები წითელ სასადილოში გაეშურენ. საღამოს გაიმართა უფასო წარმოდგენა დელეგატ და გლეხ ქალებისათვის.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N70 (114), 29 მარტი, 1925
ავტორი: ქალთა მეთვალყურე

,,მუშა ქალსაც მივხედოთ“

,,უყურადღებობა ეტყობა წითელ არმიაში მომუშავე მრეცხავ ქალებს, რომლებიც სანიტარული კანონების სრული დაცვით, დილიდან საღამომდე მუშაობენ, რაც ძალიან აქვეითებს მათ ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობას. შტატის შემცირებამდის მრეცხავები შედარებით კარგ პირობებში იმყოფებოდენ (ეძლეოდათ ჯამაგირს გარდა ტანსაცმელები და ,,ულუფა“).

ჰყავდათ დამხმარე მამაკაცები. ეხლა ისინი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, რადგან შტატი 25% -მდი დაიყვანეს და მამაკაცებიც მოხსნეს. ცხადია ეს გარემოება აუტანელს ხდის შრომას, რადგან საშრომო რაოდენობა თითქმის იგივეა, რაც შტატის შემცირებამდი იყო.“

მრეცხავმა ქალებმა აგრეთვე არ იციან ვის განკარგულებაში იმყოფებიან და ამიტომ მოითხოვენ მათი მძიმე მდგომარეობის შესწავლას.

ასეთივე აუტანელ მდგომარეობაში არიან შტატ გარეთ მყოფი ქალებიც, რომლებმაც ქუთ. ქალთა განყოფილებას მიმართეს დახმარებისთვის.

,,სხვა სახსარი არა მაქვს - აცხადებდა რუსი ქალი - მეძაობას მირჩევნია თავი მოვიკლაო“.

ეს ფაქტი სამწუხაროა, მაგრამ უფრო სამწუხაროა მით, რომ ეს აბეჩავებს ქალის შეგნებას და უდუნებს ხალისს საერთო აღმშენებლობაში ჩაბმისას.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N72 (116), 1 აპრილი, 1925
ავტორი: გოგია

,,მრეცხავ ქალების ეკონომიური პირობები გაუმჯობესებულია“

,,1924 წლამდი, ჯარის ნაწილებში მომუშავე მრეცხავი ქალები ღებულობდენ 37 კაპიკს თვეში ჯამაგირს და წითელ არმიელის ულუფას, რის გამო მათი ნივთიერი მდგომარეობა უნუგეშო იყო. მაგრამ, ნათქვამია ,,მდგომარეობა ქმნის შეგნებასო“. ეს მრეცხავი ქალები, 17 შეიკრიბენ და კოლექტიურათ ჩაეწერენ წევრებათ კომუნალური მეურნეობის კავშირში, რომელმაც გამოარკვია მათი ასეთი უნუგეშო მდგომარეობა, დასდო სამხედრო ნაწილებთან სატარიფო შეთანხმება პირველ დეკემბერს, რომლის ძალითაც ღებულობდენ 17 მარტამდი 17 მან. 40 კ. თვეში და სპეც. ტანისამოსს. ახლა კი, ე.ი. 1 მარტიდან, მრეცხავები და მათი დამხმარე მუშები ღებულობენ, ახალი სატარიფო შეთანხმების თანახმად, 25. მან. 30 კაპ. თვეში და წითელ არმიელის ტანსაცმელს და ფეხსაცმელს უფასოთ.

მრეცხავების ადგილკომის დაარსებიდან, რომელიც 1924 წლის ნოემბერში შეიქმნა, ქალთა შრომის პირობები დაცულია და ამასთან 8 საათს მუშაობენ დღეში.

ჯამაგირს ქალები თავის დროზე ღებულობენ. უნდა ითქვას, რომ მრეცხავი ქალები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ხშირად ესწრებიან კრებებს, სადაც ეცნობიან პროფკავშირულ მოძრაობას, ვითარდებიან კულტურულად და პოლიტიკურადაც.

თუ მათ ხელში ადრე გაზეთს, ჟურნალს ან წიგნს ვერ დაინახავდი. ახლა ისინი

თავიანთ ხელით მოწყობილ სამკითხველოში ეცნობიან რუსულ და ქართულ ლიტერატურას. ამასთან ერთად - წერა-კითხვის უცოდინარობაც მოსპობილია მესამე რუსულ პოლკში არსებული შკოლის საშუალებით.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N73 (117), 2 აპრილი, 1925
ავტორი: დ. მარტელი

,,ქალები და მათ შორის მუშაობა“

დღეს კომკავშირის უჯრედებში არის საკმაო რიცხვი ქალებისა, მაგრამ საჭიროა ,,ამ უჯრედებმა დაისახოს მიზნად მათ შორის კულტურული მუშაობის წარმოება. გამოყოს უჯრედიდან ხელმძღვანელებათ ამხანაგები, რომელთაც დაავალა სათანადო მუშაობის წარმოება.“

აშკარაა, რომ აქაური ქალები სრულ მომზადებას ვერ დაეწაფებიან, მაგრამ აუცილებელია მათ გაუღვიძონ სურვილი თვით განვითარებისა.

,,ამ ხანად ამ საქმეში პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი მიღწევა იმ მხრით, რომ თუ ქალიშვილები დღემდე სრულიად კრებაზე ხმას არ იღებდენ, დღეს უკვე აკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე.“ ეს მომავლისათვის დიდი პერსპექტივაა.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N75 (119), 4 აპრილი, 1925

,,აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა თათბირი“

მოსკოვი. 3 აპრ. ,,2 აპრილს ზეიმით გაიხსნა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა თათბირი, რომელიც მოიწვია რ. კომუნისტური პარტიის ცეკამ მოსკოვის მუშა ქალებთან შეთანხმებით. კონფერენციაში 50 დელეგატი ქალია. ესენი წარმოადგენენ აღმოსავლეთის საბჭოთა კავშირში შემავალ 20 ეროვნებას. სხდომა გახსნა ნიკოლაევამ.

მან თავისი პირველი სიტყვა უძღვნა ლენინსა და ნარიმანოვს.“

მისალმებით გამოვიდენ აღმოსავლეთის სხვა და სხვა ეროვნების ქალთა წარმომადგენლები. დასასრულ თათბირმა პარტიის ამოცანების ეროვნულ პოლიტიკაზე მო–ისმინა მოხსენება, სადაც ყურადღება გაამახვილეს აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების ირგვლივ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N79 (123), 9 აპრილი, 1925
ავტორი: ზალი

,,ებრაელ ქალს“

,,ქუთაისში დაარსდა ,,უპატრონო ბავშთა მეგობრის საზოგადოება“. საზოგადოების მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს უპატრონოთ დარჩენილ ქუჩის ბავშებს. ყველა მოქალაქე ვალდებულია დახმარება გაუწიოს ამ საზოგადოებას და ამით ხელი შეუწყოს ნორჩი ახალი თაობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ნორჩი ბავშისთვის ადამიანური პირობების შექნას. ყველაზე უფრო კი ამ საქმეზე ქალი, დედა უნდა ზრუნავდეს“.

ყველა დედა ატირდება, როდესაც ქუჩაში შიშველ-ტიტველ და მშიერ–მწყურვალე ბავშვებს შეხვდება. ამ ქალთა რიცხვს არ შეიძლება გამოაკლდეს ებრაელი ქალიც და ისინიც უნდა გახდენ ისეთი სიმპატიური საზოგადოების წევრნი, როგორიც ,,ბავშვთა მეგობარის საზოგადოებაა“.

თუ ვინმეს აწუხებს ქუჩის ბავშვთა მდგომარეობა, ეს განსაკუთრებით ქუთაისის ქართველ ებრაელობის ღატაკ ადამიანებზე ითქმის.

უპატრონო ბავშვთა რიცხვი ებრაელებშიაც მრავალია, მაშასადამე მზრუნველობაც მათთვის დაუყოვნებლივ საჭირო და აუცილებელია.

,,ებრაელო ქალებო, ხელი შეუწყვეთ ბავშების მეგობრის საზოგადოების გაძლიერებას. ჩაეწერეთ ამ საზოგადოებაში.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N81 (125), 11 აპრილი, 1925

,,ახალი ამბავი“

,,ქალთა სამკერვალო არტელი რომელიც დროებით, შეკეთების გამო, დახურული იყო, კვლავ გაიხსნა და მიიღება ყოველგვარი საკერავი, როგორც ქალების, ისე მამაკაცებისა და ბავშების. ფასები შედარებით ძლიერ იაფია.“

ქალთა სამკერვალოს მისამართია როზა ლუქსენბურგის ქუჩა, ბულვარის პირდაპირ, ჭეიშვილის ყოფილი სამკერვალო.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N91 (135), 24 აპრილი, 1925
ავტორი: მ. ჩარ-ვი.

,,ქალები იფხიზლებენ“
(ტყიბული)

,,ტყიბულის რაიონში ერთ-ერთ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მშრომელი ქალების სურვილით, ნებაყოფლობით, შეგნებით და რაი-პარტკომის ინიციატივით, ჩამოყალიბებული იქნა უპარტიო ქალთა წრე“.

ტყიბულში ასეთი წრე პირველად დაარსდა, რადგან ქალებმა შეიგნეს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მათ დიდი უფლებები მიანიჭა.

წრეს ხელმძღვანელობს ადგილობრივი სასწავლებლის მასწავლებელი.

,,წრეში ირიცხება ჯერ-ჯერობით 20 ქალი და მომავალში უფრო გაიზრდება მათი რიცხვი“. მეცადინეობა სწარმოებს ყოველ კვირაში ერთხელ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N91 (135), 24 აპრილი, 1925
ავტორი: შალ ჩ

,,ახალგაზრდა ქალები ქ. ხონში“

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ქალების მუშაობა ხონში სათანადო დონეზე ვერაა დაყენებული.

ახალგაზრდა ქალები ფერუმარილის ცხებას, კაბების ,,მოდა“-ზე შეკერვას და ქუჩებში უსაქმოდ ხეტიალს მეტ დროსა და ენერგიას ანდომებენ. ვინემ საზოგადო საქმეს რაც დაუშვებელია, მით უმეტეს დღევანდელ მომენტში. როცა ქალი და კაცი სარგებლობს ერთი და იმავე უფლებით“. ისინი ჯიბით სარკეს ატარებენ და ასეთი მეშჩანური ჩვეულება წესიერი ქალის ზნეობას ეწინააღმდეგება.

კომკავშირლები სამაგალითო უნდა იყვნენ სხვებისათვის. დროა ისინი საღათას ძილისგან გამოერკვნენ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N96 (140), 30 აპრილი, 1925
ავტორი:დ. კომახიძე

,,გულწრფელი სალამი ინგლისის მშრომელ ქალების დელეგაციას“

,,რაც დრო გადის საბჭოთა კავშირი თანდათან პოულობს სიმპატიას დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის თვალში. ის კონტრევოლუციონური რკინის ალყა, რომლითაც შემორტყმული იყო ჩვენი მუშათა რესპუბლიკა უკვე აღარ არსებობს. დღეს აღარ აქვს გასავალი იმ ჭორებს, რომლითაც თითქმის 8 წლის განმავლობაში დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია, მუშათა კლასის გამყიდველ მეორე ინტერნაციონალის დახმარებით, პირზე ქაფმოდებული ჩასჩიჩინებდა ევროპის პროლეტარიატს ვითომდა საბჭოთა კავშირი, ძალადობაზე დამყარებული ხელისუფლებაა.“

ამან აღუძრა სურვილი დასავლეთ ევროპის მუშათა კლას გაეგო ნამდვილი ვითარება და ამიტომაც ჩამოდიან ჩვენს სანახავად.

ამას წინათ საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მეექვსე ყრილობაზე ჩვენ გვეწვია ინგლისის ტრედი უნიონის დელეგაცია ამხ. პერსელის თავმჯდომარეობით, რო–მელმაც შეისწავლა ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა, რაც გააცნო ინგლისის მშრომელებს. ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი ინგლის–საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

განვლო მოკლე ხანმა და საბჭოთა კავშირს ესტუმრა შვეციის პროფკავშირების დელეგაცია ამავე მიზნით.

,,ამჟამად ინგლისის მშრომელი ქალები საბჭოთა კავშირს მეორედ ეწვია. უკვე მათ აღარა სჯერად მეორე ინტერნაციონალის ლაქიების ჭორების. ისინი მისი თვალით ნახულობენ სინამდვილეს. ჩვენი სურვილია, რომ ყველა მათგანი გაეცნოს ჩვენს ნამდვილ ყოფა-ცხოვრებას და დაუმახინჯებლად გადასცეს მათ გამომგზავნელებს ყველაფერი, რითაც დიდად ხელს შეუწყობენ მსოფლიო მუშათა კლასის მთლიანობის საქმეს.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N101 (145), 7 მაისი, 1925

,,ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია ლენინგრადში“
მათ საუცხოო შთაბეჭდილება მიიღეს

ლენინგრადი. 6 მაისი. ,,პრესის წარმომადგენელს ესაუბრა მუშა ქალთა დელეგაციის თავმჯდომარე მერი კვეინსი, თუ რა შთაბეჭდილებით დაბრუნდა იგი მოსკოვიდან ლენინგრადში. კვეინმა განაცხადა, რომ მან მიიღო საუცხოო შთაბეჭდილება. იგი თითქმის უნებურად ადარებდა საბჭოთა კავშირის ქალთა ცხოვრებას ინგლისისას; იგი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ინგლისში არ არის ისეთი მშვენიერი დაწესებულება,

როგორც ბავშთა და დედათა თავშესაფარი (ბაგა), საბავშო სახლები და მუშათა კლუბები, მუშებისა და მუშა ქალთა კუთხეებია და სხვა ასეთები.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N107 (151), 14 მაისი, 1925

,,დელეგატ ქალების თათბირი“

მოსკოვი. 13 მაისი. ,,მოეწყო დელეგატ ქალების თათბირი. ასი ქალიდან 10-ის გარდა ყველა უპარტიო არის“.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N108 (152), 15 მაისი, 1925
ავტორი: ზ.

,,ებრაელ ქალთა საყურადღებოდ“

,,ძველი რეჟიმის დაღი თუ ვისმეს შერჩენია, განსაკუთრებით ქართველ ებრაელის ქალს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ფაქტიურად უფლებებით გაათანასწორა ქალი მამაკაცთან. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი აღარ არის დევნილი, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებში დიდის ყურადღებით ექცევიან ეროვნულ უმცირესობას, განსაკუთრებით კი ქალს, ქართველი ებრაელი ქალი, მაინც ვერ იყენებს თავის სასარგებლოთ ამ თავისუფლებას, რომლებსაც არა ერთი ებრაელი ემსხვერპლა და ვერ ეღირსა დამტკბარიყო თავისუფლებით.

ქართველ ებრაელი ქალის უმეტესობა, მაინც განაგრძობს ჯგუფურ ცხოვრებას, შებოჭილია ფანატიზმით და ვერ გადაუხვევია ძველ დახავსებულ ტრადი–ციებისათვის.“

ქალის განთავისუფლება, თვით ქალის საქმე გვასწავლეს. ეს სრული ჭეშმარიტება ყველა ეროვნების ქალმა შეიგნო. ებრაელი ქალისათვისაც მნიშვნელოვანია გაიგოს და ისარგებლოს ყველა იმ უფლებებით, რაც დღეს არსებობს.

ამისათვის საჭიროა ქალთა მოძრაობის ისტორიის შესწავლა. სხვებთან ერთად იმუშაოს ფაბრიკა-ქარხნებში, გახდეს წევრი მშრომელ ქალთა ორგანიზაციებისა, გაიგოს სწავლის აუცილებლობა და შვილებს მოუწოდოს პატიოსანი შრომისაკენ.

,,მხოლოდ მაშინ იკლებს, ებრაელებში სიღატაკე-მათხოვრობა, ქუჩის პირას უსაქმოთ ქალების ჯდომა და ებრაელ ბავშვების გულშემზარავი: ,,პიშკი“, პაპიროსი, ანუშკი და სხვა და სხვა“.

მაშასადამე, ყოველი ებრაელი ქალი უნდა ეცადოს, დაუახლოვდეს განყოფილებას - ერთად ერთ მხსნელს მისას - სიბნელისაგან.

,,მერე აღარ იქნება ებრაელი ქალი შემყურე მლოცავისა, როდის მიაწოდებენ მას უმნიშვნელო გროშებს, რათა შიმშილით არ დაეხოცოს ბავშვები.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N109 (153), 16 მაისი, 1925
ავტორი: დ.

,,ნინო ჩხეიძის გასტროლები“

,,ქუთაისის სახელმწიფო თეატრში დღეს, 16 მაისს დანიშნულია პირველი გასტროლი ქართული თეატრის ნიჭიერი, დამსახურებული მსახიობის რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძისა. ამჟამად ნინო ჩხეიძის გასტროლებს ორმაგი მნიშვნელობა აქვს, რადგან რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელით დაჯილდოების შემდეგ - ნუცა ჩხეიძე, როგორც მას ქუთაისლები ეძახიან - პირველად ესტუმრა მისთვის ძვირფას ქუთაისს, სადაც მან პირველი ნაბიჯი გადასდგა, ხოლო შემდეგ კი 30 წლის განმავლობაში იშვიათი ნიჭით ემსახურება ქართულ სცენას.“

ქუთაისის საზოგადოებას დიდი ხანია ნუცა ჩხეიძე არ უნახავს ქუთაისის სცენაზე და ამიტომაც მისი ეხლანდელი გასტროლები მეტად საყურადღებოა.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N112 (156), 20 მაისი, 1925

,,დელეგატ ქალთა საყურადღებოდ“

,,ქუთაისის სამაზრო ქალთა განყოფილება ამით აცხადებს დელეგატკა ქალთა საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს, 20 მაისს, საღამოს ხუთ საათზე, სამაზრო პარტკომის დარბაზში დანიშნულია კრება და ევალება გამოცხადება ყველა ქვემოთ აღნიშნულ პირებს:

საქსოვი ქარხნიდან:

კახაძე ანას, ლორთქიფანიძე ელენას, ბახტაძე მაროს, კაპეტივაძე ეთერის, შავლაყაძე მატრონას, კაკაბაძე ნადიას.

საავადმყოფოდან:

ღოღობერიზე ნადია, ჯაფარიძე ნადია, სხირტლაზე ლიზა, ქომეთიანი მატრონა, ფორჩხიძე ქრისტინა, კალატოზოვი იულია.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N113 (157), 21 მაისი, 1925

,,უკრაინელ მუშა - ქალთა მისალბემა“

20 მაისი ,,ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენების შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის მიეცა უკრაინელ გლეხ ქალებს, რომლებიც შევჩენკოს სახელობის საზოგადოებაში არიან გაერთიანებული. ამხ. კვაშამ წარმოსთქვა სიტყვა უკრაინულ ენაზე. მან აღნიშნა უკრაინაში ქალთა მოძრაობის განვითარება; იგი ესალმება ყრილობას და სთხოვს მიიღოს ყრილობამ მცირედი საჩუქარი - ლენინის სურათი“.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N113 (157), 21 მაისი, 1925
ავტორი: N

,,ქუთაისის მაზრკომის ქალთა განყოფილების ორგანიზატორთა თათბირი“

,,15 მაისს გაიხსნა ორგანიზატორ ქალთა თათბირი ქუთაისში, რომელიც გაგრძელდა 17 მაისამდე. თათბირს დაესწრნენ მაზრაში მომუშავე 23 ორგანიზატორი ქალი. ორგანიზატორები 89% რაიონის და თემის მშრომელი, შრომის შკოლის მასწავლებლობაა, რაც აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ მშრომელი ინტელიგენცია ჩაება საბჭოთა აღმშენებლობით და საზოგადოებრივ მუშაობაში.“

საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები კატო მიქაძე, მარია შარაბიძე, ოლია სტურუა, სონია ფარცხალაძე და ევგენი ჩახუნაშვილი. განიხილეს დღის წესრიგის შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ადგილებიდან, 2. მოხსენება ბავშვთა კოლექტივების მუშაობაზე, 3. მომავალი ორ თვიური მუშაობის გეგმის შესახებ, 4. მოხსენება აბრეშუმის საზოგადოების მნიშვნელობაზე, 5. პრესის და კორესპონდენტთა მნიშვნელობაზე და 6. მოხსენება აღმოსავლეთ ქალთა საკავშირო თათბირის მუშაობაზე.

თათბირზე გამოვიდა 23 მომხსენებელი.

,,მოხსენებებიდან აშკარად გამოსჭვივოდა, რომ ქალთა ფართო მასები ჩაბმულია მუშაობაში და არა მარტო მშრომელი მუშა ქალები, არამედ გლეხის ქალები და მშრომელი ინტელიგენცია - მასწავლებლობა ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ქალთა ფართო მასების გათვითცნობიერებაში.

მაზრაში ირიცხება 598 დელეგატი ქალი. ამას უნდა დაერთოს ქარხანა-წარმოებაში ქალთა შორის მუშაობაც. დელეგატი ქალები დაყოფილია სექციებათ.“

გარდა სექციური მუშაობისა დაარსებულია აგრეთვე აგიტ-წრე ქუთაისსა და ხონში.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N114 (158), 22 მაისი, 1925

,,ინგლისის მუშა ქალთა დელეგაციის პატივსაცემლად“

ხარკოვი. 21 მაისი. ,,ხარკოვის მუშა ქალებმა ინგლისის ქალთა დელეგაციის საპატივცემულოთ გამართეს ბანკეტი. დელეგაციამ დაათვალიერა ლითონზე მომუშავეთა სახლი, რამდენიმე ქარხანა, დელეგაციის წევრები ესაუბრებოდნენ მუშა ქალებს. დელეგაცია დარჩება ხარკოვში 2 დღეს და შემდეგ გაემგზავრება დონეცკის ბასეინში და იქიდან ამიერ - კავკასიაში.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N126 (170), 5 ივნისი, 1925
ავტორი: ნაბაკეველი

,,ქალთა ორგანიზაციას უნდა მიექცეს ყურადღება“ (სამტრედიის ქალთა განყოფილების საყურადღებოთ)

,,კულაშის თემში არსებობს ქალთა ორგანიზაცია, სადაც მუშაობა შედარებით დღევანდელ პირობებთან კარგად მიმდინარეობს. კრებები ხდება კვირაში ერთხელ, სადაც ირჩევა სხვა და სხვა საკითხები. ორგანიზაციაში უმეტესობა გლეხის ქალებია. არიან აგრეთვე სოფლის მასწავლებლობაც. ამ ორგანიზაციას ამიერ-კავკასიის საკ. კომისიამ გამოუგზავნა ასი მანეთი, რომლითაც შეიძინეს დროშა. ორგანიზაციამ აგრეთვე მოაწყო საღამო და შემოსული ფული მიბარებული ქონდა, როგორც მდივანს, მარიამ ჩაჩუას, რომლითაც უნდა მოეწყოთ ლენინის კუთხე“.

ბოლო დროს გამოირკვა, რომ ორგანიზაციის წევრებს ეს მიბარებული ფული კულაშიდან სამტრედიაში სამგზავროდ გამოუყენებიათ. ვალდებულია სამტრედიის ქალთა განყოფილება ეს შეცდომა გამოასწოროს, რათა არ გაუტეხოს გული გლეხის ქალებს.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N132 (176),19 ივნისი, 1925

,,ინგლისის ქალთა დელეგაცია გროზნოში“

გროზნო. 12 ივნისი. ,,ჩამოვიდა ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია. მას შეხვდენ მუშები, მუშა ქალები და პიონერები. სადგურის ახლო მოედანზე მოეწყო დიდი მიტინგი. დელეგაციას მიესალმენ გროზნოს მუშებისა და გლეხთა წარმომადგენელნი.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N135 (179),17 ივნისი, 1925

,,ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია თფილისში“ (საკუთარი კორესპონდენტისაგან)

,,ორშაბათს, 15 ივლისს, საღამოს 4 საათზე, ბაქოდან თფილისში ჩამოვიდა ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: მერი კველი (თავმჯდომარე), ლიდა ესპინოლ (ფეიქართა კავშირი), ანნა ლოკლეი (მკერავთა კავშირი), ბრიდჟი (მბეჭდავთა და ამკინძავთა კავშირი) და პერსელი (დელეგაციის მდივანი).

დელეგაციას ახლავს საბჭოთა კავშირის ცენტრალური პროფ–საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ჩერნიმოვისა.“

დელეგაციის თავმჯდომარემ მერი კველმა თფილისელ კორესპონდენტთან საუბრისას ჩამოსვლის მიზანი ასე განმარტა: ,,გვსურს დაწვრილებით და რაც შეიძლება ახლო გავეცნოთ მუშების ყოფა-ცხოვრებას და წარმოების მდგომარეობას საქართველოში.

საუბრისას მერი კველიმ აღნიშნა ასევე, რომ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მიეცა საშუალება გაცნობოდა საბჭოთა კავშირსა

და მათში შემავალ რესპუბლიკებს. დათვალიერებამ მათზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

,,რაც შეეხება ქალთა მოძრაობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ბაქოში გავიგეთ რას ნიშნავს თავისუფლება აღმოსავლეთის ქალთათვის. თურქი - ქალი ეხლა განთავისუფლებულია საუკუნოებრივ მონობისაგან. იგი საბჭოთა სინამდვილის პირობებში აშენებს ცხოვრებას - კლუბებს, საბავშო ბაღებს".

ინგლისელ დელეგატთა ყურადღება მიიქცია კურორტებმა, განსაკუთრებით ყირიმში, სადაც ისვენებდენ და ზაფხულის დროს ატარებდა მეფე და მისი ამალა. ჩვენ შევხვდით ამჟამად აქ მუშებსა და გლეხებს. საერთოდ, საბჭოთა კურორტები სახელმწიფოს ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

,,რაც შეეხება საქართველოს ჩვენ აქ სპეციალური დავალებით ვართ; ჩვენთვის ძლიერ სასიხარულოა, რომ გავეცანით ამ მხარის საერთო მდგომარეობას, რომ ინგლისში დაბრუნებისას ჩვენ შევძლებთ მოვუყვეთ ინგლისის მუშათა კლასს როგორია აქაური სინამდვილე."

თუ შევადარებთ წინა დროის დელეგაციების ანგარიშებს დღევანდელ მდგომარეობას, უნდა დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირი შეუჩერებლივ იზრდება და მისი აღმშენებლობა - აღორძინება გაძლიერებულის ტემპით მიმდინარეობს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ისწრაფვის გარდაქმნას საზოგადოება არამარტო პოლიტიკურად, არამედ წარმოებასა და ყოფა-ცხოვრების მხრითაც. ამის მაგალითია ის ახლად ნაშენი მუშათა დასასახლებელი ადგილები, საზოგადო სამზარეულოები, დასასვენებელი სახლები და სხვა."

ინგლისელ დელეგატებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში - ლენინგრადში - ტვერში - ყირიმში - როსტოვში - კისლოვოდსკში - გროზნოში - ბაქოსა და თბილისში მოგზაურობამ, რითაც კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ თუ როგორ იზრდება თანდათანობით საბჭოთა კავშირის წარმოება.

ამჟამად, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, - აღნიშნეს დელეგატებმა რომ ნავთის წარმოება ბაქოში მუშების ხელშია.

დაბრუნებისას დელეგატებმა აღუთქვეს, როგორც პერსელის დელეგაცია ჩვენ სპეციალურ ანგარიშში ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლებს მოუყვებით ამ ქვეყნების შესახებ.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი" N136 (180),18 ივნისი, 1925

,,ინგლისის ქალთა დელეგაცია ჩვენში"

,,15 ივნისს ჩვენს დედა-ქალაქ თფილისს ესტუმრა ინგლისის ქალთა დელეგაცია. როგორც არა ერთხელ გვქონია აღნიშნული, ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა წარმომადგენლების ჩვენს კავშირში მოგზაურობა ჩვენი ავკარგიანობის გაგების მიზნით. რამდენიმე დელეგაციამ უკვე გვინახულა და გამოსთქვა თავისი აზრი ჩვენი საქმიანობის შესახებ."

ამ მოკლე ხანში კიდევ გვინახულეს სხვადასხვა ქვეყნის მუშათა დელეგაციებმა და მათ შორის ინგლისის ქალთა დელეგაციამ. თფილისში ჩამოსვლამდე მათ ინახულეს საბჭოთა კავშირის მსხვილი ცენტრები. როგორც მათი სიტყვებიდან ჩანს საბჭოთა კავშირს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია მათთვის: ,,საბჭოთა კავშირის მეურნეობა განუწყვეტლივ იზრდება და მისი აღდგენის საქმე ჩქარის ტემპით მიდის", - ამბობს ერთ-ერთი დელეგატი.

განსაკუთრებით ნასიამოვნები დარჩენილან დელეგატები, ბაქოში ქალთა მდგომარეობით. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ცხოვრობდენ საუკუნეების განმავლობაში მუსულმანი ქალები და როგორ უკიდურეს ჩაგვრა-შევიწროებას განიცდიდენ:,,ჩვენ მხოლოდ ბაქოში შევიგნეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფლებას აღმოსავლეთის დაჩაგრულ ქალებისათვის. აღმოსავლეთის ქალებმა მონობას დააღწია თავი საბჭოთა ხელისუფლების წყალობით. თურქი ქალი ეხლა, საბჭოთა სინამდვილის პირობებში, ქმნის თავის ახალ ცხოვრებას".

ინგლისში დაბრუნებისას სტუმრები მოუთხრობენ თანამემამულეებს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ საბჭოთა რესპუბლიკებში ყველა გაანთავისუფლა მონობისაგან, რომ აქ საბჭოთა კავშირში, მამაკაცი და დედაკაცი თანასწორი უფლებით სარგებლობს. დელეგაციამ ერთხმად აღნიშნეს, რომ ოქტომბერმა რღვევაც იცის და შენებაც. ის ანგრევს ძველს, - ახალს კი აშენებს.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი" N138(182), 20 ივნისი, 1925

,,ინგლისელ ქალთა დელეგაცია ბორჯომში"

ბორჯომი. 19 ივნისი. ,,ბორჯომში ჩავიდა ინგლისის ქალთა დელეგაცია. დელეგაციების საპატივცემოდ შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრენ ბორჯომისა და მისი რაიონების მუშა-მოსამსახურენი, ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. მიესალმენ დელეგატებს. მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მიტინგის მონაწილენი სალამს უძღვნიან ინგლისის მუშებს და მოუწოდებენ მათ მხნედ იბრძოლონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ."

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი" N139 (183),21 ივნისი, 1925
ავტორი: და-ლი

,,რკინის გზაზე"
(ქალთა კრება)

16 ივნისს, რ. კ გზის კლუბ ,,ხელოვნება"-ში შესდგა ქუთაისის რკინისგზის რაიონში მუშა-მოსამსახურე ქალთა მორიგი კრება, რომელსაც დაესწრო 35-მდე ქალი. თავმჯდომარეობდა ნ. მელუა, მდივნობდა თ. ლორთქიფანიძე.

,,დღის წესრიგში იყო: 1. მეფუტკრეობა და 2. ვენერიული ავადმყოფობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლექვინაძემ. მან ვრცლათ და მკაფიო ენით აუხსნა კრებას მეფუტკრეობის მნიშვნელობა. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რ.კ გზის ექიმი მაჭავარიანი, რომელმაც ვრცლათ განუმარტა კრებას სხვა და სხვა ავადმყოფობის წარმომშობი მიზეზები."

მოხსენებების ირგვლივ დასმულ შეკითხვებს სათანადო პასუხი გაეცა. ასეთი კრებები ქალთა განვითარებისათვის აუცილებელია.

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N154 (198), 9 ივლისი, 1925
ავტორი: ირაიდა გოგოტიშვილისა

,,ქალთა ბიუროს დაარსება“

მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონში 27 ივნისს ქალთა ბიურო ჩამოყალიბდა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. თავართქილაძისა და მდივნობდა ამხ. გეგიასი.

,,დღის წესრიგში იყო კითხვები: 1. მოხსენება ქალთა მოძრაობის და მისი ამოცანების შესახებ, 2. ქალთა ბიუროს არჩევნები და 3. მიმდინარე კითხვები.“

ქალთა საერთაშორისო მოძრაობასა და მის მნიშვნელობაზე მოხსენებით ლეგიონის კლუბის უფროსი ს. გეგია გამოვიდა, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ქალთა ამოცანებსა და მათ მნიშვნელობაზე.

,,ქალთა ბიუროში იქნა არჩეული 5 წევრი, რომელსაც დაევალა მომავლისათვის გაუძღვენ და გამოაცოცხლონ ქალთა შორის მუშაობა. დაევალათ ბიუროს წევრებს დაიკავონ კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან და აგრეთვე ახლო მომავალში დაუახლოვდენ ამა თუ იმ სოფლის ქალთა მუშაობას.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N155 (199),10 ივლისი, 1925

,,ქალთა შორის“

,,ქალთა შორის მუშაობა რაიონში ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ამ უკანასკნელათ ჩამოყალიბდა ქალთა ორგანიზაციები ს. ორპირში, ხრესილში, ტყიბულში და ტყიბულის მაღაროებში. მეცადინეობა წარმოებს თვეში ორჯერ. კეთ–დება მოხსენებები ადგილობრივ ექიმების მიერ ჰიგიენიდან, სასოფლო მეურნეობაზე და სხვა. მასწავლებელი ქალები გაყვანილია თემის საბჭოებში გლეხკომებში და კოოპერატიულ მუშაობაში.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N156 (200),11 ივლისი, 1925
ავტორი: დამსწრე

,,ქალთა შორის მუშაობა“
(ს. ხრესილი)

,,21 ივნისს ს. ხრესილში ადგილობრივ კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა ქალთა კრება, რომელსაც დაესწრო 70 ქალი. წაკითხულ იქნა მოხსენებები რევოლუციონურ მოძრაობაზე. არჩეულ იქნა ქალთა წრის ხელმძღვანელი. მომავალი კრება დანიშნულია 27 ივლისში.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N169 (207),14 ივლისი, 1925
ავტორი: ნ. ნიჟარაძე

,,ქალთა შორის“
(ს. გუბი)

,,სოფელ გუბში არსებობს ქალთა ორგანიზაცია თითქმის ორი წელიწადია. სწარმოებს ადგილობრივ ქალთა შორის კულტურული მუშაობა. ქალები გაყავთ სათემო საბჭოში, გლეხკომში, სანიმუშონი სამკითხველოს საბჭოებში, კორ–წრეში, ერთი სიტყვით ქალთა ორგანიზაციას გუბის თემში ყველა კულტურულ აღმშენებლობითი ორგანიზაციებში ჰყავს თავისი წარმომადგენელი. მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებს.“

გაზეთი ,,წითელი ვარსკვლავი“ N171 (215),30 ივლისი, 1925
ავტორი: გლეხის ქალი

,,ხონის რაიონში ქალთა შორის მუშაობა“

ქალთა შორის მუშაობა ხონის რაიონში სხვა თვეებთან შედარებით გაღრმავდა, ვინაიდან ქალებში საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი, რომ მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლება იცავს მათ ინტერესებს.

,,აგერ მეხუთე წელი გადის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში და სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ შევძელით მოგვეწყო დელეგატური კრებები ხონის რაიონის შორეულ თემში - კინჩხაში. ამ თემში ეს შეუძლებლობა დავსძლიეთ და 5 ივლისს, მოწვეულ იქნა კინჩხას თემის საერთო კრება უპარტიო ქალებისა, სადაც აირჩიეს წესდების მიხედვით 34 - დელეგატი ქალი. გორდას თემის ქალთა შორის მომუშავე ამხ. ნადია ჩიხლაძის უანგარო შრომას უნდა მიეწეროს ამ დაბრკოლების გადალახვა.“

ეს აქტიური ქალი ყოველ შაბათობით მიდის 14 კილომეტრს აქეთ-იქით ფეხით და ხელმძღვანელობს ახლად ჩამოყალიბებულ კინჩხას თემის ქალთა ორგანიზაციას.

ასეთივე ორგანიზაციები ჩამოყალიბდა 19 ივლისს ნახახულევის თემში და მათხოჯში. ,,გაერთიანებულ უპარტიო ქალთა კრებაზე სოფ. მათხოჯიდან არჩეულ იქნა 36 დელეგატი ქალი. ნახახულევიდან კი - 34 ქალი. ორგანიზაციაში სამუშაოთ შრომის შკოლის მასწავლებელი ქალებია ჩაბმული. ამ თვიდან მთელ რაიონში 416 დელეგატი ქალი ირიცხება.“

ქალთა რიგები კომპარტიის დროშის ქვეშ თანდათანობით იზრდება. სასურველია ადგილებმა და ცენტრმაც მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და გამოყოს თანხა ორგანიზატორ ქალთა შრომის ანაზღაურებისათვის.

ბოლოთქმა

სინამდვილე ყოველთვის იდეალის განხორციელებას გულისხმობს. და, როცა ვუარყოფთ და ვცვლით მას, ეს ნიშნავს, რომ მასში განხორციელებული იდეალი აღარ გვაკმაყოფილებს და ამიტომაც უნდა შეიქმნას უკეთესი.

ქალებმა, სწორედ, ადამიანური ბუნების შესაბამისი და თანასწორობის მოსა–პოვებელი არა ზებუნებრივი იდეა დაისახეს მიზნად.

ცნობილია, რომ ქალის უფლებების იდეა პირველად საფრანგეთში დაიბადა. სიტყვა ,,ფემინა“ - ფრანგულად ნიშნავს ქალს.

აქედან გამომდინარე კი, ,,ფემინიზმი“ ქალთა უფლებების დაცვის, ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობის აღმნიშვნელი გახდა.

ასე რომ, ,,ფემინიზმი“ - როგორც პოლიტიკური მოძრაობა და დოქტრინა ჯერ დასავლეთ ევროპაში ჩაისახა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელდა.

მსოფლმხედველობისა და იდეების მიხედვით არსებობს მრავალი სახის ფემინიზმი: რადიკალური, ლიბერალური, ეკოფემინიზმი, მარქსისტულ-სოციალისტური და სხვა.

ყველა სახის ფემინიზმის გამაერთიანებელი ღერძი კი ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობაა.

ქალთა უფლებებისა და თანასწორობის მოპოვებისათვის საფრანგეთში დაწყებულ მოძრაობას გამოძახილი დიდ ბრიტანეთშიც მოჰყვა, სადაც წარმოიშვა საფრაჯისტული მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა პოლიტიკურ უფლებებს და ხმის მიცემას არჩევნებში.

ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გავრცელებულ ფემინისტურ მოძრაობას, 1848 წელს, სენეკა ფოლსში ქალთა უფლებების პირველი კონფერენცია მიეძღვნა, რომლის ორგანიზატორები გახლდნენ ლუკრეცია მოტი და ელიზაბეტ ქეიდი სტენტონი: ,,ჩვენ მიგვაჩნია აშკარა ჭეშმარიტებად ის, რომ მამაკაცი და ქალი თანაბარუფლებიანებად შეიქმნენ და მათ შემოქმედმა მიანიჭა ძირითადი და თანდაყოლილი უფლებები, რომელთა შორის არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა.“

ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობისათვის, რომლებიც შემდგომ გენდერულ თანასწორობად მოინათლა, ქართველმა ქალებმაც მნიშვნელოვანი გზა განვლეს.

XIX საუკუნის საქართველოში ქალებმა პირველი და ჯერ კიდევ გაუბედავი ნაბიჯებით მაინც შეძლეს ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებები გადაელახათ და თავიანთი ადგილი მოეპოვებიათ საზოგადოებაში.

თავდაპირველად, ქალთა მოძრაობას საფუძვლად საგანმანათლებლო კამპანია დაედო, 1879 წელს, ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახით, რომელიც შემდგომ, ქართველი ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის პროვოკატორი გახდა.

ასე რომ, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, რომელშიც არ გამართულიყო პოლემიკა ,,დედათა კითხვაზე“.

ქალებმა თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობისათვის ბრძოლაში მიზანმიმართულად გამოიყენეს საქართველოში გამომავალი პერიოდიკა, მათ შორის იმერეთში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები: ,,შრომა“, ,,მწყემსი“, ,,ქართული ბიბლიოთეკა“, ,,ცდა“, ,,აკაკის თვიური კრებული“.

XX საუკუნის 10-20-იანი წლების შემდეგი პერიოდიკაა: ,,გრდემლი“, ,,ცისკარი“, ,,შინაური საქმე“, ,,კოლხიდა“, ,,დილა“, ,,სასოფლო გაზეთი“, ,,სიმართლის ხმა“,

,,ცხოვრება“, ,,იმერეთი“, ,,თანამედროვე ქვეყანა“, ,,განთიადი“, ,,სიტყვა“, ,,აზრი“, ,,ხმა ქართველი ქალისა“, ,,ახალი ივერია“, ,,სამშობლო“, ,,ახალი კვალი“, ,,ჩვენი ქვეყანა“, ,,ერი“, ,,სამშობლო“, ,,მუშა და გლეხი“, ,,წითელი ვარსკვლავი“.

ზოგადად, ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ ცხადყოფდა თუ რა დიდი როლი ითამაშა პერიოდიკამ არამარტო ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლაში, არამედ მათ მიერ ეკონომიკური ბერკეტების დაუფლებაშიც.

ქართველი ქალის მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის იყო შეტევითი ხასიათის და იგი ძველის ნგრევით მიმდინარეობდა. თუმცა ამ ნგრევაშივე იყო წარმოდგენილი ახლის შენების იდეაც. ეს იდეა კი მიზნის დასახვისა და მოქმედებისათვის საჭირო რჩევათა სახით იყო მოწოდებული და თან ძალიან ნათლად და გასაგებად.

ძველის ნგრევისა და ახალი ურთიერთობის ე.ი. გენდერული თანასწორობის დამყარებისათვის ქალები ბუნებრივია, იზიარებდნენ იმ სამოქმედო პროგრამებს, რომლებიც ევროპისა და ამერიკელი ფემინისტების გამოცდილებას ემყარებოდა. რასაც ზედ ერთვოდა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქალთა ბრძოლის მაგალითები რუსეთის ცხოვრებიდანც და იქ მიმდინარე სოციალისტური იდეებისათვის ბრძოლის მრავალმხრივი მოვლენები.

საერთოდ, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში, იმერეთში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები აძლევდა ქალებს საშუალებას ფართო დისკურსისა და გენდერული პროცესების გასავითარებლად, რომლის კრედო კარგადაა ასახული აკაკი წერეთლის სიტყვებში: ,,...მოვა დრო, ერთხელაც არის კაცობრიობა შეიგნებს ჭეშმარიტებას და ქალს დასახავს ევად, მაგრამ იმ პირველ ევად კი არა, რომელმაც ვითომ ედემი დააკარგვინა! არა! იმ სხვა ევად, რომელიც ქვეყნად გაუღებს მას სამოთხის კარებს“.

,,ქვეყნის მომავალი ქალების ხელშია“ -დღესაც, ამ რწმენით აგრძელებენ ქალები სრული გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლას.

მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

WOMEN'S ROLE IN KUTAISI PERIODICALS (1881-1925)

Since the 1870s, there has not been a single magazine or newspaper in Georgia that did not cover the issue of "women".

In their struggle for freedom and equity, women purposefully used the newspapers and magazines published in Imereti: "Shroma", ("Labor"), "Mtskemsi" ("Shepherd"), "Georgian Library", "Tsda", "Akak's Monthly Collection" and the following newspapers of the 1910-1920s: "Grdemli", "Ciskari", "Household Affairs", "Kolkhida", "Dila", "Sasoflo Gazeti", "Voice of Truth", "Life", "Imereti", "Modern country", "Dawn", "Word", "Opinion", "Voice of a Georgian woman", "New Iveria", "Motherland", "New Trace", "Our Country", "Nation", "Motherland", "Worker and Peasant", "The Red Star", which once again proved what a great role periodicals played in women's appearance in the public arena and their mastering of economic levers as well.

In the forms of all journalistic genres published on the pages of these periodicals, including small chronicles, there were not only extraordinary and eye-catching, glittering stories and topic materials, but ordinary stories written about the disenfranchisement of women in everyday life.

It was this ordinary existence filled with small everyday things that revealed gender imbalance, against which Georgian women fought so hard.

Their action for gender equality was of an aggressive nature and it was proceeding with the destruction of the old. However, the idea of building the new was also present in this destruction. This idea was given in the form of advice necessary for goal setting and action, and at the same time it was presented very clearly and comprehensibly.

In order to destruct the old and establish the new relationship, i.e. gender equality, women shared the action programs which were based on the experience of European and American feminists.

On top of that, there were also examples of the women's struggle of the 1910-1920s from the life of Russia and the multifaceted events of the struggle for socialist ideas taking place there. Among the newspapers published in Imereti, "Our Country", "Eri", "Musha da Glekhi", "Red Star" demonstratedthe Bolshevik ideas and the activities of social-democratic women who saw salvation in the implementation of equality only in the Soviet ideology. But the tragedy here was that the party still considered itself to be the continuation and successor of the early socialist visions, while the government's promise of women's emancipation remained empty rhetoric and was limited only to the use of women's labor.

So, the works about women published in the Kutaisi periodicals in the late 19th and early 20th century introduced the general public to rich materials about the birth and development of gender processes, and women's r role in Georgia and the world.

MARIAM MARJANISHVIIL
Doctor of Philology

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკ. (1989). „ნიკო ნიკოლაძე“, თბილისი.
2. ბაქრაძე დ. (1891). „ქართველი ქალები“, თბილისი.
3. გაბაშვილი რ. (1992). „დაბრუნება“, თბილისი.
4. გაფრინდაშვილი ლ. (2005). „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“, თბილისი.
5. გარიყული მ. (1968). „თხზულებანი“, ტ. II. თბილისი.
6. „გენდერის წახნაგები“. (2012). თბილისი.
7. გეგეშიძე ზ.თ. (1975). „სახელოვანი რევოლუციონერი ქალები“, თბილისი.
8. გრიფინი გ. ბრაიდოტი რ. (2005). „განსხვავებული აზროვნება“, თბილისი.
9. ვირჯინია ს. (1998). „ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში“, თბილისი.
10. ზურაბიშვილი ი. (1948). „ოთხი პორტრეტი“, თბილისი.
11. კობახიძე გ. (1952). „მშვენიერი ქართველი ქალი და ბედი ქართლისა“. ჟურ. „ბედი ქართლისა“, N11, პარიზი.
12. მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან“ (1981). თბილისი.
13. მარჯანიშვილი მ. (2008). „ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“, ქუთაისი.
14. მარჯანიშვილი მ. (2010). „მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“, თბილისი.
15. მარგველაშვილი გ. (2000). „ქალთა პოლიტიკური აქტივობის პრობლემები“, თბილისი.
16. მელაშვილი თ. (2013). „კატო მიქელაძე - ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, თბილისი.
17. ნიკოლაძე ნ. (1984). „მოგონებები“, თბილისი.
18. პაპავა თ. (1990). „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, პარიზი.
19. საბედაშვილი თ. (2006). „ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები“, თბილისი.
20. საბედაშვილი თ. (2007). „გენდერი და დემოკრატიზაცია საქართველო: 1991-2006“, თბილისი.
21. სიგუა ს. (2002). „ქართული მოდერნიზმი“, თბილისი.
22. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. (2000). „ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტი“, თბილისი
23. ურუშაძე ნ. (1973).„ქართული სათეატრო კრიტიკა“, თბილისი.
24. ფირცხალავა ს. (1903). „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I. თბილისი.
25. „ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ“. (2001). თბილისი.
26. „ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი“. (2002). თბილისი.
27. ქორელი მ. (1949). „ფილიმონ ქორიძე“, თბილისი.
28. შარაძე გ. (1986). „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბილისი.
29. შარაძე გ. (1991). „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. I. თბილისი.
30. ჩიხლაძე ნ. (1960). „დომინიკა ერისთავი“ (განდეგილი). თბილისი.
31. ჩიხლაძე ნ. (1947). „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები“, თბილისი.
32. ჭავჭავაძე ი. (1961). „მიმოწერა“, ტ. X. თბილისი.
33. ჭავჭავაძე ი. (1987). „პუბლიცისტური წერილები“, ტ. IV. თბილისი.
34. ჭავჭავაძე ი. (1953). „თხზულებათა სრული კრებული“, თბილისი.
35. ჯერვალიძე ც. (2012). „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“, წიგნი მეორე, თბილისი.
36. ჯორჯაძე ბ. (1988). „რჩეული თხზულებანი“, თბილისი.

მარიამ მარჯანიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.

2015 წლიდან ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრის საზაფხულო სკოლის ლექტორი.

სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა:

2007-2009 წლებში ,,ააიპ სამუზეუმო გაერთიანების“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2015 წლიდან მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალების საერთაშორისო ორგანიზაციის - ICOM-ის წევრი.

2015 წლიდან საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრი.

2017 წლიდან საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

2019 წლიდან გაზეთ ,,უქიმერიონის“ რედკოლეგიის წევრი.

სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროები:

XIX-XX სს. ქართული ინტელიგენციის კულტურული იერსახე, ფემინიზმი და გენდერი, ქართული დემოკრატია, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში.

ძირითადი ნაშრომები:

,,ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში” (2008);

,,მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი” (2011);

,,ლეო ჭეიშვილი - არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი” (2013);

,,ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი“ (2014);

,,ჯანესი - ქართველი ემიგრანტი“ (2016).

,,დერჩის ქვების ღაღადისი“ (2021).

127 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 117 ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

ასევე 3 სამეცნიერო კრებულისა და მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების რედაქტორი, დაწერილი აქვს არაერთი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი და რეცენზია ქართველი ავტორების წიგნებზე და პროზაულ თუ პოეტურ ტექსტებზე.

ლიტერატურული კონკურსების გამარჯვებული:

1. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ლიტერატურული კონკურსი - ,,ძალა ჰუმანიზმისა“ (თბილისი, 2000);
2. თსუ-ს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კომპარატივისტული ლიტე–რატურის ქართული ასოციაციის (GCLA) კონკურსი - ,,ქართველ ემიგრანტთა ლიტერატურული მოღვაწეობა“ (თბილისი, 2013);
3. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს პირველი საერთაშორისო ლიტერა-ტურული კონკურსი - ,,ემიგრანტის წერილი - 2014“ (თბილისი, 2015).
4. ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანების საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი“ - ,,ემიგრანტის წერილი 2016“ (თბილისი, 2016).
5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ესეების კონკურსი - ,,დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი“ (თბილისი, 2018).

ლიტერატურული პრემია:

1. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გრიგოლ რობაქიძის სახელობის პრემია (თბილისი, 2023).
2. საქართველოს მწერალთა კავშირის ქართული კულტურის ამაგდარის წოდება (თბილისი, 2024)

პროექტები:

1. ,,INTERNATIONAL EDUCATION WEEK 2006” - ინტეგრაციის თემაზე (2006).
2. გაეროს ქალთა ფონდი UNIFEM-ის, ქალთა საინფორმაციო ცენტრის WIC-ის და ფონდი „ტასოს“ პროექტი „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ (2010).

სამეცნიერო პროექტები:

1. ფონდ ,,ღია საზოგადოება საქართველოს პროექტების მონაწილე: ,,ქართული დემოკრატია: მითი თუ რეალობა” (2010);
2. ფონდ ,,ღია საზოგადოება საქართველოს პროექტების მონაწილე: ,,განმანათლებლობა საქართველოში: იდეები და აქტორები” (2014).
3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ,,იმერეთის სოციო-ლინგვისტური სურათი XIX საუკუნის 80-90-იანი და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის პრესაში“ (2017).

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ვახუშტი ბაგრატიონის, №84
☎ 214-77-33
E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-475-6